საქართველოს ეკონომიკა

საჯარათველოს ეკონომიკა

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი

საჭართველოს ეკონომიკა

ეძღვნება
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის,
უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის
აღსაყდრების 35-ე წლისთავს

გამომცემლობა
„სიახლე“
თბილისი 2012

UDC (უაკ) 338(479.22)
ს-323

საქართველოს ეკონომიკა. მთავარი რედაქტორი როზეტა ასათიანი. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2012. – 308 გვ.

ნაშრომი შედგება 22 თავისაგან და ეძღვნება სისტემური სახით ნაკლებად შესწავლილ მასშტაბურ პრობლემას. მასში ქრონოლოგიურად არის გაშუქებული დასაბამიდან დღემდე მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე და ამავე დროს მრავალჭირნახული საქართველოს ეკონომიკური განვითარების რთული გზა, წარმოდგენილია ეკონომიკური განვითარების რეტროსპექტივა. გამოკვლევა ერთდროულად ორი ისტორიული მოვლენის – პოლიტიკური თავისუფლების მოპოვებისა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კატაკლიზმებით სავსე პერიოდს მოიცავს. წიგნში მოცემულია საქართველოს ეკონომიკაში უახლოეს პერიოდში – ახალ ეპოქაში ელვისებურად განვითარებული მოვლენების, განვლილი თუ მიმდინარე ეკონომიკური პროცესების, ქვეყანაში მომხდარი არსებითი ძვრების, მიღწეული წარმატებებისა თუ ჩავარდნების მეცნიერული შეფასება. მოვლენათა კრიტიკული ანალიზის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნები, რომლებიც განმტკიცებულია ფაქტობრივი მონაცემებით.

წიგნი განკუთვნილია საქართველოს ეკონომიკის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

სარედაქციო კოლეგია: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტები **ვლადიმერ პაპავა**, **ლეო ჩიქავა**; ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები: **რამაზ აბესაძე, როზეტა ასათიანი, იაკობ მესხია, ვახტანგ სართანია,** ეკონომიკის დოქტორი **იოსებ არჩვაძე**.

რეცენზენტები: **ავთანდილ სილაგაძე** – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი;
თეიმურაზ ბერიძე – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ISBN 978-9941-9134-2-6

© გამომცემლობა **„სიახლე“** – 2012.

საქართველო არის წილხვედრი ყოვლაწმინდისა ღვთისმშობლისა, იგი ტახტია წმიდისა სამებისა.

საუკუნეების მანძილზე ქართული კულტურა არაერთი უძლიერესი იმპერიის გავლენას განიცდიდა, მაგრამ ღვთის განგებითა და ჩვენს წინაპართა ძალისხმევით არასდროს დაგვიკარგავს თვითმყოფადობა.

ეკონომიკურმა პრობლემებმა ბევრი საფიქრალი გაგვიჩინა. არ უნდა შევეჩვიოთ სხვებისგან მოწვდილ ჰუმანიტარულ დახმარებებს, არამედ თვითონ უნდა ვიპოვოთ გამოსავალი შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან... ჩვენ გონიერ შრომისმოყვარე ფუტკარს უნდა დაგემსგავსოთ, რომელიც ნექტარს მხოლოდ იმ ყვავილებისგან აგროვებს, რომლებიც თაფლისთვისაა გამოსადეგი.

ეკონომიკა განვითარდება, თუ საქართველო შეინახავს ეროვნულ ფასეულობებს.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

ილია II

წინათქმა

გამოკვლევა საქართველოს ეკონომიკის წარსულისა და აწმყოს შეჯამება და ერთგვარი სამომავლო ორიენტირიცაა. აქედან, მცირე ნაწილი წარსულს აქვს დათმობილი, რამდენადაც მისი ეტაპობრივი განხილვა, თუნდაც მიმოხილვის სახით, მნიშვნელოვანია დღევანდელობის ობიექტურად შეფასებისა და ანალიზისათვის, აგრეთვე მომავლის სწორად განჭვრეტისათვის. ილია ჭავჭავაძე ბრძანებდა: „წარსული – მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო – მომავლის. ეს სამი სხვადასხვა ხანი, სხვადასხვა ჟამი... ცხოვრებისა, ისეა ერთმანეთზედ გადაბმული, რომ ერთი უმეოროდ წარმოუდგენელი, გაუგებარი და გამოუცნობია... ეს სამთა ჟამთა ერთმანეთზედ დამოკიდებულება კანონია ისეთივე შეურყეველი და გარდუვალი, როგორც ყოველივე ბუნებითი კანონი“. ამასთან, წმინდა ილია მართალი დასძენდა: „უწარსულოდ აწმყო უფესვო ნერგია, თავ-გაუტანელი, ფეხმოუკიდებელი... ერი თავისი გმირების ცხოვრებითა და მაგალითებით უნდა ჰსულდგმულობდეს, თუ მართლა ერობა ჰსურს და აგრეც არის საცა ერი ერობს“. ამიტომ მიზანშეწონილად მივიჩნიეთ წინა ეპოქების – დასაბამიდან, ვიდრე 1991 წლამდე პერიოდის, ეკონომიკური განვითარების რეტროსპექტივის სახით, მოკლედ გაშუქება.

მართალია, წიგნში განხილულია საქართველოს ეკონომიკური განვითარების უახლესი ისტორიული მოვლენები და პროცესები, მაგრამ იგი ეროვნული ეკონომიკის ისტორია როდია. ეს პერიოდი თანამედროვე ეპოქაა, ეპოქა, რომელიც სავსეა წინააღმდეგობებით, მკვეთრი და ამავე დროს მნიშვნელოვანი ცვლილებებით, სიახლეებით, მოულოდნელობებით.

საქართველოს აღორძინება, მისი კეთილდღეობა თუ ტკივილი ორგანულად უკავშირდება ძველიდან შემორჩენილ თუ ახალ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს. ეროვნული აღორძინება შეუძლებელია ეკონომიკური აღორძინების გარეშე. ვერც ერთი სახელმწიფო ვერავითარ პრობლემას ვერ გადაწყვეტს, თუ იგი ეკონომიკურად სუსტია. ეკონომიკა ქვეყნის განვითარების ქვაკუთხედია. ამიტომ როგორი სახელმწიფო იქნება საქართველო მომავალში, ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი ეკონომიკა ჩამოყალიბდება დღეს. „ეკონომიკის ავკარგიანობაზე არის დამოკიდებული საზოგადოების ყოველი ფენის და მთელი სახელმწიფოს არსებობა“ (**უწმინდესი და უნეტარესი ილია II**).

რა თქმა უნდა, გარდამავალი პერიოდი არ იქნება მუდმივი, მაგრამ მისი დამთავრების შემდეგ უკეთეს მდგომარეობაში ის ქვეყნები აღმოჩნდებიან, რომლებიც მაქსიმალურად გაითვალისწინებენ ეროვნულ თავისებურებებს, სწორად გაერკვევიან საბაზრო ეკონომიკის უნივერსალურ მექანიზმებში, ადეკვატურად ააგებენ ეკონომიკურ პოლიტიკას.

უკვე ოც წელზე მეტია საქართველოში მიმდინარეობს რთული, წინააღმდეგობებით სავსე პროცესები. მეტად მძიმე აღმოჩნდა წარსულის მემკვიდრეობა. ათეული წლების განმავლობაში მსოფლიო ეკონომიკურ იზოლაციაში ყოფნას უკვალოდ არ ჩაუვლია. ახალი ეკონომიკური აზროვნება ძნელად იკაფავს გზას. არადა, დრო არ ითმენს. რეფორმატორთა ერთგვარი დილეტანტიზმი მოუფიქრებელი გადაწყვეტილებებისა და გაუმართლებელი დასკვნების მიზეზი გახდა, რამაც ქვეყანა სერიოზულ შეცდომებამდე მიიყვანა. საქართველო თავისი არსებობის მანძილზე ერთ-ერთ ყველაზე საპასუხისმგებლო ეტაპზე აღმოჩნდა. არსებული არაორდინარული სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია საქართველოში მრავალ რთულ პრობლემას წარმოშობს. ასეთ სიტუაციაში დიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე საქართველოს ეკონომიკის პრობლემატიკის კომპლექსურ შესწავლას (მისი წინა პერიოდის

ლოგიკური შეფასებისა და მოსალოდნელი შედეგების ჩათვლით), რომელიც პოლიტიკურ, სოციალურ და სხვა პრობლემებთან მჭიდროდაა დაკავშირებული.

საბაზრო ეკონომიკისაკენ მიმავალ რთულ გზაზე, სადაც ყოველი ნაბიჯი – სამართლებრივი ბაზის შექმნა, საკუთრების განსახელმწიფოებრივება, საბაზრო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება თუ სხვა, არა მხოლოდ ორგანიზაციულ სიძნელეებს, არამედ ეკონომიკური განვითარებისადმი ახლებურ მიდგომას უკავშირდება. სწორედ ეს დაედო საფუძვლად წინამდებარე გამოკვლევას. იგი ეძღვნება ეკონომიკურ ლიტერატურაში სისტემური სახით ნაკლებად შესწავლილ, ზეაქტუალურ და ამასთან, მასშტაბურ პრობლემას.

ნაშრომი ერთდროულად ორი ისტორიული მოვლენის – პოლიტიკური თავისუფლების მოპოვებისა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კატაკლიზმებით სავსე პერიოდს მოიცავს.

საზოგადოებას აინტერესებს დამოუკიდებელ საქართველოში ელვისებურად განვითარებული მოვლენების, განვლილი თუ მიმდინარე ეკონომიკური პროცესების, ქვეყანაში მომხდარი არსებითი ძვრების, მიღწეული წარმატებების თუ ჩავარდნების მეცნიერული შეფასება.

ეკონომიკა მეტად დინამიკური მეცნიერებაა, რომელიც სხვადასხვა დონითა და კუთხით ასახავს ეკონომიკურ ურთიერთობებში ცვლილებების ტენდენციებს. სწორედ ეს თავისებურება დაედო საფუძვლად მონოგრაფიულ გამოკვლევას, რომელიც მოიცავს საკითხთა ფართო სპექტრს.

ნაშრომი მიზნად ისახავს ეკონომიკური რეფორმების კონკრეტულ-ისტორიულ გარემოსთან კავშირში წარმოჩენას, ეკონომიკური განვითარების წინააღმდეგობრივი პროცესებისა და მათი ურთიერთზემოქმედების თავისებურებების ახსნის საფუძველზე ინსტიტუციური რეფორმების ანალიზს, საქართველოს საბიუჯეტო-საგადასახადო და ფულადსაკრედიტო სისტემების რეფორმირებასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებას, საქართველოს ეროვნული სიმდიდრისა და დემოგრაფიული განვითარების ტენდენციების განხილვასთან ერთად ქვეყნის სპეციფიკური თავისებურებების მქონე რეგიონული ეკონომიკის შესწავლას. წიგნის სტრუქტურა წარმოდგენილია აგრარულ, ინდუსტრიულ და მომსახურების სექტორებად და შესაბამის დარგებად, გამახვილებულია ყურადღება საქართველოში საკურორტო-რეკრეაციული პოტენციალისა და ტურიზმის განვითარების აუცილებლობაზე. ნაშრომის ლოგიკურად დასრულების მიზნით საქართველოს ეკონომიკა გაშუქებულია გლობალური პროცესების ჭრილში, რამაც, მსოფლიოში აპრობირებული გამოცდილების საფუძველზე, წარმოაჩინა ქვეყნის კრიზისიდან გამოსვლის გზები, მისი ლამაზი ტრადიციებისა და დიდი პოტენციალის რეალიზაციის შესაძლებლობები.

კვლევის საინფორმაციო ბაზას წარმოადგენდა როგორც ქართული, ისე უცხოური სტატისტიკური მასალები: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (ადრე – რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო კომიტეტის, შემდეგ – საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის, ამის შემდეგ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტის) მასალები; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი მონაცემები; საქართველოს ეროვნული ბანკის ბიულეტენები; პერიოდული გამოცემების მასალები; გაეროს, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, ევროკავშირის, სხვა საერთაშორისო ეკონომიკური და სტატისტიკური ორგანიზაციების, საექსპერტო სამსახურების მონაცემები; ცალკეული ქვეყნების სტატისტიკური სამსახურების მიერ გამოცემული კრებულები, აგრეთვე როგორც ცალკეულ მკვლევართა, ისე წინამდებარე ნაშრომის ავტორთა კოლექტივის მიერ მოპოვებული ფაქტობრივი მონაცემები და დამატებითი გაანგარიშებები.*

* თუ ტექსტში წარმოდგენილი ინფორმაციის წყარო მითითებული არ არის, იგულისხმება საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალები.

წიგნი მსოფლიოში განვითარებული მოვლენების გამოძახილიცაა და ეროვნული დაკვეთაც.

ვიმედოვნებთ, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ქვეყნის ეკონომიკის შესწავლისადმი მიძღვნილი პირველი კოლექტიური მონოგრაფიული გამოკვლევა არ იქნება ინტერესმოკლებული ფართო საზოგადოებისთვის. იგი სამსახურს გაუწევს საქართველოს დღევანდელი მდგომარეობითა და სამომავლო შესაძლებლობებით დაინტერესებულ ყველა მკითხველს, **ჩააფიქრებს საზოგადოების იმ წარმომადგენლებს, რომლებიც მიმდინარე ტრანსფორმაციული პროცესებისადმი ზედმეტად პესიმისტურად ან ნაკლებკრიტიკულად არიან განწყობილნი, უარყოფენ საქართველოს ეკონომიკის რეფორმირებაში მიღწეულ წარმატებებს ან დაშვებულ სერიოზულ შეცდომებს. ნაშრომი ჩააფიქრებს აგრეთვე იმ პირებსაც, რომლებიც ხოტბას ასხამენ ქვეყანაში უსისტემოდ, ფრაგმენტულად განხორციელებულ ცვლილებებსა და, აქედან გამომდინარე, იმ ფრიად ნეგატიურ ტენდენციებს, რომლებიც აფერხებს საქართველოს დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას, რეალურ საფრთხეს უქმნის მის განვითარებასა და უბიძგებს ქრონიკულად ჩამორჩენილ ქვეყნად დარჩენისაკენ.**

გასაგებია ის იმედგაცრუება, რაც საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთანაა დაკავშირებული. მაგრამ პრაქტიკა ჭეშმარიტების კრიტერიუმია. განვითარებული ქვეყნების გამოცდილება მეტყველებს იმ დიდ შესაძლებლობებზე, რასაც საბაზრო მექანიზმზე დაფუძნებული ეკონომიკა იძლევა. ასეთ პირობებში **ეროვნული ეკონომიკის სტაბილიზაციის გზა მხოლოდ რეგულირებადი, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკისაკენ მიდის.** თანამედროვე საქართველოს ეკონომიკის დეტალური და ეტაპობრივი გაანალიზება, ნაკლოვანებების გამოვლენა, მსოფლიოში აპრობირებული გამოცდილების გათვალისწინებით ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლისა და ჯანსაღი საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბების გზების დასახვა ხელს შეუწყობს ქვეყნის განვითარებას.

ცნობილია, რომ დღეს ქართულ ეკონომიკურ მეცნიერებაში, პოლიტიკურ თუ ფართო საზოგადოებრივ წრეებში აზრთა სხვადასხვაობაა ქვეყნისთვის საჭირბოროტო მრავალ საკითხზე. ამ მხრივ, შეიძლება ჩვენი მსჯელობა ყოველთვის არ ემთხვეოდეს სხვათა შეხედულებებს. ჩვენ შევეცადეთ ისტორიულ-ლოგიკური ერთიანობის პრინციპის დაცვით შეგვესწავლა და სათანადო დასკვნების საფუძველზე პირუთვნელად შეგვეფასებინა არსებული ვითარება.

ნაშრომის არქიტექტონიკა და საკითხთა ფართო წრე საკვლევი თემის მასშტაბურობამ განაპირობა. შევეცადეთ წინა პლანზე წამოგვეწია საკვანძო საკითხები და გაგვეშუქებინა ისე, რომ მკითხველი ერთხელ კიდევ ჩაფიქრებულიყო იმაზე, თუ **ეს ქართველთა ძირძველი ქვეყანა საიდან მოდის, რა ძნელბედობა გადაიტანა და წინააღმდეგობები დაძლია. მაშინ როდესაც დიდი იმპერიები გაქრა მსოფლიო რუკიდან, ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა დღესაც ღია თუ ფარული წინააღმდეგობის „მორევში“ იკაფავს გზას.** ამაზე, პირველ რიგში, ქართველებს გვმართებს დაფიქრება. ამას დროის მიერ დასმული ამოცანების სირთულე და მნიშვნელობა განაპირობებს, ამას მოითხოვს საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, განვითარება, გლობალიზაციის პოზიტიურ პროცესებში მისი აქტიურად ჩართვა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ეკონომიკის შექმნის აუცილებლობა.

საქართველოში ჯანსაღი საბაზრო ურთიერთობები შეიძლება დაინერგოს მაშინ, როცა ეროვნულ მეურნეობაში განმტკიცდება მსოფლიო ეკონომიკის უნივერსალური პრინციპები, ფასეულობები. ამისთვის კი მეტად მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოება პლურალისტული იყოს და პლურალიზმი გავრცელდეს როგორც ეკონომიკის, ისე სოციალურ და კულტურის სფეროებშიც. დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ინსტიტუციურ პლურალიზმსაც. სხვაგვარად ქვეყნის ნორმალური განვითარება და მისი ურთიერთობა გარე სამყაროსთან შეუძლებელია.

საქართველოს ისტორია ინახავს უდიდეს კულტურულ ტრადიციებს, რომელთა ნაწილი რენესანსის დროინდელია. კულტურის პლურალიზმი ხელს უწყობს საზოგადოების განვითარებასა და თვით პოლიტიკური პროცესების ცივილიზებული გზით წარმართვას.

საქართველოსთვის მიუღებელია რომელიმე ქვეყნის განვითარების მოდელის მთლიანად გადმოღება-გამოყენება. საქართველოს აქვს საკუთარი ისტორიული თუ სოციო-კულტურული ტრადიციები, რომელსაც შესაბამისი მოდელი მიესადაგება. ამიტომ მსოფლიოში გამორჩეული თავისებურებების მქონე „ოქროს საწმისის" ქვეყანამ უნდა შექმნას ეკონომიკური განვითარების საკუთარი მოდელი.

ასეთი პათოსითა და სამშობლოსადმი უდიდესი სიყვარულით დაიწერა ეს წიგნი.

ცალკეული თავების ავტორები არიან: პროფესორი **როზეტა ასათიანი** – თავი I, III, XVII (1,3), XXII; პროფესორი **ვლადიმერ პაპავა** – თავი II; პროფესორი **იაკობ მესხია** – თავი IV, VIII, XVII (2,4); პროფესორი **მერაბ კაკულია** – თავი V; ეკონომიკის დოქტორი **იოსებ არჩვაძე** – თავი VI, XV, XVI, XIX; პროფესორი **ლეო ჩიქავა** – თავი VII; პროფესორი **ომარ ქეშელაშვილი** – თავი IX; პროფესორი **თეიმურაზ კანდელაკი** – თავი X, XI (2,3); სატყეო საქმის დოქტორი **გიორგი ქავთარაძე** – თავი XI (1); პროფესორები **დემურ ჩომახიძე** და **რამაზ აბესაძე** – თავი XII; ეკონომიკის დოქტორი **ვასილ კიკუტაძე** – თავი XIII; პროფესორი **ვახტანგ სართანია** – თავი XIV; პროფესორი **სოლომონ პავლიაშვილი** – თავი XVIII; პროფესორი **მიხეილ თოქმაზიშვილი** – თავი XX; ეკონომიკის დოქტორი **ნანა ადეიშვილი** – თავი XXI.

ავტორთა კოლექტივი დიდ მადლობას უხდის ნაშრომის რეცენზენტებს გაწეული შრომისათვის, აგრეთვე ყველა იმ პირს, ვინც მონაწილეობა მიიღო ამ უადრესად ეროვნულ საქმეში.

ღმერთმა დალოცოს სრულიად საქართველო და ქართველი ერი!

თბილისი **როზეტა ასათიანი**

24 ივნისი, 2011 წელი

I თავი

ეკონომიკური განვითარების რეტროსპექტივა

ქვის ხანიდან საბჭოურ ეპოქამდე. არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალები, ძველი ისტორიოგრაფია და ქართველ მეცნიერთა გამოკვლევები ადასტურებს საქართველოს ტერიტორიაზე წინაგვაროვნული და გვაროვნული საზოგადოებების არსებობას. საყურადღებოა, რომ პირველი ცნობები საქართველოს შესახებ ანტიკურ ხანას განეკუთვნება. ძველ ბერძენ და რომაელ ავტორებს (ჰეროდოტე – ძვ.წ. Vს., ქსენოფონტი – ძვ.წ. Vს., ჰიპოკრატე – ძვ.წ. IVს., არისტოტელე – ძვ.წ. IVს., სტრაბონი – ძვ.წ. Iს., პლინიუს უფროსი – ახ.წ. Iს., პლუტარქე – ახ.წ. I-IIსს., ამიანე – ახ.წ. IVს. და ა.შ.) აღწერილი აქვთ არა მხოლოდ საქართველოს ბუნება, არამედ ქართველ ტომთა (მესხები, ტიბარენები, მოსინიკები, მაკრონები, ხალიბები, კოლხები, სასპერები და ა.შ.) ყოფა-ცხოვრება, წეს-ჩვეულებები, რაც მნიშვნელოვან მასალებს იძლევა მათი სამეურნეო საქმიანობის შესახებ. ქრონოლოგიურად მრავალფეროვანია აგრეთვე ბიზანტიელ ავტორთა ცნობები, ევროპელ მოგზაურთა (ფლამანდიელი ვილემ რუბრუკი – XIII ს., იტალიელი მარკო-პოლო – XIV ს., გერმანელი იოჰან შილტბერგერი – XV ს., ვენეციელი კატარინო ზენო – XV ს. და ა.შ.) ჩანაწერები საქართველოს შესახებ.

საქართველოს ეკონომიკური ისტორია ქვის ხანის უძველესი ეტაპიდან – **წინა აშელის** ეპოქიდან იწყება. ამას მოწმობს უძველესი დროის ადამიანის ნაკვალევი მის ტერიტორიაზე*, სადაც, განსაკუთრებით ზღვისპირეთში, კიდევ უფრო ფართოდ სახლდება ადამიანი **აშელის** ეპოქაში. ამას ადასტურებს სოხუმის მახლობლად მდებარე იაშათხვის ნაბინავარი, ყვირილის აუზში მოპოვებული იარაღები, კუდაროს მღვიმეთა ჯგუფი, წონის გამოქვაბული ერწოს ტბის მახლობლად შიდა ქართლის მაღალმთიან ზოლში და ა.შ. ამ პერიოდში ისწავლა ადამიანმა ცეცხლის გამოყენება, ხოლო მისი ძირითადი შრომის იარაღი ხელნაჯახი იყო. განსაკუთრებით ფართოდ არის ათვისებული საქართველოს დასავლეთი ნაწილი მომდევნო **მუსტიეს** ეპოქაში (100-35 ათასი წლის წინათ), როდესაც გაუმჯობესდა შრომის იარაღების დამზადების ტექნიკა და ადამიანმა ისწავლა ცეცხლის ხელოვნურად მიღება. ამ პერიოდში კოლექტიური ნადირობა და გარეულ მცენარეთა ნაყოფის შეგროვება ადამიანთა ძირითადი საქმიანობა იყო.

პალეოლითის ეპოქის წინაგვაროვნული საზოგადოების წარმოების იარაღები აღმოჩენილ იქნა დასავლეთ საქართველოში (ხარაგაულის, თერჯოლის, ზესტაფონის რაიონებში), ხოლო **მეზოლითისა** და **ნეოლითის** ეპოქების გვაროვნული საზოგადოების წარმოების იარაღები – როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში. პალეოლითის ეპოქაში შე-

---

* 1991–2010 წლებში საქართველოში, კერძოდ, **დმანისში** (სამხრეთ–აღმოსავლეთ საქართველო), არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოაჩინეს უძველესი ადამიანის ძვლოვანი ნაშთები, კერძოდ, თავის ქალები, ქვედა ყბები და 50-მდე ჩონჩხის ძვლები, ამასთან, ქვის პრიმიტიული იარაღები. მიკვლეულია ცხოველთა ძვლებიც. დადგინდა ცხოველთა სახეები – სამხრეთის სპილო, ეტრუსკული მარტორქა, დათვი და მგელი, ხმალკბილა ვეფხვი, ჟირაფი, სირაქლემა, ხმელეთის კუ, სხვადასხვა სახეობის ირემი, ცხენი და ა.შ. როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ (**მ. ნიორაძე.** ქვის იარაღები დმანისის ადრეპალეოლითური ძეგლიდან. დმანისი I. თბილისი, 1998; **მ. ნიორაძე, გ. ნიორაძე, ა. იუსტუსი, დ. ჟვანია.** დმანისის ადრეპალეოლითური ადგილსამყოფელის II ფენის მონაპოვარი ქვის მასალა. დმანისი IV. თბილისი, 2003; **გ. ნიორაძე.** უძველესი ჰომინიდების ადგილსამყოფელი დმანისში. სამეცნიერო სერიის მასალები. ბათუმი, 2003; **გ. ნიორაძე.** ადრეული ჰომინიდების ადგილსამყოფელი დმანისში, მისი ქვის ინდუსტრია და ადგილი ძველი სამყაროს ძირითად ასრეპლეისტოცენურ ძეგლთა შორის. თბილისი, 2006). ეს აღმოჩენა მიუთითებს, რომ ამ ტერიტორიაზე ადამიანი ჯერ კიდევ 1,8 მლნ წლის წინათ ბინადრობდა.

იქმნა ქვის დამუშავების ახალი ტექნიკა, გავრცელდა ძვლისა და რქის იარაღები, გაუმჯობესდა ნადირობის წესები. მეზოლითის ეპოქაში წინაგვაროვნული საზოგადოებიდან გვაროვნულზე გადასვლით დაიწყო ახალი ეტაპი წარმოების იარაღების განვითარებაში, რაც საფუძვლად დაედო ნეოლითს. ეს პერიოდი უმნიშვნელოვანესი ეტაპია როგორც მთლიანად კაცობრიობის, ისე საქართველოს განვითარებაში. ჩამოყალიბდა მეურნეობრივი საქმიანობის ახალი ფორმები – მიწათმოქმედება და მესაქონლეობა, პირველად გაჩნდა თიხის ჭურჭელი. ნეოლითის დასასრულიდან და **ენეოლითის** ეპოქაში (სპილენძ-ქვის ხანა) მიწათმოქმედება და მესაქონლეობა მეურნეობის წამყვან დარგებად იქცა. ენეოლითის ეპოქა საქართველოში ძვ.წ. VI-IV ათასწლეულია, ხოლო **ბრინჯაოს** ხანა – III-II ათასწლეული.

ძვ.წ. IV ათასწლეულის შუა პერიოდიდან საქართველოს ტერიტორიაზე დაიწყო სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიული წარმოება, რაც განსაკუთრებით III ათასწლეულიდან განვითარდა. ლითონის საგნების დასამზადებლად იყენებდნენ ადგილობრივ დარიშხნიან სპილენძს. სწორედ ამ პერიოდში დაედო სათავე კავკასიურ მეტალურგიას, რითაც ასე განთქმული იყო საქართველო.

ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლოს და I ათასწლეულის დასაწყისიდან საქართველოში ფეხს იკიდებს რკინის წარმოება. იგი ფართოდ გავრცელდა ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებში, რითაც დასრულდა ხელოსნობის ცალკე დარგად ჩამოყალიბების პროცესი. განსაკუთრებით განვითარდა მეთუნეობა, მჭედლობა, რთვა და ქსოვა, საიუველირო წარმოება. დამუშავების მაღალი ოსტატობით გამოირჩეოდა ძვირფასი ლითონებისაგან ნაკეთები ნივთები, საკმაოდ მაღალ დონეზე ავიდა ბრინჯაოს დამუშავების ტექნიკა, განვითარდა რკინისა და სამთამადნო მეტალურგია. ამას მოჰყვა ვაჭრობის განვითარებაც. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდის კოლხეთის ლითონის, განსაკუთრებით ოქრომჭედლობის მრავალფეროვანი ნაწარმი და სელის ქსოვილები განთქმული იყო მთელ მსოფლიოში.

ძვ.წ. VII-VI საუკუნეების კოლხეთის შავი ზღვის სანაპიროზე ჩამოყალიბებულმა ახალშენებმა – ტრაპეზუნდმა, კერასუნტმა, ფასისმა(ფოთი), დიოსკურიამ (სოხუმი), პეტიუნტმა (ბიჭვინთა) და ა.შ. დიდად შეუწყვეს ხელი უცხოეთთან ვაჭრობის გაცხოველებას. ლითონისა და სელის ნაწარმის გარდა, გაჰქონდათ ხე-ტყე, გაჰყავდათ ტყვეები, შემოჰქონდათ უმთავრესად ფუფუნების საგნები, რომლებსაც საზოგადოების ზედა ფენა მოიხმარდა. იმდროინდელ კოლხეთში აღებ-მიცემობის განვითარებაზე მეტყველებს ქართული ვერცხლის მონეტა – **„კოლხური თეთრი“**, რომელიც ძვ.წ. VI-III საუკუნეებით თარიღდება და მსოფლიოს უძველესი მონეტების რიცხვს განეკუთვნება.

ლითონის ფულის წარმოშობამდე ფულის მაგივრობას რქოსანი პირუტყვი ასრულებდა. ამასთან დაკავშირებით, შეიძლება არც იყოს შემთხვევითი ის გარემოება, რომ „კოლხურ თეთრზე“ ხარის თავია გამოსახული.

ეკონომიკის განვითარებამ, რასაც, მიწათმოქმედების, მესაქონლეობისა და ხელოსნობის განვითარებასთან ერთად, ხელი შეუწყო სავაჭრო ურთიერთობების გაძლიერებამ, ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის ბოლოსათვის შექმნა წინაპირობები საქართველოს ტერიტორიაზე პირველი კლასობრივი საზოგადოების – მონათმფლობელური ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბებისათვის.

ძვ.წ. პირველი ათასწლეულის დასაწყისში ისტორიულ საქართველოში დიაოხისა და კოლხას გაერთიანებების ჩამოყალიბებამ, ხოლო ძვ.წ. IV საუკუნის ბოლოს ქართლის სამეფოს აღმოცენებამ გააძლიერა სავაჭრო ურთიერთობა გარე სამყაროსთან. ქართლის სამეფო (იბერია), ისევე როგორც კოლხეთის სამეფო, ითვლება ადრემონათმფლობელურ სახელმწიფოდ, პირველყოფილ-თემური საზოგადოების ძლიერი გადმონაშთებით.

საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში გარკვეული როლი **ელინურმა** ცივილიზაციამაც შეასრულა. ძვ.წ. V-IV საუკუნეების ბერძნული ნაწარმი აღმოჩენილია საქართველოში.

საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე მიუთითებს ის მრავალი უძველესი სამიმოსვლო-სავაჭრო გზა, რომლებითაც იგი გარე სამყაროს უკავშირდებოდა. ძვ. წ. IV-III სა-

უკუნეებში არსებული აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელი **დიდი სავაჭრო გზა** სამხრეთ კავკასიაზე გადიოდა. ეს გზა ინდოეთიდან იწყებოდა: მდინარე ოქსოსით (ამუდარია) დიდძალი ინდური საქონელი შემოჰქონდათ ჰირკანიის (კასპიის) ზღვაში, ხოლო აქედან მდინარე მტკვრით, სურამის უღელტეხილითა და რიონ-ყვირილის მაგისტრალით შავ ზღვამდე (ევქსინის პონტო) გადაჰქონდათ.[1] გარდა ამისა, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ თუ სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მიმავალი კიდევ მრავალი სავაჭრო-სატრანზიტო გზა გადიოდა საქართველოს ტერიტორიაზე. თუ ერთი დიდი სავაჭრო გზა ბარდავ-შანქორ-ხუნანის გავლით მცხეთა-თბილისისაკენ მიემართებოდა, მეორე არანაკლები მნიშვნელობის გზა სამხრეთის ძველ ქალაქ არტაქშატსა და ჯავახ-სამცხის მიწა-წყალზე გადიოდა, ზეკარს გადასერავდა და ფასისზე გავლით დიოსკურიისაკენ, ხოლო, იქიდან მეოტიის (აზოვის) ზღვისა და ჩრდილოეთის ველებისაკენ მიემართებოდა. ეს გზა უძველესი იყო და ეკონომიკურის გარდა დიდი სამხედრო მნიშვნელობაც ჰქონდა.

ამ გზის არსებობისა და მნიშვნელობის შესახებ საინტერესო ცნობებია მოცემული „სტრაბონის გეოგრაფიაში“. იგი გადმოგვცემს, რომ აორსებს, რომლებიც მდინარე ტანაისის(დონი) მახლობლად სახლობდნენ და სირაკებს, რომლებიც კავკასიონის მთებიდან გამომდინარე აქარდეონის* ახლოს ბინადრობდნენ, დიდძალი ინდური და ბაბილონური საქონელი შემოჰქონდათ აქლემებით არტაშატზე გამავალი მეოტია-კოლხეთის გზით, რომელზეც მთავარი ქალაქები – ფასისი და დიოსკურია მდებარეობდა.

აღსანიშნავია ტრანსკონტინენტური სავაჭრო-საქარავნო გზა ანუ **აბრეშუმის დიდი გზა**, რომელსაც დასაბამი მიეცა ძვ. წ. II საუკუნეში. ეს გზა ჩინეთს დასავლეთთან აკავშირებდა. მისი ერთი განშტოება კასპიის ზღვის გავლით უკავშირდებოდა კავკასიას, გადაკვეთდა საქართველოს და ფასისიდან შავი ზღვით ბიზანტიასა და რომს აღწევდა.

ამრიგად, საქართველოს სახმელეთო, სამდინარო და საზღვაო გზები ოდითგანვე საერთაშორისო სავაჭრო გზათა შემადგენელი ნაწილი იყო, რასაც ადასტურებს რომაელი გეოგრაფის **კასტორიუსის მიერ შედგენილი მსოფლიო საგზაო რუკაც**. საქართველო აღმოსავლეთისა და დასავლეთის საქონლის უბრალო გამტარ აუზს კი არ წარმოადგენდა, არამედ იგი თვითონაც იყო ჩაბმული საერთაშორისო ვაჭრობაში და როგორც ქვეყნის შიგნით, ისე სხვა სახელმწიფოებთან გაცხოველებულ ვაჭრობას აწარმოებდა.

ქართული ოქროს მონეტა – **„კოლხური სტატერი“**** იჭრებოდა ძვ. წ. I საუკუნიდან ახ. წ. III საუკუნემდე***.

ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეების საქართველოს ეკონომიკა ხასიათდება მისი ტრადიციული დარგების – მიწათმოქმედების, მესაქონლეობის, ხელოსნობისა და ვაჭრობის სწრაფი განვითარებით, რასაც თან ახლავს საზოგადოების ქონებრივი დიფერენციაციის გაღრმავება.

IV საუკუნიდან, შრომის მწარმოებლურობის ზრდის შედეგად, ეკონომიკურ ურთიერთობებში მომხდარმა ცვლილებებმა ხელი შეუწყო მონათმფლობელობის წიაღში ფეოდალური ურთიერთობების ჩასახვას. ევროპისა და აზიის მრავალ ქვეყანაში ფეოდალურმა ეკონომიკურმა სისტემამ, მონათმფლობელობის გვერდის ავლით, პირველყოფილი საზოგადოება შეცვალა, საქართველოში კი იგი, მონათმფლობელური ეკონომიკური სისტემის განვითარების საფუძველზე, VI საუკუნეში ჩამოყალიბდა.

V საუკუნეში, ვახტანგ გორგასლის მეფობის დროს, ქართლის სამეფომ დიდ სამეურნეო აღმავლობას მიაღწია. გაუმჯობესდა სამიწათმოქმედო ტექნიკა, დაიწყო რკინის

---

[1] **თ. ყაუხჩიშვილი.** სტრაბონის გეოგრაფია. ცნობები საქართველოს შესახებ. თბილისი, 1957, გვ. 149.

* ცნობილი ქართველი მეცნიერის **სიმონ ჯანაშიას** აზრით, ეს მდინარე ყუბანია.

** აღსანიშნავია, რომ ქართული ოქროს მონეტები ეპიზოდურად იჭრებოდა, ისიც მცირე რაოდენობით და, გარდა ფულადი მიმოქცევისა, გაითვალისწინებოდა მეფეებისა და დიდგვაროვანთა საჩუქრებისათვის.

*** ამ უაღრესად იშვიათი მონეტის მხოლოდ ორი ეგზემპლარია ცნობილი. ერთი დაცულია პარიზში, მეორე – თბილისში, ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

გუთნისა და სარწყავი ტექნიკის გამოყენება, ფართოდ გავრცელდა ვაზის კულტურა, განვითარდა ვაჭრობა*.

ისტორიული წყაროები ადასტურებს, რომ საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობები სხვა ქვეყნებთან შენარჩუნებული ჰქონდა შიგა კონფლიქტებისა თუ უცხოელ მომხდურთა ბატონობის დროსაც. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა დამპყრობთა, განსაკუთრებით კი არაბთა შემოსევებით საქართველო ეკონომიკურ და პოლიტიკურ შევიწროებას განიცდიდა, ქვეყანაში სამეურნეო ცხოვრება სწრაფად ვითარდებოდა. მათმა შემოსევებმა ვერ შეწყვიტა ფეოდალური ურთიერთობების განვითარება საქართველოში. ამის დადასტურება ისიც არის, რომ საქართველოში ფართოდ დაიწყო ფულის მოჭრა. VI-VII საუკუნეებში იჭრება ქართულ-სასანური დრაქმები (სასანური დრაქმის ტიპის ქართული მონეტა), VIII-X საუკუნეებში – თბილურ-არაბული დირჰემები, X-XII საუკუნეებში – ვერცხლის ქართული მონეტები ბიზანტიური ტიტულებით, ქართულ-ბიზანტიური მონეტები და ა.შ.

XI საუკუნეში საქართველოს გაერთიანებისა და ერთიანი სამეფოს უფლებების შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე გავრცელების შემდეგ, კიდევ უფრო გაღრმავდა მისი საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები.

ფეოდალურმა საქართველომ ეკონომიკური და კულტურული განვითარების უმაღლეს საფეხურს XII საუკუნეში მიაღწია. ამ პერიოდში შეიქმნა ტირიფონის, რუის-ურბნისის, მუხრანის, ალაზნის, სამგორის, შიდა კახეთის სარწყავი არხები, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოში მევენახეობის, მებაღეობისა და მებამბეობის განვითარებაში. სწრაფად განვითარდა ხელოსნობა და გაღრმავდა შრომის საზოგადოებრივი დანაწილება. მეთუნეების, კალატოზების, მემადნეების (ოქროს, ვერცხლის, რკინის, სპილენძის დამამზადებლები), მჭედლების, ფეიქრების, ოქრომქანდაკებლების, მეაბჯრეების, მეხმლეების, მემშვილდეების, ეტრატის (საწერი ტყავი) დამამზადებლების, ფერწერის ოსტატების, ოქრონემსეულის მოხელსაქმეთა, ცხენის იარაღ-საჭურვლის მჭედელ-მქსოველთა და ა.შ. ნაწარმი სულ უფრო ფართოდ ექცეოდა სავაჭრო ბრუნვაში, გადიოდა საზღვარგარეთ. ამ პერიოდში შექმნილი მატერიალური დოვლათის მნიშვნელოვანი ნაწილი საქონლურ ხასიათს ატარებდა. იმხანად, როგორც ივანე ჯავახიშვილი შენიშნავს, „არ მოიპოვებოდა ისეთი საგანი, რომელიც ბაზარზე არ ტრიალებდა, რომელიც სოფლადაც კი არ გაყიდულიყოს“[2].

დავით აღმაშენებლის აქტიურმა საგარეო პოლიტიკამ დიდად შეუწყო ხელი საერთაშორისო სატრანზიტო ვაჭრობის შემდგომ განვითარებას. საქართველო დიდ საქარავნო ვაჭრობას ეწეოდა ირანთან, ერაყთან, სირიასთან, ეგვიპტესთან, ბიზანტიასთან, რუსეთთან და ა.შ. გაჰქონდათ: ბამბა-აბრეშუმი, ოქრონემსული ფარჩა, ბეწვეული, ძვირფასი სამოსელი, მატყლი, ღვინო, კაკალი, თაფლი, გაჰყავდათ ცხენები და ა.შ. შემოჰქონდათ: ძვირფასი ქსოვილები და ჭურჭელი, იარაღ-საჭურველი, სამოსელი, ბეწვეული, თვალმარგალიტი, ნელსაცხებლები, სანელებლები, ხმელი ხილი, თევზეული და ა.შ. ვაჭრობის განვითარებამ ხელი შეუწყო ქალაქების ზრდას. XII საუკუნეში განვითარების მაღალ დონეს მიაღწია ქართულმა ფეოდალურმა კულტურამ. როგორც საქართველოში, ისე მის საზღვრებს გარეთ არსებულ კულტურულ კერებში ნაყოფიერი სამეცნიერო-ლიტერატურული საქმიანობა გაიშალა. XII საუკუნის ბოლოს შეიქმნა შოთა რუსთაველის გენიალური პოემა – „ვეფხისტყაოსანი“, რომელშიც, გარკვეულწილად, აისახა კიდეც ამ პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური შეხედულებები.

XIII საუკუნეში დაწყებულმა ძნელბედობამ მეტად უარყოფითი გავლენა მოახდინა საქართველოს სამეურნეო ცხოვრებაზე. ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას დიდი დარტყმა

---

* ცნობილ ქართველ მეცნიერს სიმონ ყაუხჩიშვილს მოჰყავს VI საუკუნის ისტორიკოსის პროკოპი კესარიელის ცნობა იმის შესახებ, თუ იბერიას როგორ ჰქონდა განვითარებული აღებ-მიცემობა გარე სამყაროსთან. საქონელი შემოჰქონდათ სპარსეთიდან, ინდოეთიდან, რომაელების ქვეშევრდომი ქვეყნებიდან და გაჰქონდათ ამავე ქვეყნებში. იხ. **ს. ყაუხჩიშვილი.** გეორგიკა. ტ. II, თბილისი, 1934, გვ. 61.

[2] **ჯავახიშვილი ივ.** საქართველოს ეკონომიკური ისტორია. წიგნი I. ტფ. „ქართული წიგნი“, 1930, გვ. 31.

მიაყენა მონღოლთა შემოსევებმა და ბატონობამ, რის შედეგადაც ფეოდალური მეურნეობა დაეცა, ვაჭრობა ჩაკვდა, ქალაქები გაპარტახდა.

ქვეყნის ეკონომიკის გამოცოცხლება დაიწყო XIV საუკუნის 30-იანი წლებიდან, გიორგი V ბრწყინვალის მეფობის დროს, როდესაც გადაგდებულ იქნა მონღოლთა უღელი და აღდგა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. ამ პერიოდში ვაჭრობის განვითარებას ხელი შეუწყო ვერცხლის მონეტის – „გიორგაულის“ გამოშვებამ. გამოცოცხლდა საგარეო ვაჭრობაც, თუმცა, აღორძინების ეს პროცესი თემურ ლენგის შემოტევების გამო ხანგრძლივი არ ყოფილა.

1386-1403 წლებში თემურ ლენგის რვა ლაშქრობას საქართველოში მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი შეეწირა. დამპყრობლებმა ხელთ იგდეს ხალხის ქონება, დაანგრიეს ეკლესია-მონასტრები, ციხესიმაგრეები. ქართველი ხალხის გმირული წინააღმდეგობით გაბოროტებული მტერი კაფავდა ვენახებს, ანადგურებდა ნათესებს, ბაღებს, სარწყავ არხებს, პირუტყვს, საცხოვრებელ სახლებს, რომ დარჩენილი მოსახლეობისათვის საარსებო წყარო მოესპო. საქართველო კვლავ დაქვეითდა ეკონომიკურად.

ოსმალეთი გაბატონდა შავ ზღვასა და იმ გზებზე, რომლებიც ერთმანეთთან აკავშირებდა აღმოსავლეთ და დასავლეთ ქვეყნებს. საქართველო მოსწყდა საერთაშორისო სავაჭრო გზებს, დაეცა ვაჭრობა, ხელოსნობა, მოიშალა სამეურნეო ცხოვრება.

XV საუკუნე კიდევ უფრო მძიმე აღმოჩნდა საქართველოს ეკონომიკისათვის. ჯერ ყარა-ყოიუნლუს (შავბატკნიანთა) თურქმანებმა შეარყიეს ისედაც ძლიერ შელახული ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრება, ხოლო შემდეგ ოსმალებმა მოამწყვდიეს ჩიხში.

უცხოელ დამპყრობთა განუწყვეტელი შემოსევებისა და ეკონომიკური დაქვეითების შედეგად, XV საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქიის პოლიტიკურად დაშლამ (ქართლის, კახეთისა და იმერეთის სამეფოებად და სამცხე-საათაბაგოს სამთავროდ), რომელიც XVI-XVII საუკუნეებში კიდევ უფრო გაღრმავდა (დამოუკიდებელ სამთავროებად ჩამოყალიბდნენ ოდიშის, გურიის, აფხაზეთისა და სვანეთის სამთავროები), მეტად უარყოფითი გავლენა მოახდინა მის ეკონომიკაზე. მიუხედავად ამისა, ქვეყნის ეკონომიკური განვითარება არ შეწყვეტილა და არც შეიძლებოდა შეწყვეტილიყო, რადგან ამას მოითხოვდა ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესები. საქართველოს მადლიანი მიწა იძლეოდა სოფლის მეურნეობის განვითარების დიდ შესაძლებლობებს. მაგალითად, კახური ყურძნით დამზადებულმა ღვინომ სწორედ მაშინ გაითქვა სახელი მთელ საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ, ასევე, ქართული აბრეშუმი როგორც საშინაო, ისე საგარეო ვაჭრობის უმნიშვნელოვანესი საგანი გახდა. შავი ზღვის სანაპიროზე ფართოდ განვითარდა მეთევზეობა. მთაში გავრცელდა ტყავის დამუშავება, ფარდაგებისა და შალეულის ქსოვა, ქურქის, ნაბდის, ყაბალახის დამზადება. ყოველივე ამის მიუხედავად, XVI-XVII საუკუნეებში დასავლეთ საქართველოში ყმა გლეხთა უცხოელებისათვის ტყვედ მიყიდვა ანგრევდა არა მხოლოდ ქვეყნის მეურნეობას, არამედ საფრთხეს უქმნიდა თვით ერის არსებობას. XVII საუკუნის დასაწყისში საქართველოში შაჰ-აბასის გაუგონარი სისასტიკის შემოსევებმა უდიდესი დარტყმა მიაყენა აღმოსავლეთ საქართველოს. აიჩეხა ბაღ-ვენახები, გაწყდა პირუტყვი, თითქმის მთლიანად გაჩანაგდა მეურნეობა. ამას მოჰყვა ქალაქების ნგრევა, მოსახლეობის აქტიური ნაწილის, განსაკუთრებით ვაჭრებისა და ხელოსნების განადგურება.

საქართველოს ეკონომიკაზე დამანგრეველი ზეგავლენა მოახდინა მის აღმოსავლეთ ნაწილში XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ოსმალთა და სპარსთა ბატონობამ. XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან მშვიდობიანი ცხოვრებისათვის შედარებით ხელსაყრელი პირობები შეიქმნა, რამაც ჟამთა სიავისაგან შეფერხებული სამეურნეო ცხოვრება კვლავ თავის კალაპოტს დაუბრუნა. ამ პერიოდიდან იწყება ეკონომიკის გამოცოცხლება და აღმავლობა, რასაც მოჰყვა ქალაქებისა და სოფლების აღდგენა. ფეხი მოიკიდა დაქირავებული შრომის გამოყენებამ, გაფართოვდა ვაჭრობა. ირანსა და ოსმალეთში დიდი რაოდენობით გადიოდა ღვინო, აბრეშუმი, განვითარდა სამთამადნო წარმოება, შეიქმნა მანუფაქტურული ტიპის სა-

წარმოები – თოფ-ზარბაზნის ქარხანა, სამეფო ზარაფხანა, სტამბა, მარილსახდელი, საპნის ქარხანა, სამღებროები, თოფისწამლის ქარხანა და ა.შ. კვლავ გაიხსნა დიდი ხნის განმავლობაში ჩაკეტილი დარიალის სავაჭრო გზა. გაცხოველდა საქარავნო ვაჭრობა რუსეთთან, იმატა სავაჭრო და სავახშო კაპიტალმა.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ეკონომიკის შემდგომი განვითარების გზების ძიებას. ქართულ ენაზე ითარგმნებოდა ევროპელ განმანათლებელთა ნაშრომები. 1799 წელს იოანე ბატონიშვილმა იტალიურიდან ქართულ ენაზე თარგმნა წიგნი **„პოლიტიკური ეკონომია, ანუ სახელმწიფო მეურნეობის შესახებ“.** ქართული ეკონომიკური აზრის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა სულხან-საბა ორბელიანმა*.

ეკონომიკური წინსვლის მიუხედავად, საქართველოს არ ჰქონდა საკმაო პოტენციალი გარეშე მტერთა თავდასხმებისაგან თავის დასაცავად. ამასთან, ფეოდალური საქართველო შევიდა თავისი განვითარების გვიანდელ პერიოდში. საწარმოო ძალთა განვითარება თანდათან მოექცა წინააღმდეგობაში ფეოდალურ-ბატონყმურ ეკონომიკურ ურთიერთობებთან. გამწვავდა ფეოდალური ეკონომიკური სისტემის კრიზისი.

XIX საუკუნიდან საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ისტორიაში ახალი და უაღრესად რთული ეტაპი იწყება. ისტორიული მოვლენები იმგვარად წარიმართა, რომ ამ ახალი ეპოქის უშუალო განმსაზღვრელი რუსეთის ცარიზმის ანექსიურ-კოლონიზატორული ექსპანსია გახდა**.

საქართველოს მოქცევამ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში (1801 წ.) სრულიად შეცვალა ქვეყნის როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური განვითარების ისტორიული პროცესი. რუსეთთან შეერთებით საქართველომ, მართალია, თავი დააღწია აღმოსავლეთის მეზობელი აგრესიული ქვეყნებისაგან მუდმივ შემოსევებს, მაგრამ დაკარგა დამოუკიდებლობა, სახელმწიფოებრიობა და, ფაქტობრივად, რუსეთის კოლონიად იქცა. მეფის რუსეთი ცდილობდა საქართველოში ბატონყმობის განმტკიცებას. ამასთან, კავკასიაში მის მიერ წარმოებული ომების თითქმის მთელი ხარჯი, სასურსათო ბეგარის სახით, საქართველოს გლეხობას დაეკისრა. ხალხი ვერ ეგუებოდა ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას, რასაც მოჰყვა აჯანყებები, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ფართოდ გაშლა. ყოველივე ეს დიდ ზიანს აყენებდა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. არ ვითარდებოდა პრიმიტიულ ტექნიკაზე დაფუძნებული სოფლის მეურნეობა, ჩაკვდა სამთო-მეტალურგიული წარმოება. ეკონომიკური თვალსაზრისით, საქართველო რუსეთისთვის საინტერესო იყო მხოლოდ თავისი არაკონკურენტუნარიანი საქონლის სარეალიზაციოდ და მისი მრავალფეროვანი ბუნებრივი რესურსების მისათვისებლად. ამიტომ რუსეთი დაინტერესებული იყო მხოლოდ იმით, რომ საქართველო გადაექცია იაფი ნედლეულის წყაროდ თავისი ფაბრიკა-ქარხნებისათვის. მეაბრეშუმეობის სუსტი განვითარების გამო დაიხურა მანუფაქტურული ტიპის აბრეშუმის ძაფსახვევი საწარმოები. ანალოგიური ბედი ეწია 1828-1830 წლებში საექსპორტო ღვინისთვის მინის ჭურჭლის წარმოებასაც. ირანთან და თურქეთთან დაძაბული ურთიერთობიდან გამომდინარე, რუსეთმა აკრძალა ქართული საქონლის გატანა ამ ქვეყნებში. თავად ეკონომიკურად ჩამორჩენილმა რუსეთმა კი ვერ შეძლო დაუფლებოდა საქართველოს ბაზარს. ამას დაემატა კონკურენცია ინგლისის მხრიდან, რომელიც მთელი აღმოსავლეთის ბაზრებს ფლობდა. ცარიზმის საიმპერიო-საბაჟო სისტემის გავრცელებამ საქართველოში დიდად გაზარდა ფასები შემოზიდულ საქონელზე. მოკლედ, სა-

---

* აღსანიშნავია, რომ **სულხან–საბა ორბელიანს** ფიზიოკრატული სკოლის ფუძემდებელზე, ფრანგ ეკონომისტ ფრანსუა კენეზე (1694–1774) გაცილებით ადრე ჰქონდა ჩამოყალიბებული ფიზიოკრატული შეხედულებები თავის ცნობილ ნაშრომში „სიბრძნე სიცრუისა“ (კენეს „ეკონომიკური ტაბულა“ 1758 წელს გამოქვეყნდა, ხოლო სულხან–საბა ორბელიანი ზუსტად 100 წლით ადრე დაიბადა). ამ სამსაუკუნოვან საიდუმლოებას ფარდა ახადა და გამოიკვლია გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერმა **ვასილ ჩანტლაძემ.**

** საქართველოს ეკონომიკური განვითარების საკითხებს შვიდტომიანი მონოგრაფიული გამოკვლევა მიუძღვნა აკადემიკოსმა **პაატა გუგუშვილმა.** მისი მონოგრაფია – „საქართველოსა და ამიერკავკასიის კოლონიზაცია 1801–1920 წწ.“ – დაიწერა როგორც სადოქტორო დისერტაცია, რომლის ერთ–ერთი ოფიციალური ოპონენტი **ივანე ჯავახიშვილი** იყო.

ქართველო გადაიქცა რუსეთის განაპირა, ჩამორჩენილ მხარედ. ცარიზმის დამპყრობლური პოლიტიკა არ უპასუხებდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინტერესებს. ასეთ პირობებში ხალხი განაგრძობდა ბრძოლას ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ.

XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან ქვეყანა თანდათან დამშვიდდა, აღორძინება იწყო სოფლის მეურნეობამ. სახელი გაითქვა ქართულმა ღვინომ*. კახური ღვინო გავიდა რუსეთის ბაზრებზეც. დასავლეთ საქართველოში განსაკუთრებით განვითარდა მეაბრეშუმეობა. 40-იან წლებში გაჩნდა აბრეშუმის ახალი ძაფსახვევი საწარმოები. 50-იან წლებში ძაფსახვევი ფაბრიკები აიგო ქუთაისსა და ზუგდიდში. განვითარდა ხის დამმუშავებელი წარმოება, რომლის პროდუქცია საქართველოს ფარგლებს გასცდა. ამუშავდა ძვირფას საშენ ქვათა დამმუშავებელი ფაბრიკა, აგრეთვე თამბაქოს ფაბრიკები, განვითარდა ტყავის წარმოება, ხე-ტყის მრეწველობა და ა.შ. საქვეყნოდ გაითქვა სახელი ხელოსნობის ზოგიერთმა ნაწარმმა, მაგალითად, ფოლადის ხმალმა. შემთხვევითი როდია, რომ რუსეთის მთავრობამ ზლატოუსტის მეტალურგიული ქარხნის ოსტატები გამოგზავნა თბილისში ფოლადის ხმლის დამზადების საიდუმლოს შესასწავლად.

თანდათან საფუძველი ეცლებოდა კარჩაკეტილ ნატურალურ მეურნეობას. სასაქონლოფულადი ურთიერთობების განვითარებამ კიდევ უფრო შეარყია ფეოდალური ეკონომიკური სისტემა და გზა გაუხსნა კაპიტალისტური ურთიერთობების აღმოცენებას საქართველოში.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ რკინის კუსტარულ წარმოებას, რომელიც საქართველოში უძველესი დროიდან არსებობდა, შავი ლითონების საქარხნო წარმოება დაიწყო 1862 წლიდან ჩათახის (ფოლადაური) მეტალურგიულ ქარხანაში. 1879 წლიდან დაიწყო ჭიათურის მანგანუმის საბადოს ექსპლუატაცია.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ხალხი ოდითგანვე იყენებდა მინერალურ წყლებს, ზღვისა და მთის ჰავას სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ, **კურორტები საქართველოში XIX საუკუნის I ნახევრიდან იქმნება**. XIX საუკუნის II ნახევრიდან ბორჯომი რუსეთის სამეფო საგვარეულოს ხელში გადავიდა. ამავე პერიოდში გაშენდა აბასთუმანი, საზაფხულო აგარაკები – კოჯორში. XIX საუკუნის დამლევიდან იწყება შავიზღვისპირეთის საკურორტო რესურსების ათვისება. მადალი სამკურნალო თვისებების მქონე ზღვისპირა კურორტად აღიარებულ იქნა სოხუმი, აშენდა გაგრის სამკურნალო კომპლექსი, აჭარის სანაპიროზე – ქობულეთი, მახინჯაური, ციხისძირი, მოგვიანებით, XX საუკუნის 20-30-იან წლებში – ბიჭვინთის კომპლექსი. XX საუკუნის დასაწყისში პირველი ტურისტული ტრასა გახდა საქართველოს სამხედრო გზა, რომელმაც 20-იანი წლებიდან დასაბამი მისცა ტურიზმის განვითარებას ქვეყანაში.

1864-1871 წლების საგლეხო რეფორმას, რასაც უაღრესად დადებითი მოვლენა – საქართველოში ბატონყმობის გაუქმება მოჰყვა, გლეხობის მიერ იურიდიული უფლებების მოპოვების მიუხედავად, მათი ეკონომიკური მდგომარეობა არ გაუუმჯობესებია, პირიქით, გლეხობამ დაკარგა იმ მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლითაც ის სარგებლობდა. მეურნეობისთვის ვარგისი მიწების 78% თავად-აზნაურობას დარჩა, დანარჩენი კი განაწილდა სახელმწიფოზე, ეკლესია-მონასტრებსა და გლეხობაზე. უმიწოდ დარჩა გლეხობის ის ნაწილი, რომელიც რეფორმამდე მიწის ნაკვეთით არ სარგებლობდა. აგრარულ ურთიერთობებს საქართველოში კიდევ უფრო ამწვავებდა რუსეთის კოლონიური პოლიტიკა: ახალი გადასახადები დიდად აღემატებოდა რეფორმამდელს. მთავრობა უცხო ტომის ხალხს ასახლებდა სოფლის მეურნეობისთვის გამოსადეგ მიწებზე, მკვიდრ მოსახლეობას კი – ჭაობიან, მთაგორიან და მწირ ადგილებზე. რუსეთს განსაკუთრებით აფხაზეთზე ეჭირა თვალი. მიუხედავად ქართველი საზოგადოების წინააღმდეგობისა, ცარიზმის ხელისუფალნი ჯიუტად ასახლებდნენ ამ ტერიტორიაზე არაქართველი ეროვნების ხალხს.

საქართველოში ბატონყმობის გაუქმებამ დააჩქარა ბურჟუაზიის წარმოქმნა, რამაც ხელი შეუწყო კაპიტალიზმის აღმოცენებასა და ქვეყნის ეკონომიკური სტრუქტურის შეცვლას. თუმცა ამ ცვლილებების მიზეზი რუსული კაპიტალი ნაკლებად იყო. საქართველოს

* განსაკუთრებით სახელი გაითქვა თელავის მაზრამ, საიდანაც, მაგალითად, 1895 წელს 1 მლნ–მდე სათლი ქართული ღვინო გაიყიდა.

ეკონომიკაში გაბატონდა უცხოური კაპიტალი. მაგალითად, თბილისში ეროვნული კაპიტალის წილი მრეწველობასა და ვაჭრობაში მხოლოდ 13,5%-ს შეადგენდა. აქედან გამომდინარე, ქართულ ბურჟუაზიას არ შეეძლო ეკონომიკის განვითარებისათვის ეროვნული ელფერის მიცემა. არსებული ეკონომიკური პოლიტიკა არ უპასუხებდა საკუთარი რესურსების ხარჯზე ეროვნული ეკონომიკის შექმნისა და განვითარების მოთხოვნებს. მიუხედავად ამისა, კაპიტალიზმის აღმოცენებამ ფეოდალური ყოფით დაბეჩავებული გლეხი ცხოვრების ახალ სარბიელზე გამოიყვანა. ამას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი რკინიგზის განვითარებამ. საქართველოში პირველი რკინიგზა 1871 წელს გაიხსნა. ეს იყო ფოთი-ყვირილის (ზესტაფონი) უბანი. 1872 წელს დაიწყო სარკინიგზო მიმოსვლა თბილისსა და ფოთს შორის, 1883 წელს კი რკინიგზის მაგისტრალით ერთმანეთს დაუკავშირდა ბათუმი, თბილისი და ბაქო, 1889 წელს – თბილისი და ყარსი, ხოლო 1901 წელს – ბორჯომი და ბაკურიანი. 1890 წელს გაიხსნა წიფის გვირაბი, 1894 წელს – ხაშურ-ბორჯომის რკინიგზა, 1895 წელს – შორაპან-ჭიათურა-საჩხერისა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მანგანუმის წარმოების განვითარებისათვის. 1915 წელს გაყვანილ იქნა ნავთლუღ-გურჯაან-თელავის, გურჯაან-წნორისწყლის სარკინიგზო შტო და ა.შ. XIX საუკუნის 80-იან წლებში თბილისში, ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში 3500-ზე მეტი მუშა დასაქმდა.

1875 წელს ილია ჭავჭავაძის ინიციატივით ფრთები შეესხა დიმიტრი ყიფიანის იდეას – საქართველოში, კერძოდ, თბილისში სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის შექმნას. ილია ჭავჭავაძემ დიდი ენერგია შეალია ქართული ბანკის განვითარების საქმეს, რომელიც გადაიქცა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, ქართული გიმნაზიის, ქართული თეატრისა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა არსებობის საფუძვლად. 1887 წლის ბოლოს ილია ჭავჭავაძის თაოსნობით საქართველოში, კერძოდ, თბილისში აშენდა პირველი ელექტროსადგური.

1896 წელს საქართველოში შეიქმნა პირველი მონოპოლისტური გაერთიანება – სინდიკატი „შავი ქვა“, რომელიც 200-ზე მეტ ადგილობრივ მრეწველს აერთიანებდა. 1898 წელს მრეწველობაში 16 ათასამდე მუშა მუშაობდა, 1902 წლისთვის კი – 21 ათასზე მეტი.

ამრიგად, XIX საუკუნის ბოლოს კაპიტალიზმი, თავისი კლასიკური ფორმით, მკვიდრდებოდა საქართველოში, რასაც მოჰყვა ფაბრიკა-ქარხნების რაოდენობის ზრდა და, შესაბამისად, სამრეწველო პროლეტარიატის ჩამოყალიბება-განვითარება. თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლამ შეარყია საქართველოს ისედაც სუსტად განვითარებული ეკონომიკა. მაქსიმალურად შემცირდა ჭიათურის მანგანუმის წარმოება. იხურებოდა საწარმოები, ნადგურდებოდა ადგილობრივი სარეწები რუსული საქონლის კონკურენციის გამო, ეცემოდა რკინის, სპილენძის, ოქრო-ვერცხლის, თიხის, ტყავისა და ა.შ. დამუშავების დონე, რომლებიც გაცილებით იაფად მზადდებოდა რუსეთში და იყიდებოდა საქართველოში; საგრძნობლად იკლო ბათუმიდან ნავთობპროდუქტების გატანამ, იმატა უმუშევრობამ, მოუსავლიანობამ, სიღარიბემ.

საქართველო XX საუკუნეს ღრმა ეკონომიკური კრიზისით შეხვდა. მკვეთრად შემცირდა ქვანახშირის მოპოვება, განახევრდა მანგანუმის წარმოება, რომლის პროდუქციის 92-99% ინგლისში, გერმანიაში, აშშ-ში, საფრანგეთსა და ბელგიაში გაჰქონდათ. ამ პერიოდში გაძლიერდა ქვეყანაში მარქსისტული იდეები.

1905-1907 წლების რევოლუციის შემდეგ, საქართველოს ეკონომიკა დეპრესიამ მოიცვა. 1910 წლიდან, მართალია, ამ მხრივ, დაიწყო გამოცოცხლება, მაგრამ I-მა მსოფლიო ომმა დიდი დარტყმა მიაყენა მას. ომმა საქართველოში მცხოვრებ 200 ათასზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. მრეწველობას დააკლდა კვალიფიციური მუშახელი, სოფელი კი ძირითადად ქალების, ბავშვებისა და ხეიბრების ამარა დარჩა. მრეწველობის მილიტარიზაციის შედეგად, მნიშვნელოვნად დაეცა წარმოების მოცულობა სამთამადნო მრეწველობაში. მანგანუმის მადნის მოპოვება 1917 წელს, 1913 წელთან შედარებით, თითქმის 80%-ით შემცირდა. კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა სოფლის მეურნეობა, ჩაკვდა ბათუმისა და ფოთის ნავსადგურები, საგრძნობლად შემცირდა საგარეო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები.

ომის შემდგომ, რუსეთის იმპერიიდან საქართველოს გამოყოფის შემდეგ, საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და დამოუკიდებლობის პერიოდში (1918-1921 წწ.) ქვეყანაში მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა შეიქმნა. ეროვნული სულიერი კულტურის ამაღლებამ მოკლე პერიოდში ვერ შეძლო ქართული ეკონომიკური კულტურის აღორძინება. XX საუკუნის დასაწყისში საქართველოს ჰყავდა ინჟინრები, იურისტები, ექიმები, პედაგოგები, აგრონომები თუ სამხედრო პირები, მაგრამ ნაკლებად ჰყავდა სპეციალისტები ეკონომიკის დარგში. მოიშალა ტრანსპორტი, შეწყდა რუსეთიდან ხორბლის შემოტანა, გლეხობამ დაიწყო ბად-ვენახების ჩეხა და ამ ადგილების გამოყენება მარცვლეულის მოსაყვანად, რამაც გაანადგურა მრეწველობის სანედლეულო ბაზა და, საერთოდ, გააპარტახა ეკონომიკა.

1920 წლის ბოლოს საქართველო ღრმა ეკონომიკურმა კრიზისმა მოიცვა. მეტად არასახარბიელო იყო ქვეყნის საგადასახდელო ბალანსი. ეს გარემოება უარყოფითად მოქმედებდა ქართული ბონის კურსზე, რომლის ემისია 1919-1920 წლებში განხორციელდა ოთხჯერ, ხოლო მეხუთედ 1921 წლის იანვარში დაიწყო. ამ პერიოდის მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო აგრარული რეფორმის განხორციელება და გლეხობისათვის მიწების კერძო საკუთრებაში გადაცემა. თუ 1918 წელს საგარეო ვაჭრობის ბალანსი აქტიური იყო (+12,1 მლნ მანეთი), 1919 წლისათვის საქართველოს აქტიური სალდო მხოლოდ სომხეთთან (+53,3 მლნ მანეთი) ჰქონდა.

1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის განხორციელებისა და სოციალ-დემოკრატიული ექსპერიმენტის შეწყვეტის შემდეგ ქვეყნის საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ცხოვრებაში დაიწყო ახალი, წინააღმდეგობებით სავსე ეპოქა, გაბატონდა „ყაზარმული სოციალიზმის“ მოდელი, რომლისთვისაც მიუღებელი იყო მშვიდობიანი თანაარსებობა უცხო ეკონომიკურ კონცეფციებთან თუ მოდელებთან.

საბჭოური პერიოდი. თუ აღმოსავლეთ ევროპისა და აზიის ზოგიერთი ქვეყნისთვის კვაზისოციალისტური სისტემა შედარებით მოკლე პერიოდი არსებობდა (II მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდიდან დაიწყო), რუსეთში მისი დაწყება დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციად მონათლულ, სინამდვილეში ისტორიული განვითარების ჩარხიდან ამ ქვეყნის ამომგდებ რევოლუციას უკავშირდება. ჯერ რუსეთში, შემდეგ კი საბჭოთა კავშირში (აქედან გამომდინარე, საქართველოშიც) ეს პერიოდი სოციალისტური სისტემითაა ცნობილი. მან სახელი გაუტეხა სოციალიზმის თავისთავად საკმაოდ მიმზიდველ იდეას[3]. ამაში სუბიექტური ფაქტორების როლი არცთუ უმნიშვნელო იყო, მაგრამ გადამწყვეტი მისია მაინც ობიექტურმა ფაქტორებმა შეასრულა. სოციალიზმის მშენებლობა მხოლოდ ენთუზიაზმით, ვოლუნტარისტული მეთოდებით, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუთვალისწინებლად, დაუძლეველ წინააღმდეგობებს წააწყდა. გასაბჭოების შედეგად ტოტალურმა გასახელმწიოებრივებამ უარყოფითი გავლენა მოახდინა საზოგადოებრივი პროგრესის მთელ პროცესზე. ადმინისტრაციულ-ცენტრალიზებული სისტემა ემყარებოდა წარმოების საშუალებებზე ფორმით საზოგადოებრივ, ხოლო შინაარსით სახელმწიფო საკუთრებას. საკოლმეურნეო-კოოპერაციული საკუთრება, ფაქტობრივად, სახელმწიფო საკუთრების დანამატს წარმოადგენდა. აიკრძალა კერძო საკუთრება, მეწარმეობისა და არჩევანის თავისუფლება. ცენტრალიზებულმა დირექტიულმა დაგეგმვამ, რომელიც თითქმის გამორიცხავდა რეგულირების საბაზრო მექანიზმს და რომლის ძირითადი საადმსრულებლო ინსტრუმენტიც ხუთწლიანი გეგმა იყო, გამოიწვია ეკონომიკის მართვის ბიუროკრატიზაცია. ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ იერარქიულ დონეებზე ერთიანი ეკონომიკური ცენტრის ფუნქციონირებამ, რასაც თან ახლდა გათანაბრებითი განაწილება, გამოიწვია მითვისების პროცესის დეფორმაციაც.

როგორც ნობელის პრემიის ლაურეატი ჯ. მ. ბიუკენენი აღნიშნავს, ამა თუ იმ სახის საქონელსა და მომსახურებაზე პატერნალისტური ფასების დაწესებამ მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი გახადა პური, რძე, საქალაქო ტრანსპორტი, საბავშვო ბაღი, განათლება,

[3] **ასათიანი რ.** საქართველოს ეკონომიკა: წარსული, აწმყო, პერსპექტივა. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2002, გვ. 21.

სამედიცინო მომსახურება და ა.შ., მაგრამ იგი მიღწეულ იქნა არა მოთხოვნა-მიწოდების ურთიერთზემოქმედების, არამედ პოლიტიკური გზით, პოლიტიკური ფასების დაწესების საფუძველზე.[4] ამით ძირი გამოეთხარა საზოგადოებრივი წარმოების მამოძრავებელ ეკონომიკურ ინტერესებს, რამაც წარმოშვა ისეთი ნეგატიური მოვლენები, როგორიცაა პიროვნების გაუცხოება წარმოების საშუალებებისაგან, შრომისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულება, მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის მიღწევების წარმოებაში დანერგვის სტიმულების დაქვეითება, ცოდნის მიღებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისადმი, გარკვეულწილად, ინტერესის დაკარგვა, კორუფცია და ა.შ. ამის შედეგად ჩამოყალიბდა დეფიციტური ეკონომიკა და „დაკანონდა“ წარმოებული საქონლისა და მომსახურების აბსოლუტური უმრავლესობის დაბალი ხარისხი. ამასთან, ერთ ქვეყანაში გამარჯვებული სოციალიზმი არ იძლეოდა ეკონომიკის ოპტიმალური დარგობრივი სტრუქტრის შექმნის შესაძლებლობას. ეროვნული შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი კაპიტალისტურ ქვეყნებთან სამხედრო პარიტეტის ხარჯებმა შთანთქა. ასეთ ვითარებაში ცენტრალიზებულმა ეკონომიკამ ვერ შეძლო ეკონომიკური ტრიადის (რა? როგორ? ვისთვის?) ეფექტიანი გადაჭრა. საბოლოო ანგარიშით, მივიღეთ კვაზისოციალისტური ეკონომიკა კვაზისოციალისტური საზოგადოებით.

ადმინისტრაციულ-ცენტრალიზებული დაგეგმვა ითვალისწინებდა პროდუქციის გამოშვების მოცულობის მეტ-ნაკლებად ზუსტად განსაზღვრას, რომელიც შემდეგ გეგმური დავალების სახით ნაწილდებოდა საწარმოო ერთეულებზე. ასეთი დავალებები 60-იან წლებამდე დადებით შედეგებს იძლეოდა, მაგრამ შემდგომ მან თანდათან გამოავლინა თავისი უარყოფითი მხარეები. ვერ სრულდებოდა როგორც მოკლე-, ისე გრძელვადიანი გეგმები. წლიურ გეგმურ და ფაქტობრივ მაჩვენებლებს შორის სხვაობა საშუალოდ 40-50%-ს აღწევდა, ხოლო ხუთწლიან გეგმებში – 15-20%-ს.[5] აღნიშნულ მაჩვენებლებს შორის დაშორიშორება განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან.

ცენტრი ფაქტობრივად უძლური იყო დაეცვა კვლავწარმოების პროპორციებს შორის წონასწორობა. ცენტრალიზებულმა დაგეგმვამ პრაქტიკულად დაკარგა ეკონომიკის მართვისა და მისი რეგულირების ფუნქცია. გამოიკვეთა დირექტიული დაგეგმვის უპერსპექტივობა და მისი საბაზრო ურთიერთობებით შეცვლის ობიექტური აუცილებლობა. რესურსების ცენტრალიზებული განაწილება, რომელიც დაფუძნებული იყო მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სისტემაზე, განაპირობებდა მომხმარებელთა თავისუფლების შეზღუდვას, მათ სრულ დამოკიდებულებას მწარმოებლებზე. 80-იანი წლებიდან მოყოლებული, საბჭოთა კავშირი, ფაქტობრივად, ნავთობისა და გაზის ექსპორტიდან მიღებული შემოსავლებით მეტ-ნაკლებად ახერხებდა არსებული ცხოვრების დონის შენარჩუნებასა და ფუნქციონირებას.

1990 წელს საბჭოთა კავშირში მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მაჩვენებელი (5,5 ათასი დოლარი) თითქმის 3,5-ჯერ ჩამორჩებოდა დასავლეთის განვითარებული ქვეყნების შესაბამის მაჩვენებელს (19,8 ათასი დოლარი) და 4,5-ჯერ აშშ-ისას (24 ათასი დოლარი), თუმცა, 2,5-ჯერ უსწრებდა განვითარებადი ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელს (2,15 ათასი დოლარი).[6] ამ პერიოდისთვის საბჭოთა კავშირი საშუალო განვითარების ინდუსტრიულ-აგრარულ ქვეყნად იყო მიჩნეული, მაგრამ მას არ ჰქონდა მომავალი და განვითარების პერსპექტივა იმის გამო, რომ ამ ქვეყანაში უარყოფილ იქნა საზოგადოებრივი განვითარების ისეთი ცივილიზებული ფორმები, როგორიცაა კერძო საკუთრება, კონკურენცია, შრომის მოტივაციის მექანიზმი, ყაირათიანობა, პასუხისმგებლობა, თავისუფალი აზროვნება, საბაზრო კოორდინაცია, რელიგიაც კი და ა.შ. სამაგიეროდ გაბატონდა სახელმწიფო საკუთრება (90%) მკაცრი ადმინისტრაციულ-მბრძანებლური კოორდინაციის ვერტიკალური სტრუქტურითა და დიქტატორული რეჟიმით, ჰორიზონტალური კავშირების არარსებობით. აქედან გამომდინარე, ლოგიკურად ჩამოყალიბდა ჩაკეტილი, დეფიციტური ეკონომიკა, უპირატესად ექს-

---

[4] **Бьюкенен Д. М.** Минимальная политика рыночной системы. «Вопросы экономики», 1990, №12, с. 8.

[5] **მესხია ი., მურჯიკნელი მ.** ეკონომიკური რეფორმა საქართველოში. თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1996, გვ. 8.

[6] **Болотин Б.** Международные сравнения: 1990–1997гг. "МЭиМО", 1998, №10, с. 120.

ტენსიური ტიპის რესურსტევადი წარმოება დაბალი ეკონომიკური ზრდით. მართალია, ცალკეულ სფეროებში (განათლება, მეცნიერება, კულტურა და ა.შ.) იყო გარკვეული პროგრესიც, განხორციელდა ინდუსტრიალიზაცია, მიღწეულ იქნა წარმატებები კოსმოსის ათვისებაში, ატომურ ენერგეტიკაში, ქიმიურ წარმოებაში, მეტალურგიაში, ავიაციაში, სამხედრო სფეროში და ა.შ., მაგრამ ეს არ აღმოჩნდა საკმარისი იმისთვის, რომ სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის არსებული შეჯიბრების ბედი პირველის სასარგებლოდ გადაწყვეტილიყო.

სსრკ-ში მიმდინარე პროცესები, ბუნებრივია, ჩვენს რესპუბლიკაშიც აისახა. საქართველო ღრმად ინტეგრირებული აღმოჩნდა სსრკ-ის „ერთიან სამეურნეომეურნეობრივ კომპლექსში“. მას სხვა რესპუბლიკებიდან შემოჰქონდა ნავთობის 96%, ბუნებრივი აირის 100%, შავი ლითონების, ნაგლინისა და ფოლადის მილების 93%, ხე-ტყის 80%, ხორცის 40%, რძის 75%, მარცვლეულის 90%, შაქრის 98%. მართალია, საქართველოდან გაჰქონდათ ჩაი, კონიაკი, ღვინო, ციტრუსები, მანგანუმი, ქიმიური პროდუქცია და ა.შ., მაგრამ, მიუხედავად ამისა, წლების განმავლობაში საქართველოს უარყოფითი საგადასახდელო ბალანსი ჰქონდა.

საბჭოთა საქართველოს ბოლო ხუთწლედების, განსაკუთრებით კი XII ხუთწლედის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი მაჩვენებლები, ფაქტობრივად, სსრკ-ის მთელი ეკონომიკის – „ერთიანი სახალხომეურნეობრივი კომპლექსის“ – დეგრადირების მაგალითია.

საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე უარყოფით გავლენას ახდენდა დაბალი მექანიზაცია და ავტომატიზაცია. 1985 წელს საქართველოს მრეწველობაში ხელით შრომობდა დასაქმებულთა 39% (კავშირის მასშტაბით – 35%), სოფლის მეურნეობაში, შესაბამისად, 95,9 და 73,3%.[7] სსრკ-ის „დაჩქარების კურსის“ მიუხედავად, რესპუბლიკის ეკონომიკური მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა, რაზეც ნათელ წარმოდგენას იძლევა ცხრილი 1.

ცხრილი 1

საქართველოს სსრ-ის ეკონომიკური განვითარების ძირითადი მაჩვენებლები 1985-1990 წლებში[8]

(%-ობით წინა წელთან)

მაჩვენებლები	1985	1986	1987	1988	1989	1990
ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი	104,8	100,7	101,3	103,7	97,9	96,1
წარმოებული ეროვნული შემოსავალი	104,5	98,5	98,1	100,9	96,6	95,7
მატერიალურ-ნივთობრივი წარმოების სფეროს პროდუქცია	105,6	98,9	97,2	110,6	97,6	95,6
ეკონომიკის ყველა დარგის საწარმოო ფონდები	106,8	106,5	103,6	103,5	103,3	102,7
კაპიტალური დაბანდება	106,9	98,2	107,5	101,0	98,8	70,4
მრეწველობის პროდუქციის მთლიანი მოცულობის ზრდის ტემპები	121,0	102,0	105,0	108,0	109,0	102,0
საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობა	102,7	97,5	98,4	107,3	98,6	96,2

როგორც ცხრილიდან ჩანს, საქართველოს განვითარების ძირითადი მაჩვენებლების დინამიკა XII ხუთწლედში გაუარესების ტენდენციით ხასიათდებოდა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მრეწველობის თითქმის ყველა სტრატეგიულ დარგში აღინიშნა ზრდის ტემპების დაცემა: მძიმე

[7] Статистический ежегодник сран-членов СЭВ. М., 1986, с. 305.

[8] ცხრილი შედგენილია: Народное хозяйство Грузинской ССР в 1985г. Статистический сборник. Тбилиси, 1986; საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ–ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო კომიტეტის მასალები.

მრეწველობაში თუ იგი 1985 წელს შეადგენდა 129%-ს, 1990 წელს შეადგინა 104%, მსუბუქ მრეწველობაში, შესაბამისად, – 121 და 104, კვების მრეწველობაში – 115 და 99, მეტალურგიულ წარმოებაში – 104 და 77, სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსში – 79 და 74, მანქანათმშენებლობაში – 154 და 112, საამშენებლო მასალების წარმოებაში – 132 და 106, ქიმიურ და ნავთობქიმიურ მრეწველობაში – 140 და 120, ხისდამმუშავებელ და ცელულოზა-ქაღალდის წარმოებაში – 146% და 93%. საგრძნობლად იკლო ნახშირის მოპოვებამ. ამ პერიოდში თითქმის განახევრდა მისი მოცულობა და 1860 ათასი ტონიდან 956 ათას ტონამდე დავიდა. 1990 წელს ნავთობის ამოღება 3186 ათასი ტონიდან (1980 წელს) 186 ათას ტონამდე დაეცა და ა.შ.[9]

მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა არც საქართველოს ეკონომიკის ისეთ წამყვან დარგში, როგორიცაა სოფლის მეურნეობა. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების შემცირების მნიშვნელოვანი მიზეზი, დაბალი აგროტექნიკური დონისა და სხვა ფაქტორების გარდა, ნათესი ფართობის შემცირებაც იყო. შესაბამისად იკლო სახელმწიფო შესყიდვების მოცულობამაც.

აღნიშნულ პერიოდში არ გაუმჯობესებულა მომსახურების სფეროს (საბჭოთა პერიოდში ეგრეთწოდებული არაწარმოებითი სფეროს) ეკონომიკური მაჩვენებლებიც. კერძოდ, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ფაქტობრივი მაჩვენებლები საგრძნობლად ჩამორჩებოდა საგეგმო დავალებებს. განსაკუთრებით გაუარესდა რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობა (როგორც ტვირთზიდვის, ისე მგზავრთბრუნვის მხრივ). შექმნილმა სიძნელეებმა ნეგატიური გავლენა მოახდინა სოციალური ინფრასტრუქტურის დარგების განვითარებაზე. მართალია, განათლების ზოგად მაჩვენებლებს (მაგალითად, სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე პირთა რაოდენობა და ა.შ.) ზრდის ტენდენცია ჰქონდა, მაგრამ ხარისხი აშკარად მოიკოჭლებდა. არ შესრულებულა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, საბავშვო ბაგა-ბაღების, საავადმყოფოების და ა.შ. მშენებლობის საგეგმო დავალებები.

საქართველოს მერვე ადგილი ეჭირა მოკავშირე რესპუბლიკებს შორის ინდუსტრიული განვითარების დონის მიხედვით, მეექვსე ადგილი – მოსახლეობის ერთ სულზე ეროვნული შემოსავლის წარმოების მხრივ, ხოლო პირველი ადგილი – არაწარმოებით სფეროში დასაქმებულთა ხვედრითი წონის მიხედვით. დასაქმების ასეთი მაღალი წილი არაწარმოებით სფეროში არ იყო მეცნიერულად დასაბუთებული და არ შეესაბამებოდა რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების დონეს. განსაკუთრებით მაღალი იყო დასაქმების დონე ადმინისტრაციულ-სამეურნეო სფეროში, საუწყებო კვლევით ინსტიტუტებში, სხვადასხვა სამმართველო-შუალედურ რგოლებსა და ა.შ. არაწარმოებით სფეროში დასაქმების ზრდა გამომდინარეობდა არა ობიექტური პროცესებიდან, არამედ მას საფუძვლად ედო სუბიექტური მოსაზრებები. მაგალითად, იქმნებოდა საკვლევი ინსტიტუტები ან ლაბორატორიები, სადაც საშტატო ერთეულები რამდენიმე ათეულს აღწევდა, როდესაც სამეცნიერო შედეგები და მათი სახალხო მეურნეობაში გამოყენება დასაქმებულთა ხელფასის ნახევარსაც კი ვერ ანაზღაურებდა. ამრიგად, ეფექტიანობის პრინციპი არ იყო გამოყენებული მათ მიმართ, ასევე, არაწარმოებითი სფეროს სხვა დარგების მიმართაც. ეს ხელს უშლიდა საზოგადოებრივ პროგრესს და იწვევდა შექმნილი დოვლათის მფლანგველურ გამოყენებას. მგეგმავი ორგანოებისთვის კი ეს ცნობილი იყო მაშინ, როდესაც დაფინანსებისა და შტატების საკითხი დაისმებოდა და შტატების შემცირების გეგმას იძლეოდნენ განუკითხავად იმისა, თუ რომელ ინსტიტუტს რა მნიშვნელობა ჰქონდა სახალხო მეურნეობისთვის.[10]

ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებდა საქართველოს მოსახლეობის მთლიან რიცხოვნობაში მთიანი რაიონების მოსახლეობის ხვედრითი წონის დაცემისა და ცალკეულ რაიო-

---

[9] საქართველო ციფრებში 1990 წელს. მოკლე სტატისტიკური კრებული. თბილისი, 1991, გვ. 17.

[10] **რ. ასათიანი.** არაწარმოებითი სფერო ერთიან სახალხო–სამეურნეო კომპლექსში. თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1987, გვ 138–139.

ნებში აბსოლუტური შეკვეცის ტენდენცია, რომელმაც ბოლო ხუთწლედებში კანონზომიერი ხასიათი მიიღო და დაბლა დასცა რესპუბლიკის ეკონომიკური პოტენციალი.

შექმნილი სიტუაციიდან გამოსვლის მიზნით, 70-იანი წლებიდან, როდესაც გამოიკვეთა ასეთი ეკონომიკის არაეფექტიანობა, კავშირის მასშტაბით მრავალჯერ სცადეს მისი „შეკეთება“, რასაც დადებითი შედეგი არ მოჰყოლია, ვინაიდან მიზეზები კომპლექსურად არ იყო გააზრებული. კომუნისტურმა პარტიამ არაერთხელ სცადა „უძრაობის პერიოდის“ ეკონომიკურ პოლიტიკაში ცვლილებების შეტანა, მაგრამ „განვითარებულმა სოციალიზმმა“ ვერ შეძლო ხელოვნური ინიექციებით, „სისხლის გადასხმით“ არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორება. მაგალითად, 1982 წელს შემუშავდა სასურსათო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა არსებით ძვრებს სურსათის წარმოების მიმართულებით, მაგრამ რეალურად 1985 წელს აღნიშნული წარმოების მოცულობა, ნაცვლად გეგმური 20%-ით გაზრდისა, 25%-ით შემცირდა.[11] საქართველოში, როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, დაწყებული კრიზისი თანდათან მწვავდებოდა, ეკონომიკაში ღრმავდებოდა დისპროპორციები, დესტაბილიზაცია და ეცემოდა ცხოვრების დონე.

„მეტი სოციალიზმის“ ლოზუნგზე აგებული „პერესტროიკა“ უპერსპექტივო და ბლეფი გამოდგა. ამის დასტურია თუნდაც ის ფაქტი, რომ 1990 წელს საბჭოთა კავშირის მთლიანი ეროვნული პროდუქტის (**მეპ**) ზრდის ტემპი (1982 წლის ფასებით) უარყოფითი იყო და – 2,2%-ს შეადგენდა.[12]

საბჭოთა სივრცეში, ბუნებრივია, საქართველოშიც, ვერ განვითარდა კაცობრიობის მიერ საუკუნეების განმავლობაში დაგროვილი სამეწარმეო გამოცდილება, მაშინ როდესაც ცივილიზებული სამყარო მარტივი გაცვლიდან დიდი ხანია გადავიდა ავტომატიზებულ და ელექტრონულ ბაზრებზე.

მართალია, საბჭოთა კავშირს, წარმოების ზრდის ტემპების თვალსაზრისით, გარკვეული წარმატებები ჰქონდა 60-იან წლებამდე და მან გაიარა კავის ქვეყნის ატომურ ქვეყნად გარდაქმნის ურთულესი პროცესი, მაგრამ ვერ შეძლო გლობალიზაციის პოზიტიურ პროცესებთან ადაპტირება. საბჭოთა კავშირმა „საბაზრო ფილოსოფიის“ იგნორირება მოახდინა, კლასიკურმა კაპიტალიზმმა კი ალღო აუღო გლობალიზაციის მკაცრ მოთხოვნებს და სწრაფად მოახდინა სისტემის შიგნით ტრანსფორმირება. მაშინ როდესაც კერძო კაპიტალისტურ საკუთრებაზე დაფუძნებული „ველური“ კაპიტალიზმი გარდაიქმნა საკუთრების პლურალიზმზე დაფუძნებულ შერეულ ეკონომიკურ სისტემად, საბჭოთა კავშირი მყარად იცავდა ფორმით საზოგადოებრივ, მაგრამ შინაარსით სახელმწიფო-მონოპოლისტურ საკუთრებაზე აგებულ და ცივილიზებული სამყაროსაგან რკინის ფარდით იზოლირებულ ეკონომიკურ სისტემას. „პერესტროიკამაც“ ვერ უშველა ძველ საბჭოურ იდეოლოგიაზე დაფუძნებულ იმპერიას. ხელისუფლება თანდათან კარგავდა ძალაუფლებას. 80-იანი წლების ბოლოს გაძლიერდა დეზინტეგრაციის პროცესები, რომლებიც ფაქტობრივად უმართავი გახდა. ქვეყანა, რომელიც მსოფლიოს სთავაზობდა საბჭოთა მოდელის დამკვიდრების სტრატეგიას, პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა კრიზისმა მოიცვა.

ზემოაღნიშნულისა და სხვა ნეგატიური ფაქტორების გამო, 80-იანი წლების ბოლოს ეტატიკურ*-ბიუროკრატიული ორგანოების დემონტაჟის, კვაზისოციალისტური ეკონომიკური სისტემის ნგრევის აუცილებლობა დღის წესრიგში დადგა. ამას თავად საზოგადოება ითხოვდა. ამ პროცესების პარალელურად საფუძველი შეერყა თვით საბჭოთა კავშირს. 1991 წლის დეკემბერში ოფიციალურად გამოცხადდა მისი დაშლა. ეს უდიდესი იმპერია სწრა-

---

[11] **მესხია ი., მურჯიკნელი მ.** ეკონომიკური რეფორმა საქართველოში. თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1996, გვ. 8.

[12] გაანგარიშებულია აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის მიერ. იხ.: Советский экономический рост: официальные данные и алтернативные оценки. "Вопросы экономики", 1995, №10, с. 106.

* ეტატიზმი – პოლიტიკური მეცნიერების ცნება, რომელიც ნიშნავს სახელმწიფოს აქტიურ და უხეშ მონაწილეობას საზოგადოების ეკონომიკურ საქმიანობაში.

ფად დაინგრა, ხოლო სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის ისტორიული მეტოქეობის დასრულებით, ფაქტობრივად, ჩამოყალიბდა ერთიანი მსოფლიო სისტემა, რომელიც აღიარებულია ლოგიკურ, თუმცა, XX საუკუნის უპრეცედენტო მოვლენად.

საქართველო აღმოჩნდა XX საუკუნის უდიდესი ეკონომიკური (და არა მხოლოდ ეკონომიკური) ექსპერიმენტის მონაწილე, რომელიც 70 წელს გრძელდებოდა და კრახით დასრულდა.

საბჭოთა კავშირის – ამ უდიდესი მონსტრის დაშლამ შეცვალა მსოფლიოს რუკა. 1991 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამ, რასაც მოჰყვა ძველი ეკონომიკური სისტემის ნგრევა, სრულიად **ახალი ეპოქა** შექმნა საქართველოს უახლეს ისტორიაში.

ახალი ეპოქა. XX საუკუნის ბოლო პერიოდში (90-იანი წლებიდან მოყოლებული) მსოფლიოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებაში უდიდესი ცვლილებები მოხდა, რაც პოსტკომუნისტურ ტრანსფორმაციას უკავშირდება. 27 ქვეყნისა და 400 მილიონი მოსახლეობის წინაშე ისეთი რთული და არაორდინარული ამოცანის გადაჭრის აუცილებლობა დადგა, რომელიც უცნობი იყო მსოფლიო ისტორიისათვის – მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკური სისტემიდან საბაზრო დემოკრატიაზე დაფუძნებულ ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლა.

მსოფლიოში მიმდინარე ასეთი პოზიტიური ცვლილებების ფონზე 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის საფუძველზე, 9 აპრილის 2 წლის თავზე საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღიარების შემდეგ, არც მეტი, არც ნაკლები, კაცობრიობის ხნის ქართველის ერის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში ახალი ეპოქა დაიწყო. ეპოქა, რომელიც სავსეა გარე და შიგა ფაქტორებით გამოწვეული წინააღმდეგობებით, სირთულეებით, კატაკლიზმებით, მაგრამ მაინც უდიდესი პოზიტიური ძვრებით ხასიათდება, რამაც რადიკალურად შეცვალა საქართველოს განვითარების კურსი არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ ეკონომიკური და იდეოლოგიური თვალსაზრისით.[13]

საქართველოს წინაშე იმთავითვე რთული ამოცანა დადგა – სახელმწიფო-მონოპოლისტური სოციალიზმიდან საბაზრო ეკონომიკაზე რაც შეიძლება უმტკივნეულო გადასვლისათვის სათანადო პირობების შექმნა. თავის მხრივ, ეს მოითხოვდა ქვეყნის სამეურნეო მექანიზმის, ეკონომიკური ცხოვრების ყველა მხარისა და წესის რადიკალურ შეცვლას.

ამრიგად, საქართველო შეუერთდა მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე პროგრესულ პროცესებს, რითაც დაიწყო ახალი ეპოქა მის განვითარებაში.

ქვეყანა დაადგა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი მშენებლობის ისტორიულ გზას. საქართველოში დაიწყო 70-წლიანი ექსპერიმენტის შედეგების ნგრევა და საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის ურთულესი და უალტერნატივო პროცესი.

საქართველოს წინ ელოდა ღრმა ინსტიტუციური ცვლილებები, რეფორმა საბიუჯეტო-საგადასახადო და ფულად-საკრედიტო სფეროებში, საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებსა და ა.შ., მაგრამ ეკონომიკის კონვერსიის განხორციელებისათვის აუცილებელი იყო წინაპირობების მომზადება. ასეთ წინაპირობებს ეკონომიკის ლიბერალიზაცია წარმოადგენდა. მაგრამ რეფორმებს არ შეექმნა სათანადო პოლიტიკური და ეკონომიკური პირობები. საქართველოში სრულიად მოუმზადებლად დაიწყო ძველი ეკონომიკური სისტემის ერთი ხელისმოსმით ნგრევის პროცესი. ამას ხელი შეუწყო არახელსაყრელმა სასტარტო პირობებმა და დაბალმა ეკონომიკურმა პოტენციალმა, რასაც დაემატა შექმნილი შინაარსლილობა, საზოგადოების დაყოფა ურთიერთდაპირისპირებულ ნაწილებად და ომი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად. ყოველივე ამან, ბუნებრივია, უარყოფითი გავლენა მოახდინა ეკონომიკური გარდაქმნების საბოლოო შედეგებზე.

მართალია, საქართველოში ეკონომიკის კონვერსიის დაწყებას გარკვეულწილად საფუძვლად დაედო ხელისუფლების მიერ მიღებული ეკონომიკური კანონები, საკანონმდებლო აქტები და დადგენილებები, მაგრამ ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საერთაშორისო ორგანიზაციებმა – საერთაშორისო სავალუტო ფონდმა, მსოფლიო ბანკმა, ევროგა-

[13] **ასათიანი რ.** საქართველოს ეკონომიკა. ახალი ეპოქა. I ნაწილი. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2009.

ერთიანებამ* და სხვებმა. მათ მიერ შემუშავებული რეკომენდაციები და წინადადებები ძირითადად პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, განსაკუთრებით კი რუსეთში მიმდინარე რეფორმის ანალოგიური იყო, ნაკლებად ითვალისწინებდა საქართველოს თავისებურებებს, ეროვნულ ინტერესებსა და ქვეყანაში შექმნილ რთულ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას. ამგვარ პოლიტიკას ერთგვარი გამართლებაც მოეძებნა, რაც იმით გამოიხატა, რომ რეფორმების დაწყებისას საქართველო სამანეთო ზონაში იმყოფებოდა და მას არ ჰქონდა თავისი ეროვნული ფულადი ერთეული, რაც ხელს უშლიდა საკუთარი მოდელით რეფორმების წარმართვას. მთავარი მიზეზი კი იყო ის, რომ ქვეყანაში ეკონომიკის კონვერსიასთან დაკავშირებული მოვლენებისა და პროცესების შესწავლა არ ხდებოდა სისტემური კვლევის მეთოდებით, ზოგადი კანონზომიერებებისა და თავისებურებების ინტეგრირებულობის კუთხით.

სისტემური მიდგომის გარეშე ეკონომიკის კონვერსიის რანგში აყვანილმა რეფორმამ საქართველოში მრავალი ახალი პრობლემა წარმოქმნა და ქვეყნის განვითარების ტრაექტორია შეცვალა.

ამრიგად, საქართველოში ეკონომიკური კონვერსიის წინაპირობები მეტად არასახარბიელო იყო და ქვეყნის რეალური ეკონომიკური სუვერენიტეტის მიღწევისათვის ბრძოლა – ეს უალტერნატივო პროცესი რთულ ვითარებაში დაიწყო.

ტრანსფორმაციულმა პროცესებმა, პოლიტიკურთან ერთად, მოიცვა ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ა.შ. სფეროები. გარდამავალი პერიოდის სტრატეგიად იმთავითვე ერთმნიშვნელოვნად აღიარებულ იქნა შერეული ეკონომიკური სისტემის ფორმირება და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, ხოლო რადიკალური ეკონომიკური რეფორმების ათვლის წერტილად 1992 წლის პირველი ნახევარი გამოცხადდა.

ხელისუფლება მზად არ აღმოჩნდა კოორდინაცია გაეწია ამ მოულოდნელი პროცესებისათვის, სისტემური გარდაქმნებისათვის, შეემუშავებინა მართვის ბერკეტები და დაეცვა ქვეყნის ეკონომიკა გარედან თავსმოხვეული დოგმებისაგან. პირიქით, ასეთ რთულ სიტუაციაში, სრულიად ალოგიკურად, სახელმწიფო სმითისეული „ღამის დარაჯის“ ფუნქციით შემოიფარგლა და ეკონომიკის რადიკალური ლიბერალიზმის დოქტრინაზე დაყრდნობით, ეკონომიკური პროცესები თვითდინებაზე მიუშვა.

საქართველო მაშინ შემობრუნდა წმინდა ლიბერალიზმისაკენ, როცა განვითარებულმა ქვეყნებმა მას ზურგი შეაქციეს. დღეს „სახელმწიფო მინიმუმის“ პოლიტიკა განვლილი ეტაპია ცივილიზებული სამყაროსათვის. მოხდა სახელმწიფოს ეკონომიკური როლის აბსოლუტური მინიმიზაცია. არადა, თავისთავად საინტერესო და მიმზიდველი გარდამავალი პერიოდის სტრატეგია საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. მისი ბედი, ერთიანი მეთოდოლოგიური პრინციპების, ქვეყნის თავისებურებების გაუთვალისწინებლობისა და პოლიტიკური ნების არარსებობის გამო, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. ეკონომიკურ პროცესებზე სტიქიურმა ძალებმა მოახდინა დიდი ზემოქმედება. მძიმე აღმოჩნდა წარსულის მემკვიდრეობა. გააქტიურდა კრიმინალური სტრუქტურები. სახელმწიფოებრივი „ნიშა“ მაფიოზურმა ჯგუფებმა დაიკავა, საზოგადოებამ სწრაფად ვერ აუღო ალღო რეალობას. იმატა ზერელე და შიშველ ემოციებზე აგებულმა მსჯელობამ იმის შესახებ, რის გაგებასაც სპეციალური ცოდნა და პროფესიონალიზმი სჭირდება. წინა პლანზე წამოიწია სამშობლოსადმი დამოკიდებულების გამოხატვის თავისებურმა ფორმამ – მისადმი მომხარებლური თვალით ყურებამ. ადამიანთა ამ კატეგორიამ, რომელსაც ონორე დე ბალზაკმა თავის დროზე „სოციალური ნული“ უწოდა, მხოლოდ იმაზე დაიწყო ფიქრი, თუ რას მისცემდა მას სამშობლო და არა იმაზე, თვით რას გასცემდა მისთვის. მათმა მნიშვნელოვანმა ნაწილმა ზედა ეშელონებში მოიკალათა. სამოქალაქო დაპირისპირების ფონზე, ექსტრემალურ სიტუაციაში ახალი ეკონომიკური სისტემისა და, აქედან გამომდინარე, საბაზრო ურთიერთობების ფორმირებაში განმსაზღვრელი როლი ეკონომიკის ლიბერალიზაციას დაეკისრა.

---

* **ევროგაერთიანებას,** რომელიც შეიქმნა 1967 წელს და აერთიანებდა დასავლეთ ევროპის მხოლოდ 12 ქვეყანას, 1993 წლის 1 ნოემბრიდან, მაახსტრიტსკის ხელშეკრულების საფუძველზე, **ევროკავშირი** ეწოდა.

II თავი

პოსტკომუნისტური პერიოდის ეკონომიკური რეფორმები

დამოუკიდებელ საქართველოში გატარებული ეკონომიკური რეფორმები, განსაკუთრებით მის საწყის ეტაპზე, ყველა იმ სქემასა და შეცდომას იმეორებს, რაც ზოგადად პოსტკომუნისტურ ქვეყნებში გატარებული რეფორმების პირველი თაობისთვისაა დამახასიათებელი. კერძოდ, საქართველოში „შოკური თერაპია“ პოლონური სცენარის რუსული ვერსიით ისე დაიწყო, რომ ქვეყანას ამისთვის საჭირო ინსტიტუტები არ ჰქონდა.*

იბადება ლოგიკური კითხვა: იყო კი მზად საქართველო იმ დროს რეფორმის ამ ცნობილი მეთოდის გამოყენებისათვის?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად აუცილებელია ხაზი გაესვას იმ პრინციპულ განსხვავებას, რაც რეფორმების დასაწყისში მყოფი სახელმწიფოებრიობის მქონე და არმქონე ქვეყნებისათვის იყო დამახასიათებელი. პირველ მათგანს აღმოსავლეთ ევროპის ისეთი ქვეყნები განეკუთვნებოდა, როგორიცაა, მაგალითად, პოლონეთი, უნგრეთი ან ბულგარეთი, ხოლო მეორეს – საბჭოთა კავშირის, იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის დაშლის შედეგად წარმოქმნილი სახელმწიფოები. ამათგან, გამონაკლისს იმ ქვეყნების სამართალმემკვიდრეები წარმოადგენდნენ, რომლებმაც სახელმწიფოებრიობის თითქმის ყველა ატრიბუტი (მაგალითად, საელჩოები, საბაჟო, დამოუკიდებელი ფულად-საკრედიტო სისტემა და სხვ.) შეინარჩუნეს. საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად, სახელმწიფოებრიობის ყველა ატრიბუტი მხოლოდ რუსეთმა შეინარჩუნა, დანარჩენ ქვეყნებს კი საკუთარი სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობა სჭირდებოდათ (გარკვეული აზრით, ნაწილობრივ გამონაკლისს უკრაინა და ბელარუსი წარმოადგენდნენ, რომლებიც გაეროს წევრები თუნდაც ფორმალურად, მაგრამ მაინც იყვნენ). ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა საქართველოც, რომლის წინაშეც დადგა ორი მეტ-ნაკლებად ერთნაირი სირთულის ამოცანის – სახელმწიფო ინსტიტუტების შექმნისა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ერთდროულად გადაჭრის აუცილებლობა, რაც ბევრად უფრო რთული იყო, ვიდრე მარტო მეორე ამოცანის გადაწყვეტა[1].

„შოკური თერაპიის“ რეალიზაცია სახელმწიფოს ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო ინსტიტუტების მიზანმიმართულ გამოყენებას მოითხოვს. ამგვარი ინსტიტუტების არარსებობის პირობებში „შოკური თერაპიის“ სრულფასოვანი გამოყენება შეუძლებელია და ყო-

---

* პირველი პოსტკომუნისტური ეკონომიკური რეფორმები პოლონეთში გატარდა, რამაც მთელ პოსტკომუნისტურ სივრცეზე დიდი გავლენა იქონია. ამიტომ სულაც არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ დამოუკიდებელ საქართველოში განხორციელებულ ეკონომიკურ რეფორმებზე განუზომელია პოლონური გამოცდილების ზეგავლენა (**პაპავა ვ.** ლეშეკ ბალცეროვიჩი და საქართველო. „მაკრო მიკრო ეკონომიკა“, 2001, №12; **Papava V.** Leszek Balcerowicz and Georgia. Tbilisi, GFSIS, 2002.).

პოლონეთში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა „შოკური თერაპიით“ დაიწყო. ამ რეფორმას სათავეში ვიცე-პრემიერი და ფინანსთა მინისტრი, პროფესორი ლეშეკ ბალცეროვიჩი ედგა. ეკონომიკური რეფორმის მისი ხელმძღვანელობით შედგენილ გეგმას „ბალცეროვიჩის გეგმა“ ეწოდა. 1992 წლის იანვრიდან რუსეთშიც იწყება „შოკური თერაპიის“ მეთოდის რეალიზაცია და მას სათავეში რუსეთის მთავრობის ვიცე-პრემიერი ეგორ გაიდარი ჩაუდგა (თუმცა, პოლონეთისაგან განსხვავებით, შესაბამის ღონისძიებათა კომპლექსს ფორმალურად „გაიდარის გეგმა“ არ დარქმევია). ერთი თვის დაყოვნებით „შოკური თერაპიის“ „ბალცეროვიჩისეული გეგმის“ გატარება, პრაქტიკულად სახეშეუცვლელი, რუსული ვერსიით საქართველოშიც დაიწყო.

[1] **Balcerowicz L.** Socialism, Capitalism, Transformation. Budapest, CEU, 1995, p. 146; **Papava V**. The Georgian Economy: From “Shock Therapy” to “Social Promotion”. “Communist Economics & Economic Transformation”, 1996, Vol. 8, No. 8, p. 251.

ველგვარი მცდელობა პრინციპში წარუმატებლობისათვისაა განწირული. ამ დებულების ჭეშმარიტებას, სამწუხაროდ, საქართველოს იმდროინდელი გამოცდილებაც ამტკიცებს. ამაში დარწმუნება სულაც არ არის ძნელი; ამისათვის საკმარისია განვიხილოთ "ბალცეროვიჩის გეგმა" (რომელიც „შოკური თერაპიის" თანამედროვე და თანაც უკვე კლასიკურ სქემად ითვლება) და გავაანალიზოთ როგორი დამახინჯებით გატარდა იგი საქართველოში – რუსულ "სარკეში" ამ გეგმის ანარეკლის ბრმა კოპირების შედეგად, იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანაში სათანადო ინსტიტუტები, სამწუხაროდ, არ არსებობდა[2].

"ბალცეროვიჩის გეგმის" თანახმად, რეფორმის საწყის ეტაპზე პოლონეთში პრაქტიკულად ერთდროულად გატარდა შემდეგი ღონისძიებები[3]:

1. ყველა სახეობის ფასების მრავალჯერადი მომატება, ინფლაციური პროცესების შეგნებული ხელშეწყობა ბაზარზე წონასწორობის დამყარების მიზნით;

2. მოსახლეობის შემოსავლების მკაცრი შეზღუდვა;

3. საპროცენტო განაკვეთების მნიშვნელოვანი გაზრდა და მიმოქცევაში არსებული ფულის მასის შეზღუდვა; მოსახლეობის მიერ ფულის დაზოგვის სტიმულირების მიზნით, ანაბრებსა და სხვა დეპოზიტებზე სარგებლის განაკვეთის გაზრდა;

4. სახელმწიფო ინვესტიციების შემცირებისა და წამგებიან საწარმოთათვის დოტაციების მიცემაზე უარის თქმით სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების შეკვეცა;

5. სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შევსების მიზნით სახელმწიფო სესხის ობლიგაციების გამოშვება;

6. საგადასახადო სისტემის მოწესრიგება და მისი უნიფიცირება;

7. აშშ დოლარის მიმართ ზლოტის ერთიანი გაცვლითი კურსის შემოღება და შიგა ბაზარზე ზლოტის კონვერტირების უზრუნველყოფა;

8. ახალი საბაჟო ტარიფების შემოღება იმპორტის შეზღუდვისა და ექსპორტის სტიმულირების მიზნით;

9. მთავრობის რეალურ შესაძლებლობათა ფარგლებში მოსახლეობის იმ ნაწილისათვის სოციალური დახმარების აღმოჩენა, ვინც ამას მართლაც საჭიროებდა;

10. მონოპოლიური სტრუქტურების ლიკვიდაცია და საწარმოთა საქმიანობაში სახელმწიფოს ადმინისტრაციულ ჩარევაზე უარის თქმა.

რუსეთში „შოკური თერაპიის" მეთოდის გამოყენება 1992 წლის 2 იანვრიდან დაიწყო, ხოლო ერთი თვის დაგვიანებით, როგორც აღინიშნა, მას საქართველოც აჰყვა. იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანაში დამოუკიდებლობა ახალი აღდგენილი იყო, სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების უმრავლესობა კი არ არსებობდა, "ბალცეროვიჩის გეგმის" ათი პუნქტიდან, ობიექტური (ნაწილობრივ კი, სუბიექტური) მიზეზის გამო, შვიდი (I, II და VI პუნქტების გარდა) ვერ განხორციელდა. მათ შორის განსაკუთრებით „შოკური თერაპიის" მეთოდის არსის განმსაზღვრელი ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები უნდა გამოიყოს, როგორიცაა საბიუჯეტო დოტაციების გაუქმება და მიმოქცევაში არსებული ფულის მასის მკაცრი შეზღუდვა.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ განუხორციელებელი პუნქტების ნაწილი მაინც ვერ განხორციელდებოდა, რადგან იმ დროს საქართველოს, უწინარეს ყოვლისა, საკუთარი ფულად-საკრედიტო სისტემა არ ჰქონდა. ასეთ ვითარებაში „შოკური თერაპიის" მეთოდის ძირითადად მხოლოდ ფასების ლიბერალიზაციაზე დაყრდნობით განხორციელებული არასრულფასოვანი მოდიფიკაცია კრახისათვის იყო განწირული.

1993 წლის გაზაფხულზე, როდესაც საქართველოს მთავრობამ საბოლოოდ დაკარგა იმედი ფულის ნიშნები ჩამოეტანა რუსეთიდან, მან დროებითი ფულის სუროგატი – ქართული კუპონი შემოიღო, რომელიც, სამწუხაროდ, თავიდანვე არ გამოაცხადა ქვეყნის ტერი-

[2] **Papava V.** The Georgian Economy: Main Directions and Initial Results of Reforms. In: Systemic Change in Post-Communist Economies. Ed. by P. G. Hare. London, Macmillan Press, 1999, pp. 269-272.

[3] **Алексашенко С.** Экономическая реформа: польский путь. «Мировая экономика и международные отношения», 1990, № 7, с. 21.

ტორიაზე ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად, რის შედეგადაც კუპონმა მოსახლეობის ნდობის მოპოვება ვერ შეძლო.

1993 წელი და 1994 წლის პირველი ნახევარი საქართველოს მთავრობის ანტირეფორმატორულ ქმედებათა ვრცელი სპექტრით ხასიათდება[4]. კერძოდ, ამ პერიოდში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და შესაბამისი სამუშაოების დაფინანსება განხორციელდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან, როცა ეს თანხები სოფლებში ჩადწევამდე სავალუტო ბაზარზე ტრიალებდა და შედეგად კუპონი აშშ დოლართან მიმართებაში უფასურდებოდა; საქართველოს ეროვნული ბანკი გასცემდა ფულით არაუზრუნველყოფილ კრედიტებს ("ჰაერის კრედიტებს") ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიიდან საქონლის იმპორტისათვის, რის შედეგადაც, საქონლის იმპორტის ნაცვლად (რადგანაც არარსებულ ფულზე არავინ ვაჭრობდა), თვით ეს "ჰაერის კრედიტები" უკან ბრუნდებოდა. ეს, საბოლოო ანგარიშით, ქვეყანაში არსებული ფულის მასის ეკონომიკურად არაუზრუნველყოფილ ზრდას იწვევდა; კომერციული ბანკები ქვეყნის შიგნით ოვერდრაფტზე მუშაობდნენ, რაც, ასევე, ფულის მასის ზრდას განაპირობებდა; 1993-1994 წლებში პარლამენტის მიერ დამტკიცებული სახელმწიფო ბიუჯეტი საქართველოს არ ჰქონდა და მთავრობა გაწეულ ხარჯებს ძირითადად ეროვნული ბანკიდან აღებული კრედიტებით აფინანსებდა.

ყოველივე ამან კუპონის მნიშვნელოვანი გაუფასურება გამოიწვია: 1994 წლის შემოდგომისათვის 1 აშშ დოლარი ოფიციალურად 2,5 მლნ კუპონი ღირდა, ხოლო საბაზრო გაცვლითი კურსი 5,4 მლნ კუპონს აღწევდა (ორი – ოფიციალური და არაოფიციალური, გაცვლითი კურსის არსებობა კი იმით იყო გამოწვეული, რომ საქართველოს ეროვნულ ბანკს, გარდა ხელფასების, სამივლინებო ხარჯებისა და მცირე ოდენობით სხვა მიმდინარე ხარჯებისა, საბანკო ანგარიშებიდან ნაღდი ფულის გამოტანა აკრძალული ჰქონდა, რის შედეგადაც აშშ დოლარში გამოხატული ნაღდი კუპონი, უნაღდოსთან შედარებით, საშუალოდ ორჯერ უფრო ძვირი იყო). 1993-1994 წლებში ინფლაცია თვეში საშუალოდ 50-70%-ს აღწევდა. ამ დროს კუპონით მხოლოდ კომუნალურ მომსახურებათა გადახდა და პურის ყიდვა შეიძლებოდა (მოხმარების სხვა საგნების შეძენა კი მხოლოდ რუსულ რუბლზე იყო შესაძლებელი), რადგანაც ეს სფეროები ჯერ კიდევ სახელმწიფოს მიერ იყო მკაცრად რეგლამენტირებული (წისქვილკომბინატებისა და მსხვილი პურის საცხობების მესაკუთრე სახელმწიფო იყო, რომელიც, მოსახლეობის სოციალური დაცვის მიზნით, ხორბალზე, ფქვილსა და პურზე დაბალ ფასებს აწესებდა).

1990-1994 წლებში საქართველოს ეკონომიკა სამჯერ და მეტად შემცირდა. პოსტკომუნისტური ეკონომიკა, როგორც წესი, მთლიანი შიდა პროდუქტის, სამრეწველო პროდუქციის გამოშვების, შრომის მწარმოებლურობის, ინვესტიციების, რეალური შემოსავლების დონის მნიშვნელოვან დაცემასთან ასოცირდება. დაზუსტების მიზნით უნდა აღინიშნოს, რომ პროდუქციის გამოშვების შემცირება, უწინარეს ყოვლისა, იმ საწარმოებში ხდებოდა, რომლებიც პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესის დაწყებამდე იყო შექმნილი.

1994 წელს საშუალო ხელფასი თვეში 1,5 აშშ დოლარის, ხოლო პენსია 10 აშშ ცენტის ეკვივალენტი იყო.

ხსენებული კრიზისული მოვლენები 1994 წლის მეორე ნახევრიდან შეჩერებულ იქნა. საერთაშორისო სავალუტო ფონდსა და მსოფლიო ბანკთან თანამშრომლობა თვისებრივად ახალ დონეზე განახლდა. თავისი არსით ამ დროს განახლებული ეკონომიკური რეფორმა არასრულფასოვნად გატარებული "ბალცეროვიჩის გეგმის" "შევსებას" ისახავდა მიზნად, რაც სავსებით რეალური აღმოჩნდა სათანადო სახელმწიფო ინსტიტუტების არსებობისა და ხელისუფლებაში პროფესიონალ ეკონომისტთა მოსვლის კვალობაზე.

---

[4] **Gurgenidze L.**, **Lobzhanidze M.**, **Onoprishvili D.** Georgia: From Planning to Hyperinflation. Communist Economies & Economic Transformation, 1994, Vol., 6, No. 2; **Papava V.** The Georgian Economy: Problems of Reform. Eurasian Studies, 1995, Vol., 2, No. 2; **Папава В.**, **Беридзе Т.** Проблемы реформирования грузинской экономики. «Российский экономический журнал», 1994, № 3.

1994 წლის შემოდგომაზე პურის ფასი 285-ჯერ, ხოლო ხელფასები საბიუჯეტო სექტორში და პენსიები 20%-ით გაიზარდა, რამაც კუპონის აშშ დოლართან მიმართებაში გამყარების პროცესის დაწყება განაპირობა (რადგან სწორედ პური იყო ის ძირითადი კვების პროდუქტი, რომლის კუპონით შეძენა იყო შესაძლებელი). შემდგომში პურის ფასის შედარებით დაბალი ტემპებით გაზრდა გაგრძელდა და 1996 წლის ზაფხულში ის ისე განთავისუფლდა სახელმწიფო რეგულირებისაგან, რომ მასზე ფასების ნახტომისებურ ზრდას ადგილი საერთოდ არ ჰქონია; ამ დროისათვის წისქვილკომბინატებისა და პურის საცხობების პრივატიზების პროცესიც დასრულდა. 1994 წლის ბოლოდან ეროვნულმა ბანკმა დაიწყო მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება. მან გააუქმა საბანკო ანგარიშებიდან ფულის გატანის ზემოხსენებული შეზღუდვა, კომერციულ ბანკებს კი ოვერდრაფტის რეჟიმში მუშაობა აუკრძალა. 1995 წლიდან ქვეყანას უკვე ჰქონდა პარლამენტის მიერ წინასწარ დამტკიცებული სახელმწიფო ბიუჯეტი, რომლის დეფიციტი ხარჯების მიმართ 53%-ს შეადგენდა და დაფარვის წყარო არაინფლაციური – უცხოური კრედიტები და გრანტები იყო.

ამ ღონისძიებათა შედეგად 1995 წლისათვის 1 აშშ დოლარის კუპონში გაცვლის კურსი სტაბილურად 1,3 მილიონ კუპონს შეადგენდა, ხოლო წლიური ინფლაცია 50%-ს მცირედით აღემატებოდა. ამით მომზადდა ნიადაგი წარმატებული ფულის რეფორმის გატარებისათვის: **1995 წლის შემოდგომაზე შემოღებულ იქნა ლარი, როგორც ერთადერთი კანონიერი საგადამხდელო საშუალება.** მისი გაცვლითი კურსი თავიდანვე სტაბილური იყო და 1 აშშ დოლარი 1,3 ლარს შეადგენდა[5]. ამ გაცვლით კურსს საფუძვლად დაედო მთავრობის გაანგარიშებანი იმის შესახებ, რომ 1 კგ პურის ფასი საშუალოდ 30 თეთრი, ხოლო ქალაქის სამგზავრო ტრანსპორტით მგზავრობა 5 თეთრი ყოფილიყო, რადგანაც მოსახლეობაში ძალზე დიდი იყო "ნოსტალგია" კომუნისტების დროინდელი ფასების მიმართ, როცა პური 30 კაპიკი, ქალაქის სამგზავრო ტრანსპორტი კი 5 კაპიკი ღირდა. მოსახლეობამ მიიღო ლარი, რომელმაც ბრუნვიდან, კუპონთან ერთად, რუსული რუბლიც გამოდევნა.

სწრაფი ეკონომიკური რეფორმების გატარების დაგროვილი გამოცდილება ცხადყოფს, რომ ქვეყნები, რომელთა არჩევანიც „შოკური თერაპია" იყო, ეკონომიკური აღმავლობის ფაზაში პირველები შევიდნენ. ამ დებულების სისწორეს საქართველოს გამოცდილებაც ადასტურებს. კერძოდ, 1995 წელს დროში გაწელილი „შოკური თერაპიის" სქემის რეალიზაციის შედეგად ხუთწლიანი ეკონომიკური ვარდნა ზრდით შეიცვალა: მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა 1995 წელს 3%-მდე იყო, ხოლო 1996-1997 წლებში წელიწადში საშუალოდ 10-11%-ს შეადგენდა.

რუსეთის დეფოლტის* ზეგავლენა. საქართველოში ეკონომიკური რეფორმების დინამიკა ლარის შემოღების შემდეგ, ერთობ გაფერმკთალდა, რაც, უწინარეს ყოვლისა, განპირობებული იყო იმით, რომ უმაღლეს ხელისუფალს არ აღმოაჩნდა იმის პოლიტიკური ნება, წარმატებით წამოწყებული რეფორმები იმავე ინტენსივობით გაეგრძელებინა. მიუხედავად ამისა, გასული საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევარი მაინც ნიშანდობლივი იყო, რაც რუსეთში მომხდარი დეფოლტის უარყოფითმა ზეგავლენამ განაპირობა.

რუსეთის 1998 წლის აგვისტოს ფინანსური კრიზისის (რისი პროგნოზიც საერთაშორისო სავალუტო ფონდს საერთოდ არ ჰქონდა)[6] ზეგავლენა საქართველომ უკვე სექტემ-

---

[5] **Kakulia M.** Before and After the Introduction of the Lari: Georgian National Currency in Retrospect. In: Central Eurasia: National Currencies. Ed. by E. Ismailov. Stockholm, CA&CC Press, 2008.

* დეფოლტი ნიშნავს სასესხო ხელშეკრულების შეუსრულებლობას, როცა პროცენტის ან (და) ძირითადი თანხის დროულად გადახდა არ ხდება. დეფოლტი 1998 წელს რუსეთში განვითარებული კრიზისის მხოლოდ ერთ-ერთი მიზეზი იყო, თუმცა, ლიტერატურაში ამ კრიზისის სახელად სწორედ დეფოლტის გამოყენებაა ფართოდ გავრცელებული.

[6] მაგალითად, **Зевин Л.** МВФ и Россия: 8 лет трудного диалога. «Мировая экономика и международные отношения», 2001, №4, сс. 17-18; **Кузнецов В.** Отношения России с МВФ. «Мировая экономика и международные отношения», 2002, № 7, с. 47.

ბრის დასაწყისში იგრძნო. რუსეთის ბაზარზე აშშ-ის დოლარის მწვავე დეფიციტის შედეგად დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებში მასზე მოთხოვნა მნიშვნელოვნად გაიზარდა. ყველაზე მწვავედ ეს იმ ქვეყნებში გამომჟღავნდა, რომელთათვისაც რუსეთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორი იყო.

საქართველოსათვის სიტუაცია, სხვა თანაბარ პირობებში, იმანაც დაამძიმა, რომ მის ტერიტორიაზე განლაგებული რუსეთის ბაზები აშშ-ის დოლარის ბანკნოტების რუბლის გაუფასურებული ბანკნოტებით შესასყიდად ამ უკანასკნელთა უკონტროლო შემოტანისათვის და შესყიდული აშშ-ის დოლარის ბანკნოტების რუსეთში გასატანად იყო გამოყენებული; ამასთან, იმავე (აშშ-ის დოლარების რუსეთში გატანის) მიზნით, ე.წ. სამხრეთ ოსეთის საქართველოს სახელმწიფო კონტროლს დაუქვემდებარებელი ტერიტორიის გავლით, რუსეთის იაფფასიანი კონტრაბანდული ტვირთების იმპორტი გაიზარდა. ყოველივე ამან ლარის კურსზე საკმაოდ უარყოფითად იმოქმედა, რომელსაც იმჟამად საქართველოს ეროვნული ბანკი ბანკთაშორის ბირჟაზე სავალუტო ინტერვენციების განხორციელებით არეგულირებდა. აშკარა შეიქმნა, რომ საქართველოს ეროვნულ ბანკს ლარის კურსის სტაბილურობის შესანარჩუნებლად რეზერვში არსებული დოლარების ხარჯვა მოუწევდა, რაც, ბუნებრივია, რეზერვის შესაძლო ამოწურვის გამო, დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა.

შექმნილ ვითარებაში საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაცია იყო ის, რომ ეროვნულ ბანკს სავალუტო ინტერვენციები აღარ გაეგრძელებინა, ლარის კურსის რეგულირება შეეწყვიტა, რაც ეროვნული ბანკის ხელთ არსებული დოლარის რეზერვის შენარჩუნებას უზრუნველყოფდა. ამ რეკომენდაციის გაზიარება აშკარად სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანდა: ლარის კურსის რეგულირების შეწყვეტა მის ვარდნას მყისიერად გამოიწვევდა, რასაც სავალუტო ბაზარზე პანიკა მოჰყვებოდა და რაც, თავის მხრივ, ლარის კურსს დამატებით დასცემდა. ასეთ ვითარებაში კომერციული ბანკებიდან ანაბრების გატანა და ანგარიშების დახურვა დაიწყებოდა, რაც ამ ბანკების უმრავლესობის გაკოტრებას და, შესაბამისად, იმ ფირმების და მოსახლეობის იმ ნაწილის გაკოტრებასაც გამოიწვევდა, ვისი თანხებიც ამ ბანკებში იქნებოდა განთავსებული.

საქართველოს ეროვნული ბანკისა და საქართველოს მთავრობის უდიდეს დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, რომ მათ, ტაქტიკური თვალსაზრისით, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ეს აშკარად მცდარი რეკომენდაცია არ გაიზიარეს და ლარის თანდათანობითი დევალვაციით ბანკებსა და მთლიანად მოსახლეობას მისცეს სიგნალი მათ ხელთ არსებული თანხები ლარებიდან დოლარებში გადაეყვანათ. ეს ოპერაცია საქართველოს ეროვნულ ბანკს ათეულობით მილიონი დოლარი დაუჯდა, მაგრამ იმ მომენტისათვის, როცა მან ბანკთაშორის ბირჟაზე სავალუტო ინტერვენციები შეწყვიტა, ლარის კურსი უკვე იმდენად დევალვირებული იყო, რომ მისი ნახტომისებური დაცემა ძალზე დიდი აღარ იყო და, რაც მთავარია, კომერციული ბანკებისათვის საშიში ვერ იქნებოდა (რადგანაც მათ ლარის მინიმალური ოდენობა ჰქონდათ შემორჩენილი). ამგვარმა ტაქტიკურმა ნაბიჯებმა იმის ობიექტური შესაძლებლობა შექმნა, რომ რუსეთის კრიზისის ტალღის დამანგრეველი ზემოქმედების მიუხედავად, ამ მიზეზით საქართველოს არც ერთი კომერციული ბანკი არ გაკოტრებულა[7].

რუსეთის დეფოლტის უარყოფითი ზეგავლენის დაძლევის შემდეგ, საქართველოში ეკონომიკური რეფორმების გატარება, სამწუხაროდ, საერთოდ შეჩერდა.

ლეშეკ ბალცეროვიჩი და არაეკონომისტების არაეკონომიკური პოლიტიკა. XX საუკუნის 80-იანი წლების მიწურულსა და 90-იანი წლების დასაწყისში, კომუნისტური რეჟიმის ნგრევის შემდეგ, მსოფლიოში არც ერთმა ეკონომისტმა არ იცოდა, თუ კომუნისტური ხასიათის მქონე ეკონომიკის ტიპიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა როგორ უნდა გან-

---

[7] **კაკულია მ.** სავალუტო სისტემის განვითარების პრობლემები საქართველოში. თბილისი, სესპსკი, 2001, გვ. 171-229; **პაპავა ვ.** საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოში: მიღწევები და შეცდომები. თბილისი, "იმპერიალი", 2000, გვ. 139-143.

ხორციელებულიყო. ბუნებრივია, რომ ასეთ ვითარებაში პოსტკომუნისტური ქვეყნების ლიდერები არა მარტო საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს, არამედ მსოფლიოში ცნობილ ცალკეულ ეკონომისტებს რჩევა-დახმარებისათვის მიმართავდნენ.

მას შემდეგ, რაც იმ პერიოდიდან სულ ცოტა ათმა წელმა გაიარა, რეფორმების გზაზე მდგარ თითქმის ყველა პოსტკომუნისტურ ქვეყანაში ეროვნულ პროფესიონალთა კადრები გამოიკვეთა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან მუშაობის მეტ-ნაკლებად მდიდარი გამოცდილებაც დაგროვდა. იმის მიუხედავად, რომ ამგვარი სიტუაცია საქართველოშიც შეიქმნა, 2000 წელს გამართულ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, ქვეყნის უმაღლესმა ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება ეთხოვა აშშ-სთვის საქართველოს პრეზიდენტის მრჩევლად ცნობილი პოლონელი ეკონომისტის პროფესორ ლეშეკ ბალცეროვიჩის მოწვევის დასაფინანსებლად, რაც აშშ-მა დადებითად გადაწყვიტა.

მსოფლიოში აღიარებული პროფესიონალის ლეშეკ ბალცეროვიჩის საქართველოში პრეზიდენტის პირადი მრჩეველის რანგში მოწვევას შეიძლება მოეძებნოს გამართლება, ვინაიდან საქართველოს მთავრობაში ეკონომიკური პოსტები არაეკონომისტებმა დაიკავეს, თუმცა, არც ეკონომისტის დიპლომის მქონეთ ჰქონდათ ეკონომიკის ის სათანადო ცოდნა, რომლის აუცილებლობაზეც ბალცეროვიჩი, როგორც წესი, თითქმის ყოველთვის მიუთითებდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოში მისი მოწვევის ინიციატორთა ჩანაფიქრით უმთავრესი ფუნქცია საგანმანათლებლო უნდა ყოფილიყო.

ვიდრე ბოლო დებულების ამსახველ მაგალითებს მოვიყვანთ, აუცილებელია აღინიშნოს, რომ ლეშეკ ბალცეროვიჩის საქართველოს პრეზიდენტისადმი მიცემული რჩევები საზოგადოებისათვის ძალზე გასაიდუმლოებული იყო და ზოგჯერ იმის შთაბეჭდილებაც კი რჩებოდა, რომ ეს მინისტრებისთვისაც კი არ იყო ხელმისაწვდომი. თავდაპირველად პოლონელი პროფესორი თბილისს კვარტალში ერთხელ მაინც ეწვეოდა და ეს არც იყო გასაკვირი, რადგან, საქართველოს პრეზიდენტის მრჩევლად დამტკიცებიდან რამდენიმე თვეში ის თავის სამშობლოში ეროვნული ბანკის პრეზიდენტად დაინიშნა. ამასთან, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ბალცეროვიჩის ხშირი ჩამოსვლა სულაც არ იყო აუცილებელი, რადგანაც მისი მაღალპროფესიული გუნდი თბილისში პრაქტიკულად უწყვეტ რეჟიმში მუშაობდა და, რაც მთავარია, საქართველოს ეკონომიკას სულაც არ სჭირდა რაიმე ექსტრაორდინარული, რაც შორეული პოლონეთიდან სათანადოდ არ გამოჩნდებოდა. აქედან გამომდინარე, მისი და მისი გუნდის რჩევები (ყოველ შემთხვევაში, ისინი მაინც, რომლებიც, მათი "კონსპირაციულობის" მიუხედავად, საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა) არ სცდებოდა იმ ჩარჩოებს, რაც აკადემიური წრეებიდან მისი ქართველი კოლეგებისთვისაც ისედაც კარგად იყო ცნობილი.

განვიხილოთ ლეშეკ ბალცეროვიჩისა და მისი თბილისური ჯგუფის საზოგადოებისათვის ცნობილი რამდენიმე რეკომენდაცია:

1. ბალცეროვიჩის ერთ-ერთი პირველი რეკომენდაცია იყო ის, რომ საქართველოს ხელმძღვანელობა რაც შეიძლება მალე გარკვეულიყო იმაში თუ ქვეყანაში როგორი ეკონომიკური სისტემა უნდა აშენებულიყო და შესაბამისი არჩევანიც გაეკეთებინა. სამწუხაროა, რომ ქართველ დამხვდურთა შორის არ მოიძებნა არც ერთი (არ არის გამორიცხული ელემენტარული არცოდნის გამო), რომელიც ეტყოდა, რომ კარგად თუ ცუდად, მაგრამ ასეთი არჩევანი საქართველოში 1995 წელს კონსტიტუციის მიღებით უკვე ხუთი წელია, რაც გაკეთებული იყო, რომ 1995 და 2000 წლებში საპრეზიდენტო არჩევნებში ხალხმა (მართალია ხშირ შემთხვევაში შეუგნებლად) მხარი არა უბრალოდ ედუარდ შევარდნაძეს, არამედ მის პროგრამებსაც დაუჭირა, რომლებშიც საქართველოს ეკონომიკური მოწყობის პრობლემები სათანადოდ იყო ასახული;

2. 2000-2001 წლებში საქართველოს მთავრობაში კოორდინაციის არარსებობამ ბალცეროვიჩის ჯგუფის მხრიდან დაუფარავი უკმაყოფილება გამოიწვია. საქართველოს მთავრობას მიეთითია იმის შესახებ, რომ იგი თავის საქმიანობაში საქართველოს კონსტიტუციასა

და "აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის" შესახებ კანონს არ ემორჩილებოდა, რის გამოც ქართველმა ექსპერტებმაც კი არაერთხელ დააყენეს საკითხი, მათ შორის, ბალცეროვიჩის თბილისში ჩამოსვლამდეც;

3. ბალცეროვიჩის ჯგუფის ერთ-ერთი გახმაურებული რეკომენდაციის თანახმად, საშემოსავლო გადასახადის პროგრესიული სისტემა (როცა საქართველოში ფიზიკური პირის შემოსავლის ოდენობის ზრდის კვალობაზე ზრდადი – 12-, 15- და 20-პროცენტიანი საგადასახადო განაკვეთები გამოიყენებოდა) პროპორციული სისტემით (ერთიანი 15-პროცენტიანი განაკვეთით) უნდა შეიცვლილიყო, რაც ამ სახეობის გადასახადის ამოღების ადმინისტრირებას თვისებრივად გაამარტივებდა. ეს წინადადება საქართველოს ხელისუფლებას ჯერ კიდევ 1992 წელს წარედგინა და შემდეგაც საერთაშორისო სავალუტო ფონდის წინაშეც არაერთხელ დასმულა[8], რაც, სამწუხაროდ, არ იქნა გათვალისწინებული. იმისდა მიუხედავად, რომ პოლონელ ეკონომისტთა ეს რჩევა აშკარად მისასალმებელი იყო, საქართველოს მთავრობამ ის დაბლოკა;

4. 2000 წლის თებერვალში, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, იმ საწარმოთა წილები, რომელთა არანაკლებ 51% სახელმწიფოს საკუთრებაში იყო, სამართავად სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროდან შესაბამის დარგობრივ სამინისტროებს დაუბრუნდათ. ბუნებრივია, ბალცეროვიჩის ჯგუფმა მართვის ამ სოციალისტური "ელფერის" და ინტერესთა კონფლიქტის შემცველი ბრძანებულების გაუქმება მოითხოვა; ამ ბრძანებულების ჯერ კიდევ განხილვის სტადიაზე წინააღმდეგი საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო იყო, რომლის სტატუსი ამ ბრძანებულების მიღებიდან სამ თვეში გაუქმდა და გადაკეთდა ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროდ, რაც, თავისი ბუნებით, ინტერესთა კონფლიქტის შემცველი იყო;

5. ბალცეროვიჩის თბილისური ჯგუფის ერთ-ერთი რეფორმატორული წინადადება საპენსიო სისტემას ეხებოდა. მისი აბსოლუტურად სწორი შეფასებით, საქართველოში ასეთი სისტემა საერთოდ არ არსებობდა, ხოლო 14-ლარიანი პენსია თავისი ბუნებით არ ასრულებდა (და ვერც შეასრულებდა) პენსიის, როგორც ასეთის, ფუნქციას. ქართული სახელმწიფოს მწირი ფინანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ხსენებული ჯგუფი რეკომენდაციას იძლეოდა, რომ აქცენტი კერძო საპენსიო ინსტიტუტის შექმნაზე ყოფილიყო გადატანილი, ხოლო სახელმწიფოს უმთავრესი ყურადღება მოსახლეობის მიმართ დაგროვილ ძველ დავალიანებათა (რომელიც ასეულობით მლნ ლარს აღემატებოდა) გასტუმრებასა და მიმდინარე ვალდებულებათა დროულ დაფარვაზე უნდა გადაეტანა. საქართველოს მთავრობის პოზიცია (რასაც ზურგს, სამწუხაროდ, მსოფლიო ბანკიც უმაგრებდა) კი მიზნად, კერძო საპენსიო ინსტიტუტის შექმნასთან ერთად, სახელმწიფო საპენსიო სისტემის რეფორმირებასაც ისახავდა (და მას, გარკვეული აზრით, უპირატესობასაც კი ანიჭებდა). სახელმწიფოს მხრიდან მოსახლეობისადმი მნიშვნელოვანი დავალიანებისა და ქრონიკული საბიუჯეტო კრიზისის პირობებში სახელმწიფო საპენსიო სისტემის რეფორმირებაზე პრიორიტეტული ზრუნვა ფუჭი გარჯა იყო, ხოლო ამის გამო კერძო საპენსიო ინსტიტუტის შექმნის შეფერხება – აშკარა შეცდომა.

ლეშეკ ბალცეროვიჩისა და მისი ჯგუფის გაუთვალისწინებელ რეკომენდაციათა ჩამონათვალი საზოგადოებისათვის ცნობილი რომ ყოფილიყო, სავარაუდოდ ბევრად უფრო ვრცელი იქნებოდა. არც ისაა გამორიცხული, რომ მათი გასაიდუმლოების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ისიც იყო, რომ 2000-2001 წლების საქართველოს სამთავრობო გუნდის სუსტი მხარეები დამალულიყო.

ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ საქართველოს 2000-2003 წლების მცდარი ეკონომიკური პოლიტიკა, უფრო სწორად კი არაეკონომიკური პოლიტიკა ბალცეროვიჩისეულ "ტყუპ ძმებზე" – საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჯგუფების ზეწოლასა და უცოდინარობაზე იყო დამყარებული. თანაც ისიც გასათვალისწინებელია, რომ ეს ტყუპისცალები უერთმანეთოდ როდი მოქმედებდნენ – ისინი ხომ ერთმანეთს აძლიერებდნენ[9].

---

[8] **პაპავა ვ.** საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოში: მიღწევები და შეცდომები. თბილისი, „იმპერიალი", 2000, გვ. 103-107.

[9] **ბალცეროვიჩი ლ.** სახელმწიფო გარდამავალ პერიოდში. თბილისი, 2002, გვ. 12-14.

სულაც არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ ამ ვითარებაში საქართველოში საბიუჯეტო კრიზისი ჩამოყალიბდა, ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების გეგმა ქრონიკულად ჩავარდნილი იყო, რაც, საბოლოო ანგარიშით, მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობას სულ უფრო ამძიმებდა. თვეობით ვერ ხერხდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან კუთვნილი თანხების მიღება, რაც მომავალი „ვარდების რევოლუციის“ ეკონომიკურ წანამძღვრებს ქმნიდა[10].

რევოლუციის შემდგომი ეკონომიკური ტრანსფორმაცია. „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ საქართველოს ახალ, ძირითადად ახალგაზრდა და უპირატესად გამოუცდელ მთავრობას მემკვიდრეობით არაერთი გადაუწვეტელი პრობლემა ერგო. გაუთავებელი ენერგეტიკული კრიზისის პირობებში მოსახლეობა შიშით ელოდა ყოველ შემდგომ ზამთარს, რადგანაც წინასწარ იცოდა, რომ არც ელექტროენერგია ექნებოდა და არც გათბობა. გადასახადების აკრეფის უუნარობამ და სურვილის არქონამაც დააგროვა გადაუხდელი პენსიები და საბიუჯეტო სექტორში გასაცემი ხელფასები, ხოლო საყოველთაო კორუფციამ მთავრობის საქმიანობა არაეფექტიანად აქცია.

ამ გამოწვევათა გარდა, არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. აქედან გამომდინარე, პოსტრევოლუციურმა მთავრობამ ხელისუფლებაში მოსვლის პირველივე დღეებიდანვე გამართლებულად ჩათვალა ძალაუფლების პრეზიდენტის ხელში კონცენტრაცია.

2004 წლის თებერვალში, საპრეზიდენტო არჩევნებიდან რამოდენიმე კვირაში, პარლამენტში სასწრაფოდ დამტკიცდა კონსტიტუციური ცვლილებები: პრეზიდენტს მიეცა უფლება, პარლამენტსა და მთავრობას შორის დაპირისპირების შემთხვევაში, მთავრობის გადაყენების, ან პარლამენტის დათხოვნის და რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების დანიშვნისა. შედეგად, შეიქმნა ლოიალური პარლამენტი არა მარტო პრეზიდენტის, არამედ მთავრობის მიმართაც, რამაც პარლამენტის დამოუკიდებლობა და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობისადმი კონტროლის განხორციელების ფუნქციაც დაასუსტა.

ძალაუფლების ამ კონცენტრაციას სულაც არ მოჰყოლია დემოკრატიის განვითარება[11], თუმცა, არც ის შეიძლება ითქვას, რომ მას დადებითი შედეგები არ ჰქონია. უწინარეს ყოვლისა, გაძლიერებულმა საპრეზიდენტო ძალაუფლებამ პოსტრევოლუციურ მთავრობას შეაძლებინა აღედგინა ფინანსური წესრიგი და გაეზარდა საგადასახადო შემოსავლები, დაეძლია საბიუჯეტო კრიზისი, რამაც შესაძლებელი გახადა დაგროვილი საპენსიო და სახელფასო (საბიუჯეტო სექტორში) დავალიანებების დაფარვა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში განხორციელებული 2004 წლის რევოლუციის შემდეგ, შეიქმნა ახალი შესაძლებლობები ცენტრალურ მთავრობასა და ყოფილ ურჩ რეგიონს შორის ნორმალური საბიუჯეტო პროცესის ჩამოყალიბებისათვის. ყოველივე ამან, 2004 წელს საგადასახადო შემოსავლები სახელმწიფო ბიუჯეტში მნიშვნელოვნად გაზარდა. ქვეყნის ფინანსურ სისტემაში შემობრუნების დასტურად 2004 წლის ზაფხულში საერთაშორისო სავალუტო ფონდმა საქართველოსთან განაახლა პროგრამა, რომელიც 2003 წელს შეჩერებული იყო იმდროინდელი მთავრობის უუნარობისა და კორუმპირებულობის გამო.

ახალმა მთავრობამ ბრძოლა გამოუცხადა კორუფციას. ძლიერმა საპრეზიდენტო მმართველობამ შესაძლებელი გახადა ყველასაგან მოძულებული საგზაო პოლიცია სწრაფად შეცვლილიყო დასავლური ტიპის საპატრულო პოლიციით. ენერგეტიკულ სექტორში

---

[10] **Papava V.** The Political Economy of Georgia's Rose Revolution. Orbis. A Journal of World Affairs, 2006, Vol. 50, No. 4; **Папава В.** Об основных макроэкономических индикаторах «Революции роз» в Грузии. «Общество и экономика», 2004, №7-8.

[11] **Papava V.** Georgia's Hollow Revolution: Does Georgia's Pro-Western and Anti-Russian Policy Amount to Democracy? The Harvard International Review, February 06, 2008; http://hir.harvard.edu/georgia-s-hollow-revolution?page=0,0

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლამ თავისი დადებითი შედეგი გამოიღო და არსებითად გაუმჯობესდა ელექტროენერგიის მიწოდება. მნიშვნელოვანია, რომ მთავრობამ შემოიღო ერთიანი ეროვნული გამოცდები, რომელმაც უნივერსიტეტებში მისაღები გამოცდების საბჭოთა პერიოდიდან თანდაყოლილი კორუფციული სისტემა ჩაანაცვლა. ყოფილი სახელმწიფო თანამდებობის პირები, რომლებიც კორუფციაში იყვნენ დადანაშაულებულნი დაპატიმრების შემდეგ გასანთავისუფლებლად ე.წ. "თავისუფლების საფასურს" იხდიდნენ. ამან მთავრობას მისცა დამატებითი შემოსავლები, რომლებიც ძირითადად ძალოვანი უწყებების ბიუჯეტგარეშე ანგარიშებზე იქნა აკუმულირებული. ამას ამართლებდნენ არა მარტო იმით, რომ კორუფციაში დადანაშაულებული პირები სახელმწიფოს უბრუნებდნენ მოპარულ ფულსა და საკუთრებას, არამედ იმითაც, რომ იქმნებოდა შემოსავლების დამატებითი წყაროც. თუმცა აშკარაა, რომ ეს პრაქტიკა შემოსავლების მიღების სტაბილური წყარო ვერ იქნებოდა.

მთავრობის ძალაუფლების გაფართოებამ უზრუნველყო ისეთი ამბიციური ეკონომიკური რეფორმების გატარება, როგორიცაა ფართომასშტაბიანი პრივატიზაცია, ბიზნესის ლიცენზირების პრაქტიკის გამარტივება და გადასახადებისა და ტარიფების განაკვეთების შემცირება, რამაც აშკარად მიიპყრო საერთაშორისო ყურადღება.

ფსევდორეფორმები. აღმასრულებელი ხელისუფლებისადმი საკანონმდებლოს დამორჩილებამ მთავრობის წევრთა პასუხისმგებლობა შეამცირა. შედეგად კანონის უზენაესობის ხელყოფის არაერთი შემთხვევა მივიღეთ. პარლამენტი იმდენად დასუსტდა, რომ მას "მთავრობის ნოტარიუსიც" კი შეარქვეს. პარლამენტის დასუსტებას კი ისიც დაემატა, რომ სასამართლომაც დაკარგა დამოუკიდებლობა და ის გენერალური პროკურატურისა და მთავრობის სრულ კონტროლქვეშ მოექცა.

საყურადღებოა, რომ სახელმწიფო სექტორში დასაქმებულები სამსახურიდან მასობრივად გაიყარა, ხოლო ინსტიტუციური რეფორმები ბოლომდე გააზრებული არც კი იყო. გამოცდილი კადრების სანაცვლოდ (ხშირ შემთხვევაში უკანონოდ) სამსახურში აყვანილ იქნენ საზღვარგარეთ განათლებამიღებული ახალგაზრდები, რამაც ინსტიტუციური მეხსიერების მნიშვნელოვანი დანაკარგი გამოიწვია. ამ პრობლემამ ყველაზე უფრო მწვავედ თავი იჩინა მთავრობის არაპროფესიონალიზმში, რაც სამინისტროებს შორის ფუნქციების განაწილებაშიც გამოიხატა. კერძოდ, 2007 წლის შემოდგომაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს დაეკისრა გაუქმებული ანტიმონოპოლიური სამსახურის ფუნქცია, ხოლო 2006 წლის გაზაფხულზე თავდაცვის მინისტრს დაევალა ქართული ღვინისათვის საზღვარგარეთ ბაზრების მოძიება.

რევოლუციურ ტალღაზე ჩატარებული მთავრობის რეორგანიზაცია არაერთ სამინისტროსა თუ დეპარტამენტს შეეხო. კერძოდ, სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, რომელიც რევოლუციამდე როგორც დამოუკიდებელი ერთეული უშუალოდ პრეზიდენტს ექვემდებარებოდა, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შემადგენლობაში იქნა შეყვანილი, იმისდა მიუხედავად, რომ ეს აშკარად ინტერესთა კონფლიქტს მოასწავებდა. შედეგად პოსტრევოლუციურ საქართველოში სტატისტიკას იგივე პოლიტიკური ფუნქცია დაეკისრა, რაც მას ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირში ჰქონდა; ის კი იმაში გამოიხატებოდა, რომ ფაქტების მიუხედავად, სახელმწიფო სტატისტიკას ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის ყოველწლირად უპირობო გაუმჯობესება უნდა გამოექვეყნებინა. მაგალითისათვის გავიხსენოთ 2006 წლის აგვისტო, როდესაც სტატისტიკის დეპარტამენტს „შემთხვევით გაეპარა" და წლიური ინფლაცია ივლისის თვის მდგომარეობით 14,5%-ის დონეზე დააფიქსირა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხრიდან მწვავე კრიტიკის შედეგად მთავრობამ დეპარტამენტის თავმჯდომარე გადააყენა და მის შემცვლელს დაევალა ინფლაციის შემცირება. მთავრობის განცხადების თანახმად, 2006 წლის დეკემბრის მდგომარეობით, წლიური ინფლაცია 9,2%-ის დონეზე დაფიქსირდა, რითაც ფორმალურად საერთაშო-

რისო სავალუტო ფონდის მოთხოვნა დაკმაყოფილდა, თუმცა, ამ უკანასკნელმა მომხდარზე თვალის დახუჭვა არჩია.

2009 წელს სტატისტიკის შესახებ ახალი კანონის მიღების საფუძველზე სტატისტიკის სააგენტო ჩამოყალიბდა როგორც დამოუკიდებელი ინსტიტუტი, თუმცა, მის უმაღლეს ორგანოში – სამეთვალყურეო საბჭოში გათვალისწინებულ იქნა ფინანსთა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროების, ასევე, ეროვნული ბანკის ხელმძღვანელთა მონაწილეობა, რითაც ხსენებული ინტერესთა კონფლიქტი პრაქტიკულად შენარჩუნდა.

საქართველოს ეკონომიკაში გატარებულ ცალკეულ ნაბიჯს, რომელიც არა მხოლოდ ეკონომიკურ თეორიას, არამედ ელემენტარულ საღ აზრს ეწინააღმდეგება, ძნელია მოეძებნოს რაიმე დასაბუთება და მით უფრო გამართლება.

ამ ტიპის ეკონომიკურ ნაბიჯებში განსაკუთრებით გამოირჩევა დასაქმების 50 ათასი კაცით გაზრდის კეთილშობილური მიზნების მქონე ღონისძიება. მის თანახმად, მეწარმეებს იმპერატიულ ტონალობაში ეთხოვათ სამი თვის განმავლობაში დაესაქმებინათ უმუშევრები, რომლებიც ამისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდნენ 2006 წელს თვეში 150 ლარის, ხოლო 2007-2008 წლებში თვეში 200 ლარის ოდენობით[12]. სახელმწიფო ბიუჯეტიდან დახარჯული ათეულობით მლნ ლარის შედეგად ერთეულები მართლაც დასაქმდნენ, ხოლო უმრავლეს შემთხვევაში მოხდა ჩვეულებრივი გარიგება: მეწარმეები თანახმა იყვნენ ხელი მოწერათ დოკუმენტზე – თითქოს კონკრეტული პირი სამსახურში დადიოდა და რაღაცას აკეთებდა. უმუშევარიც კმაყოფილი დარჩა, რადგან მან ჯერ 450, მოგვიანებით 600 ლარი მიიღო არაფერში. უფრო მახინჯი სიტუაციებიც დაფიქსირდა – ზოგი მეწარმე ხელს მხოლოდ იმ შემთხვევაში აწერდა შესაბამის დოკუმენტზე, თუ უმუშევარი მას თანხის ნახევარს მისცემდა. საბოლოო ანგარიშით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან დასაქმების ზრდის ხელშეწყობისათვის გამოყოფილი ათეულობით მლნ ლარის შინაარსობრივი დატვირთვა უმთავრესად უმუშევართათვის შემწეობის გაღებაში გამოიხატა. ეს თანხა ისე გავიდა ბაზარზე სამომხმარებლო პროდუქციის შესაძენად, რომ ადეკვატური რაოდენობის პროდუქცია (და მომსახურება) არ შექმნილა, რამაც ბუნებრივად ინფლაციის ზრდას შეუწყო ხელი. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამ ე.წ. დასაქმების პროგრამასთან ერთად, წინასაარჩევნოდ სტუდენტებისათვისაც გაკეთდა მსგავსი შინაარსის მქონე ქალაქის დასუფთავების პროგრამა, ხოლო 2007-2008 წლის ზამთარში დარიგდა სხვადასხვა სახეობის საქონლის შესაძენად გამოყოფილი ვაუჩერები, რის შედეგადაც ინფლაციის დონე კიდევ უფრო გაიზარდა.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კონტექსტით[13] არაერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტი (მაგალითად, ანტიმონოპოლიური სამსახური, კვების პროდუქტების ხარისხის კონტროლის სამსახური) გაუქმდა, რამაც, ერთი მხრივ, მოსახლეობა დააზარალა, ხოლო, მეორე მხრივ, სახელმწიფო დააკნინა.

მთავრობის მხრიდან კონსტიტუციისა და კანონის უზენაესობის უგულვებელყოფა ყველაზე ნათლად საკუთრების უფლების ხელყოფაში გამოიხატა.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კონტექსტით განსაკუთრებით შემაშფოთებელია დეპრივატიზაციის პროცესი, როცა პრივატიზებული ობიექტები პრივატიზაციის პროცესში დაშვებული (რაც ცალკეულ შემთხვევაში არც კი არის დასაბუთებული) შეცდომების გამოსწორების საბაბით ჩამოერთვა კერძო მესაკუთრეებს და დაუბრუნდა სახელმწიფოს ხელახალი პრივატიზაციის მიზნით. სხვა სიტყვებით, კერძო საკუთრების ინსტიტუტის ფორმირება თავიდან დაიწყო, რაც ამ ინსტიტუტის დაუცველობაზე მეტყველებს. საბაზრო ეკონომიკის ფორმირება და განვითარება, როგორც ცნობილია, კერძო საკუთრების ხელშეუ-

[12] ახალი ეკონომიკური ინიციატივები. Civil.Georgia, 05 აგვისტო, 2006 http://www.civil.ge/geo /article.php?id =13363&search; დასაქმების სახელმწიფო პროგრამა ოფიციალურად ამოქმედდა. Civil.Georgia, 07 დეკემბერი, 2007; http://www.civil.ge/geo/article.php?id=16874 &search

[13] იხ.: მსოფლიო ბანკი საქართველოში კორუფციის შემცირებაზე საუბრობს. Civil Georgia, 27 ივნისი, 2006; http://www.civil.ge/geo/article.php?id=13282&search

ხებლობის გარანტიების გარეშე შეუძლებელია. გარდა ამისა, დეპრივატიზაციის საშიში შედეგი რევანშის მოლოდინის ფორმირებაშიც გამოიხატა, როცა საკუთრებაჩამორთმეულები ელოდებოდნენ მათთვის ხელსაყრელ მომენტს, რათა ეს საკუთრება დაებრუნებინათ, რაც, ასევე უთხრის ძირს კერძო საკუთრების ინსტიტუტის სტაბილურობას[14].

მთავრობის მიერ საკუთრების უფლების დარღვევა ასევე გამოვლინდა კერძო საკუთრებაში არსებული შენობების ნგრევაში, იმისდა მიუხედავად, რომ ხშირ შემთხვევაში მესაკუთრეებს საკუთრებისა და მშენებლობის კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტები წესრიგში ჰქონდათ. ერთადერთი არგუმენტი, რითაც მთავრობა თავს იმართლებდა იყო ის, რომ ეს ქმედება ვითომდა ქალაქის იერსახის გაუმჯობესებით იყო განპირობებული. სამწუხაროდ, ამ ფაქტებზე დასავლეთს ყურადღება არ გაუმახვილებია. მეტიც, მსოფლიო ბანკის მიერ 2007 წელს გამოქვეყნებულ ბიზნესის წარმართვის მოხსენებაში, საქართველოს, მისი მთავრობის მიერ საკუთრების უფლების ხელყოფის არაერთი ფაქტის მიუხედავად, მსოფლიოში მე-18 ადგილი მიენიჭა[15].

პოსტრევოლუციური მთავრობის ბრძოლას კორუფციის წინააღმდეგ ყველა მიესალმებოდა, თუმცა, სინამდვილეში ის კი არ გამქრალა, არამედ მან მხოლოდ ტრანასფორმაცია განიცადა. ბიუჯეტგარეშე ანგარიშებიდან ხარჯვა, რომელიც უშუალოდ მთავრობის პრეროგატივა იყო, საზოგადოებრივ კონტროლს არ ექვემდებარებოდა. პრობლემა კიდევ უფრო გამწვავდა, როცა მთავრობა გადაერთო ბიზნესზე და მას აიძულებდა ამ ანგარიშებზე ე.წ. "ნებაყოფლობითი შენატანები" ჩაერიცხა. თავიდან ამ ანგარიშების არსებობაზე საერთაშორისო სავალუტო ფონდი შეგნებულად ხუჭავდა თვალს, რადგანაც მას, მექრთამეობასთან შედარებით, ნაკლებ ბოროტებად თვლიდა. მოგვიანებით კი ის იძულებული გახდა საკუთარი თავისთვის მაინც ედიარებინა, რომ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა კორუფციული მეთოდით შეცდომა იყო. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოთხოვნით ბიუჯეტგარეშე ანგარიშები მხოლოდ 2006 წლის გაზაფხულზე დაიხურა.

კორუფციის წინააღმდეგ წარმატებულად განხორციელებული ბრძოლის ფონზე, ელიტარულ ფენაში კორუფცია მაინც დარჩა მთავრობის პრობლემად. ეს კი ზედაპირზე და თანაც ყველაზე რელიეფურად მაშინ ამოტივტივდა, როცა თავდაცვის ყოფილი მინისტრი, პრეზიდენტის უახლოესი წრის ერთ-ერთი წარმომადგენელი, მას შემდეგ, რაც მან შექმნა ოპოზიციური პარტია და პრეზიდენტის წინააღმდეგ სკანდალური განცხადებები გააკეთა, კორუფციაში იქნა დადანაშაულებული. ეს შემთხვევა იმითაცაა ნიშანდობლივი, რომ მთავრობისა და საპარლამენტო უმრავლესობის არც ერთი წევრი სულაც არ არის "დაზღვეული" იმისაგან, რომ ოპოზიციაში გადასვლის შემდეგ მათი კორუფციული საქმიანობის ფაქტებიც არ გამომჟღავნდება. შედეგად, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა პოსტრევოლუციური მთავრობის მიერ არანაკლები წარმატებით პოლიტიკური ოპონენტების გასაჩუმებლადაც გამოიყენება. ეს კი რეალური დემოკრატიისაგან აშკარა უკუსვლაა.

საქართველოს მთავრობამ ჯერ კიდევ 2006 წლის გაზაფხულზე დააპირა ეროვნული ბანკის რეფორმირების საბურველის ქვეშ მისი, როგორც დამოუკიდებელი ინსტიტუტის, დაკნინება და ამ მიზნით მოამზადა ეროვნული ბანკის შესახებ კანონში ცვლილებები, რომელთა თანახმადაც საბანკო ზედამხედველობის ფუნქცია ეროვნულ ბანკს უნდა ჩამოშორებოდა. ეროვნული ბანკისა და საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგობის შედეგად მთავრობამ საწადელი ვერ აისრულა და ეროვნული ბანკიც გადარჩა.

2007 წლის გაზაფხულზე კი, როცა ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გადამდგარი იყო და მის მოვალეობას ვიცე-პრეზიდენტი ასრულებდა, მთავრობამ დრო იხელთა და პარლა-

[14] **Papava V.** Corruption and Primary Accumulation of Capital in Transitional Economies. Ludwig von Mises Institute Working Papers, 10/17/2006; http://www.mises.org/journals/scholar/papava.pdf

[15] Doing Business. Economy Rankings. Washington, D. C., The World Bank Group, 2007; http://www.doingbusiness.org /EconomyRankings/

მენტის საფინასო-საბიუჯეტო კომიტეტის წინააღმდეგობის მიუხედავად ძირითადში მიაღწია საწადელს: საბანკო ზედამხედველობის ფუნქცია ეროვნულ ბანკს ჩამოაშორა და მას ერთადერთი ფუნქცია – ინფლაციის რეგულირება დაუტოვა. ამასთან, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პასუხისმგებლობა დამოკიდებული გახდა ინფლაციის წლიურ დონეზე დაწესებული ზედა ზღვარის დარღვევაზე. ეს ეროვნული ბანკის პრეზიდენტს მთავრობაზე დამოკიდებულს ხდიდა, ვინაიდან მთავრობის ხელთ წლიური ინფლაციის დონეზე ზეგავლენის არანაკლები ძალის მქონე ინსტრუმენტებია, ვიდრე ეროვნული ბანკის განკარგულებაშია.

საქართველოს მაკროეკონომიკური სტაბილურობა დიდადაა დამოკიდებული ეროვნული ბანკის საქმიანობაზე. ამდენად მისი რეგულირების სფეროს განმსაზღვრელი ინდიკატორის მხოლოდ ინფლაციის მაჩვენებლით შემოფარგვლა იმის წინაპირობას ქმნიდა, რომ სხვა მაკროეკონომიკური ინდიკატორები (მაგალითად, გაცვლითი კურსი, საგადასახდელო ბალანსი, უცხოური ვალუტის რეზერვები და სხვ.) პრატიკულად უყურადღებოდ დარჩენილიყო, ანუ მათზე ეროვნული ბანკი იზრუნებდა მხოლოდ და მხოლოდ იმ კუთხით თუ რა ზეგავლენა შეიძლება ჰქონოდა ამა თუ იმ მაკროეკონომიკურ ინდიკატორს ინფლაციის წლიურ დონეზე. რაც შეეხება საბანკო ზედამხედველობის ფუნქციის გადატანას ეროვნული ბანკიდან მისადმი დაქვემდებარებულ საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოში, ეს იწვევდა ამ ფუნქციის განხორციელებას ინსტიტუციურად უფრო დაბალ დონეზე, რაც ზრდიდა მთავრობის მხრიდან ამ სააგენტოზე ზეწოლის შესაძლებლობებს. ეროვნული ბანკის ინსტიტუციური დაკნინება მას დამოკიდებულს ხდიდა მთავრობაზე, რაც, საბოლოო ანგარიშით, ხელს უწყობდა ცენტრალური ბანკის პოლიტიზაციას და მას ნაკლებად დაცულს ხდიდა, რაც მაკროეკონომიკური სტაბილურობის გარანტიებს მნიშვნელოვნად ასუსტებდა.

2009 წელს ეროვნული ბანკის შესახებ ახალი კანონი იქნა მიღებული, რომლის დადებით მომენტად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ამოღებულია ინფლაციის წლიური დონზე დაწესებული ზედა ზღვარის დარღვევაზე ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ხსენებული პასუხისმგებლობის საკითხი. კანონის თანახმად ეროვნულ ბანკში დაბრუნდა ფინანსური ზედამხედველობის სამსახური, რაც აბსოლუტურად გამართლებულია. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობას არ უღიარებია ეროვნული ბანკის ინსტიტუციურ დასუსტებაში დაშვებული შეცდომები, მისასალმებელია ის ნაბიჯები, რომლებიც გადაიდგა 2009 წელს ამ შეცდომების გამოსწორების მიზნით.

ცალკე აღნიშვნის ღირსია თავისუფალი ეკონომიკური ზონის (ანუ იმ ეკონომიკური სივრცის, სადაც, ქვეყნის დანარჩენი ტერიტორიისაგან განსხვავებით, სხვადასხვა სახეობის შედავათები მოქმედებს) საქართველოში შექმნის იდეა.

ქვეყანაში გატარებული ლიბერალიზაციის პირობებში თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის მიზანშეწონილობა კლებულობს, რადგანაც შესაძლო შედავათების ნუსხა და მასშტაბები სწორედ ამის გამო მცირდება[16]. ეს კი მნიშვნელოვანი არგუმენტია.

სიტუაციას ამძიმებს ისიც, რომ განსაკუთრებით „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საქართველოს ეკონომიკა ინვესტიციების ნაკლებობას ანუ ინვესტიციურ “შიმშილს” განიცდის და ასეთ პირობებში თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნა (რისი განახორციელებაც ხელისუფლებამ ფოთში, ქუთაისსა და თბილისში გადაწყვიტა) ქვეყანაში ინვესტიციური შიმშილის გაღრმავებას გამოიწვევს, რაც, საბოლოო ანგარიშით, მთელი ეკონომიკის განვითარებას შეაფერხებს. ინვესტიციური შიმშილის პირობებში არა მარტო უცხოელი, არამედ ადგილობრივი პოტენციური ინვესტორიც ფულს მხოლოდ თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში დააბანდებს. ამიტომ მომავალში ინვესტიციები მხოლოდ არსებულ თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში (მაგალითად, ფოთის მიმდებარე ტერიტორიაზე) ჩაიდება და არც ერთი ინვესტორი აღარ მოინდომებს ინვესტიციის გაღებას ქვეყნის სხვა რეგიონებში,

[16] **პაპავა ვ.** თავისუფალი ეკონომიკური ზონა – „უკვდავი იდეა“. „ექსპერტის აზრი“, 2007, №2; http://www.gfsis.net/pub/files/publications_economics/EXPERT_OPINION_VLADIMER_PAPAVA_GEO.pdf

რაც იმას ნიშნავს, რომ ზონები და მათი მიმდებარე რეგიონების ეკონომიკური განვითარება დანარჩენი საქართველოს ხარჯზე მოხდება[17].

თავისუფალი ეკონომიკური ზონის დაარსებისა და რეგულირების საქართველოში მოქმედი კანონი სპეციალური ინდუსტრიული ზონის შესახებ უნდა გაუქმდეს. იმ უცხოელ ინვესტორთან დადებული ხელშეკრულება, რომელიც შეირჩა ფოთში ამ ზონის შესაქმნელად და გასავითარებლად, სათანადო საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებითა და იმ არგუმენტზე დაყრდნობით, რომ სწორედ ფოთის პორტი და ფოთის მიმდებარე ტერიტორია იყო რუსების მიერ ოკუპირებული და დაზიანებული, საერთაშორისო სამართლის ნორმებზე დაყრდნობით უნდა გაუქმდეს[18].

2009 წლის მეორე ნახევარში საქართველოს პრეზიდენტმა ქვეყნის პარლამენტს შესთავაზა ე.წ. "ეკონომიკური თავისუფლების აქტი", რომელიც მოგვიანებით ჩამოყალიბდა როგორც საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტი "საქართველოს კონსტიტუციაში დამატებების შეატანის შესახებ" და საქართველოს ორგანული კანონის პროექტი "ეკონომიკური თავისუფლების, შესაძლებლობებისა და ღირსების შესახებ". ეს იდეა ფსევდორეფორმების "ტრიუმფად" შეიძლება შეფასდეს[19].

ხსენებული ორგანული კანონის პროექტში ასახული ზოგიერთი წინადადება თავისი არსით "ღია კარის მტვრევას" წარმოადგენს, რადგანაც შესაბამისი პრობლემები საქართველოში უკვე დიდი ხანია გადაჭრილია და დღეისათვის საერთოდ არ არის აქტუალური. ასეთი, უწინარეს ყოვლისა, ლარის კონვერტაციაა. ქვეყანაში ლარის შემოღების პირველივე დღიდან ის კონვენტირებადია. მეტიც, 1997 წელს საქართველო შეუერთდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეთანხმების მე-8 პუნქტს, რომლის თანახმადაც, ქვეყანამ ვალდებულება აიღო, რომ ლარის კონვერტაცია არ შეზღუდულიყო, ხოლო 1999 წლიდან საქართველო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრია, რაც ასევე მას ავალდებულებს, რომ ლარის კონვერტაცია არ შეიზღუდოს. საერთაშორისო ხელშეკრულებები კი ქვეყნის კანონმდებლობაზე მაღლა დგას.

ასეთივე სიტუაციაა ფასების სახელმწიფო რეგულირების საკითხშიც. უკვე 14 წელზე მეტია ფასები თავისუფალია: ბოლოს პურის ფასები გათავისუფლდა 1996 წელს. 1999 წლიდან საქართველოს, როგორც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრ ქვეყანას, ვალდებულება აქვს, რომ ფასები აღარ შეზღუდოს.

ასევე, 14 წელზე მეტია ქვეყანაში მოქმედებს კანონი ინვესტიციების შესახებ, რომლის თანახმადაც ინვესტორს მოგების რეპატრიაციის შეუზღუდავი უფლება აქვს. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრობაც ავალდებულებს ამას საქართველოს.

გაუგებარია იმის მოთხოვნა, რომ კომერციულ ბანკებში არ უნდა იყოს სახელმწიფოს წილი. რომელი სახელმწიფოს წილი არ უნდა იყოს ბანკებში – ნებისმიერი სახელმწიფოსი, თუ მხოლოდ ქართულის? დღეისათვის საქართველოს სახელმწიფოს კომერციულ ბანკებში წილი ისედაც არა აქვს, მაგრამ ქართულ საბანკო რეალობაში არის ორი კომერციული ბანკი, რომლებიც სახელმწიფო ბანკებია. მაგალითად, "ვითიბი" არის რუსეთის სახელმწიფო ბანკი, ხოლო "აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი" – აზერბაიჯანის.

ახალი მარეგულირებელი ინსტიტუტების შემოღებაზე უარის თქმა (რაც ამ კანონპროექტის ერთ-ერთი მოთხოვნაა) არის სიგნალი იმისა, რომ საქართველო უარს ამბობს ევროინტეგრაციაზე, რადგანაც ევროპის ბაზარი რეგულირებადი ბაზარია.

---

[17] **ხუციძე ნ.** თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნაში საფრთხეებს ხედავენ. Civil.Georgia, 18 მაისი, 2007; http://www.civil.ge/geo/article.php?id=15372&search

[18] **პაპავა ვ.** საქართველოს ეკონომიკა: შეცდომები, საფრთხეები, მათი დაძლევის გზები. იხ.: „2008 წლის კრიზისი საქართველოში: წინაპირობა, რეალობა, პერსპექტივა". თბილისი, დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბი, 2008, გვ. 32-33.

[19] **პაპავა ვ.** ომისშემდგომი საქართველოს ეკონომიკა: ახალი გამოწვევები და ძველი შეცდომები. იხ.: „საქართველო – 2009: ომისშემდგომი გამოწვევები და პერსპექტივები". თბილისი, დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბი, 2010, გვ. 48-49.

არ არის გამართლებული საბიუჯეტო პარამეტრების წინასწარი დადგენა არასაბიუჯეტო კანონმდებლობით, რადგან იქმნება პრეცედენტი, რომელიც მომავალში შესაძლოა გადაიზარდოს ასეთი პარამეტრების ჩამონათვალის გაფართოებაში.

ეკონომიკური რეფორმების მაგისტრალური ხაზი. 2008 წლის აგვისტოში, რუსეთის მიერ საქართველოზე განხორციელებული სამხედრო აგრესიის შემდეგ, ევროკავშირმა საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმზე გასავლის ხელშეწყობა შესთავაზა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველო ევროკავშირთან ერთიან ეკონომიკურ სივრცეში იქნება, რაც ევროინტეგრაციის მიმართულებით უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია.

ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმზე გადასვლა, როგორც ეს 2008 წლის 1 სექტემბერს ბრიუსელში გამართულ ევროკომისიის საგანგებო სხდომაზე გადაწყდა, დაკავშირებულია იმ პირობების შესრულებასთან, რასაც ევროკავშირი საქართველოსაგან ითხოვს ევროკავშირთან სამეზობლო პოლიტიკის ფორმატში. კერძოდ, ესენია: ისეთი შრომის კოდექსის მიღება, სადაც დაცული იქნება დაქირავებულთა უფლებები, აგრეთვე გათვალისწინებულია ანტიმონოპოლიური რეგულირებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული ტიპის კანონმდებლობის მიღება[20].

მართალია, მისასალმებელია ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის დამყარება, მაგრამ ევროკავშირის მიერ დაყენებული პირობების შესრულების შემთხვევაში საქართველოსთან დამყარდება თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი, რაც მთავრობამ ბოლომდე ვერ გაითავისა. კერძოდ, 2008 წლის 9 სექტემბერს საქართველოს მთავრობის მიერ საერთაშორისო სავალუტო ფონდისადმი გაგზავნილი განზრახულობათა წერილი და 2008-2009 წლების საქართველოს ეკონომიკური და ფინანსური პოლიტიკის მემორანდუმი[21] ცხადყოფს, რომ მთავრობა უახლოეს პერიოდში არ აპირებს არც შრომის კოდექსის შეცვლას და არც ანტიმონოპოლიური თუ მომხმარებელთა უფლებების ევროპული ტიპის კანონმდებლობის მიღებას. სხვა სიტყვებით, საქართველოს მთავრობა სულაც არ ჩქარობს ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმზე გადასვლას.

ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის დამყარება საქართველოსათვის სასიცოცხლო მნიშვნელობასაა და ეს არ უნდა იყოს მთავრობის მხრიდან პოლიტიკური სპეკულაციის საგანი. ის ქმნის იმის ილუზიას, რომ ისწრაფვის ევროკავშირისაკენ, თუმცა, ეს სწრაფვა მხოლოდ არტიკულაციის დონეზე აქვს დაფიქსირებული, ხოლო რეალური ქმედებებით სულაც არ აპირებს ევროკავშირის პირობების შესრულებას. ამ მხრივ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ევროკავშირსა და ბრეტონ ვუდსის ინსტიტუტებს (საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი) შორის თანამშრომლობას, მათ პროგრამებს შორის უფრო მეტ შეთანხმებულობას, რაც საქართველოს მთავრობას აიძულებს უფრო მეტად თანამიმდევრული იყოს თავის ქმედებებში[22].

---

[20] Extraordinary European Council, Brussels, 1 September, 2008, 12594/08. Presidency Conclusions. Brussels, Council of the European Union, 2008, http://www.consilium.europa.eu/ueDocs/cms_Data/docs/pressData/en/ec/102545.pdf; **Mkrtchyan T., Huseynov T., Gogolashvili K.** The European Union and the South Caucasus. Three Perspectives on the Future of the European Project from the Caucasus. Europe in Dialogue 2009/01. Gütersloh, Bertelsmann Stiftung, 2009, pp. 104-105.

[21] Georgia: Letter of Intent, Memorandum of Economic and Financial Policies, and Technical Memorandum of Understanding, September 9. Washigton, The International Monetary Fund, 2008, http://www.imf.org/External /NP/LOI/2008/geo/090908.pdf

[22] **Papava V.** Is Georgians' European Dream Any Part of Government Policy? Georgian Times, December 15, 2008; http://www.geotimes.ge/index.php?m=home&newsid=14166

III თავი

ინსტიტუციური რეფორმები

ქართული სახელმწიფოს ინსტიტუციური მოწყობის ონტოლოგიური გარდაქმნის აუცილებლობა. ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის არსის გარკვევის ერთერთი ქმედითი მიდგომა ინსტიტუციური ანალიზია.[1] საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ჯანსაღი ინსტიტუციური გარემოს ჩამოყალიბება ეკონომიკური განვითარების საწინდარია. ეკონომიკის რეალური ტრანსფორმაცია სწორედ ამით იწყება და მის სწორ წარმართვაზე ბევრად არის დამოკიდებული ეკონომიკური რეფორმების წარმატება თუ წარუმატებლობა.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალმა პერიოდმა საქართველოში (ისე როგორც ამ „ტალღაში" მოქცეულ სხვა ქვეყნებში) თვისებრივად ახალი ინსტიტუტების შექმნა მოითხოვა, რომელთა ერთი ნაწილი არსებული ინსტიტუტების ტრანსფორმაციის, ხოლო მეორე ნაწილი, მათი რღვევის შედეგად უნდა ჩამოყალიბებულიყო. ეს ურთულესი პროცესი კონცეპტუალურ, სისტემურ მიდგომას მოითხოვდა და ისეთი უნივერსალური პრინციპები, ფასეულობები წამოსწია წინა პლანზე, როგორიცაა საზოგადოების სოციალურ-ფსიქოლოგიური განწყობა, ქცევის კულტურა, რაციონალიზმი აზროვნებასა და ქმედებაში და ა.შ. ქართული სახელმწიფოს ინსტიტუციურ მოწყობაში, გარდამავალი პერიოდის საწყის ეტაპზე, მათ გაცილებით დიდი როლი ენიჭებოდათ, ვიდრე მატერიალურ-ტექნოლოგიურ რესურსებს. შერეული ეკონომიკის ფორმირება მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემისა და ცენტრალიზებული ეკონომიკის დემონტაჟს მოითხოვდა, რაც, თავის მხრივ, დღის წესრიგში, ფასებთან ერთად, აყენებდა მთელი სამეწარმეო საქმიანობის ლიბერალიზაციის, ეკონომიკის დემონოპოლიზაციისა და ანტიმონოპოლიური რეგულირების აუცილებლობას, საკუთრების დემოკრატიზაციისა და პლურალიზმის დამკვიდრებას, საბაზრო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებას, გარე სამყაროსთან თავისუფალი ეკონომიკური ურთიერთობების ფართოდ გაშლასა და ა.შ.

ამის პარალელურად, მსოფლიოში მიმდინარე გლობალური ეკონომიკის ფორმირების პროცესი, თავის მხრივ, ჩაკეტილიდან ღია ეკონომიკაზე გადასვლის აუცილებლობას განაპირობებს და, რაც, ბუნებრივია, შესაბამისი ინსტიტუციური რეფორმების გარეშე შეუძლებელი იყო.

ინსტიტუციური რეფორმების ეს მრავალმხრივი და ყოვლისმომცველი პროცესი ქვეყნის ეკონომიკური სტრატეგიის მაკროდონეზე გაანალიზებას მოითხოვს.

ინსტიტუციური რეფორმების ძირითადი მიმართულებები და პრიორიტეტები. პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის თანმხლები პროცესის – ინსტიტუციური გარდაქმნების ძირითადი მიმართულებები საქართველოს ეკონომიკური რეფორმების კონკრეტული მიზნებიდან გამომდინარეობდა და საბაზრო ეკონომიკის ფუძემდებლური პრინციპებით იყო განპირობებული.

მიუხედავად ამისა, საქართველოს ეკონომიკის კონვერსიის პირველსავე წლებში ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული მეთოდოლოგიური მიდგომა, რომელთაგან ერთი ემყარებოდა შეუზღუდავი ინდივიდუალიზმისა და მაქსიმალური ეკონომიკური თავისუფლების, ხოლო მეორე – ეკონომიკური წესრიგისა და

[1] **პაპავა ვ.** პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა. თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა", 2005, გვ. 47.

ეკონომიკური ზრდის პრიორიტეტებს.[2] პირველი პოზიციის ამოსავალი პრინციპი კერძო ინტერესების გაძლიერება და ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის მინიმიზაცია იყო, ხოლო მეორე პოზიცია უპირატესობას ეკონომიკური წესრიგის პრიორიტეტებს ანიჭებდა და აქცენტს მაკროსისტემის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მდგრადობაზე აკეთებდა.

როგორც ცნობილია, პირველი მიდგომა, რომელიც სათავეს, ჯერ კიდევ ადამ სმითიდან იღებს, ხანგრძლივი დროის განმავლობაში არსებობდა კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში და წინააღმდეგობებით სავსე ევოლუციური გზა განვლო. ამასთან, იგი არაადეკვატურია საბაზრო სისტემისათვის, რომელიც, თავისი არსითა და ბუნებით, განსხვავდება XX საუკუნის 40-იან წლებამდე დამკვიდრებულ, 150 წლის განმავლობაში „მთვლემარე“ მდგომარეობაში მყოფი კაპიტალისტური ეკონომიკური სისტემისაგან. თანამედროვე საბაზრო ეკონომიკაში კი ეფექტიანი ეკონომიკური სტრატეგიის ამოცანების შემუშავებასა და გადაწყვეტაში ყურადღება ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკასა (რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს: 1. კონკურენციის დაცვის პოლიტიკას; 2. სოციალური დაცვის პოლიტიკას) და ეკონომიკურ ზრდაზეა გამახვილებული. ამიტომ ინსტიტუციური რეფორმების განხორციელების ეს მიმართულება განსაკუთრებით გასათვალისწინებელი იყო საქართველოსთვის, ძველის ნანგრევებზე ახალი ეკონომიკური სისტემის მშენებლობის პროცესში.

ახალ ინსტიტუტებს უნდა უზრუნველყოთ საბაზრო ურთიერთობებისა და ბიზნესის განვითარებისთვის ჯანსაღი, სამართლებრივი და მარეგულირებელი გარემოს შექმნა. აქედან გამომდინარე, ერთ-ერთი უპირველესი პრიორიტეტი რეფორმის საკანონმდებლო-სამართლებრივ მხარეს უნდა მინიჭებოდა, რომელიც, თავის მხრივ, **ახალი ეკონომიკური სისტემის კონსტიტუციურ უზრუნველყოფასა და შესაბამის კანონთა სისტემის შექმნას გულისხმობდა.**

ინსტიტუციური რეფორმების შემდეგი ძირითად მიმართულებას **ადმინისტრაციული სტრუქტურებისა და ფუნქციების ტრანსფორმაცია, სახელმწიფო მმართველობის რადიკალური შეცვლა და საბაზრო პრინციპებთან მისადაგება, სახელმწიფოს მართვის ახალი სტრუქტურების (სასამართლო სისტემა, ანტიმონოპოლიური სამსახური, ბუნებრივი მონოპოლიების მარეგულირებელი კომისიები, სახელმწიფო ქონების მართვის ორგანო, გარემოს დაცვის სტრუქტურა და ა.შ.) ჩამოყალიბება წარმოადგენდა.**

ინსტიტუციური რეფორმების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება **საკუთრების განსახელმწიფოებრივებას (რასაც თან ახლავს კერძო საკუთრების ინსტიტუტის დამკვიდრება), მეწარმეობის განვითარებას, მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესის ხელშეწყობას, ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნას, ფერმერული მეურნეობის ჩამოყალიბებასა და ა.შ. გულისხმობდა.**

ინსტიტუციური რეფორმების შემადგენელი ნაწილი – **საბაზრო ინფრასტრუქტურის ფორმირება – საქონლისა და საფონდო ბირჟების, საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის შესაბამისი ინსტიტუტების, ახალი ფულად-საკრედიტო სისტემის, ბანკების, სადაზღვევო და საინვესტიციო კომპანიების, პროფკავშირთა და პენსიონერთა ფონდებისა და ა.შ. შექმნას მოითხოვდა.**

საქართველოში საბაზრო ურთიერთობების რთული სისტემის ფასეულობათა დამკვიდრება ქვეყანაში პოლიტიკური დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის, ისეთი სისტემური ტრანსფორმაციის განხორციელებას მოითხოვდა, რომელიც **ადამიანის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ თავისუფლებას, სოციალური პროგრამების შემუშავებასა და ეკონომიკისთვის სოციალური ორიენტაციის მიცემას, პო-**

---

[2] სუვერენული საქართველოს ეკონომიკის განვითარების კონცეფცია. ავტორთა კოლექტივის ხელმძღვანელი **გუნია ა.**, თბილისი, „მეცნიერება“, 1991; საქართველოს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კონცეფცია. ავტორთა კოლექტივის ხელმძღვანელი **პაპავა ვ.** თბილისი, 1991; **პაპავა გ.** საბაზრო ეკონომიკაზე საქართველოს გადასვლის საფუძვლები. თბილისი, 1991; **გუნია ა.** საბაზრო ურთიერთობათა მექანიზმის ფორმირების საკითხები. პრეპრინტი. თბილისი, 1991; **ჭითანავა ნ.** საბაზრო ეკონომიკის ფორმირების ორგანიზაციული პრობლემები. თბილისი, სესესპკი, 1993; **ასათიანი რ.** მომსახურება და საბაზრო სისტემა. თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1993 და ა.შ.

ლიტიკურად და ეკონომიკურად სამართლიანი ქვეყნის იმიჯის შექმნით ახალ მსოფლიო წესრიგში სათანადო ადგილის დამკვიდრებას უზრუნველყოფდა.

ცნობილია, რომ **განვითარებული საბაზრო ეკონომიკა არ წარმოადგენს ეკონომიკას წესების გარეშე**. ამ წესების დაცვა აუცილებელია ყველა იმ ქვეყნისათვის, რომლებიც მიზნად ასეთი ეკონომიკის შექმნას დაისახავს. ამიტომ, ბუნებრივია, ურთულესი ამოცანების წინაშე დადგა საქართველო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ და უკიდურესად გამწვავებული პოლიტიკური პროცესების ფონზე, მის კვალდაკვალ დაიწყო ეკონომიკის კონვერსია.

საკუთრების განსახელმწიფოებრივება როგორც პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ინსტიტუციური ბაზის ფორმირების საფუძველი. საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის უპირველეს ამოცანად საკუთრების განსახელმწიფოებრივება იქნა აღიარებული. ეს პროცესი, როგორც საკუთრების მრავალფორმიანობის დამკვიდრების გარანტი, ინსტიტუციური რეფორმების, შეიძლება ითქვას, ათვლის წერტილადაა მიჩნეული. თავის მხრივ, განსახელმწიფოებრივება, ქვეყნის პოლიტიკურ მექანიზმთან ერთად, ეკონომიკური ცხოვრების ყველა მხარისა და წესის რადიკალურ შეცვლას მოითხოვდა.

ერთი შეხედვით, ეს პრობლემა თითქმის არც ისე რთული იყო და იგი შეიძლება განხორციელებულიყო საწარმოთა გამოყვანით მმართველობის სახელმწიფო ორგანოების უშუალო დაქვემდებარებიდან და მათი გარდაქმნით კერძო საწარმოებად, აქციონერულ საზოგადოებებად, ამხანაგობებად და სხვა არასახელმწიფოებრივ სტრუქტურებად. მაგრამ, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ საქართველო მოუმზადებელი შეხვდა ამ მოულოდნელ, ქარტეხილივით მოვარდნილ პროცესებს და ამიტომ ადმინისტრაციულ-ცენტრალიზებული სისტემიდან საბაზრო სისტემაზე გარდამავალი პერიოდი მეტად მტკივნეულად წარიმართა. ღრმა პოლიტიკურმა კრიზისმა თავისი დაღი დაასვა ეკონომიკასაც. ჯერ კიდევ 1989-1990 წლებიდან საქართველოს ეკონომიკამ უდიდესი ვარდნა განიცადა, რაც გამოწვეული იყო როგორც შიგა, ისე გარე ნეგატიური ფაქტორებით. თუ 1989 წელს წარმოების ვარდნა 4,8%-ს შეადგენდა, 1990 წელს მან 12,4%-ს მიაღწია. მომდევნო წლებში კიდევ უფრო გაძლიერდა ეს პროცესი: 1991 წელს 20,6% შეადგინა, 1992 წელს – 44,8%, თუმცა, 1993 წლიდან იწყო კლება, ამ წელს იყო 25,4%, 1994 წელს – 11,3%, ხოლო 1995 წელს – 5%.[3]

მოუმზადებლად განხორციელებულმა ეკონომიკის შოკირებამ, რაც ეკონომიკის ლიბერალიზაციითა და, უპირველეს ყოვლისა, ფასების აშვებით გამოიხატა, კოლოსალურად გაზარდა ნაღდ ფულზე მოთხოვნა. გართულდა მოსახლეობის ფულადი შემოსავლების საქონლური უზრუნველყოფა. ამას მოჰყვა 1992 წელს საბჭოთა მანეთის მიწოდების შეწყვეტა, რითაც რუსეთმა, ფაქტობრივად, საქართველოს ეკონომიკის ბლოკირება მოახდინა და 1993 წლის აპრილიდან განაპირობა კუპონის, როგორც ფულის სუროგატის, მოუმზადებელი გამოშვება. დაიწყო დაუსაქონლებელი კუპონის სწრაფი გაუფასურება. ეს პროცესი კიდევ უფრო გააძლიერა 1993 წლის მეორე ნახევარსა და 1994 წლის პირველ ნახევარში კუპონის ზღვარგადასულმა ემისიამ. ამას დაემატა საკრედიტო ექსპანსია და ლიბერალური საკრედიტო პოლიტიკის გატარება, რამაც 1992-1994 წლებში ქვეყანა ჰიპერინფლაციამდე მიიყვანა.* პარალელურად მიმდინარეობდა სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის ზრდა, საგარეო-ეკონომიკური ბალანსის სტრუქტურის გაუარესება, საზღვარგარეთ კაპიტალის გადინების გადიდება, ოქროს რეზერვის შემცირება, იმპორტზე ქვეყნის შიგა მოთხოვნის ზრდა და ა.შ. საფუძველი ჩაეყარა ბიუჯეტის დეფიციტის ეროვნული ბანკის კრედიტით დაფინანსების არასასურველ პრაქტიკას. საქართველო თანდათან მოექცა საერთაშორისო ორგანიზაციების გავლენის ქვეშ. ამას მოჰყვა წარმოების ტემპების სწრაფი დაცემა, სასაქონლო დეფიციტის

[3] საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსთან არსებული სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის მასალები.

* ეს საკითხი ვრცლად განხილულია V თავში.

გამწვავება, სახელმწიფო სექტორის პარალიზება, უმუშევრობის სწრაფი ზრდა, აღრიცხვისა და კონტროლის, საანგარიშსწორებო დისციპლინის მოშლა და ა.შ. გარდა ამისა, საქართველოს ეკონომიკა პარალიზებული აღმოჩნდა იმ დამანგრეველი ზემოქმედებით, რომელიც გამოიწვია სამოქალაქო კონფლიქტებმა ე.წ. სამხრეთ ოსეთში (სამაჩაბლო), აფხაზეთში და სამოქალაქო ომმა დასავლეთ საქართველოში. სამხედრო ხარჯებმა კიდევ უფრო გაზარდა სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი. 1991-1992 წლებში იგი 2%-იდან 34%-მდე გაიზარდა. საქართველოში შეიქმნა დევნილთა მთელი არმია, რომელიც მძიმე ტვირთად დააწვა ეკონომიკას.

საქართველო ცნობილი გახდა ძლიერი ფარული ეკონომიკით. მაშინ როდესაც ფორმალური (არაფარული) ეკონომიკური სტრუქტურები კრახის წინაშე აღმოჩნდა, არაფორმალური, ფარული წარმოება და „შავი ბაზარი“ სწრაფად განვითარდა და, ფაქტობრივად, იტვირთა საარსებო საშუალებებით მოსახლეობის დაკმაყოფილების პრობლემის გადაჭრა.

ასეთ არასახარბიელო სასტარტო პირობებში საქართველოში დაიწყო საკუთრების განსახელმწიფოებრივებისა და, პირველ რიგში, პრივატიზაციის რთული პროცესი.

სოციალურ-ეკონომიკურ წინააღმდეგობათა მკვეთრად გამწვავების ფონზე, საქართველოს უხდებოდა კაცობრიობის ისტორიაში ისეთი უპრეცენდენტო პრობლემის გადაწყვეტა, რომელიც დაკავშირებული იყო მრავალ სირთულესთან და რომლის ანალოგიც არ მოიძებნებოდა მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიაში. სახელდობრ, პირველი, უნდა მომხდარიყო ქონების იმ უმეტესი ნაწილის განსახელმწიფოებრივება და, მითუმეტეს, პრივატიზაცია, რომელიც არასდროს არ ყოფილა კერძო საკუთრებაში და თავიდანვე სახელმწიფო საკუთრების სახით შეიქმნა; მეორე, პრივატიზებული ქონება უნდა გადაცემოდათ ისეთ სუბიექტებს, რომლებიც არასდროს არ ყოფილან კერძო მესაკუთრენი და რომლებსაც არ გააჩნდათ კერძო მეწარმეობის გამოცდილება და ჩვევები; მესამე, საზოგადოებაში არ არსებობდა ერთიანი შეხედულება პრივატიზაციის ფორმების, მეთოდებისა და ვადების შესახებ, არც შესაბამისი გამოცდილება.

პრივატიზაცია არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ უდიდესი პოლიტიკური აქტია, რომლის განხორციელებაზე მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, საბიუჯეტო ხარჯების შემცირება, მცირე ბიზნესის, როგორც საბაზრო ხვრელების შემავსებელი სეგმენტის, დამკვიდრება და ა.შ.

ესოდენ მასშტაბური და ქვეყნის მომავალი განვითარებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი პრობლემა ლოგიკურად სვამდა კითხვას: რამდენად სწორი იყო საზოგადოების მიერ საუკუნეების განმავლობაში შექმნილი და მილიონთა სიცოცხლის ფასად დაცული ეროვნული სიმდიდრის ხელაღებით დენაციონალიზაცია? ამასთან, პიროვნება, რომელიც ყოველგვარი შრომის გარეშე უსასყიდლოდ მიიღებდა სახელმწიფო ქონების წილს და გადაიქცეოდა მის მესაკუთრედ, როგორ გამოიყენებდა მას და რა წვლილს შეიტანდა ქვეყნის განვითარებაში? სახელმწიფო საკუთრების ასეთი უსამართლო განაწილების გამო, მომავალი თაობა ხომ არ დააყენებდა რევოლუციის გზით მისი ხელახალი გადანაწილების საკითხს, ამით საფუძველი ხომ არ ჩაეყრებოდა პერმანენტულ რევოლუციებს? ეს პროცესი ხომ თაობიდან თაობას გადაეცემოდა.

ერთი კი ცხადი იყო: საქართველოში საკუთრების განსახელმწიფოებრივება უნდა გატარებულიყო ისე, რომ შესაძლებელი ყოფილიყო საკუთრების პლურალიზმის (საკუთრების მრავაფორმიანობის, მისი თითოეული ფორმის თანაბარი უფლებით) დამყარება, რაც ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკის განხორციელების საფუძველია.

საქართველოში 1991 წლის 15 სექტემბერს მიღებული კანონის საფუძველზე, ქვეყანაში არსებული მთელი ქონება საქართველოს საკუთრებად გამოცხადდა, დაიწყო განსახელმწიფოებრივების პროცესის ეტაპობრივი განხორციელება.

ეს იყო უაღრესად რთული, წინააღმდეგობებით სავსე პერიოდი. მძიმე კრიმინოგენურმა ვითარებამ და საომარმა მოქმედებებმა, მრეწველობისა და ტრანსპორტის პარალიზებამ, მწვავე ენერგეტიკულმა კრიზისმა და სხვა ნეგატიურმა პროცესებმა უარყოფითი

გავლენა მოახდინა პრივატიზაციის ისედაც რთულ პროცესზე, რამაც თავი იჩინა იმ დარღვევებისა და ნაკლოვანებების სახით, რაც დაშვებულ იქნა ამ პერიოდში.

პრივატიზაციის პრაქტიკულ განხორციელებამდე მოსამზადებელი სამუშაოები ჩატარდა. 1991 წლის 9 აგვისტოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი „სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის შესახებ“. პრივატიზაციის ფორმებად ძირითადად განისაზღვრა აუქციონი და კონკურსი. საქართველოს მინისტრთა კაბინეტმა 1992 წლის 18 იანვარს მიიღო დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ.“ 1992 წლის ნოემბერში შეიქმნა განსახელმწიფოებრივების განხორციელების ერთიანი ორგანო სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს სახით. მას წინ უძღოდა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მიერ პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცება. იგი ითვალისწინებდა: სახელმწიფო საკუთრების სხვა ფორმებად გარდაქმნას, კერძო საკუთრების დამკვიდრებასა და კერძო მესაკუთრეთა ფენის ჩამოყალიბებას, მცირე ბიზნესის განვითარებას, კონკურენციული გარემოს შექმნას, უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, არარენტაბელური საწარმოების დიდი ნაწილის პრივატიზებით სახელმწიფო ბიუჯეტის განთავისუფლებას სუბსიდირებისაგან, საწარმოთა რესტრუქტურიზაციასა და ა.შ.

კერძო სექტორის ჩამოყალიბების **პირველი ეტაპი,** მცირე პრივატიზაცია, პირველ ყოვლისა, 1992 წლიდან მცირე საწარმოებით, მათ შორის მცირე ჰესების გაყიდვით დაიწყო და, ფაქტობრივად, 1995 წელს დამთავრდა. პრივატიზებულ იქნა 14 მცირე ჰესი: სიონი, ტირიფონი, მისაქციელი, იგოეთი, დმანისი, ხერთვისი, კახარეთი, საცხენისი, ჩითახევი, დაშბაში, ბუჟა, კაბალა, მარტყოფი, თეთრიხევი. მათი საერთო სიმძლავრე იმ დროს შეადგენდა მთლიანი ენერგოსისტემის 20%-ს, გამომუშავებული ელექტროენერგია – 1,85%-ს, ხოლო ძირითადი კაპიტალის ღირებულება – 1%-ს.[4]

მიწის პრივატიზაციაც ეკონომიკური რეფორმის პირველ ეტაპზე, 1992 წლიდან დაიწყო. უკვე 1992-1998 წლებში სოფლის მოსახლეობას უსასყიდლოდ გადაეცა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მიწების 55%, რაც დარეგულირდა საქართველოს კანონით „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“*.

მცირე პრივატიზაცია, გარდა საქენერგოს სისტემისა, ძირითადად მოიცავდა მომსახურების სფეროს შემდეგ დარგებს: ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და საზოგადოებრივი კვების მცირე საწარმოებს. იგი აგრეთვე განხორციელდა ჯანდაცვის სფეროშიც.

კერძო სექტორის ჩამოყალიბების I ეტაპის დასასრულს – 1996 წლის I კვარტალისათვის საპრივატიზაციოდ დამტკიცებული მცირე საწარმოების 89% გადავიდა კერძო საკუთრებაში. სახელდობრ, ვაჭრობაში 2980 საპრივატიზაციო ობიექტიდან პრივატიზებულ იქნა 2884, საყოფაცხოვრებო მომსახურებასა და საზოგადოებრივ კვებაში – 2997-დან 2667. გარდა ამისა, პრივატიზებული იქნა ჯანდაცვაში – 646-დან 343, საქენერგოს სისტემაში – 30-დან 23, ბენზინგასამართ სადგურებში – 163-დან 163 ობიექტი და ა.შ. სულ 1996 წლისათვის მომსახურების სფეროს 6865 ობიექტიდან პრივატიზებული იყო 5983, მაშინ როდესაც მრეწველობაში, სოფლის მეურნეობასა და მშენებლობაში ერთად აღებული 913 საპრივატიზაციო ობიექტიდან პრივატიზებულ იქნა 545.[5] ამასთან, საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1994 წლის 29 მაისის ბრძანებულების საფუძველზე ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების პრივატიზაცია ძირითადად მოხდა საბალანსო ღირებულებით, პირდაპირი მიყიდვის წესით, ე.წ. შრომით კოლექტივებზე.

---

[4] **თავაძე გ., ჩომახიძე დ., ქავთარაძე ი., მენაბდე დ.** ენერგეტიკის რეგულირება: თეორია და პრაქტიკა. თბილისი, „დანი“, 2006, გვ. 193-194.

* გარდა ამისა, მიწაზე საკუთრებით ურთიერთობებს არეგულირებს საქართველოს კანონი „სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის შესახებ“, საქართველოს კანონი „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ“.

[5] საქართველოს სახელმწიფო ქონების პრივატიზების საკითხები. თბილისი, 1996, გვ. 16.

ცნობილია, რომ რეალურ სექტორთან შედარებით, მომსახურების სფეროს დარგები უფრო იზიდავს ბიზნესს, ვინაიდან გაცილებით მომგებიანია. ამიტომ მათი გაყიდვა თავისუფლად შეიძლებოდა საბაზრო ფასით აუქციონისა და კონკურსის წესით.

სახელმწიფო ქონების ერთი და იმავე მესაკუთრეთა ფორმირების პირობებში, საქართველომ დაკარგა უზარმაზარი თანხა, რომელიც ჰაერივით სჭირდებოდა ქვეყნის ეკონომიკას. რატომ აღმოჩნდა ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და საზოგადოებრივი კვების მუშაკები პრიორიტეტულ მდგომარეობაში? გროშებად ჩავუგდეთ ხელში სახელმწიფო ქონება, თანაც მივეცით უფლება ამ ქონების ღირებულების 50-დან 65%-მდე ნაღდი ფორმით გადახდის, ხოლო შემდეგ საზოგადოებისგან ჩალის ფასად ნაყიდი ვაუჩერებით მისი დაფარვის შესაძლებლობა. მოკლედ, ასეთი „ჰუმანური“ ნაბიჯით დროებით ამხანაგობებს პირდაპირი მიყიდვის წესით გადაეცათ აღნიშნული ქონება მიზერულ ფასში, მაგრამ ამის პარალელურად უყურადღებოდ დარჩა ინტელიგენცია – მეცნიერები, პედაგოგები, ექიმები, ხელოვნებისა და კულტურის მუშაკები, რომლებიც შემდეგ, ცხოვრების დონის უკიდურესი დაცემის გამო, აღმოჩნდნენ უმძიმეს მდგომარეობაში. ჩალის ფასად მოხდა აგრეთვე იმ საწარმოების გაყიდვაც, რომელთა 1990-1991 წლებში გამოსასყიდი ფიქსირებული თანხა 1992-1993 წლების ჰიპერინფლაციის პერიოდში სიმბოლურ თანხად იქცა. ასეთი იყო, დაახლოებით, 250-300 უმნიშვნელოვანესი საწარმო.[6]

სახელმწიფო ქონების პრივატიზაციას უნდა გაეფართოვებინა საგადასახადო ბაზა და, შესაბამისად, შეევსო სახელმწიფო ბიუჯეტი. ქვეყანაში არსებულმა გამოუყენებელმა შრომითმა პოტენციალმა, რომელიც ტვირთად დააწვა ეკონომიკას, გაზარდა ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობა. ამასთან, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების მეთოდები აბსოლუტურად მოუქნელი იყო, რაც ხელს უშლიდა პრივატიზაციის დემოკრატიული გზით წარმართვას.

საკუთრების განსახელმწიფოებრივების **მეორე ეტაპი** 1996 წლის გაზაფხულიდან დაიწყო. იგი მასობრივ პრივატიზაციას მოიცავდა, რაც მოსახლეობაში 30 დოლარის ეკვივალენტის ნომინალური ღირებულების ვაუჩერების გავრცელებაში გამოიხატა. ვაუჩერიზაციამ გარკვეულწილად დააჩქარა პრივატიზაციის პროცესი, ვინაიდან, დაბალი მოთხოვნის პირობებში, მოსახლეობისათვის სახელმწიფო ქონების უსასყიდლოდ გადაცემის შესაძლებლობა შეიქმნა, მაგრამ იმდენად მიზერული იყო ეს თანხა, რომ მან თავისი როლი ვერ შეასრულა. ამ გზით მოსახლეობა მესაკუთრე ვერ გახდა. ამასთან, სულ დარიგდა 4264541 ვაუჩერი ანუ დაკმაყოფილდა მოსახლეობის 83,6%, ხოლო 16,4%-მა, სხვადასხვა მიზეზის გამო, ვერ მიიღო კუთვნილი ვაუჩერი.

მოსახლეობას თავისუფლად შეეძლო გაეყიდა საკუთარი საპრივატიზაციო ბარათები, მაგრამ სწრაფი ინფლაციური პროცესების გავლენით ვაუჩერების ფაქტობრივი ღირებულება 8-ჯერ და მეტად შემცირდა, ხოლო მათი საბაზრო ფასი 4-5 ლარამდე დაეცა. ამ პერიოდში 40-ზე მეტი საბარათო აუქციონი ჩატარდა. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, პრივატიზაციის პროცესში ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორები თანაბარი უფლებებით სარგებლობენ, უცხოელმა ინვესტორებმა „ვაუჩერიზაციის“ პროცესში შეიძინეს პრივატიზებული ქონების დაახლოებით 20%.[7] ამასთან, რიგი მოქალაქეების მიერ თავიანთი ვაუჩერების გაყიდვის გზით სახელმწიფო საკუთრების მნიშვნელოვანი ნაწილის კონცენტრაცია მოხდა ნომენკლატურის ხელში[8]. ვაუჩერების დაახლოებით 70%-ის მეშვეობით სახელმწიფო ქონება ხელში ჩაიგდო მოსახლეობის მხოლოდ 1%-მა.[9]

---

[6] **ბასილია თ., სილაგაძე ა., ჩიკვაიძე თ.** პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია. საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. თბილისი, 2001, გვ. 256-257.

[7] იქვე, გვ. 259-260.

[8] **ასათიანი რ.** საქართველოს ეკონომიკა. ახალი ეპოქა. ნაწილი I. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2009, გვ. 98.

[9] **არჩვაძე ი.** რა ფერისაა მილიარდი? თბილისი, „მერკური“, 2002, გვ. 32.

მასობრივ პრივატიზაციას წინ უძღოდა საშუალო და მსხვილ საწარმოთა აქციონირების პროცესი. 1998 წლის 1 იანვრისთვის უკვე აქციონირებული იყო 1121 საწარმო, ანუ აქციონერულ საზოგადოებად გარდასაქმნელ ობიექტთა 86,8%. ამასთან, მათი უმეტესი ნაწილი შეიქმნა სოფლის მეურნეობასა და კვების მრეწველობაში (28,5%), მშენებლობაში (19,2%), მრეწველობის სხვა დარგებში (15,6%), ხოლო დარჩენილი 36,7% – მომსახურების სფეროს მსხვილ ობიექტებში.[10]

„დიდი პრივატიზაცია" შეეხო აგრეთვე პურპროდუქტების სისტემას, რომლის საწარმოებში ეტაპობრივად განხორციელდა ფართომასშტაბიანი განსახელმწიფოებრივება. გარდა ამისა, იგი შეეხო ჯანდაცვის სფეროსაც. „დიდი პრივატიზაცია" განხორციელდა პირდაპირი მიყიდვის, კონკურსისა და აუქციონის ფორმით.

განსახელმწიფოებრივება შეეხო საბანკო სისტემასაც, ერთიარუსიანი შეიცვალა ჯერ სამიარუსიანი, ხოლო შემდეგ, ორიარუსიანი საბანკო სისტემით. 1995-1996 წლებში განხორციელდა შემდეგი ბანკების – „ბინსოცბანკის", „ექსიმბანკის", „ინდუსტრიაბანკის", „შემნახველი ბანკისა" და „აგრობანკის" აქციონირება, შესაბამისად, აქციონერულ საზოგადოებებად ჩამოყალიბდნენ: „საქართველოს ბანკი", „აგრობანკი" და სამი ბანკის – „ექსიმბანკის", „ინდუსტრიაბანკის" და „შემნახველი ბანკის" ბაზაზე – „გაერთიანებული ქართული ბანკი". პრივატიზაცია-რესტრუქტურიზაცია განხორციელდა ენერგეტიკის, კავშირგაბმულობისა და ტრანსპორტის სფეროებშიც.

საქართველომ მემკვიდრეობით მიიღო ენერგეტიკის ვერტიკალურად ინტეგრირებული სახელმწიფო სტრუქტურები: ელექტროენერგეტიკაში – „საქენერგო", ხოლო ბუნებრივი გაზით მომარაგების სექტორში – „საქგაზი". ამ სტრუქტურებმა ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის პირველ წლებში ვერ გაართვეს თავი ენერგეტიკით ქვეყნის უზრუნველყოფის ვალდებულებას. აუცილებელი გახდა რესტრუქტურიზაციის განხორციელება. 1996 წლის 4 ივლისის საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების – „ელექტროენერგეტიკული სექტორის რესტრუქტურიზაციის შესახებ" – საფუძველზე „საქენერგოს" ბაზაზე ჩამოყალიბდა სამი დამოუკიდებელი სექტორი: 1. გენერაციის, 2. ელექტროგადაცემის, 3. დისპეჩერიზაციისა და რეალიზაციის სექტორები. რაც შეეხება ელექტროენერგიის გამანაწილებელ კომპანიებს, ისინი, ჯერ კიდევ, 1994 წელს გადავიდნენ მუნიციპალურ მმართველობაში. აქციონერულ საზოგადოებებად გარდაიქმნენ გენერაციისა და დისტრიბუციის სექტორებში შემავალი საწარმოები.

ენერგეტიკაში 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან განხორციელდა ძირეული ცვლილებები. საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 5 ივლისის ბრძანებულებით დამტკიცდა ქვეყნის ენერგოსისტემის პრივატიზაციის სტრატეგია. „საქენერგო" და „საქგაზი" დანაწევრდა დამოუკიდებელ საწარმოებად და გაემიჯნათ ფუნქციები. შეიქმნა ელექტროენერგეტიკის მარეგულირებელი კომისია, რომელსაც დაევალა ელექტროენერგიის საბითუმო და საცალო ტარიფების რეგულირება. 1997 წლის 1 აგვისტოს „ელექტროენერგეტიკის შესახებ" საქართველოს კანონის მიღების საფუძველზე ჩამოყალიბდა საქართველოს ელექტროენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია, რომელიც როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი, გამოსცემდა ელექტროენერგეტიკის ნორმატიულ აქტებს. 1999 წლის აპრილში აღნიშნულ კანონში შევიდა ცვლილებები, რის საფუძველზეც მას ეწოდა საქართველოს კანონი „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ", ხოლო კომისიას – საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია. 2007 წლის 20 ნოემბრის „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ" საქართველოს კანონში კიდევ შეტანილ იქნა ცვლილებები. კომისიას დაემატა წყალმომარაგების რეგულირების ფუნქცია, რის გამოც მას ამჟამად ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია ეწოდება.

პირველი მსხვილი ენერგეტიკული ობიექტი, რომლის პრივატიზაციაც განხორციელდა, იყო „თელასი". მისი აქციების საკონტროლო პაკეტი (75%) 1998 წელს 25,0 მლნ დოლარად

[10] საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მონაცემები.

შეისყიდა ამერიკულმა კომპანია „AES“-მა („ეი-ი-ეს“-მა). 1999-2000 წლებში კომპანია „ეი-ი-ეს“-ს, შეთანხმების საფუძველზე, მართვის 25-წლიანი უფლებით გადაეცა ჰიდროელექტროსადგურები „ხრამი-1“ და „ხრამი-2“, ასევე, თბილსრესის მე-9 და მე-10 ენერგობლოკები, რომელთა მიმართ მან აიღო ვალდებულება მათი რეაბილიტაციისათვის დონორი ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი კრედიტების (დარიცხულ პროცენტებთან ერთად) – 135 მლნ ლარის დაფარვის შესახებ. ამასთან, მართვის უფლებისთვის კომპანიამ გადაიხადა, შესაბამისად, 2,5 და 3,5 მლნ დოლარი.[11]

2001 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, საქართველოს ენერგეტიკის დარგში კომპანია „ეი-ი-ეს“-ის მიერ ჩადებული იყო 555 მლნ ლარი, ხოლო 1999-2002 წლებში გადასახადების სახით სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილ იქნა 89152 ათასი ლარი.[12] 2001 წლის 1 ივნისის მდგომარეობით, საქართველოში სულ პრივატიზებული იყო 35 დიდი და მცირე ელექტროსადგური. 2002 წელს ამერიკულმა კომპანია „ეი-ი-ეს“-მა თავისი აქტივები მიჰყიდა რუსულ კომპანია „РАОЕЭС“-ს. ამჟამად ძირითადად მის საკუთრებაშია „თელასი“, ჰიდროელექტროსადგური „ხრამი-1“, თბილსრესის მე-9 და მე-10 ენერგობლოკები. ეს უკანასკნელი 2011 წელს აფეთქდა და გამოვიდა მწყობრიდან, ხოლო „ხრამი-2“ გადავიდა „РАОЕЭС“-ის საკუთრებაში.

საქართველოში 2006 წლიდან დაიწყო განსახელმწიფოებრივების **მესამე ეტაპი.** 2006 წლის 12 მაისს „გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია“ 90 მლნ დოლარად შეიძინა ყაზახურმა ბანკმა „TuranAlen“-მა. ამასთან, ამ ბანკმა, რომლის აქტივები 5,5 მლრდ დოლარია, განახორციელა თბილისში ყოფილი სასტუმრო „ივერიის“, ამჟამად – „რედისონის“ რეკონსტრუქცია. იგი, ასევე, 21 სასტუმროს მფლობელია აჭარაში.[13]

გასაყიდად გამოტანილ იქნა ენერგეტიკის შემდეგი ობიექტები: სადისტრიბუციო კომპანიები: აჭარის ენერგოკომპანია, საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია, კახეთის სადისტრიბუციო ენერგოკომპანია, ლაჯანურჰესი, რიონჰესი, გუმათჰესი, შაორჰესი, ძევრულჰესი და აწჰესი. საპრივატიზაციო კონკურსში მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 8 კომპანიამ. 2007 წლის 3 ივლისს ტენდერში გაიმარჯვა ჩეხურმა კომპანია "Energo-Pro"-მ, რომელმაც შეისყიდა ყველა საპრივატიზაციო ობიექტი, გარდა კახეთის სადისტრიბუციო ენერგოკომპანიისა. ეს უკანასკნელი შეიძინა ქართულმა კომპანია TBC+Energj-მ, რომელმაც საწყის ფასზე 2,5-ჯერ მეტი გადაიხადა და თანხამ 5,1 მლნ დოლარი შეადგინა. ჩეხური კომპანია "Energo-Pro"-ს საკუთრებაში 32 მლნ დოლარად ოფიციალურად გადავიდა საქართველოს გაერთიანებული ენერგოკომპანიის და აჭარის სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის აქტივები, რაც ქვეყნის ენერგოგამანაწილებელი ქსელის 60%-ზე მეტს შეადგენს, აგრეთვე 6 ჰიდროელექტროსადგური, რომელთა საერთო სიმძლავრე 350 მეგავატზე მეტია. ამჟამად ეს კომპანია ფუნქციონირებს „ენერგო-პროჯორჯიას“ სახელწოდებით.

2007 წლის 5 იანვარს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული კომპანია „Stemcor“-ის ფილიალმა – „საქართველოს მანგანუმმა“ 57 მლნ დოლარად იყიდა „ვარციხეჰესი“, ხოლო 20 მლნ დოლარად – „ჭიათურმანგანუმი“. „Stemcor“-ის საკუთრებაშია ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა. „საქართველოს მანგანუმმა“ ვალდებულება აიღო დააბანდოს 100 მლნ დოლარის ინვესტიცია და მანგანუმის წლიური მოპოვება გაზარდოს არსებული 200 ათასი ტონიდან 300 ათას ტონამდე, ხოლო მინიმუმ 200 ათასი ტონა მოპოვებული მანგანუმი გადაამუშაოს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში.[14]

---

[11] **თავაძე გ., ჩომახიძე დ., ქავთარაძე ი., მენაბდე დ.** ენერგეტიკის რეგულირება: თეორია და პრაქტიკა. თბ., „დანი“, 2006, გვ. 195.

[12] საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მონაცემები.

[13] მნიშვნელოვანი ეკონომიკური მოვლენები. „საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები“. კვარტალური მიმოხილვა. GEPLAC, ივნისი, 2006, გვ. 13.

[14] მნიშვნელოვანი ეკონომიკური მოვლენები. „საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები“. კვარტალური მიმოხილვა. GEPLAC, აპრილი, 2007, გვ. 9.

2007 წლის 30 ივლისს ბათუმის აეროპორტი 20 წლით მართვის უფლებით, საინვესტიციო პროგრამით გადაეცა თურქულ კომპანია "TAV Batumi Operation"-ს, რომელმაც მართვის უფლების სანაცვლოდ სიმბოლურად ერთი დოლარი გადაიხადა. სამაგიეროდ მას დაევალა ბათუმის აეროპორტის დავალიანების დაფარვა, თუმცა, აეროპორტის მთელი საქმიანობიდან მიღებული მოგება კომპანიას დარჩება. აეროპორტის მშენებლობაში კომპანიამ 28,5 მლნ დოლარის ინვესტიცია განახორციელა. ამავე კომპანიამ ააშენა თბილისის საერთაშორისო აეროპორტიც.[15]

ყაზახურმა სახელმწიფო კომპანია – "KazMunaiCas"-მა 2008 წლის 6 თებერვალს "Greenoak Group"-ისგან იყიდა ბათუმის ნავთობტერმინალი და საზღვაო პორტი. ამ უკანასკნელმა კი 1996 წელს შეიძინა ბათუმის ნავთობტერმინალი, ხოლო 1999 წელს – ბათუმის საზღვაო პორტი.

2008 წლის 29 ოქტომბერს თბილისის წყალმომარაგების კომპანია „თბილისის წყალი“ 85,662 მლნ დოლარად შეიძინა შვეიცარიულმა კომპანია „Multiplex Solutions“-მა. საპრივატიზაციო პაკეტში ასევე წარმოდგენილი იყო ჟინვალჰესი, მცხეთის წყლით მომარაგების სისტემა და გარდაბნის კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობები. ტენდერში გამარჯვებულმა შვეიცარიულმა კომპანიამ პირობა დადო, რომ წყლის განაწილების ქსელის რეაბილიტაციაში განახორციელებს 350 მლნ დოლარის ინვესტიციას და წყლის ტარიფებს არ გაზრდის მომდევნო ორი წლის მანძილზე.[16]

2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოში პრივატიზებული ობიექტებიდან მოქმედია 39103 საწარმო, აქედან, მცირეა – 31852, საშუალო – 3705, მსხვილი – 1911, 1635 ობიექტის სიდიდე ჯერჯერობით დაუდგენელია.[17]

პრივატიზაციიდან მიღებული თანხებით საგრძნობლად გაიზარდა საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები. სახელდობრ, თუ 2003 წელს იგი შეადგენდა 23,6 მლნ ლარს, 2004 წელს შეადგინა 72,6 მლნ ლარი, 2005 წელს – 419,4, 2006 წელს – 564,9 2007 წელს – 643,8, ხოლო 2008 წელს – 551,0 მლნ ლარი, მაშინ როდესაც ეს მაჩვენებელი 2001 წელს შეადგენდა 5,6 მლნ ლარს, ხოლო 2002 წელს – 8,7 მლნ ლარს.[18]

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებმა არაერთხელ მისცა მთავრობას რეკომენდაცია, რომ პრივატიზაციიდან შემოსული თანხების დაბანდება რეალურ სექტორში მომხდარიყო, მაინც ძირითადად ძველებური მეთოდებით ხორციელდება ამ თანხების ხარჯვა. პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლები ძირითადად სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების ძირითად წყაროდ იქცა.[19]

საქართველოში საკუთრების სხვადასხვა ფორმით განსახელმწიფოებრივების განხორციელებას, მათ შორის, პრივატიზაციის სწორად ჩატარებას, ეკონომიკის რეფორმირების ნებისმიერ ეტაპზე სერიოზულად აფერხებდა არაჯანსაღი გარემო, რაც გამოიხატა კორუფციის ფართო მასშტაბებით, ქვეყნის თავისებურებების ნაკლებად გათვალისწინებით, სახელმწიფოებრივი მიდგომის დაბალი დონითა და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში საკუთრების უფლება აღიარებული და გარანტირებულია კონსტიტუციით, რამდენიმე ფაქტი კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ხელყოფასთან დაკავშირებით განსჯის საგანი გახდა როგორც საქართველოს, ისე

---

[15] მნიშვნელოვანი ეკონომიკური მოვლენები. „საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები“. კვარტალური მიმოხილვა. GEPLAC. ოქტომბერი, 2007, გვ. 9.

[16] მნიშვნელოვანი ეკონომიკური მოვლენები. „საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები“. კვარტალური მიმოხილვა. GEPLAC. თებერვალი, 2008, გვ. 12.

[17] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალები; www.geostat.ge/?action=page&p_id=118&lang=geo

[18] საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული – 2008. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი. თბილისი, 2008, გვ. 148.

[19] **პავლიაშვილი ს.** პრივატიზაციის ფენომენი და პრობლემები საქართველოში. თბილისი, „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2009, გვ. 111.

ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციების (“Human Rights Watch-ისა და სხვათა) მიერ.[20]

სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისათვის არ არის მიზანშეწონილი სახელმწიფო საკუთრების სრული ტრანსფორმაცია. ნაწილობრივი პრივატიზაციის, შერეული მეწარმეობის დასავლეთში აპრობირებული ფორმა საქართველოს ეკონომიკის განვითარების ორგანული ნაწილი უნდა გახდეს.

დღეისათვის საქართველოში წილობრივი მონაწილეობით ფუნქციონირებს 1400-მდე საწარმო, რომელთა თითქმის 70% მედიცინის, განათლებისა და კულტურის სფეროდანაა, თუმცა, ამ საწარმოთა უმეტესობის ეკონომიკური ეფექტიანობა დაბალია.

ბოლო წლებში, საქართველოში მეცნიერულად დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე, „აბა ახლა რა გავყიდოთ“ პრინციპზე აგებულმა საკუთრების განსახელმწიფოებრივების თავაშვებულმა პროცესმა არ დაინდო სტრატეგიული მნიშვნელობის ბევრი ობიექტი. საზოგადოება უძლური აღმოჩნდა შეეჩერებინა ეს პროცესი. ამ მხრივ, სახელმწიფოს პოლიტიკურ ნებას გადამწყვეტი როლი ენიჭება ინსტიტუციური რეფორმების ცივილიზებული ფორმით წარმართვაში.

მეწარმეობის ახალი ტიპის ფორმირება. სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოებრივების გზით საკუთრების მრავალფორმიანობის დამკვიდრებამ საფუძველი ჩაუყარა მეწარმეობის ახალი ტიპის ფორმირებას საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ ახალშემოღებული საკუთრების სხვადასხვა ფორმა არ იყო განმტკიცებული ჯანსაღი კანონმდებლობით, რაც არათანაბარ პირობებში აყენებდა ეკონომიკურ სუბიექტებს და გარკვეულ ბარიერებს უქმნიდა მეწარმეობის განვითარებას. ყოველივე ეს კი ხელს უშლიდა ქვეყანაში საკუთრების პლურალიზმის დამკვიდრებას. არადა, საბაზრო ეკონომიკა ექვემდებარება განსაზღვრულ კანონზომიერებებს, რომელთა დაუცველობა ქვეყნის მიერ არჩეული სტრატეგიული კურსიდან გადახვევას ნიშნავს.

ეკონომიკური თავისუფლება, პირველ ყოვლისა, თავისუფალ მეწარმეობასთან ასოცირდება. ეს უკანასკნელი ნიშნავს იმას, რომ მეწარმეობის ფორმების შერჩევა სახელმწიფოს მიერ კი არ უნდა იყოს დეტერმინირებული, არამედ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური თავისებურებებიდან გამომდინარე კანონმდებლობის საფუძველზე. კანონი უნდა იცავდეს მეწარმეობას და ხელს უწყობდეს მის განვითარებას.

საქართველოს გადასვლა ახალ ეკონომიკურ სისტემაზე, ისე როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში, მოითხოვდა ახალი ტიპის მეწარმეობის ფორმირება-განვითარებისათვის აუცილებელი ისეთი პრინციპების შემუშავებასა და რეალიზაციას, როგორებიცაა: კონკურენციის განვითარება, სამეწარმეო საქმიანობაში არჩევანის თავისუფლება, შრომის მოტივაციის ეფექტიანი მექანიზმის შექმნა, თავისუფალი ფასწარმოქმნის სისტემის დამკვიდრება, კერძო და საზოგადოებრივი ინტერესების შერწყმის მოქნილი მექანიზმის ჩამოყალიბება, ეკონომიკაში სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის განსაზღვრა და ა.შ. ეს ობიექტურ აუცილებლობას წარმოადგენდა და საბაზრო ეკონომიკის იმანენტური თავისებურებებიდან გამომდინარეობდა.

ჯანსაღი საბაზრო ურთიერთობებით გაჯერებული თანამედროვე ბაზარი (რაც საშუალო ფენის ჩამოყალიბებისა და საზოგადოების სოციალური დაცვის საფუძველია) აღიარებულია ცივილიზაციის უდიდეს მონაპოვრად, რაც კაცობრიობამ თავისი არსებობის მანძილზე შეიმუშავა და ამიტომაც იყო, რომ საქართველომ ქვეყნის განვითარების სტრატეგიულ მიმართულებად სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა დაისახა მიზნად.

სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის ჰარმონიულობის მიღწევის რთული ამოცანის წინაშე დადგა საქართველო სახელმწიფოებრიობის აღდგენის პირველი წლებიდანვე. ქვეყანაში „მეწარმეობის შესახებ კანონის“, სხვა საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების სა-

[20] **პავლიაშვილი ს.** პრივატიზაციის ფენომენი და პრობლემები საქართველოში. თბილისი, „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2009, გვ. 140.

ფუძველზე, შეფერხებებითა და ნელა, მაგრამ მაინც ჩამოყალიბდა სამეწარმეო საქმიანობის ისეთი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები, როგორიცაა: ინდივიდუალური და ერთპიროვნული მეწარმეობა, პარტნიორობა (ამხანაგობა) და კორპორაცია (აქციონერთა საზოგადოება, სახელმწიფო საწარმო).

მეწარმეობის ამ ფორმების ჩამოყალიბებით საქართველოში, ფაქტობრივად, შეიქმნა მეწარმეობის ახალი ტიპი, რომელმაც საფუძველი დაუდო ქვეყანაში საბაზრო სისტემისთვის დამახასიათებელი შერეული ეკონომიკის ფორმირებას. მაგრამ არასტაბილურმა სამეწარმეო და საინვესტიციო გარემომ, ფაქტობრივად, **დათრგუნულმა მონოპოლიურმა ბაზარმა**, მრავალ სხვა ფაქტორთან ერთად, მათი სუსტი განვითარება განაპირობა.

2001 წელს საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოიკვლია ქვეყანაში მეწარმეობის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორები, რომლებიც რანჟირებულ იქნა შემდეგნაირად: პირველი რიგის ფაქტორები: საგადასახადო სისტემის მოუწესრიგებლობა, კორუფცია სახელმწიფო სტრუქტურებში; მეორე რიგის ფაქტორები: ხელისუფლების მხრივ ადგილობრივი მეწარმეების ინტერესების დაუცველობა, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის დაუსაქმებლობა; მესამე რიგის ფაქტორები: ენერგეტიკული კრიზისი, მმართველობისა და კონტროლის ორგანოების ბიზნესში ზედმეტად ჩარევა, საბანკო სისტემის არასაიმედოობა. ამ ფაქტორებს შეიძლება დაემატოს სახელმწიფო რეკეტი, ხელისუფლების მხრიდან ადგილობრივი წარმოების განადგურება და უცხოური საქონლის იმპორტის ხელშეწყობა, კონტრაბანდისთვის მწვანე შუქის მიცემა, რაც გამოიხატებოდა განუბაჟებელი საქონლის შემოტანით, ბაზრის გაჯერებით იაფფასიანი პროდუქციითა და ა.შ.

გარდა ამისა, საქართველოში მეწარმეობის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორებიდან შეიძლება დავასახელოთ მენეჯმენტის დაბალი დონე, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის სისტემის არარსებობა, ინვესტიციების სამართლებრივი დაცვის დაბალი ხარისხი, ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა, საგადასახადო კულტურისა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის დაბალი დონე და ა.შ.

საქართველოში მეწარმეობის განვითარებას, მეტ-ნაკლები ზომით, ეკონომიკის რეფორმირების ნებისმიერ ეტაპზე, დიდ პრობლემებს უქმნიდა არასტაბილური საგადასახადო სისტემა. განუწყვეტელი ცვლილებები და დამატებები საგადასახადო კანონმდებლობაში გარკვეულწილად ხელს უწყობდა ეკონომიკური საქმიანობის მაჩვენებლების მიხედვით საწარმოთა გეგმების შეუსრულებლობას, გადასახადების გადახდის დაგვიანებისთვის სანქციების დაწესებას, რასაც ზოგჯერ განაპირობებდა ინსტრუქციების წინა რიცხვით ძალაში შესვლა და ა.შ. მოკლედ, ავტორიტარული მმართველობის სისტემის არსებობამ (და არა ევროპულმა), დაღი დაასვა სამეწარმეო საქმიანობის განვითარებას საქართველოში, უარყოფითი გავლენა მოახდინა ძირითად მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებსა და, აქედან გამომდინარე, ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე.

„ინსტიტუციური მიბმის“ კონცეფცია და საქართველო. საქართველოში ეკონომიკის ინსტიტუციონალიზაციის კანონზომიერი პროცესი თავიდანვე წარიმართა გარკვეული თავისებურებებით, რაც აისახა კიდეც მის ძირითად მიმართულებებში. ამ მეტად რთულ და წინააღმდეგობებით სავსე პროცესზე გარკვეული გავლენა მოახდინა წარსულის მემკვიდრეობამ, რაც გამოიხატა ავტორიტარულ და ბიუროკრატულ სახელმწიფო ადმინისტრირებაში, მსოფლიოში აპრობირებული სამართლიანი ეკონომიკური ქცევის დეფიციტში.

უკანასკნელ პერიოდამდე საქართველოს ინსტიტუციური გარემო ძალიან ჰგავდა რუსეთისას. ამჟამად სიტუაცია შეიცვალა. საქართველო ცდილობს გადავიდეს დასავლური ინსტიტუციური მოწყობის მოდელზე. ინსტიტუციური სივრცეების შექმნა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ქვეყნებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის გაფართოებასა და გაღრმავებას. თანამედროვე პირობებში აშშ და ევროკავშირი ცდილობენ თავიანთი ინსტი-

ტუციური მოდელი დანერგონ და, აქედან გამომდინარე, შესაბამისი გარემო შექმნან სხვა ქვეყნებში, მათ შორის ტრანზიტულ ქვეყნებშიც, რათა ამით ხელი შეუწყონ ამ ქვეყნებში ღია ეკონომიკის რეალურად ჩამოყალიბებასა და ინტეგრაციული პროცესების განვითარებას. დღეს ევროკავშირის ბაზარი ყველაზე ორგანიზებულია მსოფლიოში. ამიტომ საქართველოს ინსტიტუციური გარემოც ევროკავშირზეა ორიენტირებული.

თანამედროვე პირობებში ქვეყნის ინსტიტუციური განვითარება, როგორც დემოკრატიზაციისა და ეკონომიკური საქმიანობის წესების, ეკონომიკური წესრიგის ჩამოყალიბების გამოხატულება, ეყრდნობა „ინსტიტუციური მიბმის“ კონცეფციას და აქცენტს აკეთებს სტაბილური და ქმედითი ინსტიტუტების მოდელზე. ამ პროცესის ორიენტირად საქართველოს ხელისუფლებამ ევროკავშირის კანონმდებლობა აირჩია, რაც 1996 წელს დაფიქსირდა პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებაში და საბოლოოდ დადასტურდა 2004 წელს ევროპის სამეზობლო პოლიტიკასთან საქართველოს მიერთებით. ჯერ კიდევ 1997 წლის სექტემბერში საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება, რომლის თანახმადაც „საქართველოს პარლამენტის მიერ 1998 წლის პირველი სექტემბრიდან მიღებული ყველა კანონი და ნორმატიული აქტი უნდა შეესაბამებოდეს ევროკავშირის მიერ დაწესებულ სტანდარტებსა და წესებს.“ ამ დადგენილების ამოქმედება შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს საკანონმდებლო სისტემის ევროკავშირის საკანონმდებლო სისტემასთან დაახლოების მიმართულებით გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯად.[21]

დღეს საქართველოს ინსტიტუციური განვითარების გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევის პროცესი ახლოსაა *გერშენკრონის კონვერგენციის თეორიასთან*, რომელიც „ჩამორჩენილობის უპირატესობის“ სახელითაა ცნობილი. „ლოგიკურია, ისეთმა ქვეყანამ, როგორიც საქართველოა, ინსტიტუციური განვითარება ნულიდან კი არ უნდა დაიწყოს, არამედ ევროკავშირის გამოცდილება გამოიყენოს... ევროკავშირი ქვეყნების ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული ნაკრებია მსოფლიოში, რომელსაც მაღალი ეკონომიკური და სოციალური მწარმოებლურობა ახასიათებს.“[22] მართლაც, განვითარებული ქვეყნების ინოვაციების იმიტირება, რომელიც თავისთავად არ იძლევა ინსტიტუციური რეფორმების განხორციელების საშუალებას, ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკას ნაკლები დანახარჯებით მაღალი უკუგების მიღებასა და ბიზნესგარემოს გაჯანსაღებაში. ამასთან, ინსტიტუციური განვითარება, როგორც ეკონომიკური ქცევის ფორმალური წესებისა და ფარული ნორმების ერთობლიობა (დუგლას ნორთი), ურთულესი პროცესია, რომელსაც ისეთი სპეციალური საკომუნიკაციო არხების მობილიზება სჭირდება, როგორიც არასამთავრობო ორგანიზაციებია.

საქართველოში მეწარმეობის დიდი ტრადიციები, არსებული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაცია პრივატიზაციისადმი საკუთარ (ეროვნულ) მიდგომას მოითხოვს. ილია ჭავჭავაძე წერდა: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას?“[23] ამათ გარეშე ჩვენ „ჩვენ“ არ ვიქნებით და მათი მარადიული დაცვა თითოეული ჩვენგანის წმინდათა წმინდა ვალია – დასძენდა წმინდა ილია მართალი.

საკუთრების განსახელმწიფოებრიობის პროცესში გასათვალისწინებელია ეროვნული ფასეულობები, ეროვნულ თვითმყოფადობაზე დაფუძნებული საზოგადოებრივი ინტერესები და ქვეყნის განვითარების თავისებურებები, ბუნებრივია, ევროპის განვითარებული ქვეყნების გამოცდილებაც, „ევროპის... მმართველობა და გამგებლობა ქვეყნისა, ევროპის წესი და რიგი“ (ილია ჭავჭავაძე).

---

[21] მნიშვნელოვანი ეკონომიკური მოვლენები. „საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები“. კვარტალური მიმოხილვა. GEPLAC. თებერვალი, 2008, გვ. 12.

[22] **სამსონი ი.** განვითარების გზების ძიება: საქართველოს ამოცანები. „საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები“. კვარტალური მიმოხილვა. GEPLAC. მარტი, 2006, გვ 89.

[23] **ჭავჭავაძე ი.** თხზ. ტ. III, გვ. 26–27.

აღსანიშნავია ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება: ცივილიზებულ სამყაროში ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ქვეყნის რესურსული პოტენციალის რაციონალურ გამოყენებას ენიჭება. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მაგალითს, რომელიც საყურადღებოა საქართველოსთვის.

ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების თვალსაჩინო ნიმუშია ნორვეგია, რომელმაც გასული საუკუნის 60-იან წლებში აღმოაჩინა ნავთობის საბადო ჩრდილოეთის ზღვაში. 1963 წელს მან მიიღო კანონი, რომლის საფუძველზეც ნავთობის მარაგები გამოცხადდა სახელმწიფო საკუთრებად. 1990 წელს ნორვეგიაში შეიქმნა სახელმწიფო ნავთობის ფონდი, რომელსაც **მომავალი თაობების ფონდი** ეწოდა. ნორვეგიელები თვლიან, რომ არა აქვთ უფლება მთლიანად მოიხმარონ ნავთობიდან მიღებული შემოსავალი, ვინაიდან იგი მომავალ თაობებსაც ეკუთვნის. ამიტომ ნორვეგიაში, კანონის თანახმად, მიმდინარე სახელმწიფო ხარჯებზე მოდის ფონდის მხოლოდ 4%, დანარჩენი კი ინახება თაობების ფონდში, რომლის დაგროვებამ უკვე საკმაოდ სოლიდურ თანხას მიაღწია. მაგალითად, დანაზოგმა 2005 წელს 182 მლრდ დოლარი შეადგინა. იგი განთავსებულია საზღვარგარეთის ფასიან ქაღალდებში და, აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის არა მხოლოდ ეკონომიკურ ზრდაში, არამედ მთლიანად ეკონომიკურ განვითარებაშიც. ნორვეგია რომ დღეს მსოფლიოში ერთ-ერთი კონკურენტუნარიანი ქვეყანაა, ამაში ლომის წილი მეცნიერებატევადი დარგების განვითარებას მიუძღვის, რაც მრავალი სხვა პრობლემის, მათ შორის სოციალური პრობლემის გადაჭრის გასაღებიცაა. ამრიგად, „მომუშავე“ დანაზოგები, რომელიც, ეროვნულ მოტივთან ერთად, მაღალ ეკონომიკურ ეფექტიანობაზეცაა გათვლილი, ნორვეგიის სწრაფი ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზაა.

საქართველოში სავსებით საწინააღმდეგო სურათია. ყველაფერი იყიდება, მათ შორის ბუნებრივი რესურსებიც, ყოველგვარი სამომავლო შესაძლებლობების თუ უარყოფითი გარე ეფექტების გაუთვალისწინებლად, რასაც არაფერი აქვს საერთო ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებასთან. საქართველოში პრივატიზაცია ქვეყნის ხაზინის შევსების მნიშვნელოვან წყაროდ იქცა, ინფლაცია კი შთანთქავს მშპ-ის გარკვეულ ნაწილს, იზრდება უმუშევრობა, ღატაკდება მოსახლეობა, დაბალშემოსავლიან ადამიანთა რაოდენობამ 2,4 მლნ-ს მიაღწია. სამაგიეროდ, სსფ-ის მისიის აზრით, საქართველომ წარმატებით შეასრულა სიღარიბის დაძლევის პროგრამა. ალბათ, ასეთი არაადეკვატური დასკვნების გაკეთებას საფუძვლად უდევს არაჯანსაღი ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები. ყველას უნდა გვახსოვდეს უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის სიტყვები: **„შეიძლება ერი მცირე იყოს, შეიძლება სახელმწიფო არ იყოს დიდი, მაგრამ სოციალურად ძლიერი იყოს და დაძლიოს ის გაჭირვება და ავბედითობა, რომელიც შეხვდება მას ისტორიის მანძილზე. აი, სწორედ ასეთი ერია ჩვენი ერი და ასეთი სახელმწიფოა საქართველო: მან ყველა გაჭირვება და ავბედითობა დასძლია და ღვთის მადლით, კვლავაც დაძლევს. იგი იარსებებს, სანამ არსებობს დედამიწა.“**[24]

გვახსოვდეს, ღმერთმა მიწისგან შექმნა ადამიანი და ისევ მიწას უბრუნებს. ქრისტიანულ რელიგიას ჰეგელი ზნეობის რელიგიას უწოდებს, ხოლო ქრისტიანული ზნეობის უმაღლესი პრინციპია ადამიანის მიერ ადამიანის დახმარება. გვიყვარდეს ერთმანეთი და საქართველო აყვავდება.

[24] საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხების შესახებ. თბილისი, „გეოკერია“, 2004, გვ. 90.

IV თავი

საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემა

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველოში დაწყებული ეკონომიკის კონვერსია, ბუნებრივია, სახელმწიფო ფინანსებსაც შეეხო. გარდამავალ პერიოდში საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემამ ფორმირებისა და განვითარების რთული და მრავალეტაპიანი გზა განვლო. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ, საწყის ეტაპზე შექმნილი მძიმე ეკონომიკური კრიზისის გამო, ვერ ხერხდებოდა გადასახადების სრულად ამოღება და წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენა. ამ პერიოდში ძირითადად გამოიყენებოდა დირექტიული ეკონომიკის პირობებში მოქმედი საგადასახადო კანონები, რომლებიც არ იყო თავსებადი საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებთან და, შესაბამისად, ვერ ხერხდებოდა საგადასახადო შემოსავლების სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტებში მობილიზება.

საგადასახადო სისტემა. 1993 წლის მიწურულს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტმა მიიღო საგადასახადო სისტემის ფორმირების კანონთა პაკეტი, რომლის მთავარი მიზანი იყო ქვეყანაში სამეწარმეო საქმიანობის სტიმულირება და სახელმწიფო ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლების მობილიზება. ამით დამოუკიდებელ საქართველოში საფუძველი ჩაეყარა საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბებას, შემუშავდა საგადასახადო სისტემის ფორმირების ზოგადი პრინციპები, შეიქმნა გადასახადების, მოსაკრებლებისა და სახელმწიფო ბაჟის ფორმირების მეთოდოლოგიური და მეთოდური საფუძვლები. „საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ“ სახელმწიფო კანონი საფუძვლად დაედო „საგადასახადო სამსახურის შესახებ“, „დამატებული ღირებულების გადასახადის შესახებ“, „აქციზის შესახებ“, „საწარმოთა მოგების (შემოსავლის) გადასახადის შესახებ“, „ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადის შესახებ“ და „საწარმოთა ქონების გადასახადის შესახებ“ კანონების მიღებას.

საქართველოს საგადასახადო სისტემის ფორმირებისა და განვითარების მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენდა 1997 წელს ქვეყნის პარლამენტის მიერ პირველი საგადასახადო კოდექსის მიღება, რომელმაც სამართლებრივად განსაზღვრა გადასახადების დაწესების, შეცვლის, გაუქმებისა და აკრეფის წესი, დაადგინა საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადების სახეები, ჩამოაყალიბა გადასახადების ადმინისტრირების წესები, საგადასახადო სამსახურების სტატუსი, სტრუქტურა და ა.შ.[1]

შეიძლება ითქვას, რომ 2004 წლამდე საქართველოს საგადასახადო სისტემაში განხორციელებულმა რეფორმებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქვეყანაში არსებული მწვავე კრიზისის შემსუბუქებასა და ეკონომიკური ზრდის ტენდენციის ფორმირებაში, თუმცა, მათ ვერ უზრუნველყვეს საბიუჯეტო სფეროში არსებული კრიზისული მდგომარეობის დაძლევა. საჭირო იყო საგადასახადო სისტემის გამარტივება, საგადასახადო ტვირთის შემსუბუქება, ეკონომიკური ზრდის სტიმულირების მექანიზმების შექმნა და ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ზრდა. ამ აუცილებლობებით იყო მნიშვნელოვანწილად ნაკარნახევი 2003 წლის მიწურულს განხორციელებული „ვარდების რევოლუციით“ ცნობილი პოლიტიკური ცვლილებები.

[1] საქართველოს საგადასახადო კოდექსი. თბილისი, 1997.

საქართველოს პარლამენტმა 2004 წლის ბოლოს მიიღო ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელმაც განსაზღვრა საგადასახადო სისტემის სტრუქტურა, ფუნქციონირების მექანიზმები, გადასახადის სახეები, მათი გამოანგარიშებისა და გადახდის წესი, საგადასახადო ორგანოებისა და გადასახადის გადამხდელების ვალდებულებები და პასუხისმგებლობა და ა.შ. ახალი საგადასახადო კოდექსის მიხედვით, გადასახადების რაოდენობა 22-დან 7-მდე შემცირდა. შემცირდა საგადასახადო განაკვეთები: საშემოსავლო გადასახადი 20-დან 12%-მდე, დღგ – 20-დან 18%-მდე, ხოლო სოციალური გადასახადი – 33-დან 20%-მდე. 2008 წლიდან საწარმოების მოგების გადასახადმა 20-დან 15%-მდე დაიკლო, ხოლო სოციალური გადასახადი, რომელსაც დამქირავებელი იხდიდა და საშემოსავლო გადასახადი, რომელსაც დაქირავებული იხდიდა, გაერთიანდა ახალ საშემოსავლო გადასახადად, რომლის განაკვეთი 25% გახდა, ხოლო 2009 წლიდან 20%-მდე შემცირდა.[2]

2005 წელს მიღებულ იქნა ახალი საბაჟო კოდექსი, რომელმაც გაამარტივა საბაჟო პროცედურები ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად. 2006 წელს საბაჟო გადასახადის განაკვეთი მნიშვნელოვნად შემცირდა. საგადასახადო და საბაჟო სამსახურებში განხორციელდა რეფორმები. გადასახადების ნებაყოფლობითი გადახდის მაჩვენებელი გაიზარდა და მიუხედავად გადასახადების განაკვეთების და რაოდენობის შემცირებისა, მათმა გამართულმა ადმინისტრირებამ განაპირობა მთლიანი საგადასახადო შემოსავლების ზრდა. 2005 წელს საგადასახადო შემოსავლები 27%-ით აღემატებოდა 2004 წლის შესაბამის მაჩვენებელს და 90%-ით – 2003 წლის მაჩვენებელს.

საბაჟო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს ბიზნესგარემოს მნიშვნელოვანი გაუმჯობესება წარმოადგენდა. 2005 წელს შეიქმნა ახალი საბაჟო კოდექსი. იგი შესაბამისობაში იქნა მოყვანილი ევროკავშირის საბაჟო კანონმდებლობასთან. დაინერგა გამარტივებული საბაჟო პროცედურები და წესები. საგადასახადო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებებით საბაჟო ტარიფების განაკვეთების რაოდენობა 16-დან 3-მდე შემცირდა. ასევე, 2006 წელს საბაჟო დეპარტამენტის მიერ, ფინანსური პოლიციის, იურიდიული და ფინანსური პოლიტიკის დეპარტამენტების მონაწილეობით, მომზადდა ახალი საბაჟო კოდექსის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები. საქართველოს მიერ ადმინისტრაციული და ფინანსური ბარიერების შემცირების მხრივ გახორციელებული ცვლილებები სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ შეფასდა როგორც ბიზნესგარემოს გაუმჯობესებისკენ მიმართული წარმატებული ნაბიჯები. 2005-2006 წლებში მომზადდა და გადამუშავდა კანონპროექტები "სახელმწიფო საექსპერტიზო მოსაკრებლების შესახებ" და "სახელმწიფო სერტიფიკატის მოსაკრებლის შესახებ." ასევე აღსანიშნავია, რომ 2006 წელს "საბაჟო მოსაკრებლის შესახებ" კანონში შესული ცვლილებების საფუძველზე, პროპორციული მოსაკრებლის განაკვეთი შეიცვალა ფიქსირებულით, აგრეთვე საბაჟო მოსაკრებლისგან განთავისუფლდა საქონლის ტრანზიტი, ექსპორტი და რეექსპორტი. კანონში "მეწარმეთა შესახებ" და საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებების თანახმად, საწარმოთა რეგისტრაციის პროცედურა მთლიანად საგადასახადო ინსპექციების კომპეტენციაში გადავიდა. ადრე საწარმოს დარეგისტრირებისთვის მეწარმეს ორ ინსტანციაში – სასამართლოსა და საგადასახადო ინსპექციაში უწევდა მისვლა, ახლა კი მთელი პროცედურა საგადასახადო სამსახურში სრულდება „ერთი ფანჯრის" პრინციპით.

საგადასახადო დეპარტამენტი ახორციელებდა თანმიმდევრულ და მრავალმხრივ პოლიტიკას აუდიტის და გადასახადის გადამხდელთა მომსახურების ხარისხის, ასევე, გადასახადების ადმინისტრირების გაუმჯობესების მხრივ. გადასახადების ადმინისტრირების კუთხით განსაკუთრებული ყურადღება ვადაგადაცილებული დავალიანებების შემცირებაზე გამახვილდა. ანალიზის მეთოდების გაუმჯობესებასთან ერთად, დაინერგა კონტროლის

[2] საქართველოს საგადასახადო კოდექსი. თბილისი, 2005.

ახალი მექანიზმები, მათ შორის სტატისტიკური ფორმები. შედეგად, 2006 წელს ვადაგადაცილებული დავალიანების მქონე გადასახადის გადამხდელებისგან 500 მლნ ლარზე მეტის ამოღება მოხერხდა. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა გადამხდელთა მომსახურებაც, რაც უმთავრესად მომსახურების ელექტრონული ფორმების დანერგვის შედეგად იქნა მიღწეული. საგადასახადო დეპარტამენტის სტრუქტურულ დანაყოფთა უმეტესობა აღიჭურვა სათანადო ტექნიკითა და პროგრამული უზრუნველყოფით.

შეიქმნა და ამოქმედდა სისტემა, რომელიც გადასახადების გადამხდელებს აქტიურ, პოტენციურად აქტიურ და არააქტიურ კატეგორიად ჰყოფს. გადასახადის გადამხდელთა ხელახალი რეგისტრაციის მიმდინარე პროცესმა პირველ ეტაპზე აქტიური გადამხდელები მოიცვა. ამ პროცესის მეშვეობით მნიშვნელოვნად გაიზარდა ჯერ აქტიური, ხოლო შემდეგ არააქტიური გადამხდელების რაოდენობა, რომლებმაც ხელახალი რეგისტრაცია ახალი წესების მიხედვით გაიარეს.

შეიქმნა საგადასახადო ვებ-გვერდი, რომელიც საგადასახადო კოდექსის, „მეწარმეთა შესახებ კანონისა“ და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მუხლების განმარტებით საძიებელთან ერთად, მოიცავს აქტუალური ხასიათის კითხვა-პასუხების (500-ზე მეტი) ბანკს. შემუშავდა გადასახადის გადამხდელის ერთიანი ელექტრონული ფაილის კონცეფციის ფარგლებში ფინანსთა სამინისტროს ქვედანაყოფების მონაცემთა ბაზებიდან მონაცემთა ცენტრალურ სანახში ინფორმაციის თავმოყრისთვის ერთიანი მონაცემთა ბაზების ლოგიკური სტრუქტურა და არქიტექტურა. დასრულდა ბიუჯეტის შედგენის მოდულის, ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვითი ნაწილის კლასიფიკატორების ავტომატიზებულად შექმნის, შევსებისა და ერთმანეთთან დაკავშირების ქვესისტემის შემუშავება. შეიქმნა ბიუჯეტის ვერსიების მომზადების, რედაქტირებისა და მართვის მოდულები, განხორციელდა ბიუჯეტის მართვის სისტემის ინტეგრაცია სახაზინო სამსახურის საინფორმაციო სისტემასთან.

საგადასახადო დეპარტამენტში დაიდგა ახალი სერვერი და განახლდა სამომხმარებლო ტერმინალები. სამუშაო პროცესის ავტომატიზების სფეროში გახორციელდა შემდეგი ცვლილებები:

- შეიქმნა გადასახადის გადამხდელთა სახელმწიფო და საგადასახადო აღრიცხვის მოდელი;
- ჩატარდა სამუშაოები იუსტიციის სამინისტროს მოქალაქეთა სახელმწიფო რეესტრის კომპიუტერული ინტეგრაციის საკითხებზე;
- დაინერგა გადასახადის გადამხდელთა სახელმწიფო საგადასახადო რეგისტრაციის მონაცემთა დამუშავების ახალი კომპუტერული პროგრამა;
- გადასახადების დეკლარირების პროცესის ხელშეწყობის მიზნით შემუშავდა და დეპარტამენტის ვებ-გვერდზე განთავსდა ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადში საგადასახადო ვალდებულების განმსაზღვრავი კომპუტერული პროგრამა "კალკულატორი";
- დაინერგა ფიზიკური პირის გადასახადის გადამხდელად საგადასახადო აღრიცხვაზე დაყენების ავტომატიზებული სისტემა;
- ამოქმედდა ფიზიკურ პირთა ქონების და მოგების გადასახადის წლიური დეკლარაციის მონაცემთა დამუშავების კომპიუტერული პროგრამა;
- ვებ-ტექნოლოგიების გამოყენებით შემუშავდა პროგრამა, რომლის მეშვეობითაც გადასახადის გადამხდელს შესაძლებლობა აქვს გაეცნოს საკუთარ იდენტიფიცირებულ მონაცემებს, მათ შორის ანგარიშ-ფაქტურების ინვენტარიზაციის სტატუსს;
- დაინერგა საგადასახადო ინფორმაციის ელექტრონული მატარებლებით სისტემაში შეტანის ტექნოლოგია.

ამ პროგრესული ცვლილებების მიუხედავად, დღის წესრიგში დადგა საგადასახადო რეფორმის ჩატარების აუცილებლობა და 2010 წლის დასასრულს მიღებულ იქნა ახალი

საგადასახადო კოდექსი.[3] ამ უკანასკნელმა არსებითად შეცვალა ქვეყნის საგადასახადო სისტემა. იგი წარმოადგენს გადამხდელის კანონიერი ინტერესებისა და უფლებების დაცვის გარანტსა და გადამხდელზე დაკისრებული ვალდებულებების პირნათლად შესრულების აუცილებელ წინაპირობას (ახალი საგადასახადო კოდექსი და მისგან გამომდინარე დებულებები ძალაში შევიდა 2011 წლის 1 იანვრიდან). კოდექსის თანახმად გამარტივდა გადასახადების გაანგარიშების მეთოდოლოგია და საგადასახადო ადმინისტრირების ტექნოლოგია. საქართველოს კანონმდებლობით მოქმედებს შემდეგი გადასახადები და საგადასახადო განაკვეთები:

საშემოსავლო გადასახადი. საგადასახადო განაკვეთი 2011-2013 წწ.-ში დარჩება დასაბეგრი შემოსავლის 20%, 2014 წლიდან დაგეგმილია 18%, დივიდენდი, შესაბამისად, 2011-2013 წწ.-ში – 5%, 2014 წლიდან – 3%.

საშემოსავლო გადასახადის სპეციალური დაბეგვრის რეჟიმები ვრცელდება: მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირებზე და მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკურ პირებზე. მიკრობიზნესის სტატუსი ენიჭება ფიზიკურ პირს, რომელიც არ იყენებს დაქირავებულ შრომას და დამოუკიდებლად ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, რომლიდანაც მის მიერ მისაღები ჯამური წლიური ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 30 ათას ლარს. *მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი არ იხდის საშემოსავლო გადასახადს.*

მცირე ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს მეწარმე ფიზიკურ პირს, რომლის მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული ერთობლივი წლიური შემოსავალი არ აღემატება 100 ათას ლარს. *მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 5- და 3-პროცენტიანი განაკვეთით.* მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 3%-ით იმ შემთხვევაში, თუ მეწარმე ფიზიკური პირი წარმოადგენს ერთობლივი შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული 60%-ის ოდენობის ხარჯების დამადასტურებელ დოკუმენტებს, ანდა საქმიანობს მხოლოდ სპეციალური სავაჭრო ზონების ტერიტორიაზე. *სხვა დანარჩენ შემთხვევაში მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავლის საგადასახადო განაკვეთი შეადგენს 5%-ს.*

მოგების გადასახადი. საგადასახადო განაკვეთია დასაბეგრი მოგების 15%, „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ხელშეკრულებების განხორციელების შედეგად ნავთობისა და გაზის ოპერაციებით მიღებული მოგების გადასახადი – 10% (თუ ეს ხელშეკრულებები დადებულია 1998 წლის 1 იანვრამდე).

დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) განაკვეთია დასაბეგრი ბრუნვის (დასაბეგრი ოპერაციების თანხის ჯამი) ან დასაბეგრი იმპორტის თანხის 18 %. საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული დასაბეგრი ოპერაციები (საქონლის ექსპორტი, უცხოეთის დიპლომატიურ წარმომადგენლობათა ოფიციალური სარგებლობისათვის საქონლის/მომსახურების მიწოდება, საერთაშორისო გადაზიდვების მომსახურების მიწოდება, საქართველოს ეროვნული ბანკისათვის ოქროს მიწოდება, ტუროპერატორული მომსახურება, თბოელექტროსადგურებისათვის ბუნებრივი აირის მიწოდება, უბაჟო ვაჭრობის პუნქტში საქონლისა და კვების მომსახურების მიწოდება) იბეგრება ნულოვანი განაკვეთით.

აქციზი. აქციზური საქონლის ერთი ნაწილი (მაგ., სპირტიანი სასმელები, ლუდი, მსუბუქი ავტომობილები, სიგარეტი, ნავთობპროდუქტები) იბეგრება დიფერენცირებული განაკვეთებით, მეორე ნაწილი (შავი და ფერადი ლითონების ჯართის ექსპორტი) – 120 ლარით 1 ტონაზე, ხოლო მესამე ნაწილი – მობილური საკომუნიკაციო მომსახურების განაკვეთი დასაბეგრი ოპერაციის თანხის 10%-ს შეადგენს.

იმპორტზე გადასახადი. საგადასახადო კოდექსის 197 მუხლის 1 პუნქტით განსაზღვრული საქონლის საბაჟო ღირებულება იბეგრება 12%-ით, მე-2 პუნქტით – 5%-ით, მე-3 პუნქტით – დიფერენცირებული განაკვეთებით. დანარჩენი სახის საქონელი იბეგრება 0-ოვანი განაკვეთით. 12%-იანი გადასახადით იბეგრება იმპორტირებული პროდუქციის საკმაოდ დი-

[3] საქართველოს საგადასახადო კოდექსი. თბილისი, 2010.

დი ნაწილი, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების პროდუქტები (ფრინველისა და საქონლის ხორცი, თაფლი, კარტოფილი, პომიდორი, ხახვი, კიტრი, ბოსტნეული, ბანანი, ციტრუსი, ყურძენი, ვაშლი, ჩაი, ხორბლის ფქვილი, შაქრის ჭარხალი და ა.შ.) და სხვ. 12-პროცენტიან დაბეგვრას ექვემდებარება ძირითადად იმ პროდუქტების ჩამონათვალი, რომელთა ანალოგების წარმოება შესაძლებელია საქართველოში. ასეთი მაღალი საგადასახადო განაკვეთების დაწესება გამომდინარეობს სახელმწიფო პოლიტიკიდან, რომლის მიზანია ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვა და ადგილობრივი წარმოებისათვის ხელსაყრელი კონკურენტული გარემოს შექმნა.

იმპორტზე გადასახადის 5-პროცენტიანი განაკვეთით იბეგრება იმპორტირებული საქონლის შედარებით მცირე ჩამონათვალი, რომელთა შორის შეიძლება აღინიშნოს შემდეგი: ღორის ხორცი, ყველი და ხაჭო, საპონი, პლასტმასის ძაფები და ფილები, რეზერვუარი, საკანცელარიო და სასკოლო ნივთები, ტანსაცმელი და ა.შ.

გარდა სატარიფო ღირებულებისა, იმპორტის გადასახადით დაბეგვრის ბაზად შეიძლება გამოყენებულ იქნეს წარმოებული მაჩვენებლები. მაგალითად, სპირტიანი სასმელები იბეგრება არა მათი სატარიფო ღირებულების ან ფიზიკური მოცულობის მიხედვით, არამედ შემდეგი წარმოებული სიდიდის გათვალისწინებით: ყოველ იმპორტირებულ 100 ლიტრ საქონელზე იმპორტის გადასახადის თანხა გაიანგარიშება იმპორტის გადასახადის განაკვეთის გამრავლებით მოცემულ საქონელში ალკოჰოლის პროცენტულ შემცველობაზე. ამგვარ პროდუქციას განეკუთვნება ცქრიალა და ტკბილი ღვინოები, ეთილის სპირტი, ვისკი, რომი, არაყი, ლიქიორი, ძმარი და სხვ.

გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება მსუბუქი ავტომობილების იმპორტის დაბეგვრა. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის სასაქონლო პოზიციაში აღნიშნული მსუბუქი ავტომობილის იმპორტის გადასახადია 0,05 ლარი ავტომობილის ძრავის ყოველ კუბურ სანტიმეტრზე დამატებული იმპორტის გადასახადის თანხის 5% ავტომობილის ექსპლუატაციაში ყოფნის ყოველი წლისათვის. რაც უფრო ამორტიზირებულია ავტოტრანსპორტი, მით უფრო მაღალია მისი იმპორტის გადასახადი.

ქონების გადასახადი. იგი ადგილობრივი გადასახადია და საწარმოს/ორგანიზაციის დასაბეგრი ქონების (გარდა მიწისა) ღირებულების არაუმეტეს 1%-ა. ფიზიკური პირის დასაბეგრ ქონებაზე (გარდა მიწისა) საგადასახადო წლის განმავლობაში ქონების გადასახადი შეადგენს: 40-დან 100 ათ. ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის – დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ 0,05%-ის და არაუმეტეს 0,2%-სა; 100 ათ. ლარის და მეტი შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის – დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ 0,8%-ის და არაუმეტეს 1%-სა.

მიწაზე ქონების გადასახადის ერთიანი განაკვეთი არ არსებობს. იგი გამოიანგარიშება სხვადასხვა სახის მიწებისათვის დადგენილი წესით. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის განაკვეთი გაიანგარიშება შემდეგნაირად: წლიურ საბაზისო განაკვეთს 1 ჰა-ზე ადგენს მთავრობა. მისი სიდიდე სათიბებისა და საძოვრებისათვის მერყეობს 1,5 ლარიდან 20 ლარამდე. სხვა მიწებისათვის – ტერიტორიული ერთეულებისა და მიწის ხარისხის მიხედვით ქონების გადასახადი განსაზღვრულია 50-დან 100 ლარამდე. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს უფლება აქვს დაადგინოს მიწაზე ქონების გადასახადი, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წლიური საბაზისო განაკვეთის 150%-ს.

განსხვავებულია არასასოფლო-სამეურნეო მიწაზე ქონების გადასახადის სიდიდის დადგენის წესი. საბაზისო განაკვეთად დადგენილია წელიწადში 0,24 ლარი ერთ კვ. მეტრზე. ეს სიდიდე მრავლდება ტერიტორიულ კოეფიციენტზე, რომელსაც ადგენენ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოები კონკრეტული მიწის ნაკვეთი-

სათვის, მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობის გათვალისწინებით. ამასთან, ტერიტორიული კოეფიციენტი არ შეიძლება იყოს საბაზისო კოეფიციენტზე 1,5-ჯერ მეტი.

ქონების გადასახადის განაკვეთი საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის არ აღემატება დასაბეგრი ქონების ღირებულების 1%-ს. დასაბეგრი ქონების ღირებულება არის საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულება. იგი წარმოადგენს კალენდარული წლის დასაწყისისა და ბოლოსათვის აქტივების საშუალო სიდიდეს. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, დასაბეგრი ქონების ღირებულების საშუალო სიდიდე უნდა გაიზარდოს შემდეგნაირად:

- 2000 წლამდე მიღებული აქტივები – 3-ჯერ;
- 2000 წლიდან 2004 წლამდე მიღებული აქტივები – 2-ჯერ;
- 2004 წელს მიღებული აქტივები – 1,5-ჯერ;
- იმ აქტივებზე, რომელთა მიღების შესახებ ინფორმაცია არ არსებობს, საშუალო წლიური ღირებულება უნდა გაიზარდოს 3-ჯერ.

გარკვეული სპეციფიკით იბეგრება აგრეთვე საწარმოებისათვის ლიზინგით გაცემული ქონება. მათი ქონების გადასახადით დაბეგვრის მიზნით გაიანგარიშება აქტივების საშუალო წლიური საბალანსო ღირებულება, რომელიც იბეგრება 1%-ის ოდენობით.

ახალმა საგადასახადო კოდექსმა არსებითად შეცვალა ქვეყნის საგადასახადო სისტემა. იგი წარმოადგენს გადამხდელის კანონიერი ინტერესებისა და უფლებების დაცვის გარანტსა და გადამხდელზე დაკისრებული ვალდებულებების პირნათლად შესრულების აუცილებელ წინაპირობას. საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულია:

- მცირე ბიზნესისათვის გამარტივებული საგადასახადო რეგულირების შემოღება. დადგინდა საგადასახადო შეღავათები - ბრუნვის 3% ან 5%; გადამხდელი უფლებამოსილია აწარმოოს გამარტივებული ბუღალტერია;
- საგადასახადო ომბუდსმენის ინსტიტუტის შემოღება გადამხდელის ინტერესებისა და უფლებების წარმოდგენისა და დაცვისათვის, ასევე, დარღვეული უფლებების აღდგენისათვის. თუ გადასახადის გადამხდელის ქმედება გამოწვეულია შეცდომით (არცოდნით) და მიზნად არ ისახავს გადასახადების გადახდისაგან თავის არიდებას, გადამხდელი შესაძლებელია გათავისუფლდეს სანქციისაგან (პრინციპი - GOOD FAITH - „პატიოსნება“);
- პატიოსანი გადამხდელის კატეგორიის დამკვიდრება. შემოსავლების სამსახური მოტივაციას უქმნის პატიოსან გადამხდელებს და ახალისებს სხვადასხვა დამატებითი მომსახურებით (შეღავათებით), როგორიცაა, მაგ., "ოქროს სია";
- წინასწარი გადაწყვეტილების მიღება. გადამხდელს უფლება ენიჭება წინასწარ შეათანხმოს „თამაშის წესები“ და დაბეგვრის პირობები შემოსავლების სამსახურთან;
- პირადი საგადასახადო აგენტის აყვანა. აგენტი იცავს გადამხდელის ინტერესებს შემოსავლების სამსახურში, უწევს მას კონსულტირებას და ეხმარება საგადასახადო ვალდებულებების შესრულებაში;
- დაჯარიმების ნაცვლად გაფრთხილების წესის შემოღება. სალარო აპარატის გამოუყენებლობის შემთხვევაში, ფულადი ჯარიმის ნაცვლად, გადამხდელის მიმართ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს გაფრთხილება;
- დღგ-ით დაბეგვრის სპეციალური რეჟიმის დაწესება. გადამხდელი, რომელმაც სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დღგ-ის სახით გადაიხადა 200 ათასი ლარი, იმპორტისას თავისუფლდება დღგ-ის გადახდის ვალდებულებისაგან, რაც სახელმწიფოს მხრიდან კერძო სექტორში განხორციელებული ინვესტიციის ტოლფასია;
- გადასახადების კვარტალური დეკლარირება. დასაბეგრი ოპერაციების საანგარიშო პერიოდი, ნაცვლად ყოველთვიურისა, ეტაპობრივად ტრანსფორმირდება კვარტალურად, რაც ნიშნავს სახელმწიფოს მხრიდან კერძო სექტორში განხორციელებულ ინვესტიციას;

- მოხერხებული საგადასახადო შემოწმების მოთხოვნა. გადამხდელს მიენიჭა უფლება, მისთვის მოსახერხებელ პერიოდში შემოსავლების სამსახურისაგან მოითხოვოს საგადასახადო შემოწმების ჩატარება, რაც უზრუნველყოფს სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის პარტნიორულ ურთიერთობებს;
- კანონმდებლობის კონსოლიდაცია. ერთიან აქტად ჩამოყალიბდა საგადასახადო და საბაჟო კოდექსები და განთავისუფლდა ორაზროვანი და რთული დებულებებისაგან. 100-ზე მეტი კანონქვემდებარე აქტი მთლიანად გადამუშავდა და ჩამოყალიბდა მარტივად აღსაქმელ 5 კანონქვემდებარე აქტად.

თანამედროვე და განვითარებული ინფრასტრუქტურის არსებობა მნიშვნელოვანია გადამხდელზე ორიენტირებული სერვისების შეთავაზების, გადამხდელისათვის მაქსიმალური კომფორტის უზრუნველყოფისთვის. კოდექსის თანახმად, გათვალისწინებულია ახალი ტექნოლოგიებისა და მიდგომების დანერგვა:

- ელექტრონული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა გამორიცხავს უსაქონლო და ფიქტიური გარიგებების არსებობას, ასევე, შევსებისას გადამხდელის მიერ შეცდომების დაშვებას;
- გათვალისწინებულია GPRS სისტემით აღჭურვილი ახალი სალარო-აპარატების შეძენა და გადამხდელისათვის გადაცემა, რამაც უნდა შეამციროს შემოწმებების აუცილებლობა;
- ელექტრონული ტესტები – საზოგადოების ცოდნის დონის ამაღლების მიზნით ვებ-გვერდზე ტესტების განთავსება;
- ელექტრონული ადმინისტრირების სისტემა, რომელიც ემსახურება და უზრუნველყოფს საგადასახადო კონტროლის განხორციელებისას სუბიექტური და კორუფციული გადაწყვეტილებების მაქსიმალურად გამორიცხვას;
- საფოსტო გზავნილები - გაფორმების პროცედურის გამარტივება, რაც მოიცავს მიმღებისათვის დეკლარირების, ანგარიშსწორებისა და დანიშნულების ადგილზე საფოსტო გზავნილის მიღების პროცესის გამარტივებას;
- ინტეგრირებული ტარიფი - გადამხდელს შესაძლებლობა ეძლევა ექსპორტ-იმპორტის განხორციელებისათვის აუცილებელი ყველა საკანონმდებლო მოთხოვნის - გადასახადის სახეობათა და განაკვეთების, ნებართვებისა და ლიცენზიების, აკრძალვებისა და შეზღუდვების შესახებ ინფორმაცია მიიღოს ერთიან აქტზე დაყრდნობით.

საქართველოს მთავრობის „ათპუნქტიანი გეგმის“ შესაბამისად გათვალისწინებულია გაფორმების ეკონომიკური ზონების (“გეზების”) მშენებლობა ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში, რაც სრულად გადაჭრის საბაჟოზე არსებულ პრობლემებს. გათვალისწინებულია თბილისის გაფორმების ეკონომიკური ზონის სრულყოფილი ამოქმედება, ფოთის გაფორმების ეკონომიკური ზონის მშენებლობა. ასევე განხორციელდება გამშვები პუნქტების რეაბილიტაცია და გაიხსნება სარფის ახალი გამშვები პუნქტი.

„გეზი“ – ეს არის საქართველოში საკმაოდ მასშტაბური გაფორმების ცენტრი და სპეციალური ავტოსადგომი. შესაძლებელია ერთდროულად შეუზღუდავი რაოდენობის იმპორტიორის მომსახურება მთელი კვირის განმავლობაში 24-საათიან რეჟიმში, მაქსიმუმ 1 საათამდე ვადაში. ტვირთის გაფორმებისას იმპორტიორს აღარ უწევს ძვირადღირებული ბროკერის, დეკლარანტისა და სხვა შუამავლების დაქირავება. გეზში ტვირთის გაფორმების საფასურის გადახდა შესაძლებელია 5-დღიანი გადავადებით და საშუალოდ განახევრებულია არსებულ ტარიფებთან შედარებით.

საგადასახადო სფეროში გათვალისწინებულია სამართლიანი ადმინისტრირების უზრუნველყოფა, რათა ბიზნესმენი საგადასახადო ადმინისტრირების პროცესში არ ხედავდეს საკუთარი დანაზოგის დაბანდების რისკს და საგადასახადო ორგანო იყოს მისი პარტნიორი. უახლოეს მომავალში დაინერგება:

- პროცედურული სახელმძღვანელოები – საგადასახადო და საბაჟო პროცედურების ერთიანი პრაქტიკის ჩამოყალიბების მიზნით დეტალური პროცედურული სახელმძღვანელოების შემუშავება და თითოეული თანამშრომლისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ერთგვაროვანი ადმინისტრირების მიზნით;
- საპასპორტო კონტროლის გამარტივება (გამშვებ პუნქტებზე ფიზიკური პირები მსუბუქი სატრანსპორტო საშუალებიდან გადმოუსვლელად გაივლიან საპასპორტო კონტროლს);
- ექსპორტის პროცედურების გამარტივება – საბაჟო საწყობში საქონლის წარდგენის ვალდებულების გაუქმება და საქონლის, როგორც სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის, ასევე სასაქონლო ზედნადების წარდგენით დეკლარირების შესაძლებლობა; ფიზიკურ პირი უფლებამოსილია 15 ათას ლარზე ნაკლები საქონლის დეკლარირება განახორციელოს როგორც ზეპირად, ისე წერილობით;
- მედიაცია საგადასახადო შემოწმებისას – საგადასახადო შემოწმების შუალედური აქტების წინასწარი განხილვა გადამხდელთან - ჩართულობის, თანასწორუფლებიანობისა და სამართლიანობის უზრუნველყოფის მიზნით;
- პრივილეგიების შეზღუდვა – არაკეთილსინდისიერი კონკურენციისა და არათანაბარ მდგომარეობაში ბიზნესის ჩაყენების გამორიცხვა;
- მეზობელ ქვეყნებთან (თურქეთთან) საზღვრის ერთობლივი მართვის შემოღება, ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების განხორციელებისას დაჩქარებული და გამარტივებული საბაჟო პროცედურების ამოქმედება;
- თანამშრომელთა ტრენინგი – ეფექტური და ხარისხიანი საქმიანობის განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით თანამშრომელთა კვალიფიკაციის დონის სისტემატური ამაღლება.

საგადასახადო რეფორმა ითვალისწინებს საჯაროობის დონის ამაღლებას, მოსახლეობის ცნობიერებისა და ბიზნესის გაზრდას, რომელიც არის საგადასახადო სისტემის გამართული ფუქნციონირების ქვაკუთხედი. ამ კუთხით განხორციელდება სექტორული შემოწმებების შედეგების საჯაროობის უზრუნველყოფა – საზოგადოების დროული და სრულყოფილი ინფორმირება სხვადასხვა ბიზნესსექტორის შემოწმების შედეგების თაობაზე. გადაწყვეტილებები გახდება საჯარო, რაც უზრუნველყოფს კანონმდებლობის ერთგვაროვან განმარტებასა და გაგებას, ასევე, განსხვავებული სანქციის ან დაბეგვრის გამოყენების პრინციპის ჩამოყალიბებას.

კერძო ბიზნესის კანონიერი ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინების მიზნით, მოხდება ბიზნესასოციაციებთან თანამშრომლობის გაღრმავება, მათი სისტემატური ჩართულობის უზრუნველყოფა, განხილვებსა და დისკუსიებში მონაწილეობის ხელშეწყობა. დაინერგება სერვისი 077, რომლის ამოცანაა დაინტერესებულ პირთათვის უფასო საინფორმაციო და საკონსულტაციო მომსახურების უზრუნველყოფა სატელეფონო და ელექტრონული საშუალებების გამოყენებით. საზოგადოების ცოდნის დონის ამაღლების მიზნით, პოპულარულ ენაზე შეიქმნება საგადასახადო კოდექსის დებულებათა განმარტებების ვიდეო ვერსია.

გარდამავალ პერიოდში ქართველი მეცნიერ-ეკონომისტების მიერ გამოქვეყნდა მრავალი საინტერესო გამოკვლევა, რომლებშიც გაანალიზებულია ქვეყნის საგადასახადო სისტემის წინაშე მდგარი პრობლემები და დასახულია გზები მათი გადაჭრის მიმართულებით.[4]

---

[4] **ჩანტლაძე ვ.** ფინანსური მეცნიერების საფუძვლები. თბილისი, „ისარი“, 1995; **პაპავა ვ.** პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა. თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2005; **ბასარია ვ., ბასარია რ.** გადასახადი: სიკეთე თუ უკეთურება?, თბილისი, 2003; **მესხია ი., ბასარია რ.** საქართველოს საგადასახადო სისტემის სრულყოფის საკითხები. თბილისი, 2001; **ასათიანი რ.** საქართველოს საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემა და ფისკალური პოლიტიკა, „შრომე-

საბიუჯეტო სისტემა. საგადასახადო სისტემის პარალელურად გარდამავალ პერიოდში დაიწყო ქვეყნის საბიუჯეტო სისტემის მშენებლობა. 1993 წელს მიღებულ იქნა სახელმწიფო კანონი "საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებების შესახებ", რომლის ამოქმედებამ გარკვეული წესრიგი დაამყარა ქვეყნის საჯარო ფინანსების ფორმირებასა და რეგულირებაში.[5] ქვეყანაში გატარებული რეფორმების კვალდაკვალ მიმდინარეობდა საბიუჯეტო სისტემის თანდათანობითი სრულყოფა. მოქმედ საბიუჯეტო კანონში შეტანილ იქნა მრავალი ცვლილება და დამატება, ხოლო 2003 წელს მიღებულ იქნა ახალი სახელმწიფო კანონი "საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ".

ქვეყნის საბიუჯეტო სისტემის განვითარების მიზნით 2006 წელს მიღებულ იქნა და 2007 წლიდან ამოქმედდა საქართველოს კანონი "ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ". ქვეყნის საბიუჯეტო სისტემის სრულყოფის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სახელმწიფო კანონებმა "შემოსულობების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ", "მოსაკრებლების სისტემის საფუძვლების შესახებ", აგრეთვე საქართველოს ორგანულმა კანონმა "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ".

შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის ქვეყანაში შექმნილია მეტ-ნაკლებად სრულყოფილი საბიუჯეტო სისტემა, ჩამოყალიბებულია მისი სამართლებრივი საფუძვლები, თუმცა, საბიუჯეტო პოლიტიკისა და საბიუჯეტო პროცესის რეფორმირების პროცესი არ დამთავრებულა, რადგან არსებობს სერიოზული დისპროპორცია საბიუჯეტო პრაქტიკასა და მისი შედეგებისადმი საზოგადოებრივ მოთხოვნილებას შორის. საბიუჯეტო სისტემის სრულყოფის მიმართულებით საქმიანობა გრძელდება ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებებში. ამის თვალსაჩინო მაგალითია 2009 წლის 18 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი", რომელიც მექანიკურად კი არ აერთიანებს ადრე მოქმედ სხვადასხვა საბიუჯეტო ხასიათის კანონებს, არამედ სრულიად ახლებურად აყენებს ქვეყნის საბიუჯეტო სისტემისა და მოწყობის პრინციპებს. საბიუჯეტო კოდექსი განსაზღვრავს საბიუჯეტო სისტემის მარეგულირებელ ზოგად ნორმებს, შემოსულობების განაწილებას ბიუჯეტებს შორის, სახელმწიფო ბიუჯეტის, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის მომზადების, წარდგენისა და დამტკიცების წესს. კოდექსს საქართველოს საბიუჯეტო პრაქტიკაში შემოაქვს ახალი მიდგომები პროგრამული და კაპიტალური ბიუჯეტის შედგენის, ბიუჯეტებიდან სესხის გაცემის, საშინაო და საგარეო ვალების ლიმიტირების და სხვა საბიუჯეტო საკითხებზე.[6] საბიუჯეტო კოდექსის მიღება საქართველოს საბიუჯეტო პოლიტიკის წინგადადგმული ნაბიჯია, თუმცა, მომავალშიც უნდა გაგრძელდეს მისი სრულყოფა, ჰარმონიზაცია და შეხამება განვითარებული ქვეყნების ანალოგიურ კანონმდებლობებთან.

საქართველოს საბიუჯეტო სისტემის სტრუქტურა სქემატურად შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგნაირად (სქემა 1).

ბი". ტომი VII, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. თბილისი, „სიახლე", 2009; **გამსახურდია გ.** ფინანსების როლი საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში. თბილისი, 1997; **კაკულია რ.** საგადასახადო სისტემის შეფასების კრიტერიუმები. სამეცნიერო შრომების კრებული, ტომი 4, თბილისი, ესპსკი, 1999; **მესხია ი., ნიკოლეიშვილი ო.** გადასახადები და დაბეგვრა. თბილისი, 2002; **ჭითანავა ნ.** გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. ნაწილი III. თბილისი, 2001; **ჩიხლაძე ნ.** გადასახადები: გამოცდილება, პრობლემები. ქუთაისი, 1999; **მალაშხია გ.** გადასახადების ობიექტურობისა და ეფექტიანობის პრობლემა. ფინანსების ს/კ ინსტიტუტის შრომები. ტომი III, თბილისი, 1999 და სხვ.

[5] **მესხია ი., მურჯიკნელი მ.** ეკონომიკური რეფორმა საქართველოში (ანალიზი, მიმართულებები, პრობლემები). თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა", 1996, გვ. 97-128.

[6] საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი. თბილისი, 2010.

სქემა 1

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა



ქვეყნის საბიუჯეტო სისტემაში წამყვანი როლი განეკუთვნება სახელმწიფო ბიუჯეტს, რომლის შედგენა და გამოყენება ატარებს მკვეთრად გამოხატულ ბალანსურ ხასიათს. ბიუჯეტის საბალანსო მეთოდი იძლევა საშუალებას განისაზღვროს საჭირო თანაფარდობა ფულადი შემოსავლების და ხარჯების (გასავლების) მოცულობებს შორის. სახელმწიფო ბიუჯეტის მეშვეობით ხდება ეროვნული შემოსავლის გადანაწილება ეკონომიკის და სოციალური სფეროს დარგებსა და ქვეყნის ტერიტორიულ ერთეულებს შორის.

ბიუჯეტის არსი ვლინდება მის ისეთ ძირითად ამოცანებსა და ფუნქციებში, როგორიცაა: სახელმწიფო და მუნიციპალური მართვა; სახელმწიფო საერთაშორისო საქმიანობა (საერთაშორისო ხელშეკრულებების რეალიზაცია, კრედიტების დაბრუნება, საგარეო ვალის მომსახურება, ბუნების დაცვის სფეროში ვალდებულებათა შესრულება და ა. შ.); ეროვნული თავდაცვა; სამართალდამცავი საქმიანობა და სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა; სასამართლო ხელისუფლების ფუნქციონირება; ფუნდამენტური გამოკვლევების განხორციელება და მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესისადმი ხელშეწყობა; რეალური სექტორის განვითარება; საგანგებო სიტუაციების ლიკვიდაცია და პრევენცია; განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის, საინფორმაციო მომსახურების განვითარება; სოციალური პოლიტიკის განხორციელება.

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა ეფუძნება რიგ პრინციპებს, რომელთა დაცვა სავალდებულოა საბიუჯეტო სისტემის ყველა მონაწილისათვის საბიუჯეტო პროცესის ნებისმიერ ეტაპზე. ამ პრინციპებს შორის მთავარია: საბიუჯეტო სისტემის ერთიანობის პრინციპი; საბიუჯეტო სისტემის დონეებს შორის შემოსავლების და ხარჯების გამიჯვნის პრინციპი; დამოუკიდებლობის პრინციპი; ყოვლისმომცველობის პრინციპი; გამჭირვალობის პრინციპი; უნივერსალობის პრინციპი; კონსოლიდირების პრინციპი; ანგარიშვალდებულების პრინციპი.

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა, სამწუხაროდ, არ ითვალისწინებს საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურად და ეფექტიანად გამოყენების პრინციპებს. ამ პრინციპების სახელმწიფო დონეზე აყვანა ხელს შეუწყობდა სახელმწიფო სახსრების ეკონომიურად ხარჯვას და მაღალი საბოლოო სოციალურ-ეკონომიკური შედეგების მიღებას. ასევე, საქართველოს საბიუჯეტო სისტემა არ ითვალისწინებს ბიუჯეტის უტყუარობის (სისწორის) პრინციპს, რის გამოც ზოგიერთ შემთხვევაში ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების

პროგნოზები არარეალურია, რაც ხშირად ბიუჯეტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის აუცილებლობას განაპირობებს. ეს კი იწვევს რიგ უხერხულობებს, აგრეთვე დამატებითი დროისა და ადამიანისეული რესურსების ხარჯვას.

საქართველოს საბიუჯეტი კოდექსით განსაზღვრულია ის ძირითადი ზოგადი ხასიათის მარეგულირებელი ნორმები, რომლებიც საუძვლად უდევს ქვეყნის საბიუჯეტო სისტემას და სავალდებულოა საბიუჯეტო იერარქიის ყველა დონის ბიუჯეტისათვის. მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ის ნორმები, რომლებიც არეგულირებენ საბიუჯეტო კლასიფიკაციას, პროგრამულ და კაპიტალურ ბიუჯეტებს, ყველა დონის ბიუჯეტების შემოსულობებს და გადასახდელებს, ბიუჯეტის დეფიციტს და პროფიციტს, აღრიცხვისა და ანგარიშგების მეთოდოლოგიას, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შედგენას, ბიუჯეტის საკასო შესრულებას, ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების შესრულებას, სესხისა და გარანტიების გაცემასა და სახელმწიფო ვალის ლიმიტირებას.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, 2011 წლიდან საფუძველი ჩაეყარა პროგრამული ბიუჯეტისა და კაპიტალური ბიუჯეტის შედგენას. *პროგრამული ბიუჯეტი* არის აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ დასახული პრიორიტეტების მისაღწევად განსახორციელებელი პროგრამების, პროექტების, ღონისძიებებისა და მათი ბიუჯეტების, მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორების ერთობლიობა. *კაპიტალური ბიუჯეტი* არის საინვესტიციო ხასიათის პროგრამული ბიუჯეტი.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შემუშავებას წინ უსწრებს ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი, რომელიც თავისი შინაარსით არის ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საშუალოვადიანი გეგმა. იგი იძლევა ინფორმაციას მაკროეკონომიკური და ფისკალური პროცესების პროგნოზების შესახებ. აღნიშნულ დოკუმენტში კომპლექსურად აისახება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პარამეტრები რეგიონულ, მიკრო- და მაკროჭრილში. ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის შედგენას ხელმძღვანელობს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. მასში მონაწილეობას იღებენ საქართველოს ეროვნული ბანკი, ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში სახელმწიფო რწმუნებულები – გუბერნატორები, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების, მხარჯავი დაწესებულებების, აგრეთვე არასამთავრობო ორგანიზაციების, უნივერსიტეტების, სამეცნიერო ცენტრების, მასმედიის წარმომადგენლები და ა.შ.[7]

საქართველოს საბიუჯეტო შემოსულობები სქემატურად შეიძლება შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ (სქემა 2).

საქართველოში საბიუჯეტო შემოსულობების 80%-ზე მეტი მოდის საგადასახადო შემოსავლებზე. ამასთან, ამ ბოლო წლებში სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ზრდის ტენდენციით ხასიათდება. მაგალითად, თუ 1995 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები შეადგენდა 132,0 მლნ ლარს, 2005 წელს შეადგინა 1836,1 მლნ ლარი,[8] ხოლო 2011 წელს – 5,8 მლრდ ლარი. 2011 წელს სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზებულმა საშემოსავლო გადასახადმა შეადგინა 1,4 მლრდ ლარი, ხოლო 2010 წელს – 1,1 მლრდ ლარი, მოგების გადასახადმა – შესაბამისად, 832 და 576 მლნ ლარი, დამატებული ღირებულების გადასახადმა – 2,8 და 2,2 მლრდ ლარი, აქციზმა – 615 და 671,0 მლნ ლარი, საბაჟოს გადასახადმა – 93 და 83,0 მლნ ლარი, სხვა გადასახადებმა – 37,6 მლნ ლარი.[9]

---

[7] საქართველოს მთავრობა. ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2011-2014 წლებისთვის; www.mof.ge

[8] საქართველოს სტატისტიკური წელიდწეული. თბილისი, 1999, გვ. 125; საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული. თბილისი, 2006, გვ. 249.

[9] საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი; www.mof.ge.

სქემა 2

საქართველოს საბიუჯეტო შემოსავლების სტრუქტურა



უკანასკნელ წლებში აშკარად გამოიკვეთა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების ზრდის ტენდენცია. მაგალითად, 1995 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები შეადგენდა 271,1 მლნ ლარს, ხოლო ხარჯები – 469,4 მლნ ლარს. აღნიშნული მაჩვენებლები 2000 წელს, შესაბამისად, შეადგენდა 639,4 მლნ და 833,9 მლნ ლარს. 2009 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები, 2000 წელთან შედარებით, გაიზარდა თითქმის 5-ჯერ და შეადგინა 4,9 მლრდ ლარი, ხოლო ხარჯები ამავე პერიოდში გაიზარდა 5,3-ჯერ და შეადგინა 5,3 მლრდ ლარი.[10]

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების, არაფინანსური და ფინანსური აქტივების დინამიკის შესახებ 2006-2010 წლებში იხილეთ ცხრილი 1.

ცხრილი 1

სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი (2006-2010 წწ.)[11]

მლნ ლარი

დასახელება	**2006 წლის ფაქტობრ.**	**2007 წლის ფაქტობრ.**	**2008 წლის ფაქტობრ.**	**2009 წლის ფაქტობრ.**	**2010 წლის ფაქტობრ.**	**2011 წლის ფაქტობრ.**
1	2	3	4	5	6	7
შემოსავლები	3139,2	4469,1	5517,7	4916,9	5363,6	6444,3
გადასახადები	2130,3	3010,5	4541,6	4161,7	4552,0	5802,0

[10] საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული. თბილისი, 2000, გვ. 240; საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული. თბილისი, 2005, გვ. 255; საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი; www.mof.ge

[11] საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მასალები.

1	2	3	4	5	6	7
სოციალური შენატანები	502,8	722,0	0,0	0,0	0,0	0,0
გრანტები	167,6	208,7	617,2	387,7	464,6	223,1
სხვა შემო-სავლები	338,5	527,8	359,0	367,5	347,0	417,2
ხარჯები	2809,4	3866,2	5554,7	5367,2	5607,5	5825,8
შრომის ანა-ზღაურება	464,2	603,3	913,1	941,6	1014,8	1012,5
საქონელი და მომსა-ხურება	725,6	1476,2	1508,8	879,9	847,9	989,0
პროცენტი	100,5	97,5	119,3	167,2	204,1	282,7
სუბსიდიები	330,2	267,4	362,5	447,3	208,0	194,4
გრანტები	221,0	196,5	858,9	861,2	1130,6	1117,0
სოციალური დაცვა	681,4	881,7	1286,1	1419,9	1496,4	1541,9
სხვა ხარჯები	286,5	343,7	506,1	650,1	705,6	689,4
საოპერაციო სალდო	329,8	602,9	-37,0	-450,3	-243,9	618,5
არაფინანსუ-რი აქტივების ცვლილება	-66,4	443,5	324,6	746,7	815,5	849,3
ზრდა	551,3	961,8	893,4	907,1	965,5	1039,1
კლება	617,6	518,3	568,8	160,3	150,0	189,8
მთლიანი სალდო	396,2	159,4	-361,6	-1197,0	-1059,4	-230,8
ფინანსური აქტივების ცვლილება	270,7	144,1	600,6	-499,6	279,9	337,7
ზრდა	288,5	315,3	616,0	130,8	341,9	429,9
ვალუტა და დეპოზიტები	104,5	87,7	416,3		3,0	-
სესხები	184,0	227,6	142,6	110,6	312,0	429,9
აქციები და სხვა კაპი-ტალი	0,0	0,0	57,1	20,2	26,8	0,0
კლება	17,9	171,2	15,4	630,4	62,0	92,4
ვალუტა და დეპოზიტები	15	0,0	0,0	402,8		22,7
სესხები	16,3	171,2	15,2	45,9	62,0	69,4
აქციები და სხვა კაპი-ტალი	0,0	0,0	0,2	181,7		0,1
ვალდებუ-ლებების ცვლილება	-125,5	-15,3	962,2	697,4	1339,3	568,5

1	2	3	4	5	6	7
ზრდა	152,3	166,2	1073,2	1046,4	1512,7	734,9
საგარეო	152,3	166,2	1073,2	786,9	1312,7	644,2
საშინაო	0,0	0,0	0,0	259,5	200,0	90,7
კლება	277,8	181,5	111,0	349,0	173,4	166,4
საგარეო	234,4	131,7	58,6	115,9	125,3	110,8
საშინაო	43,4	49,8	52,4	233,1	48,0	55,6
ბალანსი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების დინამიკასა და სტრუქტურაში უკანასკნელი 6 წლის განმავლობაში შეიძლება ორი ეტაპი გამოიყოს. პირველ ეტაპზე, რომელიც მოიცავს 2006-2008 წლებს, სწრაფი ტემპებით იზრდება ქვეყნის თავდაცვაზე და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე გაწეული ხარჯები. მეორე ეტაპზე, რომელიც მოიცავს 2009-2010 წლებს, შედარებით მაღალი ტემპებით იზრდება სოციალურ დაცვაზე და სახელმწიფო მმართველობაზე გაწეული ხარჯები. ხარჯების სტრუქტურაში ყველაზე მცირე წილი მოდის საბინაო-კომუნალურ მეურნეობაზე, გარემოს დაცვასა და კულტურაზე.

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების დინამიკის შესახებ 2006-2010 წლებში იხილეთ ცხრილი 2.

ცხრილი 2

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების დინამიკა 2006-2010 წლებში (მლნ ლარი)[12]

დასახელება	**2006 წ. ფაქტობრივი**	**2007 წ. ფაქტობრივი**	**2008 წ. ფაქტობრივი**	**2009 წ. ფაქტობრივი**	**2010 წ. ფაქტობრივი**
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	573,3	762,0	1363,6	1492,2	1800,6
თავდაცვა	680,6	1500,3	1548,4	867,7	671,2
საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	420,0	684,4	983,5	853,1	832,7
ეკონომიკური საქმიანობა	466,0	764,2	571,5	765,5	777,6
გარემოს დაცვა	19,1	25,8	21,7	28,7	18,0
საბინაო-კომუნალური მეურნეობა	0,4	3,9	4,8	2,3	23,6
ჯანმთელობის დაცვა	199,2	240,7	286,0	339,8	415,0
დასვენება, კულტურა და რელიგია	69,3	94,2	103,7	145,2	165,7
განათლება	332,6	384,0	419,5	460,0	504,1
სოციალური დაცვა	600,4	777,6	1,145,6	1319,8	1278,2
სულ	3360,7	5237,1	6448,1	6274,3	6486,7

სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სახელმწიფო ვალის მოცულობა, რომელიც, თავის მხრივ, შედგება საშინაო და საგარეო ვალისაგან. უკანასკნელ წლებში ქვეყნის მთლიანი ვალის მოცულობა ზრდის ტენდენციით ხასიათდება. კერძოდ, საშინაო ვალის კლების ტენდენცია, რომელიც გამოიკვეთა 2004-2007 წლებში, ბოლო სამ წელიწადში ზრდის ტენდენციით შეიცვალა. 2004 წელს საშინაო ვალის მოცულობა შეადგენდა 1,5 მლრდ ლარს, ხოლო 2010 წლისათვის იგი 1,7 მლრდ ლარამდე გაიზარდა. ასეთი დინამიკა ძირითადად გამოწვეულია ამ ბოლო წლებში სახაზინო ვალდებულებების გამოშვების პრაქტიკის დანერგვით. რაც შეეხება საგარეო ვალს, მას გარდამა-

[12] საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემები.

ვალ ეტაპზე მუდმივად მზარდი ტენდენცია ჰქონდა, თუმცა, ამ ბოლო წლებში მისმა ზრდის ტემპმა აშკარად მოიმატა. 2004 წლის იანვრის მდგომარეობით, საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალის მოცულობა 3,9 მლრდ ლარს შეადგენდა, ხოლო 2012 წლის 29 თებერვლის მონაცემებით, 6,1 მლრდ ლარი შეადგინა. ფაქტობრივად, 8 წლის განმავლობაში სახელმწიფო საგარეო ვალის მოცულობა გაორმაგდა და იგი მთლიანი შიდა პროდუქტის 39,1%-ს გაუტოლდა.

2010 წლის 31 დეკემბერის მონაცემებით, საქართველოს ორმხრივი კრედიტორების მიმართ ვალის ნაშთი 556,9 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა. მათ შორის: ავსტრიის – 470 ათას აშშ დოლარს, აზერბაიჯანის – 14,1 მლნ აშშ დოლარს; თურქმენეთის – 211 ათას აშშ დოლარს, თურქეთის– 29,9 მლნ აშშ დოლარს, ირანის – 11,1 მლნ აშშ დოლარს, რუსეთის – 116,6 მლნ აშშ დოლარს, სომხეთის – 16,8 მლნ აშშ დოლარს, უზბეკეთის – 348 ათას აშშ დოლარს, უკრაინის – 318 ათას აშშ დოლარს, ყაზახეთის – 27,7 მლნ აშშ დოლარს, ჩინეთის – 4,5 მლნ დოლარს, გერმანიის – 226,1 მლნ აშშ დოლარს, იაპონიის – 59,1 მლნ აშშ დოლარს, ქუვეითის – 25,9 მლნ აშშ დოლარს, ნიდერლანდის – 7,8 მლნ აშშ დოლარს, აშშ-ის – 35,3 მლნ აშშ დოლარს, ხოლო საფრანგეთის – 6,2 მლნ აშშ დოლარს.

სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გაყიდვიდან მიღებული საგარეო ვალი 500 მლნ აშშ დოლარის ტოლია, საერთაშორისო ინსტიტუტების ვალის ნაშთი კი 2,8 მლრდ აშშ დოლარს შეადგენს, მათ შორის, მსოფლიო ბანკის (განვითარების საერთაშორისო ასოციაცია და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ასოციაცია) – 1,3 მლრდ დოლარს, ევროკავშირის – 17,8 მლნ აშშ დოლარს, სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის – 21,5 მლნ აშშ დოლარს, საერთაშორისო სავალუტო ფონდის (მიმღები – ეროვნული ბანკი) – 1,05 მლრდ აშშ დოლარს, რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკის – 46,5 მლნ აშშ დოლარს, აზიის განვითარების ბანკის – 320,8 მლნ აშშ დოლარს, ხოლო ევროპის საინვესტიციო ბანკის – 36,1 მლნ აშშ დოლარს. გარდა ამისა, 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გერმანიიდან სახელმწიფო გარანტიით აღებული კრედიტების ნაშთი 3,4 მლნ აშშ დოლარს შეადგენს.[13] მთლიანობაში სახელმწიფო საგარეო ვალი საკმაოდ დიდია და თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ქვეყნის ექსპორტ-იმპორტის სალდო მკვეთრად უარყოფითია, საგარეო ვალის უსაზღვროდ ზრდა ნეგატიურ გავლენას იქონიებს პერსპექტივაში ეკონომიკის განვითარებაზე.[14]

რეფორმები ფისკალურ სფეროში. საქართველოში ეკონომიკური რეფორმის და, საერთოდ, ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს რეფორმები ფისკალურ სფეროში. ამჟამად მიმდინარეობს ახალი ფისკალური პოლიტიკის შემუშავება, რომელსაც საფუძლად უდევს მსოფლიოს მოწინავე გამოცდილება და საერთაშორისი სტანდარტები. ახალი ფისკალური პოლიტიკის ძირითადი მიზნებია:

- ბიზნესგარემოს გაუმჯობესება;
- უცხოური ინვესტიციების მოზიდვა;
- ფისკალური დისციპლინის განმტკიცება.

გარდა იმისა, რომ საქართველოში შემცირდა გადასახადების ოდენობა, გამარტივდა ადმინისტრაციული მექანიზმები, ჩამოყალიბდა მყარი სამართლებრივი ბაზა ლეგალური ბიზნესის მხარდაჭერისათვის, გამკაცრდა კონტროლის მექანიზმები, შემოღებულ იქნა საგადასახადო დავების წარმოების წესი, ამასთან, ინვესტიციებისთვის ხელსაყრელი გარემოს შესაქმნელად განახლდა ქვეყნისთვის მისაღები მოდელი – „შემოსავლებსა და კაპი-

[13] საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემები.

[14] **მესხია ი.** ფინანსური დავალიანებების ზრდა – ეროვნული უსაფრთხოების მუქარა. „შრომები“. VIII ტომი. საქართველის ეკონომიკურ მეცნიერებათა აცადემია. თბილისი, “სიახლე”, 2010; **ჯიბუტი ა.** საქართველო სავალო კრიზისის საშიშროების წინაშე. „შრომები“. VIII ტომი. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. თბილისი, “სიახლე”, 2010.

ტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ."

დღეისათვის საქართველოს შეთანხმება ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ გაფორმებული აქვს მსოფლიოს 28 ქვეყანასთან, მათ შორისაა ევროკავშირის შემდეგი ქვეყნები: რუმინეთი, ბულგარეთი, საბერძნეთი, ნიდერლანდი, იტალია, ბელგია, ლიტვა, ლატვია, დიდი ბრიტანეთი, ავსტრია, პოლონეთი, ჩეხეთი, გერმანია, ესტონეთი, დანია, ლუქსემბურგი, ირლანდია, აგრეთვე დსთ-ის ქვეყნები: უზბეკეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, თურქმენეთი, სომხეთი, ყაზახეთი, რუსეთი. ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ კონვეცია გაფორმებულია აგრეთვე ირანთან, ჩინეთთან, თურქეთთან, ხოლო საფრანგეთთან დროებით, ახალი შეთანხმების ძალაში შესვლამდე მოქმედებს სსრკ-სა და საფრანგეთს რესპუბლიკას შორის 1985 წელს ხელმოწერილი შეთანხმება. გარდა ამისა, მიმდინარეობს ახალი შეთანხმებების დადების მიზნით პრიორიტეტულ ქვეყნებთან მოლაპარაკებები და კონსულტაციები.

უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში დაგეგმილია ახალი სტრატეგიული ცვლილებების განხორციელება ფისკალური პოლიტიკის სრულყოფისა და ქვეყნის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, რამაც უნდა უზრუნველყოს:

- მაკროეკონომიკური სტაბილურობა;
- ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპი;
- ხარჯების ზრდა პრიორიტეტულ სოციალურ მიმართულებებზე;
- ფინანსური წესრიგის სრულყოფა და განმტკიცება.

ამ მიზნით, განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

- შემცირდება ბიუჯეტის ხარჯების წილი მშპ-თან მიმართებაში 29%-დან 22%-მდე;
- სახელმწოფო ბიუჯეტი გახდება პროფიციტული. ბიუჯეტის პროფიციტი მშპ-ის მინიმუმ 0,5%-ის ტოლი იქნება.

მომავალში გათვალისწინებულია რეფორმის გაგრძელება შემდეგი სტრატეგიული მიმართულებებით:

- საბიუჯეტო პოლიტიკის სრულყოფა;
- ხაზინის განვითარება;
- საფინანსო პოლიტიკის ეფექტიანობის ზრდა;
- შემოსავლების მობილიზების ადმინისტრირების გაუმჯობესება;
- ბიუჯეტის მართვის ინსტიტუციური განვითარება[15].

საშუალოვადიან პერიოდში მაკროეკონომიკურ პოლიტიკას აქვს სამი ძირითადი მიზანი. ესენია: ეკონომიკის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა, ინფლაციის დაბალი დონის მიღწევა და ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების ზრდა.

საქართველოში გატარებულმა მაკროეკონომიკურმა პოლიტიკამ გამოიღო დადებითი შედეგი, რაც აისახა ეკონომიკური ზრდის მაღალ მაჩვენებლებში: 2005 წელს მშპ-ის რეალური ზრდა იყო 9,6%, 2006 – 9,4%, 2007 წელს – 12,3%, 2008 წელს – 2,3%, თუმცა, 2009 წელს ტემპები მნიშვნელოვნად შემცირდა (მინუს 3,8%) მსოფლიო ფინანსური კრიზისისა და რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად[16]. 2010 წელს ეკონომიკურმა ზრდამ შეადგინა 6,3%, ხოლო 2011 წელს – 7%.

უკანასკნელ წლებში ეკონომიკური ზრდის მთავარი განმაპირობებებელი ფაქტორია ინვესტიციები. მთლიანი ინვესტიციების ოდენობა გაიზარდა 25%-ით, რაც მშპ-ის 31% შეადგინა.

საგარეო სექტორში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა განიცადა ზრდა და უკანასკნელ წლებში მისმა შეფარდებამ მშპ-თან 10-13% შეადგინა. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის ზრდა გამოიწვია ინვესტიციებთან დაკავშირებული იმპორტის ზრდამ.

[15] http://www.mof.ge/images/file/PFMRV_2009_GEO.pdf
[16] http://www.geostat.ge/?action=page&p_id=118&lang=geo

რუსეთი საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორი იყო, მაგრამ უკანასკნელ წლებში მან აკრძალა საქართველოდან ყველა სახის პროდუქციის იმპორტი. ამ პირობებში თანამედროვე, მრავალფეროვანი, ექსპორტზე ორიენტირებული და ბაზრის მიერ მართული აგრობიზნესის სისტემის შექმნა საქართველოს ერთ-ერთი პრიორიტეტია. საშუალოვადიანი სტრატეგია აქცენტს აკეთებს უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე, აგრობიზნესის საკრედიტო ხაზების გაფართოებაზე, ასევე, პროდუქციის ხარისხისა და სტანდარტების შემდგომ გაუმჯობესებაზე.

„პარიზის კლუბის“ შეთანხმების ფარგლებში, 2004 წელს მოხდა საგარეო ვალების რესტრუქტურიზაცია, რამაც შექმნა ხელსაყრელი პირობები საქართველოს საგარეო ვალის მომსახურებისათვის და შეამცირა საგარეო ვალი (თუმცა 2008 წელს სახელმწიფო ობლიგაციური სესხიდან წარმოიშვა 750 მლნ ლარის მოცულობის დამატებითი საგარეო ვალი). მომავალში არაშედავათიან სესხებზე (35%-ზე ნაკლები გრანტ-ელემენტით) უარის თქმისა და ასეთ სესხებზე გარანტიის გაუცემლობის პოლიტიკა გაგრძელდება. აღებული იქნება მხოლოდ ინვესტიციების ტიპის სესხები. მთავრობამ დაიწყო საშინაო ვალის ეტაპობრივი დაფარვა და მომდევნო წლებში შემუშავდება ე.წ. „ისტორიული ვალების” დაბრუნების მექანიზმი.

მოკლევადიანი საბიუჯეტო სტრატეგია საშუალებას მოგვცემს:

- არაინფლაციური გზებით დაიფაროს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი;
- განვითარდეს ფასიანი ქაღალდების ბაზარი;
- მოხდეს ეროვნული ბანკისადმი არსებული დავალიანებების ეტაპობრივი დაფარვა.

საშუალოვადიანმა სტრატეგიამ უნდა უზრუნველყოს: მაკროეკონომიკური სტაბილურობა; შემოსავლების ზრდა; პრიორიტეტული ხარჯვის ზრდა; ფინანსური წესრიგის გაძლიერება.

ამჟამად მოქმედი საბიუჯეტო პოლიტიკის თანახმად, აკრძალულია სახელმწიფო სესხის აღება ეროვნული ბანკიდან ბიუჯეტის დეფიციტის დასაფინანსებლად, რაც გამოიწვევს ბიუჯეტის დეფიციტის შემდგომ შემცირებას. სამთავრობო პროგრამით დადგენილ იქნა პროფიციტული ბიუჯეტის შედგენა, თუმცა, შექმნილი ფინანსური კრიზისის გამო, მისი პრაქტიკული რეალიზაცია ჯერჯერობით ვერ ხერხდება.

რეფორმები ბიუჯეტის პრიორიტეტებისა და ხარჯების ფორმირებაში. საგადასახადო შემოსავლების ზრდამ საფუძველი შექმნა საბიუჯეტო ხარჯების ზრდისათვის. სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები 2006 წელს 35%-ით მაღალი იყო, ვიდრე 2005 წელს და არანაკლებ 100%-ით მეტი, ვიდრე 2004 წელს. 2008 წელს, 2007 წელთან შედარებით, ბიუჯეტის ხარჯები გაიზარდა თითქმის 35%-ით, რაც გადანაწილდა შემდეგ სტრატეგიულ პრიორიტეტებზე:

- ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის: პირველ რიგში, ინვესტიციები ენერგოსექტორში უსაფრთხოების შენარჩუნებისა და გზების რეაბილიტაციისთვის;
- სოციალური სფეროს გაუმჯობესებაზე: დაიფარა წინა მთავრობის მიერ დაგროვილი საპენსიო დავალიანებები, 2005-2008 წლებში გაიზარდა მინიმალური პენსიები (თუმცა საარსებო მინიმუმამდე ვერ ავიდა);
- განათლებასა და ჯანდაცვაზე: დაიწყო სკოლების და სახელმწიფო ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაციის პროგრამები;
- საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე: გამოიყო მნიშვნელოვანი სახსრები სასჯელაღსრულებისა და სასამართლო სისტემების ტექნიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;
- თავდაცვის სისტემის რეფორმაზე, რათა ის შესაბამისობაში იყოს **ნატო**-ს სტანდარტებთან.

ხარჯების საშუალოვადიანი დაგეგმვა ბიუჯეტის მართვის სფეროში რეფორმების ძირითადი მიმართულებაა. კერძოდ, ყურადღება გამახვილდა რესურსების პრიორიტეტების მიხედვით გამოყოფასა და ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში მაკროეკომონიკური ანალიზის გაუმჯობესებაზე. რეფორმის მთავარი ელემენტია ხარჯების საშუალოვადიანი დაგეგმვა (MTEF). იგი ფინანსთა სამინისტრომ 2005 წლიდან შემოიღო. თავიდანვე განსაზღვრული იყო, რომ ხარჯების საშუალოვადიანი დაგეგმვა წლიური ბიუჯეტის განუყოფელი ნაწილი გახდებოდა და ამგვარად, MTEF გრაფიკი ბიუჯეტის სისტემის შესახებ კანონის მოთხოვნებს უპასუხებდა.

2005 წელს ყურადღება ძირითადად მთავრობისთვის ხარჯების საშუალოვადიანი დაგეგმვის მიზნებისა და მოთხოვნების გაცნობას დაეთმო. ამასთან, როგორც იმავე წელს მომზადებული ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტშია (BDD) ასახული, მნიშვნელოვანი პროგრესი იყო მიღწეული, როგორც MTEF შემოღების, ისე ბიუჯეტის ცირკულარისა და დარგობრივი სამინისტროების ბიუჯეტების მომზადების მხრივ. 2006 წელს ხარჯების საშუალოვადიანი დაგეგმვის პროცესში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. კერძოდ, ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში პირველად აისახა საქართველოს მთავრობის საშუალოვადიანი მოქმედების გეგმა 2007-2010 წლებისთვის, რომელიც მოიცავს ქვეყნის სტრატეგიას და პრიორიტეტებს, ასევე, დარგობრივი სამინისტროების სტრატეგიებსა და პრიორიტეტებს.

ეროვნულ და დარგობრივ სამოქმედო გეგმებზე დაყრდნობით, 2007-2010 წლების ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში პირველად შევიდა სამინისტროებზე არსებული რესურსების გადანაწილების წინანსწარი გეგმა. 2007-2010 წლების ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი შეიცავს გასული წლების მაკროეკონომიკურ და ფისკალურ ინდიკატორებს, ასევე მაკროეკონომიკური პარამატრებისა და ქვეყნის ფისკალური პოლიტიკის ინდიკატორებს, რაც ამ წლებისთვის რესურსების ერთიან ბაზას ქმნის. 2007-2010 წლების ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი აღიარებულია საქართველოს მთავრობის ყველაზე მნიშვნელოვან სტრატეგიულ დოკუმენტად. საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი ითარგმნა ინგლისურ ენაზე და მისი ქართული და ინგლისური ვერსიები განთავსდა ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე. შედეგად გაიზარდა საბიუჯეტო პროცესის გამჭვირვალობა.

2007-2011 წლების სახელმწიფო ბიუჯეტების კანონი შეიცავს უფრო დახვეწილ განმარტებით ბარათს, ვიდრე წინა წლების ბიუჯეტები და ფარავს არა მხოლოდ დარგობრივ სამინისტროებს, არამედ სხვა მხარჯავ ორგანიზაციებსაც.

აღნიშნული წინსვლა მიღწეულ იქნა ფინანსთა სამინისტროსა და დარგობრივი სამინისტროების შესაძლებლობების გაძლიერებით, თუმცა, ეს მიმართულება კვლავაც რჩება მომავალი განვითარების ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად. ფინანსთა სამინისტრო თავიდანვე აცნობიერებდა, რომ ხარჯების საშუალოვადიანი დაგეგმვის პროცესი არათანაბრად წარიმართებოდა და მის სრულყოფილად დამკვიდრებას გარკვეული დრო დასჭირდებოდა. ამის გათვალისწინებით ეს ამოცანა სამინისტროს ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად მომავალ წლებშიც დარჩება.

სერიოზული საკანონმდებლო და პრაქტიკული ღონისძიებები გატარდა ტერიტორიული ერთეულების გაძლიერებისთვის. ტრანსფერების განსაზღვრა და გადანაწილება ხორციელდება გამოთანაბრებითი ფორმულის მიხედვით. საშუალოვადიანი მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზირება ეყრდნობა მაკროეკონომიკურ მოდელს, რომელიც გამოიყენება ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების საშუალოვადიანი პროგნოზებისთვის, ასევე, ბიუჯეტის კანონის პროექტის მაკროეკონომიკური ნაწილის გასაანგარიშებლად.

მთავრობის დავალიანება გადაფორმდა ეროვნულ ბანკზე სხვადასხვა ვადის სახელმწიფო ობლიგაციებად. ჩატარდა ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატიული სახლების მშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოქმნილი დავალიანების ინვენტარიზაცია.

2005 წელს შემუშავდა ქვეყნის საგარეო ვალის მდგრადობის ანალიზის მოდელი, რომლის განახლება წელიწადში 1-2-ჯერ ხდება. მისი მეშვეობით განხორციელდა საქართველოს საგარეო ვალის მდგრადობის შეფასება 2005 წლის ბოლოსთვის. შეფასებამ აჩვენა, რომ საქართველოს საგარეო ვალი საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში მდგრადია. საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მიერ უფრო რთული მოდელით ჩატარებულმა საქართველოს საგარეო ვალების მდგრადობის ანალიზმაც ანალოგიური შედეგი აჩვენა. 2006 წელს დაიწყო პროექტი, რომლის მიზანია ვალის მართვისა და ფინანსური ანალიზის არსებული კომპიუტერული სისტემის (DMFAS) უახლესი ვერსიის დანერგვა. ამჟამად პროექტის მნიშვნელოვანი ნაწილი დასრულებულია. ახალი ვერსია გააუმჯობესებს მთლიანად ვალების მართვასა და ფინანსური ანალიზის შესაძლებლობებს. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს საგარეო სასესხო წყაროები უფრო დივერსიფიცირებული გახდა და მეტ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტს მოიცავს, სხვადასხვა პირობებით სესხების აღების უფრო სრულყოფილი ანალიზის ჩატარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

წარმატებით განხორციელდა ხაზინის რეფორმა და მისი ერთიანი ანგარიშის სისტემა სრულყოფილად ამოქმედდა 2006 წლის 1 იანვრიდან. დაიხურა ეროვნულ ბანკში გახსნილი ხარჯების ანგარიშები და შემოსულობათა ერთიანი ანგარიშის ბაზაზე ამოქმედდა ხაზინის ერთიანი ანგარიში, სადაც ირიცხება ბიუჯეტის ყველა შემოსულობა და რომლის მეშვეობითაც სრულდება ყველა გადასახდელი. რეფორმამ ნათლად აჩვენა, რომ მთავრობის განკარგულებაში არსებული სახსრების ამგვარი ცენტრალიზება საუკეთესო საშუალებაა სახელმწიფო ფინანსების ეფექტიანი მართვისთვის. ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემის გამართულ ფუნქციონირებას უზრუნველყოფს ლოგიკურად სისტემატიზებული სახაზინო კოდების სისტემა და ამ მიზნით შექმნილი პროგრამული უზრუნველყოფა. ადგილობრივი ბიუჯეტების გადასახდელები მოექცა სახელმწიფო ხაზინის მომსახურების სფეროში. ადგილობრივი ბიუჯეტების გადასახდელებზე გავრცელდა სახაზინო პრინციპები, კერძოდ, ვალდებულებათა აღრიცხვა, დამოწმება და გადახდის პროცედურები.

სახაზინო სამსახურმა შეიმუშავა "აღრიცხვის რეფორმის სტრატეგია." ეს სტრატეგია წარმოადგენს სახაზინო სამსახურის მიერ აღრიცხვის პოლიტიკის მომზადების წინაპირობას და განსაზღვრავს რეფორმის ძირითად მიმართულებებს. აღრიცხვის რეფორმა გაწერილია 2015 წლამდე და მოიცავს ორ ძირითად მიმართულებას:

- სრულ შესაბამისობას საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებთან;
- სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის 2001 წლის სახელმძღვანელოს (GFSM 2001) დანერგვას.

2006 წელს გადაიდგა პირველი ნაბიჯები სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის 2001 წლის სახელმძღვანელოს დანერგვის მიმართულებით. სახაზინო სამსახურმა დაიწყო სახელმძღვანელოს ქართული თარგმანის რედაქტირება და გამოცემისთვის მომზადება. სახაზინო სამსახური აქტიურად თანამშრომლობდა ფინანსთა სამინისტროსთან სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის 2001 წლის მეთოდოლოგიაზე დაფუძნებული საბიუჯეტო კლასიფიკაციების შემუშავების დროს. აღნიშნული კლასიფიკაციების შესაბამისად შედგენილი ხაზინის მთავარი წიგნი შემოღებულ იქნა 2008 წლის 1 იანვრიდან, რომელიც, თავის მხრივ, აღრიცხვის რეფორმის განხორციელების წინაპირობაა.

სახელმწიფო ფინანსების მართვის სისტემის ფარგლებში ძირითადი სახაზინო მოდულების დანერგვა დაგეგმილია სახელმწიფო ფინანსების მართვის მონაცემთა ინტეგრირებულ სისტემაში. 2006 წელს განხორციელდა სახელმწიფო ფინანსების მართვის მონაცემთა ინტეგრირებული სისტემის დანერგვის მეთოდოლოგიის შერჩევის სამუშაოები.

რეფორმები აღრიცხვისა და ანგარიშგების სფეროში. დღეისათვის საქართველოში აღრიცხვის სისტემის ძირითად საკანონმდებლო ჩარჩოს წარმოადგენს საქართველოს კა-

ნონი "ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ" და პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებული დებულება "ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ." ამასთან, საჯარო სექტორი ხელმძღვანელობს სახელმწიფო ხაზინის მიერ შემუშავებული აღრიცხვის პოლიტიკითა და აღრიცხვის ინსტრუქციებით, რომლებიც განსაზღვრავს ბუღალტრული ოპერაციების, ნაშთების ასახვისა და კლასიფიკაცირების წესებს. სახელმწიფო ხაზინა, ასევე, განსაზღვრავს ფინანსური ანგარიშისა და ანგარიშგების ფორმატს, შეიმუშავებს ბიუჯეტის აღსრულებისა და ფინანსური ანგარიშების ფორმატს. ეს ანგარიშები სრულად ფარავს სამთავრობო სექტორს და მოიცავს აგრეთვე საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, თუმცა, მათი მოქმედება არ ვრცელდება სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ საწარმოებზე. შესაბამისად, მომცველობის საკითხი საერთაშორისო სტანდარტებისაგან დაშორებულია. ასევე, განსხვავებული და, შეიძლება ითქვას, მოძველებულია აღრიცხვის მეთოდი და პრინციპები. სწორედ ამ ფაქტორების გათვალისწინებით დადგა დღის წესრიგში საჯარო სექტორის აღრიცხვის სისტემის რეფორმირების საკითხი.

სახაზინო სამსახურმა საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტექნიკური დახმარებით შეიმუშავა "აღრიცხვის რეფორმის სტრატეგია", რომელიც საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის 101 ბრძანებით მიღებულ იქნა სახელმძღვანელოდ.

აღრიცხვის რეფორმის სტრატეგია წარმოადგენს სახაზინო სამსახურის მიერ საღრიცხვო პოლიტიკის მომზადების წინაპირობას და განსაზღვრავს რეფორმის ძირითად მიმართულებებს. აღრიცხვის სისტემის რეფორმა ითვალისწინებს დარიცხვის მეთოდზე დაფუძნებული სისტემის შექმნას და მოიცავს ორ მიმართულებას: 1. სრული შესაბამისობა საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებთან; 2. სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის 2001 წლის სახელმძღვანელოს დანერგვა. ამ პროექტის განხორციელება გათვლილია 2007-2015 წლებზე და ფინანსურად მხარდაჭერილია მსოფლიო ბანკისა და სხვა პარტნიორების (DFID, SIDA, ნიდერლანდის მთავრობა) მიერ დაფინანსებული სახელმწიფო ფინანსების მართვის რეფორმის ხელშემწყობი პროექტით.

2007 წლის 1 იანვრიდან საჯარო სექტორში დაინერგა სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის 2001 წლის სახელმძღვანელოზე დაფუძნებული ფუნქციონალური კლასიფიკაცია.

სახელმწიფო ფინანსების მართვის რეფორმის მნიშვნელოვანი ნაწილია აღრიცხვა და ანგარიშგება. 2004 წლიდან ხაზინის სამსახურმა გაატარა მრავალი რეფორმა რესურსების მართვის, აღრიცხვისა და ანგარიშგების კუთხით. სახელდობრ:

- საბიუჯეტო შემოსავლების აღრიცხვას, ანგარიშგებასა და ანგარიშწორებას, ეროვნული ბანკის ნაცვლად, ახორციელებს სახელმწიფო ხაზინა;
- ხაზინის სამსახური გახდა ეროვნული ბანკის მიერ დანერგილი ბანკთაშორისი ანგარიშსწორების სისტემის ნაწილი;
- მომზადდა და დაინერგა ფულადი სახსრების მართვის წესები;
- დამტკიცდა და დაინერგა GFSM 2001 და, შესაბამისად, მოხდა ხაზინის ბრუნვათა უწყისის მოდიფიცირება.

რეფორმა შეეხო **დეპოზიტების მართვის სისტემას**. საბიუჯეტო ორგანიზაციების ფონდები განთავსებულია სახელმწიფო ხაზინაში. ფუნქციონალური მოთხოვნებიდან გამომდინარე, შემუშავდა და დაინერგა ახალი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც მოახდენს დეპოზიტების იდენტიფიცირების და ანგარიშგების პრობლემის აღმოფხვრას.

სახელმწიფო ბიუჯეტისთვის დამატებითი შემოსავლების მიღების მიზნით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურმა შეიმუშავა ჭარბი ფულადი ნაშთის მართვის მექანიზმი. 2009 წლის პირველ ნახევარში მომზადდა ლიკვირუდობის პორტფელის მართვის სახელმძღვანელო.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ გასატარებელი რეფორმების რიგში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს აღრიცხვის სისტემის რეფორმას,

რომელიც ითვალისწინებს საჯარო სექტორში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შემოღებას.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის 101 ბრძანებით მოწონებული და სახელმძღვანელოდ მიღებულია "აღრიცხვის რეფორმის სტრატეგია", რომელიც განსაზღვრავს საჯარო სექტორში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის რეფორმის ძირითად მიმართულებებს. სტრატეგია გათვლილია 2006-2015 წლებზე და ითვალისწინებს საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებთან სრული შესაბამისობის მიღწევას 2015 წლისთვის[17].

დღეისათვის სახაზინო სამსახური საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებაა, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო ფინანსების მართვას, აღრიცხვასა და ანგარიშგებას. სახაზინო სამსახური თავისი სტრუქტურული დეპარტამენტებისა და რეგიონალური ხაზინების მეშვეობით ახორციელებს: 1. სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსულობათა მიღებას ხაზინის ერთიან ანგარიშზე, მათ აღრიცხვას, ანგარიშგებასა და ანგარიშსწორებას; 2. ბიუჯეტში ზედმეტად ან შეცდომით გადახდილ შემოსულობათა თანხის დაბრუნებას, აღრიცხვასა და ანგარიშგებას; 3) სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების მართვას; 4) სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის აღსრულებას, აღრიცხვასა და ანგარიშგებას.

სახაზინო სამსახურს დღეს წამყვანი როლი ენიჭება ქვეყნის საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის რეფორმის განხორციელებაში, შესაბამისი მეთოდოლოგიის შემუშავებასა და დანერგვაში. სახაზინო სამსახური მასზე დაკისრებულ ფუნქციებს ახორციელებს ხაზინის საინფორმაციო სისტემის მეშვეობით, რომელიც შექმნილია ადგილობრივი კადრების მიერ. ხაზინის საინფორმაციო სისტემა დღეისათვის მოიცავს ბიუჯეტის შემოსულობათა და გადასახდელების ტრანზაქციებთან დაკავშირებულ 22 სხვადასხვა მოდულს, რომლებიც აკმაყოფილებს სახაზინო სამსახურის ამჟამინდელ ფუნქციონალურ მოთხოვნებს, თუმცა, მიმდინარეობს მისი მუდმივი დახვეწა და განვითარება ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციებისა და გადამხდელებისათვის ბიუჯეტის სახსრებით განსახორციელებელი ოპერაციების გამარტივებისა და სრულყოფის მიმართულებით.

სახაზინო სამსახურის ძირითადი ფუნქციებიდან გამომდინარე, სახაზინო რეფორმების დღის წესრიგის შედგენისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სახაზინო მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებებს. მუდმივად მიმდინარეობს "ბიუჯეტის შემოსულობათა აღრიცხვა-ანგარიშგებისა და ანგარიშსწორების განხორციელებისა და ბიუჯეტში ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი შემოსულობის თანხის დაბრუნების, აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ" ინსტრუქციის გადახედვა და ცვლილებების შეტანა გადამხდელთათვის ბიუჯეტთან ანგარიშსწორების პროცედურების გამარტივებისა და მეტი გამჭვირვალობის უზრუნველყოფისა და ასევე, ბიუჯეტის შემოსულობათა შესრულების შესახებ ინფორმაციის სიზუსტის, ყოვლისმომცველობისა და ოპერატიულობის ხარისხის ზრდის მიზნით. მუდმივად განახლების და დახვეწის რეჟიმშია "ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ ვალდებულების აღებისა და ხარჯების გაწევის პროცედურები". არსებული რეალობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, მარტივდება მოთხოვნები ხარჯვითი ოპერაციების განსახორციელებლად ორგანიზაციების მიმართ, თუმცა, ადეკვატური ოპერატიული კონტროლი ხაზინის მხრიდან შენარჩუნებულია.

დროის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ისეთ პირობებში, როცა ხაზინის ერთიან ანგარიშზე მუდმივად არსებობს თავისუფალი სახსრების ნაშთი ასობით მილიონი ლარის ოდენობით, მიმდინარეობს მუშაობა ფულადი სახსრების მართვის ახლებური მექანიზმის შემოღებასთან დაკავშირებთ. განიხილება სახელმწიფო ფინანსების ეფექტიანი მართვის შესაძლო ვარიანტები თავისუფალი ფულადი სახსრების ვადიან დეპოზიტებზე განთავსების

[17] საჯარო სექტორში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (არაოფიციალური თარგმანი). მაისი, 2000.

თუ აღნიშნული სახსრების ინვესტირების მიმართულებით. მიმდინარეობს კონსულტაციები საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების წარმომადგენლებთან საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით. სახაზინო სამსახური გეგმავს ძირეული რეფორმების გატარებას სამი მიმართულებით:

1. აღრიცხვის სისტემის რეფორმა;
2. სახელმწიფო ფინანსების მართვის სისტემის (PFM) დანერგვა;
3. ელექტრონული ხაზინის დანერგვა.

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი აღრიცხვის სისტემის შექმნა ხელს შეუწყობს საქართველოს (როგორც მსესხებელ ქვეყანას) ნდობის ამაღლებას საერთაშორისო საზოგადოებრიობის თვალში.

საერთაშორისო აღიარებულ პრინციპებსა და სტანდარტებზე გადასვლა უზრუნველყოფს საჯარო სექტორის დაწესებულებათა მიერ განხორციელებული ოპერაციების ინტეგრირებულად წარმოდგენას და მთავრობის ანგარიშებსა და ანგარიშგებაში ფისკალური მაჩვენებლების უფრო ფართო სპექტრის ასახვას, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ფისკალური პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და აღსრულების პროცესის სრულყოფას.

აღრიცხვის ინფორმაციის ხარისხისა და საიმედოობის ზრდასთან ერთად, გაუმჯობესდება გადაწყვეტილების მიღების ხარისხი მთავრობის ყველა დონეზე. საერთაშორისო დონეზე აღიარებული აღრიცხვის სტანდარტები მიზნად ისახავს ისეთი სტატისტიკის უზრუნველყოფას, რაც საშუალებას მისცემს პოლიტიკის შემმუშავებლებს და ანალიტიკოსებს თანმიმდევრულად და სისტემატურად შეისწავლონ ფინანსური ოპერაციების განვითარება, სახელმწიფო მმართველობის ან სახელმწიფო სექტორის ფინანსური მდგომარეობა და ლიკვიდურობა. ამგვარი სააღრიცხვო ინფორმაცია და მისი ანალიტიკური საფუძვლები შესაძლოა გამოყენებულ იქნეს მთავრობის სხვადასხვა დონეზე, ან მის სხვადასხვა დონეებს შორის განხორციელებული ოპერაციების, ასევე, სახელმწიფო მმართველობის სექტორში ან მთლიანად სახელმწიფო სექტორში განხორციელებული ოპერაციების გასაანალიზებლად.

სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის დანერგვა გულისხმობს სისტემის ყველა მომხარებლის ჩართვას ერთიან სისტემაში. მონაცემთა გაცვლის მექანიზმი დაფუძნებული იქნება პირდაპირი კავშირის პრინციპზე.

სახელმწიფო ფინანსების მართვის მონაცემთა ინტეგრირებული სისტემის დანერგვა გათვალისწინებულია "სახელმწიფო სექტორის ფინანსური მართვის რეფორმის მხარდაჭერის პროექტის" ფარგლებში, რომელიც ფინანსდება (8,0 მლნ აშშ დოლარის ფარგლებში) საქართველოს მთავრობას, მსოფლიო ბანკსა და პარტნიორ ქვეყნებს (გაერთიანებული სამეფო, შვედეთი და ნიდერლანდი) შორის დადებული საგრანტო ხელშეკრულების საფუძველზე.

V თავი

ფულად-საკრედიტო სისტემის განვითარება

სუვერენიტეტის ატრიბუტი. გასული საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენის პერსპექტივამ ხელი შეუწყო ეკონომიკური დამოუკიდებლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ატრიბუტის – ეროვნული ვალუტის შემოღების შესაძლებლობის შესახებ დისკუსიის დაწყებას. „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ“ აქტის მიღების (1991 წლის 9 აპრილი) შემდეგ კი ეროვნული ვალუტის შემოღების საკითხი უკვე დღის წესრიგში ოფიციალურად დადგა. ქვეყნის პარლამენტში შეიქმნა სპეციალური კომისია, რომლის შემადგენლობაშიც შევიდნენ თვალსაჩინო მეცნიერ-ეკონომისტები, ისტორიკოსები და ქართული ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლები[1], მათ შორის ამ სტრიქონების ავტორიც. კომისიამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ახალი ფულის ერთეულის სახელწოდებას, მის სიმბოლიკას და რეკვიზიტებს. გამოჩენილმა ეკონომისტმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ვ. ჩანტლაძემ წინადადება წამოაყენა, რომ ახალი სუვერენული სახელმწიფოს ფულადი ერთეულისთვის ეწოდებინათ „მარჩილი“, როგორც საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დროს იყო ნავარაუდები, ხოლო გაცვლითი მონეტისათვის – თეთრა.

1991 წლის 2 აგვისტოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო სამკანონიანი პაკეტი: „ეროვნული ბანკის შესახებ“, „ფულად-საკრედიტო რეგულირების შესახებ“ და „ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ“. ამ საკანონმდებლო აქტებმა, მათი არასრულყოფილების მიუხედავად, საძირკველი ჩაუყარა ახალი სახელმწიფოს სუვერენულ ფულად-საკრედიტო სისტემას. კერძოდ, ყოფილი სსრკ-ის სახელმწიფო ბანკის რესპუბლიკური ბანკის ბაზაზე შეიქმნა საქართველოს ეროვნული ბანკი, რომელსაც დაევალა ქვეყანაში არსებული ყველა ბანკის ხელახალი რეგისტრაცია. საბჭოთა კავშირის სპეციალიზებული 5 სახელმწიფო ბანკი გარდაიქმნა ჯერ სახელმწიფო-კომერციულ ბანკებად, ხოლო მოგვიანებით – (1995-1996 წლებში) პრივატიზებულ იქნა და ქვეყნის საბანკო სექტორის ხერხემლად იქცა.

საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ საქართველოს და სსრ კავშირის სხვა მოკავშირე რესპუბლიკების დამოუკიდებლობის აღიარების (1992) შემდეგ, პოსტსაბჭოთა სივრცეში 15 ცენტრალური ბანკი შეიქმნა (1992). ამასთან, ყოფილი სსრკ-ის სახელმწიფო ბანკის სამართალმემკვიდრე გახდა მხოლოდ ერთი მათგანი – რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ბანკი, რომელიც ფლობდა ნაღდი ფულის ემისიის რეალურ შესაძლებლობას. ასე სპონტანურად შეიქმნა რუბლის ზონა, თუმცა, მასში მოხვედრილმა ბევრმა სუვერენულმა სახელმწიფომ, უწინარეს ყოვლისა, ბალტიის ქვეყნებმა, საქართველომ და უკრაინამ, დაუყოვნებლივ დაიწყეს ეროვნული ვალუტის შემოღებისათვის მზადება. ამის მიუხედავად, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა, რომლის წევრი-ქვეყანა ცოტა ხნის წინ ყველა ეს სახელმწიფო გახდა, აშკარად გადაჭარბებით შეაფასა რუბლის ზონის პერსპექტივები და ამ სახელმწიფოებს (ბალტიის ქვეყნების გარდა) ურჩია ერთიან სავალუტო სივრცეში დარჩენა.[2]

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენლებთან პირველივე შეხვედრაზე, ჯერ კიდევ 1991 წლის ნოემბერში, უარყო ეს იდეა და ეროვნული ვალუტის შემოღების მომზადებაში დახმარება ითხოვა.

---

[1] **ჯიბუტი მ.** ლარის ისტორიის ნაკლებად ცნობილი ფურცლები. „ბანკი“, 2000, №1, გვ. 35.

[2] **Papava V.** Splendours and Miseries of the IMF in Post-Communist Georgia. Laredo, we-publish.com, 2003, pp. 29-31.

საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ სუვერენული ფულად-საკრედიტო სისტემის ჩამოყალიბებისათვის მუშაობა განაახლა. შეიქმნა ორი კომისია: ერთი – ფულის რეფორმის კონცეფციის და საჭირო დოკუმენტების პაკეტის მომზადებისთვის, ხოლო მეორე – ახალი ფულის ერთეულის სახელწოდებისა და დიზაინის განსაზღვრისთვის. ამ უკანასკნელის 1992 წლის 7 აგვისტოს სხდომაზე გადაწყდა ეროვნული ვალუტისათვის ძველი ქართული სიტყვა „ლარი“ ეწოდებინათ, რომელიც ზოგადად ფასეულობას ან საგანძურს აღნიშნავს. გაცვლითი მონეტებისათვის შეირჩა ისტორიული სახელწოდება „თეთრა“, თუმცა, მოგვიანებით ის „თეთრით“ შეიცვალა*. ასე წარმოიქმნა ახალი ვალუტის სახელწოდება, მაგრამ მის შემოღებამდე კიდევ სამი მძიმე წელი იყო დარჩენილი.

კუპონის ხანა. საქართველოსა და ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკების სწრაფვამ, შეექმნათ საკუთარი ვალუტა, ყურადღებიდან არ გამორჩენია რუსეთის ფედერაციას, რომლის ხელმძღვანელობამაც, შეაფასა რა რუბლის ზონის, როგორც ასეთის, უპერსპექტივობა, საკმაოდ მკაცრ ზომებს მიმართა. კერძოდ, მკვეთრად შეზღუდა ამ ზონაში შემავალი სახელმწიფოებისათვის ნაღდი ფულის მიწოდება და შემოიღო მათთან ანგარიშსწორების ახალი წესი, რომლის თანახმადაც, თანხის გადარიცხვა რუსეთის ფედერაციაში მხოლოდ მის ცენტრალურ ბანკში გახსნილი საკორესპონდენტო ანგარიშებით იყო შესაძლებელი. ასეთი მოქმედების შედეგად, საქართველოს მთავრობა და ეროვნული ბანკი, ერთი მხრივ, ნაღდი ფულის მწვავე დეფიციტის, ხოლო, მეორე მხრივ, უნაღდო ანგარიშსწორების პარალიზების პრობლემის წინაშე დადგა, რაც რუსეთის ფედერაციის ცენტრალურ ბანკში საქართველოს ეროვნული ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშზე რიცხული ნაშთების სიმცირით იყო გამოწვეული. 1992 წლის დამლევისათვის სახელმწიფოს დავალიანებამ, მხოლოდ ხელფასებისა და პენსიების მიხედვით, 8 მლრდ რუბლი შეადგინა. მდგომარეობა ვერც 1993 წლის 7 იანვარს დადებულმა ორმხრივმა შეთანხმებამ გამოასწორა, რომლითაც რუსეთი კისრულობდა პასუხისმგებლობას, დაეკმაყოფილებინა ნაღდ ფულზე საქართველოს მოთხოვნა. ამავე წლის მარტში, სოციალური გადახდების მიხედვით, სახელმწიფოს დავალიანებამ უკვე 30 მლრდ რუბლი შეადგინა. ქვეყანა სოციალური აფეთქების ზღვარზე აღმოჩნდა. ასეთ პირობებში საქართველოს ხელისუფლება იძულებული გახდა ეროვნული ბანკის დროებითი საგადამხდელო საშუალება – კუპონი გამოეშვა (1993 წლის 5 აპრილიდან), რომელიც მიმოქცევაში პარიტეტულ საწყისებზე რუბლის პარალელურად უნდა დამკვიდრებულიყო, უნაღდო ანგარიშსწორება კი კვლავ რუბლით ხდებოდა. ამგვარად, კუპონი წარმოადგენდა ფულის სუროგატს და არა სრულფასოვან ფულად ერთეულს.

კუპონის შემოღება ნაჩქარევად მოხდა. ფულის ნიშნები ინგლისში სულ რაღაც 28 დღეში დაიბეჭდა.[3] მათი ხარისხი და დიზაინი არ იყო დამაკმაყოფილებელი, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა მოსახლეობის ფართო ფენების ისედაც სკეპტიკური დამოკიდებულება.** მაგრამ მთავარი ეს როდი იყო. მიმოქცევაში კუპონის შემოღება ხდებოდა სისტემური კრიზისის პირობებში, რომელიც შემდეგმა გარემოებებმა გამოიწვია:

პირველი, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოიშალა საქართველოს ტრადიციული სამეურნეო კავშირები ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან. ახალგაზრდა სახელმწიფოს ეკონომიკა იაფი ენერგეტიკული და მატერიალური რესურსების წყაროებისა და გასაღების

---

* აღსანიშნავია, რომ ქართული ეროვნული ვალუტის სახელწოდებად „თეთრის“ გამოყენების იდეა პირველად ვლადიმერ პაპავამ გამოთქვა 1989 წელს (იხ. **პაპავა ვ.** როგორი ფული გვჭირდება? „კომუნისტი“, 1989, 24 ოქტომბერი. ეს სტატია, ასევე დაბეჭდილია კრებულში: **პაპავა. ვ.** საქართველო საბაზრო ეკონომიკის გზაზე. თბილისი, „მეცნიერება“, 1995, გვ. 58-63).

[3] **ჯავახიშვილი ნ.** ქართული ბონისტიკა (ქართული ქაღალდის ფულადი ნიშნებისა და ბონების ისტორიის ნარკვევები). თბილისი, 1996, გვ. 127.

** მოგვიანებით პარალელურად მიმოქცევაში გაშვებულ იქნა გაცილებით მაღალი ხარისხის კუპონები, რომლებიც საფრანგეთში დაიბეჭდა.

საიმედო ბაზრების გარეშე აღმოჩნდა. შედეგად, 1989-1993 წლებში წარმოების მოცულობა საქართველოში, მსოფლიო ბანკის შეფასებით, 75%-ით შემცირდა;[4]

მეორე, წარმოების მასშტაბურ ვარდნას თან ახლდა ფინანსური ქაოსი. მოიშალა ფისკალური დისციპლინა. წარმოიქმნა ბიუჯეტის ქრონიკული დეფიციტი. ე.წ. სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში საომარი მოქმედებები კიდევ უფრო ამწვავებდა ქვეყნის ისედაც რთულ ფინანსურ მდგომარეობას. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, 1992 წელს საქართველოში ბიუჯეტის დეფიციტმა მთლიანი შიდა პროდუქტის 28% შეადგინა, ხოლო 1993 წელს – 26%.[5] რეალური დეფიციტი ბევრად უფრო დიდი იყო;

მესამე, კუპონის შემოღებას წინ უძღოდა ეროვნული ბანკის ე.წ. ლიბერალური ფულად-საკრედიტო პოლიტიკა. მისი არსი მდგომარეობდა საკრედიტო ემისიის განხორციელებაში, რაც კომერციული ბანკების "იაფი" საკრედიტო რესურსებით უზრუნველყოფის გზით რუბლის ზონის სხვა ქვეყნებიდან საჭირო რესურსებისა და სამომხმარებლო საქონლის იმპორტის დაკრედიტებას ისახავდა მიზნად. მაგრამ, რუბლში დენომინირებული ასეთი „სახსრების" პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებში, უწინარესად რუსეთში გადარიცხვა უკვე შეუძლებელი იყო. ამიტომაც მკვეთრად მოიმატა ბრუნვაში უნაღდო ფულის მასამ, რასაც ნაღდ ფულზე მოთხოვნის შეუკავებელი ზრდა მოჰყვა. ამგვარად, ნოყიერი ნიადაგი შეიქმნა ინფლაციური აფეთქებისთვის;

მეოთხე, რუსეთის ფედერაციის მიერ ყოფილი საბჭოთა კავშირის საგარეო-ეკონომიკურ ბანკში საქართველოს იურიდიული და ფიზიკური პირების სავალუტო ანგარიშების გაყინვის შემდეგ, საქართველო სავალუტო რესურსების გარეშე დარჩა. მთავრობის მიერ შემოღებული წესი, რომლის თანახმადაც სავალდებულო გახდა სახელმწიფოსთვის ექსპორტიორთა სავალუტო ამონაგების 32%-ის მიყიდვა, ვერ უზრუნველყოფდა ეროვნულ ბანკში ინტერვენციისათვის მნიშვნელოვანი სავალუტო რეზერვების შექმნას, მით უმეტეს, რომ ამ 32%-დან ეროვნულ ბანკს მხოლოდ 10% ეკუთვნოდა, დანარჩენ თანხას კი ფინანსთა სამინისტრო იყენებდა მიმდინარე ხარჯებისათვის.[6]

ნაღდი ფულის კატასტროფული ნაკლებობის პირობებში კუპონის შემოღებამ როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირების ანგარიშებიდან ნაშთების მასობრივი განაღდება გამოიწვია. კუპონების ნაკადმა სამომხმარებლო და ჯერ კიდევ განუვითარებელი სავალუტო ბაზრები წალეკა. მიუხედავად ხელისუფლების კანონიერი მოთხოვნისა, კუპონი რუბლის ტოლფასად მიედოთ, კერძო სავაჭრო ორგანიზაციები ან უგულებელყოფდნენ ამას, ან ფასებს მკვეთრად ზრდიდნენ. მალე მათ ჯერ კიდევ სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი „მაღაზიებიც" შეუერთდნენ. ერთნიც და მეორენიც ამონაგებს კუპონში აბარებდნენ, რუბლში კი – იტოვებდნენ. ამის შედეგად კუპონებში ფასები მრავალჯერად გაიზარდა.

კუპონის შემოღებისთანავე დაირღვა ფულადი ერთეულის ამ სუროგატსა და რუბლს შორის პარიტეტი. შავ ბაზარზე ჩამოყალიბდა მათი ურთიერთგაცვლის კურსი, რომელიც მუდმივად რუბლის სასარგებლოდ იცვლებოდა. სწორედ ის იქცა დროებითი ფულის გაუფასურების ინდიკატორად. უკვე 1993 წლის ივნისის დამდეგს, კუპონის შემოღებიდან სულ რაღაც ორ თვეში, ერთი რუბლი 3,2 კუპონად იცვლებოდა, ხოლო კიდევ ერთი თვის შემდეგ 5 კუპონად. რაც შეეხება აშშ დოლარზე გაცვლას, ეს რუბლის მეშვეობით, კროს-კურსის საფუძველზე ხორციელდებოდა, თუმცა, თანდათან მისგან გადახრა დაიწყო. ფაქტობრივმა დევალვაციამ დააჩქარა ფულის ბრუნვიდან კუპონის გამოდევნა. 1993 წლის ივლისისთვის მისი გავრცელების არეალი მოიცავდა საქონლისა და მომსახურების მხოლოდ შეზღუდულ წრეს, რომელთა ფასებსა და ტარიფებს სახელმწიფო არეგულირებდა, აგრეთვე ადგილობრივი წარმოების რამდენიმე სახეობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას.

---

[4] Georgia. Economic Update and Strategies for Reform. Prepared by the World Bank for the Consultative Group Meeting for Georgia. Wash. DC: October 21, 1994, p. 2.

[5] იქვე, გვ. 5.

[6] **კაკულია მ.** სავალუტო სისტემის განვითარების პრობლემები საქართველოში. თბილისი, 2001, გვ. 112.

ამ დროისათვის ცხადი გახდა, რომ რუსეთის ფედერაცია აპირებდა საბჭოური ნიმუშის რუბლის ბანკნოტების (1961-1992 წლების) მიმოქცევიდან ამოღებას და ახალი, უკვე რუსული რუბლის გამოშვებას. ამან რუბლის მიმართ კუპონის პოზიციების განმტკიცება და აშშ დოლარის მიმართ მისი კურსის სტაბილიზაცია განაპირობა, რაც გარკვეულ იმედს სახავდა. რუსეთის მიერ ძველი ნიმუშის რუბლის ამოღების შესახებ ოფიციალურად გამოცხადების შემდეგ, კუპონი საქართველოს ტერიტორიაზე ერთადერთ კანონიერ საგადამხდელო საშუალებად გამოცხადდა (1993 წლის 24 ივლისი). არსებითად, ეს იყო ფულის რეფორმა: ფულის სუროგატს უნდა შეეცვალა რუბლი როგორც ნაღდ, ისე უნაღდო ბრუნვაში. რუსულმა რუბლმა უცხოური ვალუტის სტატუსი შეიძინა, რომლის მიმართაც უკვე ოფიციალურად დგინდებოდა გაცვლითი კურსი. სამწუხაროდ, კუპონის აღორძინების იმედები არ გამართლდა. 1993 წლის აგვისტოდან დეკემბრამდე დოლარის მიმართ მისი ოფიციალური კურსი 13,5-ჯერ დაეცა, ხოლო ახალი რუბლის მიმართ – 12-ჯერ. საბაზრო კურსით კუპონის დაცემა კიდევ უფრო მკვეთრი იყო. ამას არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა სამომხმარებლო ფასებზე, მით უფრო, რომ კუპონის დევალვაციას ხელფასის, პენსიისა და სხვა სოციალური გადახდების ზრდა მოჰყვა. მთლიანად, 1993 წელს კუპონში გამოსახული ფასების ინფლაციამ 8400 % შეადგინა.[7]

ჰიპერინფლაციის გაკვეთილები. 1993 წლის დამლევისათვის საქართველოში ჰიპერინფლაცია ფაქტად იქცა.[8] ეროვნული ბანკმა ენერგიულ ზომებს მიმართა რეფინანსირების მიზნით კომერციული ბანკების ემისიური დაკრედიტების შესაჩერებლად და ნაღდი ფულის ბრუნვის მოსაწესრიგებლად,[9] მაგრამ ბიუჯეტის სწრაფად მზარდი დეფიციტის ემისიური დაკრედიტების მასშტაბის შემცირება ვერ მოხერხდა.[10] ამის გამო 1993 წლის აგვისტოდან 1994 წლის სექტემბრამდე ფართო ფულის მასის აგრეგატი (M2) თითქმის 40-ჯერ გაიზარდა, ხოლო ნაღდი ფული (M0) მიმოქცევაში – თითქმის 38-ჯერ. როგორც კი საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 1994 წლის მეორე კვარტალში მთავრობის დაკრედიტება შეზღუდა, მაშინვე წარმოიშვა უზარმაზარი დავალიანება სოციალური გადახდების კუთხით. ხელისუფლების ზეწოლით ეროვნული ბანკი იძულებული გახდა აღედგინა ბიუჯეტის დეფიციტის ემისიური დაკრედიტება. ნიშანდობლივია, რომ საბიუჯეტო არხებით ლიკვიდურობის ყოველი ინექცია კუპონის გაცვლითი კურსის მორიგ ვარდნას იწვევდა.[11] 1993 წლის ოქტომბრიდან 1994 წლის აპრილამდე იგი 30-ჯერ და მეტად დაეცა. კანონიერი საგადასახდელო საშუალების გაუფასურების ტემპის დაჩქარებას ხელი შეუწყო საბანკო დაწესებულებებში ფულის განაღდებაზე შეზღუდვების შემოღებამაც, რასაც ნაღდი ვალუტის კუპონზე უნაღდო ანგარიშსწორების წესით სულ უფრო დაბალი კურსით სპეკულაციური გაყიდვების მკვეთრი ზრდა მოჰყვა. ამ გარემოებათა გამო, საშუალო თვიურმა ინფლაციამ 1994 წლის პირველ სამ კვარტალში 60%-ს გადააჭარბა.

საქართველოს მთავრობამ, ჯერ კიდევ, 1994 წლის მარტში ინტენსიური დიალოგი დაიწყო საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ფინანსური სტაბილიზაციის პროგრამის შემუშავებისათვის, რომელიც სექტემბერში ამოქმედდა. ამ პროგრამის შესაბამისად, მთავრობისა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისთვის საბანკო კრედიტის ხელმისაწვდომობა მკაცრად შეიზღუდა, ხოლო მათი ანგარიშები კომერციული ბანკებიდან საქართველოს ეროვნულ ბანკში გადავიდა. მასვე გადაეცა ქვეყნის ყველა სავალუტო ავუარი, რომე-

---

[7] Georgia. Economic Update and Strategies for Reform. Prepared by the World Bank for the Consultative Group Meeting for Georgia. Wash. DC: October 21, 1994, p.8.

[8] **Wang Jian-Ye.** Georgian Hyperinflation and Stabilization. IMF Working Paper. IMF. Wash. DC: 1999, WP/99/65, p. 3.

[9] **კაკულია მ.** სავალუტო სისტემის განვითარების პრობლემები საქართველოში. თბილისი, 2001, გვ. 116-117.

[10] **Wang Jian-Ye.** Georgian Hyperinflation and Stabilization. IMF Working Paper. IMF. Wash. DC: 1999, WP/99/65, p. 7-8.

[11] იქვე.

ლიც ადრე მთავრობას ეკუთვნოდა. გაიზარდა კომერციული ბანკებისადმი მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები. მათ აეკრძალათ ეროვნულ ბანკში ავტომატური ოვერდრაფტით სარგებლობის უფლება. ამასთან, მოიხსნა შეზღუდვები ფულის განაღდებაზე. პარალელურად, მოხდა პურის, აგრეთვე გაზისა და ელექტროენერგიის ფასების ლიბერალიზაცია.[12] მიღებული ზომების შედეგად გაიზარდა კუპონზე მოთხოვნა, რამაც მისი გაცვლითი კურსის ზრდა გამოიწვია: სექტემბრიდან დეკემბრამდე კურსი ერთ დოლარში 2,4 მლნ კუპონიდან 1,3 მლნ კუპონამდე გაიზარდა. ამ ნიშნულზე მოხდა გაცვლითი კურსის "გაყინვა," რათა იგი შემდგომი ფინანსური სტაბილიზაციის "ნომინალურ ღუზად" გადაქცეულიყო. ასეთი შესაძლებლობა მხოლოდ მას შემდეგ გაჩნდა, რაც საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სავალუტო რეზერვების გარკვეული აკუმულირება მოახდინა, რაც მას სავალუტო ბაზარზე ინტერვენციების განხორციელების საშუალებას აძლევდა. წლის ბოლოსათვის საქართველომ საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან "სისტემური გარდაქმნების მექანიზმის" პირველი ტრანში (40 მლნ აშშ დოლარი) მიიღო, რითაც საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო რეზერვები შეივსო.

კუპონის გამყარებამ და შემდგომ მისი კურსის სტაბილურობამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჰიპერინფლაციის გადალახვაში: 1994 წლის ოქტომბრიდან 1995 წლის აპრილამდე ფასების საშუალო თვიური ზრდა 2%-მდე შემცირდა. ინფლაციაზე კონტროლის დაწესებას ბევრად შეუწყო ხელი გაცვლითი კურსის უნიფიკაციამაც. ოფიციალურ და საბაზრო კურსს შორის სხვაობა მნიშვნელოვნად შემცირდა, მაგრამ ამან კუპონისადმი ნდობა მაინც ვერ გაზარდა. მთავრობისა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული სტაბილიზაციის პროგრამის აშკარა წარმატებების მიუხედავად, მისი, როგორც საგადამხდელო საშუალების, მდგომარეობა ვერ გაუმჯობესდა. ქვეყანაში უპირატეს საგადამხდელო საშუალებად რუსული რუბლი რჩებოდა, რომლის დიდი ოდენობა შემოდიოდა როგორც ექსპორტის გზით, ისე რუსეთში მომუშავე საქართველოს რეზიდენტების ფულადი გაზავნილებითა და ქვეყნის ტერიტორიაზე მდებარე რუსეთის სამხედრო ბაზების სამხედრო მოსამსახურეებისათვის ხელფასების გადახდით. ცხადი გახდა, რომ კუპონი ამუხრუჭებდა ეკონომიკის შემდგომ განვითარებას, დადგა სრულფასოვანი ეროვნული ვალუტის შემოღების დრო.

მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის შედეგების დამკვიდრებისა და ფულის რეფორმის გატარებისათვის საჭირო იყო ეროვნული ბანკის როლის გაძლიერება და მთლიანად საბანკო სისტემის განმტკიცება. 1995 წლის ივნისში პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ", რომელიც უზრუნველყოფდა აღმასრულებელი ხელისუფლებისგან ეროვნული ბანკის შედარებით დამოუკიდებლობას, ამ უკანასკნელის ძირითად მიზნად ფასების სტაბილურობას განსაზღვრავდა და მკაფიოდ აყალიბებდა ქვეყანაში მის, როგორც საბანკო ზედამხედველობის ორგანოს, ფუნქციებს. ეროვნული ბანკის სტატუსი დადასტურდა ორი თვის შემდეგ მიღებული საქართველოს ახალი კონსტიტუციით.

ლარის შემოღება. საქართველოში ფულის რეფორმისათვის მზადება არაორდინარულ პირობებში მიმდინარეობდა: ერთადერთი კანონიერი საგადამხდელო საშუალება – კუპონი თავის ფუნქციას ფაქტობრივად მხოლოდ ბაზრის შეზღუდულ სეგმენტში ასრულებდა, რომლის ფარგლებს გარეთაც ძირითადად რუსული რუბლი და ნაწილობრივ აშშ დოლარი ბრუნავდა. რუბლისგან და მით უმეტეს კუპონისგან განსხვავებით, დოლარი რეალურად დაგროვების საშუალების ფუნქციას ასრულებდა. საქართველოს მთავრობის ზოგიერთ გა-

[12] ფასების ლიბერალიზაციას თან ახლდა მინიმალური ხელფასის, პენსიების, დევნილებისა და მოსახლეობის სხვა გაჭირვებული ფენებისათვის დახმარების ზრდა, თუმცა, მისი მასშტაბი შეზღუდული იყო და ინფლაციური სპირალის ეფექტი არ ჰქონდა. უფრო დეტალურად ამ პერიოდის ეკონომიკური რეფორმების შესახებ იხ.: **Papava V.** The Georgian Economy: From "Shock Therapy" to "Social Promotion". "Communist Economies & Economic Transformation." Vol. 8, No. 8, 1996.

ვლენიან წევრებს ეჭვი ეპარებოდათ ასეთ სიტუაციაში ლარის ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად გამოცხადების მიზანშეწონილობაში და წინადადებას აყენებდნენ, გარკვეული დროით, რუბლი ერთგვარ „პარალელურ ვალუტად“ დაეტოვებინათ. სახელმწიფოს მაშინდელი მეთაური არ დაჰყვა ასეთ რჩევებს, გამოიჩინა სიმტკიცე და გამოაცხადა, რომ ფულის რეფორმის შესაძლო შედეგებისათვის მთელ პოლიტიკურ პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე იღებდა.

ახალი ეროვნული ვალუტის მხოლოდ კუპონზე გაცვლის შემთხვევაში ვერ მოხერხდებოდა მიმოქცევიდან უცხოური ვალუტის განდევნა და ლარის სრულფასოვან საგადასახდელო საშუალებად გადაქცევა. ამიტომ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მიიღო ფულის რეფორმის პრაქტიკაში უპრეცენდენტო გადაწყვეტილება – ახალი ფულის ერთეულის არა მხოლოდ კუპონზე, არამედ რუბლსა და დოლარზე გაცვლის შესახებ. ვინაიდან კუპონსა და ლარს შორის გაცვლითი თანაფარდობა (1000000:1) წინასწარ განისაზღვრა, 1 დოლარი, არსებული ფიქსირებული კურსის საფუძველზე, 1,3 ლარს გაუთანაბრდა. 1000 რუსული რუბლის სასტარტო კურსმა 25 თეთრი შეადგინა ანუ 4000 რუბლი 1 ლარს უდრიდა.

თუ კუპონის ეროვნულ ვალუტაზე გაცვლა სახელმწიფო მეთაურის 1995 წლის 16 სექტემბრის ბრძანებულებით დადგენილი წესით ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე ხორციელდებოდა, ლარის უცხოურ ვალუტაზე გაცვლა რეფორმის პირველ ორ დღეში გარკვეულ პრობლემებს წააწყდა. ბანკები ან თავს იკავებდნენ ასეთი ოპერაციებისგან, ან სარგებლობდნენ რა ნაღდი ფულის დროებითი ნაკლებობით, კლიენტებს ახალი ვალუტის ოფიციალურზე მაღალ გაცვლით კურსს სთავაზობდნენ. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, სამ წამყვან კომერციულ ბანკთან ერთად, მოწოდებით მიმართა დანარჩენ ბანკებს, შეუფერხებლად გაეცვალათ ლარი დოლარსა და რუბლზე ოფიციალური კურსზე მინიმალური მარჟის დამატებით. თავის მხრივ, ეროვნული ბანკი კისრულობდა ვალდებულებას კომერციული ბანკებისაგან ოფიციალური კურსით შეესყიდა მათ მიერ შეძენილი უცხოური ვალუტა. ამ ღონისძიების შედეგად, სულ რაღაც ორი კვირის განმავლობაში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მოახერხა ბრუნვიდან ამოეღო 70,6 მლრდ რუბლი და თითქმის 40 მლნ აშშ დოლარი. ამ ღონისძიების მეშვეობით საკმაოდ მოკლე ვადაში მოხერხდა ბრუნვიდან რუსული რუბლის განდევნა და აშშ დოლარის საგრძნობლად შეზღუდვა.

აშკარა იყო, რომ ქვეყნის მოსახლეობა ნდობით მოეკიდა ახალ ფულად ერთეულს. ამაში საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ბანკნოტების ხარისხმაც, რომლებიც ცნობილმა ფრანგულმა ფირმამ „ფრანსუა-შარლ ობრეტურმა“ დაბეჭდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბანკნოტების დიზაინი, რომელიც მხატვრებმა მ. და ბ. მალაზონიებმა შეასრულეს, მაგრამ ლარისადმი ნდობა ყველაზე მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური ფაქტორი იყო. კარგად შერჩეული სასტარტო გაცვლითი კურსის ბაზაზე, ლარის კუპიურული წყობა (1, 2, 5, 10, 20, 50 და 100) და მისი 100 თეთრად დაყოფა იდეალურად მიესადაგა ბაზრის ჩამოყალიბებულ საფასო სტრუქტურას და ასოცირებულ იქნა 70-იანი წლების საბჭოთა რუბლთან. მაგრამ, ვინაიდან ფულის რეფორმის (1995 წლის ოქტომბერი) დროს და მის შემდგომ პერიოდში ლარზე დიდი მოთხოვნა უმთავრესად კმაყოფილდებოდა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ უცხოური ვალუტის მასობრივი შეძენის მეშვეობით, ერთ თვეში მიმოქცევაში ნაღდი ფული 5-ჯერ და მეტად გაიზარდა, რამაც ძლიერი ინფლაციური შედეგი გამოიღო. ოქტომბერში სამომხმარებლო ფასები 23,4%-ით გაიზარდა. დოლარის შესყიდვების მოცულობისა და ეკონომიკის მონეტიზაციის ტემპის შესამცირებლად საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გადაწყვიტა უარი ეთქვა ფიქსირებულ გაცვლით კურსზე და ლარის კურსის ოფიციალურ სასტარტო ნიშნულზე მაღლა აწევა დაუშვა. 1995 წლის დამლევისათვის ერთ დოლარში უკვე 1,23 ლარს იხდიდნენ. უცხოური ვალუტის შესყიდვა მკვეთრად შემცირდა, რამაც შეზღუდა ემისია და შეანელა ინფლაციის ტემპი.[13]

---

[13] **კაკულია მ**. სავალუტო სისტემის განვითარების პრობლემები საქართველოში. თბილისი, 2001, გვ. 134-140.

ფულის რეფორმის წარმატებას ხელი შეუწყო იმან, რომ საქართველოს საზოგადოება ლარს, არასტაბილურობისა და შიგა არეულობის ხანგრძლივი ხუთი წლის შემდეგ ქვეყნის ეკონომიკის აღორძინების იმედებს უკავშირებდა. აქედან გამომდინარე, ფულის რეფორმის შემდეგ მთავრობისა და საქართველოს ეროვნული ბანკის მთავარ ამოცანებად იქცა ლარის სტაბილური კურსის შენარჩუნება და ინფლაციაზე მკაცრი კონტროლის დაწესება, რაც, თანამიმდევრული სტრუქტურული რეფორმების განხორციელების პირობებში ეკონომიკური განვითარების ტემპს დააჩქარებდა. ამ მიმართულებით ძირითადი დაბრკოლება გახდა ქვეყნის ბიუჯეტის დეფიციტი, რომლის დაფინანსებისთვისაც 1996 წლიდან მთავრობამ კვლავ აქტიურად დაიწყო საქართველოს ეროვნული ბანკის კრედიტის გამოყენება. შედეგად, ეროვნული ბანკი იძულებული გახდა უცხოური ვალუტის, კერძოდ, აშშ დოლარის წმინდა გამყიდველად ქცეულიყო და დაეშვა ლარის გაცვლითი კურსის ძალიან ნელი დაწევა ჯერ სასტარტო ნიშნულამდე, რომელიც ერთგვარ ფსიქოლოგიურ ბარიერად იქცა, ხოლო შემდგომ, 1997 წლის მეორე ნახევარში, მის ფარგლებს ქვემოთაც. მასშტაბური, თუმცა, საკმაოდ მოქნილი სავალუტო ინტერვენციების მეშვეობით მკვეთრად შემცირდა წლიური ინფლაცია (1997 წელს 7,3%-მდე) და მთლიანობაში შენარჩუნდა გაცვლითი კურსის სტაბილურობა. ამან ხელი შეუწყო 1996-1997 წლებში რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მაღალ (10%-ზე მეტი) ტემპს.

1998-1999 წლების სავალუტო კრიზისი. ეროვნული ვალუტის შემოღებიდან პირველად მისი სტაბილურობა 1998 წლის შემოდგომაზე დაირღვა. ამ დროისათვის საქართველოში მკვეთრად გაიზარდა მოთხოვნა დოლარზე, რამაც ეროვნული ბანკი აიძულა ლარის დევალვაცია დაეშვა. ლარის კურსის დაცემის მთავარი მიზეზი უძლიერესი საგარეო-ეკონომიკური შოკი გახდა, რომელიც საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორ ქვეყანაში – რუსეთის ფედერაციაში განვითარებულმა სავალუტო და ფინანსურმა კრიზისმა (1998 წლის აგვისტო) გამოიწვია[14]. იმას, რომ რუბლმა თავისი ნომინალური ღირებულების 60% დაკარგა, არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა საქართველოზე, რომლის ექსპორტის 28% და იმპორტის 20% იმ დროს რუსეთზე მოდიოდა. გარდა ამისა, ამ პერიოდში კიდევ ასობით ათასი ქართველი შრომითი მიგრანტი იმყოფებოდა რუსეთში, რომლებიც რეგულარულად რიცხავდნენ ფულად გზავნილებს საქართველოში. შედეგებმაც არ დააყოვნა: მაშინვე დაიწყო ექსპორტის მოცულობისა და რუსეთიდან ფულის ნაკადის მკვეთრი შემცირება, შემდეგ კი გაიაფებული რუსული იმპორტის მასშტაბური შემოდინება.

საქართველოს ხელისუფლება რუბლის კვალდაკვალ ლარის ნახტომისებრი დევალვაციის დილემის წინაშე აღმოჩნდა: ჯერ ერთი, ლარის ერთჯერადი მასშტაბური დევალვაციის შემთხვევაში გაცვლითი კურსის მიმართ, სამომხმარებლო ფასების მაღალი ელასტიკურობის გამო, ინფლაციური აფეთქება მოხდებოდა; მეორე, კომერციული ბანკების აქტივების და პასივების სავალუტო კომპოზიცია იმგვარი იყო, რომ ლარის ნახტომისებრი დევალვაცია ბანკების დიდი ნაწილის კრახსა და სისტემურ საბანკო კრიზისს გამოიწვევდა; მესამე, გაცვლითი კურსის ამგვარი დაცემა, ერთბაშად მკვეთრად გაზრდიდა ბიუჯეტის ხარჯებს, რასაც უკვე არსებული საბიუჯეტო კრიზისის ფონზე ქვეყნის დეფოლტის გამოწვევა შეეძლო. ამ მოსაზრებებიდან გამომდინარე, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მცოცავი დევალვაციის ტაქტიკას მიმართა, რაც შიგა სავალუტო ბაზარზე ინტერვენციების შეწყვეტით უნდა დასრულებულიყო. ამ გზით, ეროვნული ბანკის სავალუტო რეზერვების მნიშვნელოვანი შემცირების ხარჯზე, შესაძლებელი გახდებოდა, ერთი მხრივ, ნელ-ნელა აღდგენილიყო რუბლის მყისიერი დევალვაციით შესუსტებული საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა, ხოლო, მეორე მხრივ, აცილებული ან შერბილებულიყო ზემოხსე-

[14] **კაკულია მ.** სავალუტო სისტემის განვითარების პრობლემები საქართველოში. თბილისი, 2001, გვ. 171-209.

ნებული შესაძლო შედეგები.[15] ასეთ მიდგომას თავდაპირველად არ დაეთანხმა საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მაგრამ საქართველოს მაშინდელი ეკონომიკის მინისტრის ვლადიმერ პაპავას მხარდაჭერით, საქართველოს ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობამ შეძლო ამ ორგანიზაციის წარმომადგენელთა დარწმუნება ასეთი ნაბიჯის მიზანშეწონილობაში.[16]

შემდგომმა მოვლენებმა დაადასტურა ეროვნული ბანკის მიერ არჩეული ტაქტიკის მართლზომიერება. იმის მიუხედავად, რომ სექტემბრიდან დეკემბრამდე დოლარის მიმართ ლარის ნომინალური კურსი 33,3%-ით შემცირდა, 1998 წელს სამომხმარებლო ფასები ზომიერად გაიზარდა (10,7%-ით). ამასთან, არ გაკოტრებულა არც ერთი კომერციული ბანკი. მართალია, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპი მკვეთრად შენელდა, მაგრამ დადებითი მნიშვნელობა (3%) შეინარჩუნა. გარდა ამისა, ეროვნული ბანკის ინტერვენციებმა, რომლებიც დეკემბრის დასაწყისში შეწყდა, ფულადი მასის შემჭიდროება გამოიწვია და ეროვნულ ვალუტაზე საკმაოდ სტაბილური მოთხოვნის წანამძღვრები შექმნა.

1998 წლის დამლევისთვის, როგორც ნავარაუდევი იყო, მსოფლიო ბანკის კრედიტის და პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლების ხარჯზე დაიწყო ეროვნული ბანკის სავალუტო რეზერვების აღდგენა, მაგრამ მთავრობამ ვერ გაუძლო ცდუნებას და ეს სახსრები დაუყოვნებლივ მიმართა ბიუჯეტის სოციალური ხარჯების დასაფინანსებლად. შედეგად, კრიზისის პირველი დარტყმით ჯერ კიდევ სუსტ სისტემას ლარის ლიკვიდურობის დიდი ნაკადი მოაწყდა, რამაც უცხოურ ვალუტაზე სეზონური მოთხოვნის ფონზე ბაზარზე მორიგი სპეკულაციური იერიშის პროვოცირება მოახდინა. ამჯერად, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა არ განაახლა ინტერვენციები. შედეგად, 1999 წლის თებერვალში ეროვნული ვალუტის კურსმა ყველაზე დაბალ დონეს – 1 დოლარში 2,45 ლარს მიაღწია. ეროვნული ბანკი იძულებული გახდა უკიდურესად გაემკაცრებინა ფულად-საკრედიტო პოლიტიკა და ფულის მიწოდების რაციონალიზაცია მოეხდინა, რის შედეგადაც მაისისათვის ეროვნული ვალუტის კურსი დიდი ხნით დასტაბილიზდა – ერთ დოლარში 2 ლარის ფარგლებში.

ლარის დევალვაცია ხანგრძლივად, დაახლოებით რვა თვით გაჭიანურდა და ამ ხნის განმავლობაში ეროვნულმა ვალუტამ, საბოლოო ანგარიშით, თავისი ნომინალური ღირებულების თითქმის 50% დაკარგა. ლარის დევალვაცია დადებითად აისახა საქართველოს საგარეო ვაჭრობაზე, რომლის დეფიციტი მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ 1998-2000 წლებში 24,5%-დან 11,8%-მდე შემცირდა. ამავდროულად ახალი პრობლემები წარმოიქმნა: მნიშვნელოვნად შემცირდა ეკონომიკის მონეტიზაციის დონე და გაძლიერდა დოლარიზაცია.

კრიზისის შემდეგ, ლარის სტაბილიზაციამ ცხადყო, რომ ადეკვატური, მთავრობასთან კოორდინირებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებისას აუცილებელი არ იყო ინტერვენციები ეროვნული ვალუტის მხარდასაჭერად, მით უმეტეს, თუ ქვეყნის სავალუტო რეზერვები სიმცირის გამო ამის საშუალებას არ იძლეოდა. ამასთან, შეცდომა იქნებოდა, თუ ეროვნული ბანკი შეწყვეტდა უცხოური ვალუტის შესყიდვას მისი ჭარბი მიწოდების შემთხვევაში, რაც სავსებით რეალური იყო, რადგან 1998 წლის დამლევისათვის მკვეთრად შემცირდა არა მარტო სავალუტო რეზერვების მოცულობა, არამედ ეკონომიკის მონეტიზაციის დონეც. მთავრობის ნასესხობის არსებითი შემცირებისა და ფინანსური ბაზრების არასრულყოფილების პირობებში ცენტრალური ბანკის მიერ ბაზარზე დოლარების შეძენა ლარის მიწოდების უპირატეს საშუალებად იქცა. ამას ხელი შეუწყო გასული საუკუნის მიწურულს ქვეყნის სავაჭრო ბალანსის საგრძნობმა გაუმჯობესებამ და უცხოური ინვესტიციებისა და კრედიტების ნაკადის მნიშვნელოვანმა ზრდამ.

---

[15] **კაკულია მ.** სავალუტო სისტემის განვითარების პრობლემები საქართველოში. თბილისი, 2001, გვ. 195-203.

[16] **Papava V.** Splendours and Miseries of the IMF in Post-Communist Georgia. Lazedo, we-publish.com, 2003, pp. 45-46; **Papava V**. Necroeconomics: The Political Economy of Post-Communist Capitalism. New York, "iUniverse", 2005, pp. 153-154.

არსებობდა იმის საშიშროება, რომ ეროვნული ვალუტის ცალმხრივი ცურვის რეჟიმში გადასვლა ინფლაციური ზეწოლის პირობებს შექმნიდა. მაგრამ ეს არ მოხდა, ვინაიდან კრიზისის დროს ფულადი მასის შემჭიდროების შემდეგ ქვეყნის ეკონომიკაში გაიზარდა ლარზე მოთხოვნა. ამასთან, გაძლიერდა უცხოური ვალუტის ნაკადი, რამაც გაცვლითი კურსის შედარებით სტაბილიურობას შეუწყო ხელი. ეროვნული ბანკის მიერ ასიმეტრიული ინტერვენციების საფუძველზე დოლარების შესყიდვამ სავალუტო რეზერვების შევსება და ფულის მასის ზომიერი მატება განაპირობა. ამის შედეგად მოხერხდა ინფლაციის ტემპის შენელება: 2000 წელს მან 4,6% შეადგინა. სიძნელეები, მოგვიანებით, 2001 წელს წარმოიქმნა, როდესაც მეზობელ თურქეთში არსებული კრიზისის გამო საქართველოს სავაჭრო ბალანსმა გაუარესება დაიწყო. ეროვნული ვალუტის კურსი კვლავ დაეცა, თუმცა, არც ისე მნიშვნელოვნად, როგორც ადრე. მიუხედავად ამისა, სამომხმარებლო ფასების დონე ამ პერიოდში სულ 3,4%-ით გაიზარდა.

დოლარიზაციის მოძალება. საქართველოში სავალუტო კრიზისის ერთ-ერთი ყველაზე ნეგატიური შედეგი დოლარიზაციის გაძლიერება გახდა, რაც, უწინარეს ყოვლისა, ლარისადმი ნდობის დაკარგვამ განაპირობა. ეს პირველად მოხდა მისი ესოდენ წარმატებით შემოღების შემდეგ. თუ 1996 წლის დამლევს საბანკო დეპოზიტების მთლიან მოცულობაში დოლარში დენომინირებული დეპოზიტების წილი 44,3%-ს შეადგენდა, კრიზისული 1999 წლის ბოლოსთვის მან უკვე თითქმის 80% შეადგინა. დოლარიზაციის პროცესმა მოიცვა ქვეყნის ეკონომიკის ყველა სფერო: მატერიალური წარმოებით დაწყებული, რომლის თითქმის 40% აღურიცხავი იყო, ვაჭრობით დამთავრებული. ლარის, როგორც საგადამხდელო საშუალების გამოყენების არეალი შემცირდა და უმთავრესად სამომხმარებლო საქონლისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ბაზარი მოიცვა.

დოლარიზაციის შემდგომ გავრცელებას შეიძლებოდა მნიშვნელოვნად შეეზღუდა საქართველოს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ქმედუნარიანობა. მაგრამ ამ პროცესის შეკავება ეროვნულ ბანკზე ნაკლებად იყო დამოკიდებული. ქვეყანაში საბიუჯეტო კრიზისი მძვინვარებდა, ხელფასებისა და პენსიების მიხედვით დავალიანებამ უზარმაზარ მასშტაბს მიაღწია, ჰყვაოდა ფარული ეკონომიკა და კორუფცია, უარესდებოდა სავაჭრო ბალანსი. მთავრობისადმი და, შესაბამისად, ეროვნული ვალუტისადმი მოსახლეობისა და ეკონომიკური სუბიექტების ნდობა მკვეთრად დაეცა. 2001 წელს საბანკო დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელმა 86%-ს მიაღწია, მომდევნო წელს კი – 85%-ს.

ლარისადმი ნდობის აღდგენა ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად იქცა. ამას ხელს უწყობდა კაპიტალის შემოდინების გაძლიერება „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ ნავთობსადენის მშენებლობასთან დაკავშირებით. ეროვნულმა ბანკმა შეამცირა დოლარების შესყიდვა, რითაც ლარს საშუალება მისცა საგრძნობლად გამყარებულიყო. ამას საკმაოდ არსებითი ანტიინფლაციური ეფექტი მოჰყვა. 2003 წლის პირველ ათ თვეში სამომხმარებლო ფასები მხოლოდ 1,9%-ით გაიზარდა. ამ ფონზე ეროვნულმა ბანკმა ვალუტების სახეობების მიხედვით მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების დიფერენცირება მოახდინა: ბანკების მიერ ეროვნულ ვალუტაში მოზიდულ სახსრებზე დარეზერვების ნორმა საგრძნობლად დაბალი იყო, ვიდრე უცხოურ ვალუტაში. გარდა ამისა, კომერციული ბანკების მიერ ლარში შექმნილ რეზერვებს ეროვნული ბანკი უფრო მაღალ პროცენტს არიცხავდა, ვიდრე აშშ დოლარის რეზერვებს. მაგრამ ეს ძალისხმევა უკვე ამაო იყო. საქართველოში „ვარდების რევოლუცია“ დაიწყო. არსებითად ეს ხელისუფლებისადმი ნდობის კრიზისი იყო. ამიტომაც, გასაკვირი არ არის, რომ იგი მყისიერად აისახა, უწინარეს ყოვლისა, ისეთ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე, როგორიცაა გაცვლითი კურსი და ინფლაცია. ამის გამო, 2003 წელს დეპოზიტების დოლარიზაციის დონემ 86%-ს გადააჭარბა.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საქართველოში დოლარიზაციის მოთოკვის ახალი, ხელშემწყობი რეალიები ჩამოყალიბდა: ერთი მხრივ, განმტკიცდა ფისკალური დისციპლი-

ნა, დაიწყო ეკონომიკის ლეგალიზაცია, გაჩაღდა ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ, მეორე მხრივ, გაძლიერდა კაპიტალის შემოდინება. ასეთ პირობებში მკვეთრად გაიზარდა ეროვნულ ვალუტაზე მოთხოვნა, რომლის დაკმაყოფილებაც მხოლოდ ეროვნულ ბანკს შეეძლო უცხოური ვალუტის მასობრივი შესყიდვის გზით. ინფლაციური ზეწოლის თავიდან ასაცილებლად ეროვნული ბანკი იძულებული გახდა დაეშვა დოლარის მიმართ ლარის ნომინალური კურსის შემდგომი მკვეთრი ზრდა. 2004 წლის განმავლობაში ის საშუალოდ 15%-ით და მეტად გამყარდა. ეროვნული ვალუტით ფინანსური შუამავლობის სტიმულირებისათვის ეროვნულმა ბანკმა 2%-მდე შეამცირა მინიმალური დარეზერვების ნორმა ლარებში მიზიდულ დეპოზიტებზე, მაშინ როდესაც დოლარებით მოზიდულ დეპოზიტებზე მან 13% შეადგინა. ყოველივე ზემოთქმულის შედეგად, მხოლოდ 2004 წლის განმავლობაში დოლარიზაციის დონე 12 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 74,5% შეადგინა.

რემონეტიზაციის დანახარჯები. „ვარდების რევოლუციამდე“ საქართველოში ეკონომიკის მონეტიზაციის მაჩვენებელი (ფართო ფულის მასის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან) მეტად დაბალი იყო. 2003 წელს ფართო ფულის მასის M3 აგრეგატის მიხედვით იგი სულ რაღაც 12,5%-ს შეადგენდა, მაშინ, როდესაც ბალტიის ქვეყნებში ანალოგიური მაჩვენებელი 50%-ს აღწევდა. ფისკალურ სფეროში სახელმწიფო წესრიგის დამყარებამ და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გაზრდამ ეკონომიკის დაჩქარებული რემონეტიზაციის აუცილებლობა განაპირობა. ეროვნული ბანკი რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა:

პირველი, ემისიის ზრდას ინფლაციის გამოწვევა შეეძლო, მით უმეტეს, რომ ეროვნულ ბანკს არ ჰქონდა ლარის ჭარბი მასის სტერილიზაციის საიმედო ინსტრუმენტები;

მეორე, ფულის მიწოდების უპირატეს საშუალებას ეროვნული ბანკის მიერ უცხოური ვალუტის შესყიდვა წარმოადგენდა. ამ ინტერვენციების შესაზღუდად ეროვნული ბანკი იძულებული გახდა დაეშვა ნომინალური გაცვლითი კურსის მნიშვნელოვანი ზრდა, რასაც შეიძლებოდა „ჰოლანდიური დაავადების“ მსგავსი რეციდივები მოჰყოლოდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, რემონეტიზაციის ერთ-ერთ ძირითად მამოძრავებელ ძალად ქვეყნის სწრაფად მზარდი ბიუჯეტი იქცა, რომლის ტრანსაქციული მოთხოვნა ლარზე უკვე 2004 წელს გაორმაგდა. ამავე დროს მკვეთრად გაიზარდა ეროვნულ ვალუტაზე მოთხოვნა უცხოელი ინვესტორების, უმთავრესად კი იმ კომპანიების მხრიდან, რომლებიც „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ ნავთობსადენის მშენებლობას ამთავრებდნენ. ეროვნულ ბანკს მოკლე ვადაში უცხოური ვალუტის რეკორდული რაოდენობის შესყიდვა მოუხდა, რამაც შესაბამისად გაზარდა ლარის მიწოდება. პარალელურად, სწრაფად მყარდებოდა ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსი, თუმცა, მოსახლეობა ამ პროცესს საკმაოდ სკეპტიკურად შეხვდა.

2004 წლის ბოლოსთვის ფულის მიმოქცევის არხები გადაივსო, რამაც დოლარზე მოთხოვნის ზრდა და გაცვლითი კურსის შემცირებისკენ უკუმოძრაობის პროვოცირება მოახდინა. ამის შესაკავებლად ეროვნულმა ბანკმა განაახლა ინტერვენციები ეროვნული ვალუტის მხარდასაჭერად, ანუ დოლარების გაყიდვა დაიწყო. აკუმულირებული სავალუტო რეზერვების დონე უკვე იძლეოდა ორმხრივი ინტერვენციის აღდგენის შესაძლებლობას. საბოლოო ანგარიშით, იმის მიუხედავად, რომ 2004 წელს სარეზერვო ფული 44%-ზე მეტად გაიზარდა, წლიური ინფლაცია ზომიერი იყო – 7,5%. ამაში მნიშვნელოვანი როლი ეროვნული ვალუტის განმტკიცებამ შეასრულა. ამასთან, ლარის ნომინალური გაცვლითი კურსის გაზრდას მისი 13%-ით რეალური გაძვირება მოჰყვა, რასაც, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა დადებითი ზემოქმედება მოეხდინა ქვეყნის ეკონომიკის საგარეო სექტორზე. ეს ტენდენცია შენარჩუნდა 2005 წელსაც, მაგრამ მისი ტემპი ბევრად დაბალი იყო, ვინაიდან, წინა წელთან შედარებით, ეროვნულმა ბანკმა ბევრად ნაკლები უცხოური ვალუტა შეიძინა და ლარის ნომინალური კურსიც შედარებით უმნიშვნელოდ გაიზარდა.

საქართველოს ეკონომიკის რემონეტიზაციის შემდეგი ეტაპი იმ საინვესტიციო ბუმის პირობებში წარიმართა, რომელიც მნიშვნელოვანწილად სახელმწიფო ქონების პრივატიზა-

ციის ახალ ტალღასთან იყო დაკავშირებული. 2006 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა, 2005 წელთან შედარებით, ორჯერ და მეტად გაიზარდა და 1,2 მლრდ დოლარი შეადგინა. გარდა ამისა, ბიუჯეტის მხრიდან ფულზე ტრანსაქციული მოთხოვნის გათვალისწინებითაც ეროვნულ ბანკს, წინა წელთან შედარებით, თითქმის 5-ჯერ მეტი, 2004 წელთან შედარებით კი 2,3-ჯერ მეტი დოლარის შეძენა მოუხდა. ამის მიუხედავად, მთლიანად წლის განმავლობაში ეროვნული ვალუტის გამყარება ზომიერად, თუმცა, არათანაბრად მიმდინარეობდა. ნომინალური კურსის ზრდის ტემპი მკვეთრად მატულობდა ეროვნული ბანკის მიერ დოლარის შესყიდვის მოცულობის პარალელურად. ეს გარკვეულწილად ხელს უწყობდა ინფლაციის კონტროლს, მაგრამ მისი მნიშვნელოვანი ზრდის თავიდან აცილება მაინც ვერ მოხერხდა.

2006 წლის შუა პერიოდში მკვეთრად გაიზარდა ფულადი აგრეგატების მოცულობა, რამაც, ზოგიერთ არამონეტარულ ფაქტორებთან ერთად, ინფლაციური ზეწოლის პროვოცირება მოახდინა: ივლისში ინფლაციის წლიურმა მაჩვენებელმა 14,5%-ს მიაღწია. აშკარა გახდა, რომ ფასების შედარებითი სტაბილურობის მისაღწევად საჭირო იყო ფულის მასის სტერილიზაციის საიმედო ინსტრუმენტები. 2005 წლიდან სახელმწიფო სახაზინო ვალდებულებების ბაზრის უქონლობის გამო ეროვნულმა ბანკმა მიიღო გადაწყვეტილება გამოეშვა საკუთარი სადეპოზიტო სერტიფიკატები, გარდა ამისა, ბაზრისთვის შეეთავაზებინა მის მიმართ მთავრობის დაგროვილი დავალიანების სეკურითიზაციის საფუძველზე შექმნილი ობლიგაციები. ამ ინსტრუმენტების მეშვეობით ეროვნულმა ბანკმა საკმაოდ ეფექტიანი სტერილიზაცია მოახდინა, რის შედეგადაც 2006 წლის დამლევისათვის სამომხმარებლო ფასების ზრდამ 8,8% შეადგინა.

საქართველოს ეკონომიკის რემონეტიზაციის პირველი შედეგების შეჯამებისას უნდა აღინიშნოს, რომ სამ წელიწადში (2003-2006 წლებში) მთლიან შიდა პროდუქტთან ფართო ფულის მასის M3 აგრეგატის შეფარდება 12,5-დან 19,5%-მდე გაიზარდა. ეს ცოტა როდია, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ, რომ მთლიანი შიდა პროდუქტი სწრაფი ტემპით იზრდებოდა. ამასთან, უკვე საწყის ეტაპზე გამოვლინდა ამ პროცესის ყველა სირთულე, რომელთაგან პირველ რიგში ორი უნდა გამოვყოთ: ინფლაციის კონტროლი და ეროვნული ვალუტის გაძვირება. 2007 წელს ეროვნულმა ბანკმა, 2006 წელთან შედარებით, 2-ჯერ მეტი დოლარი შეიძინა. არ არის გასაკვირი, რომ ფულის ბაზა და აგრეგატები ძალიან სწრაფი ტემპით იზრდებოდა, რაც წლიურ ინფლაციაში აისახა. მისმა დონემ წლის ბოლოს 11% შეადგინა. ნიშანდობლივია, რომ 2007 წლის მეთორმეტე თვიდან 2008 წლის პირველ ხუთ თვეში წლიური ინფლაცია 10%-ს აღემატებოდა. ჭარბი ფულის მასის სტერილიზაციის არსებული ინსტრუმენტები საკმარისად ქმედუნარიანი ვერ გამოდგა. რაც შეეხება ლარის გამყარებას, ამ პროცესის განვითარებამ არსებითად შეასუსტა საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა. 2007 წლის დამლევისათვის, 2003 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, რეალური გაცვლითი კურსი 16,6%-ით გაიზარდა. მართალია, ლარის რეალური გაძვირების ძირითადი ტალღა 2004 წელს დაემთხვა, მაგრამ მისი კუმულაციური უარყოფითი ეფექტი თანდათან გამოვლინდა მთლიანად საქართველოს ეკონომიკასა და, კერძოდ, მის საგარეო სექტორში სტრუქტურული ცვლილებების კვალობაზე. მიმდინარე ანგარიშის ბალანსის მკვეთრი გაუარესება 2004-2007 წლებში, როცა მთლიან შიდა პროდუქტთან მისი დეფიციტის შეფარდება 2,7-ჯერ გაიზარდა, აღნიშნული ფაქტორის გაუთვალისწინებლად ძნელი ასახსნელია.

საკრედიტო ბუმი. 2005-2007 წლებში საბანკო სექტორი საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი სექტორი იყო. ამ პერიოდში მისი აქტივები საშუალოდ 60%-ით, ხოლო დეპოზიტები 55%-ით იზრდებოდა. 2007 წელს საბანკო სექტორის მთლიანმა აქტივებმა მშპ-ის 42,4% შეადგინა, მაშინ, როდესაც 2005 წელს 22%-ს არ აღემატებოდა. მოყვანილი მონაცემები აშკარად მეტყველებენ იმაზე, რომ აღნიშნულ პერიოდში საქართველოში ნამდვილ საკრედიტო ბუმს ჰქონდა ადგილი, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო, მოკლევადიანთან შედარებით, გრძელვადიანი დაკრედიტების წინმსწრები

ტემპით ზრდა. კრედიტების უმეტესობა სამ დარგში – ვაჭრობაში, მრეწველობასა და მშენებლობაში იყო განთავსებული, აქედან, საკრედიტო დაბანდებები ვაჭრობაში მნიშვნელოვნად აღემატებოდა დანარჩენი ორი სექტორის დაკრედიტების საერთო მოცულობას. ამდენად, საკრედიტო ბუმი უფრო იმპორტის დაფინანსებას ემსახურებოდა, ვიდრე რეალური სექტორის განვითარებას.

საკრედიტო ბუმს თან სდევდა საბანკო რისკების გაძლიერება. უცხოეთიდან მოზიდული შედარებით იაფი და გრძელვადიანი საკრედიტო რესურსებით დეპოზიტებისა და კრედიტების ვადიანობის აშკარა შეუსაბამობის მასობრივმა გადაფარვამ გაამძაფრა ლიკვიდურობის რისკი. გლობალური ფინანსური კრიზისის გაღრმავების კვალობაზე (2008 წლის ბოლო) ქართულმა ბანკებმა ვეღარ შეძლეს უცხოეთიდან საჭირო ოდენობის საკრედიტო რესურსების მობილიზება, რამაც, საბოლოო ანგარიშით, საპროცენტო განაკვეთების მკვეთრი ზრდა გამოიწვია. საპროცენტო განაკვეთების მატებას განაპირობებდა აგრეთვე ინფლაციის გაღვივება, რასაც ეროვნულმა ბანკმა საბაზისო საპროცენტო განაკვეთის მნიშვნელოვანი მომატებით უპასუხა. კრედიტის გაძვირებას ბანკების საკრედიტო პორტფელის გაუარესება მოჰყვა: სამშენებლო და სავაჭრო კომპანიებს მნიშვნელოვნად შეუმცირდათ გაყიდვები და სერიოზული ფინანსური პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ. ყოველივე ამის შედეგად საკრედიტო ბუმი საქართველოში საგრძნობლად დამუხრუჭდა.

რუსეთ-საქართველოს ომმა (2008 წლის აგვისტო) მკვეთრად გაართულა საბანკო სექტორში არსებული ვითარება. მეანაბრეების მნიშვნელოვანი ნაწილი ბანკებს მიაწყდა და თავისი ანაბრები გაიტანა. მართალია, მოგვიანებით პანიკა ჩაცხრა, მაგრამ დეპოზიტების მთლიანი მოცულობის 15% საბანკო სისტემიდან მაინც გავიდა. იმავდროულად გაუარესდა ბანკების საკრედიტო პორტფელი, რაც დაკავშირებული იყო საომარი მოქმედებების შედეგად სამოქალაქო ინფრასტრუქტურის ნგრევასა და ქვეყნის რამდენიმე რეგიონში ეკონომიკური აქტიურობის სრულ პარალიზებასთან. ოდნავ მოგვიანებით ერთბაშად დამძიმდა სამშენებლო სექტორისა და ვაჭრობის სფეროს ფინანსური მდგომარეობა, რაც ბანკების მიმართ ვადაგადაცილებული დავალიანების ერთობ მნიშვნელოვან მატებაში გამოიხატა. ამ ფონზე სისტემაში ლიკვიდობის (ანუ ნაღდი ფულის) მკვეთრი დეფიციტი გამოიკვეთა, რომელიც ნაწილობრივ გაანეიტრალა ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებულმა რეფინანსირების ოპერაციებმა და კომერციული ბანკების მიმართ მინიმალური სარეზერვო მოთხოვნის ნორმის არსებითმა დაწევამ. სიტუაციის დროებით განმუხტვას ხელი შეუწყო აგრეთვე კომერციული ბანკებისთვის დაწესებული ლიკვიდურობის კოეფიციენტის მნიშვნელოვანმა შემცირებამ.

ლიკვიდობის დეფიციტის ერთგვარი შერბილება 2008 წლის სექტემბრის ბოლოს სრულებითაც არ ნიშნავდა ამ პრობლემის გადაწყვეტას: მართალია ბანკები ასე თუ ისე უმკლავდებოდნენ თავიანთ მიმდინარე ვალდებულებებს, მაგრამ 2009 წლის პირველ ნახევარში წამყვან ქართულ ბანკებს უცხოეთში ადრე ნასესხები თანხების მნიშვნელოვანი ნაწილის (რომლის მოცულობა ნახევარ მილიარდ დოლარს აღწევდა) დაბრუნების ვადა დაუდგათ. საბანკო კრიზისის თავიდან ასაცილებლად საერთაშორისო ფინანსურმა ინსტიტუტებმა და დონორმა ქვეყნებმა 2008-2009 წლებში, საქართველოს დახმარების პაკეტის ფარგლებში, საბანკო სექტორის რეაბილიტაციისათვის 853 მლნ აშშ დოლარი გამოყვეს, რომელიც ბანკებმა საკრედიტო ხაზებისა და საგარანტიო მხადაჭერის, აგრეთვე კაპიტალში მონაწილეობის გზით მიიღეს. აქედან გამომდინარე, აღნიშნული დახმარების დიდი ნაწილი კვლავ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას უკავშირდება.

ლარის კურსის მორიგი დაღმასვლა. 2005-2007 წლებში საქართველოს საგადასახდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი 2,8-ჯერ გაიზარდა და 2 მლრდ აშშ დოლარს გადააჭარბა (მშპ-ის 19,7%). ამგვარი დინამიკა ძირითადად იმპორტის მკვეთრმა მატებამ განაპირობა. ეს ძირითადად სამომხმარებლო ბუმის შედეგი იყო, რომელიც მნიშვნელოვანწილად

ბანკების მიერ უცხოეთიდან მოზიდული შედარებით იაფი საკრედიტო რესურსებით ფინანსდებოდა. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი უცხოეთიდან კერძო კაპიტალის შემოდინებით, უწინარეს ყოვლისა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით იფარებოდა. ამდენად, საგადასახდელო ბალანსის გარდვევას ომამდელ პერიოდში, ფაქტობრივად, ადგილი არ ჰქონია. შესაბამისად, სტაბილური იყო ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსიც.

აგვისტოს ომისა და გლობალური ფინანსური კრიზისის გაღრმავების ფონზე ინვესტორთა ნდობა საქართველოს ეკონომიკის მიმართ აშკარად შესუსტდა, რაც მიმდინარე საინვესტიციო პროექტების შეჩერებასა და ახლის დაწყების გაურკვეველი ვადით გადადებაში გამოიხატა. ეს იმას ნიშნავდა, რომ მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფარვის წყარო მნიშვნელოვნად დაიშრიტა.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ საერთაშორისო ფინანსური დახმარება დონორების მხრიდან დროში არ დაემთხვა საგადასახდელო ბალანსის უზრუნველყოფის საჭიროებებს, რასაც ქვეყნიდან უცხოური ვალუტის მსხვილი ნაკადების გადინება მოჰყვა. ეროვნულმა ბანკმა ჯერ ხელოვნურად შეაკავა ლარის კურსის დაღმასვლა, ხოლო შემდეგ, 2008 წლის 7 ნოემბერს ერთბაშად აუშვა იგი. თანაც, ეროვნული ვალუტის ნახტომისებური დევალვაცია უქმე დღეებში განხორციელდა. საერთოდ, ასეთ დროს ბანკები და სავალუტო ბირჟა არ ფუნქციონირებენ და ბაზარი ვალუტის გადამცვლელი პუნქტების ამარა რჩება, რომლებიც ადვილად ექვემდებარებიან სპეკულაციურ აჟიოტაჟს. საბოლოო ანგარიშით, ლარის ბანკნოტური კურსის ნახტომისებური ვარდნის შედეგი ოფიციალურად გაფორმდა. ეროვნული ვალუტა თითქმის 15%-ით გაუფასურდა[17]. მსგავსი შოკი საქართველოს შინამეურნეობებს და ეკონომიკურ სუბიექტებს დიდი ხანია არ მიუღიათ. გასაკვირი არ არის, რომ მკვეთრად შეირყა წლების მანძილზე ეროვნული ვალუტის მიმართ ჩამოყალიბებული ნდობა.

საკრედიტო დეპრესია და მისი დაძლევა. აგვისტოს ომის შემდეგი ერთი წელი ძალზე რთული აღმოჩნდა საქართველოს ეკონომიკისთვის. მართალია, ექსპერტების უმეტესობა ეკონომიკური აქტიურობის დაცემას იმთავითვე ვარაუდობდა, მაგრამ მან მოსალოდნელზე მეტი სიღრმე გამოავლინა. რეალური მშპ 2009 წლის პირველ ნახევარში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 7,8%-ით შემცირდა. განსაკუთრებით მკვეთრი წლიური კლება გამოვლინდა ვაჭრობაში (25,2%), სასტუმროებისა და რესტორნების სექტორში (13,6%), მშენებლობაში (10,8%), მრეწველობასა (10%) და სოფლის მეურნეობაში (8,2%).

კრიზისის გაღრმავებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საკრედიტო დეპრესიამ, რომელიც ორწლიანი სასესხო ბუმის შემდეგ განვითარდა. საკრედიტო რისკების გაძლიერების კვალობაზე, კომერციულმა ბანკებმა მკვეთრად დაამუხრუჭეს ეკონომიკის დაკრედიტება. უმოქმედო სესხების წილი გაცემული კრედიტების საერთო მოცულობაში ომისშემდგომ პერიოდში ოთხჯერ და მეტად გაიზარდა. მკვეთრად იმატა ბანკების მიერ სესხებზე შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნაზე გაწეულმა ხარჯებმაც, რამაც ბანკებში ახალი კრედიტების გაცემის მიმართ შიშის განცდა ჩამოაყალიბა. შედეგად, მხოლოდ 2009 წლის პირველ ნახევარში მთლიანი საკრედიტო პორტფელის მოცულობა ქვეყანაში 10,4%-ით შემცირდა. ეკონომიკის დაკრედიტების სფეროში არსებული დეპრესიული ფონის გადალახვა ქვეყნის ერთ-ერთ უმთავრეს ეკონომიკურ გამოწვევად იქცა.

აღნიშნული ტენდენციის შეჩერებას მთავრობა და ეროვნული ბანკი ახალი ფინანსური პაკეტით შეეცადნენ, რომელიც თითქმის მთლიანად რეცესიის პირობებში კომერციული ბანკების ფინანსური ტვირთის შემსუბუქებას ისახავდა მიზნად. პაკეტით გათვალისწინებუ-

[17] **Kakulia M**. Macroeconomic Paradigm of Post-War Georgia. Post-War Challenges & Perspectives, Independent Experts' Club, Tbilisi, 2010; **Papava V**. Georgia's economy: post-revolutionary development and post-war difficalties. Central Asian Survey. Vol.28, No 2, June, p. 208.

ლი ღონისძიებებიდან შედარებით წარმატებული აღმოჩნდა მუნიციპალური გარანტიით იმ სამშენებლო ობიექტების დაკრედიტება, რომლებშიც თბილისის ცენტრალური უბნების ავარიული საცხოვრებელი ნაგებობებიდან ნებაყოფლობით გასული მობინადრეების განსახლება ხორციელდება. ამ არხით სამშენებლო სექტორმა ათეულობით მილიონი ლარის სახსრები მიიღო, ბანკებს კი ჭარბი ლიკვიდობის გარკვეული ნაწილის შედარებით ნაკლები რისკით განთავსების საშუალება მიეცათ.

ახალი ფინანსური პაკეტის სხვა ღონისძიებებიდან ყურადღებას იქცევს კომერციული ბანკებისათვის რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების კოეფიციენტის შემსუბუქება, რასაც, იდეის ავტორთა აზრით, 400 მლნ აშშ დოლარის ოდენობის საკრედიტო რესურსის გამოთავისუფლება შეეძლო. რეალურად ამ გადაწყვეტილებამ ხელი მხოლოდ ბანკების კაპიტალის მაღალი ადეკვატურობის შენარჩუნებას ანუ კაპიტალის ბუფერის შექმნას შეუწყო, რაც ბანკებს, საკრედიტო პორტფელის შემდგომი გაუარესების შემთხვევაში, მეტ ფინანსურ მოქნილობას ანიჭებს.

ბანკებისათვის საკმაოდ მიმზიდველი იყო ფინანსური პაკეტით გათვალისწინებული კიდევ ერთი ღონისძიება, კერძოდ, მთავრობის მიერ 260 მლნ ლარის მოცულობის სახაზინო ვალდებულებათა გამოშვება. მართალია, აღნიშნული ფინანსური ინსტრუმენტის შემოსავლიანობა დაბალი იყო, მაგრამ ჭარბი ლიკვიდობის გარკვეული ნაწილის განთავსება მასში, ისე როგორც ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატებში, ბანკებისათვის ნაკლებად სარისკო აღმოჩნდა.

ამრიგად, ფინანსური პაკეტით გათვალისწინებულმა ღონისძიებებმა ბანკებს გარკვეულწილად გაუადვილა კრიზისულ პირობებთან ადაპტაცია, მაგრამ მასშტაბური ძვრები ეკონომიკის კერძო სექტორის დაკრედიტებაში მათ არ გამოუწვევიათ.

დაკრედიტების მოცულობის კლება 2009 წლის მეორე ნახევარში საბანკო სექტორში დეპოზიტების თანმიმდევრული ზრდის ფონზე წარიმართა, რაც საბანკო სისტემის მიმართ ნდობის მატებაზე მიანიშნებს. კორპორატიულმა სექტორმა და შინამეურნეობებმა ერთობ პოზიტიურად აღიქვა ის ფაქტი, რომ კრიზისის გაღრმავების მიუხედავად, აგვისტოს ომის შემდეგ ქართულმა ბანკებმა შეინარჩუნეს ფინანსური მდგრადობა, რაშიც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა დონორების დახმარების ხარჯზე მათი ვადადამდგარი უცხოური ვალდებულებების დაფარვამ და ლარის კურსის სტაბილურობამ 2008 წლის ნოემბრის დევალვაციის შემდეგ.

კრიზისის შემდგომ 2010 წელს იურიდიული და ფიზიკური პირების დეპოზიტების მოცულობა თითქმის 40%-ით გაიზარდა. ამასთან, სადეპოზიტო ბუმი საქართველოში კვლავ მაღალი დოლარიზაციის ფონზე მიმდინარეობს: უცხოური ვალუტით მოზიდული დეპოზიტების ხვედრითმა წონამ, დეპოზიტების მთლიან მოცულობაში, 2010 წელს საშუალოდ 72,7% შეადგინა.

დეპოზიტების ინტენსიურმა ფორმირებამ აიძულა ბანკები მაღალი საკრედიტო რისკების პირობებშიც კი გაეფართოებინათ სასესხო ოპერაციები. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ფინანსური სტაბილურობას სერიოზული საფრთხე დაემუქრებოდა. ამით აიხსნება რიგი ბანკების მიერ 2009 წლის ბოლოს საპროცენტო განაკვეთების შემცირება როგორც დეპოზიტებზე, ისე კრედიტებზე. ემპირიული დაკვირვება აჩვენებს, რომ კრედიტის გაიაფებით ჯერჯერობით მხოლოდ პრივილეგირებული კლიენტურა ანუ მსხვილი კორპორატიული მსესხებლები სარგებლობენ. წვრილი ბიზნესისთვის, ისე როგორც შინამეურნეობებისთვის კრედიტი კვლავ ძვირია და ნაკლებად ხელმისაწვდომი. მიუხედავად ამისა, მაკროეკონომიკური გარემოს გარკვეული გაუმჯობესების კვალობაზე, 2010 წელს კერძო სექტორის დაკრედიტების მოცულობა საკმაოდ მნიშვნელოვნად – თითქმის 21%-ით გაიზარდა. ბანკების რეალურ მოტივაციას ამ მიმართულებით განსაზღვრავს საბანკო სექტორის ლიკვიდურობის დონის ამაღლება, კაპიტალის ადეკვატურობის მაღალი მაჩვენებელი და სესხებზე შესაძლო დანაკარგების უკვე შექმნილი რეზერვების საკმარისობა.

ინფლაციის დაბრუნება. კრიზისული 2009 წლის შემდეგ, 2010 წელს, საქართველოში საქმიანი აქტიურობის მატება აღინიშნა: მშპ-ის რეალურმა წლიურმა ზრდამ 6,4% შეადგინა, თუმცა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა თითქმის 16%-ით შემცირდა. ეკონომიკური გამოცოცხლება, ერთი მხრივ, საერთაშორისო ფინანსური დახმარების მონეტიზაციით, მეორე მხრივ კი, ეკონომიკის დაკრედიტების ზრდით იყო განპირობებული. ორივე ამ ფაქტორის მოქმედება ფულის მასის აგრეგატების მკვეთრ ზრდასთან იყო დაკავშირებული: ფართო ფულის მასის – M3 აგრეგატი 2010 წელს თითქმის 35%-ით გაიზარდა, ხოლო M2 – 28%-ით. ფულადი მასის ზრდის ტემპების ეკონომიკური ზრდის ტემპთან ასეთი შეუსაბამობა, ცხადია, ინფლაციის სერიოზულ რისკს შეიცავდა.

ეროვნულმა ბანკმა ინფლაციის გაზრდილი რისკი ნაწილობრივ 2010 წლის ივნისში შენიშნა და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი ჯერ 125, ხოლო შემდეგ კიდევ 25 საბაზისო პუნქტით გაზარდა. ამ ნაბიჯს რაიმე მნიშვნელოვანი შედეგი არ მოყოლია. წლიური ინფლაცია ივნის-ივლისში 3,7-დან 7%-მდე გაიზარდა.

2010 წლის აგვისტოდან სამომხმარებლო ფასების წლიური ზრდის ტემპი დაჩქარდა, რაშიც გადამწყვეტი როლი სურსათზე მსოფლიო ფასების მატებამ შეასრულა. წლის ბოლოს ინფლაციამ 11,2% შეადგინა. 2008 წლის აგვისტოს შემდეგ ქვეყანაში წლიური ინფლაციის ასეთი მაღალი მაჩვენებელი არ ყოფილა. მიმდინარე ინფლაციის სიმძაფრეზე ისიც მეტყველებს, რომ სამომხმარებლო ფასების ზრდის ტემპი 2011 წლის პირველ კვარტალში კიდევ უფრო გაიზარდა და 14%-ს მიაღწია, რაც 2006 წლის ივლისის შემდეგ, ყველაზე მაღალ მაჩვენებელს წარმოადგენს.

ეროვნული ბანკი აღმავალი ინფლაციის მთავარ მიზეზად სურსათზე მსოფლიო ფასების მკვეთრ ზრდას ასახელებს, მონეტარული ფაქტორის როლს კი უმნიშვნელოდ მიიჩნევს.[18] მიუხედავად ამისა, მის მიერ განხორციელებული ყველა ანტიინფლაციური ღონისძიება (მიმოქცევაში ფულის სტერილიზაცია, მინიმალური სარეზერვო მოთხოვნის ნორმის მკვეთრი ზრდა და სხვ.) ფართო ფულის მასის აგრეგატების ზრდის ტემპის დაგდებისკენაა მიმართული. შედეგად, M3 აგრეგატის წლიური ზრდის ტემპი 2011 წლის თებერვალში 29%-მდე, ხოლო M2 აგრეგატის – 21%-მდე შემცირდა, თუმცა, ეს არ არის საკმარისი. მართალია, სამომხმარებლო ფასების აღმავალ დინამიკას მეტწილად კვლავ სურსათისა და საწვავის მსოფლიო ფასების ზრდა განაპირობებს, მაგრამ მისი ინფლაციური ეფექტის ნაწილობრივ მაინც განეიტრალება ფულის მასის აგრეგატების ზრდის ტემპების მინიმუმამდე დაყვანას საჭიროებს.

ინფლაციის მოთოკვის მიზნით მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებას თავისი დანახარჯები აქვს, რაც, უწინარეს ყოვლისა, დაკრედიტების დამუხრუჭებაში გამოიხატება. კრედიტის გაძვირება ეკონომიკური აქტიურობის შესუსტებას იწვევს, რაც კრიზისიდან გამოსვლის პერიოდში ძალზე არასასურველია. გარდა ამისა, მიმოქცევაში ლარის მასის შემცირებას მოჰყვება ეროვნულ ვალუტაზე მოთხოვნის ზრდა, რაც, სხვა ფაქტორებთან ერთად, ლარის არასასურველ გამყარებას იწვევს. ნიშანდობლივია, რომ 2011 წლის დასაწყისიდან ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 7,5%-ით გამყარდა. ეროვნული ბანკი ცდილობს ამ პროცესის შეჩერებას და ბაზარზე ჭარბ ვალუტას ყიდულობს. 2011 წლის მარტ-აპრილში მან 100 მლნ აშშ დოლარი შეიძინა, რაც მიმოქცევაში შესაბამისი ოდენობის ლარის გაშვებას ნიშნავს. ამდენად, ეროვნული ბანკის საკურსო პოლიტიკა წინააღმდეგობაში მოდის მის ანტიინფლაციურ პოლიტიკასთან და სერიოზულ გადახედვას საჭიროებს ოპტიმიზაციის მიმართულებით.

[18] საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის სხდომის პრესრელიზი; http://www.nbg.gov.ge/uploads/mpc/2011/mpc_18_01_11.pdf

VI თავი

ეროვნული სიმდიდრე

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, პოტენციალი, განვითარების ტენდენციები და გრძელვადიანი პროგნოზი დიდად არის დამოკიდებული ისეთ უმნიშვნელოვანეს მაკროეკონომიკურ ინდიკატორზე, როგორიც ეროვნული სიმდიდრეა. მისი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლები განსაზღვრავს ეკონომიკის მდგრადი განვითარებისა და უსაფრთხოების დონეს, მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოსახლეობის მატერიალური ფასეულობებისა და სულიერი კულტურის ჩამოყალიბებაში.

ეროვნული სიმდიდრე, აგრეგირებული სახით, იყოფა ოთხ ჯგუფად: **ფიზიკური კაპიტალი** (მატერიალურ-ნივთობრივი დოვლათის მთლიანი ღირებულება), **ბუნებრივი კაპიტალი** (მიწის, სასარგებლო წიაღისეულის, ტყეების, სავარგულების, ჰიდრომინერალური რესურსების პოტენციური გამოყენების ღირებულება), **ადამიანისეული კაპიტალი** (უნარ-ჩვევები, ინტელექტი, პროფესიული ცოდნა დახელოვნების მიხედვით, რომელიც იქმნება ინვესტიციებით ადამიანში და განსაზღვრავს მის ქმედითუნარიანობის პოტენციალს) და **ფინანსური კაპიტალი** (მონეტარული ოქრო, ვალუტა და დეპოზიტები, ფასიანი ქაღალდები, სესხები, დაზღვევის ტექნიკური მარაგი, მოვალე კრედიტორების სხვა ანგარიშები, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და ა.შ.).

ეროვნულ სიმდიდრეში აისახება ქვეყანაში დაგროვილი სიმდიდრის ოდენობა და მოსახლეობის განკარგულებაში არსებული ქონების ერთობლიობაც. თანამედროვე კონცეფციის მიხედვით, ეროვნულ სიმდიდრეში შედის ქვეყნის როგორც წინა და ამჟამინდელი თაობების მიერ შექმნილი, ისე არსებული სამუშაო ძალის შრომის მიმდინარე მწარმოებლურობის პირობებში შესაქმნელი დოვლათის ჯამური პოტენციური ღირებულება, აგრეთვე მოძიებული და ეკონომიკურ ბრუნვაში ჩართული ბუნებრივი რესურსების ღირებულება. ეროვნული სიმდიდრე მარაგის, რესურსის, პოტენციალის აღმნიშვნელი კატეგორიაა. მასში, როგორც რესურსულ კატეგორიაში, აისახება კვლავწარმოების არა ერთი, არამედ მრავალი წლის შედეგი. ამიტომ მისი სიდიდე და დინამიკა, კვლავწარმოების ერთ ციკლზე ორიენტირებული ინდიკატორებისგან (მთლიანი შიდა პროდუქტი, ეროვნული შემოსავალი და ა.შ.) განსხვავებით, ნაკლებად ექვემდებარება კონიუნქტურას, იგი სტაბილური მაჩვენებელია. ეკონომიკური რყევები მის სიდიდესა და სტრუქტურაზე გაცილებით ნაკლებად ახდენს გავლენას, ვიდრე სხვა მაკროეკონომიკურ ინდიკატორებზე.

საქართველოში ეროვნული სიმდიდრის გაანგარიშების მეთოდიკა მთლიანად ემყარება გაეროს ეროვნულ ანგარიშთა სისტემის **(ეას)** პრინციპებს, რომლის მეხუთე გადამუშავებული ვერსია გამოვიდა 2008 წელს. **ეას**-ის საფუძველზე ეროვნული სიმდიდრის შეფასების კონცეფცია შინაარსობრივად აფართოებს ეროვნული სიმდიდრის ელემენტებს, რომელთა რაოდენობა სამ ათეულს აღწევს (იხ. სქემა 1).

საქართველოში, 1980-იანი წლების ბოლოს, დამოუკიდებლობისაკენ გადადგმული პირველი ნაბიჯების პერიოდში ეროვნული სიმდიდრის გაანგარიშება განხორციელდა მხოლოდ მატერიალურ-ნივთობრივი ფორმით და 73,3 მლრდ მანეთი შეადგინა, რაც იმდროინდელი ოფიციალური კურსით 120 მლრდ აშშ დოლარის ეკვივალენტი იყო.

1990 წლისთვის საქართველოს მთელი ეროვნული ქონების თითქმის 2/3 (63,3%) მოდიოდა სახელმწიფო საკუთრებაზე, 9,0% – კოოპერაციულ საკუთრებაზე და 28,7% პირად საკუთრებაზე. სახელმწიფოს ხელში იყო ძირითადი კაპიტალის 4/5–ზე მეტი (82,6%) და მატე-

რიალური საბრუნავი საშუალებების 3/4. მოსახლეობის წილი ძირითად საწარმოო კაპიტალში შეადგენდა მხოლოდ 4%-ს, ხოლო ძირითად არასაწარმოო კაპიტალში – 17,5%-ს.

სქემა 1

საქართველოს ეროვნული სიმდიდრის სტრუქტურა
(ძირითადი ელემენტები ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მეხუთე, 2008 წლის ვერსიის მიხედვით)



დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოს გადასვლამ ახალ ეკონომიკურ სისტემაზე არსებითად შეცვალა ეროვნული სიმდიდრის ღირებულების განსაზღვრის კონცეფცია. განუვითარებელ ეკონომიკურ ურთიერთობებს მხოლოდ ნაწილობრივ შეეძლოთ ქონების წარმოებაზე გაწეული ხარჯების ღირებულებითი ასახვა, რაც მნიშვნელოვნად აძნელებდა ეროვნული სიმდიდრის შეფასებას. ამიტომ, 1990-იანი წლების შემდეგ, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა, ფაქტობრივად, მიატოვა შესაბამისი ტიპის გაანგარიშებები, აღარ აწარმოებს ეროვნული სიმდიდრის სტატისტიკას. მომდევნო პერიოდზე აქ მოყვანილი მონაცემები მიღებულია ექსტრაპოლირებითა და ექსპერტული შეფასებებით. მათ საფუძველზე, 2010 წლის მონაცემებით, **საქართველოს ეროვნული სიმდიდრის წარმოებული არაფინანსური აქტივების – ეროვნული ქონების, ფიზიკური, მატერიალურ-ნივთობრივი დოვლათის ღირებულება 200 მლრდ აშშ დოლარს აღემატება.**

ეროვნული სიმდიდრის ელემენტების დინამიკაში არის გარკვეული კანონზომიერება: ფიზიკურ კაპიტალზე უფრო სწრაფად იზრდება მისი ერთ-ერთი კომპონენტი – მოსახლეობის საშინაო ქონება, საშინაო ქონებაზე სწრაფად – ადამიანისეული კაპიტალი, ხოლო ადამიანისეულ კაპიტალზე უფრო სწრაფად – ფინანსური კაპიტალი. აღნიშნულ ტენდენციას თითქმის უნივერსალური ხასიათი აქვს და იგი არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მსოფლიოს ყველა ქვეყნისათვის არის დამახასიათებელი. ამასთან, ეროვნული სიმდიდრის ზრდაზე დიდ როლს ასრულებს დაგროვებისა და მოხმარების ფონდები, ვინაიდან ძირითადი კაპიტალის სიდიდის მატება დამოკიდებულია დაგროვების ფონდზე, ხოლო საშინაო ქონების მატება – მოხმარების ფონდზე.

საშინაო ქონების ღირებულება შესადარ ფასებში საშუალოდ დაახლოებით 8–9 წელიწადში ორმაგდება. 2010 წელს მოსახლეობის საშინაო ქონების ღირებულება მოსახლეობის ერთ სულზე (საწარმოო დანიშნულების კაპიტალისა და ფინანსური აქტივების გარეშე) დაახლოებით 40 ათას ლარს (22 ათას აშშ დოლარს) შეადგენდა. შესაბამისად, ერთი შინამეურნეობის საშინაო ქონების ღირებულება 140 ათასი ლარის (დაახლოებით 78 ათასი აშშ დოლარი) ფარგლებშია.

საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებამ, მსოფლიო მეურნეობრიობაში საქართველოს ჩართვამ გამოიწვია ეროვნული ქონების სტრუქტურის არსებითი ტრანსფორმაცია. თუ ადრე ეროვნულ სიმდიდრეში განმსაზღვრელ როლს შენობა-ნაგებობები ასრულებდა, ამჟამად სულ უფრო მზარდი წილი უკავია მოწყობილობებს, დანადგარებს, ხელსაწყოებს, საკომუნიკაციო საშუალებებს, ისევე როგორც ადამიანისეული კაპიტალის, აგრეთვე პროგრამული პროდუქტების, „ნოუ-ჰაუს“ ღირებულებას. ადგილი აქვს ორ ურთიერთსაპირისპირო ტენდენციას: ერთი მხრივ, იზრდება სამომხმარებლო დანიშნულების საქონლის ხარისხი, სამომხმარებლო თვისებები, საიმედოობა, ფიზიკური ექსპლუატაციის ხანგრძლივობის პოტენციალი, მეორე მხრივ, ჩქარდება მათი მორალური ცვეთის პროცესი, რაც მოქმედებს ექსპლუატაციის ხანგრძლივობის შემცირებაზე (ყველაზე მკაფიო მაგალითი მობილური ტელეფონებია). შესაბამისად, მცირდება ეროვნული სიმდიდრის ფიზიკური ნაწილის კვლავწარმოების პერიოდი. დღეს მისი საშუალო ვადა, ფაქტობრივად, არ აღემატება 6-8 წელს. საინფორმაციო ტექნოლოგიების, კომუნიკაციებისა და ზოგიერთ სხვა სფეროში კაპიტალის ელემენტების ამორტიზაციის ვადა 3 წელზე ნაკლებია. აღნიშნულის გათვალისწინებით, თანაფარდობა ეროვნულ სიმდიდრესა და ქვეყანაში შექმნილ დამატებულ ღირებულებას შორის 16–20 ჯერადზე მეტია.

ეროვნულ სიმდიდრის შემადგენელი ნაწილის – კვლავწარმოების პროცესში ჩართული ბუნებრივი რესურსების ღირებულებითი შეფასება ერთ-ერთი ურთულესი პრობლემაა. არსებობს ე.წ. „ხარჯვითი“ და „რესურსული“ მეთოდები სიმდიდრის ამ კომპონენტის გაანგარიშებაში. პირველი მეთოდის მომხრენი ეროვნულ სიმდიდრეში აერთიანებენ ბუნებრივი სიმდიდრის მოპოვებაზე და მის რეკულტივაციაზე გაღებულ ხარჯებს; მეორე მეთოდის მომხრენი ბუნებრივ სიმდიდრეს აკუთვნებენ წიაღისეულის მოძიებული მარაგების ღირებულებას, შეფასებულს მიმდინარე საბაზრო ფასებით. ამიტომ, იმისდა მიხედვით, თუ რომე-

ლი მეთოდით ხდება შეფასება, სხვაობა კოლოსალურად დიდია. ეროვნულ სიმდიდრეში ბუნებრივი სიმდიდრის შეფასება უნდა დაეყრდნოს ეკონომიკურად გამართლებულ მოპოვების პრაქტიკულ შესაძლებლობებს.

დღეს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების მასშტაბებს, ფაქტობრივად, განსაზღვრავს სამი ფაქტორი: მოპოვების კონკურენტუნარიანი თვითღირებულება, ინვესტიციების ოდენობა და ბაზრის ტევადობა. თუ დავუშვებთ, რომ ამ შემთხვევაში პრობლემას არ წარმოადგენს ბაზრის სეგმენტის დაკავება და წიაღისეულის მოპოვებაზე შესაბამისი ხარჯების გაწევა, მაშინ საქართველოს მხოლოდ სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მარაგების პოტენციური ღირებულება, მიმდინარე საბაზრო ფასებით, თითქმის 200 მლრდ აშშ დოლარს გაუტოლდება, თუმცა, გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოების შემდგომი გაძლიერების გამო, შეიძლება ეს მაჩვენებელი ჯერადად გაიზარდოს. მაგალითად, დღეისთვის საქართველოში მოძიებულია დაახლოებით 170 მლნ ტონა ნავთობის, 5,2 მლრდ კუბური მეტრი ბუნებრივი აირის, 484 მლნ ტონა ქვანახშირისა და 100 მლნ ტონამდე ტორფის მარაგები, თერმული წყლების დიდი რაოდენობა.[1] მთლიანობაში, საქართველოს, ასევე დიდი რაოდენობით აქვს მანგანუმის (პოტენციური მარაგი – დაახლოებით 60 მლნ ტონა), აგრეთვე ფერადი, ხალასი და იშვიათი ლითონების მნიშვნელოვანი მარაგები.[2] საქართველო მდიდარია ქიმიური, აგროქიმიური, ინერტული და სამშენებლო რესურსებით, მტკნარი თუ მინერალური წყლებით (მარტო მიწისქვეშა მტკნარი წყლის სადღეღამისო დებიტი შეადგენს 6,5 მლნ კუბურ მეტრს, სუფრის – 45 ათას კუბურ მეტრს, ხოლო სამკურნალო წყლების – 30 ათასამდე კუბურ მეტრს.[3] ქვეყნის ჰიდროენერგორესურსების პოტენციური სიდიდე 15,5 მლნ კვტ-ს, ხოლო ტექნიკური სიდიდე – 7,8 მლნ კვტ-ს აღემატება.[4]

რაც შეეხება მიწის ღირებულებას, მიწების სხვადასხვა დანიშნულებით გამოყენების გამო, მისი ფასი განსხვავებულია. იგი დაკავშირებულია მიწის ეკონომიკურ შეზღუდულობასა და საკუთრების უფლების რეალიზაციასთან.

1990-იანი წლების დასაწყისში საქართველოს ეროვნულ სიმდიდრეში შეტანილი მიწის ღირებულება შეადგენდა დაახლოებით 30 მლრდ მანეთს და უტოლდებოდა მაშინდელი ეროვნული სიმდიდრის 41%-ს[5], რაც იმ პერიოდში სხვა ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელზე მნიშვნელოვნად მეტი იყო. ამჟამად, ესქპერტული შეფასებით, ეს თანაფარდობა, ერთი მხრივ, ეროვნული სიმდიდრის კვლავწარმოებითი ნაწილის ზრდისა, და, მეორე მხრივ, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების, ასევე მიწის სხვა ფართობების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებიდან გამოყვანისა და ურბანული დატვირთვის გაძლიერების გათვალისწინებით, 25%-ზე მეტი არ უნდა იყოს ანუ ამჟამინდელი ფასებით – დაახლოებით 50 მლრდ აშშ დოლარი.

ეროვნული სიმდიდრის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დეტერმინანტში – ადამიანისეულ კაპიტალში* ადრე შეჰქონდათ იმ ინვესტიციების ერთობლიობა, რომელიც ზრდის ადამიანის შრომის უნარს, განათლებასა და პროფესიულ ჩვევებს. მოგვიანებით ადამიანისეული კაპიტალის ცნება მნიშვნელოვნად გაფართოვდა. მასში აისახა სამომხმარებლო ხარჯებიც (შინამეურნეობათა ხარჯები კვებაზე, ტანსაცმელზე, საცხოვრისზე, განათლებაზე, ჯანდაცვაზე, კულტურაზე, აგრეთვე სახელმწიფოს მიერ ამავე მიზნებით გაღებული ხარჯები).

---

[1] **თვალჭრელიძე ა., სილაგაძე ა., ქეშელაშვილი გ., გეგია დ.** საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა. თბილისი, „ნეკერი“, 2011, გვ. 34.

[2] იქვე, გვ. 39–43.

[3] იქვე, გვ. 69.

[4] იქვე, გვ. 72.

[5] **არჩვაძე ი.** საქართველოს ეროვნული სიმდიდრე და მისი ელემენტები. თბილისი, „საქართველო“, 1992; გვ. 76.

* პირველად ეს ტერმინი გამოიყენა ამერიკელმა ეკონომისტმა, ეკონომიკაში ნობელის პრემიის 1979 წლის ლაურეატმა თეოდორ შულცმა, შემდეგ იგი შემოქმედებითად განავითარა ასევე ამერიკელმა ეკონომისტმა, ეკონომიკაში ნობელის პრემიის 1992 წლის ლაურეატმა გარი ბეკერმა.

ადამიანისეული კაპიტალი განსხვავდება როგორც ადამიანის პოტენციალისგან, ისე შრომითი რესურსებისაგან.

ადამიანის პოტენციალი (განვითარების ინდექსი) სამი ინდიკატორისგან (მთლიანი შიდა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე, სიცოცხლის მოსალოდნელი საშუალო ხანგრძლივობა, მოსახლეობის განათლების დონე) წარმოებული მაჩვენებელია, ანუ იგი რამდენადმე უფრო ვიწრო ცნებაა, ვიდრე ადამიანისეული კაპიტალი, რომელშიც შინაარსობრივად შედის ადამიანის განვითარების პოტენციალი.

შრომითი რესურსები შრომისუნარიანი ადამიანებია. მათ გარდა ადამიანისეული კაპიტალი მოიცავს დაგროვილ ინვესტიციებს (ამორტიზაციის გათვალისწინებით) განათლებაში, მეცნიერებაში, ჯანდაცვაში, ცხოვრების უსაფრთხოებასა და ხარისხში, აგრეთვე იმ გარემოში, რომელშიც ხდება ადამიანისეული კაპიტალის ეფექტიანი ფუნქციონირება.

სწორედ ეროვნული ადამიანისეული კაპიტალი წარმოადგენს ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის მთავარ ელემენტს. მასში აისახება ეროვნული ინტელექტუალური პრიორიტეტები, ეროვნული კონკურენტული უპირატესობები და ერის ეკონომიკური პოტენციალი.

ფირმის კაპიტალში ამ ბოლო წლებში საქართველოში სულ უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს ისეთი არამატერიალური აქტივები, როგორიცაა ბრენდი, პერსონალი და ახალი ტექნოლოგიები. მათ აგრეთვე შეიძლება მიეკუთვნოს ინდივიდუალური ადამიანისეული კაპიტალის აქტივები (ლიცენზიები, პატენტები, საავტორო უფლებები), საფირმო არამატერიალური აქტივები (სავაჭრო მარკები და სავაჭრო ნიშნები), საორგანიზაციო კაპიტალი, სტრუქტურული კაპიტალი, ბრენდკაპიტალი და სოციალური კაპიტალი.

ეროვნული ადამიანისეული კაპიტალი მოიცავს სოციალურ, პოლიტიკურ კაპიტალს, ეროვნულ ინტელექტუალურ პრიორიტეტებს, ეროვნულ კონკურენციულ უპირატესობებს და ერის ბუნებრივ პოტენციალს. მაგრამ წმინდა ეკონომიკური ასპექტით, ადამიანისეული კაპიტალი არის არა ის, რაც „დაბანდებულია“ ადამიანში, არამედ ის პოტენციალი, რაც მას შეუძლია შექმნას თავისი ფუნქციონირების განმავლობაში. აქ იგულისხმება ის დამატებული ღირებულება, რომელიც შეუძლია დასაქმებულმა ადამიანებმა ქვეყანაში შექმნან არსებული შრომის მწარმოებლურობის პირობებში. ამ მხრივ, ადამიანისეული კაპიტალის განსაზღვრა ეფუძნება კონკრეტული წლის დასაქმებულთა მთლიანი რიცხოვნობის, მათი შრომის მწარმოებლურობისა და დასაქმებულების საშუალო ასაკისა და საპენსიო ასაკს შორის სხვაობის კომბინაციას[6].

საქართველოში (2010 წლის მონაცემებით) დასაქმებულთა საშუალო რიცხოვნობა შეადგენს 1,7 მლნ-ს, შრომის წლიური მწარმოებლურობა – დაახლოებით 12,5 ათას ლარს, დასაქმებულთა საშუალო ასაკი – 37 წელს, საშუალო საპენსიო ასაკი – 65 წელს. აქედან გამომდინარე, ადამიანისეული კაპიტალი უტოლდება:

1,7 (მლნ კაცი) X 12,5 ათასი ლარი X (65–37) = 595 (მლრდ ლარი).

სხვაგვარად, **საქართველოს ადამიანისეული კაპიტალის ღირებულება თითქმის 0,6 ტრლნ ლარს, ანუ 320 მლრდ დოლარს შეადგენს.**

გლობალიზაციისა და თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებების განვითარების კვალობაზე მიმდინარეობს ფიზიკური კაპიტალის ადამიანისეული კაპიტალით ჩანაცვლების პროცესი. სწრაფ მორალურ ცვეთას განიცდის ეროვნული სიმდიდრის ისეთი ტრადიციული ელემენტები, როგორიცაა შენობა-ნაგებობები, არაფინანსური აქტივების სხვა ელემენტები, სამაგიეროდ, იზრდება ადამიანისეული კაპიტალის, აგრეთვე პროგრამული პროდუქციის, „ნოუ-ჰაუს“ ღირებულება.

განვითარებულ ქვეყნებში ფიზიკურ კაპიტალსა და ადამიანისეულ კაპიტალს შორის თანაფარდობა არის 30/70–თან, ამასთან, ინვესტიციების დიდ ნაწილს ადამიანისეულ კაპიტალში ახორციელებს სახელმწიფო.

---

[6] დაწვრილებით იხილეთ: **არჩვაძე ი.** ადამიანისეული კაპიტალი როგორც ეროვნული სიმდიდრის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი. „საქართველოს ეკონომიკა“, 2006, №11.

საქართველოში ფიზიკურ და ადამიანისეულ კაპიტალს შორის თანაფარდობა 40/60-თანაა, თუმცა, ეს პროპორცია თანდათან იცვლება მეორის სასარგებლოდ.

რაც შეეხება ფინანსურ კაპიტალს, როგორც ეროვნული სიმდიდრის შემადგენელ ნაწილს, სურათი ასეთია: 2011 წლის დასაწყისისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის რეზერვებმა უცხოურ ვალუტაში 1,9 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ჯამურმა მაჩვენებელმა – 7700 მლნ აშშ დოლარი, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების (სადეპოზიტო სერტიფიკატები, სახაზინო ვალდებულებები და სახაზინო ობლიგაციები) ნომინალური ღირებულება 900 მლნ ლარზე მეტია. მიმოქცევაში გამოშვებულია დაახლოებით 400 მლნ აშშ დოლარის ნომინალის აქციები, 774 მლნ დოლარის ობლიგაციები, 224 მლნ დოლარის ნასესხობის სპეციალური უფლება (SDR) და სხვ. მთლიანობაში, **ფინანსური კაპიტალის მოძიებული რესურსების ჯამური ღირებულება 10 მლრდ აშშ დოლარს აღემატება.**

საქართველოში ეროვნული სიმდიდრის ცალკეული ელემენტების ღირებულებითი შეფასებისას ჯერაც გადაუჭრელია რიგი პრობლემებისა. ერთ-ერთი ასეთია უძრავი ქონების ელემენტების ღირებულებითი შეფასება იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი არ არის ყიდვა-გაყიდვის ობიექტები, არ არის ჩართული საბაზრო ურთიერთობებში. მაგალითად, საცხოვრისის დიდი ნაწილი, განსაკუთრებით სასოფლო ადგილებში, არ არის ჩართული სავაჭრო ბრუნვაში და მისი ღირებულების გამოთვლა, „პრეცენდენტული ფასის“ დადგენის შემთხვევაშიც, დიდ პირობითობასა და ცდომილებასთანაა დაკავშირებული.

საქართველოში ეროვნული სიმდიდრის აღრიცხვიანობის პრობლემაა ისიც, რომ არ ხორციელდება მისი ელემენტების ერთნაირი შეფასება. ძირითადი კაპიტალის ელემენტების შეფასება ხდება მათი საბალანსო ღირებულებით, ბუნებრივი რესურსებისა – მათი კვლავწარმოების პროცესში ჩართვისა და კვლავწარმოებისათვის საჭირო შრომითი დანახარჯების ან სარენტო გადასახადის (ლიცენზიის) მიხედვით, მატერიალური საბრუნავი საშუალებების – მიმდინარე ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით, ადამიანისეული კაპიტალის – შრომის მიმდინარე მწარმოებლურობის დონის მიხედვით, ხოლო მოსახლეობის საშინაო ქონების ელემენტებისა – შეძენის მომენტისათვის მათი საშუალო საბაზრო ფასის მიხედვით.

აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით, საქართველოს ეროვნული სიმდიდრის ღირებულებითი შეფასება მთლიანობაში, ჯერჯერობით შესაძლებელია საექსპერტო დონეზე. შექმნილი ვითარება კიდევ უფრო აძლიერებს ამ მიმართულებით სტატისტიკური კვლევების განახლებისა და გაძლიერების აუცილებლობას.

მთლიანობაში, საქართველოს ეროვნული სიმდიდრე, 2010 წლის მდგომარეობით, ექსპერტული შეფასებით, ოფიციალურ საბანკო-საფინანსო და სტატისტიკური სამსახურის მასალებზე დაყრდნობით, იღებს სახეს, რომელიც მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში (იხ. ცხრილი 1).

საქართველოს ეროვნული სიმდიდრე 2010 წელს, 2000 წელთან შედარებით, ნომინალურ განზომილებაში გაიზარდა 2,3-ჯერ – 388 მლრდ დოლარიდან 900 მლრდ დოლარამდე[7]. აღნიშნული ზრდა რამდენადმე ჩამორჩება ამავე პერიოდში ქვეყნის **მშპ**-ის ნომინალურ ზრდას – ლარებში (3,4-ჯერ) და დოლარებში (3,7-ჯერ). ამასთან, ამ დროის მანძილზე რამდენადმე შეიცვალა ეროვნული სიმდიდრის სტრუქტურა ზემოთ მოტანილი ელემენტების მიხედვით: შემცირდა ეროვნული ქონებისა და ბუნებრივი სიმდიდრის წილები (შესაბამისად, 27,1%-დან 26,6%-მდე და 43,3%-დან 37,8%–მდე), ამავე დროს, გაიზარდა ადამიანისეული კაპიტალის წილი (29,6%-დან 35,6%-მდე), რაც მთლიანობაში პოზიტიურ ტენდენციად უნდა ჩაითვალოს და მთლიანად ეწერება იმ გლობალურ პროცესში, რასაც ბუნებრივ რესურსებზე დამყარებული ეკონომიკიდან ცოდნაზე დამყარებულ ეკონომიკაზე გადასვლა ჰქვია. აღნიშნულ დასკვნას ადასტურებს ქვეყნის **მშპ**-ის სტრუქტურული ცვლილებებიც: ამ პერიოდში **მშპ** გაიზარდა 2,1-ჯერ,

[7] **არჩვაძე ი.** „რა ფერისაა მილიარდი?“ თბილისი, 2002, გვ. 21.

მათ შორის, რეალური სექტორი – მხოლოდ 1,38-ჯერ, ხოლო დანარჩენი ეკონომიკა – 2,64-ჯერ. შესაბამისად, რეალური სექტორის წილი აღნიშნულ პერიოდში შემცირდა 41,6%-დან 27,1%-მდე, დანარჩენი ეკონომიკის წილი კი, რომლის ძირითადი კომპონენტები უშუალოდ ზემოქმედებენ ადამიანისეული კაპიტალის მატებაზე, გაიზარდა 58,4%-დან 72,9%-მდე.

ცხრილი 1

საქართველოს ეროვნული სიმდიდრე 2010 წელს

(ფინანსური კაპიტალის გარეშე)

	მლრდ აშშ დოლარი	**%**
ეროვნული სიმდიდრე	**900**	**100**
მათ შორის		
ეროვნული ქონება	**200**	**22,2**
მოსახლეობის საშინაო ქონება*	**40**	**4,4**
ბუნებრივი სიმდიდრე არაწარმოებული მატერიალური აქტივები	**340**	**37,8**
აქედან:		
სასარგებლო წიაღისეული	**250**	**27,8**
მიწა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისათვის (სავარგულები, სახნავ-სათეს-საძოვარი)	**60**	**6,7**
ტყე, ჰიდრომინერალური (მტკნარი, მინერალური და თერმული) რესურსები	**30**	**3,3**
ადამიანისეული კაპიტალი	**320**	**35,6**

საქართველოს ეროვნული სიმდიდრისა და მისი ელემენტების ღირებულებამ 2010 წელს უკვე მნიშვნელოვნად გადააჭარბა არა მარტო 2000 წლის, არამედ 1990 წლის დონესაც. აღნიშნულს პრინციპული მნიშვნელობა აქვს იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ 1990–იან წლებში საქართველოში განვითარებული მოვლენების გამო, ქვეყანაში თითქმის 6–7 წლის მანძილზე მიმდინარეობდა არა მარტო ეკონომიკური ვარდნა და, აქედან გამომდინარე, მთლიანი შიდა პროდუქტის შემცირება, არამედ ეროვნული სიმდიდრის თანდათანობითი კლებაც.[8]

საქართველოს ეროვნული სიმდიდრის ცალკეული ელემენტების გაანგარიშების მეთოდების დახვეწა, მათი უნიფიკაცია, მთლიანობაში უფრო სრულყოფილი შესწავლა ელემენტების მოცულობის, სტრუქტურისა და დინამიკის, ძირითადი ნაწილების კვლავწარმოების, ქვეყნის ტერიტორიაზე განფენილობის, გაანგარიშების პრიციპებისა და მეთოდების, აგრეთვე ბუნებრივი რესურსების დაცვისა და მათი შევსების მაჩვენებლების მიხედვით, ჯერ კიდევ წინაა.

---

* საქართველოს მოსახლეობის საშინაო ქონების ღირებულება, საცხოვრისის ჩათვლით, დაახლოებით 40 მლრდ აშშ დოლარის ეკვივალენტია. თუ ამ თანხას მივაკუთვნებთ სიმდიდრის ქონებრივ კომპონენტს, მაშინ ეროვნული ქონების ღირებულება გაიზრდება შესაბამისი თანხით და იგი 240 მლრდ აშშ დოლარი (26,7%) იქნება. თუ ამ ღირებულებით გავზრდით ადამიანისეულ კაპიტალს, მაშინ მისი ღირებულება 360 მლრდ-მდე გაიზრდება (40,0%).

[8] 1990-იან წლებში საქართველოს ეროვნული სიმდიდრის შემცირების მასშტაბებსა და მიზეზებზე დაწვრილებით იხილეთ: **არჩვაძე ი.** საქართველოს ეროვნული სიმდიდრის არასახელმწიფოებრივი გადანაწილების ზოგიერთი ასპექტის შესახებ. სამეცნიერო შრომების კრებული – „გარდამავალი პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები საქართველოში“. I ტომი. თბილისი, 1996; **არჩვაძე ი.** ეროვნული სიმდიდრე და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ფასი. წიგნიდან: „რა ფერისაა მილიარდი?“ თბილისი, 2002.

VII თავი

დემოგრაფიული განვითარების ტენდენციები

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება და საზოგადოების კეთილდღეობა მნიშვნელოვანწილად იმაზეა დამოკიდებული, თუ რაოდენ ოპტიმალურადაა იგი გაჯერებული ადამიანისეული რესურსებით, როგორია მოსახლეობის ზრდის ტენდენცია, სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, დემოგრაფიული დაბერების დონე, ეკონომიკური აქტიურობა, პროგნოზული მაჩვენებლები და ა.შ. ამიტომ თანამედროვე პირობებში საქართველოში მეტად აქტუალურია მოსახლეობის არასაკმარისი ოდენობით გამრავლებისა და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგების, აგრეთვე, დემოგრაფიულ დაბერებასთან დაკავშირებული პრობლემების განხილვა, თანაც, არა იზოლირებულად, არამედ მსოფლიოს მოსახლეობის აღწარმოების საერთო კანონზომიერებათა შუქზე.

როგორც ფაქტობრივი მასალების ანალიზი ცხადყოფს, საქართველოში დემოგრაფიული ვითარების გაუარესება გასული საუკუნის 60-70-იანი წლებიდან დაიწყო, ხოლო 90-იანი წლების დასაწყისიდან წარმოქმნილ არაორდინარულ გარემოებათა გამო, იგი კიდევ უფრო გამწვავდა. მხედველობაში გვაქვს შობადობის მკვეთრი დაცემა, მოკვდაობის (განსაკუთრებით ჩვილთა მოკვდაობის) მაღალი დონე, და, როგორც ყოველივე ამის ლოგიკური შედეგი, მოსახლების რიცხოვნობის აბსოლუტური კლება, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის, უწინარეს ყოვლისა, საქართველოს ძირძველი მოსახლეობის – ქართველთა გენოფონდს.

შობადობის დინამიკა საქართველოში, ყოველ 1000 მცხოვრებზე გაანგარიშებით, შემცირების ტენდენციით ხასიათდება: თუ XIX საუკუნის პირველ ნახევარში იგი 40 ბავშვს შეადგენდა[1], 1913 წელს შეადგინა 28, 1960 წელს – 24,7, 1990 წელს – 17,1, ხოლო 2010 წელს ჩამოვიდა 13 პრომილემდე[2]. საგრძნობლად იკლო შობადობის ჯამურმა კოეფიციენტმაც. 1960-2010 წლებში იგი 34,6 პროცენტული პუნქტით შემცირდა და ეს პროცესი ამჟამადაც ინტენსიურად მიმდინარეობს.[3]

ასეთი ტენდენცია არა მხოლოდ ქართული მოვლენა, არამედ გლობალური კანონზომიერებაა, რაც დასტურდება ფაქტობრივი მონაცემებით: 1960-2010 წლებში, მსოფლიოში საშუალოდ, შობადობის ზოგადი კოეფიციენტი 43,4, ხოლო ჯამობრივი კოეფიციენტი – 47 პროცენტული პუნქტით შემცირდა[4].

საქართველო გამოირჩევა შობადობის ფრიად დაბალი დონითაც. მაგალითად, შობადობის ზოგადი კოეფიციენტი საქართველოში თუ არ აღემატება 13 პრომილეს, მსოფლიოში საშუალოდ უდრის 20 პრომილეს. ამ მაჩვენებლით საქართველო კიდევ უფრო მკვეთრად (22 პრომილით) ჩამორჩება მსოფლიოს ყველაზე სუსტად განვითარებულ რეგიონებს.

ასეთივე სურათი შეიმჩნევა შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის მიხედვითაც. 2010 წლის მონაცემებით, იგი მსოფლიოში საშუალოდ უდრის 2,5-ს, ეკონომიკურად ძალიან სუსტად განვითარებულ ქვეყნებში – 4,5-ს, განვითარებად ქვეყნებში – 2,7-ს, ეკონომიკურად მაღალგანვითარებულ ქვეყნებსა და აგრეთვე, საქართველოში – 1,7-ს, მაშინ როდესაც თაობათა თუნდაც უცვლელი ოდენობით განახლებისთვის ეს მაჩვენებელი უნდა იყოს არანაკლებ 2,1-ისა, ანუ 210 ბავშვისა ყოველ 100 ქალზე ფერტილური ასაკის მთელ მანძილზე.

---

[1] **ხმალაძე მ.** შობადობის პრობლემები საქართველოში. "ეკონომიკა და ბიზნესი", 2010, №6, გვ. 77.
[2] Population Reference Bureau. World Population Data Sheet-2010. www.prb.org
[3] **ჩიქავა ლ.** დემოლოგია და მისი კანონთა სისტემა. თბილისი, „უნივერსალი", 2008, გვ. 143.
[4] Population Reference Bureau. World Population Data Sheet-2010. www.prb.org

ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფ მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან ერთად, საქართველოშიც შობადობის კლების პროცესის დაწყება და თანდათანობით გაღრმავება განაპირობა, წინა ეტაპებთან შედარებით, ოჯახის ფუნქციების ძირეულმა ტრანსფორმაციამ, ურბანიზაციამ, ქალთა ემანსიპაციამ, ბავშვთა ინტელექტუალური აღზრდისადმი გაზრდილმა მოთხოვნამ, სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაციამ და, რაც ყველაზე მთავარია, დაქვეითებული რეპროდუქტიული განწყობისა და მისი შესაბამისი რეპროდუქტიული ქცევის ჩამოყალიბებამ, ბავშვთა შობის შიგაოჯახურმა გაცნობიერებულმა რეგულირებამ და ბავშვთა ყოლის მოთხოვნილების (ოჯახში შვილების სასურველი ოდენობის) შემცირებამ. ახალგაზრდების (ძირითადად სტუდენტების) გამოკითხვამ ცხადყო, რომ 1973 წელთან შედარებით, 2007 წელს, ოჯახში ბავშვთა სასურველი რაოდენობა საშუალოდ 2,85-დან 2,48-მდე შემცირდა[5].

როგორც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის მიერ ჩატარებულმა სოციოლოგიურმა გამოკვლევამ ცხადყო, რესპონდენტებმა 50 უნივერსალურ ფასეულობას შორის მრავალშვილიანობას მხოლოდ 41-ე ადგილი მიაკუთვნეს. კითხვაზე: „რას უნდა მიენიჭოს უპირატესობა – 4 და მეტი შვილის ყოლას, თუ ნაკლები ოდენობის შვილების ყოლას და მათ სრულყოფილ აღზრდას? რესპონდენტთა 82,5%-მა უპასუხა: „ნაკლები ოდენობის შვილების ყოლას და მათ სრულყოფილ აღზრდას.” რესპონდენტთა მხოლოდ 17,5%-მა უპირატესობა 4 და მეტი შვილის ყოლას მიანიჭა[6].

საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის მონაცემებით, გათხოვილი ქალებისთვის დასმულ კითხვაზე, თუ რამდენი შვილის ყოლას აპირებენ (სახეზე მყოფთა ჩათვლით), პასუხები ასე განაწილდა (%-ობით): არცერთის – 2,2, ერთის – 12,1, ორის – 51, სამის – 25,9, ოთხის – 6, ხუთის – 1,5, ექვსის – 1,3[7].

ამრიგად, რომ არაფერი ვთქვათ შვილების ყოლისადმი საერთოდ უარყოფითად განწყობილ 14595 გათხოვილ ქალზე (2,2%), ერთი ან ორი შვილით აპირებდა თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობის მოხდას გათხოვილ ქალთა 63,1%, ხოლო 3 და მეტი შვილის გაჩენასა და აღზრდას გვპირდებოდა მათი მხოლოდ 34,7%. ეს დანაპირები გათხოვილმა მანდილოსნებმა „გადაჭარბებით” შეასრულეს, რაც ჩანს იქიდან, რომ, მაგალითად, 2008 წლისთვის პირველი და მეორე შვილის ხვედრითმა წონამ 87,5%-ს მიაღწია, მესამე და მომდევნო შვილების ხვედრითი წონა კი 12,5%-მდე შემცირდა[8].

ფრიად საგულისხმო ფაქტია ის, რომ, ადრინდელი ეტაპებისგან განსხვავებით, დღეისთვის ოჯახში შვილთა არამარტო რეალურად მოსალოდნელი, არამედ სასურველი რიცხოვნობაც ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის არამცთუ გაფართოებულ, მარტივ აღწარმოებასაც კი. ამის ძირითადი მიზეზი ქვეყნის ეკონომიკის არარაციონალური ფუნქციონირება და მოსახლეობის ცხოვრების დაბალი დონეა. ასე რომ მოსახლეობის საარსებო პირობების გაუმჯობესებას შეუძლია მნიშვნელოვანწილად მიუახლოვოს ოჯახში ბავშვთა ფაქტიური რიცხოვნობა მათ სასურველ რიცხოვნობას და, საერთოდ, თვალსაჩინო წვლილი შეიტანოს დემოგრაფიული განვითარების ნორმალიზებაში. ასეთი შესაძლებლობა, ანუ რეალური რეზერვი რთულ დემოგრაფიულ ვითარებაში მყოფ, მაგრამ ეკონომიკურად მაღალგანვითარებულ ქვეყნებში არ არსებობს, რამდენადაც იქ თითოეულ ოჯახს, ჩვეულებრივ, იმდენი შვილი ჰყავს, რამდენიც სურს და, მატერიალური კეთილდღეობის ამაღლების გამო, ოჯახი შვილთა წინასწარ მოაზრებულ რაოდენობას არ გაზრდის.

---

[5] **ლორთქიფანიძე ვ., თოთაძე ა.** ერი ერმა უნდა გადაარჩინოს. დემოგრაფიული ვითარება საქართველოში. თბილისი, „უნივერსალი“ 2007, გვ. 130.

[6] **შურღაია ო.** დემოგრაფიული ფასეულობები: ცვლილებათა შედეგები და ტენდენციები. ”დემოგრაფია”, 2004, №3, გვ. 40.

[7] საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები. ტომი III, ნაწილი I. თბილისი, 2004, გვ. 156.

[8] **წულაძე გ., მაღლაფერიძე ნ., ვადაჭკორია ა.** საქართველოს დემოგრაფიული წელიწდეული. თბილისი, 2008, გვ. 46.

საქართველოს დემოგრაფიული ვითარების გაუარესებაზე მეტყველებს ქორწინების მაჩვენებლის მკვეთრად შემცირების ტენდენციაც. ყოველ 1000 კაცზე გაანგარიშებით, იგი შეადგენდა 1980 წელს 10-ს, ხოლო 2007 წელს – 5,7-ს[9]. ასეთ კონტრასტულ მაჩვენებლებს მთლად დამაჯერებლად ვერ მივიჩნევთ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ქორწინების ცერემონიალი, არცთუ ისე იშვიათად, მთავრდება საეკლესიო ჯვრისწერით და არ რეგისტრირდება იურიდიულად.

საქართველოში შეიმჩნევა დაქორწინებულთა შედარებით დაბალი, ხოლო დაუქორწინებელთა მაღალი ხვედრითი წონა. საქართველოში 2002 წლისთვის ქორწინებაში იმყოფებოდა 15 წლისა და მეტი ასაკის მოსახლეობის მხოლოდ 60,4% (მათ შორის, ქვემო სვანეთში – 52,7 და ზემო სვანეთში – 48,1%), ხოლო არასოდეს ყოფილა დაქორწინებული 25,6% (მათ შორის, ქვემო სვანეთში – 34,3 და ზემო სვანეთში – 40%). მოსახლეობის რაოდენობით ისეთი მცირერიცხოვანი ქვეყნისთვის როგორიც საქართველოა, 882,2 ათასი დაუქორწინებელი მოქალაქე[10] ფრიად მაღალი მაჩვენებელია. ამასთან, თუ შედარებით ხნიერ ასაკში დაქორწინების ტრადიციის არსებობასა და იმასაც გავითვალისწინებთ, რომ აღნიშნული კატეგორიის მოსახლეობის 11% ქვრივია, არც ისე ძნელი იქნება გამოთვლა იმ წვლილისა, რაც ამ ფაქტორებს მიუძღვის დემოგრაფიული განვითარების ნეგატიური ტენდენციების დამკვიდრებაში.

რაც შეეხება განქორწინებას, ეს მაჩვენებელი საქართველოში ყოველთვის დაბალი იყო, განსაკუთრებით ქართველ მოსახლეობაში. 2007 წლის მონაცემებით, იგი 0,5%-ს არ აღემატებოდა. ეს მაჩვენებელიც ნაკლებად სარწმუნოდ მიგვაჩნია, მაგრამ არა იმიტომ, რომ თავისთავად რატომ არ არის უფრო მაღალი, არამედ იმიტომ, რომ, 1990 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით, შემცირებულია თითქმის 3-ჯერ. არადა, ეს არის პერიოდი, როდესაც, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში სისხლისმღვრელ ეთნოკონფლიქტებთან დაკავშირებით, ბიეთნიკური (შერეული) ოჯახების მნიშვნელოვანი ნაწილი დაინგრა.

განქორწინების საერთო სურათი ასეთია: 2002 წლისთვის საქართველოში განქორწინებილი იყო სულ 103,4 ათასი მოქალაქე (მათ შორის 26,9 ათასი მამაკაცი და 76,5 ათასი – ქალი), რაც 15 წლისა და მეტი ასაკის მოსახლეობის 3%-ს არ აღემატება[11]. განქორწინებულთა ასეთი მცირე ხვედრითი წონა საქართველოში ოჯახის ერთგვარი კულტის არსებობითა და, ბევრი სხვა ქვეყნისგან განსხვავებით, მისი ტრადიციულად მეტი სიმყარით აიხსნება.

განქორწინების ესოდენ დაბალი დონის მიუხედავად, თითოეული განქორწინების როლი და მნიშვნელობა, ქორწინების ზოგადი კოეფიციენტის შემცირებასთან დაკავშირებით, მატულობს.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოს დემოგრაფიული განვითარებისთვის დამახასიათებელი კიდევ ერთი ნეგატიური მაჩვენებელია რეგისტრირებული ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა მაღალი ხვედრითი წონა. თუ 1980 წელს იგი მხოლოდ 4,7% იყო, 1990 წელს – 18,2, ხოლო 2006 წელს 54,4%-მდე ავიდა, უკანასკნელ პერიოდში რამდენადმე შემცირდა და 2008 წელს 34,3% შეადგინა[12].

იმის გამო, რომ ყველა ქორწინება სახელმწიფო ორგანოებში არ რეგისტრირდება, კანონმდებლობით დადგენილი წესით არარეგისტრირებულ ოჯახებში დაბადებული ბავშვების გარკვეული ნაწილიც ოფიციალურად რეგისტრირებული ქორწინების გარეშე დაბადებულად ითვლება, რაც ხელოვნურად ზრდის მათ რაოდენობას და რეალურ ვითარებას მრუდედ წარმოგვიდგენს. ამ მომენტისა და ბოლო სამი წლის განმავლობაში რამდენადმე შემცირების გათვალისწინების შემთხვევაშიც, რეგისტრირებული ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა

---

[9] **წულაძე გ., მაღლაფერიძე ნ., ვადაჭკორია ა.** საქართველოს დემოგრაფიული წელიწდეული. თბილისი, 2008, გვ. 230.

[10] საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები. ტომი I. თბილისი, 2003, გვ. 146.

[11] იქვე.

[12] **წულაძე გ., მაღლაფერიძე ნ., ვადაჭკორია ა.** საქართველოს დემოგრაფიული წელიწდეული. თბილისი, 2008, გვ. 27.

რიცხოვნობა ძალიან მაღალია და არაერთ მწვავე პრობლემას წარმოშობს. მხედველობაში გვაქვს მამის (ზოგჯერ დედის) მხრივ მზრუნველობამოკლებული ბავშვების აღზრდასა და სწავლა-განათლებასთან დაკავშირებული სირთულეები და არა მარტო ეს.

ყურადღებას იქცევს ამ საკითხთან დაკავშირებით საზოგადოებრივი მენტალიტეტის შესწავლაც. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის 2003 წლის სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემებით, ქორწინების გარეშე ბავშვის გაჩენისადმი აშკარად უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატა რესპონდენტთა მხოლოდ 18%-მა, 62% კი გამართლებულად მიიჩნევს, თუმცა, სხვადასხვა მოტივაციით.

საქართველოში დემოგრაფიული განვითარების მაჩვენებელთა გაუარესება ჩანს ცოცხლად დაბადებულ ბავშვთა აბსოლუტური ოდენობის დინამიკიდანაც. თუ 1960 წელს იგი შეადგენდა 102,8 ათასს, 2000-2007 წლებში, ყოველწლიურად საშუალოდ, 47,8 ათასამდე ჩამოვიდა, ე. ი. შემცირდა 2-ჯერ და მეტად[13].

ამ მხრივ, ერთგვარი პროგრესული ძვრებით აღინიშნა 2008-2010 წლები. 2010 წელს დაიბადა 62585 ბავშვი, ანუ 13298-ით მეტი, ვიდრე 2007 წელს. რიგ სხვა ფაქტორთან ერთად, ამ თვალსაჩინო წარმატებაში ლომის წილი უდევს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის მოწოდებას გამრავლებისკენ და, თავის მხრივ, ამის განსამტკიცებლად მესამე და მომდევნო რიგითობის ბავშვების მონათვლის თაობაზე მის მზადყოფნას, რომელიც პრაქტიკულად მასობრივად ხორციელდება კიდეც (უკვე მონათლული ჰყავს 10 ათასზე მეტი ბავშვი). თუმცა ამ მონაცემებით ჩვენი ზოგიერთი სახელმწიფო მოხელის აღფრთოვანება მოკლებულია რეალურ საფუძველს, რამდენადაც, დემოგრაფთა გათვლებით, 2017 წლიდან დაიწყება შობადობის კლების ახალი, კიდევ უფრო ძლიერი ტალღა[14]. იგი დაკავშირებული იქნება XX საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან მკვეთრად შეკვეცილი ოდენობით დაბადებულთა ფერტილურ ასაკში მასობრივად შესვლასთან.

შობადობასთან ერთად, მოსახლეობის აღწარმოების უმნიშვნელოვანესი კომპონენტია მოკვდაობა. საქართველოში ეს მაჩვენებელი ტრადიციულად დაბალი იყო, როგორც უშუალოდ მეზობელ სახელმწიფოებთან, ისე ევროპის რიგ ქვეყნებთან შედარებით. მან ყველაზე დაბალ მაჩვენებელს – 6,5 პრომილეს 1960 წელს მიაღწია, 2010 წელს – კი 10 პრომილემდე გაიზარდა, რაც 1960 წლის მაჩვენებელს 3,5 პრომილით, ხოლო მსოფლიო საშუალო მაჩვენებელს 2 პრომილით აღემატება.

ის ფაქტი, რომ მოკვდაობა, 1960 წელთან შედარებით, 2010 წელს შემცირდა: მსოფლიოში საშუალოდ 7 პრომილით, მათ შორის, ამერიკაში 3,8, აზიაში – 10, აფრიკაში – 10,8 პრომილით, ხოლო საქართველოში გაიზარდა 3,5 პრომილით, შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მხრივ სერიოზულ დაფიქრებასა და დიდ ძალისხმევას საჭიროებს.

ადამიანთა სიცოცხლის ხანგრძლივობისთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ბავშვთა, უწინარეს ყოვლისა, ჩვილთა (1 წლამდე ასაკის ბავშვთა) მოკვდაობას აქვს. 2010 წელს ამ მაჩვენებელმა საქართველოში 17 პრომილე შეადგინა. ეს დაბალია თუ მაღალი? – დაბალია მსოფლიოს განვითარებადი ქვეყნების (50 პრომილე), განსაკუთრებით კი ეკონომიკურად ძალიან სუსტად განვითარებული ქვეყნების (81 პრომილე) შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით, მაგრამ საგრძნობლად მაღალია ეკონომიკურად მაღალგანვითარებულ ქვეყნებში მიღწეულ მაჩვენებელთან (6 პრომილე) შედარებით. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ, ყოველ 1000 ცოცხლად დაბადებულ ბავშვზე გაანგარიშებით, ჩვილთა მოკვდაობა მსოფლიოს 9 ქვეყანაში (იაპონია, სინგაპური, ჰონკონგი, ფინეთი, ისლანდია, საბერძნეთი, შვედეთი, ლუქსემბურგი, სლოვენია) 3 პრომილეს არ აღემატება, ძნელი არ იქნება დასკვნის გაკეთე-

---

[13] **წულაძე გ., მაღლაფერიძე ნ., ვადაჭკორია ა.** საქართველოს დემოგრაფიული წელიწდეული. თბილისი, 2008, გვ. 46.

[14] **წულაძე გ.** დემოგრაფიული ვითარება საქართველოში. თბილისი, 2008, გვ. 47.

ბა იმის თაობაზე, რომ ამ მიმართულებით საქართველოში რთული ვითარებაა, რაც დაკავშირებულია ქვეყანაში არსებულ მრავალ გადაუჭრელ პრობლემასთან, განსაკუთრებით სოციალურ სფეროში.

შობადობისა და მოკვდაობის მაჩვენებელთა ურთიერთშეჯერებით შეიძლება ვიმსჯელოთ მოსახლეობის ბუნებრივ მატებაზე, ე.ი. იმის შესახებ, იგი იზრდება თუ მცირდება. საქართველოში რამდენადაც შობადობა სწრაფი ტემპით ეცემა, ხოლო მოკვდაობა სტაბილურია, ცხადია, მოსახლეობის ბუნებრივი მატების ტემპები თანდათანობით კლებულობს და უახლოვდება ნულოვან ზღვარს. მაგალითად, ყოველ 1000 კაცზე გაანგარიშებით, საქართველოში მოსახლეობის ბუნებრივი მატება შეადგენდა: 1960 წელს 18,2, 1990 წელს – 8,6, ხოლო 2010 წელს – 3,0 პრომილეს (აღსანიშნავია, რომ 2000 წელს, ნაცვლად მატებისა, ადგილი ჰქონდა კლებას და ამ მაჩვენებელმა მინუს 2 პრომილე შეადგინა)[15].

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მოსახლეობის ბუნებრივი მატების 2010 წელს დაფიქსირებული მაჩვენებელი (3 პრომილე), მოკვდაობის შესახებ მონაცემების არასრული აღრიცხვის გამო (სპეციალისტთა გათვლებით, მაგალითად, 1995 წელს აღურიცხავი დარჩა 3046, ხოლო 1996 წელს – 5833 გარდაცვლილი. უნდა ვივარაუდოთ, რომ ანალოგიურ შეცდომებს მეტ-ნაკლები ზომით სხვა წლებშიც ჰქონდა ადგილი), რამდენადმე ხელოვნურადაა გაბერილი, იგი 4-ჯერ უფრო დაბალია შესაბამის საშუალო მსოფლიო მაჩვენებელზე, 4,7-ჯერ – განვითარებადი, 7,7-ჯერ – ეკონომიკურად ძალიან სუსტად განვითარებული ქვეყნების მაჩვენებელზე და დაახლოებით არის მაღალგანვითარებული ქვეყნების შესაბამისი მაჩვენებლის დონეზე.

დემოგრაფიული ვითარება საქართველოს ყველა რეგიონში ერთნაირი არაა. კლების საერთო ტენდენციის მიუხედავად, მოსახლეობის ბუნებრივი მატება 2009 წელს შეადგენდა (პრომილებში) : თბილისში – 3,8-ს, აჭარაში – 8,7-ს, გურიაში – 3-ს, იმერეთში – 2,1-ს, კახეთში – 1-ს, მცხეთა-მთიანეთში – 1,8-ს, სამეგრელო-ზემო სვანეთში – 2,5-ს, სამცხე-ჯავახეთში – 4,9-ს, ქვემო ქართლში – 6,9-ს, შიდა ქართლში – 3,9-ს, ხოლო რაჭა-ლეჩხუმში – მინუს 8,4-ს[16].

ეს მონაცემები და რეგიონულ ჭრილში დემოგრაფიული განვითარებისთვის დამახასიათებელი ტენდენციები შემდეგი დასკვნების გაკეთების საფუძველს იძლევა:

პირველი, შედარებით ნორმალური დემოგრაფიული ვითარებაა ძირითადად მუსულმანი ქართველებით დასახლებული აჭარის, აზერბაიჯანელებით კომპაქტურად დასახლებული ქვემო ქართლისა და ასევე, კომპაქტურად სომხებით დასახლებული სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში, რომელთა მოსახლეობა, რელიგიური მრწამსიდან და რეპროდუქტიული განწყობა-ქცევიდან გამომდინარე, შედარებით მეტ მიდრეკილებას იჩენს მრავალშვილიანობისადმი;

მეორე, მოსახლეობის ბუნებრივი მატება ნულოვან ზღვარს უახლოვდება ქ. თბილისში, კახეთში, იმერეთში, გურიაში, მცხეთა-მთიანეთში, სამეგრელოსა და შიდა ქართლში;

მესამე, მეტად კრიტიკული დემოგრაფიული ვითარებაა რაჭა-ლეჩხუმში, სადაც ინტენსიურად მიმდინარეობს დეპოპულაციის პროცესი. აღსანიშნავია, რომ ამ რეგიონში მარტო ერთი (2009) წლის განმავლობაში, მოსახლეობის რიცხოვნობა, შობადობაზე მოკვდაობის გადამეტების შედეგად, 244 კაცით შემცირდა;

მეოთხე, დემოგრაფიული განვითარების ნეგატიური ტენდენციების გაღრმავება მეტ-ნაკლები ზომით ქვეყნის ყველა რეგიონში შეიმჩნევა. მაგალითად, უკანასკნელ 20 წელიწადში დემოგრაფიული ვითარება (მოსახლეობის ბუნებრივი მატების მაჩვენებლის მიხედვით) გაუარესდა: კახეთში – 5,9-ჯერ, მცხეთა-მთიანეთში – 3,8-ჯერ, იმერეთში – 3,1-ჯერ, სამეგრელო-ზემო სვანეთში – 2,2-ჯერ, შიდა ქართლში – 2,1-ჯერ, სამცხე-ჯავახეთში – 2-

[15] საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული – 2001. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. თბილისი, 2002, გვ. 39.
[16] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალები.

ჯერ, თბილისში – 1,8-ჯერ, გურიაში – 1,5-ჯერ, აჭარაში – 1,3-ჯერ, ქვემო ქართლში – 11,1%-ით, რაჭა-ლეჩხუმში – 6,3%-ით, ხოლო მთლიანად საქართველოში – 2-ჯერ.

ამჟამად საქართველოში (ძირითადად მაღალმთიანეთში) აღრიცხულია 162 გაუკაცრიელებელი (ნასახლარი) სოფელი, სადაც ადრინდელ პერიოდში, შეიძლება ითქვას, სიცოცხლე ჩქეფდა, ხოლო 152 სოფელია ისეთი, სადაც მხოლოდ 11 მცხოვრებზე ნაკლებია შემორჩენილი. სამწუხაროდ, მთიანეთის გაუკაცრიელების ნეგატიური პროცესი ამჟამადაც ინტენსიურად მიმდინარეობს.

მოსახლეობის გამრავლების საკითხის ეროვნულ ჭრილში განხილვა კიდევ უფრო დამაფიქრებელია, რადგან ბუნებრივი მატების ზოგადი კოეფიციენტი ქართულ მოსახლეობაში მნიშვნელოვნად ჩამორჩება ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს. ეს იმითაა გამოწვეული, რომ ზოგიერთი სხვა ეროვნებებისა და ეთნოსის წარმომადგენლები უფრო სწრაფად მრავლდებიან, ვიდრე ქართველები. მაგალითად, 2005 წელს საქართველოში მცხოვრებ ქართველთა ბუნებრივმა კლებამ შეადგინა 0,3 პრომილე, აზერბაიჯანელების ბუნებრივმა მატებამ – 11,7, ხოლო ქურთებისა და იეზიდების მატებამ – 17,9 პრომილე[17]. ამ მხრივ მდგომარეობა არსებითად არც შემდგომ წლებში გაუმჯობესებულა. ეროვნულ ჭრილში მოსახლეობის აღწარმოების ესოდენ კონტრასტული მაჩვენებლები, რიგ სუბიექტურ ფაქტორებთან ერთად, მნიშვნელოვანწილად, დემოგრაფიული განვითარებისა და, მასთან დაკავშირებით, ბავშვთა შობის შიგაოჯახური რეგულირების სხვადასხვა დონითაა განპირობებული.

აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპზე გადასვლა საქართველოში მოხდა XIX საუკუნის შუა ხანებიდან, ხოლო აზერბაიჯანსა და სომხეთში – XX საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისიდან. ამასთან, მაჰმადიანებში, ბავშვთა შობის შიგაოჯახური რეგულირების თვალსაზრისით, ჯერ კიდევ მნიშვნელოვან როლს რელიგიური ფაქტორი ასრულებს.

თანამედროვეობის ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან დილემად მოსახლეობის დემოგრაფიულ დაბერებას მიიჩნევენ. იგულისხმება მოსახლეობის მთლიან რიცხოვნობაში ხანდაზმულთა მაღალი ხვედრითი წონა. გაეროს კლასიფიკაციით, მოსახლეობის მთლიან რიცხოვნობაში 65 წლისა და მეტი ასაკის პირთა ხვედრითი წონა თუ 4%-ზე დაბალია, მაშინ ეს მოსახლეობა ახალგაზრდად ითვლება, თუ 4-7%-ის ფარგლებშია, მაშინ იგი სიბერის ზღვარზე იმყოფება, ხოლო თუ 7%-ზე მეტს შეადგენს, – დემოგრაფიულად დაბერებულია. ცხადია, რაც უფრო აღემატება ამ მაჩვენებელს, მოსახლეობა მით უფრო მეტადაა დაბერებული[18].

XIX საუკუნის დასასრულიდან დღემდე, შობადობის კლებისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის გადიდების შედეგად, ძირეული ძვრები განიცადა საქართველოს მოსახლეობის ასაკობრივმა სტრუქტურამ. 1897-2010 წლებში 15 წლამდე ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წონა 40,5-დან 17,1%-მდე შემცირდა, ხოლო 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობისა – 4,2-დან 14%-მდე გაიზარდა. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს მოსახლეობა დღეისთვის დემოგრაფიულად გადაბერებულია, რაც უაღრესად ნეგატიური მოვლენაა. 2010 წლის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიული სიბერის მაჩვენებელი 1,8-ჯერ აღემატება მსოფლიოს მოსახლეობის შესაბამის საშუალო მაჩვენებელს (8%), 2,4 ჯერ – განვითარებადი ქვეყნების მაჩვენებელს (6%), 4,6-ჯერ – ეკონომიკურად ძალიან სუსტად განვითარებული ქვეყნების მაჩვენებელს (3%) და მხოლოდ 2 პრომილით ჩამორჩება განვითარებული ქვეყნების მაჩვენებელს. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების საქართველოზე უფრო მაღალი მაჩვენებელი აზიის კონტინენტზე მხოლოდ იაპონიას (23%) აქვს, რაც, დაბალ შობადობასთან ერთად, სიცოცხლის მაღალი ხანგრძლივობითაა განპირობებული[19].

---

[17] **წულაძე გ., მაღლაფერიძე ნ., ვადაჭკორია ა.** საქართველოს დემოგრაფიული წელიწდეული. თბილისი, 2008, გვ. 231.

[18] Демографический энциклопедический словарь. Москва, 1985, с. 117.

[19] Population Reference Bureau. World Population Data Sheet-2010. www.prb.org

როგორც ფაქტობრივი მასალის ანალიზიდან ჩანს, დღეისთვის პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან მოსახლეობის დემოგრაფიული სიბერის ზღვარზე (4-7%) იმყოფება: ტაჯიკეთი, თურქმენეთი, უზბეკეთი და ყირგიზეთი; სიბერის საწყის სტადიაზე (7-10%) არის აზერბაიჯანი, ყაზახეთი, სომხეთი და მოლდავეთი; დანარჩენ ქვეყნებში (რუსეთი, უკრაინა, ბელარუსი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, საქართველო) 65 წლისა და მეტი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წონა 13-17%-ს შეადგენს. აქედან, მოსახლეობის დემოგრაფიული სიბერის საქართველოზე უფრო მაღალი მაჩვენებელი 4 სახელმწიფოს (უკრაინა, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი) აქვს.

როგორია პროგნოზი? მომავალში დემოგრაფიულად გაახალგაზრდავდება თუ კიდევ უფრო დაბერდება მსოფლიოს მოსახლეობა? – ცხადია, დაბერდება, თანაც სულ უფრო ინტენსიურად. ამჟამად მსოფლიოს მოსახლეობის საშუალო ასაკი დაახლოებით 28 წელს შეადგენს, ხოლო 2030 წლისათვის 35 წელს მიაღწევს. საშუალო ასაკთან ერთად გაიზრდება 65 წლისა და უხნესი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წონა როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში. გაეროს ექსპერტთა პროგნოზული გათვლებით, 2025 წლისთვის 65 წლისა და უხნესი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წონა თითქმის 2-ჯერ გაიზრდება, ხოლო 2050 წლისთვის მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების უმეტესობის მოსახლეობა იქნება დემოგრაფიულად დაბერებული (გერმანია და ბელგია – 28%, ავსტრია და შვეიცარია – 30%, საბერძნეთი – 34%, ესპანეთი – 37% და ა.შ.[20], მაგრამ მდიდარი, განვითარებადი ქვეყნების მნიშვნელოვანი ნაწილის მოსახლეობა კი – ახალგაზრდა, მაგრამ ღარიბი. საქართველო (პოსტსაბჭოთა სივრცის ზოგიერთ სხვა ქვეყანასთან ერთად) ვარდება ამ კონტექსტიდან, ვინაიდან იგი უკვე იმყოფება დემოგრაფიული სიბერის სტადიაში და, ამავე დროს, არის ღარიბი, რასაც ჯერ კიდევ დიდხანს ვერ დააღწევს თავს.

როგორც აღინიშნა, მსოფლიოს რიგი ქვეყნებისა (პირველ რიგში და ძირითადად, აფრიკის კონტინენტზე) დემოგრაფიულად ახალგაზრდები არიან, მაგრამ ხვალ, ზეგ და საერთოდ, მომავალში ისინიც მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების იმავე საფეხურებს გაივლიან, რაც სხვა სახელმწიფოებმა დღემდე გაიარეს.

ამ პროცესს თან სდევს როგორც სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული, ისე მორალური ხასიათის რიგი პრობლემებისა. ამათგან აღსანიშნავია დემოგრაფიული დატვირთვის მაჩვენებელი.

დემოგრაფები სამი სახეობის დემოგრაფიული დატვირთვის კოეფიციენტს იყენებენ. ესენია: ბავშვებით დატვირთვის, ხანდაზმულებით დატვირთვის, ბავშვებითა და ხანდაზმულებით (ერთობლივად) დატვირთვის ჯამური კოეფიციენტი. ამ საყოველთაოდ აღიარებული მეთოდით დემოგრაფიული დატვირთვის გაანგარიშება შემდეგ სურათს იძლევა: განვითარებულ რეგიონებსა და ქვეყნებში მაღალია ხანდაზმულებით დატვირთვა და დაბალი – ბავშვებით დატვირთვა, ხოლო განვითარებად რეგიონებსა და ქვეყნებში, პირიქით, ბავშვებით დატვირთვა უსწრებს წინ ხანდაზმულებით დატვირთვას.

საქართველოში XIX საუკუნის 80-იან წლებამდე დემოგრაფიული დატვირთვა იზრდებოდა ორივე კომპონენტის (15 წლამდე ასაკისა და 65 წლისა და უხნესი ასაკის პირთა) ხარჯზე, ამჟამად კი, შობადობის მკვეთრი დაცემის გამო, თითქმის მხოლოდ ხანდაზმულთა ხარჯზე მატულობს.

დემოგრაფიულ ლიტერატურაში დამკვიდრებული მეთოდით გაანგარიშებული ეს მაჩვენებელი, რა თქმა უნდა, გარკვეულ წარმოდგენას იძლევა დემოგრაფიული დატვირთვის შესახებ, მაგრამ ბევრ ცდომილებასაც შეიცავს, რომელთა თავიდან აცილება შესაძლებელია მარტივად. მხედველობაში მისაღებია, უწინარეს ყოვლისა, იმის დაზუსტება, თუ ვის დატვირთვას (ანუ ვის კმაყოფაზე ყოფნას) ეხება საკითხი. კანონით დადგენილი შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის დემოგრაფიული დატვირთვის გაანგარიშებისას ცდომილება

[20] **Топилин А.** Демографическая ситуация в странах СНГ. К 10-летию образования Содружества. ,,Население и общество”. Информационный бюллетень Центра демографии и экономики человека Института народнохозяйственного прогнозирования РАН, 61, апрель, 2002.

ძალიან დიდია არა მარტო იმიტომ, რომ შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი არაშრომისუნარიანია (ინვალიდი, ქრონიკულად სნეული და ა.შ.), არამედ იმიტომაც, რომ, არცთუ იშვიათად, მისი საკმაოდ სოლიდური ნაწილი წლობით (რიგ შემთხვევაში ათეული წლობითაც) უმუშევარია. ამიტომ თვით სრული შრომისუნარიანი ასაკის ეს დაუსაქმებელი ნაწილიც, ფაქტიურად მომუშავეთა სარჩენია და მათ კმაყოფაზე იმყოფება. სწორედ ამის გამო მიზანშეწონილია, ნაცვლად შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობისა, ფაქტობრივად მომუშავეთა კმაყოფაზე მყოფთა ოდენობის გაანგარიშება და მათი დინამიკის დადგენა.

ამგვარმა დაზუსტებამ თუ რა ცვლილებები შეიძლება შეიტანოს დემოგრაფიული დატვირთვის მაჩვენებელში, ნათლად ჩანს საქართველოს ფაქტობრივი მონაცემების მაგალითზე. რეალობასთან მიახლოებული შედეგის მისაღებად, უწინარეს ყოვლისა, უნდა დადგინდეს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ფაქტიურად დასაქმებული (მშპ-ის შემქმნელი) ნაწილი. ამისთვის შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობას უნდა გამოვაკლოთ შრომისუნარიანი ასაკის ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობა. მივიღებთ შრომისუნარიანი ასაკის ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობას, რომელიც შედგება ამ კატეგორიის ფაქტიურად დასაქმებულთა (მომუშავეთა) და უმუშევართა ჯამისგან. აღნიშნულ მაჩვენებელს უნდა გამოვაკლოთ უმუშევრები, რამდენადაც ისინი თვით არიან სარჩენნი და დოვლათის ფაქტიურად შემქმნელთა კმაყოფაზე მყოფნი. ჩვენი შეფასებითი გამოთვლებით, დღეისათვის უმუშევრობის დონე საქართველოში მინიმუმ 40%-ს შეადგენს. ასეთ შემთხვევაში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ფაქტიურად დასაქმებული ნაწილი იქნება 1215,4 ათასი კაცი (ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობას – 2024 ათას კაცს მინუს უმუშევრები = 909,4 ათას კაცს). ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ამ დასაქმებული ნაწილის ყოველი 100 წარმომადგენლის კმაყოფაზე 2007 წელს იმყოფებოდა სულ 184 პირი, აქედან, შრომისუნარიან ასაკს მიუღწეველი იყო 64, შრომისუნარიან ასაკს გადაცილებული – 53 და შრომისუნარიანი ასაკის, მაგრამ უმუშევარი – 67. დემოგრაფიული მეცნიერების პრაქტიკაში დამკვიდრებული მეთოდით გაანგარიშებული მაჩვენებლები კი შეადგენს, შესაბამისად, 26-ს, 22-სა და 27-ს, ე.ი. სულ 75-ს. როგორც ჩანს, სხვაობა საკმაოდ სოლიდურია და ამაზე დაფიქრება ღირს.

მოსახლეობის აღწარმოების ესოდენ ნეგატიურ ტენდენციებს საქართველოში, ბუნებრივია, თან სდევს რიგი ფრიად საგულისხმო სოციალურ-ეკონომიკური შედეგები:

1. საქართველო იმ მცირერიცხოვან სახელმწიფოთა კატეგორიას განეკუთვნება, რომელთა ძირძველი (ავტოქტონური) მოსახლეობის გენოფონდს ე.წ „დეპოპულაციის ბომბი“ დამოკლეს მახვილივით აქვს დამიზნებული და გადაშენებით ემუქრება. ამის დასტურია, თუნდაც ის, რომ გაეროს ექსპერტთა გათვლებით, 2050 წლისთვის საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა, 1990 წელთან შედარებით, თითქმის 2 მლნ კაცით შემცირდება, თუმცა, არსებობს კიდევ უფრო პესიმისტური გათვლებიც.

თანამედროვე პირობებში ყველაზე გამართლებული დემოგრაფიული ოპტიმუმის მიღწევაა. ასეთ ოპტიმუმად კი ითვლება მოსახლეობის ისეთი რიცხოვნობა, რომელიც უზრუნველყოფს თაობათა ნორმალურ განახლებას, ქვეყანაში არსებული და გარედან მოზიდული რესურსების რაციონალურ, მაღალეფექტიან გამოყენებას, დოვლათის სიუხვის შექმნას და საზოგადოების კეთილდღეობის მაქსიმიზაციას;

2. სამხრეთ კავკასიის მოსახლეობაში ქართული მოსახლეობის ხვედრითი წონის თანდათან შემცირება. ეს მაჩვენებელი 1960-2010 წლებში 14,7 პროცენტული პუნქტით შემცირდა და სამხრეთ კავკასიაში საქართველომ მოსახლეობის ზრდის ტემპებით პირველიდან მესამე ადგილზე გადაინაცვლა. იმის გამო, რომ 2010-2050 წლებში საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა 21,7%-ით შემცირდება, ხოლო სომხეთის – 6,5 და აზერბაიჯანის – 18,9%-ით გაიზრდება, სამხრეთ კავკასიაში აზერბაიჯანის მოსახლეობის ხვედრითი წონა 63%-მდე ამაღლდება, სომხეთის თითქმის უცვლელი დარჩება, საქართველოსი კი 19%-მდე შემცირდება, მაშინ როდესაც 1960 წელს ეს თანაფარდობა ასე გამოიყურებოდა; აზერბაი-

ჯანი – 39,2, სომხეთი - 18,6, საქართველო – 42,2%. აღსანიშნავია, რომ 1989-2002 წლებში საქართველოში ქართველების რიცხოვნობა 126,2 ათასი კაცით შემცირდა. ეს ნეგატიური ტენდენცია, სამწუხაროდ, დღესაც გრძელდება[21];

3. ქართველებს გამრავლების დაბალი მაჩვენებელი (თუმც შორეულ პერსპექტივაში), თავიანთი ისტორიული სამშობლოს მოსახლეობის რიცხოვნობაში ხვედრითი წონის მკვეთრად შემცირების საშიშროებას უქმნის რიგ არააბორიგენ ეთნოსებთან შედარებით. 2005 წლის მონაცემებით, საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნოსებიდან, 10 ათას კაცზე გაანგარიშებით, ქართველებს ყოველწლიურად აკლდებათ სამი ადამიანი, ხოლო აზერბაიჯანელებს ემატებათ 117 და ქურთებსა და იეზიდებს – 179 ადამიანი[22];

4. მოსახლეობის ასაკობრივი და სქესობრივი სტრუქტურის დეფორმაცია. 1897-2010 წლებში საქართველოში 15 წლამდე ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წონა 40,5-დან 17%-მდე შემცირდა, ხოლო 65 წლის და უხნესი ასაკის მოსახლეობისა 4-დან 14%-მდე გაიზარდა. ამავე პერიოდში სქესობრივი სტრუქტურა ასეთნაირად შეიცვალა: მამაკაცების ხვედრითი წონა შემცირდა 5,8 პროცენტული პუნქტით, ხოლო ქალებისა იმავე ოდენობით გაიზარდა.

ყოველივე ეს მნიშვნელოვნად აპირობებს როგორც შრომით რესურსებზე მოთხოვნასა და მათ ფაქტობრივ მიწოდებას შორის, ისე საქორწინო სუბიექტთა შორის დისბალანსს;

5. მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის დეფორმაციასთან დაკავშირებით, მომუშავე შრომისუნარიანთა დემოგრაფიული დატვირთვის მკვეთრი ზრდა, რაც თაობათა შორის დაპირისპირების საფუძველს ქმნის;

6. შრომისუნარიან ასაკში მოკვდაობისა და მიგრაციის ინტენსიური ზრდის გამო ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის არასრულად გამოყენება და უწარმოებელი მთლიანი შიდა პროდუქტის ფრიად სოლიდური ოდენობა.

აშკარაა, აღნიშნული და სხვა ნეგატიური მოვლენების სახელმწიფო დონეზე რეგულირების აუცილებლობა. მხედველობაში გვაქვს ქვეყანაში (თანაც, რეგიონულ თავისებურებათა გათვალისწინებით) აქტიური სახელმწიფო დემოგრაფიული პოლიტიკის თანმიმდევრული განხორციელება.

როგორი ვითარებაა ამ მხრივ? სამწუხაროდ, დღეს საქართველოში ხელისუფლების მხრიდან არანაირი დემოგრაფიული პოლიტიკა არ ტარდება. მართალია, სახელმწიფო დემოგრაფიულ პოლიტიკას, როგორი მასშტაბური და სისტემური ხასიათისაც უნდა იყოს იგი, არ შეუძლია კარდინალურად შეცვალოს დემოგრაფიული განვითარების ტენდენციები და რადიკალურად შემოაბრუნოს პოზიტიური მიმართულებით, მაგრამ არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ მეცნიერულად დასაბუთებული სახელმწიფო დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებით შესაძლებელია თვალსაჩინო წვლილის შეტანა მოსახლეობის გამრავლების ნეგატიური მოვლენების განმსაზღვრელი მიზეზების აღმოფხვრასა და დემოგრაფიული ვითარების ნორმალიზებაში.

---

[21] **თვალჭრელიძე ა., სილაგაძე ა., ქეშელაშვილი ა., გეგია დ.** საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა. თბილისი, "ნეკერი", 2011, გვ. 87.

[22] **წულაძე გ., მაღლაფერიძე ნ., ვადაჭკორია ა.** საქართველოს დემოგრაფიული წელიწდეული. თბილისი, 2008, გვ. 231.

VIII თავი

რეგიონული ეკონომიკა

საქართველოს კონსტიტუციით ჯერჯერობით არ არის განსაზღვრული სახელმწიფოს ტერიტორიული(რეგიონული) მოწყობა. იგი განხორციელდება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის აღდგენის შემდეგ. მიუხედავად ამისა, დღეისათვის, სხვადასხვა საკანონმდებლო აქტების საფუძველზე, საქართველო დაყოფილია შემდეგ ტერიტორიულ ერთეულებად: ავტონომიური რესპუბლიკები(აფხაზეთი, აჭარა), ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი(სამაჩაბლო), რეგიონები(გურია, იმერეთი, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი), თვითმმართველი ქალაქები(თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, რუსთავი, ფოთი) და რეგიონებში გაერთიანებული 67 მუნიციპალიტეტი, რომლებიც გაერთიანებულია რეგიონებში.

საქართველოში მოქმედ არც ერთ ოფიციალურ დოკუმენტში არ არის განმარტებული „რეგიონის“ ცნება, თუმცა, ფაქტობრივად, დღევანდელ სინამდვილეში „რეგიონი“ წარმოდგენილია, როგორც თვითმმართველი ერთეულების (მუნიციპალიტეტების) ტერიტორიების ერთობლიობა, რომელზეც ვრცელდება გუბერნატორის იურისდიქცია. 2007 წელს, სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ინსტიტუტის შემოღებით და მისი საკანონმდებლო უზრუნველყოფით, დაიწყო ქვეყნის რეგიონული სისტემის ინსტიტუციური ფორმირება. ეს ინსტიტუტი უკვე კონსტიტუციური ორგანოა. გუბერნატორი უზრუნველყოფს საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის წარმომადგენლობას ქვეყნის ადმინისტრაციულ ერთეულებში[1]. გარდა მხარეებისა, რეგიონებად განიხილება აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკები და საქართველოს დედაქალაქი – თბილისი.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს რეგიონული მოწყობისა და რეგიონული ეკონომიკის თეორიულ-გამოყენებით პრობლემებზე ქართველი მეცნიერ-ეკონომისტების მიერ ადრე დაწყებული დისკუსია არ დამთავრებულა და იგი დღესაც გრძელდება.[2]

ზოგადი მიმოხილვა. საქართველოს რეგიონების ბუნებრივ-რესურსული, დემოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული მახასიათებლები ამგვარია:

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა. ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ 2008 წლიდან. მოიცავს გაგრის, გალის, ოჩამჩირის, გუდაუთის, გულრიფშისა და სოხუმის მუნიციპალიტეტებს, თუმცა, 1997 წელს სეპარატისტულმა ხელისუფლებამ გალისა და ოჩამჩირის და მუნიციპალიტეტების ტერიტორიების გაერთიანებით შექმნა ტყვარჩელის მუნიციპალიტეტი. ადმინისტრაციული ცენტრია ქ. სოხუმი, ფართობი – 8700 კმ^2 (საქართველოს ტე-

---

[1] საქართველოს რეგიონული განვითარება. დიაგნოსტიკური მოხსენება. თბილისი, 2010, გვ. 31.

[2] **მელქაძე ვ.** საქართველოს სსრ საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის რეგიონული სტრუქტურა. თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1978; **მიქელაძე ი.** ტერიტორიული დაგეგმვის პრობლემები. თბილისი, „მეცნიერება“, 1980; **ჩიქავა ლ.** საქართველოს ეკონომიკა. თბილისი, „მერიდიანი“,1995; **პაპავა ვ.** საგადასახადო ფედერალიზმი: თანხმობა თუ სეპარატიზმი. თბილისი, 2000; **ჭითანავა ნ.** გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. ნაწილი III. თბილისი, 2001; **მოურავიძე დ.** საქართველოს რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი პრინციპები და პრიორიტეტები. კონფერენციის მასალები. ბათუმი, 2001; **ბარათაშვილი ე., ვეშაპიძე შ.** რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა. თბილისი, “ვერჟე“, 2002; **ბარათაშვილი ე., ზარანდია ჯ., აბრალავა ა.** რეგიონალიზმი: თეორია და პრაქტიკა. თბილისი, „სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2009; **Месхия Я.Е.** Вопросы методологии регионального прогнозирования. М., «Наука», 2003 და ა.შ.

რიტორიის 12,5%), მოსახლეობა – 180-200 ათასი კაცი. დევნილთა რაოდენობა აჭარბებს 300 ათას კაცს. დევნილობაში მყოფი აფხაზეთის მთავრობის სტატისტიკით, ამჟამად აფხაზეთში 167 ათასამდე მცხოვრებია. ძირითადი ბუნებრივი რესურსებიდან აღსანიშნავია ქვანახშირი, ხე-ტყე და მარმარილო. მდიდარია წყლის რესურსებით, ყველაზე დიდ მდინარეებად ითვლება ბზიფი და კოდორი. რეგიონში აღრიცხულია 186 ტბა, რომელთა შორის აღსანიშნავია რიწის ტბა, რომელიც ტურისტებისთვის მიმზიდველია იმით, რომ იგი მდებარეობს მთაზე და მისი ზედაპირი გაზაფხულზე მომწვანო ფერისაა, ხოლო ზამთარში – მოცისფრო-მოლურჯო. რეგიონში სასოფლო-სამეურნეო კულტურებიდან გავრცელებულია ლიმონი, მანდარინი, ფორთოხალი, ჩაი, წყავი, ზეთისხილი, თამბაქო და სხვა ძვირფასი მცენარე; მრეწველობის დარგებიდან განვითარებული იყო: კვების მრეწველობა, ქვანახშირის წარმოება, ჩაის დამზადება და გადამუშავება, ხე-ტყის მრეწველობა და ა.შ. რეგიონის ტერიტორიაზე მდებარეობს ბუნების, არქიტექტურისა და კულტურის მრავალი ძეგლი, რომელთა შორის აღსანიშნავია: ახალი ათონის მღვიმე და მონასტერი, კელასურის კედელი, ბიჭვინთის მონასტერი, დრანდის და ილორის ეკლესიები, თამარის ხიდი, სოხუმის ბოტანიკური ბაღი, გეგის ჩანჩქერი და სხვ. აფხაზეთი შავი ზღვის აკვატორიაზე ერთ-ერთი საუკეთესო ტურისტულ-რეკრეაციული რეგიონია.[3]

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა. მოიცავს ქ. ბათუმს, ქედის, ქობულეთის, შუახევის, ხელვაჩაურის, ხულოს მუნიციპალიტეტებს. მოსახლეობა 386,9 ათასი კაცია (2010 წ.), ტერიტორია – 2900 კმ^2 (4,2 %). ადმინისტრაციული ცენტრია ბათუმი.

ავტონომიური რესპუბლიკის ძირითადი ბუნებრივი რესურსებიდან აღსანიშნავია სპილენძის, ტყვიის, თუთიისა და სხვა ლითონების მარაგები, ფერადი სამშენებლო ქვების სხვადასხვა სახეობა. მდიდარია წყლის რესურსებით. რეგიონი უზრუნველყოფილია ელექტროენერგიით. ფუნქციონირებს ადგილობრივი ხუთი ჰიდროელექტროსადგური. 2011 წლის მარტის მდგომარეობით, რეგიონში რეგისტრირებულია 22 ათასზე მეტი ეკონომიკური სუბიექტი. მსხვილი საწარმოებიდან აღსანიშნავია: შპს „ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგური“, შპს „ბათუმის წყალი“, შპს „აჭარის ბუნებრივი აირი“, შპს „ბათუმიტექსი“ (ტანსაცმლის წარმოება), შპს „ნარინჯი (ხილის გადამუშავება), შპს „ურეხი“ (ფქვილის წარმოება) და სხვ. რეგიონში მოქმედებს კომერციული ბანკების 25-მდე ფილიალი და 5 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია. აჭარის ინვესტირებას ახორციელებენ ფრანგული, რუსული, ავსტრიული, თურქული, დანიური და სხვა კომპანიები. იწარმოება სოფლის მეურნეობის შემდეგი პროდუქტები: ციტრუსი, ჩაი, სიმინდი, ხილი, ყურძენი, თამბაქო, ბოსტნეული და ა.შ. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობი შეადგენს 72 862 ჰა-ს. ბათუმსა და ქობულეთში მიმდინარეობს თავისუფალი ტურისტული ზონების მშენებლობა. ზღვისპირა კურორტებიდან აღსანიშნავია ბათუმი, მახინჯაური, ქობულეთი, ბობოყვათი, გონიო-სარფი, ფიჭვნარი, ბეშუმი, ციხისძირი და სხვ. რეგიონში შექმნილია ხელსაყრელი ეკონომიკური გარემო უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის, მდიდარია კულტურული და ისტორიული ძეგლებით (გონიოს ციხე, სხალთის ხუროთმოძღვრული კომპლექსი, ბათუმის ბოტანიკური ბაღი, დენდროპარკები და ა.შ.).

თბილისი. საქართველოს დედაქალაქი მოიცავს ძველ თბილისს, ვაკე-საბურთალოს, გლდანი-ნაძალადევის, ისანი-სამგორის, დიდუბე-ჩუღურეთის მუნიციპალიტეტებს. მოსახლეობა – 1152,5 ათასი კაცია (2010 წ.), ტერიტორია – 350 კმ^2.

ქალაქის მინერალურ-რეკრეაციული რესურსებიდან აღსანიშნავია ძველ უბნებში მრავალ ადგილას გამომავალი გოგირდწყალბადიანი თერმული მინერალური წყალი, რომლის ბაზაზე ფუნქციონირებს აბანოები და ბალნეოლოგიური კურორტი. დიღმის ტერიტორიაზე არის თიხის საბადოები, ორხევში – გაჯისა და ავჭალის კვარცის სილის საბადოები. მდი-

[3] აქ და შემდგომ, ტექსტში გამოყენებული ინფორმაციის წყაროებია: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მონაცემები; საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალები.

დარია წყლის რესურსებით. ქალაქში გამავალი მდინარე მტკვრის შენაკადებია დიღმისწყალი, ვერე, წავკისწყალი, გლდანისხევი და ლოჭინა. ქალაქის ტერიტორიაზეა ლისის ტბა, ე.წ. თბილისის ზღვა. საგურამოს ნაკრძალის ბაზაზე შექმნილი თბილისის ეროვნული პარკი ქალაქიდან 26 კმ-ით არის დაშორებული.

დედაქალაქის ტექნიკური ინფრასტრუქტურა უპასუხებს თანამედროვე მოთხოვნებს (ციფრული ტექნოლოგიები, უსადენო რადიოშეღწევის სისტემები, მობილური ქსელები და ა.შ.).

დედაქალაქის საგზაო ინფრასტრუქტურა მოიცავს მეტროპოლიტენის ორ ხაზს, ავტობუსების ქსელს, სარკინიგზო სადგურებს, საერთაშორისო აეროპორტს და ა.შ.

თბილისში ფუნქციონირებს ათასზე მეტი სამშენებლო ორგანიზაცია, რომელთა შორის აღსანიშნავია შემდეგი მსხვილი კომპანიები: „არსი“, „ცენტრ-პოინტი“, „აქსისი“, „კალასი“, „სასკო“, „მოდული“ და სხვ. კარგადაა განვითარებული ფინანსური სექტორი, ფუნქციონირებს 19 კომერციული ბანკი. 16 ბანკში მონაწილეობს უცხოური კაპიტალი. ქვეყნის ყველა ბანკის სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში. მსხვილი ბანკებიდან აღსანიშნავია: „საქართველოს ბანკი“, „თიბისი ბანკი“, „ბანკი რესპუბლიკა“, „ლიბერთბანკი“, „პროკრედიტბანკი“, „ბაზის ბანკი“ და სხვ.

2010 წლის 1 მარტის მდგომარეობით, თბილისში დარეგისტრირებულია 159,7 ათასი ეკონომიკური სუბიექტი. დედაქალაქში ფუნქციონირებს ქვეყნის მსხვილი საწარმოების 80%-ზე მეტი. ამ საწარმოებიდან აღსანიშნავია: შპს „ბაგრატიონი“ (ღვინის წარმოება), შპს „დავით სარაჯიშვილი და ენისელი“ (ალკოჰოლიანი სასმელების წარმოება), შპს „პირამიდა (ბეტონის წარმოება), შპს „ჯორჯიან ექსპრესი“ (ტვირთების გადაზიდვა), შპს „ზარაფხანა (საიუველირო ნაკეთობების წარმოება), შპს „ახალი ქსელები“ (კავშირგაბმულობა), შპს „გუდვილი“ (საცალო ვაჭრობა) და ა.შ. ტურისტებისათვის მიმზიდველია თბილისის ღირშესანიშნაობები: ძველი თბილისის ქვისა და აგურის სახლები, ნარიყალას ნანგრევები, პანთეონები, გოგირდის აბანოები და სხვ. ქალაქში 100-მდე ტაძარი და ამდენივე სასტუმროა, ფუნქციონირებს 22 თეატრი და 28 მუზეუმი.

გურია. მოიცავს ლანჩხუთის, ოზურგეთის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებს. ადმინისტრაციული ცენტრია ქ. ოზურგეთი, ტერიტორია 2030,1 კმ^2 (2,9%), მოსახლეობა – 139,8 ათასი კაცი (2010 წ.). მოიპოვება: წითელი რკინა, აოლინი, აპატიტი, თიხა, ოქრო, ტუფი, გრანიტის ქვა, კირქვა, ტორფი და სხვ.

გურია მდიდარია წყლის რესურსებით (მდინარეები – სუფსა, ნატანები, ბჟუჟი და ა.შ.), სამკურნალო მინერალური და ბალნეოლოგიური წყლებით. რეგიონის თითქმის ერთი მესამედი უკავია ტყის რესურსს. განვითარებულია ენერგეტიკული, საავტომობილო და სარკინიგზო ინფრასტრუქტურა. რეგიონის ძირითად ეკონომიკურ საქმიანობას წარმოადგენს სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მოყვანა, მეხილეობა და მევენახეობა. სუფსის ტერიტორიაზე მდებარეობს ნავთობის ტერმინალი. გურია მდიდარია საინვესტიციო პოტენციალით: ხე-ტყე, აგროსამრეწველო და სასურსათო, საკურორტო-რეკრეაციული რესურსები. რეგიონის შავიზღვისპირეთის კურორტებია: ურეკი, შეკვეთილი, გრიგოლეთი, მაღალმთიან ალპურ ზონაში – ბახმარო, გომისმთა. რეგიონი გამოირჩევა ბუნების, ისტორიულ-არქიტექტურული და საეკლესიო ძეგლებით (ბუკის ციხე, ასკანის ციხე, უდაბნოს მონასტერი, შემოქმედის სამონასტრო კომპლექსი, აჭის ეკლესია და სხვ.).

იმერეთი. მოიცავს ქ. ქუთაისს, ბაღდადის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულისა და ხონის მუნიციპალიტეტებს. ადმინისტრაციული ცენტრი – თვითმმართველი ქ. ქუთაისი. მოსახლეობა – 700,4 ათასი კაცი (2010 წ.), ტერიტორია 6 518,8 კმ^2 (9,4%).

რეგიონის მინერალური რესურსებია: მანგანუმი, ქვანახშირი, ბარიტი, დიატომიტის საშენი მასალები, თიხის მარაგები, მარმარილო, კირქვები, ბაზალტის საბადოები და სხვ. რეგიონში ფუნქციონირებს 5 ჰიდროელექტროსადგური. მდიდარია წყლის რესურსებით

(მდინარეები – რიონი, ყვირილა, ცხენისწყალი, წყალწითელა, ხანისწყალი და სხვ.), სასმელი, სამკურნალო მინერალური და ბალნეოლოგიური წყლებით. ტყის ფონდს უკავია რეგიონის ტერიტორიის 51,8%, გავრცელებულია სამრეწველო დანიშნულების ჯიშები: მუხა, წაბლი, რცხილა, აკაცია, ცაცხვი და სხვ. რეგიონი მდიდარია ფაუნით: კავკასიური დათვი, ტახი, ირემი, შველი, მელა და ა.შ. მრავლადაა ტურისტებისთვის საინტერესო ბუნებრივი ობიექტი: დაცული ტერიტორიები – სათაფლიის, ყუმისთავის, ხომულის, ნავენახევის და სხვა მდვიმეები, ბორჯომ-ბაკურიანის ეროვნული პარკი, ტბები, წყალსაცავები და ა.შ.

იმერეთში მდებარეობს ბაგრატის ტაძარი და გელათის სამონასტრო ანსამბლი (იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები); გარდა ამისა, იმერეთი გამოირჩევა ისეთი კულტურულ-ისტორიული და არქიტექტურული ღირსშესანიშნაობებით, როგორიცაა ვანის ნაქალაქარი, გეგუთის ციხე-დარბაზი, მოწამეთის ეკლესია და მისი სიძველეები, კაცხის ტაძარი, ანტიკური პერიოდის შორაპნის ციხე-სიმაგრე და ა.შ. რეგიონში იწარმოება სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია (ბოსტნეული, სიმინდი, ლობიო, ხილი, ყურძენი და ა.შ.). რეგიონის მრეწველობის მსხვილი საწარმოებია: შპს „ჯორჯიან მანქანები“, სს „საქკაბელი“, შპს „ავტომექანიკური ქარხანა“, შპს მუნლეიკჯორჯია“, შპს „საქნახშირი“, შპს „ვარციხე“ და სხვ. განვითარებულია საჰაერო, საავტომობილო და სარკინიგზო სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა. რეგიონში 50-ზე მეტი საკურორტო და დასასვენებელი ბაზაა (საირმე, წყალტუბო, სიმონეთი, ზვარე, ამაღლება და სხვ.). მიმდინარეობს სამუშაოები სათაფლიის ნაკრძალის ასაღორძინებლად, სადაც მდებარეობს უნიკალური კარსტული გამოქვაბული.

კახეთი. შედგება ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღის და ყვარელის მუნიციპალიტეტებისაგან. ადმინისტრაციული ცენტრია ქ. თელავი. მოსახლეობა – 404,5 ათასი კაცი (2010 წ.), ტერიტორია – 11,4 ათ. კმ^2 (16,2 %). რეგიონში არის მარმარილოს მსგავსი კირქვის, სააგურე თიხის, ნავთობის, გაზის, მინერალური წყლის („უჯარმა“), დიაბაზის და სამშენებლო გაჯის მარაგები. მდიდარია წყლის რესურსებით, მდინარეებია: ალაზანი, იორი, ილიტო, სტორი, დურუჯი, გომბორი და ა.შ. ფუნქციონირებს 4 ჰიდროელექტროსადგური. ყველა მუნიციპალური ცენტრი და ზოგიერთი სოფელი უზრუნველყოფილია ბუნებრივი აირით. განვითარებულია თანამედროვე ინტერნეტ-მომსახურება და ციფრული სატელეფონო ქსელი. კარგადაა განვითარებული საავტომობილო და სარკინიგზო ტრანსპორტი, აშენდა ახალი საავტომობილო გზა (თელავი-გურჯაანი-თბილისი) გომბორის ქედის შემოვლით. ფუნქციონირებს 200-ზე მეტი მსხვილი და საშუალო, და 3 ათასამდე მცირე საწარმო.

კახეთში განსაკუთრებით განვითარებულია ღვინის და ხილის წარმოება, მეცხოველეობა. უკანასკნელ წლებში რეგიონში მსხვილი, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები განახორციელეს გერმანიის, ჩინეთის, იტალიის, ბულგარეთის, რუსეთის, ისრაელის და სხვა ქვეყნების ინვესტორებმა. დიდი რეზერვები არსებობს ინვესტირებისათვის საშენმასალათა და ხე-ტყის წარმოების, ჰესების მშენებლობის, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავებისა და სხვა სფეროებში. კახეთს კურორტებისა და ტურიზმის, მათ შორის, რეკრეაციული, სათავგადასავლო, ეკო- და აგროტურიზმის განვითარების დიდი პოტენციალი აქვს. მიმდინარეობს ახალი სასტუმროების მშენებლობა და დაცული ტერიტორიების კეთილმოწყობა. რეგიონში ფუნქციონირებს 2 თეატრი და 19 მუზეუმი.

მცხეთა-მთიანეთი. მოიცავს ახალგორის, დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებს. ადმინისტრაციული ცენტრია ქ. მცხეთა, მოსახლეობა – 108,8 ათასი კაცი (2010 წ.), ფართობი – 6,8 ათასი კმ^2 (9,2%).

რეგიონში არსებობს შემდეგი მინერალური რესურსების საბადოები: გრანიტი, ტუფი, დიაბაზი, ანდეზიტი, ტორფი, მარმარილო, კირქვა, ინერტიული მასალები და სხვ. მდიდარია წყლის რესურსებით. მდინარეებია: არაგვი, მტკვარი, თერგი, იორი, აგრეთვე მდიდარია მინერალური სამკურნალო წყლებით. აღსანიშნავია ბუნებრივი ტბები და წყალსაცავები:

ბაზალეთის, ლისის, კუს და ყელის ტბები, ჟინვალის წყალსაცავი. რეგიონში ფუნქციონირებს შვიდი ჰიდროელექტროსადგური. ტერიტორიის 37,8% დაფარულია ტყით. დაცული ტერიტორიებია: ლიახვის სახელმწიფო ნაკრძალი, ყაზბეგის ეროვნული პარკი. სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგებია: მეხილეობა, მევენახეობა, მემარცვლეობა, მეფრინველეობა, მეცხვარეობა, მეთევზეობა, მებოსტნეობა და სხვ. რეგიონში ფუნქციონირებს 30-ზე მეტი მსხვილი, 45-მდე საშუალო და 600-მდე მცირე საწარმო. რეგიონს აქვს სამთო-სათხილამურო ტურიზმის განვითარების დიდი რესურსი. მნიშვნელოვანი ტურისტული ობიექტებია გუდაური, ბაზალეთი, ხევსურეთი, თრუსოს ხეობა და ა.შ.

მცხეთა-მთიანეთში სულ 40-მდე ტურისტულ-საკურორტო ობიექტია, ფუნქციონირებს სასტუმროები, დასასვენებელი სახლები. რეგიონის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებიდან აღსანიშნავია: სვეტიცხოველი, ჯვრის მონასტერი, სიონის ეკლესია, სნოს ციხე, ბოჭორმის ციხე-სიმაგრე, სხვადასხვა მუზეუმი და სხვა საინტერესო ისტორიული ძეგლები. მცხეთა, თავისი ისტორიულ-არქიტექტურული ღირებულებით, გამოცხადებულია ქალაქ-მუზეუმად, ხოლო სვეტიცხოველი და ჯვრის მონასტერი იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაშია შეტანილი.

რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი. შედგება ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებისაგან. ადმინისტრაციული ცენტრია ქ. ამბროლაური, მოსახლეობა – 47,6 ათასი კაცი (2010 წ.), ტერიტორია – 4,6 ათ. კმ^2 (6,6%). მინერალურ-რეკრეაციული რესურსებია: რკინა, სპილენძი, თუთია, მოლიბდენი, ტყვია, დარიშხანი, ვერცხლისწყალი, ქვიშრობული ოქრო, მოსაპირკეთებელი ქანები, კირქვები, თაბაშირი, მინერალური სასუქები და სხვ.

რეგიონი მდიდარია უნიკალური მინერალური და წყაროს წყლებით. მიედინება მრავალი მდინარე: რიონი, ცხენისწყალი, ზესხო, ლეკთარეში, ლასკადურა, ლაჯანური და სხვ. ფუნქციონირებს შპს „რთცეულჰესი“ და სს „ლაჯანურჰესი“. ტერიტორიის 53,3% ტყითაა დაფარული. რეგიონში მოქმედებს 400-მდე მსხვილი, საშუალო და მცირე საწარმო. განვითარებულია მეცხოველეობა, მეხილეობა და მევენახეობა.

რეგიონი განთქმულია უნიკალური და ორიგინალური ნახევრად ტკბილი და მშრალი ღვინოებით (უსახელოური, ხვანჭკარა, ალექსანდროული, ტვიში, ორბელური ოჯალეში და სხვ., რომლებიც მზადდება ადგილობრივი ალექსანდროულის, უსახელოურის, მუჯურთეულისა და ა.შ. ჯიშის (სულ 50-მდე ვაზის ჯიში) ყურძნისაგან. მრეწველობის წამყვანი დარგია ხე-ტყის დამზადება და გადამუშავება. მნიშვნელოვანი კურორტებია შოვი და უწერა, ბალნეოლოგიური კურორტი „ლაშიჭალა“.

რეგიონში 160-ზე მეტი ისტორიული და კულტურული ძეგლია. მათ შორის აღსანიშნავია წმინდა მაქსიმე აღმსარებლის სახელობის ეკლესია, ნიკორწმინდის ეკლესია, ბარაკონის ტაძარი, ხოტევის ციხე, მრავალძალის ეკლესია და სხვ. რეგიონში ფუნქციონირებს 5 მუზეუმი და 80-ზე მეტი ბიბლიოთეკა. რეგიონი ტურისტებისათვის ძალიან საინტერესო და მიმზიდველი ადგილია.

სამეგრელო-ზემო სვანეთი. მოიცავს თვითმმართველ ქ. ფოთს, აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის და ხობის მუნიციპალიტეტებს. ადმინისტრაციული ცენტრია ქ. ზუგდიდი. ტერიტორია – 7,4 ათასი კმ^2 (10,6%), მოსახლეობა – 471,1 ათასი კაცი (2010 წ.).

რეგიონში არის ტორფის, ფერადი ლითონების – ოქროს, სპილენძის, ვერცხლის, კობალტის საბადოები, მოსაპირკეთებელი ქვები და მაგმური ქანები, საკირე კირქვები, თაბაშირისა და სხვა მინერალური რესურსების საბადოები.

რეგიონი მდიდარია წყლის რესურსებით (მდინარეები: ხობისწყალი, ტეხური, ენგური, ცხენისწყალი და ა.შ.), აგრეთვე ბუნებრივი სამკურნალო-მინერალური წყლებით, თერმული წყლების საბადოებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია ცაიშის კურორტი, რომელიც განთქმულია თერმული წყლებითა და სამკურნალო ტალახით. რეგიონში მდებარეობს ქვეყნის

უდიდესი ენგურის ჰიდროელექტროსადგური, დაწყებულია ახალი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა სოფელ ხუდონში. რეგიონის ტყის ფონდი ქვეყნის ტყის ფონდის 10,2%-ია. სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგებია: მეხილეობა, მევენახეობა, მარცვლეული კულტურები, მეფუტკრეობა, მეფრინველეობა, მეცხოველეობა. მოქმედ საწარმოთა რაოდენობა შეადგენს 3 ათასზე მეტს, მათ შორის, 100-მდე მსხვილი და 200-ზე მეტი საშუალო საწარმოა. ქ. ფოთში ფუნქციონირებს შპს „ფოთის საზღვაო ნავსადგური". მიმდინარეობს ფოთის თავისუფალი ეკონომიკური ზონის მშენებლობა. მესტიაში აშენდა სამთო-სათხილამურო კომპლექსი. დაიწყო ანაკლიის საკურორტო კომპლექსის მშენებლობა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით ხობში აშენდა „აზერბაიჯან-სოკარი-კომპანიის" ნავთობტერმინალი, ფოთში – სს „ფოთიმაცივარკომბინატი", ზუგდიდში – თხილის გადამმუშავებელი შპს „არგონატი" და ა.შ.

უახლოეს მომავალში რეგიონის ერთ-ერთი წამყვანი დარგი გახდება ტურიზმი (სვანეთი, ანაკლია). არსებობს სამონადირეო, სათევზაო, საცხენოსნო და აქტიური ტურიზმის განვითარების პოტენციალი. სამეგრელო-ზემო სვანეთი მდიდარია არქიტექტურული და ისტორიული მნიშვნელობის მქონე უნიკალური ძეგლებით: ხობისა და მარტვილის სამონასტრო კომპლექსები, ძველი ხიბულის ციხე-სიმაგრე „ჯიხა", აბედათის ციხე-სიმაგრე, კოლხეთის ეროვნული პარკი და სხვ. რეგიონში ფუნქციონირებს 3 თეატრი და 11 მუზეუმი.

სამცხე-ჯავახეთი. მოიცავს ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ბორჯომის და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებს. ადმინისტრაციული ცენტრია ქ. ახალციხე. მოსახლეობა შეადგენს 211,3 ათას კაცს (2010 წ.), ტერიტორია – 6,4 ათას კმ^2-ს (9,2%).

რეგიონის მინერალური რესურსებიდან აღსანიშნავია: მურა ნახშირი, დიატომიტი, ბენტონიტური თიხები, ანდეზიტი, ტორფი, სანაკეთო და მოსაპირკეთებელი ქვები, სამშენებლო თაბაშირი და სხვ. წყლის რესურსებია: მდინარეები (მტკვარი, ფოცხოვი, ქვაბლიანი, ფარავანი, ურაველი, ბორჯომულა და სხვ), ტბები (ფარავანი, ტაბაწყური, სადამო, კარწახი და ა.შ. სულ 80-მდე ტბა). რეგიონში მრავლადაა სუფთა წყაროს წყლები, მიწისქვეშა სასმელი მტკნარი წყლები, სამკურნალო მინერალური და ბალნეოლოგიური წყლები. რეგიონის ტერიტორიის 25% ტყითაა დაფარული. განვითარებულია საავტომობილო ტრანსპორტი, რომლითაც დამყარებულია სატრანზიტო კავშირი სომხეთსა და თურქეთთან. მიმდინარეობს დამაკავშირებელი რკინიგზის მშენებლობა თურქეთთან.

რეგიონში ფუნქციონირებს ათასზე მეტი საწარმო – მათ შორის, მსხვილი საწარმოა 25-ზე მეტი, საშუალო – 90-მდე, დანარჩენი მცირე საწარმოა. რეგიონის მრეწველობიდან აღსანიშნავია ხე-ტყის დამზადება და გადამუშავება, მინერალური წყლებისა და უალკოჰოლო სასმელების წარმოება, ელექტროენერგიის წარმოება, ასფალტ-ბეტონის წარმოება და სხვ. სოფლის მეურნეობის პრიორიტეტული მიმართულებებია: მეკარტოფილეობა, მებოსტნეობა, მარცვლეული კულტურები, მეხილეობა, მეცხოველეობა, მეფუტკრეობა, ერთწლიანი საკვები კულტურების წარმოება.

სამცხე-ჯავახეთი მდიდარია კურორტებით (ბორჯომი, ბაკურიანი, წაღვერი, ცემი, აბასთუმანი, ვარძია) და პოტენციური საკურორტო ადგილებით. ტურისტული თვალსაზრისით რეგიონის კულტურულ-ისტორიული ღირშესანიშნაობებია: სამცხის საეკლესიო ცენტრი სოფ. აწყურში, საფარა – სამონასტრო კომპლექსი, კულტურულ-ისტორიული ძეგლები ადიგენში – ზარზმა, ჭულე, ზანავი, ოქროს ციხე და სხვ., პეტრეს და გოგიას ციხეები ბორჯომში, ხერთვისი – ასპინძაში, ციხე-ქალაქი თმოგვი, ვარძია, ფოკის დედათა მონასტერი. ბორჯომის ხეობაში 200-ზე მეტი ისტორიული ძეგლია აღრიცხული. სამცხე-ჯავახეთს დიდი პოტენციალი აქვს სამკურნალო, სამთო და ეკოტურიზმის განვითარებისათვის. რეგიონში ფუნქციონირებს 3 თეატრი და 6 მუზეუმი.

ქვემო ქართლი. მოიცავს ქ. რუსთავს, ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულისა და წალკის მუნიციპალიტეტებს. ადმინისტრაციული ცენტრია რუსთავი. მინერალური რესურსებიდან აღსანიშნავია: ოქრო, სპილენძი, ბარიტი, ვერცხლი, მადნეული,

ვოლფრამი, ნიკელი, რკინა, თუთია, ტუფი, მარმარილო და სხვ. მაგნიუმითა და კალციუმით მდიდარი მიწა იძლევა ეკოლოგიურად სუფთა სურსათის წარმოების საშუალებას. რეგიონში გამავალი მდინარეებია: მტკვარი, ალგეთი, იორი, ჯანდარი, კუმისი, მაშავერა, ფოლადაური, ხრამი და სხვ. რეგიონში არის წყალსაცავები და ბუნებრივი ტბები. მოქმედებს 100-ზე მეტი მსხვილი საწარმო, რომელთაგან აღსანიშნავია: სს „ენერჯი-ინვესტი“ (მინერალური სასუქების წარმოება), სსს „რუსთავცემენტი“, შპს „ვაგონშემკეთებელი კომპანია“, შპს „ქართული ცემენტი“, სს „ყაზბეგი“ (ლუდის წარმოება), სს „ქართული ფოლადი“, სს „მადნეული“, შპს „კვარციტი“, სს „თბილსრესი“, შპს „მტკვარი-ენერგეტიკა“, სს „ხრამჰესი-1“ და სხვ. რეგიონის სოფლის მეურნეობაში პრიორიტეტული მიმართულებებია: მეცხოველეობა, მემარცვლეობა, მებოსტნეობა და მევენახეობა. ნოყიერი ნიადაგი და არსებული კლიმატი რეგიონის მთელ რიგ ტერიტორიაზე იძლევა წელიწადში მოსავლის რამდენჯერმე აღების საშუალებას.

ქვემო ქართლში არსებობს პოტენციალი ექსტრემალური ტურიზმის განვითარებისათვის (სწრაფდაშვება მდინარე ხრამზე, პარაშუტით ხტომა, საცხენოსნო და სამონადირეო ტურიზმი). რეგიონი მდიდარია ტურისტებისათვის საინტერესო სანახაობითი ადგილებით, აგრეთვე რეკრეაციული ტურიზმის განვითარებისათვის ხელსაყრელი ტერიტორიებით, ბუნებრივი სამკურნალო წყლებით. ქ. დმანისში აღმოჩენილმა სამარხებმა მნიშვნელოვნად გაზარდა უცხოელ დამთვალიერებელთა რიცხვი. რეგიონის ღირშესანიშნაობებია: ბოლნისის სიონი, ფიტარეთის მონასტერი, ბირთვისის ციხე-სიმაგრე, დმანისის ნაქალაქარი, სამშვილდე (ციხე-სიმაგრე) და სხვ.

შიდა ქართლი. მოიცავს ქ. ცხინვალს, გორის, ერედვის, თიღვის, კასპის, ქარელის, ქურთის, ხაშურის და ჯავის მუნიციპალიტეტებს. აქედან ქ. ცხინვალი, ერედვის, თიღვის, ქურთის და ჯავის მუნიციპალიტეტების ტერიტორია დღეისათვის ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ. რეგიონის ადმინისტრაციული ცენტრია ქ. გორი. მოსახლეობა (ოკუპირებული ტერიტორიების გარეშე) შეადგენს 310,6 ათას კაცს (2010 წ.). რეგიონის ტერიტორია 6200 კმ^2-ია (მათ შორის ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის ქვეშაა 4807 კმ^2 (9,2%).

შიდა ქართლის მინერალური რესურსებიდან ცნობილია: რკინა, სპილენძი, ოქრო, ტყვია, თუთია, დოლომიტი, კირქვა, მოსაპირკეთებელი ქვები, მაგმატური ქანები, ბეტონის მსუბუქი შემავსებლები, სააგურე თიხა და სხვ. რეგიონის ტერიტორიაზე მიედინება მდინარეები: მტკვარი, დიდი და პატარა ლიახვი, მექუდა, ტანა, ქსანი, ტორტლა, ფრონე, ლეხურა და სხვ. რეგიონი მდიდარია ბუნებრივი სამკურნალო მინერალური და ბალნეოლოგიური წყლებით, სუფთა წყაროს და მიწისქვეშა სასმელი მტკნარი წყლებით, ტყის რესურსებით. სულ გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში ტყით დაფარულია 110 ათასი ჰა, ხოლო ცხინვალში – 36 ათასი ჰა. კარგადაა განვითარებული ტექნიკური ინფრასტრუქტურა (საერთაშორისო საქალაქო-სატელეფონო ციფრული ქსელი, მობილური სატელერფონო კავშირი, ინტერნეტი). რეგიონი მნიშვნელოვანი სატრანსპორტო კვანძია. გადის საერთაშორისო საავტომობილო და ცენტრალური სარკინიგზო მაგისტრალი. საგზაო ინფრასტრუქტურა მოწესრიგებულია. აშენდა “თბილისი-გორი-ხაშური” ახალი საავტომობილო ბეტონსაფრიანი გზა. რეგიონში ფუნქციონირებს 45 მსხვილი, 120 საშუალო და 1500-მდე მცირე საწარმო. მსხვილი საწარმოებიდან აღსანიშნავია: შპს „პორტე“ (ფქვილის წარმოება), სს „სამშენებლო ტრესტი №3“, სს „გორი-გაზი“, შპს „ევროცემენტი“, სს „მეტეხის კერამიკა“, შპს „ქართული შაქარი“, სს „გორის სპირტისა და არაყის კომპანია“ და სხვ. სოფლის მეურნეობის ძირითადი მიმართულებებია: მეხილეობა (ვაშლი, ატამი, გარგარი და სხვ.), მარცვლეული კულტურების წარმოება, მეფუტკრეობა, მეფრინველეობა, მეცხოველეობა. რეგიონში იწარმოება ხორბლის ფქვილი, ხილის კონსერვები, შაქარი, ალკოჰოლური სასმელები, ცემენტი, რკინიგზის შპალები, თიხის აგური და სხვ. შიდა ქართლში მრავლადაა კურორტები და პოტენციური საკურორტო ადგილები, რომელთაგან აღსანიშნავია: გო-

რისჯვარი, ფელი, ატენი, სურამი, ქვიშხეთი და ა.შ. რეგიონი მდიდარია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებით: წრომის ტაძარი, ქვათახევი, გორის ციხე, ატენის ტაძარი, სამთავისის ეკლესია, ი. სტალინის სახლ-მუზეუმი, ყინწვისის სამონასტრო კომპლექსი, სურამის ციხე, რკონის მონასტერი, უფლისციხე და სხვ.

რეგიონების ეკონომიკა. თანამედროვე ეტაპზე (ისევე როგორც წარსულში იყო) საქართველოს რეგიონული ეკონომიკური განვითარების დონე არაერთგვაროვანი და დიფერენცირებულია. ეს განპირობებულია რიგი ფაქტორებით, მათ შორის მნიშვნელოვანია ქვეყნის ბუნებრივ-გეოგრაფიული, ისტორიული და სოციალურ-ეკონომიკური თავისებურებები, რაც გამოიხატება რელიეფითა და კლიმატური პირობებით ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული ბარის, მთის, მაღალმთიანი და ზღვისპირა რეგიონების, აგრეთვე რესურსებით მდიდარი და ღარიბი რეგიონების, დეპრესიული, განუვითარებელი, შედარებით განვითარებული და პრობლემური (კონფლიქტური) რეგიონების არსებობით. ამას ემატება ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონები, რომელთა დემოგრაფიული, ისტორიული, საწარმოო და კულტურული ტრადიციები სპეციფიკური მახასიათებლების მატარებელია და საჭიროებს განსხვავებულ, დიფერენცირებულ მიდგომას, ზოგიერთ შემთხვევაში პროტექციონისტული პოლიტიკის გატარებასაც კი.[4]

გარდა აღნიშნულისა, რეგიონული განვითარების დონეთა უთანაბრობა განპირობებულია საბჭოურ პერიოდში რეგიონულ ჭრილში განლაგებული საწარმოო პოტენციალის გარდამავალ ეტაპზე მოშლითა და ადრე შედარებით განვითარებულ რეგიონებში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის დაუსაქმებლობით. ამასთან, საბაზრო ურთიერთობებმა ახალი ამოცანები და პირობები დააყენა ცალკეული რეგიონების წინაშე, თუმცა, ბევრი მათგანის მეურნეობრივი პირობები არ აღმოჩნდა ხელსაყრელი საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრებისა და განვითარებისათვის. ამას დაემატა ის გარემოებაც, რომ საგარეო-ეკონომიკური კავშირების ზღვარგადასულმა ლიბერალიზაციამ და ეკონომიკური საზღვრების გახსნილობამ, გარკვეული თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად დააზარალა საქართველოს რეგიონები, რომელთა ეკონომიკის სტრატეგიული მიმართულება იყო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება და გადამუშავება. საზღვრების გახსნილობამ და იაფი აგროსამრეწველო პროდუქციის უცხოეთიდან შემოდინებამ სტიმული დაუკარგა ადგილობრივ მეურნეობას, რამაც კიდევ უფრო გაზარდა უმუშევრობის დონე და რეგიონთაშორისი უთანაბრო განვითარება.

რეგიონებში წარმოებულმა ტრადიციულმა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციამ (ჩაი, ღვინო, ციტრუსები, ხილი და ა.შ.) სათანადოდ ვერ შეაღწია მსოფლიო ბაზარზე, რის გამოც შემცირდა ბიზნესაქტიურობა და ადრინდელი ტრადიციული დარგები რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. სოფლიდან დაიწყო მოსახლეობის მიგრაცია ქვეყნის მსხვილ ქალაქებში და იმიგრაცია უცხოეთის ქვეყნებში სამუშაო ადგილების საძებნელად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბოლო პერიოდში საქართველოში დაიწყო რეგიონული ეკონომიკის აღორძინებისა და განვითარების სხვადასხვა მიზნობრივი პროგრამის შემუშავება და რეალიზაცია, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს მოკლე დროში რეგიონების წინაშე მდგარი პირველი რიგის, გადაუდებელი ამოცანების პრაქტიკული განხორციელება.

საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში ძირეული ცვლილებები მოხდა საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში, მათ შორის, განსაკუთრებით წარმოების ფაქტორების დინამიკასა და სტრუქტურაში. მაგალითად, *მოსახლეობის,* როგორც სამუშაო ძალის წყაროს, კვლავწარმოების ტემპები შენელდა გასული საუკუნის 80-90-იან წლებთან შედარებით. კერძოდ, 1989 წელს საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა 5400,4 ათას კაცს შეადგენდა, ხოლო 2000 წლისათვის იგი შემცირდა 17,87%-ით და 4435,2 ათასი კაცი შეადგინა. მხოლოდ ბოლო 10 წლის განმავლობაში შეინიშნება მოსახლეობის რიცხოვნო-

[4] **მესხია ი., გველესიანი ე.** რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა. თბილისი, „ინოვაცია“, 2010, გვ. 5.

ბის უმნიშვნელო ზრდა მთლიანად ქვეყნის მასშტაბით და ზოგიერთ რეგიონში. 2000-2010 წლებში საქართველოში მოსახლეობის რიცხოვნობა გაიზარდა 0,1%-ით*, მათ შორის, თბილისში 0,5%-ით და 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგინა 4436,4 ათასი კაცი, აჭარის არ-ში – 0,1%-ით, სამეგრელო-ზემო სვანეთში – 0,4%-ით. ქვეყნის დანარჩენ რეგიონში ამ დროის მონაკვეთში ადგილი ჰქონდა მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირებას.

2010 წლის მონაცემებით, მოსახლეობის სტრუქტურაში ყველაზე დიდი წილი მოდის თბილისზე (25,9%), შემდეგაა იმერეთი (15,7%), ქვემო ქართლი (11,2%), სამეგრელო-ზემო სვანეთი (10,6%), კახეთი (9,1%) და ა.შ., ხოლო ბოლო ადგილებს იკავებენ მცხეთა-მთიანეთი (0,2%) და გურია (0,1%).

საქართველოს რეგიონებში, ჯერ კიდევ შენარჩუნებულია *უმუშევრობის მაღალი და დასაქმების დაბალი დონე,* რაც განპირობებულია სამუშაო ადგილების დეფიციტით. ოფიციალური მონაცემებით, 2010 წელს საქართველოში სულ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა) შეადგენდა 1944,1 ათას კაცს, აქედან, დასაქმებული იყო 1628,1 ათასი კაცი, უმუშევართა რიცხვი შეადგენდა 316,9 ათას კაცს. უმუშევრობის ყველაზე მაღალი დონე დაფიქსირდა თბილისში (29,1%) და აჭარის არ-ში (21,1%).[5]

2000-2009 წლებში დასაქმებულთა რიცხოვნობა მნიშვნელოვნად შემცირდა რეგიონების მრეწველობაში. მხოლოდ თბილისის, აჭარის არ-ის, კახეთისა და შიდა ქართლის მრეწველობაში დაფიქსირდა დასაქმებულთა უმნიშვნელო ზრდა. ამავე პერიოდში დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას ჰქონდა ადგილი მთლიანად საქართველოში და ცალკეული რეგიონების მშენებლობის დარგში. თბილისში 2000 წელს მშენებლობაში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენდა 10437 კაცს, ხოლო 2009 წელს – 24487 კაცს (ზრდა 233,1%). ამავე პერიოდში აჭარაში ზრდამ შეადგინა 413,5%, გურიაში – 257,1%, იმერეთში – 284,1%, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში – 201,1%, სამეგრელო-ზემო სვანეთში – 226,5%, სამცხე-ჯავახეთში – 178,2%, შიდა ქართლში – 329,6%. მშენებლობის დარგში დასაქმებულთა ზრდის ტემპი შედარებით დაბალი იყო იმერეთში (113,3%) და მცხეთა-მთიანეთში (108,7%). მთლიანად საქართველოს მასშტაბით მშენებლობაში დასაქმებულთა რიცხოვნობა 2000 წლის 20066 კაციდან 2009 წელს 43452 კაცამდე, ანუ 2,1-ჯერ გაიზარდა.

ქვეყნის მასშტაბით ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში დასაქმებულთა რაოდენობა 2000 წლის 56470 კაციდან, 2009 წლისათვის 51395 კაცამდე შემცირდა, თუმცა, თბილისში თითქმის 200%-ით გაიზარდა, სხვა დანარჩენ რეგიონში მნიშვნელოვან შემცირებას ჰქონდა ადგილი.

ქვეყნის რეგიონების მიხედვით დასაქმებულთა რიცხოვნობის შემცირების ტენდენციას ადგილი ჰქონდა ვაჭრობაში, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტის საწარმოებში, ზოგიერთ რეგიონში (აჭარის არ, გურია, იმერეთი, მცხეთა-მთიანეთი, სამცხე-ჯავახეთი) კი შემცირდა 2-3 – ჯერ.

სასტუმროებსა და რესტორნებში დასაქმებულთა ზრდას ადგილი ჰქონდა თბილისში (135,35%), აჭარის არ-ში (119,5%), გურიაში (131,8%), სამეგრელო-ზემო სვანეთში (170,5%), სამცხე-ჯავახეთში (153,8%), ხოლო სხვა დანარჩენ რეგიონში ეს მაჩვენებელი 2-3-ჯერ შემცირდა.

რეგიონების მიხედვით დასაქმებულთა რაოდენობის ანალიზიდან აშკარად ჩანს, რომ რიგი დარგებისა და სფეროების მიხედვით, 2000-2009 წლებში, ადგილი ჰქონდა ამ მაჩვენებლის შემცირების ტენდენციას, რაც უნდა აიხსნას, ერთი მხრივ, წარმოების ტექნოლოგიური დონის ამაღლების შედეგად დასაქმებულთა გამოთავისუფლებით, ხოლო, მეორე მხრივ, ინვესტიციური დეფიციტის გამო სამუშაო ადგილების უქონლობით.

---

* 1994-2010 წლების მოსახლეობის რიცხოვნობა მოცემულია აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების მოსახლეობის გარეშე.

[5] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალები. http://www.geostat.ge დასაქმება.

პროდუქციის გამოშვება საქართველოსა და მისი რეგიონების მიხედვით, 2000-2010 წლებში, ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1

პროდუქციის გამოშვება საქართველოში და მისი რეგიონების მიხედვით 2000-2010 წლებში[6]

(მლნ ლარი)

	2000	2005	2006	2007	2008	2009	2010	2010/ 2000 %-ობით
საქართველო, სულ	2388,9	5838,3	7412,6	9645,4	10248,4	11033,1	12203,0	510,8
მათ შორის:								
თბილისი	1223,5	3255,5	4583,6	5212,8	6615,7	7467,6	7914,4	646,8
აჭარის არ	209,1	289,9	405,3	518,4	584,4	613,9	642,7	307,3
გურია	17,3	36,4	62,1	79,2	96,2	74,6	91,3	527,7
იმერეთი	190,5	357,2	418,1	512,7	701,0	479,5	747,9	392,5
კახეთი	34,7	130,4	138,9	154,0	152,1	181,7	195,3	562,8
მცხეთა-მთიანეთი	42,0	97,8	154,9	114,4	125,3	138,3	167,0	397,6
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	12,5	17,1	20,5	18,8	19,9	19,4	17,8	142,4
სამეგრელო-ზემო სვანეთი	134,8	294,0	352,2	516,9	379,0	473,7	548,6	406,9
სამცხე-ჯავახეთი	16,5	130,5	103,2	107,9	134,7	118,2	177,0	1072,7
ქვემო ქართლი	290,9	511,1	833,6	977,0	991,9	1119,4	1322,9	454,7
შიდა ქართლი	95,5	238,6	310,7	391,8	402,8	273,8	318,6	333,6

გამოშვებული პროდუქციის სტრუქტურაში რეგიონების ხვედრითი წონა 2010 წლისათვის შეადგენდა: თბილისში – 64,8%-ს, ქვემო ქართლში – 10,8, იმერეთში – 6,1, აჭარის არ-ში – 5,2, სამეგრელო-ზემო სვანეთში – 4,4, შიდა ქართლში – 2,6%-ს. დანარჩენი რეგიონების წილი მერყეობს 0,5-2%-ის ფარგლებში.

ქვეყნის *მრეწველობაში* 2010 წელს გამოშვებული პროდუქციის სტრუქტურაში ყველაზე დიდ ადგილს იკავებს თბილისი – 50,1%, შემდეგ მოდის ქვემო ქართლი – 25,2% და იმერეთი – 7,7%. დანარჩენი რეგიონების ხვედრითი წონა მერყეობს 0,1-5%-ის ფარგლებში. განსხვავებული სურათია რეგიონების მიხედვით *მშენებლობის* პროდუქციის სტრუქტურაში. პირველ ადგილს აქაც იკავებს თბილისი – 72,7%, მეორე ადგილზეა აჭარის არ (10,89%), მესამეზე – სამეგრელო-ზემო სვანეთი (4,9%). დანარჩენი რეგიონების ხვედრითი წონა ერთად შეადგენს 11,6%-ს. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მშენებლობის დარგი კონცენტრირებულია ძირითადად 2-3 რეგიონში, რაც მიუთითებს ქვეყნის უმეტეს რეგიონებში დაბალ ინვესტიციურ აქტიურობაზე.

რეგიონების მიხედვით *ინვესტიციები* ფიქსირებულ აქტივებში (ძირითად კაპიტალში) საკმაოდ მაღალი ტემპებით იზრდებოდა 2008 წლამდე, თუმცა, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომისა და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გავლენის შედეგად, ამ ბოლო პერიოდში ინვესტიციური აქტიურობა მნიშვნელოვნად შენელდა. 2006-2009 წლებში ფიქსირებულ აქტივებში ინვესტიციები გაიზარდა თბილისში (145,6%), იმერეთში (123,8%), სამცხე-ჯავახეთში (176,9%) და შიდა ქართლში (170,1%), ხოლო შემცირდა აჭარის არ-ში (თითქმის 3-ჯერ), გურიაში (2-ჯერ), კახეთში (უმნიშვნელოდ), სამეგრელო-ზემო სვანეთში (1,5 ჯერ), ქვემო ქართლში (2-ჯერ).

[6] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალები.

რეგიონების მიხედვით ინვესტიციების სტრუქტურაში, 2009 წლის მონაცემებით, წამყვანი ადგილი უკავია თბილისს, იმერეთს, სამეგრელო-ზემო სვანეთსა და ქვემო ქართლს. დანარჩენი რეგიონების ხვედრითი წონა უმნიშვნელოა (ცხრილი 2).

ცხრილი 2

ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში საქართველოს რეგიონების მიხედვით 2006-2009 წლებში[7]

(მლნ ლარი)

	2006	2007	2008	2009	2009/ 2006 %-ობით	სტრუ-ქტურა %-ობით (2009)
საქართველო, სულ	2054,7	2 588,4	2 220,0	2157,8	105,0	100,0
მათ შორის:						
თბილისი	1381,8	2027,7	1498,6	1718,5	124,3	79,7
აჭარის არ	183,1	77,4	93,2	67,3	-272,1	3,2
გურია	6,6	22,7	4,3	2,3	-286,9	0,1
იმერეთი	67,1	43,0	112,3	83,1	123,8	3,9
კახეთი	15,2	15,0	33,0	15,5	101,9	0,8
მცხეთა-მთიანეთი	23,1	16,2	4,4	39,7	171,8	1,9
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	0,6	3,3	0,6	2,0	333,3	0,1
სამეგრელო-ზემო სვანეთი	124,4	166,4	115,1	74,2	-167,6	3,5
სამცხე-ჯავახეთი	11,3	5,9	6,4	20,6	182,3	0,9
ქვემო ქართლი	153,2	124,0	238,2	74,8	-205,5	3,5
შიდა ქართლი	29,1	53,9	118,9	49,5	170,1	2,4

სოფლის მეურნეობას, როგორც საქართველოს რეგიონული განვითარების ერთ-ერთ წამყვან დარგს, გარდამავალ ეტაპზე სერიოზული პრობლემები შეექმნა. ბოლო პერიოდში იწარმოებოდა ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 9-9%, რაც საბჭოურ პერიოდთან შედარებით 30-35 პროცენტული პუნქტით ნაკლებია. უკანასკნელ 10 წელიწადში მოსახლეობის 1 სულზე შემცირდა თითქმის ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის წარმოება (მათ შორის: ხორბლის, სიმინდის, კარტოფილის, რძის, ხორცისა და ა.შ.).

საქართველოს რეგიონებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების შემცირების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობების თანდათანობითი შემცირებაა. მაგალითად, 1999 წელს ქვეყანაში ნათესი ფართობები შეადგენდა 594,7 ათას ჰა-ს, ხოლო 2009 წელს შემცირდა თითქმის 2-ჯერ და შეადგინა 308,3 ათასი ჰა, მათ შორის, იმერეთში შემცირდა 79,2 ათ. ჰა-დან 49,1 ათ. ჰა-მდე, სამეგრელო-ზემო სვანეთში – 59,8 ათ. ჰა-დან 46,2 ათ. ჰა-მდე, შიდა ქართლში – 64,4 ათ. ჰა-დან 33,4 ათ. ჰა-მდე, კახეთში – 171,2 ათ. ჰა-დან 98,1 ათ. ჰა-მდე, ქვემო ქართლში – 108,0 ათ. ჰა-დან 34,8 ათ. ჰა-მდე, სამცხე-ჯავახეთში – 53,9 ათ. ჰა-დან 21,9 ათ. ჰა-მდე, სხვა დანარჩენ რეგიონებში – 62,2 ათ. ჰა-დან 24,8 ათ. ჰა-მდე[8].

[7] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალები.
[8] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალები.

2009 წელს საქართველოს რეგიონებში სასოფლო-სამეურნეო ნათესი ფართობების ხვედრითი წონის შესახებ იხილეთ გრაფიკი 1.

გრაფიკი 1

საქართველოში ნათესი ფართობების რეგიონული სტრუქტურა 2000 წელს



უკანასკნელ წლებში საქართველოს რეგიონებში ადგილი ჰქონდა როგორც ნათესი ფართობების, ისე საშუალო მოსავლიანობის შემცირებას. მაგალითად, 2006-2009 წლებში *ხორბლის* წარმოება შემცირდა კახეთსა და ქვემო ქართლში თითქმის 2-ჯერ. გამონაკლისია შიდა ქართლის რეგიონი, სადაც იგი თითქმის 2,5-ჯერ გაიზარდა. ასევე მნიშვნელოვნად შემცირდა რეგიონებში *ქერის* ნათესი ფართობების წარმოების და მოსავლიანობის მაჩვენებლები (მაგალითად, კახეთში – 3-ჯერ). რაც შეეხება *სიმინდის* წარმოებას, ამ მხრივ, მდგომარეობა სტაბილურია და თანდათანობით გაუმჯობესების ტენდენცია იკვეთება რიგ რეგიონებში. მაგალითად, აღნიშნული კულტურის ნათესი ფართობების, წარმოებისა და საშუალო მოსავლიანობის მნიშვნელოვან ზრდას აქვს ადგილი სამეგრელო-ზემო სვანეთის, გურიის, კახეთის და სხვა რეგიონებში. ქვემო ქართლში, მართალია, შემცირდა ნათესი ფართობების მოცულობა, მაგრამ მნიშვნელოვნად გაიზარდა საშუალო მოსავლიანობის სიდიდე. *კარტოფილის* წარმოების მხრივ მდგომარეობა თანდათანობით უარესდება. ქვემო ქართლში კარტოფილის ნათესი ფართობი 2006 წლის 9,4 ათასი ჰა-დან 2009 წელს შემცირდა 4,5 ათასი ჰა-მდე, წარმოება დაეცა 69,8 ათასი ტონიდან 35,3 ათას ტონამდე. ამ მხრივ მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სამცხე-ჯავახეთში, სადაც კარტოფილის წარმოების მოცულობა და მოსავლიანობა გაიზარდა თითქმის 4-ჯერ და 2009 წლისათვის შესაბამისად 144,1 ათასი და 17,7 ტონა შეადგინა. უკანასკნელ წლებში რეგიონის მიხედვით *ბოსტნეულისა და ბაღჩეულის* წარმოება თითქმის ყველა სახეობის მიხედვით მეტ-ნაკლებად ზრდის ტენდენციით ხასიათდება.

ხილის წარმოება ქვეყნის უმეტესი რეგიონების მიხედვით შემცირების ტენდენციით ხასიათდება. სულ საქართველოში 2000 წელს ყველა კატეგორიის მეურნეობაში იწარმოებოდა 250,0 ათასი ტონა ხილი, ხოლო 2009 წელს შეადგინა 181,2 ათასი ტონა. აჭარის არ-ში ამ მაჩვენებელმა, შესაბამისად, შეადგინა 19,2 და 8,2 ათასი ტონა, იმერეთში – 54,8 და 17,4 ათასი ტონა, სამეგრელო-ზემო სვანეთში – 40,5 და 25,9 ათასი ტონა. შიდა ქართლში ხილის წარმოება გაიზარდა და 2009 წელს, ნაცვლად 2000 წლის 56,8 ათასი ტონისა, 66,8 ათასი ტონა შეადგინა. ამ პერიოდში სხვა რეგიონებში ხილის წარმოებას შემცირების ტენდენცია ჰქონდა.

საქართველოსათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კულტურის – *ყურძნის* წარმოებამ აშკარად გამოკვეთილი კლების ტენდენცია მიიღო. სულ საქართველოში 2000 წელს წარმოებულ იქნა 210,0 ათასი ტონა ყურძენი, ხოლო 2009 წელს მისი მოცულო-

ბა დაეცა 150,1 ათას ტონამდე. იმერეთში, ყურძნის წარმოებამ, შესაბამისად, შეადგინა 52,5 და 30,3 ათასი ტონა (შემცირდა 1,7-ჯერ), კახეთში – 105,0 და 82,7 ათასი ტონა. შიდა ქართლში ყურძნის წარმოების ზრდის ტენდენცია დაფიქსირდა. კერძოდ, 2009 წელს მან შეადგინა 16,5 ათასი ტონა, ნაცვლად 10,5 ათასი ტონისა 2000 წელს. დანარჩენ რეგიონებში ყურძნის წარმოებამ მნიშვნელოვნად იკლო.

უკანასკნელ წლებში რეგიონების მიხედვით *მეცხოველეობის* განვითარებაში შემდეგი სიტუაციაა: საქართველოში მსხვილფეხა პირუტყვის სულადობა 2000 წლის ბოლოსათვის 1177,0 ათას სულს შეადგენდა, 2009 წელს შემცირდა 1014,7 ათას სულამდე. აჭარის არ-ში, შესაბამისად, შემცირდა 123,2 ათასიდან 87,5 ათასამდე, იმერეთში – 267,7 ათასიდან – 192,7 ათასამდე, შიდა ქართლში – 84,6 ათასიდან 75,0 ათასამდე, კახეთში – 117,8 ათასიდან 82,8 ათასამდე. სამცხე-ჯავახეთში დაფიქსირდა ზრდის ტენდენცია: 2000 წლის 98,6 ათასიდან, 2009 წელს გაიზარდა 103,0 ათას სულამდე, სამეგრელო-ზემო სვანეთში შენარჩუნდა სტაბილური მდგომარეობა (192,2 ათასი სული), დანარჩენ რეგიონებში ეს მაჩვენებელი უმნიშვნელოდ შემცირდა. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ქვეყნის ყველა რეგიონში შემცირდა *ღორის* სულადობა. სულ საქართველოში 2000 წლის 443,4 ათასი სულიდან 2009 წელს შეადგინა 135,2 ათასი სული, რაც ძირითადად აიხსნება ამ პერიოდში გავრცელებული ავადმყოფობით („ღორის გრიპი“).

რეგიონების მიხედვით 2000-2009 წლებში მეტ-ნაკლები შემცირების ტენდენცია ჰქონდა *ცხვრისა და თხის* სულადობას. გამონაკლისია კახეთი, სადაც თხის სულადობა გაიზარდა თითქმის 20%-ით და 2009 წელს შეადგინა 15,7 ათასი სული, ხოლო ცხვრის სულადობა გაიზარდა 2%-მდე და შეადგინა 269,4 ათასი სული. უკანასკნელ წლებში ქვეყნის ყველა რეგიონში ადგილი აქვს *ფუტკრის* ოჯახების რაოდენობის ზრდას. კახეთში იგი თითქმის 2-ჯერ გაიზარდა და 2009 წელს შეადგინა 52,9 ათასი სკა.

ხორცის წარმოებას რეგიონების მიხედვით 2000-2009 წლებში შემცირების ტენდენცია ჰქონდა. საქართველოში ამ პერიოდში ხორცის წარმოება თითქმის 2-ჯერ შემცირდა: 2000 წელს იგი შეადგენდა 107,9 ათას ტონას, ხოლო 2009 წელს – 54,3 ათას ტონას. ხორცის წარმოების შემცირებას ჰქონდა ადგილი იმერეთში (თითქმის 2-ჯერ), სამეგრელო-ზემო სვანეთში (ასევე 2-ჯერ), შიდა ქართლში (3-ჯერ), ქვემო ქართლში (0,5-ჯერ), სამცხე-ჯავახეთში 3-ჯერ) და ა.შ.

2000-2009 წლებში საქართველოს რეგიონებიდან რძის წარმოების შემცირებას ადგილი ჰქონდა აჭარაში – თითქმის 2-ჯერ, სამეგრელო-ზემო სვანეთში – 30%-ით, იმერეთში – 10%-ით, კახეთში – 20%-ით. ქვემო ქართლში დაფიქსირდა სტაბილური მდგომარეობა, ხოლო სამცხე-ჯავახეთში რძის წარმოება გაიზარდა თითქმის 30%-ით.

2009 წელს საქართველოში კვერცხის წარმოებამ შეადგინა 430,6 მლნ ცალი, მაშინ როდესაც 2000 წელს იგი 361,4 მლნ ცალს შეადგენდა. ზრდა დაფიქსირდა ქვემო ქართლში (5-ჯერ), კახეთში (15%-ით), ხოლო სამეგრელო-ზემო სვანეთში შემცირდა თითქმის 2-ჯერ, იმერეთში 1,5-ჯერ და უმნიშვნელოდ სხვა რეგიონებში.

ოკუპირებული რეგიონების ეკონომიკა. 1918-1921 წლებში აფხაზეთი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში ავტონომიის სახით იყო წარმოდგენილი. 1921 წელს ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს სახელმწიფოს ანექსიისა და საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადების შემდეგ, აფხაზეთის სტატუსი არ შეცვლილა. 1991 წელს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა და საქართველოს რესპუბლიკის შექმნის შემდეგ, კონსტიტუციის თანახმად, მის შემადგენლობაში აფხაზეთი ფართო ავტონომიური უფლებებით შევიდა. თუმცა, რუსულმა იმპერიულმა ძალებმა შეძლეს აფხაზეთის მოსახლეობის ნაწილში სეპარატისტული განწყობის შექმნა და 1992-1993 წლებში მოახდინეს რუსეთ-საქართველოს ომის ინსპირირება, რის შედეგად საქართველოს ამ ძირძველი მიწიდან განიდევნა სხვადასხვა

ეროვნების დაახლოებით 80%-მდე მოსახლეობისა, მათ შორის უმეტესი ნაწილი ქართველები იყვნენ.

2008 წლის 26 აგვისტოს რუსეთის ხელისუფლებამ, ფაქტობრივად, მოახდინა აფხაზეთის სრული ანექსია და ფორმალურად სცნო აფხაზეთის სახელმწიფოს დამოუკიდებლობა, სინამდვილეში კი განახორციელა აფხაზეთის ტერიტორიის მიტაცება, სადაც მრავალრიცხოვანი რუსული სამხედრო შენაერთები აკონტროლებენ პოლიტიკურ ვითარებას, თუმცა, სამართლებრივად, აფხაზეთი საქართველოს სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილი და მისი ავტონომიური რესპუბლიკაა.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) მიერ 1996 წელს ოფიციალურად გაფორმდა აფხაზეთის ბლოკადა, აიკრძალა ეკონომიკური საქმიანობა. მიუხედავად ამისა, 2000 წლიდან რუსეთმა ნელ-ნელა ეკონომიკური სანქციები გააუქმა, რასაც ვაჭრობის გამოცოცხლება მოჰყვა. ოკუპირებულ აფხაზეთში, მიახლოებითი გაანგარიშებებით, 2003 წლისთვის, მთლიანი შიდა პროდუქტი დაახლოებით 70-80 მლნ აშშ დოლარის ეკვივალენტი იყო ანუ 350 აშშ დოლარი მოსახლეობის ერთ სულზე, რაც საქართველოს მაჩვენებელზე 2-ჯერ ნაკლებს შეადგენდა. 2003 წლის შემდეგ ეს სხვაობა ოკუპირებული ავტონომიასა და დანარჩენ საქართველოს შორის კიდევ უფრო გაიზარდა. დღეს, სხვადასხვა შეფასებით, ოკუპირებული აფხაზეთის მშპ-ის 60%-ს ვაჭრობა შეადგენს, მხოლოდ 10%-ს – ტურიზმი, რაც ამჟამინდელი ბიუჯეტის შემოსავლების მესამედს ავსებს.

საბჭოურ საქართველოში გამოშვებული პროდუქციის 12% აფხაზეთში იწარმოებოდა. 1985-1990 წლებში ავტონომიაში 500-მდე საწარმო მუშაობდა, სადაც 30 ათას კაცამდე იყო დასაქმებული. 1990 წლისთვის აფხაზეთის არ-ში წამყვანი ადგილი კვების მრეწველობას ეკავა (წარმოების 56%), მეორე ადგილზე მსუბუქი მრეწველობა იყო (12%), მესამეზე – ენერგეტიკა (10%), მეოთხეზე კი მანქანათმშენებლობა – (8%-მდე).[9]

აფხაზეთის ეკონომიკა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში ექსპორტზე იყო მთლიანად ორიენტირებული. შესაბამისად, სსრკ-ის დაშლის შემდეგ, დსთ-ის სანქციებმა მას სერიოზული პრობლემები შეუქმნა. თუმცა დღეისათვის აფხაზეთიდან უკანონო ექსპორტი რუსეთსა და თურქეთში პრაქტიკულად არ შეჩერებულა.

ამჟამად აფხაზეთში სასოფლო-სამეურნეო მიწების 60% დაუმუშავებელია. მართალია, სოჭის ოლიმპიადასთან დაკავშირებით, პროდუქციის გადამუშავების მასშტაბები შედარებით გაიზარდა, მცირე რაოდენობით იწარმოება ღვინო, ლიქიორი და კონიაკი, მაგრამ აფხაზეთის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას სერიოზულ კონკურენციას უწევს სამხრეთ რუსეთში საკმაოდ განვითარებული სასოფლო-სამეურნეო კომპლექსი.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ზრდა ძირითადად გალის რაიონში შეიმჩნევა. აქ მოყვანილი თხილის ექსპორტი შემოსავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა. აფხაზური მთავრობა გალში თითოეული ქართული ოჯახისგან 70-80 კილოგრამი თხილის მათ მიერ დადგენილი ფასებით ჩაბარებას მოითხოვს.

აფხაზეთის ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული სფერო იყო ხე-ტყის დამზადება. აფხაზეთის ტყეები უნიკალური ჯიშებით გამოირჩევა, რომელთა მოჭრა 1978 წელს აიკრძალა, თუმცა, 90-იანი წლებიდან ხის ჭრა ინტენსიურად გაგრძელდა. მასალა ძირითადად რუსეთის და თურქეთის ავეჯის ქარხნებს მიეწოდება.

2007-2009 წლებში სოხუმში, გაგრასა და ბიჭვინთაში ანუ ტურისტულ ზონაში სამშენებლო სამუშაოები გამოცოცხლდა. აფხაზეთში ღია პრივატიზაცია პრაქტიკულად არ ხორციელდება, წლების მანძილზე აფხაზეთის ქონება ძირითადად რუსეთის მოქალაქეებზე იყიდება.

არენდით გაცემულ ან რეალურად გაყიდულ ობიექტთაგან უმეტესობა ტურისტული სფეროდანაა, თუმცა, აფხაზეთის ეკონომიკის მთავარი ორიენტირი – ტურიზმი დღეს საოკუპაციო რეჟიმისთვის მოსალოდნელ შემოსავლებს ვერ იძლევა.

[9] Экономика советской Грузии: достижения, проблемы, перспективы. Тбилиси, 1972, с.593.

1980-იან წლებში აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში 103 დასასვენებელი სახლი, სანატორიუმი და სასტუმრო იყო, 220-250 ათას ტურისტამდე ისვენებდა. ტურისტული ბუმი იყო 1990 წელს, როცა აფხაზეთში 550 ათასი ტურისტი დაფიქსირდა, უკანასკნელ წლებში კი აფხაზეთს წლიურად 200-300 ათასზე ნაკლები სტუმრობს, იმ ერთდღიანი ტურისტების ჩათვლით, ვინც აქ მხოლოდ ათონის მღვიმისა და რიწის ტბის სანახავად ჩამოდიან. რუსეთის მოქალაქეებს, უსაფრთხოების გარანტიების არქონაზე მეტად, ხელი ტურისტული მომსახურების არაადეკვატურად მაღალმა ფასებმა ააღებინა.

ოკუპირებული აფხაზეთის ეკონომიკაში ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა რუსული სახელმწიფო კომპანია "როსნეფტი", რომელსაც აფხაზეთში ბენზინგასამართი სადგურების ქსელი აქვს. 2009 წელს ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე შეიქმნა ერთობლივი საწარმო "რნ-აფხაზია", რომლის 51% რუსული კომპანიის კუთვნილებაა. ამ ერთობლივ კომპანიას შავი ზღვის აფხაზეთის შელფზე ნავთობის მოძიებისა და საბადოების განვითარების უფლება გადაეცა.

გასული საუკუნის 80-90-იანი წლების აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განვითარებული ენერგოსექტორიდან დღეს მხოლოდ მცირე ნაწილია დარჩენილი. ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოები თურქი ბიზნესმენების ხელშია. საბადოზე ინვესტიციები არ ხორციელდება და, შესაბამისად, ქვანახშირის მოპოვების მოცულობა ძალიან მცირეა. გაჩერებულია სოხუმისა და სხვა მცირე ჰესები. არ მუშაობს ტყვარჩელის თეზი. რეგიონის ენერგეტიკა მთლიანად ენგურჰესზეა დამოკიდებული, რომლის რეაბილიტაციასა და ფუნქციონირებასაც საქართველოს მხარე უზრუნველყოფს.

ოკუპირებული რეგიონის საბანკო სისტემა რუსეთის საბანკო სისტემის ნაწილია. ტერიტორიაზე 15 ბანკია რეგისტრირებული, თუმცა, მათი ჯამური საწესდებო კაპიტალი საქართველოს ერთი ბანკის მინიმალურ საწესდებო კაპიტალზე მნიშვნელოვნად ნაკლებია.

რუსეთის შემდეგ აფხაზეთში რიგით მეორე ეკონომიკური მოთამაშე თურქეთია. აფხაზეთში წარმოებული ხე-ტყის, ქვანახშირისა და დამზადებული ჯართის ნახევარზე მეტი თურქეთში გადის. თურქეთიდან აფხაზეთში სიგარეტის და საკვები პროდუქტის იმპორტირება ხდება. თურქი ინვესტორები კაპიტალს დებენ აფხაზეთის ეკონომიკის თითქმის ყველა სფეროში, დაწყებული კაფეებიდან ტყვარჩელის მაღაროთი დასრულებული. ოჩამჩირის რაიონში მიწების ნაწილი თურქებს აღებული აქვთ თხილის პლანტაციების გასაშენებლად, თუმცა, 2008 წლის „აღიარების" შემდეგ რუსეთმა თურქული ეკონომიკური ინტერესების შევიწროება დაიწყო და დამატებითი ინვესტიციების განხორციელება პრაქტიკულად შეჩერებულია.

ოკუპირებული რეგიონის 2011 წლის ბიუჯეტი სულ 4 მლრდ 436 მლნ რუსულ რუბლს შეადგენს, რაც დაახლოებით 150 მლნ-მდე აშშ დოლარია. ბიუჯეტის თითქმის 70%-მდე რუსულ დახმარებაზე მოდის. საშუალო პენსია ოკუპირებულ აფხაზეთში 500 რუსული რუბლი, ანუ დაახლოებით 16-18 დოლარია. ბიუჯეტის 30%-ზე მეტი კი რუსეთის საჯარისო ნაწილების (5000-ზე მეტი სამხედრო მოსამსახურე) შენახვაზე იხარჯება. საკუთარი შემოსავლებით, ოკუპირებული ეკონომიკა მწირი ბიუჯეტის ხარჯების მხოლოდ 30%-ის დაფინანსებას ახერხებს[10].

ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის (სამაჩაბლოს) ტერიტორია 3,8 ათასი კმ-ია (საქართველოს ტერიტორიის 5,4%) და იყოფა ზნაურის, ახალგორის, ცხინვალისა და ჯავის ადმინისტრაციულ რაიონებად. საოლქო დაქვემდებარების ქალაქია ცხინვალი. საქართველოში მცხოვრებ ოსთა რაოდენობა 1990 წლამდე 164 ათასი იყო. 2002 წლის აღწერით, 38 ათასი დარჩა (სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის გამოკლებით).

1990 წელს სეპარატისტულმა ძალებმა გამოაცხადეს დამოუკიდებლობა სახელწოდებით – "სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკა". საქართველოს უზენაე-

[10] http://7days.ge/index2.php?newsid=1685

სი საბჭოს მიერ ოლქის სტატუსი გაუქმებულ იქნა 1990 წლის 10 დეკემბერს, ხოლო ტერიტორია გადანაწილდა ახალგორის, გორის, ჯავის, ქარელის, ონისა და საჩხერის რაიონებზე.

1991-1992 წლებში რეგიონში საომარი მოქმედებები დაიწყო, 1992 წლიდან განთავსდა სამშვიდობო შერეული ძალები (სოჭის ხელშეკრულება). 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ რეგიონის მთელ ტერიტორიას აკონტროლებს რუსეთის საოკუპაციო ჯარები, კერძოდ, რუსეთის არმიის მე-4 ბრიგადა, რომელშიც ოფიციალურად 3800 სამხედროა.

ამჟამად რეგიონში ოსი ეროვნების 30 ათასი მცხოვრებია, აქედან, ცხინვალში - 17 ათასი. ამასთან, რეგიონში 2500-მდე ქართველი ცხოვრობს.

სამხრეთ ოსეთის ეკონომიკა მთლიანად რუსეთზეა დამოკიდებული. 2008 წლის აგვისტოდან რუსეთმა რეგიონს 840 მლნ აშშ დოლარი გამოუყო, თუმცა, სარეაბილიტაციო სამუშაოების ტემპი ძალზე დაბალია. სამხრეთ ოსეთში ყველაზე მსხვილი საწარმოებია „ბაგიათის" და „ვიბრომანქანის" მინერალური წყლის ქარხნები, რომელთა საწარმოო სიმძლავრე მხოლოდ მეხუთედითაა ათვისებული. პროდუქციის 90% რეგიონში რუსეთიდან შემოდის და, სულ მცირე, 20-ჯერ უფრო ძვირია, ვიდრე იგივე პროდუქცია რუსეთის სამხრეთ რაიონებში. სამხრეთ ოსეთში ფუნქციონირებს ორი „სახელმწიფო" ბანკი. მიმოქცევაში მხოლოდ რუსული რუბლია.

ერთადერთი პროგრესი სამართალდამცველი ორგანოებისა და მასწავლებლების ხელფასების ზრდის მიმართულებით შეიმჩნევა, თუმცა, მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობა დაბალია. სამხრეთ ოსეთის მოქალაქეები სამკურნალოდ რუსეთში მიდიან, უფასო სამედიცინო დახმარების მიღება შეუძლიათ მათ, რომლებსაც შიდა რუსული პასპორტი აქვთ[11].

2008 წლის 23 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი "ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ". ამ კანონის საფუძველზე შემუშავებული სტრატეგია გამოხატავს საქართველოს ურყევ გადაწყვეტილებას მიაღწიოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების (სამხრეთ ოსეთის) სრულ დეოკუპაციას, უკუაქციოს რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების ანექსიის პროცესი და მშვიდობიანი გზით მოახდინოს მათი რეინტეგრაცია საქართველოს კონსტიტუციურ სივრცეში. საქართველოს ხელისუფლება მიისწრაფვის მიაღწიოს დასახულ მიზნებს მხოლოდ დიპლომატიური გზით და იგი გამორიცხავს სამხედრო ძალებით კონფლიქტის გადაწყვეტის შესაძლებლობას.

სახელმწიფო მხარდაჭერა რეგიონული განვითარებისადმი. რეგიონული ეკონომიკის აღორძინება-განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ტრანსფერის სახით გაწეული ფინანსური დახმარება. რეგიონში შემავალი მუნიციპალური ტერიტორიული წარმონაქმნები სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველწლიუად იღებენ *გათანაბრებით ტრანსფერს*, რომელიც განკუთვნილია მათი ექსკლუზიურ უფლებამოსილებათა განხორციელებისათვის, აგრეთვე *მიზნობრივ ტრანსფერს* ცენტრალური ხელისუფლების მიერ დელეგირებულ უფლებამოსილებათა განხორციელების მიზნით. ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტებიდან გამომდინარე, ზოგიერთ რეგიონზე ან რაიონში შემავალ ტერიტორიულ ერთეულზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხდება *სპეციალური ტრანსფერის* გაცემა, რომელიც ითვალისწინებს ამა თუ იმ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პროექტის რეალიზაციას. უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში რეგიონების მიხედვით გათანაბრებითი ტრანსფერის განაწილების დინამიკის შესახებ იხილეთ ცხრილში 3.

[11] http://www.polity.ge/georgia/politika/1480

ცხრილი 3

გათანაბრებითი ტრანსფერის განაწილება საქართველოს რეგიონების მიხედვით[12]

(ათასი ლარი)

	2008 ფაქტ.	2009 ფაქტ.	2010 ფაქტ.	2011	ზრდის ტემპი 2008-2011 წწ.-ში	%-ობით 2010=100
სულ ტრანსფერი, მათ შორის:	320 982	276 619	522 553	627 787	195,5	100,0
აჭარის არ	19 391	17283	30701	70259	362,3	5,8
თბილისი	226 701	152 495	323 037	349 892	154,3	61,8
გურია	4438	5768	7558	10626	239,4	1,5
იმერეთი	18064	23 557	46692	60496	334,8	8,9
კახეთი	7918	14680	20811	22570	285,0	3,9
მცხეთა-მთიანეთი	4512	5368	7087	8549	189,4	1,4
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	3586	3643	6948	7392	206,1	1,3
სამეგრელო-ზემო სვანეთი	10859	16445	26385	30782	283,4	5,3
სამცხე-ჯავახეთი	6251	8532	10993	12368	197,8	2,2
ქვემო ქართლი	8850	14955	24852	32102	362,7	4,8
შიდა ქართლი	9949	13018	16771	21977	220,8	3,2

ადგილობრივი ბიუჯეტებისათვის გამოყოფილი გათანაბრებითი ტრანსფერის მოცულობის ზრდა, აგრეთვე მათი მაღალი ხვედრითი წონა ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსულობებში მიუთითებს იმაზე, რომ ჯერ კიდევ დაბალია ადგილობრივი ბიუჯეტების ფინანსური დამოუკიდებლობა, პირიქით, იზრდება მათი ცენტრალიზაციის დონე, რაც გარკვეულწილად ზღუდავს თვითმმართველობის ორგანოების ავტონომიურ რეჟიმში ფუნქციონირებას და, შესაბამისად, არ ასტიმულირებს რეგიონული ეკონომიკის განვითარებას. აღნიშნული მდგომარეობა დროებითია, რადგან პერსპექტივაში გათვალისწინებულია რეგიონული ფინანსური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის დონის ამაღლება და რეგიონის სამეურნეო საქმიანობაში ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ჩარევის მინიმუმამდე დაყვანა.

თავისებურებებით ხასიათდება სპეციალური ტრანსფერის გამოყოფა. კერძოდ, იგი 2010 წლამდე ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების უმეტესობას გამოეყოფოდა იმ სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების განსახორციელებლად, რომლისთვისაც არ იყო საკმარისი ადგილობრივი ბიუჯეტების სახსრები. მაგალითად, ამ მიზნით სპეციალური ტრანსფერის სახით გამოყოფილმა თანხამ 2008 წელს შეადგინა 154,3 მლნ ლარი, ხოლო 2009 წელს – 200,9 მლნ ლარი. დაწყებული 2010 წლიდან სპეციალური ფინანსური დახმარების ობიექტია მხოლოდ რამდენიმე წერტილოვანი რეგიონი, სადაც მიმდინარეობს საერთო-სახელმწიფოებრივი პროექტების რეალიზაცია. მაგალითად, 2010 წელს ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია-მშენებლობისათვის თბილისს გამოეყო 196 მლნ ლარი, ბათუმს – 100 მლნ ლარი, ასევე, აფხაზეთის არ-ს (დევნილობაში მყოფ აფხაზეთის ხელისუფლებას) – 7,5 მლნ ლარი.

გარდა სატრანსფერო პოლიტიკისა, რეგიონულ ეკონომიკურ განვითარებაზე სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა ხორციელდება პროგრამულ-მიზნობრივი მიდგომით, ასევე, უცხოური ფინანსურ-ინვესტიციური დახმარებების გზით. 2008 წლიდან საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში შეიქმნა „*საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების*“ ფონდი (შემდგომში „ფონდი“), საიდანაც მთავრობის გადაწყვეტილებით ხდება რეგიონებიდან წარდგენილი პროექტების დაფინანსება. აღნიშნული რეგიონული პროექტების ფონდის მოცულობამ 2008 წელს 336,9 მლნ ლარი შეადგინა. შემდგომ წლებში მისი მოცულობა მნიშვნელოვნად შემცირდა და 2009 წელს 19,9 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო 2010 წელს – 66,0 მლნ ლარი.

[12] საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემები.

2010 წელს რეგიონული პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხების მოცულობისა და ხვედრითი წონის შესახებ იხილეთ გრაფიკი 2.

გრაფიკი 2

საქართველოს რეგიონული პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხების მოცულობა და ხვედრითი წონა 2010 წელს[13]



რეგიონული პროექტების პრიორიტეტებია სანიაღვრე არხების, სკოლების, სკოლამდელი დაწესებულებებისა და ბაგა-ბაღების, გზებისა და ხიდების, გარე განათების, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების, ნაპირსამაგრი ნაგებობების, კულტურის სახლებისა და ინფრასტრუქტურის სხვა ობიექტების რეაბილიტაცია-მშენებლობა.

აღსანიშნავია, რომ 2009 წლიდან ამოქმედდა *„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“*, რომლის მთავარი მიზანია საქართველოს სოფლების პირველი რიგის ამოცანების გადაწყვეტა, თვითმმართველობის განხორციელებაში მოსახლეობის გააქტიურება, თვითმმართველობის დამოუკიდებლობის გაძლიერება და ადგილობრივი თვითმმართველობის როლის ზრდა რეგიონული სამეურნეო პრობლემების გადაწყვეტაში. ამ პროგრამით გათვალისწინებული თანხა გამოიყენება ადგილობრივი ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაციისა (მაგალითად, ხიდების აღდგენა, სოფლის გზების შეკეთება, სასმელი წყლის სისტემების შეკეთება, სარწყავი არხების რეაბილიტაცია და ა.შ.) და სოფლის კეთილმოწყობის სამუშაოების ჩატარებისათვის (მაგალითად, სოფლის წყაროს მოწყობა, სტადიონის შეკეთება, კლუბის მოწყობა და ა.შ.).

უკანასკნელ წლებში საქართველოსათვის უცხოელების მიერ გაწეული ფინანსური დახმარებიდან ერთ-ერთი უმსხვილესია *„ათასწლეულის გამოწვევის პროგრამა“*. აშშ-ის მიერ საქართველოსათვის გამოყოფილი 395,3 მლნ აშშ დოლარის ღირებულების გრანტის რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება 2 მიმართულებით და მოიცავს: 1. ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის – სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაციის პროექტს; ენერგოინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტს, რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტს; 2. საწარმოთა განვითარებისათვის – საქართველოს რეგიონული განვითარების პროექტს და აგრობიზნესის განვითარების პროექტს. 5-წლიანი შეთანხმება მიზნად ისახავს სოციალურად დაუცველი ფენების დახმარებასა და საქართველოს რეგიონებში ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას. კერძოდ:

სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაციის პროექტის (203,5 მლნ აშშ დოლარი) მიზანია რეგიონში საგზაო-სატრანსპორტო ქსელის აღდგენა. პროექტი ითვალისწინებს დაახლოებით 220 კმ გზის რეაბილიტაციას ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში. სამუშაოების 90% უკვე შესრულებულია. კერძოდ, განხორციელდა გზის მშენებლობა-რეაბილიტაცია ნადრევანი-სათხეს, სათხე-ნინოწმინდა-სომხეთის საზღვრისა და ახალქალაქი-თურქეთის საზ-

[13] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალები.

ღვრის მონაკვეთზე; თელეთი-კოდა-ასურეთის საგზაო მონაკვეთზე; ხერთვისი-ვარძიის გზის მონაკვეთზე; სალდა-კარწახი-თურქეთის საზღვრის მონაკვეთზე და ა.შ.;

ენერგოინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტის (49,5 აშშ დოლარი) ძირითადი მიზანია ქვეყნის ჩრდილოეთ-სამხრეთის გაზის მაგისტრალური მილსადენის რეაბილიტაცია და გაზის მიწისქვეშა საცავის მშენებლობისათვის საინჟინრო პროექტის მომზადება. გაზსადენის 22 მონაკვეთზე სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია, მიმდინარეობს ნინოწმინდის გაზსაცავის წინასამშენებლო სამუშაოები;

რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი (57,5 მლნ აშშ დოლარი) ითვალისწინებს მუნიციპალური მომსახურების გაუმჯობესებას. კერძოდ, წყალმომარაგების სისტემის აღდგენას ფოთში, ქობულეთში, ქუთაისში, ბაკურიანსა და ბორჯომში. აქედან, სამუშაოების დიდი ნაწილი შესრულებულია;

რეგიონული განვითარების პროექტის (32,1 მლნ აშშ დოლარი) მიზანია მცირე და საშუალო ბიზნესისადმი ხელშეწყობა, ინვესტიციების განხორციელება ტურიზმსა და სხვა სექტორებში. იგი ითვალისწინებს საინვესტიციო კომპანიების გაძლიერებასა და განვითარებას;

აგრობიზნესის განვითარების პროექტის (20 მლნ აშშ დოლარი) მიზანია რეგიონებში წვრილი ფერმერული მეურნეობების გარდაქმნა მომგებიან ბიზნესერთეულებად. გრანტები გაიცემა პირველადი საწარმოების (სანერგე მეურნეობა, მეცხოველეობის ფერმა, საფუტკრე მეურნეობა და სხვ.), ფერმერთა მომსახურების ცენტრისა და მცირე გადამმუშავებელი საწარმოების შესაქმნელად. ამ პროექტის ფარგლებში დაფინანსდა თხილის გადამმუშავებელი საწარმოების მშენებლობა სამეგრელო-ზემო სვანეთის, იმერეთის, გურიისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში.

უახლოეს პერსპექტივაში (2011-2014 წწ.) დაგეგმილია ქვეყნის შიგა რეგიონული საგზაო-სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია-განვითარება, ძირითადი სამაგისტრალო, მეორადი და ადგილობრივი გზების მდგომარეობის გაუმჯობესება, ვაჭრობის ხელშეწყობა, აღმოსავლეთ-დასავლეთის საგზაო დერეფნის მშენებლობის გაგრძელება, ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის მონაკვეთის ბეტონსაფარიანი ავტომაგისტრალის, ქობულეთისა და ბათუმის შემოვლითი გზების მშენებლობა. დამთავრებულია ვაზიანი-გომბორი-თელავის საავტომობილო მაგისტრალის მშენებლობა.

დაიწყო საქართველოს რკინიგზის მოდერნიზაცია თბილისი-ბათუმი ჩქაროსნული მატარებლის შექმნის მიზნით. მიმდინარეობს ყარსი-ახალქალაქის რკინიგზისა და თბილისის შემოვლითი სარკინიგზო ხაზის მშენებლობა.

გაიზრდება ენერგოსისტემის მდგრადობა, დასავლეთ საქართველოში განხორციელდება ელექტროგადამცემი ხაზების რეაბილიტაცია. კერძო ინვესტიციებით დაფინანსდება 500 მეგავატზე მეტი ჰიდროენერგეტიკული სიმძლავრის მშენებლობა. გათვალისწინებულია რიგი რეგიონების გაზიფიცირება, მათ შოროს, დასავლეთ საქართველოს დამაკავშირებელი გაზსადენის მნიშვნელოვანი სეგმენტების აღდგენა-მშენებლობა, ჩრდილოეთ-სამხრეთის გაზსადენის რეაბილიტაცია-მშენებლობის სამუშაოების დასრულება. განხორციელდება საირიგაციო და სამელიორაციო სისტემის რეალიზაციის პროექტი, გაგრძელდება ურბანული ინფრასტრუქტურის განვითარება: განხორციელდება მყარი ნარჩენების გადამუშავების პროექტები, წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის მშენებლობა.[14]

შემუშავებულია "საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ.-ის სახელმწიფო სტრატეგია", რომლის ძირითადი მიზანია რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა და მოსახლეობის ცხოვრების სტანდარტებისა და პირობების გაუმჯობესება[15].

მიზნობრივი პროგრამების პრაქტიკული რეალიზაცია ხელს შეუწყობს რეგიონული განვითარების ტემპების დაჩქარებას, მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ხარისხის ამაღლებას.

---

[14] ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2011-2014 წლებისთვის (საბოლოო ვარიანტი). საქართველოს მთავრობა. თბილისი, 2011.

[15] საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ.-ის სახელმწიფო სტრატეგია. თბილისი, 2010.

აბრაარული სექტორი

IX თავი
სოფლის მეურნეობა

საქართველომ თავის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, დიდი ტრადიციების მქონე სოფლის მეურნეობით ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა მსოფლიო ცივილიზაციაში.

სოფლის მეურნეობა საქართველოში უძველესი დროიდან ვითარდებოდა. ეკონომიკის ეს დარგი მრავალმხრივი, უნიკალური თავისებურებებითა და ნიშან-თვისებებით ხასიათდება, რაც გაპირობებულია მრავალფეროვანი რეგიონების მიხედვით მკვეთრად განსხვავებული ნიადაგურ-კლიმატური და ეკონომიკური პირობებით.

ცნობილია, რომ საქართველო ხორბლისა და ვაზის სამშობლოა. მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე გამოყვანილია ამ კულტურათა აბორიგენული ჯიშები, რომელთა ბადალი მსოფლიოში არ მოიპოვება. უაღრესად საყურადღებო და ფრიად ანგარიშსგასაწევია, რომ საქართველოში ხალხური სელექციის მიღწევად ითვლება: ხევსურული ძროხა, თუშური ცხვარი, მეგრული თხა, კახური სატყეო-სამომთაბარეო ღორი, ქართული რუხი, გრძელხორთუმიანი ფუტკარი, რომლის მსგავსი მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ მოიძებნება. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სოფლის მეურნეობის სპეციფიკის თვალსაზრისით, საქართველო გამორჩეული ქვეყანაა.

სოფლის მეურნეობის გაძღოლის მდიდარი ტრადიციები, საუკუნეების მანძილზე თანდათან იხვეწებოდა, ვითარდებოდა და სრულყოფილ ფორმას იძენდა.

ქართველ მეცნიერთა მიერ გამოყვანილია სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ახალი ჯიშები და ჰიბრიდები, შექმნილია მათი მოვლა-მოყვანის პროგრესული ტექნოლოგიები, სოფლის მეურნეობის გაძღოლის მეცნიერული სისტემა, რაც დიფერენცირებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის ზონებისა და ქვეზონების მიხედვით.

ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების მრავალფეროვნებამ და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოთხოვნებმა, საქართველოს არსებობის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე, არაერთხელ განაპირობა სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურისა და განვითარების მიმართულებების კორექტირება.

XX საუკუნის დასაწყისისთვის საქართველოში მიწათმოქმედების დარგებიდან განვითარებული იყო: მარცვლეულის წარმოება, მევენახეობა, მეხილეობა, საკვებწარმოება; მეცხოველეობის დარგებიდან – მთისა და ბარის მესაქონლეობა, მათ შორის, მეკამეჩეობა, მეცხვარეობა, მეღორეობა, ლოკალურად – მეფრინველეობა. შემდგომ პერიოდში სხვა ქვეყნებთან კავშირურთიერთობების გაღრმავების შედეგად რამდენადმე იცვალა სახე სოფლის მეურნეობამ. დასავლეთ საქართველოს უნიკალურ ნიადაგურ-კლიმატურ პირობებს კარგად მოერგო სუბტროპიკული მიწათმოქმედება და წარმატებით განვითარდა მანამდე ქართული სოფლის მეურნეობისათვის უცხო კულტურები: ჩაი, ციტრუსები, სუბტროპიკული ხილი. შედარებით ადრე, სხვა ქვეყნებიდან საქართველოში მოხვდა სიმინდი, კარტოფილი, პომიდორი, თამბაქო, სხვადასხვა ჯიშის პირუტყვი და ფრინველი. ახალი სასოფლო-სამეურნო კულტურების უცხოეთიდან შემოტანა გავლენას ახდენდა წარმოების სპეციალიზაციაზე და, საერთოდ, ქვეყნის მთელ ეკონომიკაზე. ამ ცვლილებებმა უდავოდ დადებითი გავლენა მოახდინა სტრუქტურული თვალსაზრისით.

სოფლის მეურნეობის განვითარებამ ძირითადად ორი სტრატეგიული მიმართულება შეიძინა. პირველი, გამოიკვეთა ის პრიორიტეტული დარგები, რომლებიც განსაზღვრავენ როგორც სოფლის მეურნეობის, ისე ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალს და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მთლიანი შიდა პროდუქტის ფორმირებაში. ეს დარგებია: მევენახეობა, მეღვინეობა, მეხილეობა და საკონსერვო მრეწველობა, მეჩაიეობა და ჩაის მრეწველობა, მეციტრუსეობა და ციტრუ-

სების პროდუქციის გადამმუშავებელი მრეწველობა; მეორე მხრივ, ცალკე დაჯგუფდა სასურსათო მნიშვნელობის დარგები: მეცხოველეობა, მემარცვლეობა, მებოსტნეობა, მეკარტოფილეობა, რომლებთანაც შეთანაწყობილია ტექნიკური და საკვები კულტურების პროდუქციის წარმოება.

დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა შეიძინა ისეთი ღონისძიებების გატარებამ, როგორიცაა სპეციალიზებული რეგიონების შექმნა, პრიორიტეტული დარგების განსაზღვრა-კლასიფიკაცია და უპირატესი განვითარება. ამას ხელი შეუწყო და, შეიძლება ითქვას, დასაბამი მისცა ქართველ ნიადაგმცოდნეთა მიერ ნიადაგური პირობების (საფარის) შესწავლამ და ახალი, მომგებიანი კულტურების (ჩაი, ციტრუსი და სხვ.) გაშენებისათვის რეკომენდაციების მიცემამ.

ასეთი სამუშაოების ჩატარების შედეგად გამოიყო საქართველოს სოფლის მეურნეობის იმიჯის განმსაზღვრელი დარგების რეგიონული სისტემები, კერძოდ: სამრეწველო მევენახეობისა და მეხილეობის, მეჩაიეობისა და მეციტრუსეობის, საგარეუბნო და მთის მეცხოველეობის გამოკვეთილი რეგიონები.

საქართველოს სოფლის მეურნეობის ეკონომიკური გარემოს ფორმირებასა და გამოყენებაზე დიდ გავლენას ახდენს სპეციფიკური ბუნებრივი პირობები და ისტორიულად ჩამოყალიბებული ტრადიციები.

დარგობრივი სტრუქტურის ფორმირებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქვეყნის გეოგრაფიულმა თავისებურებებმა, გეოპოლიტიკურმა მდებარეობამ და რეგიონების მიხედვით მკვეთრად განსხვავებულმა ნიადაგურ-კლიმატურმა და ეკონომიკურმა პირობებმა.

საერთოდ, ზღვისპირა მდებარეობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სოფლის მეურნეობის ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაზე. საქართველო საკმაოდ მთიანი და სოფლის მეურნეობის თვალსაზრისით ძნელად ასათვისებელი ქვეყანაა. ზღვის დონიდან 500 მეტრამდე განლაგებულია მთელი ტერიტორიის 26,7%, 500-დან 1000 მ-მდე – 21,7%, 1000-დან 1500 მ-მდე – 19,1%, 1500-დან 3000 მ-მდე – 31,0% და 3000-ზე ზევით – 1,5%. ქვეყნის მთელი ტერიტორიის 54% მთებს უკავია, 33% – მთისწინებს, ხოლო 13% – დაბლობ ადგილებს.

მიუხედავად მცირე ტერიტორიისა, საქართველოში არის 25 ათასი მდინარე (აქედან, 70% დასავლეთ საქართველოშია), 860 ტბა, 688 მყინვარი, მრავალფეროვანი მინერალური წყაროები, ხოლო შავი ზღვის სანაპირო ზოლის სიგრძე 320 კმ-ია.

ბუნებრივი კომპლექსის ფორმირებაზე დიდ გავლენას ახდენს შავი ზღვა. ის ხელს უწყობს თბილი და ტენიანი კლიმატის ფორმირებას, რაც ინტენსიური სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის განვითარების შესაძლებლობას იძლევა. ამასთან, ეკონომიკური თვალსაზრისით, ძალზე მნიშვნელოვანია საგარეუბნო და საკურორტო სოფლის მეურნეობის განვითარებაც.

საქართველოში მრავალფეროვანია კლიმატი, რაც ტერიტორიის ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობებით აიხსნება. გამოიყოფა ორი ძირითადი კლიმატური რაიონი: ზღვის ტენიანი სუბტროპიკული და სუბტროპიკულიდან კონტინენტურში გარდამავალი.

საქართველო ძალზე მდიდარია თერმული რესურსებითაც, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს სამეურნეო თვალსაზრისით. მზის რადიაციის ინტენსივობა და ხანგრძლივობა საკმაოდ დიდია. ზღვისპირა რაიონებში მზის ნათება წელიწადში საშუალოდ 2000-2200 საათს უდრის, აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობ ზონაში – 2400-2500 საათს. ტერიტორიის დიდ ნაწილზე მაღალია საშუალო წლიური ტემპერატურა. კოლხეთის დაბლობსა და ზღვის სანაპირო ზოლზე იგი +14, +15 გრადუსს აღწევს, აღმოსავლეთ საქართველოში +11, +13 გრადუსს არ აღემატება. დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში აქტიურ ტემპერატურათა ჯამი (+10 გრადუსზე ზევით) 4000-4500, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში – 3000-4000 გრადუსია.

ასეთი ხელსაყრელი კლიმატური პირობები წელიწადში ორი მოსავლის მოყვანის, შუალედური და სანაწვერალო კულტურების დანერგვის საშუალებას იძლევა.

საქართველოს ტერიტორიაზე ატმოსფერული ნალექები ძალზე არათანაბრადაა განაწილებული. დასავლეთ საქართველოში საკმარისი, ზოგჯერ კი ზედმეტი რაოდენობის ნალექი მოდის (2000-2700მმ საშუალოდ წლის განმავლობაში). ამ მხრივ, ვერტიკალური სარტყლების მიხედვით არსებითი განსხვავება არ შეიმჩნევა. აღმოსავლეთ საქართველოში გაცილებით ნაკ-

ლები ნალექი მოდის – 400-500 მმ წელიწადში, ზოგიერთ მაღალმთიან ზონაში კი იგი 1200-1500 მმ-ს აღწევს. აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში ნალექების სიმცირე განაპირობებს ხელოვნური რწყვის აუცილებლობას.

ტერიტორიის ძლიერი დანაწევრება, საკმაოდ განსხვავებული გეოლოგიური აგებულება, კლიმატური პირობების და მცენარეული საფარის მრავალფეროვნება დიდ გავლენას ახდენს ნიადაგის ფორმირებაზე. აქ გვხვდება თითქმის ყველა ტიპის ნიადაგი, დაწყებული სუბტროპიკული ზონის წითელმიწა და ეწერ-ტიპის ნიადაგებიდან, მაღალმთიანეთის მდელოსა და უდაბნო-მდელოს ზონის შავმიწაყომრალი, მურა და სამხრეთ ნაწილის მთამდელოს ზონის მთის შავმიწებამდე.

დასავლეთ საქართველოს ნიადაგურ საფარზე უარყოფით გავლენას ახდენს ეროზიული პროცესები. წყლისა და ქარისმიერ ეროზიას განიცდის 3000 ათას ჰა-ზე მეტი მიწის ფართობი. ამას გარდა, დამლაშებული, ბიცი და ბიცობი ნიადაგები 250 ათას ჰა-ზე მეტს იკავებს (ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოში). ყურადღებას მოითხოვს დასავლეთ საქართველოს მჟავე ნიადაგები, რომლებიც მოკირიანებასა და მოთაბაშირებას საჭიროებს.

მთიანი რელიეფის გავლენა სოფლის მეურნეობაზე, უწინარეს ყოვლისა, მეტისმეტად შეზღუდულ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში გამოიხატება. ეს პირობები გავლენას ახდენს სოფლის მეურნეობის პროფილსა და განვითარებაზე, რაც განისაზღვრება მცირემიწიანობითა და სავარგულთა თავისებური სტრუქტურით. ამის გამო, სოფლის მეურნეობაში გამოიყენება მთელი ტერიტორიის 44%, სახნავს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მხოლოდ 25% უკავია, სათიბ-საძოვრებს – 65%-ზე მეტი. ამის შედეგად, მოსახლეობის ერთ სულზე მოდის მხოლოდ 0,66 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგული და 0,17 ჰა სახნავი, რაც 35-ჯერ ნაკლებია, ვიდრე ზოგიერთ სხვა ქვეყანაში, მაგალითად, რუსეთში, უკრაინაში, ბელარუსსა და ა.შ.

ბუნებრივი ფაქტორები მჭიდრო კავშირშია ეკონომიკურ პირობებთან, რითაც განისაზღვრება სოფლის მეურნეობისადმი წაყენებული მოთხოვნები და საბაზრო მოტივაციები, მასთან დაკავშირეული სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის ხასიათი, დარგობრივი და რეგიონული ურთიერთობები, მარკეტინგული სიტუაცია, ეკონომიკური მექანიზმის გამოყენების პირობები, საგარეო-ეკონომიკური კავშირები, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა და სხვ.

ბუნებრივი და ეკონომიკური პირობების კომპლექსური გავლენის შედეგად, რაც შრომის საერთაშორისო დანაწილების პრინციპებს ესატყვისება, საქართველოს სოფლის მეურნეობამ საკმაოდ მრავალმხრივი ხასიათი მიიღო, გამოიყო მაპროფილებელი და პრიორიტეტული დარგები და დარგობრივი სისტემები, რაც სოფლის მეურნეობის ზონალობაში აისახა.

საქართველოს ტერიტორია დაყოფილია სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის 13 ზონად და 8 ქვეზონად (აქედან, 5 სამთო ზონაა), რის მიხედვითაც დამუშავებულია სოფლის მეურნეობის მეცნიერულად დასაბუთებული გაძღოლის სისტემები, ეკონომიკის მართვის მექანიზმი, განვითარების მარკეტინგული, პროგნოზული მიმართულებები.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სურათი (2009 წლის მონაცემებით) ნათესი და მრავალწლიანი კულტურების ფართობების (ათასი ჰექტარი) მიხედვით, ასეთია: სასოფლო-სამეურნეო სავარგულები – 3025,8, აქედან, კერძო საკუთრებაშია 767,3 (25,35%); სახნავი – 801,8, კერძო საკუთრებაშია – 438,5 (54,7%); მრავალწლიანი ნარგავები – 263,8, კერძო საკუთრებაშია 180,5 (68,4%); სათიბები – 143,8, კერძო საკუთრებაშია 44,0 (30,6%); საძოვარი – 1796,6, კერძო საკუთრებაშია 84,5 (4,7%).

2009 წლის მონაცემებით, მთლიანი ნათესი ფართობი შეადგენდა 308,3 ათას ჰა-ს (თუმცა, 2010 წელს შემცირდა 275,3 ათას ჰა-მდე). აქედან, შინამეურნეობებში მოქცეულია 94,0%. ნათეს ფართობზე საშემოდგომო ხორბალი იკავებს 48,6 ათას ჰა-ს, სიმინდი – 146,2, პარკოსანი კულტურებიდან ლობიო – 7,3, ტექნიკური კულტურებიდან მზესუმზირა – 29,5, ბოსტნეული კულტურები – 27,3, კარტოფილი – 24,0, საკვები კულტურები – 9,2 ათას ჰა-ს[1].

[1] **ქეშელაშვილი ო., მეჯურჭლიშვილი მ., ძაგანია ე., ნატროშვილო ნ.** სოფლის მეურნეობის განვითარების პოზიციური სურათი: მარკეტინგული მოდელის პრიორიტეტები და პროგნოზული ვარიანტული პარამეტ-

2005-2010 წლებში საქართველოში მემცენარეობის განვითარების შესახებ წარმოდგენას იძლევა ცხრილი 1.

ცხრილი 1

საქართველოს სოფლის მეურნეობაში მემცენარეობის პროდუქციის წარმოება 2005-2010 წლებში[2]

წარმოება (ათასი ტონა)	**2005**	**2006**	**2007**	**2008**	**2009**	**2010**
ხორბალი	190	70	75	80	54	48
ქერი	65	31	40	49	20	23
სიმინდი	421	217	296	328	291	141
ლობიო	23	8	11	12	10	6
კარტოფილი	432	169	229	193	217	229
ბოსტნეული	437	180	190	165	170	176
ბაღჩეული	120	38	74	53	44	50
ხილი	265	153	228	158	181	124
ციტრუსები	122	52	99	55	94	52
ყურძენი	250	163	227	176	150	121
ჩაის ფოთოლი	23	7	8	5	6	4

როგორც ცხრილიდან ჩანს, საქართველოს სოფლის მეურნეობაში ყველა სახის მემცენარეობის პროდუქციის წარმოება კატასტროფულად დაეცა, რაც დაეტყო კიდეც ქართულ ბაზარს, რომელიც ასეთი შესაძლებლობების ქვეყანაში გაჯერებულია იმპორტული პროდუქციით.

საქართველოს მეცხოველეობაში არსებული მდგომარეობის შესახებ იხილეთ ცხრილი 2.

ცხრილი 2

საქართველოს სოფლის მეურნეობაში მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება 2005-2010 წლებში[3]

პირუტყვისა და ფრინველის სულადობა (წლის ბოლოსთვის)	**2005**	**2006**	**2007**	**2008**	**2009**	**2010**
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი (ათასი სული)	1191	1080	1049	1046	1015	1049
მათ შორის: ფური და ფურკამეჩი	710	591	541	561	538	562
ცხვარი და თხა	815	789	797	769	674	654
ფრინველი (ათასი ფრთა)	7 482	5 401	6 150	6 682	6 675	6 521
მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება (ათასი ტონა)						
ხორცი (დაკლულ წონაში)	105	83	73	57	54	56
რძე	756	606	625	646	551	588
კვერცხი, მლნ ცალი	505	249	438	438	431	444
მატყლი	2	2	2	2	2	2

რები. თბილისი, გამომცემლობა „არეალი“, 2011; საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალები.

[2] საქართველო ციფრებში – 2010. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. თბილისი, 2010, გვ. 60; საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალები.

[3] იქვე, გვ. 61.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების ინდექსები 2004-2010 წლებში გამოხატავს მათ შორის თანაფარდობას (იხ. გრაფიკი 1).

გრაფიკი 1

საქართველოს სოფლის მეურნეობაში მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების ინდექსები 2004-2009 წლებში

(წინა წელი = 100)



2010 წლის მონაცემებით საქართველოს სოფლის მეურნეობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში 8,4%-ია (2009 წელს კი 9,4%-ს შეადგენდა). ამავე წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წლიური გამოშვების მოცულობის ინდექსი (წინა წელთან) 98,1%-ს შეადგენდა (2009 წელს კი იყო 92,9%), მათ შორის მემცენარეობის პროდუქციისა – 99%-ს (2009 წელს იყო 98,2%), ხოლო მეცხოველეობის პროდუქციისა – 97,3%-ს (2009 წელს იყო 88,0%). მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში სოფლის მეურნეობის გაადგილებისა და სპეციალიზაციის, დარგთა შეთანაწყობისა და მათი განვითარების რეგიონული ეკონომიკური და ტექნოლოგიური პრობლემების ირგვლივ ათეული წლების განმავლობაში მრავალი მეცნიერული და გამოყენებითი ხასიათის სამუშაო შესრულდა, ამჟამად ამ საკითხებისადმი მიდგომა ახლებურ ხედვასა და გადაწყვეტას მოითხოვს. ამასთან, ადგილობრივ ბუნებრივ-ეკონომიკურ პირობებთან ერთად, გასათვალისწინებულია ორი ძირითადი ამოსავალი კრიტერიუმი: საბაზრო ურთიერთობებისთვის დამახასიათებელი და ეტაპობრივად ცვალებადი ქვეყნის შიგა და გარე მარკეტინგული მოტივაციები, მოთხოვნები, სტრატეგია. დროის მოთხოვნაა, რომ აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტა ეყრდნობოდეს ახლებურ და პროგრესულ მეთოდოლოგიურ და ინფორმაციულ ტექნოლოგიებს, რამაც უტყუარი საყრდენი ბაზა უნდა შექმნას ქვეყნის მასშტაბით სოფლის მეურნეობის სტრატეგიული პროგრამის შემუშავებისათვის.

გასათვალისწინებელია სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოვლა-მოყვანის მიკროზონალური ტრადიციები და დაგროვილი გამოცდილება, შრომის საზოგადოებრივ დანაწილებაში მათი როლი და მნიშვნელობა, ადგილობრივ ნიადაგურ-კლიმატურ პირობებთან ადაპტაცია, ამ პირობების ბიოლოგიური და ეკონომიკური უკუგებით გამოყენების უნარი, არსებული და მომავალში გამოსაყოფი საბაზრო სეგმენტების, ამა თუ იმ პროდუქციით გაჯერების მოთხოვნები, მათი საექსპორტოუნარიანობა, ეკონომიკური ბერკეტებისადმი მორგებულობის, შედეგიანობისა და ლავირების შესაძლებლობები და ა.შ.

ამ მოთხოვნებისა და პოზიციების გათვალისწინებით, უკანასკნელ წლებში საქართველოში პირველად დამუშავდა სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიული მარკეტინგული მოდელი, რომლის მიხედვითაც, საბაზრო მოტივაციების შესაბამისად, განისაზღვრა სოფლის

მეურნეობის რეგიონული პრიორიტეტები, დარგობრივ ჭრილში შეფასდა და დადგინდა ის ოპტიმალური ეკონომიკური პარამეტრები, რაც ეკონომიკური და სასურსათო უსაფრთხოების თვალსაზრისით, რეალურად დასაბუთებული ზღვარია ამა თუ იმ დარგისათვის, როგორც ადგილობრივი საბაზრო სეგმენტების გაჯერების, ისე მყარი საექსპორტო პოზიციების დაკავების მიზნით.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში ძირითად პრიორიტეტებად გამოიყო დიდი ტრადიციებისა და ფართო პოტენციური (როგორც ბუნებრივი, ისე ეკონომიკური) შესაძლებლობების მქონე დარგები, როგორიცაა: მევენახეობა და, ნიშანდობლივ, სამრეწველო მევენახეობა, ასევე სამრეწველო მეხილეობა, მეჩაიეობა, მეციტრუსეობა და მათ ბაზაზე მომუშავე კვების მრეწველობის დარგები.

გაიმიჯნა რეგიონული აგროსაწარმოო სივრცეები, მათთვის დამახასიათებელი დარგობრივი მოდიფიკაციებით, საიდანაც ჩანს საგარეუბნო და სამთო მიწათმოქმედებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკები, დარგთა და კულტურათა შეთანაწყობის პროპორციები, ეკონომიკური უკუგების ფარგლები. ყოველივე ეს შეესაბამება ზონალურ და მიკროზონალურ ბუნებრივ-ეკონომიკურ პირობებსა და პოტენციურ შესაძლებლობებს, საწარმოო ინფრასტრუქტურის დღევანდელ და პერსპექტიულ მოთხოვნებს.

ამ პრიორიტეტული მნიშვნელობის დარგების განვითარება შესაძლებლობას იძლევა მაღალი ეფექტიანობით გამოყენებულ იქნეს საქართველოს უნიკალური ბიოკლიმატური პოტენციალი, ამასთან, მაქსიმალურად მოხდეს მხოლოდ იმ მიკროზონალური სივრცის ათვისება, სადაც მათთვის ყველაზე ხელსაყრელი ბუნებრივი და ეკონომიკური პირობები არსებობს. ეს გლობალიზაციის პროცესში ჩართვისა და ფუნქციონირების მისაღები და რეალური ფორმაა, იმავდროულად საქართველოს სოფლის მეურნეობას უნარჩუნებს თავის სპეციალიზაციასა და თვითმყოფადობას.

ადგილობრივი პირობების შესაბამისად, ამ პრიორიტეტულ დარგებთან შეთანაწყობილი უნდა იყოს კალორიატევადი პროდუქციის მომცემი კულტურების – თავთავიანი პურეულის, სიმინდის, მარცვლეულ-პარკოსნების, ბოსტნეულის, კარტოფილის, ტექნიკური და საკვები კულტურებისა და ა.შ. მოყვანა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სპეციალიზაცია, შრომის საერთაშორისო დანაწილების როგორც დღევანდელი, ისე თვალსაწიერი პერსპექტივის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ისტორიულ-ტრადიციული მოდელიდან რადიკალურ გადახრას არ ექვემდებარება. საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიულ მარკეტინგულ მოდელში გამოიყოფა შემდეგი ძირითადი პოზიციები და მიმართულებები:

1. საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების პოზიციები. მასში ძირითადად თავსდება დიდი ტრადიციების ეროვნული ბიზნესის იმიჯის შემქმნელი ისეთი დარგები, როგორიცაა მევენახეობა და მის ბაზაზე მომუშავე მრავალპროფილიანი მეღვინეობა. ამ დარგებში შესაძლებელია საკმაოდ კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება, თუმცა, ამჟამად ისინი, შეიძლება ითქვას, ჩიხშია მოქცეული არასწორი ფასწარმოქმნის, საგადასახადო მექანიზმის, დაბეგვრის, საერთოდ კი, არამასტიმულირებელი ეკონომიკური პირობების გამო, რაც დიდ დაბრკოლებას უქმნის საქართველოს მარკეტინგულ პოლიტიკას და არასწორ ორიენტაციას აძლევს. ანლოგიური ითქმის სხვა დარგებზეც.

ადგილობრივი და ახლომდებარე საბაზრო სეგმენტების გასაჯერებლად, ფართოდ უნდა განვითარდეს მეხილეობა და მის ბაზაზე მომუშავე საკონსერვო მრეწველობა. საქართველო, მეხილეობის განვითარების დიდი ტრადიციების მქონე ისტორიის კუთვნილებად არ უნდა დარჩეს. ქვეყანაში ჩატარებული მდიდარი სელექციური მუშაობის შედეგები მეხილეობის თვისებრივად ახალ დონეზე აყვანის საშუალებას იძლევა, პროგრესული და ნაკლებნარჩენიანი ტექნოლოგიების გამოყენება კი – კონკურენტუნარიანი ხილის წარმოებისა. სხვა ქვეყნების საბაზრო სეგმენტების გასაჯერებლად, ასევე ფართოდ უნდა განვითარდეს მეჩაიეობა და სუბტროპიკული კულტურები და მათ ბაზაზე მომუშავე პროგრესულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ჩაისა და სუბტროპიკული ხილის გადამმუშავებელი მრეწველობა. ამ დარგების განვითარებისათვის არსებული ხელსაყრელი ნიადაგურ-კლიმატური პირობების რაციონალური გამოუყენებლობის

შემთხვევაში საქართველოში დიდი სიძნელეები შეიქმნება შიგამარკეტინგული პოზიციიდან და, რაც დიდად ანგარიშგასაწევია, მოსახლეობის სოციალური დაცვის თვალსაზრისითაც.

თვისებრივად ახალ დონეზე უნდა ავიდეს ადრეული მებოსტნეობა და მეკარტოფილეობა, რაც ამ დარგების განვითარებისათვის არსებული ძვირფასი მიკროკლიმატური პირობების რაციონალურ გამოყენებას მოითხოვს. ამავე ასპექტით სტრატეგიულ მარკეტინგულ პოზიციას წარმოადგენს სასათბურე მებოსტნეობის აღდგენა და სტაბილური განვითარება.

საგარეო-სავაჭრო ურთიერთობებში განსაკუთრებული როლი შეიძლება შეასრულოს ისეთმა დარგებმა, როგორიცაა მეფუტკრეობა და ეთერზეთების წარმოება. ანგარიშგასაწევია ის, რომ ფუტკარს, თაფლის მოცემის გარდა, გაცილებით (10-15 ჯერ) მეტი სარგებლობა მოაქვს, როგორც მცენარეთა დამტვერიანების ძლიერ ფაქტორს;

2. ლოკალური, შიგასახელმწიფოებრივი და რეგიონალ-დარგობრივი პოზიციები. აქ თავსდება მეცხოველეობა და კალორიატევადი სასოფლო-სამეურნეო კულტურები, კერძოდ: მარცვლეული, საგვიანო კარტოფილი, მზესუმზირა, შაქრის ჭარხალი, სხვა ტექნიკური კულტურები.

მეცხოველეობის დარგებიდან მეტ-ნაკლებად ყველა რეგიონში უნდა განვითარდეს მეღორეობა და მეფრინველეობა, განსაკუთრებით მეცხვარეობა მთიან რაიონებში; სატბორე მეთევზეობა და მებოცვრეობა – ლოკალურ მასშტაბებში;

3. სახელმწიფო პროგრამის პოზიციები. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშნელობა აქვს მარცვლეული მეურნეობის განვითარებას. მარკეტინგული სტრატეგიის გათვალისწინებით, სასურსათო მარცვლეული კულტურების (ხორბალი, სიმინდი) მოყვანა მეტ-ნაკლები მასშტაბით თითქმის ყველა რეგიონში შეიძლება, თუმცა, ამის რეგულირებას ახდენს ისტორიულად ჩამოყალიბებული ობიექტური ფაქტორები, რომელთა შესაბამისად აღმოსავლეთ საქართველოში უპირატესად იწარმოება ხორბლეული, ხოლო დასავლეთში – სიმინდი. ეს გარემოება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მარკეტინგულ ბადეზე და საბაზრო უზრუნველყოფაზე.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მრავალდარგოვანი სტრუქტურა (რაც ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების გავლენით არის ჩამოყალიბებული) საშუალებას არ იძლევა სასურსათო და საფურაჟე მარცვლეული ვაწარმოოთ იმ მოცულობით, რომ მაქსიმალურად დაკმაყოფილდეს როგორც საქართველოს მოსახლეობის, ისე უცხოელი ტურისტების მოთხოვნა.

საქართველოს ამჟამად ძირითადი სასურსათო პროდუქციით თვითუზრუნველყოფა არ შეუძლია. ეს განსაკუთრებით ითქმის ხორბალზე. სამომავლოდ კი, თუ დაინერგება თანამედროვე ტექნოლოგიები, გათვალისწინებული იქნება სელექციისა და გენეტიკის მიღწევები და ამის საფუძველზე გაიზრდება მოსავლიანობა, საქართველო შეძლებს საკუთარი წარმოებით ძირითადად დააკმაყოფილოს მარცვლეულზე შიგა მოთხოვნა. მაგრამ, ეს ჯერ-ჯერობით ილუზიაა და თეორიულ ჩარჩოებს არ სცილდება, რეალობა კი სულ სხვაა. ამიტომ არ უნდა გაგვიტაცოს მარცლეულით თვითდაკმაყოფილების მაცდურმა კონცეფციამ და პრაქტიკული თვალსაზრისით აქცენტი უნდა გაკეთდეს იმ გზაზე, რომელსაც თვით ბუნება გვთავაზობს, რაც იმას ნიშნავს, რომ აგრობიოლოგიურად ვარგისი სავენახე ფართობები უნდა დაიკავოს მხოლოდ ვენახმა; სახეხილე ფართობები – ხეხილოვანმა კულტურებმა, თესლოვნებმა, კურკოვნებმა, კაკლოვნებმა, კენკროვნებმა; ჩაისა და სუბტროპიკული კულტურებისათვის ვარგისი ფართობები – თვით ამ კულტურებმა; საბოსტნე-საბაღჩე – ბოსტნეულ-ბაღჩეულმა; საკარტოფილე – კარტოფილმა; საბალახე – სათიბ-საძოვრებმა და ა.შ. სასოფლო-სამეურნეო კულტურების ასეთი განლაგება ბუნების დაუწერელი კანონია და თუ ამ წესრიგს მივყვებით, მას ზედმიწევნით მოერგება და შეეთანაწყობა არსებული შრომითი პოტენციალი და საწარმოო ინფრასტრუქტურა;

4. საიმპორტო პოზიციებიდან გამომდინარე, საქართველოს საბაზრო სეგმენტები მოსახლეობის მოთხოვნის შესაბამისად რომ გაჯერდეს, აუცილებელი იქნება ისეთი ძირითადი სასურსათო პროდუქტების იმპორტი (ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ცვალებადი მოცულობებით), როგორიცაა: მარცვლეული, ხორცი, რძე, ხორცისა და რძის პროდუქტები, მეფრინველეობის პროდუქცია და ა.შ.

5. ინფრასტრუქტურის განვითარების მხრივ, საჭიროა ხელი შეეწყოს მოქნილ საგადასახადო მექანიზმზე დაფუძნებულ სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სერვისული ტიპის საწარმოების ფუნქციონირებას, რომლებიც შებოჭილნი არ იქნებიან მოუქნელი საგადასახადო მექანიზმით.

საქართველოში მსხვილ მასშტაბებად დაიყო სპეციფიკური იმიჯის მქონე სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის შესაბამისი რეგიონმოდიფიკაციები, კერძოდ:

- თბილისის საგარეუბნო ზონა, სხვა ქალაქების საგარეუბნო ზონები;
- მევენახეობა-მეღვინეობის რაიონები;
- მეხილეობის რაიონები;
- სუბტროპიკული მიწათმოქმედების რაიონები;
- სამთო (მთიანეთის) სოფლის მეურნეობის რაიონები.

ამ რაიონებში განსხვავებულია როგორც წარმოების პოტენციური შესაძლებლობები, ისე საბაზრო სეგმენტების ფორმირების ხარისხი, ასევე, პროდუქციის საექსპორტო-საიმპორტო მასშტაბები და მათი წილი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მარკეტინგული სისტემის განვითარება და გლობალიზაციის ერთიან პროცესში ჩართვა უცილობლად უკავშირდება მენეჯმენტის განვითარებას. მიზანშეწონილია თითოეული რაიონისათვის დადგინდეს სტრატეგიული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების სავალდებული ზღვრული მოცულობები, რომლებიც მათ სახელმწიფო დაკვეთის წესით მიეცემათ. ამ პროდუქციის შესასყიდად წინასწარ იქნება განსაზღვრული შესყიდვის საგარანტიო ფასები, რაც საბაზრო ფასებს 8-10%-ზე მეტად არ უნდა ჩამორჩებოდეს და პერიოდულად კორექტირდებოდეს. ამასთან, ბუნებრივია თითოეული საწარმო უფლებამოსილი იქნება აწარმოოს ნებისმიერი სახისა და რაოდენობის პროდუქცია (რაც კანონით არ იკრძალება) და გაყიდოს თავისუფალ ფასებში, ნებისმიერ ადგილას და პირობებში, როგორც შიგა, ისე საგარეო ბაზარზე. ეს დიდ სტიმულს მისცემს აგრარულ სექტორს მეწარმეობის განვითარებისათვის.

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ოპტიმიზირებული მოდელით, სავარაუდოდ, უახლოეს 10 წელიწადში ვენახის მთლიანი ფართობი მიაღწევს 68,6 ათას ჰა-ს, ხეხილისა – 68,7, ხოლო ჩაისა და ციტრუსების ფართობი არსებულთან შესაბამისობაში უნდა განისაზღვროს შემდეგი ოპტიმალური პარამეტრებით: ჩაისა – 28,0, ხოლო ციტრუსებისა – 28,8 ათასი ჰექტრით (აფხაზეთის გარდა). შესაბამისად, ხილის წარმოება მიაღწევს 557,0 ათას ტონას, ყურძნისა – 521, ჩაისა – 86,2, ციტრუსისა – 256,3 ათას ტონას. საშემოდგომო ხორბლის ფართობის ოპტიმალური ზღვარია 129-136 ათასი ჰა, მოსავლისა – 347-454 ათასი ტ; სამარცვლე სიმინდისა, შესაბამისად: 220-229 ათასი ჰა და 785-973 ათასი ტ; კარტოფილისა – 42-47 ათასი ჰა და 595-742 ათასი ტ; ბოსტნეულისა – 52-55 ათასი ჰა და 604-708 ათასი ტ. რაც შეეხება მეცხოველეობას, პროგნოზული გათვლებით, ამავე პერიოდში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობამ უნდა მიაღწიოს 1410-1508, ღორის – 500-588, ცხვრის – 1022-1282 ათას სულს, ფრინველის – 10152-14168 ათას ფრთას, ფუტკრის – 240-285 ათას სკას. შესაბამისად, პროდუქციის წარმოების დონე გაუტოლდება: მსხვილფეხა პირუტყვის ხორცისა – 8391 ათას ტონას, ღორის ხორცისა – 87,7-124,6, ცხვრის ხორცისა – 7,9-10,5, ფრინველის ხორცისა – 22,7-36,8, რძისა – 1034,0-1183,6 ათას ტონას, კვერცხისა – 704-1226 მლნ ცალს. სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროგნოზული მასშტაბების მისაღწევად აუცილებელია:

- ახალი ტექნოლოგიებზე მორგებული ჯიშებისა და ჰიბრიდების გამოყვანა;
- წარმოების მართვაში რისკმენეჯმენტის ფაქტორის გათვალისწინება;
- სელექციისა და მეთესლეობის გაუმჯობესება;
- სარგავი მასალის წარმოების ტექნიკური ბაზის გადაიარაღება;
- მცენარეთა დაცვის ინტეგრირებული სისტემის შექმნა;
- არსებული სარწყავი სისტემებისა და მცირე ქსელების განახლება;

- მინიინტეგრირებული საწარმოების შექმნა;
- სახელმწიფო შესყიდვების მექანიზმის ამოქმედება;
- საბაზრო სეგმენტების სწორად შერჩევა და პროდუქციით ბაზრის გაჯერების სტაბილურობის მიღწევა.

სტრატეგიული მოტივაციების რეალიზაციით საქართველოს შეუძლია სოფლის მეურნეობის განვითარებით ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანა გახდეს. ეს რომ რეალობად იქცეს, აუცილებელია სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიური განვითარება, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება. ასეთი მიდგომებისა და მათი პრაქტიკული რეალიზაციის გარეშე: გამოუყენებელი დარჩება არსებული ბუნებრივ-ეკონომიკური პოტენციალი; არ მოხერხდება აგრარული ბაზრის შექმნა, მისი შიგა და საგარეო სეგმენტური მოთხოვნების რეგულირება; არ გადაწყდება სასურსათო და სოციალური უსაფრთხოების პრობლემები; არ დარეგულირდება მწვავე დემოგრაფიული ვითარება, რასაც უაღრესად დიდი ეროვნული დატვირთვა აქვს.

ამჟამად მსოფლიოში სოფლის მეურნეობის გენეტიკისა და სელექციის მიღწევები იმდენად დიდი და შთამბეჭდავია, რომ ზოგჯერ თვით მეცნიერთა განცვიფრებასაც კი იწვევს. სწორედ ამის შედეგი იყო ჰეტეროზისის ძალის გამოვლენა და ამ გზით სამხრეთ ამერიკაში ე.წ. მწვანე რევოლუციის დაწყება. ეს, დიდი ხნით წინათ იყო. ამის შემდეგ ამ სფეროში უდიდესი მიღწევები მოხდა. მიუხედავად ამისა, ჰიბრიდიზაციის პროცესი სრულყოფილ სტაბილურ სისტემას ვერ ქმნის და დროდადრო მეცნიერებს საჭირო კორექტივების შეტანა უწევთ ტექნოლოგიურ კომპლექსში. ამასთან, ჰიბრიდული უნარი ყოველთვის თანაბარი ძალით ვერც ვლინდება. იგი შეიძლება კარგად მოერგოს ამა თუ იმ მიკროკლიმატურ პირობებს და საერთოდ ვერ მოერგოს და არც ივარგოს სხვა გეოგრაფიულ სარტყელში.

ამიტომაც ნებისმიერ ქვეყანაში სოფლის მეურნეობის ძირითადი საყრდენი ძალა ადგილობრივი, აბორიგენული, საუკუნეებში გამოვლილ-გამობრძმედილი, ნიადაგურ-კლიმატურ პირობებს არა მარტო შეგუებული, არამედ მასთან „შესისხლხორცებული" ჯიშებია. საუკუნეების მანძილზე შექმნილი გენეტიკური ძალის ერთი ხელის დაკვრით მოსპობა კი წარმოუდგენელია, მის შეცვლასა და სრულყოფას ასევე ხანგრძლივი ევოლუციური პროცესის გავლა სჭირდება.

საქართველოში არსებული ხორბლის, ვაზის, ხეხილის უნიკალური, აბორიგენული ჯიშების ხელაღებით კულტივირება სხვა ქვეყნებში, ისევე როგორც გამოყვანილი უცხოური ჯიშების საქართველოში შემოტანა, ვერ მოერგება ქვეყნის მთიან და უნიკალურ მიკროზონალურ სივრცეს, მკვეთრად განსხვავებულ და ცვალებად ბუნებრივ პირობებსა და, რაც არანაკლებ საყურადღებოა, მოსახლეობის ეთნოლოგიურ სპეციფიკას, ადათ-წესებს, სოციალურ კულტურას. თუმცა ადგილობრივი, უნიკალური ჯიშების განვითარება არა თუ კრძალავს, არამედ მეცნიერულად გამართლებულიცაა, რომ მას შეეთანაწყოს ახალი, თუნდაც უცხოეთიდან შემოტანილი ისეთი ჯიშები, რომლებიც ივარგებს საქართველოს პირობებში. ეს შექმნის მრავალფეროვან ჯიშობრივ და ჰიბრიდულ სივრცეს და წარმოების ინტენსიური განვითარების ახალ შესაძლებლობებს.

საქართველოსათვის ძალზე სპეციფიკურია სამთო სოფლის მეურნეობა. მთიან რეგიონებში არსებობს მრავალმხრივი ბუნებრივ-ეკონომიკური პირობები და შესაძლებლობები სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის.

მთიანი რეგიონების განვითარება სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანაა. მას ჯერ კიდევ აკლია ყურადღება, რაც ყოველდღიურად სულ უფრო გვახსენებს თავს.

ამრიგად, დიდი ტრადიციების მქონე საქართველოს სოფლის მეურნეობის წინაშე ახალი დროის მოთხოვნების შესაბამისი პრიორიტეტული მიმართულებები ისახება, რომელთა რეალიზაციამაც უნდა უზრუნველყოს მისი მდგრადი განვითარება და ეკონომიკური ზრდა.

X თავი

ტყის მეურნეობა

საქართველოს ტყის რესურსები. ტყეს მრავალმიზნობრივი სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური ფუნქციები (წყალმარეგულირებელი, ნიადაგდაცვითი, სანიტარულ-ჰიგიენური, საკურორტო-გამაჯანსაღებელი, რეკრეაციული და ა.შ) აქვს, რომელთა სწორ რეგულირებასა და შენარჩუნება-გაძლიერებას დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ენიჭება.

საქართველოს ტყეები განლაგებულია 4 ბუნებრივ-ისტორიულ ტერიტორიაზე. ტყის ფონდის 60% განეკუთვნება შავი ზღვის აუზს, ხოლო 40% – კასპიის ზღვის აუზს. ტყის მასივების 69% განლაგებულია მთავარი კავკასიონის მთათა სისტემების ფერდობებზე (მათ შორის 1,3% ჩრდილო ფერდობებზე), 28% – მცირე კავკასიონის მთათა სისტემების ფერდობებზე, ხოლო 3% განეკუთვნება ბარის ტყეებს: 2% კოლხეთის დაბლობს, 1% – აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეების ჭალის ტყეებს.

საქართველოში ტყის აღრიცხვა სრული მასშტაბით 1990 წლიდან აღარ წარმოებს, ამიტომ ტყის რესურსების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მდგომარეობის რეალური შეფასება გაძნელებულია და ძირითადად ეყრდნობა საექსპერტო გათვლებს.[1] ამ მიზნით, ზოგიერთ შემთხვევაში, გამოყენებულია 1988 წლის ტყეთმოწყობის შემაჯამებელი, აგრეთვე 1995 და 1999 წწ.-ის რიგი დაზუსტებული მაჩვენებლებისა. 2010 წლის მონაცემებით, საქართველოს მთლიანი ტერიტორიიდან 3,0 მლნ ჰა სატყეო ფონდის მიწებია, აქედან, 2,77 მლნ ჰა ტყითაა დაფარული[2].

საქართველოს ტერიტორიის დაახლოებით 40% ტყითაა დაფარული, თუმცა, არათანაბრადაა გაადგილებული და უმთავრესად განლაგებულია სხვადასხვა დახრილობის მთის კალთებზე, ძნელად მისადგომ ხეობებსა და ა.შ, რაც არა მარტო მერქნის, არამედ სხვა სახის სარგებლობის მიღების თვალსაზრისითაც, მრავალ სიძნელეებთან არის დაკავშირებული და ართულებს მდგრადი პრინციპებით სატყეო მეურნეობისადმი წაყენებულ მოთხოვნების განხორციელებას.

საქართველოს მთელი ტყეების 98% სხვადასხვა დახრილობის მთის კალთებზე მდებარეობს. ამიტომ მაღალი დაქანების სიმკვეთრის ზრდის კვალდაკვალ მერქნითი სარგებლობის შესაძლებლობები შესამჩნევად მცირდება და მნიშვნელოვნად იზრდება მათი გარემოს დაცვითი ფუნქციები.

ვერტიკალური სიმაღლეების მიხედვით, ქვეყნის ტყეები განლაგებულია შემდეგი სახით: ზღვის დონიდან 500 მ-ის სიმაღლემდე მთელი ტყეების 7,3%; 501 მ-დან 1000 მ-მდე – 19,7%; 1001 მ-დან 1500 მ-მდე – 35,5%; 1501 მ-დან 2000 მ-მდე 30,7% და 2000 მ-ის ზევით სიმაღლეზე – 6,8% (იხ. გრაფიკი 1).

ტყეების ასეთი გეოგრაფიული გაადგილება განაპირობებს მეურნეობის წარმოების ფორმებსა და რეჟიმს. ამასთან, 1500 მ–ზე მაღლა რიგი ძვირფასი მერქნიანი სახეობების (წაბლი, წიფელი, მუხის უმეტესი სახეობები) გავრცელება წყდება ან მათი ზრდა-განვითარების ინტენსივობა, ქვედა სარტყელთან შედარებით, მკვეთრად ჩამორჩენილია.

---

[1] **გიგაური გ.** ტყეთმოწყობა. თბილისი, „განათლება", 2001, გვ. 11-14; **კანდელაკი თ.** საქართველოს ტყის რესურსების პოტენციალი. „შრომები". VI ტომი. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე", 2008, გვ. 265-282;

[2] საქართველოს ბუნებრივი რესურსები და გარემოს დაცვა. სტატისტიკური კრებული. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. თბილისი, 2011, გვ. 23.

გრაფიკი 1

საქართველოს ტყის ფართობის განაწილება ზღვის დონიდან სიმაღლის მიხედვით[3]



ქვეყნის უმეტესი რეგიონებისა და მათში შემავალი ადმინისტრაციული რაიონების ტერიტორიის საკმაოდ დიდი ნაწილი ტყით არის დაფარული, ზოგ რაიონში კი ტყეს მეტად უმნიშვნელო ფართობი უჭირავს ან სრულებით არ არის.

რეგიონული ტყიანობის ყველაზე დიდი – 65,6% მოდის აჭარაზე (ტყის დაფარული ფართობის შეფარდება რეგიონის მთლიან ტერიტორიასთან), სადაც ტყითაა დაფარული 188,96 ათასი ჰა, რაჭა-ლეჩხუმ – ქვემო სვანეთში, შესაბამისად, – 57,8% და 265,63 ათასი ჰა, აფხაზეთში – 55,7% და 479,9 ათასი ჰა, იმერეთში – 52,3% და 345,16 ათასი ჰა, სამეგროლო-ზემო სვანეთში – 40%, გურიაში – 48,6% და 98,88 ათასი ჰა. მთლიანად დასავლეთ საქართველოს ტყიანობა შეადგენს, საშუალოდ, 51,9%-ს, ხოლო ტყით დაფარული ფართობი – 1667,2 ათას ჰექტარს (იხ. გრაფიკი 2).

გრაფიკი 2

დასავლეთ საქართველოს რეგიონების ტყიანობა[4]



[3] საქართველოს სატყეო მეურნეობის აღორძინებისა და განვითარების სახელმწიფო პროგრამა. საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი. თბილისი, 1997, გვ. 11.

[4] **კანდელაკი თ.** საქართველოს მთის ტყეების რესურსული პოტენციალი და მისი გამოყენება. „საქართველოს მთიანეთის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები და მათი გადაჭრის გზები“. თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. თბილისი, 2010, გვ. 377.

აღმოსავლეთ საქართველო და მისი რეგიონები, დასავლეთ საქართველოსთან შედარებით, ნაკლებტყიანია, სადაც საშუალოტყიანობა 30,9%-ია, ტყით დაფარული ფართობი კი – 1155,2 ათასი ჰექტარი. რეგიონებიდან ყველაზე მაღალი მაჩვენებლები აქვს მცხეთა-მთიანეთს – 38,0% და 257,7 ათასი ჰა, შემდეგ მოდის: შიდა ქართლი (სამხრეთ ოსეთთან ერთად) – 38,0% და 231,50 ჰა, კახეთი – 30,6% და 347,7 ათასი ჰა, სამცხე-ჯავახეთი – 25,7% და 165,57 ათასი ჰა. რეგიონებიდან ყველაზე მცირეტყიანობით გამოირჩევა ქვემო ქართლი – 22,8% და 152,69 ათასი ჰა (იხ. გრაფიკი 3).

გრაფიკი 3

აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონების ტყიანობა[5]



საქართველოს ტყის ფონდის პროდუქტიულობა დიდად არის დამოკიდებული ტყით დაფარული ფართობის სახეობრივ შედგენილობაზე. რამდენადაც მეტია ტყით დაფარულ ფართობში მაღალპროდუქტიული ძვირფასი ტყის სახეობები, იმდენად მეტია მათი სახალხო-სამეურნეო სარგებლობა. მეცნიერული, კვლევითი და ხანგრძლივი საწარმოო დაკვირვებებით დადგენილია, რომ ასეთი ტყის სახეობები არა მარტო მერქნის მიღების თვალსაზრისით არის ეფექტიანი, არამედ ხასიათდება მაღალი ნიადაგდაცვითი, წყალშენახვითი, კლიმატომარეგულირებელი და სანჰიგიენური თვისებებით.

ტყის რესურსების პოტენციალის შემაფასებელ მაჩვენებლებში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ტყით დაფარულ ფართობზე სახეობრივ სტრუქტურას. მართალია, ხე-ტყის გადამმუშავებელი მრეწველობის განვითარებამ მნიშვნელოვნად შეამცირა სხვადასხვა სახეობის მერქანზე წაყენებული მოთხოვნები, მაგრამ სამრეწველო გამოყენების მიმართულებების ხასიათი მაინც განსაზღვრავს ამა თუ იმ სახეობის მერქნის მეურნეობრივ მნიშვნელობას. ამ მხრივ, სასურველი სტრუქტურით გამოირჩევა საქართველოს ტყეები, სადაც წამყვანი ადგილი უკავია ისეთ ძვირფას სახეობას, როგორიცაა წიფელი. ამავე დროს, ქვეყნისა და რაიონის ტყიანობის მაღალი წილი ზოგიერთ შემთხვევაში არ შეესატყვისება მოცემული ეკონომიკური რაიონის მერქნით უზრუნველყოფის პრობლემას. ეს დამოკიდებულია რეგიონში მერქნის მოხმარების სიდიდეზე და, რაც მთვარია, ადგილობრივი ტყეების დანიშნულებაზე. ტყის სხვადასხვა სახეობის კორომები ერთი და იგივე ნიადაგობრივ და კლიმატურ პირობებში, სახეობათა ბიოეკოლოგიურ თავისებურებათა გამო, ფართობის ერთეულზე სხვადასხვა პროდუქტიულობით ხასიათდება.

საქართველოს რეგიონების მიხედვით ტყის ფონდის შესახებ წარმოდგენას იძლევა გრაფიკი 4.

---

[5] **კანდელაკი თ.** საქართველოს მთის ტყეების რესურსული პოტენციალი და მისი გამოყენება. „საქართველოს მთიანეთის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები და მათი გადაჭრის გზები“. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. თბილისი, 2010, გვ. 377.

საქართველოს ტყის ფონდი რეგიონების მიხედვით, ათასი ჰექტარი[6]



განსაკუთრებული ფიზიკურ–გეოგრაფიული მდებარეობა, მრავალფეროვანი კლიმატური პირობების, სხვადასხვა გენეზისის ფიტოლანდშაფტების შესაყარზე არსებობა განაპირობებს მცენარეული საფარის, მათ შორის ტყეების შემადგენელი მერქნიანი სახეობების იშვიათ მრავალფეროვნებას. ტყეებში ბუნებრივად გავრცელებული 400-მდე მერქნიანი სახეობიდან 61 საქართველოს, ხოლო 43 კავკასიის ენდემია. ტყეებში წარმოდგენილია წიწვოვანი და ფოთლოვანი, მარადმწვანე და ფოთოლმცვენი მერქნიანი სახეობები, მიწაზე გართხმული ბუჩქები და გიგანტი ხეები (60 მეტრამდე სიმაღლის და 2 მეტრამდე დიამეტრის), ლიანები, პარაზიტი მცენარეები და სხვ. ტყეებში უხვადაა სხვადასხვა სახეობის სოკოები, ველური ხილი და კენკრა, სამკურნალო და ტექნიკური ნედლეულის მომცემი მცენარეები, ძვირფასი სამასალე მერქნიანი და სარეზონანსო სახეობები. საქართველოს ტყეებში წიწვოვანებს უჭირავს 16,0%, მაგარმერქნიან ფოთლოვანებს – 67,6%, რბილმერქნიან ფოთლოვანებს 6,6% და სხვა სახეობას – 9,8%. უკანასკნელი 10–12 წლის განმავლობაში საქართველოს ტყეებში მიმდინარე სახეობათა ცვლა დაუზუსტებელია, თუმცა, სატყეო მეურნეობის გადაუდებელ ამოცანად რჩება გაზარდოს ქვეყნის ტყეებში მაღალპროდუქტიული, სწრაფმზარდი, ძვირფასი ტყის სახეობების ხვედრითი წონა.

მსოფლიო ბანკის ექსპერტთა შეფასებით, ევროპაში იშვიათად მოიძებნება ისეთი ქვეყანა, სადაც განუმეორებელი სილამაზის ბუნებრივ ლანდშაფტებს ასე საოცრად ენაცვლებოდეს ძველი კულტურული ლანდშაფტები[7].

საქართველოს ტყეებში იზრდება ზომიერი ჰავის ზონისთვის ფენომენად მიჩნეული ისეთი სწრაფმზარდი და გიგანტური ზომის მერქნიანი სახეობა, როგორიცაა კავკასიური (ნორდმანის) სოჭი, რომელიც სიმაღლეში იზრდება 65–70 მეტრამდე, სიმსხოზე – 2,0-2,5 მეტრამდე. იშვიათობა არ არის სოჭის ისეთი ხელუხლებელი ტყეები, რომლებიც 1500–2000 კბმ–მდე მერქანს იძლევა ყოველ ჰა-ზე. ასევე აღსანიშნავია აღმოსავლეთის წიფელი, რომელიც აღწევს 40-50 მ-მდე სიმაღლეში და 1,5-2,0 მ-მდე სიმსხოზე. ძვირფასია აქ გავრცელებული წაბლის, მუხის, ნეკერჩხლის, ძელქვის, კაკლის, ბზის და სხვა ხე-მცენარეთა მერქანი (იხ. გრაფიკი 5).

მაღლა მთაში და ძნელად მისადგომ ხეობებში შემორჩენილია თითქმის ხელუხლებელი ტყეების მასივები (მათი საერთო ფართობი საქართველოში 565,6 ათას ჰა-მდე აღწევს), რომლებიც სახეობათა უნიკალური კომპლექსების თვითნაბადი სახით შენარჩუნების უკა-

[6] საქართველოს ბუნებრივი რესურსები და გარემოს დაცვა. სტატისტიკური კრებული. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი. თბილისი, 2006, გვ. 25.

[7] საქართველოს სატყეო მეურნეობის განვითარების სტრატეგია. საქართველოს გარემოს დაცვის სამოქმედო ეროვნული გეგმა. თბილისი, ვაშინგტონი, 1997, გვ. 5-6.

ნასკნელი იმედია და წარმოადგენს საკმაოდ დიდ იშვიათობას ურბანიზებული ევროპის მრავალი ქვეყნისთვის.[8]

გრაფიკი 5

საქართველოში ტყის შემქმნელი ძირითადი მერქნიანი სახეობების ფართობისა და მარაგის განაწილების პროცენტული მაჩვენებლები[9]



საქართველოს ტყეები (განსაკუთრებით კოლხეთში) გამყინვარებამდელი ფლორისა და ფაუნის წარმომადგენლების (ე.წ. რელიქტების) საკმაოდ პოპულარული თავშესაფარია (რეფუგიუმი) ჩრდილოეთ ნახევარსფეროში და ამდენად მათ აქვთ უაღრესად დიდი სამეცნიერო მნიშვნელობა: ერთადერთია ის რელიქტური სახეობები, რომლებიც გვაკავშირებენ უძველეს გეოლოგიურ ეპოქებთან და ცივილიზაციის დღევანდელ დონეზე მათი გაქრობა აუნაზღაურებელი დანაკარგი იქნება არა მარტო საქართველოსათვის, არამედ, საერთოდ, კაცობრიობისთვისაც.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, მთის ტყეების ექსპლუატაციის საქმეში დაშვებულმა შეცდომებმა ტყის მასივებში ხარისხოვანი სამასალე მერქნის დიდი ოდენობით ჭრა გამოიწვია, ხოლო ძირზე რჩებოდა საშეშე, ფაუტიანი და ნახევრად სამასალე ხეები, რის შედეგად შემცირდა მაღალპროდუქტიული კორომების ფართობები. აღნიშნულის შედეგია ის, რომ ტყეების განაწილება სიხშირეების (ხეთა დგომის) მიხედვით არადამაკმაყოფილებელი მაჩვენებლებით ხასიათდება. დაბალი 03-04 სიხშირის კორომებს უკავიათ – 17,4%, საშუალო 05-06 სიხშირის კორომებს – 68,2%, ხოლო მაღალი 07 და მეტი სიხშირის კორომებს – 14,4% (იხ. გრაფიკი 6).

გრაფიკი 6

კორომების განაწილება სიხშირეების მიხედვით[10]



[8] **გიგაური გ.** საქართველოს ტყეები. თბილისი, გამომცემლობა „პოლიგრაფი“, 2004. გვ. 76.
[9] **ჯოჯუა ლ.** საქართველოს ტყის ფონდი. „სატყეო მოამბე“, 2009, №2, გვ. 122.
[10] საქართველოს სატყეო მეურნეობა. საქართველოს გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სატყეო მეურნეობის დეპარტამენტი. თბილისი, 2006, გვ. 24.

მაღალი სიხშირის ტყეები მკვეთრად ადიდებს მათ მეურნეობრივ მნიშვნელობას. ცნობილია, რომ მაღალი სიხშირის კორომები მეტი ოდენობისა და მაღალი ხარისხის მერქანს იძლევა. იგი არაპირდაპირი სარგებლობითაც გამოირჩევა. გამოკვლევებით დადგენილია, რომ 0,6 და უფრო მაღალი სიხშირის კორომები 2-3-ჯერ მეტ არაპირდაპირ სარგებლობას იძლევა, ვიდრე 0,3–0,4 სიხშირის კორომები.

საქართველოს ტყეებში მაღალი და საშუალო სიხშირეების კორომის ფართობების შემცირების შედეგად, ცალკეულ პერიოდებში, საშუალოდ 1 ჰა–ზე მცირდება საშუალო წლიური შემატებაც. თუ სახელმწიფო ტყეებში ტყის საშუალო წლიური შემატება 1 ჰა–ზე 1961 წლისათვის იყო 2,03 $მ^3$ მერქანი, 1995 წელს იგი შემცირდა 1,76 $მ^3$–მდე. 0,27 $მ^3$ მერქნის საშუალო წლიური შემატების შემცირება 1 ჰა-ზე იმას ნიშნავს, რომ საქართველოს სახელმწიფო ტყის ფონდის ტყით დაფარულ ფართობზე მერქნის ყოველწლიური წარმოება შემცირდა 607,5 ათასი $მ^3$-ით, რაც უდაოდ დიდი დანაკლისია ქვეყნის ეკონომიკისათვის.

მაღალი ბონიტეტის ტყის კორომები ხასიათდება როგორც მაღალპროდუქტიულობით, ისე მაღალი ნიადაგდაცვითი, წყალთშენახვითი, კლიმატომარეგულირებელი, სანჰიგიენური და ესთეტიკური თვისებებით. აღნიშნულის გამო, ტყეთმოწყობა ინვენტარიზაციის ჩატარებისას ცალკე გამოყოფს ტყით დაფარული ფართობის ბონიტეტის კლასებს (იხ. გრაფიკი 7).

გრაფიკი 7

კორომების განაწილება ბონიტეტის მიხედვით[11]



ტყით დაფარული ფართობების ბონიტეტის კლასებად განაწილების მაჩვენებლები იმაზე მიუთითებს, რომ სატყეო მეურნეობებმა გარკვეული მუშაობა უნდა ჩაატარონ მათი სტრუქტურის გასაუმჯობესებლად.

საქართველოს ტყეებში მეურნეობის წარმოებისა და ტყის რესურსებით სარგებლობის თვალსაზრისით, მეტად საინტერესოა ტყით დაფარული ფართობების განაწილება ხნოვანების, მწიფე და გადაბერებული კორომების მიხედვით (იხ. გრაფიკი 8).

მთლიანობაში საქართველოს ტყეების საშუალო სატაქსაციო მაჩვენებლებია: საშუალო სიმაღლე 22 მეტრი, დიამეტრი 36 სმ, ბონიტეტი III, სიხშირე – 0,54, მერქნის მარაგი 1 ჰა-ზე – 176 კბმ, მწიფე და გადაბერებული კორომები – 244 კბმ, ხოლო წიწვიანები – 288 კბმ.

ტყეების საშუალო ხნოვანება 98 და რბილმერქნიანების 38 წელია. ტყის მერქნული ამჟამინდელი მარაგები საქართველოში შეფასებულია 454515,7 ათას $მ^3$-ით (რაც გარკვეულ ეჭვს იწვევს), თუმცა, ხის წვერის გადანაჭრებისა და ტოტების ჩათვლით იგი 535 მლნ $მ^3$-ს აღემატება.

[11] საქართველოს სატყეო მეურნეობა. საქართველოს გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სატყეო მეურნეობის დეპარტამენტი. თბილისი, 2006, გვ. 25.

საქართველოში ტყით დაფარული ფართობების ხნოვანების ჯგუფების მიხედვით განაწილების სტრუქტურა[12]

(%-ობით)



ტერიტორიულ ჭრილში მერქნის მარაგების რაოდენობა მრავალ ზემოთ აღნიშნულ ფაქტორთანაა დაკავშირებული, რომელთა შორის უმთავრესია: შესაფასებელი ტერიტორიის ფართობი, კორომთა შემადგენლობა, მათი პროდუქტიულობა, სიხშირე, ხნოვანება და ა.შ. ამ მაჩვენებლების გათვალისწინებით, 1995 წლის აღრიცხვით, ფართობით გამოირჩეოდა ხაიშის სატყეო მეურნეობა – 23,07 მლნ $მ^3$, შემდგომ მოდიოდა აჟარისა და გაგრის სატყეო მეურნეობები – 16,58 და 15,31 მლნ $მ^3$, ლენტეხის – 13,54, დუშეთის – 12,89, გულრიფშის – 12,66, სოხუმის – 11,3, ონის – 10,14, ახმეტის – 11,7, ბაღდადის – 9,83 მლნ $მ^3$ და ა.შ.

2010 წლის მონაცემებით, 2,43 მლნ ჰა ტყის ფართობი სახელმწიფო ორგანოების დაქვემდებარებაშია, გრძელვადიანი სარგებლობის მიზნით 174 ათასი ჰა გაცემულია ლიცენზიანტებზე არენდის საფუძველზე. მცირეოდენი ფართობი გადაცემულია საქართველოს საპატრიარქოზე. არსებობს ისეთი ტყეებიც, რომლებიც ადრე შესული იყო საკოლმეურნეო ტყის ფონდში, მაგრამ ამჟამად ოფიციალურად მათი კონკრეტული მესაკუთრე დაუდგენელია.

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა პერიდამდე საქართველოში ტყეები ეკუთვნოდა როგორც სახელმწიფოს, ისე სოფლებს, კერძო მფლობელებს, მათ შორის, ინდივიდუალურ პირებსა და გვარებს. ოჯახური საგვარეულო ტყეები განსაკუთრებით გავრცელებული იყო მაღალმთიან ადგილებში, სადაც მოსახლეობა დღესაც აღიარებს მათ თავიანთ საკუთრებაში. სოფლის ტყეები, როგორც წესი, არ იყო დაყოფილი ცალკეულ ფართობებად და ერთობლივად გამოიყენებოდა.

საბაზრო ეკონომიკაში ტყეებზე საკუთრების სხვადასხვა ფორმა საყოველთაოდაა აღიარებული. ეს კანონზომიერება აისახა საქართველოს 1999 წლის „სატყეო კოდექსშიც“, რომელშიც, სახელმწიფო ტყეებთან ერთად, დაშვებულია ადგილობრივი, საპატრიარქო და კერძო ტყეების არსებობა, თუმცა, საკუთრების ეს ფორმები პრაქტიკულად არ იქნა რეალიზებული ტყეების განსახელმწიფოებრივების კანონის მიუღებლობის გამო.

ექსპერტული შეფასებების, არსებული მეთოდოლოგიისა და საწყისი მონაცემების საფუძველზე პირველად საქართველოში შეფასებულია ტყეების მთლიანი ღირებულება, რომელიც 83,8 მლრდ აშშ დოლარს (დაახლოებით 166 მლრდ ლარს) შეადგენს.[13] ტყეების ფუნქციების გათვალისწინებით 1 ჰექტარი სატყეო ფართობის საშუალო ღირებულება 27,9 ათას დოლარს აღემატება, რომელიც მერყეობს კორომების შემადგენლობის, დანიშნულების, გამოყენების სფეროს, საბაზრო კონიუქტურისა და სხვა ფაქტორების ზეგავლენით. მთლიან ღირებულებაში ყვე-

[12] მერქნული საწვავის მენეჯმენტი და მიწოდება სოფლად ეფექტიანი ენერგოუზრუნველყოფისათვის. TACIS პროექტი NEGE. თბილისი, სტოკჰოლმი. 1998, გვ. 6.

[13] **კანდელაკი თ.** ტყის რესურსები – რა სიმდიდრეს ფლობს საქართველო. USAID „აგროინფო“, 2008, №3, გვ. 47.

ლაზე დიდი ხვედრითი წონა – 76,4% ტყეების დაცვით ფუნქციებსა და რეკრეაციას უკავია, რაც მერქნული რესურსების პოტენციურ ღირებულებას 3,5-ჯერ აღემატება და მეტწილად მრავალ ქვეყანაში ექსპერტთა შეფასებების მაჩვენებელთა ფარგლებშია.

ტყის მერქნულ რესურსებში მაგარმერქნიან კორომებს 74% უჭირავთ, წიწვოვან კორომებს – 23,8%, ტყის მერქნიან დანარჩენ სახეობებს და ბუჩქებს, შესაბამისად, – 1,9 და 0,2%.

ცნობილია, რომ საქართველოს ტყეებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია არა მხოლოდ კავკასიაში, არამედ მსოფლიოში ნახშირბადის სეკვესტრში (შენახვაში). დადგენილია, რომ 1 ჰა ტყით დაფარული ფართობი უკეთებს სეკვესტრს ნახშირბადს, რომლის ფულადი ეკვივალენტი 750 აშშ დოლარს შეადგენს. შესაბამისად, ამ მიმართულებით ქვეყნის ტყით დაფარული ფართობის ფულადი შეფასება 2,0 მლრდ დოლარის ფარგლებშია, რაც მთლიანი ღირებულების 2,4%-ს შეადგენს.

ტყის არამერქნული რესურსების წვლილი სატყეო სექტორში უმეტეს ქვეყნებში ძალზე მნიშვნელოვანია, რის შეფასებასაც წარსულში არასათანადო ყურადღება ექცეოდა. ინდოეთის გარემოს დაცვის სამინისტროს შეფასებით, არამერქნული რესურსების ეკონომიკური შემოსავალი 1994 წელს 10 მლრდ დოლარს შეადგენდა, რაც მთლიანად სატყეო შემოსავლის დაახლოებით 40 და სატყეო სექტორში დასაქმებულთა 55%-ს შეადგენდა.

საქართველოს ტყეებში ყოველწლიურად სხვადასხვა სარგებლობის შემდეგი რესურსები წარმოიქმნება: სოკო – 4,2 ტონა, ღირებულებით – 3,15 მლნ დოლარი; თხილი, კაკალი და წაბლი – 22,4 ათასი ტონა, ღირებულებით – 11,2 მლნ დოლარი; გარეული ხილ-კენკროვნები – 157,0 ათასი ტონა, ღირებულებით – 39,2 მლნ დოლარი; სამკურნალო მცენარეები – 6,65 ათასი ტონა, ღირებულებით – 3,3 მლნ დოლარი; თესლები (ძირითადად, სოჭის) 400 ტონა, ღირებულებით – 16,0 მლნ დოლარი.

საქართველოს ტყეების პოტენციური მთლიანი ღირებულება არ არის მისგან ყოველწლიური ინდიკატური შემოსავლების მიღების ადეკვატური, რადგან მასში არ აისახება ისეთი მნიშვნელოვანი წყაროები, როგორიცაა: დაცვითი ფუნქციები და რეკრეაცია, ნახშირბადის სეკვესტრი, კვაზიპოტენციური ღირებულება. ამასთან, არ არსებობს ტყეებიდან შემოსავლების მიღების არც სწორი მენეჯმენტი და არც დარგობრივი ინსტიტუციური მოწყობა.

საქართველოს მეცნიერთა და მსოფლიო ბანკის მონაცემები ეროვნული ტყის რესურსებიდან ყოველწლიური ინდიკატური შემოსავლების მიღების შესაძლებლობის შეფასებაში თანხვედრია[14]. ეს მაჩვენებელი 32,85 მლნ დოლარია, რაც ამჟამად ყველა წყაროდან მიღებული შემოსავლების მაჩვენებელს თითქმის 10-ჯერ აღემატება. კერძოდ, არსებული კანონმდებლობის დაცვის, სწორი მენეჯმენტისა და აღრიცხვის პირობებში საქართველოში შესაძლებელია ყოველწლიურად მიღებულ იქნეს: 8,7 მლნ დოლარის საქმისი მერქანი (რაც შეადგენს მათი მთლიანი ღირებულების 0,05%-ს) და 11,5 მლნ დოლარის საშეშე მერქანი (0,05%), 1,5 მლნ დოლარის (4,8%) სოკო, 0,58 მლნ დოლარის (1,7%) თხილი, კაკალი და წაბლი, 2,9 მლნ ლარის (5,0%) გარეული ხილ-კენკროვნები, 0,08 მლნ დოლარის (0,2%) სამკურნალო მცენარეები, 0,44 მლნ დოლარის (1,3%) თესლები, ნადირობისა და თევზჭერისაგან – 2,1 მლნ დოლარი (6,3%), ტურიზმისა და ეროვნული პარკებისაგან – 2,25 მლნ დოლარი (6,8%), ძოვებიდან და სათიბებიდან – 3,75 მლნ დოლარი (11,4%).

ამჟამად საქართველოს ტყეებიდან მიიღება გაცილებით ნაკლები შემოსავლები, მათ პოტენციურ და ინდიკატურ შემოსავლებთან შედარებით. ქვეყანა მდიდარია ტყის როგორც მერქნული, ისე არამერქნული რესურსებით, რომელთა სწორ მენეჯმენტზე დაყრდნობით გამოყენებას შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ეკონომიკის განვითარებაში. ტყის სიმდიდრის უმოწყა-

[14] საქართველოს ტყეების სრული ეკონომიკური შეფასების მეთოდოლოგიის და ტყის რესურსების ფასწარმოქმნის მექანიზმის შემუშავება. მსოფლიო ბანკი. თბილისი, 2002, გვ. 47; **კანდელაკი თ.** საქართველოს ტყის რესურსების ეკონომიკური შეფასების მეთოდები, პრინციპები და ძირითადი მაჩვენებლები. „შრომები“. V ტომი. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2005, გვ. 205-221.

ლოდ გაჩანაგება, გარდა იმისა, რომ მომავალ თაობებს დატოვებს ტყის რესურსების გარეშე, ხელს შეუწყობს ეკოლოგიური კატასტროფებისა და შეუქცევადი პროცესების განვითარებას.

საქართველოს მერქნული რესურსების პოტენციალი და მოხმარება. საბჭოთა პერიოდში სატყეო სექტორის წილი საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტში 4-5 %-ის ფარგლებში იყო, ხოლო 1980-1990 წლებში წარმოებული დოვლათის ღირებულება, ცალკეული კომპონენტების მიხედვით, შეადგენდა: ხე-ტყის ნედლეულზე – 14%-ს, ხის გადამმუშავებელ მრეწველობაზე – 69%-ს, ცელულოზა-ქაღალდის წარმოებაზე – 17%-ს.

ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, სატყეო სექტორის ამჟამინდელი წილი საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტში დაბალია დამოუკიდებლობის მოპოვებამდელ პერიოდთან შედარებით და 1,1-1,3 %-ს შეადგენს (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1

სატყეო მეურნეობის წილი საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტში 1998-2008 წლებში[15]

(%-ობით)

მთლიანი შიდა პროდუქტი	**1998**	**1999**	**2000**	**2002**	**2008**
მერქანი და მისი პირველადი გადამუშავება	1,6	2,0	1,3	1,3	1,1
მერქნის სამრეწველო გადამუშავება	0,09	0,10	0,11	–	0,08
სულ	1,69	2,10	1,41	1,3	1,18

მნიშვნელოვნად შეიცვალა ტყის სტრუქტურაც, სადაც წამყვანი ადგილი (90-95%) მერქნულმა ნედლეულმა და მისი პირველადი გადამუშავების პროდუქციამ დაიკავა. მონაცემები არ შეიცავს არამერქნული სატყეო პროდუქციის ღირებულებას, რაც, ფაქტობრივად, იწარმოება, მაგრამ არ არის ასახული ოფიციალურ სტატისტიკაში ან, საერთოდ, შემოსავალში. გამონაკლისია სოჭის თესლის ექსპორტი, რომლისგანაც ყოველწლიური შემოსავალი დაახლოებით 800 ათას აშშ დოლარია. ტყის არამერქნულ პროდუქციას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საქართველოს ეკონომიკაში და აუცილებელია ამის გათვალისწინება ტყის მართვის დაგეგმვის პროცესში.

საქართველოში მერქნული რესურსების ჭრისა და გამოყენების შესახებ წარმოდგენას იძლევა გრაფიკი 9.

გრაფიკი 9

საქართველოს მერქნული რესურსები[16]



[15] საქართველოს სატყეო პოლიტიკის საფუძვლები. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო. თბილისი, 2008, გვ. 16; **კანდელაკი თ.** საქართველოს მთის ტყეების რესურსული პოტენციალი და მისი გამოყენება. „საქართველოს მთიანეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემები და მათი გადაჭრის გზები“. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. თბილისი, 2010, გვ. 402.

[16] იქვე, 403.

საქართველოს ეკონომიკისათვის მერქანს და მის პროდუქციას ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია. 1990 წლიდან 2008 წლამდე ტყის ჭრით მიღებული ხე-ტყის მოცულობა 392,8 ათასი $მ^3$-დან 818,2 ათას $მ^3$-მდე, ანუ 2-ჯერ მეტად გაიზარდა (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 2

საქართველოში ტყის ჭრით მიღებული ხე-ტყის მოცულობა, მკრივი $მ^3$ [17]

(1990-2008 წწ.-ში)

	1990	1995	2000	2005	2006	2007	2008
საქართველო, სულ	392824	289712	442140	810615	558249	805423	818231
ქ. თბილისი	6984	19192	4741	6278	8889	-	-
აფხაზეთის არ	30374	...	...	...	3651	...	...
აჭარის არ	23460	24464	44648	73007	52050	...	...
სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე	42214	22175	55923	110376	62734	72044	106282
გურიის მხარე	12970	4952	24463	56384	22820	28116	33043
იმერეთის მხარე	30908	19098	45270	103718	91031	118035	84907
რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის მხარე	43418	16509	52706	52713	29032	46081	36559
შიდა ქართლის მხარე	25300	13623	23227	52369	45875	94077	84430
მცხეთა-მთიანეთის მხარე	19098	20341	36029	68938	72288	93132	86426
კახეთის მხარე	61302	44890	61893	119479	68868	159177	184164
ქვემო ქართლის მხარე	22208	32552	20757	44100	15725	88180	82715
სამცხე-ჯავახეთის მხარე	7488	71916	72483	123253	85286	106581	119705

დამოუკიდებლობის მოპოვებამდე საქართველოში ხდებოდა მერქნის იმპორტი ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან, რომლის მთლიანი მოცულობა 2,5-2,8 მლნ $მ^3$ იყო. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საქართველოს ტყის პროდუქტებზე და, განსაკუთრებით, საწვავ მერქანზე მოთხოვნა გაიზარდა. ამასთან, მეწარმეებს შეექმნათ მორების ექსპორტის შესაძლებლობა. 1995 წელს მრგვალი მორების ექსპორტმა 1500 $მ^3$ შეადგინა. 2009-2010 წლებში ქვეყნიდან სულ ექსპორტირებულ იქნა 40 მლნ კგ მერქანი, მათ შორის, 2009 წელს – 29,5 მლნ კგ მერქანი. 2010 წელს ეს მაჩვნებელი შემცირდა 10,5 მლნ კგ-მდე, ამასთან, გაიზარდა აზერბაიჯანის (1,3%) და თურქმენეთის (3,1%) ხე-ტყის ექსპორტიორთა რიცხვი.

1990-2008 წლებში საქართველოდან ხე-ტყის ექსპორტი ძირითადად ხორციელდებოდა ირანში (37,8%), სომხეთში (26,6%), თურქეთსა (21,3%) და იტალიაში (9,7%).

საქართველოს ენერგეტიკული რესურსების მოხმარების ბალანსში მერქნის ხვედრითი წონა 1990 წელს შეადგენდა 2,8%-ს, 1995 წელს – 28,4%, ხოლო ამჟამად 37%-ის ფარგლებშია[18].

ქვეყნის საზღვრებში არსებული ტყით დაფარული ფართობებზე მერქნული რესურსების მთლიანი მარაგი 434,13 მლნ $მ^3$-ს შეადგენს, მათ შორის დაახლოებით 257,72 მლნ $მ^3$ სამასალე, ხოლო 175,17 მლნ $მ^3$ საშეშე მერქანია.

საქართველოს ტყის საშეშე მერქნის რესურსული პოტენციალის შესახებ წარმოდგენას იძლევა გრაფიკი 10.

---

[17] საქართველოს ბუნებრივი რესურსები და გარემოს დაცვა. სტატისტიკური კრებული. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი. თბილისი, 2009, გვ. 27.

[18] **კანდელაკი თ., ჩომახიძე დ.** მერქნული საწვავი საქართველოსა და მისი რეგიონების სათბობ-ენერგეტიკულ ბალანსში. „ენერგია“, 2010, №1, გვ. 53-58.

საქართველოს ტყის საშეშე მერქნის რესურსული პოტენციალი[19]



[19] **კანდელაკი თ.** საქართველოს მერქნული ენერგეტიკული პოტენციალი და მისი ეფექტიანი გამოყენება. USAID. თბილისი, 2010, გვ. 46.

საქართველოს ტყეების გარემოსდაცვითი და რეკრეაციული მნიშვნელობა. თანამედროვე მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესი გარემოს განვითარების ზოგად კანონებთან მწვავე კონფლიქტში აღმოჩნდა. მნიშვნელოვნად დაირღვა ბუნებაში ბიოლოგიური მიმოქცევის კანონზომიერებები, მიმდინარეობს ბუნების თვითგაწმენდის, თვითრეგულაციისა და თვითაღდგენის უნარის შესუსტებისა და მოშლის პროცესი. ეს კი ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევას იწვევს, არა მარტო ამა თუ იმ კონკრეტულ გარემოში, არამედ გლობალური მასშტაბითაც. ამიტომ ბუნებაში ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებასა და შემდგომში მის გაძლიერებას სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ ეკოსისტემებისათვის, არამედ კაცობრიობისთვისაც.

ბიოსფეროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი ტყის ეკოსისტემებია, რომლებიც ნიადაგის, წყლის, ჰაერის, სითბოს, მცენარეული საფარის, ცხოველთა სამყაროსა და მიკროორგანიზმების რთული ერთობლიობაა.

ტყე ხელს უწყობს გარემოს ეკოლოგიური მდგრადობის შენარჩუნებასა და რეგულირებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტყეების სოციალური, ეკოლოგიური, საერთოდ, გარემოსდაცვითი ფუნქციები, რომლებიც ძირითადად ტყის ბიოცენოზის მრავალფეროვნებით განისაზღვრება. იგი ბუნებაში ორგანული ნივთიერების უდიდესი მწარმოებელია.

საქართველოს ტყეები მრავალგვარი სოციალურ-ეკოლოგიური ფუნქციების სწორ რეგულირებას მოითხოვს. ტყეების შენარჩუნება-გაძლიერებას ისეთი მთაგორიანი ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, უდიდესი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი:[20]

ტყის კურორტოლოგიური მნიშვნელობა და გავლენა მიკროკლიმატზე. საქართველოს კურორტების დიდი უმეტესობა (ბორჯომი, აბასთუმანი, წაღვერი, ლიკანი, ბაკურიანი, ბახმარო, შოვი, საირმე, სურამი, კვერეთი, გაგრა, ახალი ათონი და სხვ.) ტყით დაფარულ ადგილებში მდებარეობს. ტყე ჰავის ფორმირების ერთ-ერთი მძლავრი ფაქტორია. მისი კურორტოლოგიური მნიშვნელობა, პირველ რიგში, ვლინდება ჰავის ელემენტების (ჰაერის ტემპერატურა, ტენიანობა, მოძრაობის სისწრაფე და სხვ.) რეგულირებაში. ამდენად, კურორტების სამკურნალო-გამაჯანსაღებელი თვისებები ბევრადაა დამოკიდებული ტყეებზე.

მედიცინაში, კერძოდ, კლიმატოთერაპიაში დიდი ყურადღება ექცევა ადამიანის ორგანიზმზე სხვადასხვა მეტეოროლოგიური ფაქტორის, განსაკუთრებით კი ჰაერის ტემპერატურის, ფარდობითი ტენიანობისა და ჰაერის მოძრაობის (ქარის) გავლენის შესწავლას. ეს გასაგებიცაა, რადგან ჰავის აღნიშნული ელემენტები მჭიდრო ურთიერთკავშირშია და ერთმანეთს აპირობებენ. ისინი პირდაპირ ზემოქმედებას ახდენენ ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. ჰაერის ტემპერატურა დიდ გავლენას ახდენს ადამიანის სითბოცვლაზე. მაღალი ტემპერატურა იწვევს სხეულის ტემპერატურის მომატებას, მაჯისცემის აჩქარებას, შრომისუნარიანობის დაქვეითებას. ამ დროს გაძნელებულია ადამიანის თერმორეგულაცია, რის გამოც ხდება სხეულის გადახურება, რაც შეიძლება სითბური დარტყმებით დამთავრდეს. ზაფხულში ტყეებისგან დაშორებულ ადგილებში მაღალი ტემპერატურის გამო მაჯისცემის სიხშირე ადამიანს წუთში, ნორმალურთან შედარებით, 4-8 და ზოგჯერ 14-18 დარტყმით მეტი აქვს.

ადამიანის ჯანმრთელობისათვის არანაკლები მნიშვნეობა აქვს ჰაერის ფარდობითი ტენიანობისა და ჰაერის მოძრაობის სისწრაფის (ქარის) რეგულირებას. ჰაერის ერთი და იგივე ტემპერატურა სხვადასხვა ტენიანობის პირობებში ადამიანის მიერ განსხვავებულად შეიგრძნობა. ჰაერის მაღალი ფარდობითი ტენიანობა გავლენას ახდენს ოფლის გამოყოფაზე, აჩქარებს მის წარმოქმნას. უკიდურესად მშრალი ჰაერი კი (20%-ზე ნაკლები) ადამიანისათვის მავნეა. იგი პირის ღრუს, ხახის, ცხვირის სიმშრალეს იწვევს. მას შეიძლება მოჰ-

[20] საქართველოს მერქნული ენერგეტიკული რესურსების პოტენციალი და მისი ეფექტიანი გამოყენება. USAID. ენერგეტიკის სექტორის შესაძლებლობის გაუმჯობესების პროექტი. I ტომი. თბილისი, 2010, გვ. 202-218.

ყველ ლორწოვან გარსთა დაცვითი და ინფექციის საწინააღმდეგო თვისებების დაქვეითება და ადამიანის დაავადება.

ადამიანის სითბორეგულაციისათვის არსებითია ჰაერის მოძრაობა (ქარი). იგი ამსუბუქებს და ხელს უწყობს ადამიანის ორგანიზმის მიერ სითბოს გაცემის პროცესს, იცავს მას გადახურებისა და სითბური დარტყმის საშიშროებისაგან. მაგრამ ჰაერის გაძლიერებული მოძრაობა, ანუ ქარის მომატებული სისწრაფე უარყოფით გავლენას ახდენს ორგანიზმის სითბოცვლაზე, სუნთქვის პროცესზე, სისხლის მიმოქცევასა და ნერვულ სისტემაზე. ქარი განსაკუთრებით უარყოფითად მოქმედებს ტუბერკულიოზით, პოდაგრით, რევმატიზმით დაავადებულებზე, აგრეთვე ნერვულ ავადმყოფებზე და სხვ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან საქართველოში უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ ბუნებრივ ფაქტორებს (გარემოს ბიომრავალფეროვნების თავისებურებათა გამოვლინებებს), რომლებიც ხელს უწყობს ჰაერის ელემენტების რეგულირებას. ტყე დიდ გავლენას ახდენს ჰაერის ტემპერატურაზე, ტენიანობაზე და ჰაერის მოძრაობის სისწრაფეზე, რომლებიც ადამიანის ორგანიზმზე პირდაპირ ზემოქმედებენ და განსაზღვრავენ მის მიერ სითბოს შეგრძნების ხარისხს.

ტყე დიდ გავლენას ახდენს აგრეთვე „ეფექტურ ტემპერატურებზე". კლიმატოთერაპიაში არსებული ეს ცნება გამოხატავს ადამიანის ორგანიზმზე ჰავის ზემოაღნიშნული სამი ელემენტის კომპლექსურ ზემოქმედებას.

დადგენილია, რომ „ეფექტური ტემპერატურების" რეგულირებაში დიდი მნიშვნელობა აქვს ტყის შედგენილობას, ფორმას, ხნოვანებას, სიხშირეს, სტრუქტურასა და სხვა მეტყევეობით ნიშნებს. მაგალითად, საშუალო (0,6-0,7) და მაღალი (0,8 და მეტი) სიხშირის ფიჭვნარში, ფიჭვნარ-ნაძვნარსა და ნაძვნარში ეფექტური ტემპერატურები თითქმის მთელი დღის განმავლობაში კომფორტის ზონაშია, ადამიანის მიერ სითბოს შეგრძნება ნორმალურია. ეს აიხსნება იმით, რომ ტყის კალთის ქვეშ ჰაერი დაბალი ტემპერატურით ხასიათდება, მზის რადიაციის სიძლიერე ტყეში გაცილებით მეტია, ვინაიდან მას ძირითადად ტყის კალთა ირეკლავს (განსაკუთრებით მისი ზემო ნაწილი) და შესაბამისად, რადიაციული ტემპერატურების არე აქაა გადატანილი. ტყის კალთის ქვეშ ადგილი არა აქვს მიწისპირის ინტენსიურ გახურებას, რის შედეგადაც ჰაერი ნაკლებად თბება და რადიაციულ ტემპერატურასა და ჰაერის ტემპერატურას შორის სხვაობა მინიმალურია.

კომფორტული ეფექტური ტემპერატურების უკეთესი მაჩვენებლებით, ფიჭვისა და ნაძვის წმინდა კორომებთან შედარებით, შერეული ფიჭვნარ-ნაძვნარი ხასიათდება. სატყეო ფართობებზე კი, პირიქით, მზის რადიაცია ძლიერია, მიწისპირის გადახურება ინტენსიურია, რადიაციულ და ჰაერის ტემპერატურებს შორის მკვეთრი სხვაობაა და ყოველივე ამის გამო ეფექტური ტემპერატურები სცილდება კომფორტის ზონას და ადამიანს სითბოს არანორმალური შეგრძნება აქვს.

საქართველოს კურორტების ახლო ზონაში გავრცელებული ტყეები წარმოდგენილია ფიჭვისა და ნაძვის, წიფლისა და მუხის და სხვა სახეობების როგორც წმინდა, ისე შერეული კორომებით. ასეთ ტყეებში, ბიოლოგიური მრავალფეროვნების უზრუნველსაყოფად, მცირე ფართობებზე საშუალო და მაღალი სიხშირის კორომებთან ერთად, წარმოდგენილია შედარებით დაბალი სიხშირის (0,3-0,4) და მეჩხერი (0,1-0,2), აგრეთვე ახალგაზრდა, შუახნის, მწიფე და მასზე უხნესი კორომები. კურორტის ახლო ზონის ტყეებში არის გარკვეული ოდენობის მცირე ზომის (0,5-1,0ჰა-მდე) ველობებიც და 20-25მ-ის დიამეტრის ყალთაღები, სადაც სხვადასხვა ამინდში, დღის გარკვეულ პერიოდში, ეფექტური ტემპერატურები კომფორტის ზონაშია მოქცეული. მათი არსებობა ტყეში გამართლებულია აგრეთვე ესტეტიკური თვალსაზრისითაც. მცირე ზომის ველობები და ყალთაღები ხშირ შემთხვევაში დაფარულია ბალახეული საფარით, ქმნის მიმზიდველ, ლამაზ პეიზაჟებს, რომლებიც კეთილმყოფელ გავლენას ახდენს ადამიანის ფსიქიკურ განწყობაზე და ამით ხელს უწყობს მისი ჯანმრთელობის გაუმჯობესებას.

ტყის სანიტარულ-ჰიგიენური მნიშვნელობა. ქალაქების, სამრეწველო ცენტრების თუ სხვა დასახლებული ადგილების სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვისა და გაუმჯობესებისათვის უდიდესი მნიშვნელობა გარემოს ბიომრავალფეროვნების და, მათ შორის, ტყის ეკოსისტემების შენარჩუნებას ენიჭება.

ცნობილია, რომ როგორც ადამიანის, ისე ყველა ცოცხალი ორგანიზმისთვის, მათ შორის მცენარეულთათვის, ატმოსფეროს აირებიდან უდიდესი სასიცოცხლო მნიშვნელობა ჟანგბადსა და ნახშიროჟანგს (CO_2) აქვს. ასევე მნიშვნელოვანია ჰაერში მტვრის ნაწილაკებისა და სხვადასხვა მავნე აირების შემცველობის უვნებელყოფა. ატმოსფეროს ჰაერი, განსაკუთრებით მისი ქვედა ფენები, სისტემატურად ბინძურდება ადამიანის ორგანიზმისათვის მავნე ქიმიური თუ მექანიკური შენარევებით. ჰაერის სანიტარულ-ჰიგიენური პირობები ძირითადად აღნიშნული ელემენტების შემცველობით განისაზღვრება. აქედან გამომდინარე, საქართველოს ტყეებს დიდი სანიტარულ-ჰიგიენური მნიშვნელობა აქვს.

ტყე და ჟანგბადი. ჟანგბადის მოხმარების ოპტიმალური ნორმა უზრუნველყოფილი რომ იქნეს, მოსახლეობის ერთ სულზე ტყის ფართობი 0,3 ჰა-ს მაინც უნდა შეადგენდეს. ადამიანის მიერ ჟანგბადის გამოყენება დამოკიდებულია მის ასაკზე, წონაზე, სქესსა და, რაც მთავარია, მისი ორგანიზმის ფიზიოლოგიურ მდგომარეობაზე. მედიცინაში ცნობილია, რომ ადამიანი მოსვენებულ მდგომარეობაში ერთ წუთში საშულოდ 0,35-0,40 ლიტრ ჟანგბადს ხარჯავს, დღე-ღამის განმავლობასი – 500-600 ლიტრს, მუშაობის დროს კი მისი მოხმარება საგრძნობლად მატულობს და წუთში 5 ლიტრამდე შეიძლება გაიზარდოს. გამოანგარიშებულია, რომ მრეწველობა წლიურად მცენარეული საფარის მიერ წარმოებული ჟანგბადის 23%-ს შთანთქავს, რაც 43 მლრდ ადამიანის სუნთქვის წლიური ნორმაა. საშუალო სიმძლავრის ავტომანქანას 900-1000 კმ მანძილის გავლისთვის სჭირდება იმდენი ჟანგბადი, რაც ერთი ადამიანის წლიური ნორმაა.

მცენარეული საფარი დიდად „მომთხოვნია“ ჟანგბადის მიმართ, რომელსაც სუნთქვისათვის იყენებს. მიუხედავად ჟანგბადის დიდი ოდენობით ხარჯვისა, ბუნებაში მისი შემცველობა არსებითად მუდმივია და მხოლოდ მცირე ცვალებადობა ახასიათებს. ატმოსფეროში ჟანგბადის შემცველობის მუდმივობა აიხსნება ჰაერში მისი უდიდესი მარაგით და, რაც მთავარია, მზის რადიაციის გავლენით, მწვანე მცენარეების მიერ ფოტოსინთეზის პროცესში დიდი ოდენობით ჟანგბადის გამოყოფით.

აბასთუმნის ობსერვატორიის მიმდებარე ტყეებში გატარებული სპეციალური გამოკვლევებით დადგენილია, რომ ფიჭვის კორომები მქროლავ არომატულ ნივთიერებებს ე.წ. ალფაპინენსა და დელიმონენს (რომლებიც ადამიანის ჯანმრთელობაზე, განსაკუთრებით კი სასუნთქ ორგანოებზე კეთილმყოფელ გავლენას ახდენენ) უფრო მეტი ოდენობით გამოყოფენ, ვიდრე ნაძვნარები, რომლებიც ჯანმრთელობისათვის არასასურველ, ასევე მქროლავ ნივთიერებას ე.წ. იზოპრენს გამოყოფენ. ეს ერთი კონკრეტული ფაქტიც კი იმაზე მიუთითებს, რომ ჩვენი კურორტების ირგვლივ არსებულ ტყეებში წამყვანი ადგილი ფიჭვით გაბატონებული წმინდა თუ შერეული კორომების აღზრდა-ფორმირებას უნდა მიეკუთვნოს.

ხმელეთისა და წყლის მწვანე მცენარეულობა და მსოფლიო ოკეანეების ფიტოპლანქტონი ერთადერთ ბუნებრივ „ლაბორატორიას” წარმოადგენს, რომელიც ატმოსფეროში ჟანგბადისა და ნახშირორჟანგის ოდენობას არეგულირებს. გამოანგარიშებულია, რომ ჟანგბადის მთელი ოდენობის 50-60% ხმელეთის მცენარეულობის მიერ გამოიყოფა, ხოლო დანარჩენი – ფიტოპლანქტონის მიერ. ხმელეთის ბიოსფეროს ფოტოსინთეზის საერთო წლიური პროდუქტიულობა 2,6 X 10^{15} კილო-კალორიის ტოლია.

ცნობილია, რომ ტყე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კლიმატის ფორმირებაზე, ატმოსფეროში აირცვლაზე, ბუნებაში წყლის ბრუნვაზე და ამით ქმნის ადამიანის სიცოცხლისათვის აუცილებელ პირობებს. ყოველივე ამის საფუძველი კი ფოტოსინთეზის პროცესია, რომლის დროსაც ჟანგბადი გამოიყოფა.

ტყის მიერ გამოყოფილი ჟანგბადი უფრო მაღალი ხარისხისაა, ვიდრე ოკეანეებისა და ზღვების პლანქტონის ჟანგბადი. ტყის ჟანგბადი უფრო მეტადაა დამუხტული უარყოფითი იონებით. ეს მნიშვნელოვნად ამაღლებს ტყის სამკურნალო-გამაჯანსაღებელ თვისებებს. ექსპერიმენტულად დადასტურებულია უარყოფითი იონიზაციის კეთილმყოფელი გავლენა ადამიანის ორგანიზმზე. ფიჭვის კორომი ჰაერში უფრო მეტი ოდენობის ჟანგბადს გამოჰყოფს, ვიდრე ნაძვის. ფიჭვნარში ჟანგბადის მეტი რაოდენობა ფიჭვის ბიოლოგიური თვისებებით უნდა აიხსნას. საერთოდ, მცენარეთა ფიზიოლოგიიდან ცნობილია, რომ სინათლის მოყვარულ მცენარეებში ფოტოსინთეზის პროცესი უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს, ვიდრე ჩრდილის ამტან მცენარეებში. ჟანგბადის შემცველობის მაღალი მაჩვენებლებით ფიჭვისა და ნაძვის შერეული კორომი ხასიათდება, რაც ამ კორომის სირთულითა და საასიმილაციო მასის სიდიდით უნდა აიხსნას.

ღია, უტყეო ადგილებთან შედარებით, ჰაერში ჟანგბადის უკეთესი მაჩვენებლებით ტყეში არსებული ველობები ხასიათდება. ეს იმით უნდა აიხსნას, რომ ისინი მთლიანად ტყითაა შემოფარგლული და ფოტოსინთეზის შედეგად ტყის მიერ გამოყოფილი ჟანგბადი აქ უფრო მეტად გროვდება, ვიდრე უტყეო, დაშლილ ტერიტორიაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს საკურორტო წარმოებისას გათვალისწინებულია ისეთი სამეურნეო ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველჰყოფენ კორომების ბიომრავალფეროვნების (სახეობრივი შემადგენლობის, აღნაგობის, ხნოვანებითი სტრუქტურის, სიხშირის) და ტყეში მცირეკონტურიანი ველობების შენარჩუნებასა და ახლის შექმნის რეგულირებას.

ტყე და ჰაერის ნახშირორჟანგი. ცნობილია, რომ ნახშირორჟანგის მომატებული რაოდენობა ჰაერში ადამიანისთვის და, საერთოდ, ყველა ცოცხალი ორგანიზმისათვის მავნებელია. ჰაერში ნახშირორჟანგის მომატება ადამიანზე მრავალნაირ უარყოფით გავლენას ახდენს, იწვევს მაჯისცემის დაქვეითებას, თავის ტკივილს, გულისრევას, გულყრას და ზოგჯერ ორგანიზმის მოწამლვას. ამდენად, ამა თუ იმ ქალაქის, სამრეწველო ცენტრისა თუ ნებისმიერი დასახლებული ადგილის საჰაერო აუზის სანიტარულ-ჰიგიენური პირობების ხარისხის შეფასებისას, ძირითადი მაინც ნახშირორჟანგისა და მტვრის ნაწილაკების შემცველობის განსაზღვრაა.

ცნობილია, რომ ტექნიკის სწრაფ და მასშტაბურ განვითარებასთან დაკავშირებით, უკანასკნელ პერიოდში ატმოსფეროში ჰაერის შემადგენლობა მნიშვნელოვნად შეიცვალა. ჰაერში ნახშირორჟანგმა მოიმატა. თანამედროვე პირობებში ატმოსფეროში ყოველწლიურად დაახლოებით 20 მლრდ ტონა ნახშირორჟანგი შედის. ამასთან, ფოტოსინთეზისათვის საჭირო ნახშირორჟანგი მოდის არა მარტო ჰაერიდან, არამედ ნიადაგიდანაც, სადაც იგი შთაინთქმება ფესვების მიერ და ღეროს საშუალებით ფოთლებს მიეწოდება.

ჰაერში ნახშირორჟანგის წარმოშობის წყარო მრავალია. იგი გამოიყოფა მცენარეებისა და ცხოველების სუნთქვის დროს, სხვადასხვა ნივთიერებების წვისას, ვულკანების ამოფრქვევისას, ნიადაგში მიმდინარე ლპობისა და დაშლის პროცესების დროს, მინერალური წყაროებიდან და სხვ. ნახშირორჟანგის წარმოშობის წყარო აგრეთვე ადამიანის სუნთქვაა. გამოანგარიშებულია, რომ ადამიანი ერთი საათის განმავლობაში 22,6 ლიტრ ნახშირორჟანგს გამოჰყოფს, მაგრამ მისი წარმოშობის მთავარი წყარო მაინც მცენარეების ფესვების სუნთქვა და ნიადაგში არსებული მიკროორგანიზმების მოქმედებაა. ეს უკანასკნელი ნიადაგში მთლიან მინერალიზაციამდე შლის მცენარეულ და ცხოველურ ნარჩენებს და ხელს უწყობს თავისუფალი ნახშირორჟანგის წარმოქმნა-გამოყოფას. ამიტომ ნახშირორჟანგის გამოყოფას ხშირად „ნიადაგის სუნთქვასაც" უწოდებენ. რასაკვირველია, ჰაერში ნახშირორჟანგის შემცველობა ტყიან და უტყეო ადგილებში განსხვავებულია.

დადგენილია, რომ ტყე მნიშვნელოვანი ოდენობით შთანთქავს ჰაერის ნახშირორჟანგს და ამით დიდ როლს ასრულებს ჰაერის ნახშირორჟანგის რეგულირებაში. გამოთვლილია, რომ ერთი ჰა შერეული ტყე ერთი წლის განმავლობაში ატმოსფეროდან საშუალოდ 15

ტონა ნახშირორჟანგს შთანთქავს და გამოყოფს 13 ტონა ჟანგბადს. საქართველოს ტყეები მთლიანად (2767,4 ათასი ჰა) წლიურად შთანთქავს 41,5 მლნ ტონა ნახშირორჟანგს და გამოყოფს 36,0 მლნ ტონა ჟანგბადს. ერთი ჰექტარი მწვანე ნარგაობა ერთი საათის განმავლობაში იმდენ ნახშირორჟანგს შთანთქავს, რამდენსაც 200 ადამიანი ამავე პერიოდში ამოისუნთქავს.

ჰაერში ნახშირორჟანგის შემცველობის განსხვავებული ოდენობით ხასიათდება სხვადასხვა სიხშირის კორომი. დღისით, მზიან ამინდში ნახშირორჟანგის კონცენტრაცია ჰაერში დაბალი (0,3-0,4) სიხშირის კორომში უფრო მეტია, ვიდრე მაღალი სიხშირის (0,7-0,8) კორომში. ტყეში მიწის პირთან (0,2-0,3მ სიმაღლე), ჩვეულებრივ, ნახშირორჟანგის დიდი რაოდენობაა, რაც ტყის ნიადაგის ინტენსიური სუნთქვის შედეგია. ამასთან, იგი შედარებით მძიმე აირია, ძნელად დიფუზირდება და ამიტომ მიწის პირთან იყრის თავს.

ტყე და ჰაერის მტვერი. კაცობრიობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჰაერში მტვრის კონცენტრაციის შემცველობის შემცირებას. ატმოსფეროს მტვერი, წარმოშობის თვალსაზრისით, სხვადასხვაგვარია. უმეტესად გვხვდება კვამლის, მიწისა და ორგანული წარმოშობის მტვერი. იგი შედგება მიწის უმცირესი ნაწილაკებისაგან, სამრეწველო-სატრანსპორტო წარმოების ნარჩენებისგან, მიკროორგანიზმების უმცირესი ნაწილაკებისაგან და სხვ. მტვრის ხანგრძლივი ზემოქმედების გამო ადამიანის სასუნთქი ორგანოები ქრონიკულად ავადდება. ადამიანი დღის და ღამის განმავლობაში ჰაერის დიდ რაოდენობას (დაახლოებით 20 $მ^3$) ისუნთქავს და თუ ეს ჰაერი მტვრიანია, მის სასუნთქ ორგანოებში უამრავი მტვერი ხვდება, რაც შემდგომში მრავალი დაავადების გამომწვევი ხდება.

მტვრის ნაწილაკი, რომელიც ფილტვებში ხვდება, ფილტვების სხვადასხვაგვარ დაავადებას იწვევს. მტვერი ხელს უწყობს პათოგენური მიკროორგანიზმების გავრცელებას. მან შეიძლება გამოიწვიოს ორგანიზმის მოწამვლა, ცხვირის ლორწოს ატროფია, ეროზია, ასთმა და მრავალი სხვა დაავადება.

მტვერი ადამიანის ჯანმრთელობაზე არაპირდაპირ გავლენასაც ახდენს, საგძნობლად ამცირებს მზის ულტრაიისფერი რადიაციის ინტენსივობას, ჰაერის გამჭვირვალობას, მიწისპირას გამოსხივების სიდიდეს, ცვლის იონიზაციის ხასიათსა და ხარისხს და ა.შ. ამიტომ გასაგებია თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჰაერის გამტვერიანების წინააღმდეგ ბრძოლას.

ჰაერის გამტვერიანებასთან ბრძოლის მრავალრიცხოვან საშუალებათა შორის ტყეს განსაკუთრებული ადგილი უკავია. იგი მტვრისაგან ჰაერის გამწმენდი ძლიერი ფილტრია. გამოანგარიშებულია, რომ ერთი ჰექტარი ტყე წლის განმავლობაში 50-70 ტონა მტვერს ფილტრავს. მაგალითად, ერთი ჰექტარი ნაძვის კორომის საბურველი ყოველწლიურად ფილტრავს 32 ტონა მტვერს, ფიჭვის კორომი – 36 ტონას, მუხის კორომი – 56 ტონას და წიფლის კორომი – 68 ტონას. ამ მონაცემების მიხედვით თუ ვიანგარიშებთ, საქართველოს ნაძვნარები ყოველწლიურად დაახლოებით 4,2 მლნ ტონა ჰაერის მტვერს ფილტრავენ, ფიჭვნარები – 3,2 მლნ ტონას, სოჭნარები – 6,8 მლნ ტონას, მუხნარები – 12,2 მლნ ტონას, ხოლო წიფლნარები – 70,6 მლნ ტონას. საქართველოს ტყეები მთლიანად ყოველწლიურად დაახლოებით 180-190 მლნ ტონამდე ჰაერის მტვერს ფილტრავს.

ტყის ესთეტიკური მნიშვნელობა. ადამიანზე მოქმედ გარემო ფაქტორებს განეკუთვნება ამა თუ იმ კონკრეტული არეალისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი ლანდშაფტები. მათი ურთიერთშეხამება, სილამაზე, მიმზიდველობა და ნაირგვარობა ადამიანის ფსიქიკურ მდგომარეობაზე დადებით გავლენას ახდენს, იწვევს დაქვეითებული შრომისუნარიანობის აღდგენასა და სულიერი მდგომარეობის საგრძნობლად გაუმჯობესებას.

ადამიანზე კეთილმოქმედ ლანდშაფტებს, გარემოს სხვა ფაქტორებთან ერთად, მცენარეული საფარი, მათ შორის ტყე ქმნის თავისი ბიომრავალფეროვნების ფართო სპექტრის წყალობით. ტყის ესთეტიკური მნიშვნელობა განსაკუთრებულია ქალაქების, სამრეწველო

ცენტრების, კურორტებისა და სხვა დასახლებული ადგილების ახლო ზონებისათვის, სადაც თავს იყრის ადამიანთა დიდი რაოდენობა. პრაქტიკიდან კარგად არის ცნობილი, რომ ტყის ლანდშაფტი პოზიტიურ გავლენას ახდენს ადამიანის სულიერ მდგომარეობაზე, ემოციასა და განწყობაზე. საქართველოს ტყის ლანდშაფტების სპეციფიკურობა ისიცაა, რომ ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების გამო (რელიეფის დასერილობა, სხვადასხვა სიმაღლის მთათა სისტემები და სხვ.) ადამიანს საშუალება აქვს შეიგრძნოს როგორც ახლო, ისე შორეული ზონის ტყის მიმზიდველი და ბიოლოგიურად მრავალფეროვანი პეიზაჟები.

საქართველოს ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების ირგვლივ არსებული მწვანე ზონისა და საკურორტო მნიშვნელობის ტყეებში ადამიანის ესთეტიკურ მოთხოვნილებებს უპასუხებს კორომთა სახეობრივი შედგენილობა, ხნოვანება, სიხშირე, აღნაგობა და სხვ. ეფექტურია მერქნიან სახეობათა ფერების ურთიერთშეხება. წმინდა კორომები, როგორც წიწვოვანი, ისე ფოთლოვანი, ერთფეროვან სურათს ქმნის, რომელიც ადამიანს მალე სწყინდება და შეიძლება აღიზიანებდეს კიდეც, მაშინ, როცა წიწვოვანი და ფოთლოვანი კორომების ოპტიმალური შეხამება პეიზაჟს მიმზიდველს ხდის, განსაკუთრებით გაზაფხულსა და შემოდგომაზე, როდესაც ხეებისა და ბუჩქების ფოთლების სხვადასხვაგვარი შეფერილობაა.

ტყე და ბიოსფეროს ტექნოგენური დაბინძურება. დღევანდელობის ერთ-ერთი საჭირბოროტო პრობლემაა გარემოს ტექნოგენური დაბინძურება და მის წინააღმდეგ ბრძოლა. ტექნოგენიზაციის უდიდესმა მასშტაბებმა ბუნებაში უამრავი მავნე ქიმიური ნივთიერების დაგროვება გამოიწვია. დაბინძურებულია ჰაერი, წყალი, ნიადაგი. სხვადასხვა ქიმიური ნაერთებით გარემოს დაბინძურებამ ისეთ დონეს მიაღწია, რომ ცოცხალ სამყაროს, მათ შორის ტყეების არსებობას დედამიწის რიგ რეგიონებში საფრთხე შეექმნა.

აღსანიშნავია, რომ ტყეების მდგომარეობის გაუარესება ყველგან დაახლოებით ერთსა და იმავე დროს, განსაკუთრებით XX საუკუნის 60-იან წლების მეორე ნახევრიდან დაიწყო. ლიტერატურაში გაჩნდა ცნობები იმის შესახებ, რომ დედამიწის ცალკეულ რეგიონებში შეიმჩნევა ტყეების მასობრივად ხმობის ან მათი სასიცოცხლო უნარის მკვეთრად დაქვეითების პროცესი. სპეციალისტთა აზრით, ტყეების დეგრადაციის პროცესი, რომელსაც ამჟამად თითქმის ყველა კონტინენტზე აქვს ადგილი, მხოლოდ ერთი რომელიმე ფაქტორით კი არ განისაზღვრება, არამედ ფაქტორთა მთელი კომპლექსით, რომელშიც მთავარ როლს ანთროპოგენური მიზეზები ასრულებს.

აღსანიშნავია, რომ ექსპერიმენტებით გამოვლენილი იქნა მცენარეთა ზოგიერთი ისეთი სახეობა, რომელთაც ჰაერში გამონაბოლქვი მავნე აირების გარდაქმნა-გაუვნებლების (დეტოქსიკაციის) უნარი აქვს. მავნე აირისადმი მათი მდგრადობის ხარისხი მაღალია. მაგალითად, ფშატი, იფანი, აკაცია, მუხა, ჭადარი, ნეკერჩხალი, ტირიფი, გლედიჩია ატმოსფეროში გამონაბოლქვი მავნე აირების მიმართ უფრო გამძლე, ე.ი. ბიოლოგიურად უფრო მდგრადია, ვიდრე სოსნოვსკის ფიჭვი, შავი და ელდარის ფიჭვი, რომლებიც ვერ უძლებენ მავნე აირებით ატმოსფეროს დაბინძურებას, ვერ გარდაქმნიან მათ და ამიტომ გარკვეულ ზიანს განიცდიან.

ტყის სანიტარიულ-ჰიგიენური როლი გამოიხატება აგრეთვე ე.წ. ფიტონციდების, მქროლავი არომატულ-ეთეროვანი ნივთიერებების გამოყოფასა და იონიზირებული ჟანგბადით ჰაერის გამდიდრებაში. თითქმის ყველა მერქნიანი მცენარე, მეტ-ნაკლებად ახდენს ფიტონციდების პროდუცირებას. მაგალითად, ერთი ჰექტარი ფიჭვის კორომი დღე-ღამეში გამოყოფს 3-5 კგ-ს, სავეგეტაციო პერიოდში კი – 650-დან 1100კგ-მდე ფიტონციდს, არყის კორომი – 2-3 კგ-ს (შესაბამისად, 430-დან 650კგ-მდე), ღვიის კორომი – 30კგ-მდე (6600კგ). ამასთან, დადგენილია, რომ წიწვოვანთა მიერ გამოყოფილი ფიტონციდები ანტიმიკრობული მოქმედების ფართო სპექტრით ხასიათდებიან – ახშობენ ან ძლიერ ზღუდავენ მრავალი სახეობის მიკრობისა თუ ვირუსის ზრდასა და განვითარებას, რითაც მნიშვნელოვნად ხელს უწყობენ გარემოს სანიტარიულ-ჰიგიენური თვისებების გაუმჯობესებას. საყურად-

ღებია, რომ ამ თვისებებს ისინი ინარჩუნებენ მთელი სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში.

ერთი ჰექტარი ფიჭვის კორომი სავეგეტაციო პერიოდში გამოყოფს 400-450კგ არომატულ ნახშირწყალბადს, არყის კორომი – 200-320კგ-ს და ა.შ. ამის შედეგად ჰაერი ტყის საბურველის ქვეშ ანტიმიკრობულ თვისებებს იძენს, რაც პათოგენური ბაქტერიების დათრგუნვასა და მიკრობების რიცხოვნობის შემცირებაში ვლინდება. ტყეში ერთი m^3 ჰაერი საშუალოდ შეიცავს 500-მდე პათოგენურ ბაქტერიას, ქალაქში კი – 36 ათასს. გამოანგარიშებულია, რომ ხმელეთის მცენარეულობა ყოველწლიურად 175 მლნ ტონა არომატულ ეთეროვან ზეთებს გამოჰყოფს. მოყვანილი მონაცემები მიუთითებენ, რომ ფიტონციდები, მქროლავი არომატული ეთერზეთოვანი ნივთიერებები, უარყოფითი იონები და სხვ. მნიშვნელოვან მონაწილეობას ღებულობენ ორგანული ნივთიერების ბიოლოგიურ ბრუნვა-მიმოქცევაში.

ასევე მნიშვნელოვანია ადამიანისათვის ტყის მიერ სხვადასხვა ხმაურის შთანთქმის უნარი. ნაირგვარი შედგენილობის, აღნაგობის, ხნოვანების, სიხშირის ტყეებს ეს უნარი სხვადასხვანაირი აქვთ. შერეული შედგენილობის, რთული (მრავალსართულიანი) აღნაგობის, ნაირხნოვანი, მაღალი სიხშირის კორომები ხასიათდებიან ხმაურის შთანთქმის მაღალი მაჩვენებლებით. მაგალითად, ხმაურის წყაროდან (საავტომობილო გზა) 80-100 მ-ის დაშორებით, მაღალი სიხშირის (0,8) კორომში, სადაც ქვეტყე და მოზარდიც არის, ხმაურის გავლენა 30-მდე დეციბალით მცირდება.

მაშასადამე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ტყე თავისი ბიომრავალფეროვნების ფართო სპექტრით, გარემოს სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესების ერთ-ერთი ძლიერი ბუნებრივი ფაქტორია. ამიტომაც მას სამართლიანად უწოდებენ სიცოცხლის „მწვანე ფილტვებს". იგი მართლაც არის ჰაერის და წყლის მავნე მინარევებისაგან გამწმენდი მძლავრი „ფილტვები", ახასიათებს ანტიმიკრობული, ჰაერის იონიზაციისა და სტერილიზაციის თვისებები, დიდი რაოდენობით გამოყოფს ჟანგბადს და შთანთქავს ნახშირორჟანგს, არეგულირებს მიკროკლიმატს და ა.შ. ყოველივე ამით კი იგი აჯანსაღებს გარემოს და კეთილმყოფელ გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე.

ტყის წყალმარეგულირებელი და ნიადაგდაცვითი როლი. ცნობილია, რომ ხმელეთის ზედაპირზე მოხვედრილი ატმოსფერული ნალექების ერთი ნაწილი ორთქლდება და ისევ ატმოსფეროში ბრუნდება, მეორე კი ნიადაგში იჟონება, ხოლო მესამე ნაწილი, რომელიც ვერ ასწრებს აორთქლებას და ნიადაგის სიღრმეში ჩაჟონვას, დედამიწის ზედაპირზე მიედინება და რეცხავს მას. ზედაპირული ჩამონადენი წყალი მავნეა, ხოლო ნიადაგში ჩაჟონილი – სასარგებლო, ვინაიდან იგი გვევლინება წყაროდ, რომელიც მთელი წლის განმავლობაში თანაბრად კვებავს მდინარეს. რაც უფრო მეტია ნიადაგის სიღრმეში წყლის ჩაჟონვა, მით უფრო ნაკლებია ნიადაგის ზედაპირული ჩამონადენი, შესაბამისად, წყალდიდობა და ნიადაგის წყლისმიერი ეროზია.

ტყეების წყალმარეგულირებელ თვისებებს ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა აქვს. ტყეები წყალშემნახავ და დაცვით ფუნქციებსაც ასრულებს. განსაკუთრებით დიდია მთის ტყეების ბიომრავალფეროვნების როლი წყლისა და ნიადაგის დაცვის საქმეში. ისინი აზომიერებენ მდინარეთა წყლის რეჟიმს, ე.ი. გაზაფხულსა და შემოდგომაზე ამცირებენ წყალდიდობებს, ხოლო ზამთარსა და ზაფხულში იცავენ მათ დაშრობისაგან. მთის ტყეებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს წყალსაცავების, სარწყავი არხებისა და ჰიდროელექტროსადგურების ნორმალური ფუნქციონირებისათვის; ისინი იცავენ აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო სავარგულებსა და დასახლებულ პუნქტებს წყალდიდობის, ქვატალახოვანი (ღვარცოფები) ნაკადების, ეროზიული პროცესებისა და სხვა მავნე მოვლენების ზეგავლენისაგან.

მრავალწლიანი დაკვირვებებით დადგენილია, რომ ტყე ხელს უწყობს წვიმისა და თოვლის წყლის ჩაჟონვას ნიადაგის სიღრმეში, აფერხებს ეროზიული და სხვა მავნე ბუ-

ნებრივი პროცესების განვითარებას და ხელს უწყობს მდინარეების წყლის რეჟიმის მუდმივობას.

მიუხედავად აღნიშნული დადებითი მნიშვნელობისა, საქართველოს ტყეები, უსისტემო ექსპლოატაციისა და ზეინტენსიური ჭრების შედეგად, იმდენად გამეჩხერდა, რომ მათ დაკარგეს წყლისა და ნიადაგის დაცვის ფუნქციები (ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია სუბალპური ტყეები).

წარსულში, როცა საქართველოს მთის ფერდობები მაღალი სიხშირის ტყითა და ბუჩქნარით იყო დაფარული, თოვლი თანდათან ეფინებოდა ნიადაგს, არ ხდებოდა მისი გადაადგილება. დნებოდა რა ნელ-ნელა, წყალი კარგი სტრუქტურის მქონე ნიადაგში თავისუფლად ასწრებდა ჩაჟონვას, ხოლო შემდეგ იძლეოდა მიწისქვეშა ჩანადენს და აზომიერებდა მდინარეთა წყლის რეჟიმს. ამ დროს არ ხდებოდა ნიადაგის გადარეცხვა-დახრამვა და ღვარცოფების წარმოშობა. ეს პროცესი ძირითადად გამოიწვია ადამიანის არასწორად წარმართულმა სამეურნეო საქმიანობამ და ინტენსიური ხასიათი მხოლოდ მას შემდეგ მიიღო, როცა დაიწყო ტყეების გაჩანაგება-განადგურება, ფერდობების უწესო ხვნა და სხვ. ამას დაემატა ნიადაგის დატკეპნა, მისი ფიზიკური თვისებების გაუარესება, თხიერი ზედაპირული ჩამონადენის გაძლიერება და გადარეცხვა-დახრამვა, რაც უშუალო გავლენას ახდენს მცენარეულ საფარზე. ადამიანის წინდაუხედავ სამეურნეო ქმედებას კი თან მოჰყვა ტყის ზედა საზღვრის საგრძნობი დაწევა (2500-2600 მ-დან 2100-2200 მ-მდე), რამაც, საბოლოოდ, განაპირობა ეროზიული მოვლენების განვითარება, უეცარი წყალდიდობები და ზოგიერთი მთის მდინარის აუზში სელური (ქვატალახოვანი) ნაკადებისა და სხვა მავნე სტიქიური მოვლენების წარმოშობა-განვითარება.

აქედან გამომდინარე, წყლის ზედაპირული ჩამონადენის რეგულირების საკითხი კვლავ რჩება პრობლემად და დღის წესრიგში აყენებს არა მარტო საქართველოში არსებული ტყეების დაცვას, არამედ გაჩანაგებულ-განადგურებულის აღდგენასაც. მთის ტყეების გამოყენება ისეთნაირად უნდა წარმოებდეს, რომ ამ პროცესმა (გამოყენებამ) არ გამოიწვიოს მათი წყალშემნახავი და ნიადაგდაცვითი ფუნქციების მოშლა. ტყის ჭრის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს არა მარტო მისი უშუალო სამეურნეო სარგებლიანობა, არამედ თანმდევი ყველა სხვა შედეგიც. მეტად მნიშვნელოვანია იმ საკითხის შესწავლა, თუ რა გავლენას ახდენს სხვადასხვა შემადგენლობის, სიხშირისა და აღნაგობის მთის ტყეები წვიმისა და თოვლის წყლის განაწილებაზე და, აქედან გამომდინარე, ეროზიული პროცესებისა და სხვა უარყოფითი ბუნებრივი მოვლენების წარმოშობა-განვითარებაზე.

მაღალი სიხშირის (0,8 და მეტი) ტყე ბუნებრივი მექანიზმია, რომელსაც ატმოსფერული ნალექები გადაჰყავს ნიადაგის სიღრმეში და ამით არა მარტო არეგულირებს თხიერ ზედაპირულ ჩამონადენს, არამედ უვნებელყოფს ეროზიული პროცესებისა და წყალდიდობების გამომწვევ მიზეზებს, იცავს მდინარეებს დაშრობისაგან და აუმჯობესებს მათი წყლის ბალანსს. მთის ტყეების ასეთი დადებითი როლი გვკარნახობს ვიზრუნოთ არა მარტო დაცვითი ტყეების შენარჩუნებაზე, არამედ იმ მთის ფერდობების გატყევებაზე, რომლებმაც დაკარგეს ტყის საფარი და გადაიქცნენ ეროზიისა და ღვარცოფების წარმოშობის საშიშ კერად.

XI თავი

დაცული ტერიტორიები, ნადირობა და მეთევზეობა

დაცული ტერიტორიები. კავკასია ბიომრავალფეროვნებით გამორჩეული ეკორეგიონია, რომლის ფართობი, ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) მონაცემებით, 500 ათასი კმ^2-ია. იგი ფიგურირებს ბიომრავალფერონების დონით უნიკალური და, კონსერვაციის საჭიროების თვალსაზრისით, პრიორიტეტული 25 რეგიონის ნუსხაში. ამ მხრივ საქართველოს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს კავკასიაში. ქვეყანაში, ყველა სხვა ეროვნულ ტრადიციასთან ერთად, ბუნების დაცვის ტრადიციასაც მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ძველ ქართულ ხელნაწერებში საინტერესო ცნობებია შემონახული ბუნების ცალკეული ობიექტების სამართლებრივი დაცვის შესახებ. თამარ მეფის სიგელებში მოხსენიებულია „ტყის მცველნი". მსგავსი თანამდებობის არსებობის შესახებ გვამცნობს „ხელმწიფის კარის გარიგებაც" (XIV საუკუნე). ვახტანგ I-ის დროს არსებობდა ე.წ. ყორუღები ანუ ამა თუ იმ მიზნით არსებული დაცული ტერიტორიები, მაგალითად, „სანადირო ალაგები" და ა.შ.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რელიგიური მოსაზრებების გამო ტერიტორიების დაცვას. „ხატის ტყეებმა" რიგ რეგიონებში დღემდე შემოგვინახა ხელუხლებელი კორომები.

სამეცნიერო წყაროების მიხედვით, დაცული ტერიტორიების ჩამოყალიბება საქართველოში XX საუკუნის 10-იანი წლებიდან დაიწყო. მათ დაარსებას ძველი საფეოდალო-სამონადირეო ტერიტორიების არსებობა განაპირობებდა.

ცნობილია, რომ 1903 წლიდან მრეწველ დემოდოვს არენდით აღებული ჰქონდა ლაგოდეხის ხეობა სავარგულებითურთ, რომელებიც კერძო სამონადირეო აღკვეთილსა და უცხო პირთათვის მკაცრად დაცულ ტერიტორიას წარმოადგენდა. აღნიშნული ტერიტორიით დაინტერესებული მეცნიერ-მკვლევარების – მლოკოსევიჩის, სოსნოვსკისა და კუზნეცოვის ძალისხმევით, 1912 წელს საქართველოში ჩამოყალიბდა პირველი დაცული ტერიტორია სახელმწიფო ნაკრძალის სტატუსით. რუსეთის იმპერიაში ეს იყო მეორე დაცული ობიექტი, ესტონეთში 1910 წელს შექმნილი კოსლანდის სახელმწიფო ნაკრძალის შემდეგ.

ასევე ცნობილია, რომ ბორჯომის ხეობის ტერიტორიაზე არსებული სახაზინო მამული (ავალიშვილების ყოფილი მამული) რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე II-მ თავის ძმას, კავკასიის მეფისნაცვალს მიხეილ ნიკოლოზის-ძე რომანოვს გადასცა, სადაც კერძო სამონადირეო ნაკრძალი ჩამოყალიბდა. მას კარგად ორგანიზებული საეგერო სამსახური იცავდა. მოგვიანებით, 1935 წელს აქ ჩამოყალიბდა ჯერ სახელმწიფო ნაკრძალი (3645 ჰა), უფრო მოგვიანებით კი – 1995 წელს, მთელს კავკასიაში საერთაშორისო სტანდარტების ეროვნული პარკი.

აჯამეთის ტყე იმერეთში, სოლომონ მეფის საუფლისწულო მამული იყო. XIX საუკუნის დასაწყისში იგი მეფის რუსეთის სახელმწიფო ხაზინას გადაეცა, რომელიც შემდგომში აუქციონის წესით (10 ათასი დესეტინა) ონანოვმა შეიძინა. 1896 წელს აღნიშნული ტერიტორია სპეციალური დანიშნულების ნაკრძალად გამოცხადდა, სადაც ამჟამად აჯამეთის დაცული ტერიტორიაა. ამრიგად, სანაკრძალო საქმიანობას საქართველოში 100 წელზე მეტი ხნის ისტორია აქვს, ხოლო ორგანიზაციული ოფიციალური სტატუსის პირველი დაცული ტერიტორიის შექმნიდან ზუსტად 100 წელი გავიდა (ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალი 1912 წელს შეიქმნა).

სანაკრძალო რეჟიმი ტერიტორიის მკაცრ დაცვას გულისხმობს. მისი მთავარი მიზანი ბუნების ეტალონური მონაკვეთების ხელუხლებლად შენარჩუნებაა. დაშვებულია მხოლოდ არამანიპულაციური სამეცნიერო და შეზღუდული ეკოლოგიური საგანმანათლებლო საქმიანობა. შეიძლება ითქვას, რომ ნაკრძალი ველური ბუნების კონსერვაციის იდალური საშუალებაა. იგი არის "ხელშეუხებელი განძი", ამასთან, ადამიანის სამეურ-

ნეო ზემოქმედების ქვეშ არსებული ბუნებრივი ტერიტორიების ეკოლოგიური მდგომარეობის საზომი. ნაკრძალი ჩაკეტილი სისტემაა და მნიშვნელოვანწილად იზოლირებულია სოციალურ-ეკონომიკური გარემოდან.

საქართველოში ნაკრძალად გამოიყოფა განსაკუთრებული სამეცნიერო და კულტურული მნიშვნელობის მქონე მიწის ნაკვეთები, სადაც ბუნებრივი სიმდიდრეთა დაცვის უზრუნველსაყოფად შეწყვეტილია ყოველგვარი სამეურნეო საქმიანობა. ნაკრძალთა უმრავლესობა, პირველ რიგში, ფლორის იშვიათი სახეობების დაცვისა და შესწავლის მიზნით შეიქმნა. მაგალითად, ბიჭვინთის ნაკრძალში – ბიჭვინთვის ფიჭვი, აჯამეთში – იმერეთის მუხა და კავკასიის ძელქვა, მარამჯვარში – სოსნოვსკის ფიჭვი, ბაწარაში – უთხოვარი, ბაბანეურში – ძელქვა, ვაშლოვანში – კევის ხე (საღსაღაჯი), ღვია და აშ.

საქართველოს ნაკრძალებმა მეტად რთული გზა განვლო. XX საუკუნის 50-იან წლებში ნაკრძალების უმრავლესობა (ლაგოდეხის ნაკრძალის გარდა) გაუქმდა და მათგან ბევრი შემდგომშიც არ აღდგენილა.

საქართველოში 15 სახელმწიფო ნაკრძალი იყო, რომელთა მთლიანი ფართობი დაახლოებით 168,8 ათას ჰა-ს ანუ ქვეყნის ტერიტორიის 2,4%-ს შეადგენდა.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველოში დღის წესრიგში დადგა დაცული ტერიტორიების ახალი, საერთაშორისო სტანდარტების სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც ბუნების კონსერვაციასთან ერთად, ითვალისწინებდა დაცული ტერიტორიების სოციალურ-ეკონომიკური ფუნქციების შეძენა-გააქტიურებას. ამ მიზნით უნდა შექმნილიყო სხვადასხვა კატეგორიის დაცული ტერიტორია. მსოფლიო გამოცდილებიდან გამომდინარე, განსაკუთრებით აქცენტი ეროვნულ პარკებზე კეთდებოდა. ამ პროცესებში აქტიურად ჩაერთო ბუნების დაცვის სფეროში მოქმედი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები. აღსანიშნავია ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის საქართველოს ოფისის (WWF) როლი ქვეყნის დაცული ტერიტორიების თეორიული თუ პრაქტიკული მიმართულებით განვითარების საქმეში.

1990-1991 წლებში გამოიკვეთა პირველი სქემაც, რომლის უმთავრეს ამოცანას საქართველოში 7 უდიდესი ეროვნული პარკის – კოლხეთის, ცენტრალური კავკასიონის, ფშავ-ხევსურეთის, მთიანი კავკასიონის, ივრის ზეგანის, თუშეთის, ბორჯომისა და აჭარა-გურია-იმერეთის შექმნას გულისხმობდა. 1992 წლის 12 მაისს სახელმწიფო საბჭომ განიხილა და მოიწონა WWF-ის პროექტი 7 ეროვნული პარკის დაარსების შესახებ (დადგენილება 11).

დაცული ტერიტორიის სქემები, ერთი მხრივ, ახალი სიტყვა იყო ეროვნული პარკების განვითარებაში, მაგრამ მასშტაბურობის გამო ილუზიურ წარმოდგენას ქმნიდა, ვინაიდან საქართველოს ტერიტორიის თითქმის 80% ეროვნულ პარკებად უნდა გამოცხადებულიყო. ამან შეაშფოთა მეცნიერთა და ექსპერტთა მნიშვნელოვანი ნაწილი. ისინი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და კონსერვაციას შორის მოსალოდნელ დისბალანსზე ალაპარაკდნენ, რის გამოც აღნიშნულმა პროექტმა იმ ეტაპზე განვითარება ვერ პოვა, თუმცა, ეს არ ნიშნავდა, დაცული ტერიტორიების განვითარებაზე უარის თქმას.

1997 წლის 3 აპრილის საქართველოს პრეზიდენტის განცხადებას, კომპანია "სიცოცხლის პლანეტა WWF-2000"-თან დაკავშირებით, პოზიტიური მსოფლიო რეზონანსი მოჰყვა. განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ „ამჟამად მესამე ათასწლეულის მიჯნაზე, ბუნებრივი მრავალფეროვნების მნიშვნელოვანი ნაწილი თავმოყრილია საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში მყოფ ქვეყნებში, ხოლო მისი შენარჩუნებისათვის საჭირო ფინანსური სახსრები კონცენტრირებულია ქვეყნებში, სადაც გარემო უკვე დრამატულად სახეცვლილია. ბუნებრივია, დადგა დრო ეფექტიანი და ქმედითი თანამშრომლობისა, როდესაც ყველა გაიღებს თავის წილს საკუთარი და საყოველთაო მომავლისთვის. ამ სულისკვეთებით უერთდება საქართველო კამპანიას "სიცოცხლის პლანეტა WWF-2000"-ს და გამოთქვამს მზადყოფნას 2000 წლამდე დედამიწას საჩუქრად მიუძღვნას თავისი ბუნებრივი ტერიტორიების 20%-ზე მეტი კანონით დაცული სხვადასხვა კატეგორიის ტერიტორიები, ქვეყანაში მოქმედი გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების მაღალი სამართლებრივი ნორმებით".

ამ ინიციატივამაც გამოიწვია დისკუსია. მეცნიერთა და ექსპერტთა ერთი ნაწილი თვლიდა, რომ დაცული ტერიტორიების ამ მასშტაბით განვითარება მეტისმეტი იყო. აღსანიშნავია, რომ ბევრ ქვეყანაში დაცულ ტერიტორიებს ქვეყნის ტერიტორიის 20%-ზე ნაკლები უკავია (მაგალითად ჩინეთში – 9%-მდე), მაგრამ არის რიგი ქვეყნებისა, მაგალითად, ახალი ზელანდია, სადაც ქვეყნის ტერიტორიის 20% დაცული ტერიტორიაა, გერმანიაში – 30%-ზე მეტი, ავსტრიაში – 23% და სხვ.

დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარება მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული საკანონმდებლო უზრუნველყოფასთან. ამ მხრივ, საქართველოში სერიოზული ვაკუუმი იყო, ვიდრე 1996 წლის 7 მარტს არ იქნა მიღებული კანონი "დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ". რასაკვირველია ეს არ იყო იდეალური ვარიანტი, თუმცა, უდავოდ წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს. ამ კანონით საქართველოში პირველად მოხდა დაცული ტერიტორიების კატეგორიების ადაპტირება შესაბამის საერთაშორისო, ძირითადად ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN)-ის მიერ აღიარებულ კატეგორიებთან.

კანონმდებლობის მიხედვით, საქართველოში შეიძლება დაარსდეს შემდეგი კატეგორიის დაცული ტერიტორიები: **სახელმწიფო ნაკრძალი, ეროვნული პარკი, ბუნების ძეგლი, აღკვეთილი, დაცული ლანდშაფტი, მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია** (იხ. ცხრილი 1). ასევე, დასაშვებია არსებობდეს დაცული ტერიტორიების საერთაშორისო ქსელში ჩართული კატეგორიები: **ბიოსფერული რეზერვატი, მსოფლიო მემკვიდრეობის უბანი, საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორია.**

ცხრილი 1

საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული
დაცული ტერიტორიების კატეგორიები და მართვის მექანიზმები[1]

დაცული ტერიტორიის სახეები	**მართვის მექანიზმები (დაცვის რეჟიმი)**	**კატეგორია (IUCN-ის მიხედვით)**
სახელმწიფო ნაკრძალი	მკაცრი დაცა	I
ეროვნული პარკი	კონსერვაცია და რეკრეაცია	II
ბუნების ძეგლი	ბუნების თავისებურებების კონსერვაცია	III
აღკვეთილი	კონსერვაცია აქტიური მართვის გზით	IV
დაცული ლანდშაფტი და/ან ზღვის აკვატორია	კონსერვაცია და რეკრეაცია	V
მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია	ბუნებრივი ეკოსისტემების მდგრადი გამოყენება	VI

1999 წლის ივნისში მიღებულ იქნა "საქართველოს ტყის კოდექსი", რომლის მიხედვით სატყეო ფართობების ზოგიერთ კატეგორიებზე მოქმედებს რიგი შეზღუდვებისა, რაც ერთგვარ დაცულ ტერიტორიად მათი განხილვის საშუალებას იძლევა. ესენია: საკურორტო ტყეები, მწვანე ზონა, ციცაბო ფერდობთა ტყეები, სუბალპური ზოლი, ჭალის ტყეები. აღნიშნული "დაცული სატყეო კატეგორიების" ფართობი 1113130 ჰა-ს შეადგენს, რაც ქვეყნის თითქმის 15,9%-ია. აქედან გამომდინარე, ზოგიერთი სპეციალისტი თვლის, რომ პრეზიდენტის მიერ 1997 წელს გაკეთებული განაცხადება ქვეყნის ტერიტორიის 20%-ის დაცულ ტერიტორიად გამოცხადების შესახებ, ფაქტობრივად, შესრულებულია. თუმცა WWF-ის შეფასებით, აღნიშნული სატყეო ტერიტორიები ტიპურ დაცულ ტერიტორიად არ შეიძლება ჩაითვალოს, ვი-

[1] საქართველოს კანონი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ". თბილისი, 1996, გვ. 5-9.

ნაიდან WWF-ის დეფინიციით დაცულ ტერიტორიას მხოლოდ ის არეები შეიძლება მივაკუთნოთ, რომელთა მენეჯმენტის პრიორიტეტი ბიომრავალფეროვნების დაცვაა.

საქართველოში, ვიდრე საერთაშორისო კრიტერიუმებით აღიარებული პირველი ეროვნული პარკი – ბორჯომის ეროვნული პარკი ჩამოყალიბდებოდა, ჯერ კიდევ, 1973 წელს შეიქმნა თბილისის ეროვნული პარკი, რომლის ფართობი 19905 ჰა-ს შეადგენდა. მოგვიანებით, გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KFW) გრანტით 1999 წლიდან დაიწყო რეალურად „ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის" შექმნა. 2007 წელს იგი გაერთიანდა ევროპის დაცული ტერიტორიების ქსელში (PAN ParK-ებში), რაც დაცული ტერიტორიების მაღალ დონეზე დაცვისა და მდგრადი ტურიზმის გარანტია. 1998 წელს დაარსდა "კოლხეთის ეროვნული პარკი", 2006 წელს აჭარაში შეიქმნა „მტირალას ეროვნული პარკი" და ა.შ.

1996 წელს ყოფილ სამონადირეო მეურნეობებს, ახალი კანონმდებლობის შესაბამისად, აღკვეთილის სტატუსი მიენიჭათ. ამგვარად ჩამოყალიბდა 12 აღკვეთილი: გარდაბნის, თეთრობის, იორის, კატობურის, ქცია-ტაბაწყურის, ყორუღის, ჭაჭუნას და აშ.

ოფიციალური მონაცემებით, ადგილმდებარეობისა და ფართობების მიხედვით, ამჟამად არსებული სხვადასხვა კატეგორიის დაცული ტერიტორიების შესახებ ნათელ წარმოდგენას იძლევა ცხრილი 2.

ცხრილი 2

საქართველოს დაცული ტერიტორიები (კატეგორიების მიხედვით)[2]

№	დასახელება	ადგილმდებარეობა	დაარსების წელი	საერთო ფართობი, ჰექტარი
1	2	3	4	5
	საქართველოში, სულ			**495893**
	ნაკრძალი:			**141473**
1	ბაბანეურის	ახმეტა, ზემო ალვანი	1935	862,1
2	ბაწარა	ახმეტა, ზემო ალვანი	1935	2986
3	ბიჭვინთა-მიუსერის	გაგრა	1966	3645
4	ბორჯომის	ბორჯომი	1929	14820
5	ვაშლოვანის	დედოფლისწყარო	1935	10143
6	თუშეთის	ახმეტა, ომალო	1980	10858,2
7	კინტრიშის	ქობულეთი	1959	10703
8	ლაგოდეხის	ლაგოდეხი	1912	22295
9	ლიახვის	გორი	1977	6388
10	მარიამჯვარის	საგარეჯო, ნინოწმინდა	1935	1040
11	რიწის	გუდაუთა	1946	16229
12	სათაფლიის	წყალტუბო	1935	354
13	ფსოუ-გუმისთის	სოხუმი	1978	40819
14	ქობულეთის	ქობულეთი	1998	331
	ეროვნული პარკი:			**258437**
1	ალგეთის	თეთრიწყარო, მანგლისი	1965	6822
2	ბორჯომ-ხარაგაულის	ბორჯომი	1995	61235
3	ვაშლოვანის	დედოფლისწყარო	2003	24610
4	თბილისის	საგურამო	2007	24328
5	თუშეთის	ახმეტა	2003	71482

[2] დაცული ტერიტორიების სააგენტო. www.apa.cov.ge

1	2	3	4	5
6	კოლხეთის	ფოთი	1998	45447
7	მტირალას	ჩაქვი	2006	15806
8	ყაზბეგის	ყაზბეგი	1976	8707
	სახელმწიფო აღკვეთილი:			**61158**
1	აჯამეთის		-	5117
2	გარდაბანის	გარდაბანი	1957	3484
3	თეთრობის	ახალქალაქი	1995	3100
4	ილტოს	ახმეტა	2003	6971
5	იორის	სიღნაღი	1965	1336
6	კაცობურის	აბაშა	1964	295
7	ლაგოდეხის	ლაგოდეხი	2003	2156
8	ნეძვის	ბორჯომი	1995	8992
9	ქობულეთის	ქობულეთი	1998	439
10	ქცია-ტაბაწყურის	ბორჯომი	1995	22000
11	ყორულის	საგარეჯო	1965	2068
12	ჭაჭუნის	დედოფლისწყარო	1965	5200
	ბუნების ძეგლი:			**314,5**
1	ალაზნის ჭალის	დედოფლისწყარო	2003	204,4
2	არწივის ხეობის	დედოფლისწყარო	2003	100,4
3	ტახტი-თეფას	დედოფლისწყარო	2003	9,7
4	ყუმისთავის	იმერეთის მღვიმეები	2007	დაუზუსტებელი ფართობი
5	თეთრი მღვიმის	იმერეთის მღვიმეები	2007	დაუზუსტებელი ფართობი
6	ხომულის ღვიმის	იმერეთის მღვიმეები	2007	დაუზუსტებელი ფართობი
7	ცუცხვათის მღვიმოვანის	იმერეთის მღვიმეები	2007	დაუზუსტებელი ფართობი
8	ნავენახევის მღვმის	იმერეთის მღვიმეები	2007	დაუზუსტებელი ფართობი
9	ნაგარევის მღვიმის	იმერეთის მღვიმეები	2007	დაუზუსტებელი ფართობი
10	იაზონის მღვმის	იმერეთის მღვიმეები	2007	დაუზუსტებელი ფართობი
11	საკაჟიას მღვიმის	იმერეთის მღვიმეები	2007	დაუზუსტებელი ფართობი
12	წყალწითელა ხეობის	იმერეთის მღვიმეები	2007	დაუზუსტებელი ფართობი
13	ოკაცეს კანიონის	იმერეთის მღვიმეები	2007	დაუზუსტებელი ფართობი
14	ოკაცეს ჩანჩქერის	იმერეთის მღვიმეები	2007	დაუზუსტებელი ფართობი
	დაცული ლანდშაფტი			**34510**
1	თუშეთის	ახმეტა	2003	31320
2	კინტრიშის	ქობულეთი	2007	3190

ამრიგად, საქართველოში 14 სახელმწიფო ნაკრძალია, საერთო ფართობით 141473 ჰა; 9 ეროვნული პარკი, ფართობით – 270740,83 ჰა; 17 აღკვეთილი ფართობით – 64085 ჰა; 11 ბუნების ძეგლი, ფართობით – 314 ჰა და 2 დაცული ლანდშაფტი, ფართობით – 34510 ჰა.

საქართველოში დაცული ტერიტორიების მთლიანი ფართობის 75% ტყით არის დაფარული. ქვეყანაში არსებობს აგრეთვე **ოთხი გეგმარებითი დაცული ტერიტორია:**

- **ცენტრალური კავკასიონის**, სადაც შედის რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის და ზემო სვანეთის გეგმარებითი ტერიტორიები (რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი 229 532 ჰა, ზემო სვანეთი-75 901 ჰა);
- **ჯავახეთის,** რომლის ფართობი დაახლოებით 20 ათასი ჰა-ია, მდებარეობს საქართველოს სამხრეთ ნაწილში. ჩრდილოეთით მას ესაზღვრება თრიალეთის ქედი, აღმოსავლეთით – აბულ-სამსარისა და ჯავახეთის, სამხრეთით კი – ჰეკ-დადის ქედები;
- **ფშავ-ხევსურეთის,** რომელიც მოიცავს დუშეთის მუნიციპალიტეტის ისტორიულ-გეოგრაფიულ ძირითად ნაწილს 117 446 ჰა ფართობით. ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორია აკავშირებს ერთმანეთთან ორ უკვე დაარსებულ თუშეთისა და ყაზბეგის დაცულ ტერიტორიებს, რაც ერთიანი ქსელის შექმნის საშუალებას იძლევა;
- **მაჭახელას,** რომელიც მდებარეობს აჭარის რეგიონში, მდ. მაჭახელას ხეობაში. მისი ფართობი არის 10 868 ჰა, აქედან, 75% ხელუხლებელი ტყეებითაა წარმოდგენილი.

მას შემდეგ, რაც დაცულმა ტერიტორიებმა სოციალურ-ეკონომიკური დატვირთვა შეიძინა, დაიწყო ინფრასტრუქტურის განვითარება ახლად შექმნილ ეროვნულ პარკებში. საერთაშორისო ორგანიზაციების არაერთი გრანტითა და დახმარებით მოეწყო ვიზიტორთა (მნახველთა) და ეკოსაგანმანათლებლო ცენტრები, ტურისტული მარშრუტები, სასტუმროები და სხვ., რამაც დინამიკურად გაზარდა ვიზიტორთა რაოდენობა (როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი) და, შესაბამისად, შემოსავალიც. მაგალითად, დაცული ტერიტორიების სააგენტოს ოფიციალური მონაცემებით, თუ 2005 წელს დაფიქსირდა 5669 ვიზიტორი, 2008 წლისთვის ამ ციფრმა უკვე 53 419-ს მიაღწია (ანუ თითქმის 10-ჯერ გაიზარდა). 2009 წელს – 98482-ს, ხოლო 2010 წელს 152 512 ვიზიტორი დაფიქსირდა (იხ. გრაფიკი 1; 2).

გრაფიკი 1

დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა სტატისტიკა 2005-2010 წლებში[3]



[3] დაცული ტერიტორიების სააგენტო. www.apa.cov.ge

გრაფიკი 2

ვიზიტორთა სტატისტიკა დაცული ტერიტორიების მიხედვით 2010 წელს[4]



ამრიგად, დაცული ტერიტორიების საერთაშორისო სტანდარტების მოქნილ სისტემას, ბუნების კონსერვაციასთან ერთად, შეუძლია მოიტანოს ეკონომიკური სარგებლობაც, რასაკვირველია, არა ბუნებრივი ეკოსისტემების დაზიანების ხარჯზე. ამასთან, ვიზიტორებს ეძლევათ შესაძლებლობა უშუალოდ იხილონ **საქართველოს ბუნებრივი ეკოსისტემების მშვენიერება და უნიკალურობა,** რაც განსაკუთრებით უცხოელთათვის ჩვენი ქვეყნის უკეთ გაცნობასა და პოპულარიზაციას ემსახურება.

ნადირობა. ნადირობას ეროვნულ კულტურაში ოდითგანვე მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა, რასაც ხელს უწყობდა საქართველოში ცხოველთა სამყაროს სახეობათა სიუხვე და მრავალი სანადირო სავარგულის არსებობა.

საქართველოში სანადირო ფაუნისა და ნადირობის შესახებ მნიშვნელოვანი ცნობები მოიპოვება სხვადასხვა წყაროში. ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა" ამის შესახებ საინტერესო ცნობებია მოცემული: „....ნადირნი ტყეთა და ველთა: ირემი, ქურციკი, ჯიხვი, მშუელი, არჩვი, თხა, კურდღელი, ვეფხი, დათვი, მგელი, აფთარი, ფოცხვერი, ღორი, მელა, მაჩვი, მათახვი, ზღარბი და სხვანიცა ....ფრინველნი ველთა და ტყეთა: წერო, ბატი, იხვი, აკაური, ვარხვი, ღალღა, ლიანა. ესენი ზამთარ არიან, ზოგნი გაზაფხულ-შემოდგომას, თვინიერ არა: ხოხობი, კაკაბი, დურაჯი, გნოლი, როჭო, შურთხი, მწყერი, ასკატა, ჩახრუხი, კოიოტი, ტყის ქათამი, გარიელი, ოფოფი, შაშვი, ჩხართვი, შროშანი, ტარბი, კოლინბური, ბულბული..., ხოლო ხორცის მჭამელნი: ყაჯირი, სვავი, ორბი, არწივი, შევარდენი, გავაზი, ბარი, ქორი თეთრი და წითელი, ქორი შაბარდუხი, მიმინო, მარჯანი და სხვა მრავალი"[5].

ადრეულ პერიოდში საქართველოში ნადირობა წარმოადგენდა წარმოების უძველეს დარგს, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მეურნეობის მთლიან სისტემაში და ადამიანის არსებობისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა.

არქეოლოგიურ ძეგლებში აღმოჩენილი მასალა მოწმობს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ზედა პალეოლითის პერიოდში ნადირობის ძირითადი ობიექტი იყო: გარეული თხა, გამოქვაბულის დათვი, ქურციკი, კვერნა, დომბა, აფთარი, მაჩვზღარბა, ბიზონი, ლოსი და სხვ.

თრიალეთის პეტროგლიფებსა და ბრინჯაოს განათხარ ნივთებზე გამოსახული ნადირი და ნადირობის სცენები მიუთითებს ნადირობის კოლექტიურ ხასიათსა და სამეურნეო მნიშვნელობაზე.

---

[4] დაცული ტერიტორიების სააგენტო. www.apa.cov.ge

[5] **ბატონიშვილი ვ.** აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თბილისი, 1973, გვ. 123.

განსაკუთრებული ადგილი ნადირობას მთიანი რეგიონების მოსახლეობის ცხოვრებაში ეკავა, რაც, გარკვეულწილად, დღემდეა შემორჩენილი. ადრეული ისტორიული წყაროების მიხედვით ირკვევა, რომ საქართველოში ბარად ბინადართა, კერძოდ, იბერიელთა ეკონომიკური ყოფა მიწათმოქმედებაზე იყო დამოკიდებული, მაშინ, როცა მთაში მობინადრე ქართველ ტომთა შესახებ სტრაბონი წერს: „კავკასიონის კალთებზე მცხოვრებნი, რომლებიც დაჰყურებენ ალბანეთსა და იბერიას, კოლხეთსა და ჰენიოსებს, იკვებებიან უმთავრესად გარეული ნადირის ხორცით, გარეული ხილითა და რძით".[6]

საქართველოში ნადირობის როლი თავისებურადაა ასახული ხალხურ რწმენა-წარმოდგენებში. ნადირთღვთაებებად ითვლებოდა ნადირთანგელოზი დალი, ნადირთ-მწყემსი ოჩოპინტრე და სხვ. ზოგი ჩვეულება ბუნების დაცვასაც უწყობდა ხელს: მაგალითად, საქართველოს რიგ რეგიონებში მონადირეს ეკრძალებოდა ერთ ნადირობაზე სამზე მეტი მსხვილი ნადირის მოკვლა. სანადირო ადგილიც და სეზონიც ტრადიციით რეგულირდებოდა. წესის დამრღვევ მონადირეს სოფელი, თემი სასტიკად სჯიდა, საჯაროდ კიცხავდა და აჯარიმებდა. როცა მონადირე 1000-ზე მეტ ნადირს მოინადირებდა, თოფს მიწაში ჩამარხავდა და ნადირობას თავს ანებებდა.

საქართველოში, განვითარების ადრეულ პერიოდში, ნადირობა ადამიანისთვის თუ მხოლოდ საკვების მოპოვების საშუალება იყო, თანამედროვე პირობებში იგი, აგრეთვე სპორტისა და გართობის საშუალებად იქცა. დღეს საქართველოში არსებობს ნადირობის სამი ძირითადი მიმართულება: სარეწაო, სპორტული და სამეცნიერო ნადირობა.

ნადირობა გართობისა და დასვენების ერთგვარი საშუალებაცაა. სპორტული ნადირობის საფუძველზე ვითარდება სამონადირეო ტურიზმი.

სამეცნიერო ნადირობა ტარდება სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მიერ ან მათი დაკვეთით, რომლის მიზანია სანადირო ფაუნისა და ნადირის დაავადებების შესწავლა, მხარეთმცოდნეობის მუზეუმების ექსპონატებით შევსება, სამეცნიერო კოლექციების შეგროვება და სხვ.

ჯერ კიდევ ფეოდალურ საქართველოში არსებობდა სამეფო სანადირო ადგილები, თუმცა, ორგანიზებული ფორმით, 1900-იანი წლებიდან იწყება სამონადირეო მეურნეობის ჩამოყალიბების პროცესი.

სამონადირეო მეურნეობა ერთგვარი დაცული ტერიტორიაა, რომელიც მოიცავს გარკვეულ ნადირ-ფრინველთა აბორიგენული სახეობებისათვის ბუნებრივ საბინადრო ზონას. საქართველოს კანონმდებლობა კონსერვაციული მიმართულების სამონადირეო მეურნეობების შექმნას ითვალისწინებს, რაც მაქსიმალურად ამცირებს ცხოველთა სამყაროსთვის საფრთხის მიყენების შესაძლებლობას.

1955 წლამდე საქართველოში სამი სამონადირეო მეურნეობა არსებობდა, 1959 წლისათვის კი უკვე 60-ზე მეტი (აღკვეთილი, მიწერილი, საჩვენებელი, სატყეო-სახელმწიფო სამონადირეო და ა.შ.) მეურნეობა შეიქმნა. მომდევნო წლებში მოხდა მათი რეორგანიზაცია და ფართობები კიდევ უფრო გაიზარდა. 1976 წლისათვის ამ კატეგორიის მიწების საერთო ფართობმა 89,6 ათასი ჰა შეადგინა, ხოლო 90-იან წლებში საქართველოში იყო შემდეგი 5 სახელმწიფო სატყეო-სამონადირეო მეურნეობა[7]:

გარდაბნის სამონადირეო მეურნეობა, რომელიც ყველაზე ძველია და წარსულში ცნობილი იყო „ყარაიაზის" სახელით. „ყარაიაზი" ქართველ მეფეთა ცნობილ სამონადირეო ადგილს წარმოადგენდა. 1957 წელს იგი ჩამოყალიბდა სახელმწიფო სამონადირეო მეურნეობად, რომლის ფართობი 3315 ჰა-ია. მეურნეობა მოიცავს მდ. მტკვრის ჭალის ტყეებს. აქ არსებულმა ბუნებრივ-კლიმატურმა პირობებმა განაპირობა ცხოველთა სამყაროს სიმრავლე. მათგან გამოსაყოფია კეთილშობილი ირემი და გარეული ღორი. კეთილშობილი ირმის

---

[6] **ყაუხჩიშვილი თ.** სტრაბონის გეოგრაფია. ცნობები საქართველოს შესახებ. თბილისი, „მეცნიერება", 1957, გვ. 17.

[7] **ჩიქოვანი ტ.** ფრაგმენტები ნადირობის ისტორიიდან. თბილისი, გამომცემლობა „ცოტნე", 2004, გვ. 144.

ჭალის ტყის პოპულაცია ერთადერთია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელს სამხრეთ კავკასიაში, რაც დიდ ინტერესს იწვევს როგორც სამეცნიერო, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. დღეს ამ ფართობს აქვს დაცული ტერიტორიის სტატუსი და შექმნილია როგორც გარდაბნის აღკვეთილი;

ყორუღის სამონადირეო მეურნეობა ძირითადად ხოხობზე სანადიროდ ცნობილია ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისიდან როგორც „ყორუღის ტყის აგარაკი". მეურნეობა მდებარეობს საგარეჯოს რაიონში მდ. იორის ჭალის ტყის ფართობზე და 16 300 ჰა-ს შეადგენს. მეურნეობის ტერიტორიაზე გავრცელებულია: გარეული ღორი, ხოხობი და ფაუნის სხვა წარმომადგენლები. აქ ამჟამად შექმნილია ყორუღის აღკვეთილი;

იორის სამონადირეო მეურნეობა მდებარეობს მდ. იორის ხეობაში და ყორუღის მეურნეობის უშუალო გაგრძელებაა, რომლის ფართობი 17 300 ჰა-ს შეადგენს. აქ მრავლადაა წარმოდგენილი დურაჯი და ხოხობი. აღსანიშნავია, რომ მოცემული ტერიტორია ერთადერთია მთელ საქართველოში, სადაც გავრცელებულია დურაჯი. აქაც ამჟამად შექმნილია დაცული ტერიტორია ივრის აღკვეთილის სახით;

ჭაჭუნას სამონადირეო მეურნეობა მდებარეობს ასევე მდ. იორის ხეობაში და წარმოადგენს იორის მეურნეობის გაგრძელებას. აქაც ისევე, როგორც იორის მეურნეობის ტერიტორიაზე, თითქმის ერთნაირი ბუნებრივ-კლიმატური პირობებია ხოხობის, დურაჯის, კაკაბისა და კურდღლის გამრავლებისათვის. აღსანიშნავია, რომ მთელ საქართველოს ტერიტორიაზე მხოლოდ აქ გვხვდება ბეგობის არწივი, რომელიც საერთაშორისო წითელი ნუსხის სახეობაა. დღესდღეობით ეს ფართობები წარმოადგენს ჭაჭუნას აღკვეთილის ტერიტორიას;

კაცობურის სამონადირეო მეურნეობა დასავლეთ საქართველოშია, მდ. რიონის მარცხენა სანაპიროზე 312 ჰა ფართობზე. აქ განვითარებულია როგორც მონადირეობა, ისე მეთევზეობა. მთავარ სათევზაო და სანადირო ობიექტია ბუნებრივი ტბა „ნარიონალი", რომელიც ზამთარში არ იყინება და შესანიშნავი ადგილია გადამფრენი და წყალზე მოზამთრე ფრინველებისათვის. კერძოდ, აქ გვხვდება: იხვინჯა, გარეული იხვი, მელოტა, წერო, ტყის ქათამი და სხვ. ამჟამად ეს ფართობი მოქცეულია კაცობურის აღკვეთილის ფარგლებში.

აღნიშნული სახელმწიფო სამონადირეო მეურნეობები ამჟამად ძირითადად დაცული ტერიტორიების ფარგლებშია მოქცეული და აღკვეთილის სტატუსითაა წარმოდგენილი.

არსებული კანონმდებლობის მიხედვით, სამონადირეო მეურნეობის შექმნა შეუძლიათ როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებს, კანონით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით. დღეისათვის საქართველოში ამ ტიპის რამდენიმე სამონადირეო მეურნეობა არსებობს, კერძოდ: სიღნაღის რაიონში (ჭიაური), დუშეთის რაიონში (არხოტი), ყაზბეგის რაიონი (თრუსო), დედოფლისწყაროს რაიონში (შავი ტყე და დალის მთა), საგარეჯოს რაიონში (იორის ჭალები). განვიხილავთ ზოგიერთ მათგანს:

„შავი ტყის" სამონადირეო მეურნეობა მდებარეობს მდ. იორის ხეობაში. მეურნეობა განლაგებულია 700 ჰა ფართობზე ჭალის ტყისა და იორის ზეგანის ნაწილზე. აქ გავრცელებულია მრავალი ფრინველი და ცხოველი, კერძოდ: კაკაბი, ხოხობი, გარეული იხვი, გარეული ღორი, კურდღელი; მტაცებლებიდან: მგელი, ტურა, კატა, მელა და სხვ.

„იორის ჭალების" სამონადირეო მეურნეობა მდებარეობს საგარეჯოს რაიონში, რომელიც მოიცავს ჭალის ტყეების 1000 ჰა-ს. აქ, სანადიროსთან ერთად, სათევზაო პირობებიც არის შექმნილი. ხელოვნურ ტბებში მოშენებულია: საზანი, კობრი, თეთრი ამური, მდ. იორში კი გვხვდება: ხრამული, მურწა, წვერა, ჭანარი და სხვ.

„დალის მთის" სამონადირეო მეურნეობა მდებარეობს ქალაქ დედოფლისწყაროს სამხრეთ-დასავლეთით, მდ. იორის მარჯვენა სანაპიროზე, დალის წყალსატევის მიმდებარე ტერიტორიაზე. აქ განვითარებულია როგორც ნადირობა, ისე მეთევზეობა. ტბაში გავრცელებულია თევზის შემდეგი სახეობები: თეთრი ამური, ჭანარი, კობრი, სქელშუბლა, გოჭა, ხრამული, ლეშა, შამაია, ლოქო და სხვ.

სანადირო სახეობებიდან აღსაღნიშნავია: ძუძუმწოვრები – ენოტი, ნუტრია, ენოტისებური ძაღლი, გარეული ღორი, ტურა, მელა, მგელი, კურდღელი. ფრინველები – კაკაბი, ხოხობი, რუხი ბატი, იხვინჯა, მწყერი, მელოტა, წყლის ქათამი, ჩიბუხელა, ტყის ქათამი, ქედანი, ჩვეულებრივი გვრიტი და რამდენიმე ჯიშის იხვი;

„ჭიაურის" სამონადირეო მეურნეობა განლაგებულია ჭიაურთან და ციხიანთყურში 11 ათას ჰა-ზე. აქ, ბუნებრივი ფაუნის წარმომადგენლებთან ერთად, ბინადრობს შემოყვანილი (აზერბაიჯანიდან) ხოხობი, ღორი და დათვი ბელებითურთ.

ოფიციალური ინფორმაცია ნადირობის მასშტაბებისა და პოპულაციების შესახებ საკმაოდ მოძველებულია, თუ არ ჩავთვლით ბოლო პერიოდში შექმნილ კერძო სამონადირეო მეურნეობებს, სადაც ხდება ფაუნის წარმომადგენელთა პერიოდული აღრიცხვა და მონაცემების საფუძველზე წლიური ან სეზონური კვოტების განსაზღვრა.

ბოლო საერთო ინვენტარიზაციის შედეგად მოპოვებული მონაცემები სანადირო პოპულაციების რაოდენობისა და სიმჭიდროვის შესახებ მოცემულია ცხრილში (იხ. ცხრილი 3).

ცხრილი 3

სანადირო პოპულაციების რაოდენობა და სიმჭიდროვე საქართველოში[8]

სახეობა	რაოდენობა (ათასი ცალი)	სიმჭიდროვე (1000 ჰა-ზე)
დათვი	6000	3
ტახი	5000	3
ირემი	1100	0,7
შველი	12000	6
მგელი	3000	1
მელა	26000	9
კურდღელი	34000	12
ციყვი	40000	20
კვერნა	22000	11
იხვი	6000	-
კაკაბი	14000	35
გნოლი	5000	5
შავი კაკაბი	12000	20

მთლიანობაში საქართველოში კერძო სამონადირეო მეურნეობების განვითარება პროგრესული ნაბიჯი იქნებოდა და შეასრულებდა იმ ძირითად ფუნქციას, რაც გამოიხატება ცხოველთა დაცვასა და აღწარმოების გაზრდაში, რომ არა რიგი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებისა, კერძოდ:

- კერძო სამონადირეო მეურნეობებში სერვისი საკმაოდ ძვირია და იგი ძირითადად მთლიანად გათვლილია უცხოელ მომხმარებლებზე. ამ შემთხვევაში პრობლემა გადაუჭრელია, რადგან საქართველოში მონადირეთა აბსულუტური უმრავლესობა საქართველოს მაცხოვრებელია და იძულებულია, სერვისის სიძვირის გამო, მიმართოს კვლავ ნადირობის „ტრადიციულ" გზას, რაც ვერ ამცირებს ადამიანთა უარყოფით გავლენას ფაუნაზე;
- დღეს არსებული სამონადირეო მეურნეობები ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნას ნადირობის ობიექტებზე. ამასთან, ახალი მეურნეობების შექმნა იმ პირობებში, როდესაც სანადირო ობიექტთა ინვენტარიზაცია არ განხორციელებულა, მნიშვნელოვან პრობლემებთანაა დაკავშირებული, შესაბამისად, ძნელია ამ მხრივ მდგომარეობის შეფასებაც.

საგადასახადო პოლიტიკით სახელმწიფო მძიმე მდგომარეობაში აყენებს არსებულ სამონადირეო მეურნეობებს, რაც ამცირებს ახალი მეურნეობების ჩამოყალიბების მოტივაციას.

[8] საქართველოს ტყეების სრული ეკონომიკური შეფასება რესურსების მართვის მიმდინარე რეჟიმის მიხედვით. მსოფლიო ბანკი. თბილისი, 2002, გვ. 73.

შესაბამის კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე, სამონადირეო ფართობებზე გადასახადი სულ უფრო და უფრო ძვირდება და იგი ამჟამად 1 ჰა-ზე 49 ლარს უტოლდება. ამიტომ აუცილებელია სახელმწიფომ ამ მიმართულეით მოახდინოს საგადასახადო პოლიტიკის ლიბერალიზაცია, რადგან არსებული სამონადირეო მეურნეობები ჯერ მხოლოდ ჩამოყალიბების პროცესშია და ამ ეტაპზე მათი საქმიანობა მოგების მიღებაზე არ არის გათვლილი. უნდა განხორციელდეს სანადირო ობიექტთა სრული ინვენტარიზაცია და მათი საბინადრო გარემოს მდგომარეობის შეფასება-ანალიზი, რაც ხელს შეუწყობს ახალი სამონადირეო მეურნეობების შექმნას ქვეყანაში; კერძო სამონადირეო მეურნეობებმა საჭიროა მოახდინონ დიფერენცირებული მიდგომა გადასახადების დაწესებაში. ადგილობრივი მოსახლეობისათვის დაბალი გადასახადის დაწესება დამატებითი მოტივაცია იქნება ისარგებლოს სამონადირეო მეურნეობების სერვისით, რაც, თავის მხრივ, შეამცირებს გარემოსა და ფაუნაზე უარყოფითი ზეგავლენის მასშტაბებს.

საქართველოში სამონადირეო მეურნეობების განვითარებას აქვს დიდი სოციალურ-ეკონომიკური დატვირთვაც. სამონადირეო მეურნეობის ქსელის შექმნა უზრუნველყოფს ქვეყნის ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებასა და მდგრადი პრინციპებით განვითარებას, სამონადირეო ფაუნის რაოდენობის რეგულირებასა და ნადირობის ორგანიზებული წესით წარმართვას, ნანადირევი ხორცის პროდუქტით მოსახლეობის სასურსათო კალათის შევსებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, სამონადირეო ტურიზმის განვითარებასა და ა.შ.

მეთევზეობა. ნადირობასთან ერთად საქართველოში ერთ-ერთი უძველესი დარგია მეთევზეობა. იგი შეიძლება ითქვას, ნადირობის მნიშვნელოვანი მიმართულებაა. ძველი ბერძენი ისტორიკოსი სტრაბონი აღნიშნავს, რომ შავი ზღვის სანაპიროზე დასახლებულ ქართველ ტომთა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამეურნეო დარგი მეთევზეობა იყო. გვიანდელი ფეოდალური ხანის წყაროების მიხედვით თითქმის ყველა ფეოდალს ჰყავდა როგორც ყმა-მონადირეები, ისე ყმა-მეთევზეებიც.

საქართველოს ბუნებრივ-კლიმატურმა მრავალფეროვნებამ სათევზაო რესურსისა და ადგილების სიუხვე განაპირობა.

მეთევზეობის მეცნიერული შესწავლა საქართველოში XVIII საუკუნის 50-იანი წლებიდან დაიწყო. ამ მხრივ, აღსანიშნავია ვახუშტი ბატონიშვილის შრომები, რომლებშიც აღწერილია საქართველოს მთავარი მდინარეებისა და ტბების თევზები, თევზაობის წესები და საშუალებები.

მეთევზეობა მოიცავს ბუნებრივი წყალსატევებისა და ტბორულ თევზჭერას. ბოლო პერიოდში ადამიანის უარყოფითი ზემოქმედების მასშტაბები წყლის გარემოზე, სამწუხაროდ, იზრდება, რის გამოც დაიკლო თევზის მარაგმა და დაქვეითდა მისი კვლავწარმოება. ტბორული მეთევზეობის დანიშნულებაა თევზის გამრავლება და მოშენება სპეციალიზებულ სათევზმეურნეო ტბორებში.

საქართველოს ტერიტორიაზე უხვად წარმოდგენილი სათევზაო ადგილები მთლიანობაში მოიცავს 75 მდინარეს, ტბორებსა და წყალსატევებს. ესენია: აბასთუმნისწყალი, ალაზანი, არაგვი, აჭარისწყალი, ახალქალაქისწყალი, ამტყელის ტბა, ბესლა, ბესლეთი, ბზიფი, ბაზალეთის ტბა, ბებესირის ტბა, გორაფის ტბა, გუმისთა, გუჯარეთისწყალი, გომარეთის ტბა, გორაფის ტბა, ენგური, ერისწყალი, ერწოს ტბა, თიქორი, თბილისის წყალსატევი, იორი, ინკიტის ტბა, კელასური, კინტრიში, კოდორი, კახაბერის ტბა, კუმისის ტბა, ლიახვი, ლისის ტბა, ლაჯანურის წყალსაცავი, მალთაყვა, მაშავერა, მაჭახელა, მტკვარი, მზის ტბა, მარაბდის წყალსაცავი, ნატანები, ნურიის ტბა, ოქუმი, ოჩხამური, პალიასტომის ტბა, რიონი, რიწის ტბა, სურამულა, სუფსა, სხალთა, სადამოს ტბა, სკურჩის ტბა, სიონის წყალსაცავი, ტეხური, ტაბაწყურის ტბა, ტყიბულის წყალსაცავი, ფიჩორა, ფოცხოვი, ფსოუ, ფარავნის ტბა, ღალისა, ყვირილა, შავწყალა, შავნაბადა, შაორის წყალსაცავი, ჩაისუბნის წყალი,

ჩაქვის წყალი, ჩოლოქი, ცივი, ძირულა, წყალწითელა, ჭოროხი, ჭურია, ხობის წყალი, ხრამი, ხრამის წყალსაცავი, ჯუმი, ჯანდარის ტბა და ჯაპანის ტბა.

საქართველოს მდინარეებში, ტბებსა და წყალსაცავებში თევზის 80-ზე მეტი ჯიშია. ამათგან, ყველაზე მეტად გავრცელებული სათევზაო ჯიშებია: ამური, ბლიკა, გველანა, გველთევზა, გოჭალა, გუწუ, ვიმბა, ზუთხი, თაღლითა, თეთრულა, კალმახი, კამბალა, კაპარჭინა, კეფალი, კობრი, ლობანი, ლოქო, მურწა, ნაფოტა, ნემსთევზა, ორაგული, რიპუსი, სალამურა, სამეკალა, სვია, სიგა, სქელშუბლა, ტარაღანა, ტაფელა, ტობი, ფარგა, ფარფლწითელა, ფორეჯი, ქარიყლაპია, ქაშაპი, ქაშაყი, ქორჭილა, ღორჯო, შამაია, ციმორი, წვერა, ჭანარი, ჭაფალა, ჭერეხი, ხრამული და ქარცხანა (კარჩხანა).

სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 5% მისდევს ნადირობასა და მეთევზეობას გართობისა და დასვენების მიზნით. მონადირეთა რეგისტრირებული რაოდენობა დაახლოებით 50 ათას კაცს შეადგენს, მათგან 20-30% აქტიურად მისდევს ნადირობასა და მეთევზეობას.

საინტერესოა მსოფლიო ბანკის ექსპერტული მონაცემები, ნადირობისა და მეთევზეობისაგან მიღებული წლიური წმინდა შემოსავლების შესახებ (იხ. ცხრილი 4).

ცხრილი 4

საქართველოში ნადირობისა და მეთევზეობისგან 2002 წელს მიღებული წლიური წმინდა შემოსავალი[9]

(ლარებში)

ქალაქად მცხოვრებთა წმინდა შემოსავალი ნადირობისაგან	785 500
ქალაქად მცხოვრებთა წმინდა შემოსავალი მეთევზეობისაგან	450 000
სოფლად მცხოვრები მოსახლეობის მიერ მოხმარებული ნანადირევის ღირებულება	729 000
სოფლად მცხოვრები მოსახლეობის მიერ მოხმარებული თევზის ღირებულება	1 350 000
სოფლად მცხოვრები მოსახლეობის წმინდა მოგება თევზის რეალიზაციის შედეგად	810 000
სულ შემოსავალი	**4 127 000**

როგორც ცხრილიდან ჩანს, მთლიანობაში საქართველოში ნადირობასა და მეთევზეობისაგან მიღებული ეკონომიკური სარგებლობა წლიურად 4 მლნ ლარს აჭარბებს, რაც უმნიშვნელო მაჩვენებელი როდია, განსაკუთრებით სოფლად მცხოვრები მოსახლეობისათვის.

ფაუნის წარმომადგენელთა კონსერვაციისა და კვლავწარმოების საქმეში უდაო წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს 1996 წელს ძალაში შესული კანონები „ცხოველთა სამყაროს შესახებ" და „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ", რომელებმაც, გარკვეულწილად, უზრუნველყო ამ საკითხთა სამართლებრივი რეგულირება, თუმცა, კანონმა „ცხოველთა სამყაროს შესახებ" მაინც ვერ შეძლო რიგი მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა. ამასთან, სრულყოფილად არ არის შესული ძალაში ზოგიერთი კანონქვემდებარე აქტი, სუსტია აღსრულების ფინანსური და ეკონომიკური მექანიზმები, რაც მომავალში საყურადღებო მსჯელობის თემაა.

[9] საქართველოს ტყეების სრული ეკონომიკური შეფასება რესურსების მართვის მიმდინარე რეჟიმის მიხედვით. მსოფლიო ბანკი. თბილისი, 2002, გვ. 77.

ინდუსტრიული სექტორი

XII თავი

მრეწველობა

მრეწველობის განვითარების დონე და შიდა დარგობრივი სტრუქტურა. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პირველსავე წლებში საქართველოს მრეწველობაში მკვეთრად დაეცა წარმოების მოცულობა და დარგის სხვა ძირითადი მაჩვენებლების დონე, მაშინ როდესაც 1989 წელს მრეწველობა, მოძველებული ტექნოლოგიების პირობებშიც კი, შესადარ ფასებში 12,4 მლრდ მანეთის (დაახლოებით 5,3 მლრდ დოლარის) პროდუქციას აწარმოებდა, რაც რესპუბლიკის ეროვნული შემოსავლის 40%-ზე მეტს შეადგენდა. მდგომარეობა საგრძნობლად არც მომდევნო წლებში გაუმჯობესებულა. 1997 წელს ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში მრეწველობის ხვედრითმა წონამ მხოლოდ 14,2% შეადგინა. ამასთან, კერძო საკუთრებაში გადასულ 672 საწარმოდან (27,9%) 20%-ს არ უმუშავია.[1]

2000-2010 წლებში სამრეწველო საწარმოთა რაოდენობა 91%-ით გაიზარდა, მაგრამ დასაქმებულთა საშუალო წლიური რიცხოვნობა თითქმის იგივე დარჩა. მართალია, მოქმედი ფასებით, სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 152,8%-ით და ძირითადი კაპიტალის ღირებულება 79,2%-ით გაიზარდა, მაგრამ მდგომარეობა, ინფლაციის გათვალისწინებით, არასახარბიელო იყო. სამრეწველო პროდუქციის ფასების ინდექსმა, წინა წელთან შედარებით, შეადგინა: 2002 წელს – 106,3%, 2003 წელს – 103,3, 2004 წელს – 104,6, 2005 წელს – 107,5, 2006 წელს – 110,8, 2007 წელს – 111,6 და 2008 წელს – 109,8%.

2000-2010 წლებში საქართველოს მრეწველობის ძირითადი მაჩვენებლების შესახებ იხილეთ ცხრილი 1.

ცხრილი 1

საქართველოს მრეწველობის ძირითადი მაჩვენებლები 2000-2010 წლებში[2]

მაჩვენებლები	განზომილება	2000	2005	2010	2010/2000 %-ობით
სამრეწველო პროდუქციის მოცულობა (მოქმედი ფასებით)	მლნ ლარი	1918,2	2202,2	4849,7	252,8
საწარმოთა რაოდენობა	ერთეული	3328	4632	6358	191,0
დასაქმებულთა საშუალო წლიური რიცხოვნობა	ათასი კაცი	95,8	94,3	95,85	100,1
მრეწველობის ძირითადი კაპიტალი	მლნ ლარი	2151,4	1985,2	3856,2	179,2

1990 წელს საქართველოს მრეწველობაში წარმოებული პროდუქციის ზოგიერთი სახეობა ამჟამად საერთოდ არ იწარმოება (მაგალითად, თუჯი, ნახშირბადიანი ელექტროფერომანგანუმი, ლითონური ფერომანგანუმი, ცვლადი დენის ელექტროძრავები, მცირე სიმძლავრის ელექტროძრავები, ქიმიური ბოჭკო, ლითოფონი და ა.შ.), ზოგიერთი სახეობის პროდუქ-

[1] **ჩომახიძე დ., ჩაჩიბაია ა., ბარამაძე ც.** და სხვ. საქართველოს მრეწველობის განვითარების კონცეპტუალური საკითხები. საქართველოს ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სკ ინსტიტუტის შრომები. II ტომი. თბილისი, 1998, გვ. 446.

[2] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალები.

ცია კი მკვეთრად შემცირებული რაოდენობით იწარმოება. მაგალითად, 1990 წელთან შედარებით, 2005 წელს მანგანუმის კონცენტრატის წარმოება შემცირდა 5-ჯერ, არამადნეული სამშენებლო მასალებისა – 18-ჯერ, საშუალო ნახშირბადიანი ფერომანგანუმის – 5,8-ჯერ, ჩასაძირი ელექტროძრავების – 187,7-ჯერ, ლითონსაჭრელი ჩარხების – 1568-ჯერ, მაგისტრალური ელმავლების – 86-ჯერ, სინთეზური ამიაკის – 1,4-ჯერ, ცემენტის – 2,4-ჯერ და ა.შ. (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 2

სამრეწველო პროდუქციის ზოგიერთი სახეობის წარმოება საქართველოში 1990-2005 წლებში[3]

პროდუქციის დასახელება	**განზ.-ის ერთეული**	**1990**	**2000**	**2005**	**2005/1990 %-ობით**
თუჯი	ათ. ტონა	62,5	-	-	-
ფოლადი	ათ. ტონა	1315	იწარმოება ძალიან შემცირებული მასშტაბით		-
ნაგლინი	ათ. ტონა	1109			-
ფოლადის მილები	ათ. ტონა	499			-
არამადნეული სამშენებლო მასალები	ათ.კუბ.მ	20729	281.8	1157,4	5,6
მანგანუმის სასაქონლო მადანი	ათ. ტონა	1252	63,1	251,8	20,1
საშ. ნახშირბადიანი ფერომანგანუმი	ათ. ტონა	81,6	6,1	13,9	17,0
ნახშირბადიანი ელექტროფერომანგანუმი	ათ. ტონა	42,4	-	-	-
ლითონური ელექტრომანგანუმი	ათ. ტონა	1736	-	-	-
სილიკომანგანუმი	ათ. ტონა	283 (1987წ.)	20,5	109,4	38,6
ჩასაძირი ელექტროძრავები	ცალი	11265	559	60	0,5
ცვლადი დენის და მცირე სიმძლავრის ელექტროძრავები	ათ. ცალი	998	-	-	-
ლითონსაჭრელი ჩარხები	ცალი	1568	3	1	0,06
კოშკურა ამწეები	ცალი	547	-	-	-
მაგისტრალური ელმავლები	ცალი	86	4	1	1.2
სინთეზური ამიაკი	ათ. ტონა	219	136,2	152,3	69,5
მინერალური სასუქები	ათ. ტონა	130	100,2	116,1	89,3
ქიმიური ბოჭკო	ათ. ტონა	32,4	-	-	-
ლითოფონი	ათ. ტონა	16,4	-	-	-
დახერხილი ხე-ტყე	ათ.კუბ.მ	551	42,8	87,8	15,9
ცემენტი	ათ. ტონა	1290	347,7	529,5	41,0
სამშენებლო აგური	მლნ ცალი	265	4,7	10,1	3,8
ფეხსაცმელი	ათ. წყვილი	17014	89,8	41,9	0,25
ხორცი	ტონა	76700	66,0	10,0	0,01
ჩაი ნატურალური	ათ. ტონა	126	3,0	4,2	3,3
ღვინო	ათ. დკლ	16283	1700	3900	24,0

[3] საქართველოს მრეწველობა 1985-1996 წლებში. თბილისი, 1997; საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტის მასალები.

1990 წელს საქართველო, მოსახლეობის ერთ სულზე აწარმოებდა 241 კგ ფოლადს, 202 კგ – მზა ნაგლინს, 5,9 კგ – ქიმიურ ბოჭკოს, 236 კგ – ცემენტს, 5 კგ – ძეხვეულს, 3 დკლ ღვინოს და ა.შ. მრეწველობაში წამყვანი ადგილი გადამმუშავებელ მრეწველობას ეჭირა. მასზე მოდიოდა სამრეწველო პროდუქციის 95,1%, საწარმოთა რაოდენობის 90,3%, დასაქმებულთა 93,2% და ძირითადი ფონდების (კაპიტალის) 76,5%. გადამმუშავებელი მრეწველობის წამყვანი დარგი იყო კვების მრეწველობა (37,4%), შემდეგ მოდიოდა მსუბუქი მრეწველობა (21,2%), მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება (14,3%), საშენ მასალათა მრეწველობა (5,1%), ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა (4,4%), ფქვილ-ბურღულეულისა და კომბინირებული საკვების მრეწველობა (3,8%), შავი მეტალურგია (3,4%), ელექტროენერგეტიკა 2,4%) და ა.შ. შედარებით მოკრძალებული ადგილი ეკავა მოპოვებით მრეწველობას: პროდუქციის მიხედვით – 4,9%, საწარმოთა რაოდენობის მიხედვით – 9,7%, დასაქმებულთა რიცხოვნობის მიხედვით – 6,8% და ძირითადი კაპიტალის მიხედვით – 23,5%. მასში წამყვანი ადგილი ეჭირა მანგანუმის, აგრეთვე მადნეულის საბადოზე სასარგებლო წიაღისეულის, ნახშირისა და საშენ მასალათა ნედლეულის მოპოვებას.

2000-2010 წლებში საქართველოს მრეწველობის დარგობრივ სტრუქტურაზე წარმოდგენას იძლევა ცხრილი 3.

ცხრილი 3

საქართველოს მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურა 2000-სა და 2010 წლებში[4]

მაჩვენებლები	წლები	განზომილების ერთეულები	მრეწველობა, სულ	მათ შორის		
				სამთო-მოპოვებითი	გადამმუშავებელი	წყალი, ელექტროენერგია, გაზი
პროდუქციის მოცულობა მოქმედი ფასებით	2000	მლნ ლარი	1051,9	69,2	575,5	407,2
		%	100,0	6,58	54,71	38,71
	2010	მლნ ლარი	4849,7	254,9	3723,8	871,0
		%	100,0	5,3	76,7	18,0
ძირითადი კაპიტალის ღირებულება წლის ბოლოს	2000	მლნ ლარი	2151,4	87,1	835,5	1228,8
		%	100,0	4,1	38,8	57,1
	2010	მლნ ლარი	3856,2	67,1	1580,4	2209,7
		%	100,0	1,7	41,0	57,3
დასაქმებულთა რიცხოვნობა	2000	კაცი	95800	6400	64200	25200
		%	100,0	6,7	67,0	26,3
	2010	კაცი	95849	5092	70390	20367
		%	100,0	5,3	73,5	21,2
საწარმოთა რაოდენობა	2000	ერთეული	3328	87	2997	244
		%	100,0	2,6	90,1	7,3
	2010	ერთეული	6358	243	6006	109
		%	100,0	3,8	94,5	1,7

[4] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალები.

როგორც ცხრილიდან ჩანს, ქვეყნის ეკონომიკაში მრეწველობა 3 მსხვილ განყოფილებადაა წარმოდგენილი. აქედან, სამრეწველო პროდუქციის წარმოების მიხედვით წამყვანი როლი გადამმუშავებელ მრეწველობას უჭირავს (76,7%) და იგი ზრდის ტენდენციით ხასიათდება (2000 წელს 54,7%-ს შეადგენდა). მეორე ადგილზეა წყლის, ელექტროენერგიისა და გაზის წარმოება-განაწილება (18,0), მაგრამ შემცირების ტენდენციით ხასიათდება (2000 წელს 38,7% იყო). გადამმუშავებელი მრეწველობა ლიდერია აგრეთვე როგორც დასაქმებულთა რიცხოვნობის, ისე საწარმოთა რაოდენობის მიხედვით, ხოლო ძირითადი კაპიტალის ღირებულებით ეს დარგი მეორე ადგილზეა და, ამ მხრივ, მას წყლის, ელექტროენერგიისა და გაზის წარმოება-განაწილება უსწრებს 16,3 პროცენტული პუნქტით (57,3%). სამაგიეროდ, ეს უკანასკნელი ბოლო (მესამე) ადგილზეა საწარმოთა რაოდენობის მიხედვით (1,7%). რაც შეეხება სამთო-მოპოვებით მრეწველობას, მასზე მოდის მრეწველობის პროდუქციის 5,3%, ძირითადი კაპიტალის – 1,7%, დასაქმებულთა – 5,3% და საწარმოთა რაოდენობის – 3,8%.

აღსანიშნავია შემდეგი გარემოებაც: მართალია, გადამმუშავებელი მრეწველობა საქართველოში წამყვან დარგს წარმოადგენს, მაგრამ წარმოების მასშტაბებით სურათი რადიკალურად განსხვავებულია: 1990 წელს აწარმოებდა 11,5 მლრდ ლარის, ხოლო 2010 წელს – 3,8 მლრდ ლარის, ე.ი. 3-ჯერ ნაკლებ პროდუქციას.

სამთო-მოპოვებითი მრეწველობა. 1990-2009 წლებში სამრეწველო წარმოების გრძელი ჯაჭვის საწყისი რგოლის – სამთო-მოპოვებითი მრეწველობის პროდუქცია შემცირდა 3,2-ჯერ, დასაქმებულთა რიცხოვნობა – 6-ჯერ და ძირითადი კაპიტალის ღირებულება – 1,7-ჯერ, თუმცა, საწარმოთა რაოდენობა გაიზარდა 1,8-ჯერ.

სამთო-მოპოვებითი მრეწველობისთვის ერთ-ერთი წამყვანი და ტრადიციულია მანგანუმის წარმოება, რომელიც წარმოდგენილია ჭიათურის მანგანუმის საწარმოებით.

ჭიათურის საბადოს ექსპლუატაციაში შესვლა მჭიდროდაა დაკავშირებული დიდი ქართველი მგოსნის აკაკი წერეთლის სახელთან და 1879 წლით თარიღდება. მისი ინტენსიური ექსპლუატაცია XX საუკუნის 20-იანი წლებიდან განხორციელდა. თუ 1880-1920 წლებში საქართველოში მოიპოვეს 11,3 მლნ ტ. მანგანუმის მადანი, მხოლოდ 1960-1970 წლებში მიწის წიაღიდან ამოღებულ იქნა 60,4 მლნ ტ. ანუ 5,3-ჯერ მეტი ნედლეული.[5]

ჭიათურის საბადომ რიგი უპირატესობების გამო (მადნის მაღალი ხარისხი, დიდი სამრეწველო მარაგი, მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობა, იაფი სამუშაო ძალა და ა.შ.), იმთავითვე მიიქცია მსოფლიოს ყურადღება. მანგანუმის მადნის ძირითადი ნაწილი უცხოეთის ბაზრებზე გაჰქონდათ. მაგალითად, 1913 წელს ჭიათურის წილი მანგანუმის მსოფლიო წარმოებაში 39,6%-ს შეადგენდა (965,8 ათასი ტ.), რაც ბევრად აღემატებოდა ამ მადნის მომპოვებელი სხვა ქვეყნების (ინდოეთი, ბრაზილია) დონეს. ეს პროცესი კიდევ უფრო გაძლიერდა ჭიათურაში ამერიკელი ვ.ა. ჰარიმანის მოღვაწეობის დროს (1925-1928 წწ.).

საბჭოთა წლებში ჭიათურაში ფუნქციონირებდა 6 მაღაროს სამმართველო და 5 გამამდიდრებელი ფაბრიკა. მანგანუმის სასაქონლო მადნის მოპოვების მაქსიმალური დონე აღინიშნა 1959 წელს (3159,2 ათასი ტონა), ხოლო 2005 წელს ეს მაჩვენებელი 251,8 ათას ტ-მდე, ანუ 12,5-ჯერ შემცირდა. აქაური მადნები და კონცენტრატები ქიმიური შემადგენლობით მთელ მსოფლიოშია აღიარებული. ეს მაღალხარისხოვანი მეტალურგიული ნედლეული იგზავნებოდა როგორც მოკავშირე რესპუბლიკებში, ისე უცხოეთში. მისი ძირითადი მომხმარებლები იყვნენ შავი მეტალურგიის საწარმოები (90%-ზე მეტი), აგრეთვე საშენ მასალათა მრეწველობა, ფერადი მეტალურგია, ქიმიური მრეწველობა.

---

[5] **ჩომახიძე დ.** წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების საკითხები საქართველოს მანგანუმის მრეწველობაში. თბილისი, 1978, გვ. 8.

1949 წელს საქართველოში, კვაისის ტყვია-თუთიის საბადოს ბაზაზე, ლითონის მადნის მომპოვებული საწარმო გაიხსნა ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე. იგი წლიურად მოიპოვებდა 105-110 ათას ტ. მადანს (1980-1990წწ.), სადაც დასაქმებული იყო 365-380 კაცი. არსებული ინფორმაციით ამჟამად საწარმო არ მუშაობს.

საქართველოს მრეწველობაში აღსანიშნავია მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი, რომლის პირველი რიგი 1974 წლის ბოლოს ამოქმედდა. 1985 წელს აქ მადნის მოპოვება შეადგენდა 1387 ათას ტ-ს. კომბინატში მუშაობდა 1917 კაცი. ამჟამად ამ საბადოს ბაზაზე ორი მსხვილი საწარმო მუშაობს – სს „მადნეული“ და შპს „კვარციტი“. მათ აქციათა საკონტროლო პაკეტებს რუსული GeoProMining, Ltd აკონტროლებს. „მადნეულის“ წლიური მოპოვება 2 მლნ ტ მადანია[6]. იგი აგრეთვე მოიპოვებს არამადნეულ სამშენებლო მასალებს. 2005 წლის მონაცემებით, მათი მოპოვება შეადგენდა 1157,4 ათას კუბ. მ-ს, ნაცვლად 1990 წლის 20729 ათასი კუბ. მ-ისა, ანუ მოპოვება შემცირდა თითქმის 18-ჯერ.

გადამმუშავებელი მრეწველობა. მის დარგობრივ სტრუქტურაში (საკვები პროდუქტებისა და სასმელების, ტექსტილის, ტანსაცმლის, ტყავის, ფეხსაცმლის, მერქნისა და ხის ნაწარმის, ქაღალდის, ლითონის, მანქანებისა და მოწყობილობების, ქიმიური, მეტალურგიული და ა.შ. წარმოება) წამყვანია კვების პროდუქტებისა და თამბაქოს წარმოება. 2009 წლის მონაცემებით, მათზე მოდის გადამმუშავებელი მრეწველობის 42,6%, მეტალურგიაზე – 18,2%, ქიმიურ წარმოებაზე – 8,6%, დანარჩენი არალითონური მინერალური ნაკეთობების წარმოებაზე – 9,9%, საგამომცემლო და პოლიგრაფიულ საქმიანობაზე – 4,6% და ა.შ.

2004-2009 წლებში გადამმუშავებელი მრეწველობის პროდუქციის წარმოება გაიზარდა 145,8%-ით, რაც მნიშვნელოვნად მეტია მთლიანად მრეწველობის საშუალო ანალოგიურ მაჩვენებელზე (116,4%). ცალკეული ქვედარგებიდან ზრდის შედარებით მაღალი ტემპით გამოირჩევა დანარჩენი არალითონური მინერალური ნაკეთობების, ქიმიური წარმოების პროდუქციის, აგრეთვე რეზინისა და პლასტმასის, ლითონის მზა ნაწარმისა და სხვათა წარმოება. გადამმუშავებელი მრეწველობის პროდუქციის ძირითადი ნაწილი იწარმოება თბილისში.

1990 წელს გადამმუშავებელი მრეწველობა აწარმოებდა 11,5 მლრდ ლარის პროდუქციას, რომელიც, 2009 წლის მონაცემებით, 2,8 მლრდ-მდე, ანუ 4,1-ჯერ შემცირდა. ანალოგიური შემცირება განიცადა მრეწველობის სხვა დარგებმაც და საწარმოებმაც. მათ შორისაა მეტალურგია, კერძოდ, რუსთავის მეტალურგიული ქარხანა და, ნაწილობრივ, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა. რუსთავში, ჯერ კიდევ, 1950 წელს მიიღეს მარტენის პირველი ნადნობი, ხოლო 1954 წელს ამუშავდა პირველი ბრძმედი. პირველი ელექტროსადნობი ღუმელები კი ზესტაფონში 1933 წელს ამოქმედდა. გარდა აღნიშნულისა, საქართველოში მნიშვნელოვანი რაოდენობით იწარმოებოდა ცეცხლგამძლე მასალები, საწარმოო დანიშნულების ლითონის ნაკეთობები, მეორეული შავი და ფერადი ლითონები და სხვ. მეტალურგიულ წარმოებაში მუშაობდა 23 ათასამდე კაცი. ამჟამად დარგი არასახარბიელო მდგომარეობაშია. 2009 წლის მონაცემებით, მეტალურგიულ მრეწველობაში და ლითონის მზა ნაწარმის წარმოებაში დასაქმებულია 9,8 ათასი ანუ 2,4-ჯერ ნაკლები კაცი.

1940 წლისათვის საქართველოს უკვე ჰქონდა საკუთარი ქიმიური მრეწველობა, რომელიც იძლეოდა სხვადასხვა სახის პროდუქციას, დაწყებული ლაქ-საღებავებით და დამთავრებული სამედიცინო პრეპარატებით. ამ პერიოდისთვის ექსპლოატაციაში შევიდა სამთო-ქიმიური ნედლეულის მომპოვებელი რამდენიმე ახალი საწარმო, ქუთაისის ლითოფონისა

[6] **თვალჭრელიძე ა, სილაგაძე ა.** და სხვ. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა. თბილისი, გამომცემლობა „ნეკერი“, 2011, გვ. 38.

და მინერალური საღებავების ქარხნები, თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტული და ლაქ-საღებავების საწარმოები.

1955 წელს პირველი პროდუქცია გამოუშვა რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანამ. 1965 წელს ამუშავდა რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხანა, 1963 წელს კი სინთეზურ ნაკეთობათა ქარხანა ხონში.

1990 წლის მონაცემებით, საქართველოში იწარმოებოდა (ათ. ტონა): მინერალური აზოტოვანი სასუქი – 130, კაპროლაქტამი – 40,1, ქიმიური ბოჭკო – 32,4, სინთეზური ამიაკი – 219 და სხვ.

ამჟამად ქიმიური მრეწველობის რიგი საწარმოებისა გაუქმებულია, მათ შორისაა ქიმიური ბოჭკოსა და ლითოფონის ქარხნებიც. 2009 წლის მდგომარეობით, ქიმიური წარმოების პროდუქციამ 243,8 მლნ ლარი შეადგინა ანუ 1990 წლის დონის 26,3%. ამჟამად წარმოებული ქიმიური პროდუქციიდან აღსანიშნავია: სინთეზური ამიაკი, ელექტროლიტური მანგანუმის ორჟანგი, მინერალური სასუქები, ფარმაცევტული პრეპარატები და მასალები. დარგში დასაქმებულია 5828 კაცი ანუ, 1990 წელთან შედარებით, 3,5-ჯერ ნაკლები.

1990-იან წლებამდე საქართველოს მრეწველობის ერთ-ერთ წამყვან დარგში – მანქანათმშენებლობასა და ლითონდამუშავებაში დასაქმებული იყო 116,4 ათასი კაცი. ამჟამად პროდუქციის წარმოება 1990 წლის დონეს 20,4-ჯერ ჩამორჩება, ბუნებრივია, დასაქმებულთა რაოდენობაც მნიშვნელოვნადაა შემცირებული.

პირველი ელექტროტექნიკური საწარმოები საქართველოში 1955 წელს ამუშავდა. ეს იყო თბილისის ქარხნები „ელექტროგამშვები“ და „ელექტროავტომატი“. უკვე 1972 წელს ელექტროტექნიკურ მრეწველობას საქართველოში სხვადასხვა პროფილის 23 საწარმო ჰქონდა. მისი პროდუქციის ნომენკლატურაში შედიოდა: ელექტრომანქანები, ელექტროშესადუღებელი ავტომატური და ნახევრად ავტომატური მოწყობილობები, ამწის ელექტროძრავები, საყოფაცხოვრებო ხელსაწყოთა მიკროძრავები, ელექტროქსელის, ელმავლების, ელექტროკარების, საწარმოო პროცესების მართვის აპარატურა, ლაბორატორიის ტრანსფორმატორები, ელექტროგანათების ნაკეთობანი, საყენი კაბელები, მომინანქრებული საგრაგნილე სადენები, ელექტროიზოლაციის მასალები და სხვ. ამ პროდუქციის დიდი ნაწილი არა მხოლოდ ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში, არამედ საზღვარგარეთაც გადიოდა.

დღეს ამ დარგის საწარმოთა დიდი ნაწილი გაუქმდა, ზოგი კი მცირე დატვირთვით მუშაობს და ამზადებს ელექტროენერგიის გამომუშავების, გადაცემის, განაწილებისა და მოხმარების მოწყობილობებს.

საშენ მასალათა მრეწველობა საქართველოს ერთ-ერთი ტრადიციული დარგია. 1900-იანი წლებიდან არსებობდა აგურის საწარმოები. 1928 წელს ამოქმედდა კასპის, ხოლო ომის შემდგომ პერიოდში – რუსთავის ცემენტის ქარხნები. იწარმოებოდა აგრეთვე შიფერი, კირი, თაბაშირი, ბეტონისა და სილიკატური მსხვილი ბლოკები, ასაწყობი რკინა-ბეტონის კონსტრუქციები და დეტალები, კერამიკული მოსაპირკეთებელი ფილები, არამადნეული საშენი მასალები და სხვ. 1990 წელს 146 საწარმო იყო, სადაც მუშაობდა 45200 კაცი და თანამედროვე ეროვნული ვალუტით იწარმოებოდა 618 მლნ ლარის პროდუქცია. ეს მაჩვენებელი ამჟამად მკვეთრად შემცირებულია. 2005 წლის მონაცემებით, საქართველოში იწარმოებოდა (ათასი ტ.): ცემენტი – 529,5, სამშენებლო კირი – 16,4, ასფალტ-ბეტონი – 293,4; სამშენებლო აგური – 10,1 მლნ პირობითი ცალი; ათას კბმ-ებში: საკედლე ბლოკი – 47,6, ანაკრები რკინა-ბეტონის კონსტრუქციები და ნაკეთობანი – 6,8; ბუნებრივი ქვის მოსაპირკეთებელი ფილები – 22, სასაქონლო ბეტონი – 117,9 და ა.შ. დღეს მათი წარმოება მნიშვნელოვნადაა შემცირებული.

ხე-ტყის დამმუშავებელი და ხის ნაწარმის წარმოება საქართველოში, 2009წლის მონაცემებით, წარმოდგენილია 650 საწარმოთი, სადაც დასაქმებულია 1898 კაცი, თავ-

მოყრილია 64,3 მლნ ლარის ძირითადი კაპიტალი, ხოლო სამრეწველო პროდუქციის დირებულება 49,1 მლნ ლარს შეადგენს, მათ შორის, ავეჯისა – 5,5 მლნ ლარს. წინა პერიოდში არსებობდა ხე-ტყის დამმუშავებელი, ცელულოზა-ქაღალდისა და ავეჯის წარმოება, მუშაობდა ხე-ტყის დამმუშავებელი კომბინატები, ავეჯის სპეციალიზებული ფაბრიკები.

საქართველოში მინისა და ფაიფურ-ქაშანურის წარმოება წარმოდგენილი იყო ბორჯომის, სურამის, ქუთაისისა და ავჭალის მინის ტარის ქარხნებით. ქუთაისში იწარმოებოდა აგრეთვე ბროლისა და ხარისხოვანი მინის ნაკეთობანი, ზუგდიდში – ფაიფურ-ქაშანურის პროდუქცია და სხვ. ამჟამად დარგი, ფაქტობრივად, გაჩერებულია. 2000 წელს მცირე რაოდენობით (53,8 ათასი ცალი) იწარმოებოდა ფაიფური-ქაშანურის და მაიოლიკის ჭურჭელი, მინის ბოთლები – 148,2 მლნ ცალი.

მსუბუქი მრეწველობა საქართველოში შედარებით განვითარებულ დარგს წარმოადგენდა. 1990 წელს მასზე მოდიოდა მრეწველობის მთლიანი პროდუქციის 21,2%, დასაქმებულთა 22,6%, ძირითადი კაპიტალის 8,3%, საწარმოთა რაოდენობის 18,0%, მომუშავეთა მთლიანი რაოდენობა კი 103,8 ათასს შეადგენდა, რომელთა შორის უმრავლესობა ქალი იყო. მსუბუქი მრეწველობის საწარმოები სხვადასხვა დროს ამოქმედდა, კერძოდ: ქუთაისის მაუდის ფაბრიკა 1921-1928 წლებში, თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატი – 1929 წელს, ქუთაისის ტრიკოტაჟის ფაბრიკა – 1930 წელს, თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა 1931 წელს, ბათუმის მე-5 სამკერვალო ფაბრიკა – 1932 წელს, ქუთაისის მე-4 სამკერვალო ფაბრიკა – 1932 წელს, თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისანი“ – 1936 წელს, თბილისის მე-6 სამკერვალო ფაბრიკა – 1937 წელს, თბილისის მე-7 სამკერვალო ფაბრიკა და ქუთაისის აბრეშუმის კომბინატი – 1937 წელს. ამასთან, მეაბრეშუმეობის ძირითად რაიონებში – ქუთაისში, ხონში, სამტრედიაში, ოზურგეთსა და თელავში გაიხსნა აბრეშუმის სახვევი და სართავი ფაბრიკები.[7]

სამამულო ომის შემდგომ პერიოდში მწყობრში ჩადგა სენაკის ხალიჩების ფაბრიკა, თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატი, ტრიკოტაჟის ფაბრიკა (1961წ.), თბილისის აბრეშუმის ჟაკარდული ქსოვის ფაბრიკა (1962წ.), თბილისის კამვოლური დართვის ფაბრიკა (1962წ.), სამტრედიის ბამბის სართავი ფაბრიკა (1967წ.), ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის სამღებრო გამომყვანი წარმოება (1970წ.), თბილისის წინდების ფაბრიკა (1970წ.), ხაშურის საფეიქრო-საგალანტერიო ფაბრიკა (1970წ.), თბილისის ტრიკოტაჟის ფაბრიკა (1978წ.) და სხვ. 1990 წელს მსუბუქ მრეწველობაში იწარმოებოდა (ათასი კვ.მ): ქსოვილები – 122180, საფარდე-სამაქმანე ნაწარმი – 11039, ხალიჩები და ხალიჩის ნაწარმი – 1224, წინდის ნაწარმი და ფეხსაცმელი, შესაბამისად, – 31020 და 17071 ათასი წყვილი. ამჟამად აღნიშნულ საწარმოთა უმრავლესობა გაჩერებულია ან მკვეთრად შემცირებული მასშტაბით მუშაობს. 2009 წლის მონაცემებით, მსუბუქ მრეწველობაზე მოდის მრეწველობის მთლიანი პროდუქციის 1,25% (47,5 მლნ ლარი), ძირითადი კაპიტალის 0,8% (27,4 მლნ ლარი), საწარმოთა რაოდენობის 6,3% (422) და დასაქმებულთა რიცხოვნობის 4,9% (4585 კაცი). ყველა მაჩვენებელი (საწარმოთა რაოდენობის გარდა) მკვეთრად ნაკლებია 1990 წლის დონესთან შედარებით.

საქართველოს მრეწველობის შიდა დარგობრივ სტრუქტურაში კვების მრეწველობა წინათაც და ახლაც ყველაზე მაღალი ხვედრითი წონითაა წარმოდგენილი. 1990 წელს მასზე მოდიოდა მთელი სამრეწველო პროდუქციის 37,4%, 2009 წლის მდგომარეობით კი – 31,7%.

1921-1940 წლებში საქართველოში შეიქმნა კვების მრეწველობის ისეთი დარგები, როგორიცაა: ჩაის, საკონსერვო, ხორცის, რძის და ა.შ. ასევე, აგარის შაქრის, თბილისის მარგარინის ქარხნები. იწარმოებოდა ღვინო, შამპანური, კონიაკი, ჩაი, მინერალური წყლები, უალკოჰოლო სასმელები, სიგარეტი და ა.შ. დარგი ემყარებოდა ადგილობრივ მრავალფეროვან მცენარეული და ცხოველური წარმოშობის ნედლეულის ბაზას, აგრეთვე არასასოფ-

[7] **ჩომახიძე დ., გიორგობიანი ო.** საქართველოს მრეწველობის განვითარება. თბილისი, 1980, გვ. 44-47.

ლო-სამეურნეო წარმოების სანედლეულო რესურსებს (თევზჭერა, მინერალური წყლების სამრეწველო ჩამოსხმა და სხვ.). ჯერ კიდევ 1979 წელს საქართველოდან საექსპორტოდ გაიგზავნა 24 სახის კვების მრეწველობის პროდუქცია 40 ქვეყანაში. მეღვინეობა და ჩაის წარმოება კვების ინდუსტრიის წამყვან დარგებს წარმოადგენდა. მათ წილად მოდიოდა კვების მრეწველობის მთლიანი პროდუქციის 53%-ზე მეტი, ხოლო საკუთრივ მეღვინეობის წილი 28,3%-ს შეადგენდა. მთლიანად კვების მრეწველობაში დასაქმებული იყო 77 ათასი კაცი, ანუ მთელ მრეწველობაში დასაქმებულთა 16,8%.

კვების მრეწველობა საქართველოში ყოველთვის უზრუნველყოფილი იყო ადგილობრივი ნედლეულით. 1990 წელს, 2009 წელთან შედარებით, იწარმოებოდა: ხორცი – 3,2-ჯერ, კვერცხი – 1,8-ჯერ, ხორბალი – 3,1-ჯერ, თამბაქო – 81-ჯერ, ხილი – 3,8-ჯერ, ბოსტნეული – 2,7-ჯერ, ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი – 92,9-ჯერ მეტი.

1990-2009 წლებში კვების მრეწველობის პროდუქცია თითქმის 10-ჯერ შემცირდა. მიუხედავად ამისა, ამჟამად იგი აწარმოებს ისეთ მნიშვნელოვან პროდუქტებს, როგორიცაა: თევზი (299 ტ), ძეხვეულის ნაწარმი (1867ტ), ხილ-ბოსტნეულის კონსერვები (19,9 მლნ პირ. ქილა), მცენარეული ზეთი (127ტ), დამუშავებული თხევადი რძე (1067 ტ), არაჟანი (1558 ტ), კარაქი (1159 ტ), ფქვილი (195,9 ათ. ტ), პურ-ფუნთუშეულის ნაწარმი (92,9 ათ. ტ), შაქარი (12,8 ათ. ტ), ნატურალური ჩაი (4,2 ათ. ტ), კონიაკი (226,6 ათ. დკლ), ლიქიორ-არაყის ნაწარმი (577,7 ათ.დკლ), ღვინო (3,9 მლნ დკლ), მინერალური წყლები (11,3 მლნ დკლ), ლუდი (5,9 მლნ დკლ), თამბაქოს ნაწარმი (1,8 მლრდ ღერი) და სხვ.[8]

ელექტროენერგიის, გაზის, წყლის წარმოება და განაწილება. წყლის წარმოება (დაგროვება, გაწმენდა) და განაწილება (ელექტროენერგიის, გაზის, ორთქლისა და ცხელი წყლის წარმოებასთან ერთად), თეორიულად, ბუნებრივ მონოპოლიას მიეკუთვნება. მათი წილი საქართველოს მრეწველობაში, 2009 წლის მონაცემებით, ასეთია: 1,9% – საწარმოთა რაოდენობა, 20,5% – წარმოებული პროდუქციის ღირებულება, 23,1% – დასაქმებულთა რიცხოვნობა, 56,4% – ძირითადი კაპიტალის ღირებულება. შიდა სტრუქტურაში წამყვანია ელექტროენერგიის, გაზის, ორთქლისა და ცხელი წყლის წარმოება-განაწილება. მათზე მოდის მთლიანი პროდუქციის 84,1% და ძირითადი კაპიტალის 87%.

2000-2010 წლებში მრეწველობის ამ უმნიშვნელოვანესი დარგების განვითარების შესახებ იხილეთ ცხრილი 4.

ცხრილი 4

საქართველოში ელექტროენერგიის, გაზისა და წყლის წარმოება-განაწილება 2000-2010 წლებში, მლნ ლარი[9]

მაჩვენებლები	2000	2005	2010
ელექტროენერგიის, გაზის და წყლის წარმოება-განაწილება აქედან:	407,2	495,2	871,0
ელექტროენერგიის, გაზის, ორთქლისა და ცხელი წყლის წარმოება-განაწილება	378,7	457,0	728,9
წყლის წარმოება (დაგროვება, გაწმენდა) და განაწილება	28,5	38,2	142,1

[8] მრეწველობა 2005 წელს. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. სტატისტიკის დეპარტამენტი. თბილისი, 2005, გვ. 70-72.
[9] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალები.

განვითარების პოტენციალი. საქართველოში არსებული ბუნებრივი პირობები და სანედლეულო ბაზა, შრომითი რესურსები, სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობა და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ტრადიციები, მრეწველობის განვითარებისათვის სათანადო პირობებს ქმნის. აქედან, განსაკუთრებით აღსანიშნავია მრავალფეროვანი მინერალურ-სანედლეულო რესურსები: შავი და ფერადი, კეთილშობილი და იშვიათი ლითონები, მყარი საწვავი, სამთამადნო, მეტალურგიული, ქიმიური და კერამიკული ნედლეული, კვარც-მინდვრისშპატიანი ქვიშები, არალითონური წიაღისეული, სამშენებლო მასალები, აგრონედლეული, სანაკეთო ქვები, ჰიდრომინერალური რესურსები, თხევადი საწვავი და სხვ.

შავი და ფერადი ლითონების საბადოებიდან, პირველ რიგში, აღსანიშნავია მანგანუმის, სპილენძის, ტყვიის, თუთიის, აგრეთვე რკინისა და ალუმინის მარაგები. ქვეყანაში მანგანუმის მადნის საერთო მარაგი 284,3 მლნ ტონას შეადგენს. იგი ძირითადად ჭიათურაშია (61,9%), აგრეთვე გვხვდება ჩხარ-აჯამეთში, შქმერში, ქვემო ქართლში, „ყვირილის დეპრესიაში“.

საქართველოში ცნობილია სპილენძის ოთხი საბადო: მადნეულის, წითელი სოფლის, დამბლუდკისა და მერისის საბადოები. მათი საერთო მარაგია 2095,93 ათასი ტონა. ამჟამად დამუშავებაში მხოლოდ მადნეულის საბადოა. ამასთან, არსებობს ცალკეული გამოვლინებები ქვემო ბოლნისსა და დავით გარეჯში.

ტყვია-თუთიის შემცველი მარაგები განლაგებულია კვაისის, მადნეულის, დამბლუდკისა და მერისის საბადოებზე. ამ მხრივ, პერსპექტიულია ვალ-ხოხის და ვარახ-კომის უბნები. რკინის მადნის გამოვლინებიდან ცნობილია ფოლადაურის (ჩათახის), ტყიბულის (საწირის), წედისის (ონის რ.-ნი) და ა.შ. საბადოები. ამასთან, ალუმინის ნედლეულის გამოვლინების მიზნით შესწავლილია გელათის ქვიშაქვების საბადო.

საქართველოში კეთილშობილი ლითონებიდან ოქროსა და ვერცხლის ორი სახის საბადო გვხვდება – საკუთრივ ოქროსა და ვერცხლის და კომპლექსური – სხვა წიაღისეულთან ერთად. ასეთია მადნეულის, კვაისის, საყდრისის, მერისის, ზოფხითო-ჩვეშურის საბადოები. ამათგან, ამჟამად ექსპლუატაციაშია მადნეული. მის ბაზაზე მუშაობს შპს „კვარციტი“, რომელიც წლიურად 3,5ტ ოქროს აწარმოებს დორე შენადნობის სახით.

იშვიათი ლითონებიდან საქართველოში ცნობილია ანთიმონიტის, ვერცხლისწყლის, დარიშხანის, კობალტის, მოლიბდენის და ვოლფრამის მარაგები. ანთიმონიტს შეიცავს ზოფხითო-ჩვეშურის (ზემო რაჭა), ხოლო ვერცხლისწყალს – ახეისა და ავადხარას (აფხაზეთი) საბადოები. იშვიათი ლითონებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დარიშხანის მადანი. მისი საერთო მარაგი ამჟამად 1829,6 ათას ტონას შეადგენს და გვხვდება ლუხუმის, ცანისა და ჭოროხის საბადოებზე. მათ ბაზაზე მუშაობდა ცანის სამთო-ქიმიური და რაჭის სამთო-მეტალურგიული ქარხნები. ცნობილია, რომ ლითონური დარიშხანი წარმოადგენს ელექტრონული მრეწველობის პროდუქციის (ნარევარგამტარები, მაღალი ხარისხის ოპტიკური მინა და ა.შ.) წარმოებისათვის საჭირო განსაკუთრებულად სუფთა სელენიდებისა და დარიშხანის სულფიდების მისაღებ ნედლეულს.

კობალტი საქართველოში ცალკე საბადოებს არ ქმნის, მაგრამ იგი სისტემურად გვხვდება კავკასიონის სამხრეთი ფერდის ცნობილ სპილენძ-პირიტიან ზოლში, აგრეთვე ჭიათურის მანგანუმის მადნებში, რომლიდანაც მისი ამოღების ტექნოლოგია ჯერ კიდევ არ არის დამუშავებული.

მოლიბდენის გამოვლინებები გვხვდება ზემო რაჭაში (კარობის საბადო) და სამხრეთ საქართველოში (ღართი). ვოლფრამის დამოუკიდებელი საბადო კი საქართველოში ცნობილი არ არის, მაგრამ მისი პერსპექტიული გამოვლინებები გვხვდება ძირითადად ზემო რაჭაში და დაკავშირებულია ანთიმონიტთან.

სამთამადნო ნედლეულიდან ცნობილია ბენტონიტური და ცეცხლგამძლე თიხები – გუმბრის, ასკანის, ყუმისთავის, შროშის და სხვა საბადოები, რომლებიც შეიცავს ბენტონიტურ თიხებს საერთო მარაგით 131,8 მლნ ტონა, ხოლო შროშის საბადო – ცეცხლგამძლე თიხებს.

საქართველოში არსებობს მეტალურგიისათვის საჭირო ნედლეული-დოლომიტები, საფლუსე კირქვები და საყალიბე ქვიშები. დოლომიტების 2 საბადოზე (აბანოს და ტყვარჩელის) დამტკიცებული მარაგები 40 მლნ ტ-ზე მეტია. საფლუსე კირქვები მოიპოვება აბანოს, დედოფლისწყაროს და ჭიშურის, ხოლო საყალიბე ქვიშები – საფარისღელის საბადოებზე.

საქართველოში არსებული ქიმიური ნედლეულიდან, პირველ რიგში, აღსანიშნავია ბარიტის, კალციტის და ცეოლიტის მარაგები, რომლებიც ძირითადად განლაგებულია ჩორდის, ხაიშის, მადნეულის, დავით გარეჯისა და აფშრის საბადოებზე. ბარიტის საერთო მარაგი 8,3 მლნ ტ-ს შეადგენს. კალციტს შეიცავს მექვენის, ღვედის და საბერიოს საბადოები, რომელთა საერთო მარაგი 1990 წლის 1 იანვრისათვის 10 მლნ ტონას აჭარბებდა, ხოლო ცეოლითი მოიპოვება თეძამისა და ძეგვის საბადოებზე. მათი საერთო მარაგი თითქმის 22 მლნ ტონაა.

საქართველოს აქვს კერამიკული ნედლეული – კაოლინი, თიხები, რიოლიტები, ტრაქიტები, პეგმატიტები. კერძოდ, ცნობილია თიხების 3 (ჯვარისის კაოლინების, პერევის და ზოვრეთის თიხები), რიოლიტების, ტრაქიტების (ციხისუბნის) და პეგმატიტის (შროშის) თითო საბადო.

კვარც-მინდვრისშპატიანი ქვიშები გამოიყენება მინის ტარის საწარმოებლად. ბალანსზე ირიცხება მისი ორი საბადო – ბაჯითისა და ქროლის.

არალითონური წიაღისეული მარაგებიდან აღსანიშნავია: ტალკი, ქალცედონი და სპონგოლიტები, მინერალური საღებავები, ლითოგრაფიული ქვები, მჟავაგამძლე ანდეზიტები, ჩამოსასხმელი ბაზალტი, შახტების შემვსები მასალები, დიატომიტი.

ტალკის მარაგი ცნობილია ზნაურის რაიონში (თეთრი მინდორის, ქვაშავის, უწლევისა და ჩეშორის საბადოები) 2,5 მლნ ტ-ის ოდენობით. ქალცედონი და სპონგოლიტები მოიპოვება აჯამეთის საბადოზე. ამ უკანასკნელის მარაგი შეადგენს 16,1 მლნ კუბ.მ-ს, ხოლო ქალცედონისა-3,5 მლნ ტონას. მინერალური საღებავების გამოვლინება საქართველოში მრავალია, მათგან დეტალურად შესწავლილია მათხოჯი-უძლოურის საბადო. ლითოგრაფიული ქვები მოიპოვება ალგეთის საბადოზე. მარაგი შეადგენს 140 ათას კუბ.მ-ს. მჟავაგამძლე ანდეზიტებია ბაკურიანის საბადოზე, მარაგი 13,1 მლნ კუბ.მ.-ია. ჩამოსასხმელი ბაზალტი ირიცხება სათაფლიისა და პერევისის საბადოებზე. შახტების შემვსები მასალები მოიპოვება ტყიბულის, ნაქერალასა და მახაროულის საბადოებზე, დიატომიტისა – ქისათიბის საბადოზე.

საქართველო მდიდარია სამშენებლო მასალებით, მათ შორისაა საცემენტე მასალა, კვარც-მინდვრისშპატიანი და სხვა ქვიშები, ცარცი, გაჯი, სასახურავე ფიქლები, კერამზიტული თიხები, პერლიტი, სააგურე თიხები, საკირე კირქვები, მასაპირკეთებელი მასალა, მათ შორის მარმარილო, საკედლე ქვები, სამშენებლო ქვიშა და ღორღი, სამშენებლო ქვები.

აგრონომიული ნედლეულიდან აღსანიშნავია ფოსფორიტები, აპატიტები, მერგელები, ტორფი და სხვ.

სანაკეთო ქვებიდან – აქატი, ონიქსი, გიშერი, მთის ბროლი.

ჰიდრომინერალური რესურსებიდან – მტკნარი, მინერალური, სამრეწველო წყლები.

საქართველოში წიაღისეული საბადოების ზოგიერთი სახეობის მარაგის შესახებ იხილეთ ცხრილი 5.

საქართველოს კარგი შესაძლებლობები აქვს მსუბუქი და კვების მრეწველობის განვითარებისთვის. არსებობს სანედლეულო ბაზა ხის დამმუშავებელი მრეწველობის

განვითარებისთვის. საკმარისია ითქვას, რომ საქართველოში, 1990 წლის მონაცემებით, ყოველწლიურად მზადდებოდა 155 ათასი მკვრივი კუბ.მ სამასალე მერქანი და 551 ათასი კუბ.მ დახერხილი ხე-ტყე, საშუალოდ იწარმოებოდა აგრეთვე 6,4 ათასი ტონა მატყლი. სამკერვალო მრეწველობის მოთხოვნა აბრეშუმის, ბამბეულისა და შალის ქსოვილებზე ძირითადად ადგილობრივი წარმოების პროდუქციით კმაყოფილდებოდა. იგივე შეიძლება ითქვას ტყავზე, რომელიც ფეხსაცმლის წარმოებაზე მოთხოვნას აკმაყოფილებდა.

ცხრილი 5

საქართველოს წიაღისეული საბადოების ზოგიერთი სახეობის მარაგი[10]

ათასი ტონა

წიაღისეულის დასახელება	**მარაგი**
მანგანუმის მადანი, სულ	284261
მათ შორის, ჭიათურის საბადო	176000
სპილენძი	2095,93
ტყვია	379,01
თუთია	982,08
დარიშხანის მადანი	1829,6
ბარიტი	8325,94
ბენტონიტი	131800
ტალკი	2458
ცეოლითი	21902
ანდეზიტი	22080
ლითოგრაფიული ქვა	505,3
მოსაპირკეთებელი და საშენი ქვები	1513686,25
გლაუბერის მარილი	1152,5
კალციტი	4232,3

კვების მრეწველობას საქართველოში კვლავაც აქვს განვითარების დიდი პოტენციალი. კერძოდ, შეიძლება გაიზარდოს კვების მრეწველობის ისეთი ტრადიციული პროდუქციის, როგორიცაა: მინერალური წყლების ჩამოსხმა, ხილ-ბოსტნეულის კონსერვების (წვენები, ჯემები, მურაბები; კაკლის, ლეღვის ხილფაფები და კომპოტები), ეთერზეთების, უალკოჰოლო სასმელებისა (ლაღიძის წყალი) და ა.შ. წარმოება. შეიძლება აგრეთვე ჩაის მრეწველობის აღორძინება. ყოველივე ამისთვის არის შესაფერისი ბუნებრივი კლიმატური პირობები, სანედლეულო ბაზის გადიდების შესაძლებლობა, შემორჩენილია კვალიფიციური კადრები, ტრადიციები და სხვ.

ამრიგად, საქართველოში მრეწველობის განვითარებისთვის დიდი პოტენციური შესაძლებლობებია, რაშიც მკითხველი კიდევ უფრო დარწმუნდება ამ თავის მომდევნო შემადგენელი ნაწილის – ენერგეტიკის, როგორც ქვეყნის ეკონომიკის განვითარების სისხლ-ძარღვოვანი სისტემის, გაცნობით.

[10] **თვალჭრელიძე ა., სილაგაძე ა.** და სხვ. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა. თბილისი, გამომცემლობა „ნეკერი“, 2011, გვ. 38-62.

ენერგეტიკა

საქართველოში, მეტ-ნაკლები რაოდენობით, ენერგეტიკული რესურსის თითქმის ყველა სახეა. განსაკუთრებით აღსანიშნავია: ჰიდროენერგორესურსები, ნავთობი, გაზი, ნახშირი (ქვანახშირი, მურა ნახშირი), ასევე ენერგიის არატრადიციული წყაროები და სხვ. ქვეყანაში არის წყალბადის ენერგეტიკის გამოყენების შესაძლებლობაც.

ელექტროენერგეტიკა. საქართველოს სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის წამყვანი დარგია ელექტროენერგეტიკა, რომლის განვითარების დონით განისაზღვრება ქვეყნის ელექტრიფიკაციის ხარისხი და მისი გავლენა ეკონომიკის ნებისმიერ სფეროზე.

საქართველოს ელექტროენერგეტიკაში სერიოზული ძვრები XX საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო. 1961-1980 წლებში აშენდა და ექსპლუატაციაში შევიდა ისეთი მნიშვნელოვანი ელექტროსადგურები, როგორებიცაა: თბილსრესი, ენგურჰესი, ვარციხეჰესის სამი საფეხური და სხვ. 1980 წლის ბოლოს საქართველოში ელექტროსადგურების დადგმულმა სიმძლავრემ 4155 მგვტ-ს, ხოლო ელექტროენერგიის გამომუშავებამ 14687,4 მლნ კვტ.სთ-ს მიაღწია, რაც 1960 წლის დონეს, შესაბამისად, 4,3 და 4-ჯერ აღემატებოდა.

1981-1990 წლებში საქართველოში, წინა წლებთან შედარებით, შეფერხდა ელექტროენერგეტიკის განვითარება, ელექტროსადგურების სიმძლავრე მხოლოდ 8,8%-ით გაიზარდა, ხოლო ელექტროენერგიის წარმოება 3,1%-ით შემცირდა. თუმცა ამ პერიოდში ექსპლუატაციაში შევიდა ჟინვალჰესი (1985 წ.), ვარციხეჰესის მეოთხე აგრეგატი (1988 წ.), თბილსრესის მე-9 ენერგობლოკი 300 მგვტ სიმძლავრით. 1989 წელს საპროექტო ნიშნულს მიაღწია ენგურჰესის თაღოვანმა კაშხალმა, რომელმაც, გარკვეულწილად, გაზარდა მისი გამომუშავება. რეკონსტრუქცია-გაფართოების სამუშაოები ჩატარდა ტყვარჩელის რაიონულ თბოელექტროსადგურში. თუ 1960 წლამდე საქართველოს ელექტროენერგეტიკა ძირითადად ჰიდროელექტროსადგურების ხარჯზე ვითარდებოდა, მომდევნო წლებში სურათი შეიცვალა – ენერგოსისტემაში წამყვანი ადგილი თბოელექტროსადგურებმა დაიკავა. 1965 წელს მათზე მოდიოდა დადგმული სიმძლავრის 50,9% და ელექტროენერგიის გამომუშავების 53,8%. 1970 წელს, პირველად საქართველოს ისტორიაში, ელექტრობალანსი დადებითი იყო და განხორციელდა ელექტროენერგიის ექსპორტი, ნამატმა კი მაქსიმუმს 1980 წელს მიაღწია (1743,8 მლნ კვტ.სთ). ამ დროისათვის საქართველოს ელექტროენერგეტიკის სიმძლავრეთა სტრუქტურაში თბოსიმძლავრეებს ეჭირა 38,4%, ხოლო ჰიდროელექტროსადგურებს - 61,6%. ელექტროენერგიის გამომუშავების მიხედვით ჰესებზე მოდიოდა 43,6%, თბოსადგურებზე - 56,4%.

1981-1990 წლებში საქართველოში ელექტროენერგიის მოხმარება, წინა წლებთან შედარებით, სწრაფად იზრდებოდა – წლიურად საშუალოდ 500 მლნ კვტ.სთ-ით, შესაბამისად, იზრდებოდა ელექტროენერგიის დეფიციტიც. 1988 წელს საქართველოს, მთელი ისტორიის მანძილზე, დააკლდა სარეკორდო რაოდენობის ელექტროენერგია - 3,6 მლრდ კვტ.სთ, 1990 წელს კი მხოლოდ 81,6%-ით დაკმაყოფილდა მოთხოვნა.

მდგომარეობას ამწვავებდა ის გარემოებაც, რომ მთლიანად სამხრეთ კავკასიის რეგიონი, ამ მხრივ, დეფიციტური აღმოჩნდა. 1988 წელს საქართველომ, სომხეთმა და აზერბაიჯანმა გამოიმუშავეს 53,4, ხოლო მოიხმარეს 53,5 მლრდ კვტ.სთ ელექტროენერგია. საერთო დეფიციტი კი მთლიანად საქართველოს ენერგოსისტემით იყო განპირობებული. ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა სომხეთის ატომური ელექტროსადგურის გაჩერების შემდეგ (1989 წ.).

საქართველოში, გარდა იმისა, რომ შეფერხდა ახალი ელექტროსადგურების ამოქმედება, იმავე წლებში დაეცა არსებულ სიმძლავრეთა გამოყენების დონეც, გაუარესდა ელექტროენერგიის მოხმარების დინამიკა და სტრუქტურა.

1990-1997 წლებში საქართველოში ელექტროენერგიის გამომუშავება შემცირდა ჰესებში 20,4%-ით, თესებში – 6-ჯერ. ამიტომ საწარმოებში შემოღებულ იქნა იძულებითი შეზღუდვები ელექტროენერგიის მოხმარებაში. ამავე წლებში ელექტროენერგიის მთლიანმა მოხმარებამ 2,3-ჯერ მოიკლო, მათ შორის მრეწველობაში შემცირდა 8,8-ჯერ, ტრანსპორტზე – 5,2-ჯერ. იგივე ტენდენცია იყო სოფლის მეურნეობაში, მშენებლობაში, კომუნალურ მეურნეობასა და ა.შ. აღნიშნულ პერიოდში ელექტროენერგიის მოხმარების ზრდა შეინიშნებოდა მხოლოდ მოსახლეობაში. 1997 წელს მოსახლეობამ მოიხმარა 2,5 მლრდ კვტ.სთ ელექტროენერგია, რაც 1,5-ჯერ მეტი იყო, ვიდრე ერთად აღებული მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტზე, მშენებლობასა და კომუნალურ მეურნეობაში.

საქართველოს ელექტრობალანსისთვის დამახასიათებელი იყო აგრეთვე დანაკარგების შედარებით მაღალი ხვედრითი წონა. მაგალითად, 1990 წელს, საერთო სარგებლობის ქსელში „დაიკარგა“ 2,6 მლრდ კვტ.სთ ანუ ქვეყანაში მოხმარებული მთელი ელექტროენერგიის 15,1% და წარმოებული ელექტროენერგიის 18,6%. შემდგომ წლებში დანაკარგების წილი კიდევ უფრო გაიზარდა და 1994 წელს, შესაბამისად, 31,3 და 35,4% შეადგინა. ასეთ პირობებში საქართველოს ენერგოსისტემა იძულებული იყო ემუშავა არასტანდარტულ და ავარიულ ზღვარზე დასული პარამეტრებით. ეს კი დამანგრევლად მოქმედებდა სისტემის მოწყობილობა-დანადგარებზე. ქვეყნის ელექტროენერგეტიკა ახალი ურთულესი სიძნელეების წინაშე დადგა. საჭირო სახსრების უქონლობის გამო, თითქმის შეწყდა ენერგოობიექტების სარემონტო სამუშაოები და გაძნელდა ელექტროსადგურების საწვავით მომარაგება. ვერ ხერხდებოდა ელექტროენერგიაზე მოთხოვნის მართვა. უკიდურესად მოუწესრიგებელი იყო ელექტროენერგიის აღრიცხვისა და მისი მოხმარების საფასურის ამოღება, მეტისმეტად გაიზარდა ელექტროენერგიის დანაკარგები. არსებული სიმძლავრეები სრულად არ გამოიყენებოდა. 1995 წლის დასაწყისში საქართველოში ყველა სახის ელექტროსადგურის ჯამური სიმძლავრე 4800 ათას კვტ-ს შეადგენდა, მაშინ როდესაც მუშა მდგომარეობაში იყო მხოლოდ 1800 ათასი კვტ, ანუ 28,7%. ენერგეტიკულმა კრიზისმა პიკს მიაღწია. სახეზე იყო ეკონომიკური დესტაბილიზაცია, დარგში აღმასრულებელი დისციპლინის მოშლა, ენერგეტიკული ობიექტების ძარცვა, კვალიფიციური კადრების გადინება და სხვა ნეგატიური მოვლენები.

ბუნებრივი გაზის მიწოდების შეწყვეტამ ელექტროენერგეტიკას დააკისრა ელექტროენერგიით შენობების გათბობის, საკვების მომზადებისა და ცხელი წყლით მოსახლეობის უზრუნველყოფის ფუნქციები, ასევე ზოგიერთი საწარმოს (განსაკუთრებით პურის ქარხნებსა და უზომოდ მომრავლებულ საცხობებში) ტექნოლოგიურ ციკლში ელექტროენერგიით სათბობის ჩანაცვლება. ელექტროენერგიის მომხმარებლები გადახდისუუნარონი აღმოჩნდნენ. საწარმოების მხრიდან მოთხოვნა ენერგიაზე მკვეთრად შემცირდა, ხოლო მოსახლეობის მხრიდან, პირიქით – მკვეთრად გაიზარდა. ელექტროენერგია განურჩევლად მიეწოდებოდა ყველას – გადამხდელებსა და არგადამხდელებს. დარგის შემოსავლები 15-20%-ის ფარგლებში მერყეობდა, რის გამოც, შეყოვნდა, ხშირ შემთხვევაში კი მთლიანად შეწყდა ენერგეტიკული ობიექტების კაპიტალური და მიმდინარე რემონტი, ახალ სიმძლავრეთა ამოქმედება, მუშა-მოსამსახურეებზე ხელფასის გაცემა. დარგს, ფაქტობრივად, დაეკისრა სოციალური უზრუნველყოფის ფუნქცია. სამრეწველო საწარმოები, რომლებიც ინერციით განაგრძობდნენ ფუნქციონირებას, მოძველებულ და ენერგოტევად ტექნოლოგიებს იყენებდნენ. ასეთი საწარმოებისთვის ელექტროენერგიის მიწოდება არაკონკურენტუნარიანი საქონლის წარმოების იძულებით ხელშეწყობად იქცა. ამის შედეგად დიდ ზარალს განიცდიდა არა მარტო დარგი და მომხმარებელი, არამედ მთლიანად ქვეყანა, გროვდებოდა ვალები, რომელთა უმეტესობა მომავალში შეიძლებოდა ტარიფში ასახულიყო.

ელექტროენერგეტიკის მწვავე კრიზისს თან ერთვოდა სახელმწიფოს მხრიდან არგადამხდელებისადმი შემწყნარებლური მიდგომა და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ენერგიაზე ფასწარმოქმნის არასწორი პოლიტიკა. მომხმარებელს ელექტროენერგია ხელოვნურად შემცირებული ტარიფით მიეწოდებოდა. 1995 წლის ზამთარში საქართველოს მთავრობამ თურქეთისაგან სესხად მიიღო ელექტროენერგია იმ პირობით, რომ ზაფხულის თვეებში დაუბრუნებდა 1,7-

ჯერ მეტი ოდენობით ან გადაუხდიდა საფასურს – მაღალი ძაბვის ყოველი კვტ.სთ-თვის 7,0 ცენტს. საოცარი ის იყო, რომ მაშინ საქართველოს მოსახლეობა დაბალი ძაბვის კვტ.სთ-ში იხდიდა მხოლოდ 25 ათას კუპონს ანუ, მაშინდელი კურსით თუ ვიმსჯელებთ, 3,6-ჯერ ნაკლებს.

ელექტროენერგეტიკის განვითარება აუცილებლად ითხოვდა რადიკალური ეკონომიკური რეფორმის გატარებას, რომლის განხორციელება 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაიწყო. კერძოდ, „საქენერგო“ დანაწევრდა ჰორიზონტალურ ურთიერთობაში მყოფ დამოუკიდებელ საწარმოებად (გენერაცია, გადაცემა-დისპეტჩერიზაცია, განაწილება). ერთმანეთისაგან გაიმიჯნა ძირითადი ფუნქციების შემსრულებელი პირები: შეიქმნა სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო, რომელსაც დაევალა დარგში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მისი განხორციელების კოორდინაცია. მესაკუთრის ფუნქცია დაეკისრა სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს, ოპერატიულ-სამეურნეო საქმიანობის წარმართვა კი თავად ენერგეტიკულ საწარმოებს. ამ გარდაქმნებით მომზადდა საფუძველი ენერგეტიკული საწარმოების განსახელმწიფოებრივებისათვის. საქართველოს ენერგეტიკაში ეკონომიკურ გარდაქმნათა რთული პროცესის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი იყო 1997 წელს ელექტროენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) შექმნა.

1999 წლის 1 ივლისიდან ამოქმედდა ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი (2006 წლის 1 სექტემბრიდან – ელექტროსისტემის კომერციული ოპერატორი). დაიწყო პრივატიზების პროცესი: აშშ-ის კომპანია აეს-თან 1998 წლის ბოლოს გაფორმდა „თელასის“ აქციათა 75%-ის ნასყიდობის ხელშეკრულება. ამ კუთხით აღსანიშნავია აგრეთვე „თბილსრესის“ მე-9 და მე-10 ენერგობლოკების პრივატიზება, ასევე „ხრამი-1“ და „ხრამი -2“ ჰესების გრძელვადიან მართვაში (25 წელი) გადაცემა. მოხდა ელექტროგამანაწილებელი სხვა ობიექტების პრივატიზებაც.

მიუხედავად ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელებისა, საქართველოში ელექტროენერგიით მომარაგება 2007 წლამდე არ გაუმჯობესებულა. პირიქით, 2001-2005 წლებში იგი შემცირდა კიდეც 4,6%-ით. ცხადია, გამომუშავება მცირდებოდა ცალკეულ ელექტროსადგურებშიც, მათ შორის ისეთ მსხვილ სადგურებშიც, როგორებიცაა: ენგურჰესი, ვარდნილჰესი, ლაჯანურჰესი, ხრამჰესი 2, თბილსრესი და ა.შ. მაგალითად, 2000-2005 წლებში მათში ელექტროენერგიის გამომუშავება შესაბამისად, 6, 12,8, 35,6, 54,6 და 32,2%-ით შემცირდა.

ელექტროენერგიის გამომუშავების რეკორდული შემცირება აღინიშნა 2001 წელს, როცა იგი 6942 მლნ კვტ.სთ-მდე დაეცა. ეს კი დაახლოებით 1967 წლის დონე იყო. ამ მხრივ, ქვეყანამ 38 წლით უკან დაიხია.

2000-2005 წლებში ჰესებში გამომუშავების შემცირება განპირობებული იყო ძირითადად ჰიდროაგრეგატების გაუმართაობით. კერძოდ, 2005 წელს 17 თვის განმავლობაში გაჩერებული იყო ხრამჰესი 2. ლაჯანურჰესის არასტაბილური მუშაობის გამო ენერგოსისტემამ ვერ მიიღო დაახლოებით 200 მლნ კვტ.სთ ელექტროენერგია. სულ ჰიდროაგრეგატების ავარიულად გაჩერების (ვარდნილჰესის 1, 2, 3, ვარციხეჰესის 2 და 5, შაორჰესის ოთხივე, გუმათჰესის 3 აგრეგატის) და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა (ენგურჰესის კაშხალის ფარები და სხვ.) გაუმართაობის გამო, ჰესებში უქმად დაღვრილი წყლის ენერგია 1 მლრდ კვტ.სთ-ს აღემატებოდა.

თბოელექტროსადგურების გამომუშავების ზრდა განაპირობა სს „მტკვარი-ენერგეტიკის“ მე-9 ენერგობლოკის შედარებით სტაბილურმა მუშაობამ და თბილსრესის მე-3 ენერგობლოკის ამუშავებამ.

ელექტროენერგიის იმპორტი 2005 წელს გაიზარდა 16,7%-ით. იგი განხორციელდა რუსეთისა და სომხეთის ენერგოსისტემებიდან, რამაც, შესაბამისად, 732,9 და 475,4 მლნ კვტ.სთ შეადგინა. დარგის შედეგებზე აღნიშნულ პერიოდში უარყოფითად იმოქმედა წყლის არარაციონალურმა გამოყენებამ. მაგალითად, 2005 წლის 1 იანვრისათვის მარეგულირებელი ჰესების წყალსაცავებში დაგეგმილი იყო 502 მლნ კვტ.სთ ელექტროენერგიის ეკვივალენტური წყლის მარაგის დაგროვება. ფაქტობრივად, ამ პერიოდისათვის იყო 277,07 მლნ კვტ.სთ-ის ეკვივალენტური წყალი, ანუ გეგმის 55%.

ელექტროსადგურების ტექნიკური მდგომარეობა ზოგადად შეიძლება შეფასდეს შემდეგი მონაცემებით: 4600 მგვტ მთლიანი დადგმული სიმძლავრიდან 2005 წლის ბოლოსათვის ჯამურმა მუშა-სიმძლავრემ 1766 მეგვტ შეადგინა ანუ მხოლოდ 38,4%. მონაცემებიდან ჩანს, რომ ამ პერიოდში ელექტროენერგიის წარმოების ობიექტების ტექნიკური მდგომარეობა საგანგაშო იყო. ეს კი აღრმავებდა ელექტროენერგიის დეფიციტს, ზრდიდა საშუალოშეწონილ ტარიფებს, ამცირებდა სახელმწიფო ბიუჯეტში შენატანებს, რაც უარყოფითად მოქმედებდა ქვეყნის ეკონომიკაზე.

საქართველოში წარმოებული ელექტროენერგიის სტრუქტურაში მნიშვნელოვანია ენგურჰესის წილი. 2010 წელს მისმა გამომუშავებამ 4270 მლნ კვტ.სთ შეადგინა. სადგურის ხუთი აგრეგატიდან (დადგმული სიმძლავრე 1300 მგვტ) მოქმედებაშია ოთხი – 920 მგვტ მუშა-სიმძლავრით. ენგურის კასკადის ოთხი ვარდნილჰესიდან ექსპლუატაციაშია მხოლოდ ერთი, რომლის 210 მგვტ დადგმული სიმძლავრიდან მუშა-სიმძლავრე 110 მგვტ-ს შეადგენს. ვარდნილჰესის დანარჩენი სამი აგრეგატი – II, III, IV მთლიანად დატბორილი და გაჩერებულია, მაშინ როდესაც, სპეციალისტების შეფასებით, აღნიშნულ სადგურებს შეეძლოთ წლიურად საშუალოდ გამოემუშავებინათ 1 მილიარდ კვტ.სთ–ზე მეტი იაფი ელექტროენერგია.

საქართველოში 2000-2010 წლებში ელექტროენერგიის წარმოების შესახებ წარმოდგენას იძლევა ცხრილი 6.

ცხრილი 6

ელექტროენერგიის წარმოება საქართველოში 2000-2010 წლებში[11]

(მლნ კვტ.სთ)

წლები	**წარმოება, სულ**	**მათ შორის**	
		ჰესებში	**თესებში**
2000	7446,0	5905,6	1540,4
2001	6942,0	5571,5	1370,5
2002	7045,6	6532,1	513,5
2003	7163,0	6527,9	635,1
2004	6706,0	5892,8	813,2
2005	7100,6	6070,0	1030,6
2006	7425,4	5321,6	2103,8
2007	8169,5	6724,5	1445,0
2008	8279,1	7053,6	1225,5
2009	8407,7	7417,0	990,7
2010	10100,0	9300,0	800,0

ცალკეული კომპანიებიდან ელექტროენერგიის მოხმარება შემცირდა: თელასში – 4,2%-ით, კახეთის დისტრიბუციაში – 7,2, „ენერგო–პრო ჯორჯიაში“ – 3,8 %–ით. ამ კომპანიებში ელექტროენერგიის მოხმარებამ 2007 წელს, შესაბამისად, 1995,8, 212,7 და 2448,4 მლნ კვტ.სთ შეადგინა.

2007 წელს საქართველოდან ელექტროენერგიის ექსპორტმა შეადგინა: რუსეთში – 300,3 მლნ კვტ.სთ (მთლიანი რაოდენობის 48,1%), თურქეთში – 215,6 (34,4%), აზერბაიჯანში – 109,6 მლნ კვტ. სთ (17,5%). იმპორტირებული ელექტროენერგია მივიღეთ: რუსეთიდან 176,9 მლნ კვტ.სთ (მთლიანი რაოდენობის 40,8%), აზერბაიჯანიდან – 107,4 (24,8%), თურქეთიდან – 149,0 მლნ კვტ.სთ (34,4%).

აღსანიშნავია, რომ 2007 წელს აფხაზეთს მიეწოდა 1255,3 მლნ კვტ.სთ ელექტროენერგია, რომელიც 2006 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 6,2 %–ით მეტი იყო.

[11] საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მონაცემები.

კვლავ უდეფიციტოდ იმუშავა საქართველოს ელექტროენერგეტიკამ 2008-2010 წლებში. მაგალითად, 2009 წელს, მოხმარებასთან შედარებით, წარმოებულ იქნა 638 მლნ კვტ.სთ-ით, ანუ 8,3%-ით მეტი ელექტროენერგია, ხოლო ენერგიის ექსპორტმა იმპორტს თითქმის 3-ჯერ გადააჭარბა. 2008 წელთან შედარებით, ელექტროენერგიის დანაკარგები შემცირდა 30,3 მლნ კვტ.სთ-ით, გაუმჯობესდა ჰიდროელექტროსადგურების გამოყენების დონე, კერძოდ, 2009 წელს ჰესებში გამომუშავებულ იქნა 363,4 მლნ კვტ.სთ-ით მეტი ელექტროენერგია, ვიდრე 2008 წელს. რაც შეეხება თბოელექტროსადგურებს, 2009 წელს წარმოებულ იქნა 990,7 მლნ კვტ.სთ ელექტროენერგია, რაც 19,2%-ით ანუ 235,5 მლნ კვტ.სთ-ით ნაკლებია 2008 წლის შესაბამის მაჩვენებელზე. ამან ბუნებრივი გაზის მნიშვნელოვანი რაოდენობის ეკონომია უზრუნველყო. ამ მხრივ, განსაკუთრებით გამორჩეულია 2010 წელი, როდესაც ელექტროენერგიის წარმოებამ 10 მლრდ კვტ.სთ-ს გადააჭარბა (აქედან, 9,3 მლრდ ჰიდროელექტროსადგურებზე მოდიოდა). ამ წელს შესრულდა დიდი მოცულობის სამუშაოები: დაიწყო ფარავნისა და ლუხუნის ჰესების მშენებლობა, ხოლო 5 ჰესის მშენებლობაზე ინვესტორებთან გაფორმდა შესაბამისი მემორანდუმები. თანმიმდევრულად ხორციელდება მომხმარებელთა ინდივიდუალური გამრიცხველიანობა, რომელიც დიდი ხანია ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა საქართველოში. 2010 წელს ინდივიდუალური მრიცხველი დაედგა 154 ათას აბონენტს, მათ შორის, 128 ათასი – „ენერგო-პრო ჯორჯიას“ და 26 ათასი – კახეთს. გრძელდება სამუშაოები ჰიდროენერგეტიკული რესურსების შემდგომი ათვისებისათვის, მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობისათვის.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, საქართველოში ჰიდროენერგორესურსების გამოყენების დონე ჯერჯერობით კვლავ დაბალია. 2010 წელს საქართველოს ჰესებმა გამოიმუშავეს 9,3 მლრდ კვტ.სთ ელექტროენერგია, რომელიც მისი ტექნიკური შესაძლებლობების 13,7%-ს და ეკონომიკური ჰიდრორესურსების 29,1%-ს შეადგენს.

საქართველო მდიდარი ჰიდროენერგორესურსებით გამორჩეული ქვეყანაა მსოფლიოში. ჩვენი მდინარეები შეიცავს უზარმაზარი სიდიდის ჰიდრავლიკურ ენერგიას და, გარკვეულწილად, ავსებს სათბობის ნაკლებობას ქვეყანაში.

საქართველოში მძლავრი ჰიდროენერგორესურსების არსებობა უშუალოდ დაკავშირებულია მის მთიან რელიეფთან. კავკასიონისა და მცირე კავკასიონის ქედიდან გამომდინარე წყლის ნაკადები, მკვეთრი ვარდნის გამო, მოკლე მანძილზე ჰიდროენერგიის მძლავრ მარაგს ქმნიან. ეს განსაკუთრებით ეხება დასავლეთ საქართველოს.

ჯერჯერობით კვლავ დღის წესრიგში დგას ქვეყანაში ენერგოეფექტიანობის ამაღლების პრობლემა. ენერგიის როგორც წარმოებაში, ისე მოხმარებაში გამოიყენება მოძველებული ტექნოლოგიები. ამის გამო საქართველოში პროდუქციის ელექტროტევადობა გაცილებით მაღალია, ვიდრე მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ელექტროენერგიის წარმოებაზე დიდია სათბობის ხვედრითი ხარჯი თბოელექტროსადგურებში.

სხვადასხვა სუბიექტურ და ობიექტურ მიზეზთა გამო საქართველო დიდად ჩამორჩება ბევრ ქვეყანას, მათ შორის ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს მოსახლეობის 1 სულზე ელექტროენერგიის როგორც წარმოების, ისე მოხმარების მხრივ. ქვეყანაში არსებული ეკონომიკური ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის მხოლოდ სანახევროდ ათვისების პირობებშიც კი, შესაძლებელი იქნებოდა ჩამოთვლილი პრობლემების დიდი ნაწილის გადაწყვეტა.

ამჟამად, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მონაცემებით, მემორანდუმი ხელმოწერილია ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის 30 პროექტზე, ზოგიერთი კი უკვე რეალიზაციის პროცესშია. აღსანიშნავია, რომ 8 ჰიდროელექტროსადგურის (მტკვარი, არაგვი, ხობი-1, ხობი-2, ლუხუნი-1, ლუხუნი-2, ლუხუნი-3, ნენსკრა) მშენებლობას ახორციელებს ქართული კომპანიები. დანარჩენთა ინვესტორები არიან თურქეთის, ჩეხეთის, სამხრეთ კორეის, ინდოეთისა და ესტონეთის წარმომადგენლები. ინვესტიციათა მთლიანი რაოდენობა სავარაუდოდ 4,1 მლრდ აშშ დოლარია. ამ პროექტების რეალიზაცია საქართველოს ყოველწლიურად 9,5 მლრდ კვტ. სთ ელექტროენერგიას მისცემს (იხ. ცხრილი 7).

ცხრილი 7

ახალი საინვესტიციო პროექტები საქართველოს ელექტროენერგეტიკაში[12]

No	პროექტის დასახელება	კომპანია	ქვეყანა	დადგმული სიმძლავრე (მგვტ)	წლიური გამომუშავება (კგტ.სთ)	სავარაუდო ინვესტიცია (აშშ დოლარი)	მშენებლობის დაწყება	მშენებლობის დასრულება
	სულ			2,050	8,304	3,348,200,000		
1	ჭოროხი 1	Adjar Energy	თურქეთი	24.0	152	33,600,000	2012 იანვარი 01	2016 დეკემბერი 31
2	ჭოროხი 2	Adjar Energy	თურქეთი	24.0	152	33,600,000	2012 იანვარი 01	2016 დეკემბერი 31
3	ხელვაჩაური ჰესი	Adjar Energy	თურქეთი	22.4	144.1	31,360,000	2012 იანვარი 01	2016 დეკემბერი 31
4	კირნათი ჰესი	Adjar Energy	თურქეთი	14.4	96	20,160,000	2012 იანვარი 01	2016 დეკემბერი 31
5	ბახვი ჰესი	Bakhvi Hydro	ესტონეთი	6.0	35	9,700,000	2009 ივნისი 01	2011 ივნისი 01
6	მტკვარი ჰესი	Caucasus Energy and Infrastructure	საქართველო	43.0	200	65,000,000	2009 დეკემბერი 01	2015 სექტემბერი 01
7	ხუდონი ჰესი	Trans Electrica Ltd	ინდოეთი	702.0	1,500	700,000,000	2012 მარტი 30	2017 მარტი 30
8	არაგვი ჰესი	Energo Aragvi	საქართველო	8.0	50	11,000,000		+3 წელი*
9	ხობი ჰესი 1	Georgian Investment Group	საქართველო	46.5	247	81,000,000	2014 ნოემბერი 01	2017 ნოემბერი 01
10	ხობი ჰესი 2	Georgian Investment Group	საქართველო	39.5	223	65,000,000	2010 სექტემბერი 01	2014 აპრილი 01
11	ფარავანი ჰესი	Georgian Urban Energy (partner Anadolu Group)	თურქეთი	78.0	425	125,000,000	2009 ივლისი 24	2013 ივლისი 24
12	ნამახვანის კასკადი (ტვიში ჰესი)	KEPCO-Nurol-SK International	სამხრეთ კორეა-თურქეთი	100.0	403.5	250,000,000	2011 მე-2 ნახევარი	2017 მე-2 ნახევარი
13	ნამახვანის კასკადი (ნამახვანი ჰესი)	KEPCO-Nurol-SK International	სამხრეთ კორეა-თურქეთი	250.0	928	500,000,000	2011 მე-2 ნახევარი	2017 მე-2 ნახევარი
14	ნამახვანის კასკადი (ჟონეთი ჰესი)	KEPCO-Nurol-SK International	სამხრეთ კორეა-თურქეთი	100.0	346	250,000,000	2011 მე-2 ნახევარი	2017 მე-2 ნახევარი
15	ლუხუნი ჰესი 1	Rusmetali LLC	საქართველო	10.8	66.07	18,178,218	2015 მაისი 01	2019 დეკემბერი 01
16	ლუხუნი ჰესი 2	Rusmetali LLC	საქართველო	12.0	73.58	20,198,020	2010 აგვისტო 01	2014 დეკემბერი 01
17	ლუხუნი ჰესი 3	Rusmetali LLC	საქართველო	7.5	46.03	12,623,762	2020 მაისი 01	2024 დეკემბერი 01
18	ყვირილა ჰესი	Zoti Hydro	საქართველო-ჩეხეთი	5.2	22	11,611,650	2010 დეკემბერი 01	2015 დეკემბერი 01
19	ზოტი ჰესი	Zoti Hydro	საქართველო-ჩეხეთი	36.0	144	80,388,350	2010 დეკემბერი 01	2015 დეკემბერი 01
20	ნენსკრა ჰესი	Georgian Railway Construction Ltd	საქართველო	190.0	1400	500,000,000		
21	ტეხურის კასკადი (ნობულევი ჰესი)	Kolin Construction, Tourism, Industry and trading Co. Inc.	თურქეთი	25.7	100	33,000,000	2011 სექტემბერი 10	2013 აგვისტო 10
22	ტეხურის კასკადი (ცხიმრა ჰესი)	Kolin Construction, Tourism, Industry and trading Co. Inc.	თურქეთი	32.0	150	45,000,000	2011 სექტემბერი 10	2014 მაისი 10
23	ტეხურის კასკადი (ერჯია ჰესი)	Kolin Construction, Tourism, Industry and trading Co. Inc.	თურქეთი	27.0	130	37,000,000	2011 სექტემბერი 10	2014 მაისი 10
24	ტეხურის კასკადი (ლეჩხა ჰესი)	Kolin Construction, Tourism, Industry and trading Co. Inc.	თურქეთი	21.0	110	35,000,000	2011 სექტემბერი 10	2014 თებერვალი 10
25	ხუნევი ჰესი	Unal Insaat Ticaret A.S.	თურქეთი	11.0	62	19,780,000	2012 მარტი 21	2015 აგვისტო 21
26	ალპანა	Energo-Pro Georgia	საქართველო-ჩეხეთი	70.6	356.82	140,000,000	2011 ნოემბერი 1	2014 ნოემბერი 1
27	სადმელი	Energo-Pro Georgia	საქართველო-ჩეხეთი	97.0	465	165,000,000	2013 სექტემბერი 1	2019 იანვარი 1
28	არაკალი	Optimum Energy	თურქეთი	11.0	63.05	13,083,700	2012 მარტი 19	2014 აპრილი 19
29	აბული	Optimum Energy	თურქეთი	20.0	129.3	24,229,075	2012 მარტი 19	2014 აპრილი 19
30	ახალქალაქი	Optimum Energy	თურქეთი	15.0	85.38	17,687,225	2012 მარტი 19	2014 აპრილი 19

ნავთობი. შორეულ წარსულში სათავეს იღებს ქართული ნავთობის ისტორია. იგი გამოიყენებოდა საწვავად, სამკურნალოდ, განათებისთვის, სამეურნეო საქმიანობისა და საომარი მიზნებისათვის.

[12] www.minenergy.gov.ge

პირველი ცნობები საქართველოში ნავთობის მოპოვების თაობაზე, ჯერ კიდევ, ბერძნულ მითოლოგიაში გვხვდება. ლეგენდების თანახმად, ბერძნებს ნავთობი გაჰქონდათ კოლხეთიდან საწვავი ნარევის დასამზადებლად და საომარი მოქმედებების დროს იყენებდნენ. მას „ბერძნულ ცეცხლს“ უწოდებდნენ. ცნობილი მოგზაური მარკო პოლო, რომელიც 1286 წელს ჩინეთიდან ვენეციაში აღმოსავლეთის გზით ბრუნდებოდა, თავისი შთაბეჭდილებების წიგნში წერს: “სომხეთის ჩრდილოეთით ძევს გეორგიანა, ადგილი შესანიშნავი წყაროებით, რომლებიდანაც მოედინება ზეთის მაგვარი პეტროლიუმის სითხე და მას ხმარობენ არა საჭმელად, არამედ წვავენ ლამპებში და იყენებენ როგორც საკმაოდ სასარგებლო საშულებას ბევრი ავადმყოფობის დროს, ხოლო ეს წყაროები ისე სწრაფად მოედინება, რომ იმით ტვირთავენ აქლემებს და მიაქვთ მეზობელ რაიონებში”.[13]

XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე საქართველოში მცხოვრებნი ნავთობს ორმოებსა და ჭებში აგროვებდნენ და საყოფაცხოვრებო და სამეურნეო საჭიროებისათვის იყენებდნენ. ყველაზე ძველ საბადოებად ითვლება ნავთლუღის, შირაქისა და ელდარის ნავთობის წყაროები.

პირველი ცნობა შირაქისა და ელდარის ნავთობის შესახებ 1846 წლით თარიღდება, როდესაც ვინმე ისმაილ მაშად ოღლიმ განცხადებით მიმართა კავკასიის მეფისნაცვლის სამმართველოს, ნავთობის მოპოვების მიზნით ამ მიწების მისთვის გამოყოფის თაობაზე. საბადოებზე 1865 წელს მოქმედი 53 ჭიდან წელიწადში 785 ტონა ნავთობი მოიპოვეს. 1867-1878 წლებში შირაქისა და ელდარის ნავთობსარეწები ეკუთვნოდა პრუსიელ ვალტერ სიმენსს. 1869-1876 წლებში აქ გაიბურღა 122 ჭაბურღილი, რომელთა სიღრმე 8-65 მეტრის ფარგლებში ცვალებადობდა და მხოლოდ ერთი მათგანი აღწევდა 107 მეტრს. ჭაბურღილებიდან ნავთობი ტუმბოების საშუალებით ამოჰქონდათ. ამ წლებში მოიპოვეს 12,399 ტონა ნავთობი. სიმენსმა წითელწყაროში მოაწყო ფოტოგენის ქარხანა, სადაც გამოხდის პირველად პროდუქტს ნავთობი წარმოადგენდა. ქარხანაში მიიღებოდა ნავთი, ბენზინი და მძიმე ზეთები. შემდგომ წლებში პროდუქტების რაოდენობა გაიზარდა. იწარმოებოდა გაზოლი, ლიგროინი, სოლაინისა და მანქანის ზეთები, ხოლო ნარჩენებისაგან მზადდებოდა ასფალტი, ასფალტის ლაქი, ფისი, კოქსი და გუდრონი.

შირაქის, ელდარისა და მირზაანის საბადოების გარდა, სამხრეთ კახეთის ნავთობის წყაროებიდან ცნობილი იყო: ბაიდა, კაპიჩი, კიდურმა, ახტაპაბასიდა, ნაზამბარები.

1978 წელს გურიაში, სოფელ საღვთოს მახლობლად, ბურღვითი ოპერაციების შემდეგ ნავთობის შადრევანმა ამოხეთქა. შემდგომ პერიოდში საქართველოში დიდი ხნის განმავლობაში არაფერი შეცვლილა საბადოების ბურღვისა და ნავთობის მოპოვების ტექნიკის გასაუმჯობესებლად.

1930 წლის 7 იანვარს საქართველოში ჩამოყალიბდა ტრესტი “საქნავთობი”, რომელმაც თავის ხელში აიღო ნავთობის მრეწველობის გეოლოგიურ-საძიებო და საწარმოო-ტექნიკური სამუშაოები და განახორციელა ძველი ნავთობშემცველი რაიონების ღრმად შესწავლისა და ახალ საბადოთა აღმოჩენის სამუშაოები. გამოვლინდა ნავთობშემცველი უბნები კახეთში, ქართლში, იმერეთში, გურიასა და რაჭაში.

1933-1936 წლებში საქართველოში გაიბურღა 41885 მეტრი და აშენდა 38 ჭაბურღილი, რეკონსტრუქციის საფუძველზე ექსპლუატაციაში შევიდა მირზაანის მცირე ზომის ნავთობსახდელი ქარხანა. 1937 წელს, 1932 წელთან შედარებით, ნავთობის მოპოვება 36-ჯერ გაიზარდა. 1940 წლისათვის “საქნავთობის” სისტემის საექსპლოატაციო ფონდში უკვე 162 ჭაბურღილი ირიცხებოდა, შენდებოდა მირზაან-კაჭრეთის ნავთობსადენი.

II მსოფლიო ომის დაწყების გამო ღრმა საძიებო სამუშაოები შეწყდა ყველა უბანზე. საექსპლუატაციო ბურღვა მიმდინარეობდა მხოლოდ მირზაანისა და პატარა შირაქის საბადოებზე. ომის შემდეგ კვლავ განახლდა საძიებო ბურღვა მირზაანში, ნორიოში,

[13] **ხმალაძე გ., ხმალაძე ნ.** საქართველოს ნავთობმრეწველობა გარდამავალ პერიოდში. თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2002, გვ. 17.

კავთისხევში, მლაშისხევსა და სუფსაში, შემდეგ კი ლელუბან-ღვთაების, ჭალადიდის, ყულევის, ქვადონისა და პატარძეულის მოედნებზე. მაგრამ, მიუხედავად საბურღი სამუშაოების დიდი მოცულობისა, საძიებო სამუშაოთა ეფექტიანობა მაინც ძალზე დაბალი იყო. ამ გაბურღვების შედეგად არც ერთი ახალი საბადო არ აღმოჩენილა. 1954 წლიდან თითქმის შეწყდა საექსპლუატაციო გაბურღვა, რაც მხოლოდ 1965 წელს განახლდა.

მნიშვნელოვანი წარმატებები ნავთობის მოპოვების საქმეში მიღწეულ იქნა 1974 წლიდან. აღნიშნულ წელს გურიაში წყალწმინდის მოედანზე 42-ე ჭაბურღილის გამოცდისას 3600 მ სიღრმეზე განლაგებული ფენიდან დღე-ღამეში მიღებულ იქნა 150 ტონა ნავთობი, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში სამგორის საბადოზე მე-7 ჭაბურღილიდან რამდენიმე დღის შემდეგ ამოხეთქა ნავთობის შადრევანმა 123 ტონა საწყისი დებიტით დღე-ღამეში. ამ ორმა ფაქტორმა განაპირობა გეოლოგიურ-საძიებო და გეოფიზიკური სამუშაოების გაძლიერება.

1974 წლიდან მოყოლებული, თითქმის 10 წლის განმავლობაში, ნავთობის მოპოვება სულ უფრო იზრდებოდა. 1982 წელს მისი ამოღება რეკორდული იყო საქართველოს ისტორიაში (3 331 ათასი ტონა).

ნავთობის მოპოვება მომგებიანი გახდა. ეს ძირითადად განაპირობა სამგორ-პატარძეულის მაღალმწარმოებლური საბადოს ექსპლუატაციამ, საიდანაც ნავთობი შადრევნული წესით მოიპოვებოდა. ნავთობის მოპოვების ზრდამ განაპირობა სამგორი-გაჩიანის ნავთობსადენის მშენებლობა, სიგრძით – 22 კმ, რათა შეეერთებინა მაღალმწარმოებლური საბადო ბაქო-ბათუმის ნავთობსადენთან. მოგვიანებით აშენდა სამგორი-ბათუმის ახალი ნავთობსადენი, თუმცა, 1984 წელს ნავთობის მოპოვება მოულოდნელად შემცირდა. ეს განაპირობა სამგორი-პატარძეულის საბადოს ინტენსიურმა გაწყლოვანებამ, რისი მთავარი მიზეზიც ამ საბადოს პოტენციური შესაძლებლობების გადაჭარბებით შეფასება იყო.

ნავთობის მოპოვება საქართველოში 1990 წლამდე ხორციელდებოდა ოთხ ნავთობსარეწზე, რომელიც მოიცავდა ათ საბადოს და ორ სადაზვერვო მოედანს.

სამგორი-პატარძეულის საბადო 1974 წელს შევიდა დამუშავებაში. მისი მარაგი 22,2 მლნ ტონა იყო. ამ საბადოზე ნავთობის მაქსიმალური მოპოვება 1981 წელს 3,2 მლნ ტონას შეადგენდა. 1990 წელს ეს მაჩვენებელი 116 ათას ტონამდე შემცირდა.

სამგორის სამხრეთ გუმბათის საბადო გაიხსნა 1979 წელს. ბუდობის სიგრძე იყო 4,8, ხოლო სიგანე – 1,1 კმ. ამ საბადოზე 1990 წლისათვის ნავთობის მოპოვება შეადგენდა 32,5 ათას ტონას წელიწადში, ანუ 1983 წლის მაჩვენებლის მხოლოდ 15,9%-ს.

თელეთის საბადო გაიხსნა 1977 წელს. მისი სიგრძე შეადგენდა 6,7, ხოლო სიგანე 2,4 კმ-ს. ბუდობის ნავთობის მარაგი თანდათან შემცირდა, რისი მიზეზიც ჭაბურღილის ინტენსიური გაწყლოვანება იყო.

მირზაანის საბადო ექსპლუატაციაში 1930 წელს შევიდა. ამ საბადოზედაც ნავთობის მოპოვება თანდათან შემცირდა და 1995 წელს მაქსიმალური დებიტის მხოლოდ 8,2% შეადგინა, ფენების გაწყლოვანება კი 39%-ს შეადგენდა.

ნორიოს საბადოზე ნავთობის ამოღება 1939 წელს დაიწყო. აქ ნავთობის დებიტმა მაქსიმალური 20,7 ათასი ტონიდან 2,1 ათას ტონამდე დაიწია. გაწყლოვანება 57,0%-ს შეადგენდა.

საცხენისის საბადო ექსპლუატაციაშია 1956 წლიდან. 1990 წელს აქ მოიპოვებოდა მაქსიმუმის მხოლოდ 40% ანუ 1,1 ათასი ტონა ნავთობი.

პატარა შირაქის საბადო მოქმედებაშია 1932 წლიდან, თუმცა, ამ საბადოზე ნავთობის დებიტი მუდმივად მცირდებოდა და 1990 წლისათვის 8,9 ტონას შეადგენდა ანუ მაქსიმალურ დებიტზე 12,3-ჯერ ნაკლებს.

გარდაბნის საბადო მოქმედებაში შევიდა 1969 წელს. მისი სიღრმე 2300-2700 მეტრია. ნავთობის დებიტი ამ საბადოზე შედარებით სტაბილური იყო, გაწყლოვანება 21%-ს შეადგენდა.

ჭალადიდის საბადო ამუშავდა 1969 წლიდან 2000 მეტრის სიღრმეზე. 1979 წლიდან

ნავთობის მოპოვება თანდათან შემცირდა და 1990 წლისათვის 200 ტონა შეადგინა, ე.ი. 17,5-ჯერ შემცირდა. ამ საბადოზე გაწყლოვანება მაღალია – 57%. სუფსის საბადო 1939 წელს ამოქმედდა და ნავთობის დებიტი აქ შედარებით სტაბილურია.

რუსთავის საბადო საცდელ დამუშავებაშია 1983 წლიდან.

როგორც ჩანს, საქართველოს ნავთობის ყველა საბადოზე მოპოვებამ მკვეთრად იკლო. ყოველივე ეს, განსაკუთრებით კი ნავთობის მოპოვების სწრაფი შემცირება სამგორის საბადოზე, კატასტროფულად აისახა ეკონომიკურ მაჩვენებლებზე.

ძირითადი კაპიტალის გამოყენების დონე საქართველოს ნავთობმოპოვებაში 1980-1990 წლებში 26-ჯერ დაეცა, ხოლო შრომის მწარმოებლურობა თითქმის 15-ჯერ და მეტად შემცირდა. 1984 წლიდან დაწყებული მოგება სწრაფად მცირდებოდა და 1986 წელს ნავთობის მოპოვება არარენტაბელური გახდა.

ეკონომიკური მაჩვენებლების გაუარესება ძირითადად გამოწვეული იყო ობიექტური მიზეზით, რასაც ნავთობის მოპოვების თავისებურებები განაპირობებდა. მაგალითად, ამორტიზაციის ანარიცხები წარმოებდა მოწყობილობის პასპორტით განსაზღვრული ვადის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, მუშაობდა ჭაბურღილი თუ არა. ჭაბურღილის ექსპლუატაციიდან გამოსვლის შემთხვევაშიც კი, ამორტიზაციის ანარიცხების დარიცხვა მაინც ხდებოდა და ეს თანხა შედიოდა იმ პროდუქციის თვითღირებულებაში, რომელიც იწარმოებოდა სხვა ჭაბურღილებზე. საქართველოში კი ასეთი ჭაბურღილები მრავლად იყო, განსაკუთრებით 1988 წლამდე, კერძოდ, მანამდე, სანამ მთავრობის დადგენილებით არ მოხდა დიდი ოდენობის ძირითადი კაპიტალის ჩამოწერა. მაგრამ ამის შემდეგაც ნავთობის თვითღირებულების მაჩვენებელი მაინც მაღალი რჩებოდა. გარდა ამისა, ეკონომიკურ მაჩვენებლებზე მოქმედებდა გეოლოგიურ-ფიზიკური პარამეტრები, რომლებიც თანდათან გაუარესდა.

საქართველოს ტერიტორიაზე ნავთობის სადაზვერვო და საძიებო სამუშაოები 1930 წლიდან წარმოებს, განსაკუთრებით კი დიდი მოცულობით იწყება 1975 წლიდან და 1980 წლისათვის ორმაგდება. მიუხედავად ამისა, გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოები ხასიათდებოდა ბევრი ნაკლოვანებით, რის გამოც მათი ეფექტიანობა არასაკმარისი იყო. დაბალი იყო ბურღვის სიჩქარე, ხშირი იყო ავარიული შემთხვევები, რაც უმეტესწილად ტექნოლოგიური პროცესების დარღვევის შედეგად ხდებოდა. მოწყობილობა, რომელიც გამოიყენებოდა საძიებო-სადაზვერვო სამუშაოებში, არ შეესაბამებოდა საქართველოს რთულ გეოლოგიურ პირობებს.

1993 წლიდან საქართველოში ძლიერ დაეცა ნავთობის მოპოვება. თუ 1986-1991 წლებში იგი წელიწადში 180 ათასი ტონით განისაზღვრებოდა, 1992 წელს 125 ათას, ხოლო 1993-1995 წლებში 25 ათას ტონას ვერ გადააჭარბა, თუმცა, 1996 წელს 128 ათას ტონას მიაღწია. არსებული საბადოების შესაძლებლობების შემცირებასთან ერთად, დიდი როლი ითამაშა ქვეყანაში კრიმინოგენური სიტუაციის გაუარესებამ. კერძოდ, ხდებოდა ნავთობის დატაცება სამგორიბათუმის ნავთობსადენებიდან და არსებული სარეწებიდან კუსტარული წესით ნავთობპროდუქტების მიღება. მექანიკური წესით მოქმედი ჭაბურღილების ელექტროდანადგარებიდან ხდებოდა ფერადი ლითონების დატაცება, რამაც მრავალი ჭაბურღილის უმოქმედობა გამოიწვია.

საქართველოს ნავთობის მოპოვების სფეროშიც გატარდა რეფორმები. თავდაპირველად საწარმოო გაერთიანება "საქნავთობის" ბაზაზე შეიქმნა დეპარტამენტი "საქნავთობი". შემდეგ იგი გარდაიქმნა სახელმწიფო კომპანია "საქნავთობად", რომელსაც მიენიჭა ქვეყნის ნავთობწარმოების მართვის ფუნქციები.

2006 წელს შეიქმნა "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია" 100%-იანი სახელმწიფო წილით. კორპორაციის საწესდებო კაპიტალში შევიდა სს "საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის", სს „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის" და სს "საქნავთობის" სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული აქციები.

კორპორაციის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია – ნავთობისა და გაზის რესურსების მოძიება, მათი ათვისება, მოპოვება, ამ სამუშაოთა დაპროექტება, ასევე, ნავთო-

ბისა და გაზის, მათი პროდუქტების საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ ტრანსპორტირების, ტრანზიტის, ექსპორტის, იმპორტის, შენახვის, მომზადების, გადამუშავების, რეალიზაციისა და მარკეტინგის ოპერაციების წარმოება.

ამჟამად ნავთობის მოპოვება, მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, უცხოური ინვესტიციების მეშვეობით თანდათან გამოდის იმ მდგომარეობიდან, რომელშიც იგი 1990-1995 წლებში იყო.

1960-2010 წლებში საქართველოში ნავთობის მოპოვების შესახებ წარმოდგენას იძლევა ცხრილი 8.

ცხრილი 8

ნავთობის მოპოვება საქართველოში 1960-2010 წლებში[14]

(ათასი ტონა)

1960	1965	1970	1975	1980	1985	1990	1995	2000	2005	2006	2007	2008	2009	2010*
34,0	30,0	24,0	261,0	3186,0	552,0	186,0	43,0	110,0	67,0	64,0	57,0	53,0	52,7	54,0

2010 წლისათვის საქართველოში გახსნილია 15 ნავთობისა და 2 გაზის ბუდობი. ქვეყანაში ნავთობისა და გაზის პერსპექტიულ ტერიტორიებს მიეკუთვნება 26,5 ათასი m^2 ხმელეთზე და 6 ათასი m^2 შავი ზღვის აკვატორიის ფარგლებში. ნავთობის საწყისი ჯამური რესურსები 580 მლნ ტონას შეადგენს. აქედან, 383 მლნ ტონა ხმელეთზეა, ხოლო 197 მლნ ტონა – შავი ზღვის აკვატორიის ფარგლებში, ნავთობის სამრეწველო მარაგი კი 12,201 მლნ ტონაა.

2011 წლის მონაცემებით, საქართველოში ნავთობის ძიებასა და მოპოვებას ახორციელებს 7 კომპანია: „იორის ველი – ნავთობი და გაზი“, „კანარგო ენერჯი კორპორეიშენი“, „ფრონტერა“, „ანადარკო“, „სტრეიტ ოილ ენდ გეზ ლიმიტედი“, „გლობალ ოილ ენდ ენერჯი“ და „აქსაი DMC“.

„იორის ველი – ნავთობი და გაზი“ საქართველოს უმსხვილესი ნავთობკომპანიაა, რომელიც დაარსდა 1995 წელს საქართველო-შვეიცარიის მხარეების მიერ, რომელთაც წარმოადგენდნენ „საქნავთობი“ და „National Petroleum Ltd“. 2007 წლიდან მისი ახალი მფლობელი „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ გახდა. კომპანიის საქმიანობის არეალი მოიცავს სამგორი-პატარძეულის, სამგორის სამხრეთი თაღის, კრწანისისა და თელეთის საბადოებს;

„კანარგო ენერჯი კორპორეიშენი“ http://www.canargo.com/ ამერიკული კომპანიაა, რომელიც საქართველოში საქმიანობას 1996 წლიდან ეწევა. მოპოვებული ნავთობის 70%-ს იღებს სახელმწიფო, 30%-ის ექსპორტს ახორციელებს კომპანია. მას სულ გაბურღული აქვს 6 საძიებო ჭაბურღილი მანავში, ნორიოსა და ნინოწმინდაში. კომპანიამ საქართველოში პირველმა გამოიყენა ჰორიზონტალური ბურღვის ტექნოლოგია;

„ფრონტერა“, რომლის სათავო ოფისი აშშ-ში მდებარეობს, 1996 წელს დაფუძნდა და საქართველოში, კერძოდ, დედოფლისწყაროს რაიონში საქმიანობს 1997 წლიდან. მისი ძირითადი მიზანია ნავთობისა და გაზის ძიება, მოპოვება და ექსპლუატაცია. „ფრონტერამ“ გაბურღა 1 ჭაბურღილი და ამჟამად ჭაბურღილებს ბურღავს ტარიბანას საბადოს მიდამოებში, მირზაანის საბადოზე და ქედების ფართობზე;

„ანადარკო“ მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ნავთობისა და გაზის კომპანიაა. მას შავი ზღვის საქართველოს ტერიტორიული წყლების სამ შელფურ ბლოკში ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოების უფლება აქვს. 2011 წლიდან „ანადარკო“ სეისმოლოგიურ კვლევებს აწარმოებს და იგეგმება პირველი საკვლევ-საძიებო ჭაბურღილის ბურღვა ზღვის დონიდან სავარაუდოდ 3200 მეტრის სიღრმემდე;

---

[14] **ჩომახიძე დ.** საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოება. თბილისი, 2003, გვ. 510; საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები.

* 2010 წელს საქართველოში მოპოვებული 54,0 ათასი ტონა ნავთობი მთლიანად გავიდა ქვეყნიდან.

„სტრეიტ ოილ ენდ გეზ ლიმიტედ“-თან ხელშეკრულება 2007 წლის მარტში გაფორმდა. მას უფლება აქვს დასავლეთ საქართველოში აწარმოოს საძიებო და მოპოვების სამუშაოები. იგი ვალდებულია ჩაატაროს გეოლოგიური და გეოფიზიკური კვლევები, აღადგინოს ძველი და გაბურღოს ახალი ჭაბურღილები;

„გლობალ ოილ ენდ ენერჯი“ ხელშეკრულების საფუძველზე დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში სამუშაოებს 2007 წლის აპრილიდან აწარმოებს. იგი ვალდებულია ჩაატაროს გეოლოგიური და გეოფიზიკური კვლევები, აღადგინოს ძველი და გაბურღოს ახალი ჭაბურღილები;

„აკსაი BMC“-თან ხელშეკრულება 2007 წლის მარტში გაფორმდა. მას უფლება აქვს დასავლეთ საქართველოში აწარმოოს საძიებო და მოპოვების სამუშაოები, ჩაატაროს გეოლოგიური და გეოფიზიკური კვლევები, აღადგინოს ძველი და გაბურღოს ახალი ჭაბურღილები.

უკვე 10-15 წელია, რაც საქართველოში უცხოური ნავთობკომპანიები საქმიანობენ. მათ დიდი მოცულობის სამუშაოებიც ჩაატარეს, მაგრამ საიმედო გეოლოგიური პროგნოზების არსებობის მიუხედავად, ახალი საბადოს აღმოჩენა ჯერჯერობით ვერ მოხერხდა.

2002 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საბადოების მიხედვით საქართველოს ნავთობის მარაგის შესახებ წარმოდგენას იძლევა ცხრილი 9.

ცხრილი 9

საქართველოს ნავთობის მარაგი საბადოების მიხედვით 2002 წლის მდგომარეობით (ათასი ტონა)[15]

საბადოები	A+B+C კატეგორიების მარაგი		ჩაწოლის მაქსიმალური სიღრმე (მეტრი)
	გეოლოგიური	მათ შორის, ამოსაღები	
სულ საქართველოს საბადოები მათ შორის:	110 440,3	11 323,9	1 626
დამუშავებაში	100 613	8 654,4	1 795
მირზაანი	4 472	37	1 300
პატარა შირაქი	842,5	283,5	600
ნორიო	1068,2	12,2	1500
სუფსა	242,5	16,5	650
საცხენისი	153,1	27,1	1 200
აღმოსავლეთი ჭალადიდი	54,6	33,6	2200
სამგორი-პატარძეული	88 136,8	4 946,6	2 750
ტარიბანი	257,9	76,0	2600
შრომისუბანი – წყალწმინდა	294,5	76,0	3 550
თელეთი	2 807,7	865,7	1 000
სამგორის სამხრეთი გუმბათი	2 283,2	483,2	2400
ძიებაში	9 827,3	2669,5	1 162
დასავლეთი რუსთავი	7 462,8	2 203,8	2100
ნაზარლები	1 116	220,5	1200
მწარე ხევი	787,8	154,0	350
ბაიდა	460,7	91,2	1 000

[15] შედგენილია „საქნავთობის“ მასალების მიხედვით.

მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა ის, რომ საქართველო გახდა **ნავთობის სატრანზიტო ქვეყანა.** 1998 წლის 10 დეკემბერს ბაქოში სანგაჩალის ტერმინალიდან "დასავლეთის მიმართულების" ნავთობსადენში ჩაიტვირთა პირველი ნავთობი და ამით აზერბაიჯანის ნავთობის საერთაშორისო კონსორციუმმა დაიწყო კასპიის ადრეული ნავთობის ტრანსპორტირება ბაქო-სუფსის მიმართულებით. 1999 წლის იანვრის პირველ კვირას ნავთობი საქართველოში შემოვიდა.

ნავთობსადენის მშენებლობის საერთო ღირებულებამ 590 მლნ დოლარი შეადგინა. აღდგა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ნავთობსადენი, აზერბაიჯან-საქართველოს საზღვრიდან სამგორამდე აშენდა 39,5 კმ-იანი მილსადენი, სატუმბი და წნევის დამწევი სადგურები, ტერმინალი სუფსაში და საზღვაო ჩამტვირთავი მოწყობილობები. სულ აშენდა ოთხი ტერმინალი, თითოეული 40 ათასი ტონა ტევადობის, რომელთაც 26 ჰა მიწის ფართობი უკავიათ. ნავთობსადენის მშენებლობის ეკოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებით, კომისიამ, რომელიც შეიქმნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან, მოამზადა მილსადენის გასწვრივ არსებული მდგომარეობის დასკვნა. მის საფუძველზე მსოფლიოს ცნობილი ეკოლოგიური კომპანიების "დეიმს ენდ მურის" (ინგლისი), "დეტ ნორსკე ვერიტასის" (ნორვეგია) და საქართველოს სპეციალისტების შეფასებით, ნავთობსადენი ეკოლოგიური ნორმების შესაბამისად იმუშავებს. აზერბაიჯანიდან "აზარი-ჩირაგი-გიუნეშლის" საბადოდან მოპოვებული ნავთობის ექსპორტირება "თბილისი-ბაქო-ჯეიჰანის" ნავთობსადენის მეშვეობით ხორციელდება. იგი კასპიისა და ხმელთაშუა ზღვებს შორის ნავთობის ტრანსპორტირების პირველი პირდაპირი მარშრუტია. მისი მშენებლობა 4 მლრდ აშშ დოლარი დაჯდა. იგი მსოფლიოში ყველაზე გრძელი (სულ 1768 კმ, აქედან, აზერბაიჯანზე – 443, საქართველოზე – 249, ხოლო თურქეთზე 1076 კმ მოდის) ნავთობსადენია. ამ ნავთობსადენით ნავთობის ტრანსპორტირება 2005 წლის მაისში დაიწყო.

2010 წელს საქართველოს ტერიტორიაზე აღნიშნული ნავთობსადენებით განხორციელდა 42,4 მლნ ტონა ნედლი ნავთობის ტრანზიტი, აქედან, "თბილისი-ბაქო-ჯეიჰანის" ნავთობსადენით – 38,379, ხოლო "ბაქო-სუფსის" ნავთობსადენით – 4,487 მლნ ტონა.

ნავთობგადამმუშავებელი მრეწველობა საქართველოში 1998 წლამდე წარმოდგენილი იყო ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნით, რომელიც აშენდა 1929 წელს. იგი აწარმოებდა 70-ზე მეტი დასახელების ნავთობპროდუქტს: ზეთს, ბენზინს, ნავთს, სხვადასხვა სახის სათბობს და მაზუთს და სხვ. 1980 წელს ამ ქარხანაში საქართველოს წილი 70%-ს, 1990 წელს კი მხოლოდ 40%-ს შეადგენდა. შემდეგ წლებში იგი კიდევ უფრო შემცირდა და დაახლოებით 5-7% შეადგინა. დღეისათვის ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხანა მწყობრიდანაა გამოსული, თუმცა, დაგეგმილია აშენდეს ახალი ქარხანა, რომელმაც თითქმის მთლიანად უნდა დააკმაყოფილოს ქვეყნის მოთხოვნა ნავთობპროდუქტებზე.

აუცილებელია დარგის გადასვლა თანამედროვე ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე – ნავთობგაზიანი ობიექტების სისტემურ მოდელირებასა და მონიტორინგზე, რომლებიც უზრუნველყოფენ ნავთობგაზიანი ობიექტების შესწავლისა და ათვისების სამუშაოთა დიდ ეფექტიანობას. გამოყენებულ უნდა იქნეს ნავთობის ძიების ისეთი არატრადიციული მეთოდები, როგორიცაა: დისტანციური კოსმოგეოლოგიური, გეოქიმიური, ელექტროდაზვერვის, სეისმური ტომოგრაფიის, სეისმოდაზვერვის მეთოდები, მიკროსეისმური დაბალსიხშირიანი ტექნოლოგიები და ა.შ. ენერგეტიკის ამ სახეობის საბადოების ძიებისათვის საქართველოში დღესაც (ისევე როგორც XX საუკუნის ბოლოს) გამოიყენება ტრადიციული სქემა. პერსპექტიული სტრუქტურების გამოსავლენად ტარდება კომპლექსური გეოლოგიური და გეოფიზიკური საველე გამოკვლევები. ეს სტრუქტურები შემდგომში მოწმდება ბურღვითი სამუშაოებით, რომელთა მეშვეობითაც დგინდება ნახშირწყალბადის ბუდობების არსებობა. ტრადიციული მეთოდები ძვირადღირებულია და დროშია გაწელილი, რის გამოც მათი გამოყენება ხელსაყრელია მხოლოდ დიდ, საშუალო და მცირე სიღრმეებზე განლაგებული ნავთობგაზშემცველი ანტიკლინალური სტრუქტურების ძიებისა და დაზვერვის პირობებში.

ბუნებრივი გაზი. საქართველოში გაზიფიკაციის სამუშაოები 1956 წელს დაიწყო. 1959 წლის ბოლოს თბილისმა მიიღო ბუნებრივი გაზი აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან, მაგისტრალური გაზსადენის გამტარუნარიანობამ წელიწადში 1,8, ხოლო რეკონსტრუქციის შემდეგ 4,6 მლრდ მ3 შეადგინა.

თავიდანვე სწრაფი ტემპით განვითარდა ქვეყნის გაზიფიკაცია, რის გამოც არასაკმარისი აღმოჩნდა არსებული გაზსადენის სიმძლავრე და გაზის რესურსები. საჭირო შეიქნა გაზმომარაგების ახალი წყაროების მოძიება. აშენდა და 1963 წლიდან ექსპლოატაციაში შევიდა გაზსადენი ვლადიკავკაზი-თბილისი. 1970-1978 წლებში საქართველოს გაზმომარაგება ხდებოდა ირანიდანაც.

1978 წლის ნოემბრიდან ირანში განვითარებული პოლიტიკური მოვლენების გამო შეწყდა საქართველოს გაზმომარაგება ამ ქვეყნიდან და აუცილებელი შეიქმნა ორჯონიკიძე-თბილისის გაზსადენის რეკონსტრუქცია, რომელიც 1985 წელს დაიწყო და დამთავრდა 1991 წელს. გაზსადენის გამტარუნარიანობამ წელიწადში 20 მლრდ $მ^3$-ს მიაღწია, რის შედეგადაც სამხრეთ კავკასიის ქვეყნები, მათ შორის საქართველოც, გადაერთო თურქმენეთის გაზის მიღებაზე. ამ პერიოდში გაზიფიკაციის დონით საქართველო წარმოადგენდა ერთ-ერთ მოწინავე ქვეყანას. გაზიფიცირებული იყო 48 ქალაქი და 230 სოფელი, 600 ათასამდე ბინა, 800-მდე სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმო, 1500 თბომომარაგების საქვაბე, 2 ათასი კომუნალურ-საყოფაცხოვრებო ობიექტი. აშენდა 10 ათასი კმ გაზსადენი, მათ შორის, 2 ათასი კმ მაგისტრალური და 8 ათასი კმ გამანაწილებელი ქსელი. საქართველოში 1989 წელს გაზის მოხმარებამ გადააჭარბა 6,0 მლრდ $მ^3$-ს და ქვეყნის სათბობის ბალანსში 60% შეადგინა. ბუნებრივმა გაზმა შეაღწია ქვეყნის თითქმის ყველა რეგიონში (მთიანი სვანეთისა და აჭარის გარდა).

საქართველოში ბუნებრივი გაზის მოხმარებამ თავის მაქსიმუმს 1990 წელს მიაღწია - 6046 მლნ $მ^3$-ს. ამ დროისათვის ქვეყანაში გაზიფიცირებული იყო 576,5 ათასი ბინა, ხოლო გაზსადენების სიგრძემ 4802,8 კმ შეადგინა. 1990 წლის შემდეგ ქვეყანაში გაზის მოხმარებამ თანდათან იკლო და 2000 წლისათვის იგი 1094 მლნ $მ^3$-მდე ანუ, 1990 წელთან შედარებით, 5,5-ჯერ შემცირდა (იხ. ცხრილი 10).

ცხრილი 10

საქართველოს გაზიფიკაციის მაჩვენებლები 1990-2000 წლებში[16]

(წლის ბოლოსათვის)

წლები	**გაზიფიცირებული ბინების რაოდენობა (ათასი)**	**გაზსადენის სიგრძე (კმ)**	**ბუნებრივი გაზის მოხმარება (მლნ $მ^3$)**
1990	576,5	4802,8	6046,0
1991	579,8	4937,8	4577,1
1992	587,2	4962,1	4633,7
1993	587,2	5158,4	3343,7
1994	587,4	5158,4	2595,2
1995	587,4	5158,4	910,5
1996	587,4	5151,9	947,0
1997	587,4	5151,9	830,0
1998	587,4	5151,9	846,0
1999	587,4	5151,9	1022,0
2000	587,4	5151,9	1094,0

[16] საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მონაცემები.

გასული წლების ცნობილმა მოვლენებმა მძიმე დაღი დაასვა გაზის მეურნეობებს. ქვეყანას ხანგრძლივი პერიოდით შეუწყდა გაზის მიწოდება. მთელი 1995 წლისა და 1996 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში თბილისს, ისე როგორც თითქმის მთელ საქართველოს (გარდა ქ. რუსთავისა და ყაზბეგის რაიონისა), გაზი არ მიეწოდებოდა.

გაზის მიწოდების შეწყვეტამ გააუარესა გაზის მეურნეობის ტექნიკური მდგომარეობა, რადგანაც გაზსადენი მილების გარე კოროზიას (რომელიც ინტენსიურად დაიწყო ელექტროენერგიის მიწოდების არასტაბილურობის გამო), დაემატა მილების შიგა ზედაპირის კოროზიაც. არასტაბილურობის პერიოდში (1991-1993 წლებში) გაიძარცვა კოროზიისაგან დაცვის დანადგარები, საიდანაც დაიტაცეს სპილენძი და სხვა მასალები. მოიშალა გაზის მეურნეობის კადრების მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება. სათანადო დონეზე არ იყო საავარიო და პროფილაქტიკური მომსახურება. გაზსადენების სარეაბილიტაციო სამუშაოების რეალური პრაქტიკიდან გამომდინარე, აღდგენას მოითხოვდა გამოკვლეული გაზსადენების 40-50%.

1990-2000 წლებში ქალაქის გაზის ქსელების კოროზიისაგან დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა წარმოებდა ძველი ტრადიციული მეთოდით - მთლიანი შეცვლით. ეს გაცილებით ძვირია მოწინავე ქვეყნებში (გერმანია, საფრანგეთი) დანერგილ ისეთ ახალ ტექნოლოგიებთან შედარებით, როგორიცაა ფოლადის დაზიანებულ ქსელში პოლიეთილენის მილების გატარება, ან სპეციალური აფსკების გაკვრა მილის შიგა კედლებზე. ჯერ კიდევ არ იყო დანერგილი პოლიეთილენის მილების გამოყენება ახალი მშენებლობისათვის და მრავალი სხვ.

ზემოაღნიშნულის შედეგად, გაზის მოხმარება 1998 წელს, 1989 წლის 6,1 მლრდ $მ^3$-დან 0,9 მლრდ $მ^3$-მდე შემცირდა ანუ 6,7-ჯერ, ხოლო თუ მხედველობაში არ მივიღებთ მსხვილ მომხმარებლებს (ენერგეტიკა, ქიმიური მრეწველობა, მეტალურგია), მოხმარება შემცირდა 15-ჯერ. გაზიფიცირებული 587 ათასი ბინიდან ბუნებრივი გაზით სარგებლობდა 80 ათასი ანუ მხოლოდ 13,6%.

1996 წლის ბოლოს გაზის სექტორში გატარდა სტრუქტურული გარდაქმნები. დაიშალა „საქგაზის“ დეპარტამენტი. გაზის მეურნეობები გადაეცა მუნიციპალიტეტებს იმ ვარაუდით, რომ ისინი შეძლებდნენ მათთვის ფინანსური დახმარების გაწევას გაზმომარაგების სისტემის რეაბილიტაციაში, რომელიც, სამწუხაროდ, არ გამართლდა.

საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ 1998 წელს დაიწყო გაზის მეურნეობების (რუსთავგაზის, ქუთაისგაზის, კასპგაზის, გორგაზის, ბოლნისგაზის და თეთრიწყაროგაზის) საკონტროლო პაკეტების აუქციონზე გატანა და გაყიდვა. ამ პერიოდში საქართველოს გაზიფიკაციის დონის ამაღლებას ხელს უშლიდა შემდეგი პრობლემები:

1. მძიმე ფინანსური მდგომარეობა. არ მუშაობდა სამრეწველო საწარმოები, რის შედეგადაც არგადახდებისა და დაბალმოხმარების პირობებში ბუნებრივი გაზის მეურნეობებს ძალზე მცირე შემოსავლები ჰქონდათ. არ იყო ისეთი გაზის მეურნეობა, რომელიც ვალებში არ ყოფილიყო ჩაფლული (რამდენიმე ათასიდან მილიონობით ლარამდე);

2. იმის გამო, რომ რეალიზებული გაზის რაოდენობა მცირე იყო, მაღალი იყო მისი თვითღირებულება, რადგანაც მოქმედებაში იყო ქსელის მხოლოდ მცირე ნაწილი, ხოლო საამორტიზაციო და სხვა გადასახადები ერიცხებოდათ სრული ოდენობით;

3. დიდი იყო გაზის ფიზიკური დანაკარგები, მაღალი იყო მისი პროცენტული სიდიდე. დანაკარგებს, რომლებიც ტექნიკური მიზეზებით იყო გამოწვეული, ემატებოდა მომხმარებელთა მიერ გაზის გადახარჯვა (კომერციული დანაკარგები) უმრიცხველო მომარაგებისას, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში;

4. მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს სახსრები არ ჰქონდა გაზის მრიცხველების დასამონტაჟებლად (დაახლოებით 100 აშშ დოლარი);

5. ვერ მოხერხდა ბიზნეს-გეგმების შემუშავება, რაც აძნელებდა ინვესტორების მოზიდვას.

საქართველოს გაზმომარაგება არასტაბილური იყო შემდგომ პერიოდშიც, ხოლო ცალკეულ წლებში მცირდებოდა კიდეც (იხ. ცხრილი 11), რაც, პირველ რიგში, თბოსადგურების მიერ ელექტროენერგიის წარმოების შემცირებით უნდა აიხსნას.

ცხრილი 11

ბუნებრივი გაზის მოხმარება საქართველოში 2000-2010 წლებში[17]

წლები	მლნ $მ^3$	%-ობით	წლები	მლნ $მ^3$	%-ობით
2000	1094	100,0	2006	1860	170,0
2001	880	80,4	2007	1684	153,9
2002	700	64,0	2008	1450	132,5
2003	1011	92,4	2009	1200	109,0
2004	1231	112,5	2010	1094	100,0
2005	1440	131,6			

საქართველოს გაზმომარაგებას, 2008 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ემსახურებოდა 33 საწარმო, რომელთაგან 4, ანუ მათი საერთო რაოდენობის 9,4% მიეკუთვნება მსხვილ საწარმოთა კატეგორიას, 14 (43,7%) – საშუალოს და 15 (46,9%) – მცირეს. მსხვილ საწარმოებზე მოდიოდა მთელი პროდუქციის 72,2%, საშუალოზე – 23,2% და მცირეზე – 4,6%. 2008 წელს დარგში შეიქმნა 51,1 მლნ ლარის პროდუქცია და დასაქმებული იყო 4,3 ათასი კაცი. 2000 წელთან შედარებით, წარმოებული პროდუქციის მოცულობა გაიზარდა 5,4-ჯერ, ხოლო დასაქმებულთა რაოდენობა – თითქმის ორჯერ. 2009 წელს საგრძნობლად გაიზარდა გაზის საწარმოთა ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები. კერძოდ, საწარმოთა რაოდენობამ 46-ს მიაღწია, დასაქმებულთა საშუალო წლიურმა რიცხოვნობამ – 4,2 ათას კაცს, ხოლო წარმოებული პროდუქციის მოცულობამ – 84,7 მლნ ლარს (იხ. ცხრილი 12).

ცხრილი 12

გაზის საწარმოთა ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები საქართველოში 2000-2009 წლებში[18]

მაჩვენებელთა დასახელება	2000	2003	2005	2008	2009
საწარმოთა რაოდენობა (ერთეული)	30	30	33	33	46
დასაქმებულთა საშუალო წლიური რიცხოვნობა (ათასი კაცი)	2,4	2,5	3,2	4,3	4,2
წარმოებული პროდუქციის მოცულობა (მლნ ლარი)	9,4	8,6	35,5	51,1	84,7

დარგის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ობიექტია შპს „საქართველოს ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების კომპანია“, რომელიც შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ შვილობილი საწარმოა. მისი საქმიანობის ძირითადი ფუნქციაა საქართველოს რეგიონებში ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირება და ტრანზიტის უზრუნველყოფა, არსებული მილსადენებისა და მათი ინფრასტრუქტურის მართვა და ექსპლუატაცია, ბუნებრივი გაზის რეალიზაცია. გაზგამანაწილებელი კომპანიებიდან, ამ მხრივ, აღსანიშნავია „ყაზტრანსგაზ-თბილისი“, რომელიც მომხმარებლებზე გაზის მიწოდებას ყოველწლიურად ზრდის. საკმარი-

[17] საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მონაცემები.

[18] საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მონაცემები.

სია აღინიშნოს, რომ 2000-2009 წლებში აქ ეს მაჩვენებელი 96,4 მლნ $მ^3$-დან 379 მლნ $მ^3$-მდე, ანუ თითქმის 4-ჯერ გაიზარდა. უცხოელ ინვესტორების შემოსვლის შემდეგ გაზმომარაგება გაუმჯობესდა რეგიონებშიც. თანდათან გაფართოვდა გაზიფიცირების არეალი. 2010 წელს გაყვანილ იქნა 10კმ სიგრძის 700 მმ-იანი მილსადენი ნავთლუღი-საგურამოს მიმართულებით. ანალოგიური სამუშაოები მიმდინარეობს სენაკი-ფოთის ხაზზეც.

დაწყებულია მოსამზადებელი სამუშაოები საგურამო-ხაშურის გაზსადენის რეაბილიტაციისათვის. მოხდა 160 ათასი აბონენტის გაზიფიცირება. საქართველოს გაზმომარაგების საქმეს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს გაზსაცავის აშენება, რომლის წინასაპროექტო სამუშაოების 70% უკვე შესრულებულია.

მიუხედავად აღნიშნულისა, ქვეყნის გაზმომარაგებაში ჯერ კიდევ ბევრი მოსაგვარებელი საკითხია. პირველ რიგში, გაფართოებას საჭიროებს გაზმომარაგების არეალი. კვლავ მწვავე საკითხად რჩება უსაფრთხოების პრობლემა და, რაც ყველაზე მთავარია, მომხმარებლის ადგილობრივი მოპოვების გაზით უზრუნველყოფა. როგორც ცნობილია, ამჟამად საქართველოში გაზის თითქმის მთლიანი რაოდენობა იმპორტულია. სამწუხაროდ, ბუნებრივი გაზის სამრეწველო მნიშვნელობის დიდი საბადო საქართველოში ჯერჯერობით არ აღმოჩენილა, თუმცა, საძიებო ბურღვის დროს რამდენჯერმე იყო გაზის გამოვლინების შემთხვევა. მაგალითად, ჯერ კიდევ 1967 წელს თებერვალში ბუნებრივი გაზის მძლავრმა ნაკადმა იფეთქა თბილისის აღმოსავლეთით გაზშემცველ ჰორიზონტზე (2712 მეტრ სიღრმეზე). 11 საძიებო ჭაბურღილის ჭავლი დღე-ღამეში 250 ათას კუბურ მეტრამდე გაზს იძლეოდა, მაგრამ ჭაბურღილმა მხოლოდ 3 დღე-ღამეს იმოქმედა, მანამდე კი 1954-1963 წლებშიც თბილისის სამ ჭაბურღილში შემჩნეული იყო გაზის ფრიად ინტენსიური გამოვლინება. ამრიგად, 11 ჭაბურღილში გაზის შადრევანი არ შეიძლება ჩაითვალოს შემთხვევით და ერთეულ მოვლენად. ჭაბურღილებით მიღებული მონაცემები, სტრუქტურების ხელსაყრელი აღნაგობა, მათი დახურული ხასიათი და მნიშვნელოვანი ფოროვნობა მოწმობს, რომ თბილისის მახლობლად მდებარე ფართო რაიონი პერსპექტიულია ბუნებრივი გაზის შემცველობის მხრივ. სპეციალისტთა გაანგარიშებით, რასაც საფუძვლად დაედო საწყისი მაჩვენებლების მინიმალური მნიშვნელობები, ბუნებრივი გაზის პროგნოზული მარაგი აქ ასეულ მლრდ კუბური მეტრის რაოდენობით განისაზღვრება.

ექსპერტული შეფასებით, გაზოვანი ფენების აღმოჩენა მოსალოდნელია საქართველოს ბევრ სხვა რაიონშიც. ანალოგიური სამუშაოები ამ მიმართულებით ამჟამადაც მიმდინარეობს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ საქართველო გახდა ბუნებრივი გაზის (ისე როგორც ნავთობის) სატრანზიტო ქვეყანა. **შაჰდენიზის გაზსადენი (სამხრეთ კავკასიის**, ანუ **ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენი**) გადის შაჰდენიზის გაზის ბაქნის აზერბაიჯანის სექტორიდან საქართველოს გავლით თურქეთში. 2006 წლის 21 მაისს პირველი საცდელი ბუნებრივი გაზი ჩაიტვირთა გაზსადენში სანგაჩალის ტერმინალიდან. გაზის პირველი გაშვება 2006 წლის 30 სექტემბრისთვის იყო დაგეგმილი, მაგრამ ტექნიკური მიზეზების გამო გაზსადენი ექსპლუატაციაში 2006 წლის 20 დეკემბერს შევიდა.

ბუნებაზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირების მიზნით, გაზსადენი იმავე კორიდორში აშენდა, სადაც რამდენიმე წლით ადრე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი გაიყვანეს. გაზსადენის სიგრძე 692 კმ-ია, ხოლო წლიური გამტარობა 16 მლრდ კუბური მეტრი. მომავალში გათვალისწინებულია გაზსადენის თურქმენულ და ყაზახურ მწარმოებლებთან შეერთება ტრანსკასპიური გაზსადენის მეშვეობით.

როგორც ტრანზიტული სახელმწიფო, საქართველო წლიური გაზის გამტარობიდან 5%-ს იტოვებს ტარიფის სახით და ასევე შეუძლია 0,5 მილიარდი კუბური მეტრი შეიძინოს ყოველწლიურად ფასდაკლებით. გრძელვადიან პერსპექტივაში სამხრეთ კავკასიის გაზსადენი გაზს ევროპასაც მიაწოდებს მასთან თურქეთ-საბერძნეთისა და საბერძნეთ-იტალიის სადენების შეერთებით.

სამხრეთკავკასიური მილსადენით საქართველოში მოწოდებული გაზი წარმოადგენს ალტერნატიულ ენერგეტიკულ რესურსს. სწორედ ამის გამო მას ქვეყნისთვის დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭება. ამ გაზსადენის ამოქმედებით საქართველო აღარ არის დამოკიდებული მხოლოდ ერთ მომწოდებელზე.

ნახშირის მრეწველობა. ნახშირის (ქვანახშირი, მურა ნახშირი) მოპოვებას საქართველოში უძველესი დროიდან ეწეოდნენ, მაგრამ მის სამრეწველო დანიშნულებით გამოყენებას არც თუ დიდი ხნის ისტორია აქვს. ნახშირის საბადოს აღმოჩენის თარიღად 1825 წელი ითვლება, ხოლო მისი სამრეწველო დამუშავება-ექსპლოატაცია 1846 წელს დაიწყო. ცნობილია, რომ ქალაქ ტყიბულის წარმოშობა და განვითარება ძირითადად განაპირობა ქვანახშირის საბადოს აღმოჩენამ და ექსპლუატაციამ, რომელიც XIX საუკუნის 40-იან წლებში დაიწყო. 1895 წელს ჩამოყალიბდა "ტყიბულის ქვანახშირისა და ბრიკეტის წარმოების საზოგადოება", რომლის განკარგულებაში გადავიდა შახტი, საბრიკეტო ფაბრიკა და რკინიგზა. უკვე 1900 წელს მოპოვებულ იქნა 62820 ტ. ქვანახშირი, ხოლო 1913 წელს – 67395 ტ. 1935 წლამდე საქართველოში მხოლოდ ტყიბულის ქვანახშირის საბადოს ამუშავებდნენ. დარგის განვითარებას მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა ჯერ კიდევ ქუთაისი-ტყიბულის რკინიგზის ხაზის გაყვანამ, ხოლო 1950-იან წლებში ახალი შახტებისა და გამამდიდრებელი ფაბრიკის მშენებლობამ. ამ დროიდან ტყიბულში ნახშირის მოპოვება თანდათან იზრდებოდა და 60-იან წლებში მან თავის მაქსიმუმს მიაღწია. 1965 წელს ტყიბულში მოიპოვეს 1435 ათასი ტონა ნახშირი, რომელმაც საქართველოში მოპოვებული ნახშირის მთლიანი რაოდენობის თითქმის 55% შეადგინა. ამის შემდგომ, ტყიბულში, ისე როგორც მთლიანად საქართველოში, ნახშირის მოპოვება თანდათან მცირდებოდა, თუმცა, საქართველოს მასშტაბით ეს პროცესი გაცილებით ინტენსიური იყო, ვიდრე ტყიბულში. საქართველოში მთლიანად მოპოვებული ნახშირის მოცულობაში ტყიბულის ხვედრითი წონა წლითიწლობით იზრდებოდა და ბოლო წლებში პიკს – 100%-ს მიაღწია.

ტყვარჩელის საბადოს ექსპლუატაცია დაიწყო 1935 წელს 300 ათასი ტონა საპროექტო სიმძლავრის შახტის ამოქმედებით. 1940 წლისათვის ნახშირის ამოღება საქართველოში 625 ათას ტონამდე გადიდდა. ომის წლებში მისი მოპოვება არ შემცირებულა, პირიქით, 1945 წლის ბოლოს 661 ათას ტონას შეადგენდა. 1944 წელს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობასთან დაკავშირებით, საქართველოს ნახშირის საბადოებზეც დაიწყო საშახტე მშენებლობა. 1945-1948 წლებში ტყვარჩელში საფუძველი ჩაეყარა კიდევ სამი შახტის მშენებლობას, რომელთა წლიური სიმძლავრე 870 ათასი ტონა იყო. 1946 წელს ტყვარჩელში, ხოლო 1953 წელს ტყიბულში ამუშავდა ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკები.

1948 წლიდან დაიწყო ახალციხის მურა ნახშირის მოპოვება, მაგრამ, მისი დაბალი ხარისხისა და დიდი თვითღირებულების გამო, მურა ნახშირის გამოყენება თანდათან მცირდებოდა და 1987 წელს მთლიანად შეწყდა.

მიუხედავად იმისა, რომ მოთხოვნა ქვანახშირზე მატულობდა, მისი მოპოვება მაინც მცირდებოდა ყოველ 5 წელიწადში, დაახლოებით 200-300 ათასი ტონით, რაც განპირობებული იყო ძველი შახტების მარაგის ამოწურვითა და არსებული შახტების სიმძლავრეების შეზღუდულობით, სამთო-გეოლოგიური პირობების გაუარესებით.

ქვანახშირი ძირითადად გამოიყენებოდა ენერგეტიკული მიზნებისათვის რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში კოქსვადი კონცენტრატის სახით. იგი რესპუბლიკის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა და რუსეთიდან, უკრაინიდან და ყაზახეთიდან დამატებით შემოჰქონდათ. მაგალითად, 1989 წელს რესპუბლიკის ფარგლებს გარედან შემოტანილ იქნა 635 ათასი ტონა ქვანახშირი ანუ საქართველოში წარმოებულის 56%.

დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში ნახშირის წარმოება მრეწველობის პრიორიტეტულ დარგად ითვლებოდა. 1990 წლის შედეგებით, მასზე მოდიოდა სათბობი მრეწველობის მთლიანი პროდუქციის 20,0%, მომუშავეთა 79,6% და ძირითადი საწარმოო ფონდების (კაპიტალის) ღირებულების 53,4%.

განვითარების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ნახშირის წარმოებას საქართველოში 1958 წელს ჰქონდა, როდესაც მოპოვებულ იქნა 3014 ათასი ტონა, რაც 3,1-ჯერ აღემატებოდა 1990 წლის დონეს. ეს განაპირობა იმ გარემოებამ, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდგომი წლები ნახშირის საწარმოთა ყველაზე ინტენსიური მშენებლობის პერიოდი იყო საქართველოში და იგი უკავშირდებოდა ქვეყანაში თუჯის, ფოლადის, ნაგლინის წარმოების განვითარებას. ამასთან, ნახშირის წარმოება აგრეთვე ამარაგებდა შავ მეტალურგიას ტექნოლოგიური სათბობით, ხოლო ელექტროენერგეტიკას - ენერგეტიკული ნახშირით. საქართველო ერთადერთი რესპუბლიკა იყო სამხრეთ კავკასიაში, რომელსაც საკუთარი ნახშირის მრეწველობა ჰქონდა.

1990 წელს საქართველოში მოპოვებულ იქნა 956 ათასი ტონა ნახშირი. აქედან, 655 ათასი ტონა, ანუ მოპოვებულის 69,6% ტყიბულის, ხოლო 290 ათასი ტონა, ანუ 30,4% ტყვარჩელის შახტებზე მოდიოდა. 1987 წლის მაისამდე რესპუბლიკაში აგრეთვე მოქმედებდა ახალციხის ერთი შახტი, სადაც ნახშირის წლიური მოპოვება 35-50 ათასი ტონის ფარგლებში მერყეობდა. შახტი გაუქმდა ნახშირის მოპოვების შედარებით მაღალი თვითღირებულებისა და მასზე მოთხოვნის შემცირების გამო.

1960-1990 წლებში საქართველოში ნახშირის მოპოვება 3-ჯერ შემცირდა, მათ შორის საკოქსე ნახშირისა – 3,1-ჯერ. განსაკუთრებით ინტენსიურად შემცირდა ნახშირის მოპოვება ტყვარჩელში.

ნახშირის მრეწველობის ასეთი დაქვეითება, მისი მოპოვების სამთო-გეოლოგიური პირობების გართულებასთან ერთად, საშახტე მშენებლობის კატასტროფული შემცირებით უნდა აიხსნას. კერძოდ, 1960-1990 წლებში აშენდა მხოლოდ ოთხი შახტი, რომელთა საერთო სიმძლავრე 400-450 ათას ტონას შეადგენდა. ამავე დროს, მარაგების ამოწურვისა და სხვა მიზეზების გამო, არსებობა შეწყვიტა შვიდმა შახტმა, რომელთა წლიური მოპოვება 1,3 მლნ ტონით შემცირდა.

ნახშირის მოპოვების შემცირების შესაბამისად დარგში გაუარესდა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებიც. მაგალითად, შრომის მწარმოებლურობის დონემ, 1960 წელთან შედარებით, 1990 წელს 94,1% შეადგინა, ხოლო ფონდუკუგებამ (კაპიტალუკუგებამ) მხოლოდ 30,1%. სისტემატურად იზრდებოდა ნახშირის მოპოვების თვითღირებულება, რომელიც ოცი წლის მანძილზე 2-ჯერ და მეტად გაიზარდა. წლების განმავლობაში საწარმოო გაერთიანება „საქნახშირი“ ზარალიანი იყო. წაგებამ საბითუმო ფასებით 35 მლნ მანეთს გადააჭარბა.

უაღრესად დაბალი იყო ახალი შახტების მშენებლობის ტემპები. მცირდებოდა გამოყოფილი კაპიტალური დაბანდებების მოცულობაც. ყოველივე ამის გამო, მაგალითად, ტყიბულში „დასავლეთი 2“-ის მშენებლობა მიმდინარეობდა 29 წელი და საბჭოთა ხელისუფლების ბოლო 30 წლის განმავლობაში აშენდა მხოლოდ 4 შახტი, რომელთა საერთო სიმძლავრე წელიწადში 400-450 ათასი ტონა იყო. ამასთან, იმავე პერიოდში მარაგის ამოწურვისა და სხვა მიზეზის გამო, არსებობა შეწყვიტა 7-მა შახტმა, რომელთა წლიური სიმძლავრე 1,1 მლნ ტონა იყო, 6 შახტზე კი ნახშირის მოპოვება შემცირდა 1,3 მლნ ტონით. მცირდებოდა ასიგნებანი სოციალური მიმართულებით, მიმდინარეობდა ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისა და მიწისქვეშა პროფესიის მუშაკების რიცხოვნობის შემცირებაც.

1991 წლიდან ნახშირის ბაზრის უქონლობისა და უაღრესად მწვავე ფინანსური მდგომარეობის გამო, ტყიბულის ქვანახშირის მრეწველობამ დათმო მიღწეული პოზიციები. ამ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების მეტად მცირე მასშტაბების შედეგად მეტისმეტად გაიზარდა პროდუქციის ერთეულზე გაწეული დანახარჯები. 2000 წელს ნახშირის მოპოვებამ საქართველოში მხოლოდ 7,3 ათას ტონა შეადგინა ანუ 1990 წელთან შედარებით, შემცირდა 130,8-ჯერ. ამის ძირითადი მიზეზი შახტების დაუფინანსებლობა და გადახდისუნარიან მომხმარებელთა არარსებობა იყო. საკმარისია ითქვას, რომ ამ დროს ტყიბულში 1 ტონა სასაქონლო ნახშირის თვითღირებულება 137 ლარის ფარგლებში იყო, მაშინ როცა მისი საბაზრო ფასი 40 ლარს

შეადგენდა. მიუხედავად ამისა, ნახშირის რეალიზაცია ამ ფასადაც ვერ ხერხდებოდა. ნახშირის მრეწველობამ დაკარგა თავისი ადრინდელი როლი და მნიშვნელობა.

გაუარესდა როგორც ტყიბულის, ისე ახალციხისა და ტყვარჩელის სოციალური განვითარების მაჩვენებლები.

2006 წელს ტყიბულის შახტები შეისყიდა შპს „საქნახშირმა" („ჯი-აი-ჯი" ჯგუფმა). მათ მიერ განხორციელებული მრავალმილიონიანი ინვესტიციით მოხდა არსებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, კაპიტალურად შეკეთდა და აღდგა დატბორილი გვირაბები, მომზადდა ახალი ამოსაღები ველები, აღდგა ზედაპირული კომპლექსი, მთლიანად გადაიხურა სარკინიგზო მაგისტრალი, კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა ზედაპირულ ყველა შენობა-ნაგებობას. ქვანახშირის მოპოვება აღდგა ორ შახტში, აშენდა ქვანახშირის გამამდიდრებელი ფაბრიკა, რომელიც ექსპლოატაციაში 2010 წელს შევიდა. ამავე წელს ქვანახშირის მოპოვებამ 3 მლნ ტონა შეადგინა, დასაქმებულთა რაოდენობა კი ათას კაცამდე გაიზარდა.

ექსპერტული შეფასებით, 2009 წელს აქ მოპოვებულ იქნა 110 ათასი ტონა ქვანახშირი, 2010 წელს – 236 ათასი ტონა.

„საქნახშირს" („ჯი-აი-ჯი" ჯგუფს) დაგეგმილი აქვს უახლოეს პერიოდში ქვანახშირზე მომუშავე თბოელექტროსადგურისა და კოქსის ქარხნის მშენებლობა, რაც გაზრდის ქვანახშირზე მოთხოვნას. ამ პროდუქციის რეალური მომხმარებელი ამჟამად არის ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა. „საქნახშირს" დაგეგმილი აქვს უახლოეს პერიოდში ტყიბულის ქვანახშირიდან ბრიკეტების დამზადება და ორგანული სასუქის მიღება. ყოველივე ეს გაზრდის ქვანახშირზე მოთხოვნას. ამის შემდეგ შეიძლება დადებითად გადაწყდეს ტყიბულის საბადოს სამრეწველო ათვისების საკითხი. ამისათვის აუცილებელია დამატებითი გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოების გაწევა მაღალი კატეგორიების მარაგების გამოვლენისა და, საერთოდ, მარაგების დაზუსტების მიზნით, როგორც მოქმედ საშახტე ველებზე, ისე შაორის მოედნის პერსპექტიულ უბნებზე.

ქვანახშირის საბადოებიდან ამჟამად პერსპექტიულად შეიძლება მივიჩნიოთ მხოლოდ "ტყიბულ-შაორის" საბადო, სადაც თავმოყრილია ქვანახშირის მოძიებული მარაგის დაახლოებით 80% (260 მლნ ტ).

სერიოზულ დაფიქრებას და შესაბამისი სამუშაოების ჩატარებას მოითხოვს საქართველოში ქვანახშირისგან აირის მიღების ეფექტიანობის შესწავლა. არსებობს აირის მიღების სხვადასხვა წესი. მათ შორის დღეისათვის ეკონომიკურად გამართლებულია ქვანახშირიდან აირის მიღება მისი აირიზაციის მეშვეობით. ამასთან, ქვანახშირის აირიზაციის მთელი საწარმოო ციკლი, თვით სინთეტიკური აირის საბოლოო გამოყენების ჩათვლით, გაცილებით ნაკლებ ზარალს აყენებს გარემო ბუნებას, ვიდრე ქვანახშირზე მომუშავე თბოელექტროსადგურები, ან ქვანახშირის ჰიდროგენიზაციის ქარხნები. ქვანახშირის აირიზაციის დროს ასევე ხდება სუფთა ნახშირმჟავას გამოყოფა, რომელიც წარმატებით გამოიყენება ნავთობის მრეწველობაში.

აღსანიშნავია, რომ მთელ სამხრეთ კავკასიაში ნახშირის დიდი მარაგი მხოლოდ საქართველოშია, ხოლო ტყიბული-შაორის საბალანსო მარაგი მის 80%-ზე მეტია. გაცილებით მეტია ნახშირის პროგნოზული მარაგი, რომელიც 1,5-ჯერ სჭარბობს საბალანსოს. არსებობს მოთხოვნაც. ამის დასადასტურებლად ისიც კმარა, რომ 2008 წელს საქართველომ 121,1 ათასი ტონა იმპორტული ნახშირი გარედან შემოიტანა. მომავალში საჭიროა წარმოების მასშტაბების გაზრდა. დარგის სპეციალისტთა აზრით, ნახშირის წარმოების ეკონომიკურად ეფექტიანი მოპოვების ზღვარი წლიურად 600 ათასი ტონის ფარგლებში გადის. შემდგომში კი ნახშირის მოპოვებამ შეიძლება წლიურად 1,5 - 2,0 მლნ ტონასაც კი მიაღწიოს.

განახლებადი და არატრადიციული ენერგორესურსები. განახლებადი ენერგო-რესურსებიდან საქართველოში ყველაზე მნიშვნელოვანი ჰიდროენერგორესურსებია.

ადამიანი წყლის ბორბლების მეშვეობით უხსოვარი დროიდან გამოიყენებდა წყლის ენერგიას. წყლის წისქვილები შემონახულია დღემდე თითქმის უცვლელი სახით. XIX საუკუნის დასაწყისში ორთქლის მანქანებმა შეავიწროვეს წყლის ბორბალი, მაგრამ ელექტრომანქანებისა და ელექტროენერგიის შორ მანძილზე გადაცემის აღმოჩენის შემდეგ, ჰიდროტურბინების გამოგონების შედეგად, წყლის ძრავებმა კვლავ დაიბრუნა თავისი დაკარგული მნიშვნელობა. საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეში ერთ-ერთი პირველი ადგილი წყლის რესურსებს უჭირავს. უხვი ატმოსფერული ნალექი და მთის რელიეფი განაპირობებს წყლის ენერგიის უზარმაზარ მარაგს.

საქართველოში არსებული 60 ათასი კმ-ის სიგრძის 26 ათასზე მეტი მდინარის ბუნებრივი ჩამონადენების ჯამური მოცულობა ქვეყნის ტერიტორიაზე 56,0 მლრდ $მ^3$-ს, ხოლო გარედან მიღებული ჩამონადენებისა (სომხეთიდან და თურქეთიდან) – 9 მლრდ $მ^3$-ს შეადგენს. საქართველოში ყველა ზედაპირული და სატრანზიტო ჩამონადენის პოტენციური ჯამური ენერგია 229 მლრდ კვტ-სთ-ია, ხოლო შესაბამისი სიმძლავრე – 26,1 მლნ კვტ.

საქართველოში ჰიდროენერგორესურსები ქვეყნის ტერიტორიის მიხედვით განლაგებულია არათანაბარზომიერად. დასავლეთ საქართველოზე მოდის 72%, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოზე – მხოლოდ 28%. ჰიდროენერგეტიკული რესურსების ყველაზე მაღალი კონცენტრაციაა მდინარეების – კოდორის, ჩხალთის, ენგურის, ბზიფის, ნენსკრის, კელასურის და ცხენისწყლის აუზებში. 6 ყველაზე დიდი მდინარე (ენგური, რიონი, მტკვარი, ცხენისწყალი, კოდორი და ბზიფი) ფლობს ყველა ძირითადი წყალჩამონადენის ჯამური სიმძლავრის 34%-ს.

დღევანდელი ტექნიკური დონისათვის ასათვისებელი ჰიდროენერგორესურსების პოტენციალი შეადგენს 80-85 მლრდ კვტ.სთ-ს, მცირე და ძალზე მცირე მდინარეთა გამოყენების ჩათვლით. ტექნიკური პოტენციალი შესაძლებელია გაიზარდოს 90 მლრდ კვტ.სთ-მდე.

არატრადიციული რესურსებიდან, პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია **მზე**. იგი ენერგიის უზარმაზარი წყაროა, რომლის სიმძლავრე შეადგენს $4,10^{23}$ კვტ-ს, საიდანაც დედამიწას მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი – 10^{10} კვტ ხვდება. დედამიწის განათებულ ერთ კვადრატულ მეტრზე საშუალოდ ერთი კვტ მზის ენერგია მოდის.

მზის ენერგია შესაძლებელია გამოვიყენოთ როგორც სითბოს, ისე ელექტროენერგიის გამოსამუშავებლად. დღეისათვის, ეკონომიკური თვალსაზრისით, შესაძლებელია მხოლოდ სითბოს მიღება.

პირველი ჰელიომოწყობილობა მსოფლიოში გამოჩნდა 1952 წლის 6 იანვარს. ამის შემდეგ გამოგონებულ იქნა ათასობით ჰელიოდანადგარი, დაწყებული უმარტივესი მადუღრებიდან, უზარმაზარ (რამდენიმე ათასი კვადრატული მეტრი) პარაბოლურ სარკულ კონცენტრატამდე (რომლის ფოკუსში ტემპერატურა 2500-3500°C აღწევს) და მზის კოშკური სახის ელექტროსადგურებამდე, რომელთა სიმძლავრე რამდენიმე ათობით მგვტ-მდეა.

მზის ენერგიის სითბურ ენერგიად გარდაქმნის სამუშაოები საქართველოში დაიწყო გასული საუკუნის 40-იანი წლების ბოლოსა და 50-იანი წლების დასაწყისში. 1950 წელს წარმატებით იქნა გამოყენებული გასათბობი ჰელიოდანადგარი, რომლის მარგი ქმედების კოეფიციენტი 45% იყო. 1955-1957 წლებში საქართველოს სხვადასხვა რაიონში დადგმული იქნა 17 წყლის გამაცხელებელი ჰელიოდანადგარი, კოლექტორების 1600 $მ^2$ ფართით.

1959 წელს თბილისის ზოოვეტერინალური ინსტიტუტის ბაზაზე აგებულ იქნა მზის სინათლის კონცენტრატორი ინკუბატორში კვერცხებზე დასასხივებლად. კონცენტრატორი შედგებოდა 240 მინის სარკისაგან, რითაც სინათლის გამოსხივების ინტენსივობა იზრდებოდა 20-ჯერ. შემდეგში აიგო ორი მზის ღუმელი.

80-იან წლებამდე აღნიშნულმა სამუშაოებმა ვერ მიიღო ფართო განვითარება. 80-იანი წლებიდან ამ პრობლემებზე მუშაობა კვლავ გაძლიერდა. ჩამოყალიბდა სპეციალური სამმართველო "სპეცჰელიოთბომონტაჟი", რომელმაც ინტენსიურად დაიწყო მზის თბური კოლექტორების შექმნა და დანერგვა. ისინი ძირითადად ცხელი წყლით მოსამარაგებლად (მზის ენერგია საქართველოში შესაძლებლობას იძლევა მივიღოთ 40-500^0C ტემპერატურის

წყალი), ასევე, კომპლექსში, თბოტურბინებთან და სითბოს ტრადიციულ წყაროებთან ერთად, მთელი წლის განმავლობაში თბომომარაგებისთვისაც გამოიყენება. შემუშავდა ჰელიოდანადგარები სახლების გათბობისა და კონდიცირებისათვის. ცდებმა აჩვენა, რომ ჰელიოდანადგარების გამოყენება ეფექტიანი იქნებოდა რკინა-ბეტონის კონსტრუქციების შრობისთვისაც.

საქართველოს პირობებში მზის ენერგიის გარდამქმნელები შესაძლებელია გამოვიყენოთ მთაგორიან ადგილებში მდებარე, ძნელად მისასვლელი და მცირედ დასახლებული სოფლების, მწყემსების, გეოლოგიური და სამთამადნო სამუშაოების, სამხედრო-საველე საქმიანობის, კავშირგაბმულობის (სატელეკომუნიკაციო) სადგურების, საავარიო სიტუაციების ენერგიით მოსამარაგებლად. საქართველოს ტერიტორია მიჩნეულია ისეთ ტერიტორიად, სადაც მიზანშეწონილი და ეკონომიკურად გამართლებულია მზის რადიაციის გამოყენება ენერგიის წყაროდ. ამისათვის საუკეთესო პირობებია შავი ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე, ასევე, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს დაბლობ და კავკასიონის მაღალმთიან რაიონებში.

1926 წლიდან თბილისში მუშაობს სადგური, რომლის მეშვეობითაც სისტემატური დაკვირვება წარმოებს მზის პირდაპირ რადიაციაზე, 1937 წლიდან კი გაბნეულ და ჯამურ რადიაციაზე. 1950 წლიდან საქართველოში გაიხსნა კიდევ 6 სადგური. გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ ქვეყნის უმეტეს რაიონში მზის ნათების წლიური ხანგრძლივობა 250-დან 280 დღემდე მერყეობს, რაც წელიწადში დღის ხანგრძლივობის მიხედვით დაახლოებით 1900-2200 საათს შეადგენს. მზის წლიური ჯამური რადიაცია რეგიონების მიხედვით 1250-დან 1800 კვტ.სთ/მ^2-მდე დიაპაზონში მერყეობს, ხოლო მზის საშუალო რადიაცია დღეში 4,2 კვტ.სთ/მ^2-ს უტოლდება.

დღეისათვის საქართველოში მზადდება სხვადასხვა სახის მზის თბური კოლექტორები: ჰელიოსაშრობები, საპლაჟე, საშხაპე კაბინები და სხვ. 1994 წლიდან ფირმა "მზე", საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებთან ერთად, აწარმოებს გამოკვლევებს მაღალი კონცენტრაციის ფოტოელექტრონული სისტემის შესაქმნელად, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდება მარგი ქმედების კოეფიციენტის ამაღლება და ელექტროენერგიის თვითღირებულების შემცირება.

1996 წელს ჰარარეში, მზის მსოფლიო კომისიის უმაღლესი დონის შეხვედრაზე, საქართველომ ხელი მოაწერა დეკლარაციას მზის ენერგიის გამოყენების შესახებ, რითაც მონაწილე ქვეყნები ადასტურებენ მხარდაჭერას განახლებადი ენერგორესურსების ფართო მასშტაბით გამოყენებისათვის.

არატრადიციული რესურსებიდან აღსანიშნავია აგრეთვე **ქარის ენერგია.** მას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მსოფლიო ბუნებრივი რესურსების საერთო ბალანსში და საშუალოდ მზის რადიაციის ჯამური ენერგიის 2%-ს შეადგენს.

უძველესი დროიდან ქარის ენერგია გამოიყენებოდა ნაოსნობაში, შემდეგ კი ადამიანის კუნთოვანი ძალის შესაცვლელად. პირველად ქარის უმარტივესი ძრავა აიგო ეგვიპტესა და ჩინეთში. ეგვიპტეში ახლაც შემონახულია ქარის წისქვილების ნაშთები. XVIII საუკუნიდან ქარის ძრავები გამოიყენებოდა დასავლეთ ევროპაში წყლის ამოსაღებად, თესლის დასამტვრევად და სხვადასხვა ჩარხის ამოსაქმედებლად.

დღეისათვის ქარის ენერგიის გამოყენება ხდება ელექტროენერგიის მისაღებადაც. სულ უფრო პერსპექტიულად ითვლება დიდი სიმძლავრის ქარის ელექტროსადგურები ვერტიკალური ღერძით.

ქარის ელექტროსადგურების დადგმული სიმძლავრე მსოფლიოში თანდათან იზრდება. მაგალითად, დანიაში 1990 წელს 2 ათასი ქარის ელექტროსადგური იყო, რომლებიც წელიწადში 1 მლრდ კვტ.სთ ელექტროენერგიას გამოიმუშავებდნენ. ამერიკის შეერთებულ შტატებში მხოლოდ კალიფორნიის შტატში ქარის ელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია 2,5 მლრდ კვტ.სთ-ის ტოლი იყო, ხოლო 1 კვტ.სთ ელექტროენერგიის ღირებულება 4,9 ცენტს არ აღემატებოდა.

საქართველოს ქარის ენერგიის მნიშვნელოვანი პოტენციალი აქვს – 4 მლრდ კვტ.სთ წელიწადში, თუმცა, მისი ათვისების დონე დღეისათვის ძალიან დაბალია. თეორიულად, საქართველოში ქარის ენერგიის რესურსები 10^{12} კვტ.სთ-ს უტოლდება, მათგან ეკონომიკურად გამართლებულად მიჩნეულია 2-3 მლრდ კვტ-სთ.

დანიურ, გერმანულ და იაპონურ ფირმებთან ერთად, ამჟამად საქართველოში ხორციელდება ერთობლივი მუშაობა ქარის ენერგიის გამოყენების სფეროში. აღნიშნული მიმართულებით თანამშრომლობა დამყარდა უკრაინის მთავრობასთან საერთაშორისო ცენტრ "ენკოს" მონაწილეობით. ფირმა "კონსტრუქტორის" მიერ შემუშავდა და დამზადდა მცირე სიმძლავრის 200 ვტ-იანი ქარის ელექტროდანადგარი.

დღეისათვის საქართველოში ქარის დანადგარები არის მხოლოდ აბაშისა და გარდაბნის რაიონებში განათების, გათბობისა და ცხელი წყლით მომარაგების მიზნით.

საბუეთის მთაზე დამონტაჟდა თანამედროვე ელექტრონული ხელსაწყო, რომლის მეშვეობით ქარის მონაცემთა მნიშვნელოვანი ექსპრეს-გაზომვები მიმდინარეობს.

საქართველოს ტერიტორია, ქარის ენერგეტიკული პოტენციალის მიხედვით, დარაიონებულია 4 ზონად: ქარის მაღალსიჩქარიანი ზონა – სამხრეთ საქართველოს მთიანეთი, კახაბრის ვაკე და კოლხეთის დაბლობის ცენტრალური ნაწილი ქარის ხანგრძლივობით 5 ათას სთ-ზე მეტი წელიწადში; ქარის ნაწილობრივ მაღალ და დაბალსიჩქარიანი ზონები – მტკვრის ხეობა მცხეთიდან რუსთავამდე, ჯავახეთის სამხრეთი ნაწილი, შავი ზღვის სანაპირო ზოლი (ფოთიდან კახაბრის ვაკემდე) ქარის ხანგრძლივობით 4500-5000 სთ-ზე მეტი წელიწადში; ქარის დაბალსიჩქარიანი ქედების ეფექტიანი ექსპლუატაციის ზონები – გაგრის ქედი, კოლხეთის დაბლობი და აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობები; დაბალსიჩქარიანი ქედების შეზღუდული გამოყენების ზონები – იორის ზეგანი და სიონის წყალსაცავი.

საქართველოში გამოვლენილია ქარის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის რამდენიმე პერსპექტიული ადგილი: ფოთი (სიმძლავრე – 50 მგვტ, გამომუშავება – 110 მლნ კვტ.სთ), ჭოროხი (50 მგვტ, 120 მლნ კვტ.სთ), ქუთაისი (100 მგვტ, 200 მლნ კვტ.სთ), მთა-საბუეთი (150 მგვტ, 450 მლნ კვტ.სთ), მთა-საბუეთი II (600 მგვტ, 2000 მლნ კვტ.სთ), გორი-კასპი (200 მგვტ, 500 მლნ კვტ.სთ), ფარავანი (200 მგვტ, 500 მლნ კვტ.სთ), სამგორი (50 მგვტ, 130 მლნ კვტ.სთ), რუსთავი (50 მგვტ, 150 მლნ კვტ.სთ), მთლიანი სიმძლავრით – 1450 მგვტ, გამომუშავება – 4160 მლნ კვტ.საათი.

საქართველო მდიდარია **გეოთერმული წყლებითაც**. აქ დღეისათვის გამოვლენილია 300-მდე 30-110°C ტემპერატურის წყალი, რაც 500 ათასი ტონა პირობითი სათბობის ეკვივალენტურია. გეოთერმული წყლების ასეთი რაოდენობით გამოყენება წელიწადში დაზოგავს 2 მლნ ტონა პირობით სათბობს.

თერმული წყლების პრაქტიკული ათვისება საქართველოში დაიწყო 1973 წლიდან. თერმული წყლით მარაგდებოდა თბილისი, ზუგდიდი, სამტრედია და ზოგიერთი სხვა ქალაქი. 1993 წელს თითქმის ყველა საბადოს ექსპლუატაცია, თბილისის ლისის საბადოს გარდა, შეწყდა.

ამჟამად მიტოვებული მუნიციპალური თბოელექტროსადგურების ადგილზე, გეოთერმული ცირკულარული სისტემების აგების შედეგად, შესაძლებელია გადაწყდეს თბილისის ცხელი წყლით მომარაგების პრობლემა. ასევე, მნიშვნელოვანია ზუგდიდის საბადოები, თუმცა, ამჟამად არსებული სარეწაო უბნები განადგურებულია.

ჰიდროგეოლოგიური შესწავლის თანამედროვე დონის შესაბამისად, საქართველოში გეოთერმული წყლების პროგნოზული მარაგები აღწევს 250 მლნ კუბ.მ-ს წელიწადში.

დღეისათვის ცნობილია 250-ზე მეტი ბუნებრივი და ხელოვნურად გაბურღული გამოსავლები, რომლებშიც გეოთერმული წყლის ტემპერატურა მერყეობს 30-110^{0}C-ის ფარგლებში, ხოლო მთლიანი დებიტი აღწევს 160 ათას მ^3-ს დღე-ღამეში. ისინი დაჯგუფებულია 44 საბადოდ. აქედან, 350 მ^2-ზე განთავსებულია ისეთი ჭაბურღილები, რომელთა წყლის ტემპერატურა 85^{0}C და მეტია.

გეოთერმული საბადოების 80%-ზე მეტი განლაგებულია დასავლეთ საქართველოში. ზუგდიდი-ცაიშის გეოთერმულ ველზე დღეისათვის საექსპლუატაციოდ ვარგისად შეიძლება ჩაითვალოს 9 პროდუქტიული, 7 სარეინჟექციო და 3 სადამკვირვებლო ჭაბურღილი. დადგენილია, რომ საბადოებზე არსებობს ორი დამოუკიდებელი თერმოწყალშემცველი ჰორიზონტი, რომლებზეც რეინჟექციის ორგანიზების შემთხვევაში შეიძლება სტაბილურად 30 ათასი $მ^3$ თერმული წყლის დღე-ღამეში მოპოვება.

ბიოგაზის ენერგიის გამოყენების მიმართულებით საქართველოში ჯერჯერობით მნიშვნელოვანი არაფერი გაკეთებულა, თუმცა, ამის პოტენციალი არსებობს. აქ შესაძლებელია ქარხნის ტიპის დიდი დანადგარების მშენებლობა და მასში ბიოგაზის ენერგიის გამომუშავება ან საოჯახო დანადგარების დამზადება, რომლითაც მოსახლეობა თვით უზრუნველყოფს აღნიშნული ენერგიის მიღებას. პირველი მიმართულებით ქალაქის ნარჩენების ბიოთერმული დამუშავების საამქროს ბაზაზე შესაძლებელია სპეციალური დანადგარის მეშვეობით ბიოგაზის მიღება. მეორე მიმართულებით ფირმა "კონსტრუქტორის" მიერ მომზადებულია 7-10 $მ^3$ ტევადობის ბიოგაზის დანადგარის პროექტი.

საქართველოსათვის პერსპექტიულია შავი ზღვის ენერგეტიკული რესურსების გამოყენება. აქ, ქიმიურ და ჰიდროლოგიურ რესურსებთან ერთად, ენერგეტიკული რესურსები წარმოდგენილია ზღვის წყალში გახსნილი საწვავი აირების – გოგირდწყალბადის, მეთანისა და პროპანის სახით, რომელთა ჯამური რაოდენობა დაახლოებით 8 მლრდ ტონაა, ხოლო გოგირდწყალბადის განახლებადი ნაწილი – რამდენიმე ათეული მლნ ტონა.

მსოფლიოში შემუშავებულია გოგირდწყალბადის ზღვის წყლიდან მიღების სხვადასხვა მეთოდი, მაგრამ ჯერჯერობით არც ერთი მეთოდი სრულყოფილი არ არის.

მეტად საინტერესოა ენერგეტიკის განვითარების **სინერგიული კონცეფცია**, რომელიც ითვალისწინებს ენერგიის სახეობათა კომბინირებულ გამოყენებას, რათა მიღებულ იქნეს უფრო მეტი ენერგეტიკული შედეგი, ვიდრე მათი ცალ-ცალკე გამოყენების შემთხვევაში. სინერგიული კონცეფცია არ გულისხმობს კოგენერაციას, ე.ი. ერთი სახის ენერგიისაგან ენერგიის რამდენიმე სახის მიღებას. შესაძლებელია განვიხილოთ მზე-ქარის, მზე-ჰიდრო, ქარი-ჰიდრო, მზე-ქარ-ჰიდრო სინერგეტიკული ელექტროსადგურები, ასევე, ქარსათბობის სინერგეტიკული ელექტროსადგურები. ამ შემთხვევაში ეკონომიკური ეფექტიანობა მიიღწევა იმით, რომ ენერგიის სხვადასხვა სახეობის ერთდროულად გამოყენება ავსებს იმ ნაკლოვანებებს, რაც ენერგიის ცალ-ცალკე გამოყენებას ახლავს თან. მაგალითად, მხოლოდ ქარის ელექტროსადგური მუშაობს მხოლოდ მაშინ, როდესაც ქარია და ეს შესაძლებელია სრულებითაც არ ემთხვეოდეს ელექტროენერგეტიკული სისტემის მოთხოვნას, ასევეა მზის ელექტროსადგურიც. მათი ჰიდროაკუმულაციურ ელექტროსადგურებთან ერთდროული გამოყენება ამ ნაკლოვანებას ხსნის.

საქართველოში მზე-ქარ-ჰიდრო ელექტროსადგური მიზანშეწონილია აშენდეს თიანეთის რაიონში, ბეღელას ხევში, სადაც ქარის ან მზის ენერგიის ხარჯზე წყლის ატუმბვა შესაძლებელია განხორციელდეს 100, ხოლო ჩამოცლა 700 მ სიმაღლეზე. ქარი–სათბობის სინერტეგიკული სადგურის ასაშენებლად კი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მთა საბუეთის ფართობი, სადაც ქარის ჯამური სიმძლავრე 500-700 მგვტ-ს შეადგენს, გამოყენებული საათების რაოდენობა – 5000 სთ-ს, ქარის საშუალო წლიური სიჩქარე კი 40 მეტრის სიმაღლეზე 12,1 მ/წმ-ის ტოლია.

საქართველოში აუცილებელია ენერგეტიკულ სიმძლავრეთა შესაბამისი ზრდა. ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოებისათვის მეტად მნიშვნელოვანია ენერგიის გენერაციისა და იმპორტის წყაროთა დივერსიფიცირება, ენერგეტიკაში ინვესტიციების მოზიდვისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, ენერგეტიკის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება და ა.შ.

საქართველო აღმოსავლეთ-დასავლეთისა და ჩრდილოეთ-სამხრეთის ენერგეტიკული დერეფნების ნაწილია, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ეკონომიკური განვითარებისათვის.

XIII თავი
მშენებლობა

საქართველოში, როგორც უძველესი ცივილიზაციისა და კულტურის ქვეყანაში, სამშენებლო საქმიანობის წარმოება-განვითარება შორეულ წარსულში იღებს სათავეს. აქედან გამომდინარე, ინდუსტრიის ამ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგის განვითარებას საქართველოში ვრცელი და საინტერესო ისტორია აქვს. ღვთიშობლის წილხვედრ ქვეყანაში დღემდეა შემორჩენილი ხუროთმოძღვრების უამრავი ისტორიული ძეგლი. აქედან – ბაგრატის ტაძარი (X-XI საუკუნე), ჯვრის მონასტერი (XI საუკუნე), სვეტიცხოველი (XI საუკუნე), გელათის მონასტერი (XI-XII საუკუნე), ზემო სვანეთის ისტორიული ძეგლები შეტანილია UNESCO-ს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის რეესტრში. ეს და სხვა უნიკალური არქიტექტურული მემკვიდრეობა ნათლად მიუთითებს ქართველთა სამშენებლო საქმიანობის დიდ ტრადიციებსა და მაღალ კულტურაზე.

საეკლესიო ხუროთმოძღვრული უნიკალური ძეგლების გარდა, საქართველოში მრავლადაა სამოქალაქო არქიტექტურის კლასიცისტურ, რენესანსულ, მოდერნისა და ბაროკოს სტილში გადაწყვეტილი ღირსშესანიშნავი ნიმუშები: თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრი (XIX საუკუნის 40-იანი წლები), თბილისის საკრებულოს შენობა (XIX საუკუნის 40-იანი წლები), მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე თბილისში (XIX საუკუნის 60-იანი წლები), საქართველოს უზენაესი სასამართლოს შენობა თბილისში (XIX საუკუნის 90-იანი წლები), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის შენობა (XX საუკუნის დასაწყისი), თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის შენობა (XX საუკუნის დასაწყისი), მწერალთა კავშირის შენობა თბილისში (XX საუკუნის დასაწყისი), შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის შენობა (XIX საუკუნის ბოლო – XX საუკუნის დასაწყისი), „თი-ბი-სი“ ბანკის ისტორიული შენობა (XX საუკუნის დასაწყისი), კინოთეატრი „აპოლო“ (XX საუკუნის დასაწყისი), საქართველოს ეროვნული ბანკის ისტორიული შენობა (XX საუკუნის დასაწყისი), თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის შენობა (XX საუკუნის 20-იანი წლები), თბილისის კლასიკური გიმნაზიის შენობა (XX საუკუნის 30-იანი წლები), ყოფილი საგზაო სამინისტროს მონუმენტური შენობა (XX საუკუნის 70-იანი წლები) და ა.შ. ასეთი უნიკალური არქიტექტურული მემკვიდრეობა ნათლად მიუთითებს ქართველთა სამშენებლო საქმიანობის დიდ ტრადიციებსა და მაღალ კულტურაზე.

საქართველოში პირველი მსხვილი სამშენებლო ორგანიზაცია – „საქმშენი“ 1925 წელს დაარსდა. ამავე პერიოდში შეიქმნა მუშათა საბინაო-სამშენებლო კოოპერაციული ამხანაგობები. ცოტა მოგვიანებით, ქვეყნის განვითარების პროცესი ხუთწლედებად დაიყო და 1928 წლიდან 1980-იან წლების ბოლომდე სამშენებლო დარგში, იმ დროისათვის გაბატონებული „ყაზარმული სოციალიზმის“ მოდელის[1] პირობებში, ბევრი ცვლილება განხორციელდა. ერთმანეთის მიყოლებით იქმნებოდა ადგილობრივი და საკავშირო მნიშვნელობის დარგობრივი სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციები. 1970-იან წლებში გამოიკვეთა მშენებლობის განვითარების ტენდენციები, შეიცვალა წარმოების ხასიათი, გაუმჯობესდა სამშე-

[1] **Asatiani R.** Caucasus and Georgian Economy: Past, Present, Prospects. “The Caucasus Region Economic and Poetical Developments”. New York, „Nova”, 2011, pp. 193-207.

ნებლო ორგანიზაციების ტექნიკური აღჭურვის მაჩვენებლებიც. დიდი მასშტაბებით გაიშალა საბინაო მშენებლობები, თუმცა, არა მარტო სამშენებლო სექტორი, არამედ მთელი ეკონომიკა განვითარების ექსტენსიურ გზაზე იდგა და ვერ უზრუნველყოფდა მაღალი ხარისხის პროდუქციის წარმოებას, რამაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საბჭოთა კავშირის დაშლაში.

1990-იანი წლების დასაწყისიდან, საქართველოში ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გადამწყვეტ ფაზაში, უმართავი პროცესები და უარყოფითი მოვლენები განსაკუთრებით მწვავედ აისახა სამშენებლო სექტორზე. ქვეყანაში შეწყდა ყველანაირი სახის ეკონომიკური აქტიურობა და მშენებლობამ, ფაქტობრივად, დაკარგა თავისი ფუნქცია. დაიხურა რიგი სამშენებლო ორგანიზაციებისა და საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოები, დაიქსაქსა მშენებელი კადრები, მოიშალა დარგში არსებული ეკონომიკური კავშირები და ა.შ.

1995 წლიდან საბანკო სექტორის მეტ-ნაკლები მოწესრიგების შემდეგ, ქვეყნის მოსახლეობამ აქტიურად დაიწყო საკრედიტო რესურსების გამოყენება საბინაო მშენებლობისთვის. პარალელურად, სამშენებლო ბაზარზე გაჩნდა ახალი სამშენებლო კომპანიები, მათ შორის, ქართული რეალობისათვის ახალი – დეველოპერული (მშენებარე ობიექტების ფართის მის აშენებამდე გამყიდველი) სამშენებლო კომპანიებიც. 1995-2004 წლებში ქვეყანაში შესრულებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების მოცულობა წლიურად საშუალოდ 54%-ით იზრდებოდა[2].

ფართო მასშტაბით გაიშალა ეკლესიებისა და მონასტრების მშენებლობა, რაც მნიშვნელოვანი მოვლენაა საქართველოს უახლეს ისტორიაში.

ქვეყანაში გააქტიურდა სამშენებლო საქმიანობა, თუმცა, 2000 წელს მშენებლობის წილი ეკონომიკის მთლიან გამოშვებაში მხოლოდ 4,9%-ს შეადგენდა და 2005 წლამდე საშუალოდ 0,3%-ით იზრდებოდა.

2004 წლიდან საქართველოს სამშენებლო სექტორში რადიკალური რეფორმების გატარება დაიწყო. გაუქმდა არქიტექტურისა და მშენებლობის სამინისტრო და ქვეყანაში არქიტექტურულ-ქალაქთმშენებლობის პოლიტიკის შემუშავება, კოორდინაცია საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ურბანიზაციისა და მშენებლობის დეპარტამენტს დაეკისრა. იგი ხელმძღვანელობს ურბანულ განვითარებას, ტერიტორიულ-სივრცით მოწყობას და ორი სტრუქტურული ერთეულისგან შედგება: ურბანული განვითარებისა და მშენებლობის საქმეთა სამმართველოებისგან[3]. საქალაქო სამსახურების შემადგენლობაში შეიქმნა არქიტექტურის ადგილობრივი სამსახურები, რომელთა ძირითადი მიზანია არსებული საკანონმდებლო-ნორმატიული აქტების ფარგლებში უზრუნველყონ თავიანთ ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-სამშენებლო პროცესების სრულმასშტაბიანი მართვა.

2004-2008 წლებში ეკონომიკის მთლიან გამოშვებაში მშენებლობის ხვედრითი წონა წლიურად საშუალოდ 1,5%-ით იზრდებოდა. 2007 წელს ქვეყნის მშპ-ში მშენებლობის წილმა 15,6% ანუ 2660,1 მლნ ლარი შეადგინა. ამასთან, თუ 2004 წელს რეგისტრირებული იყო 668 სამშენებლო ორგანიზაცია, 2005 წლისთვის მათი რიცხვი გაორმაგდა და 1232 ერთეული შეადგინა. სამშენებლო კომპანიების რაოდენობის ზრდის ტემპი მომდევნო წლებშიც გაგრძელდა. აღნიშნული ტენდენციის შესახებ წარმოდგენას იძლევა გრაფიკი 1.

---

[2] საინვესტიციო და სამშენებლო საქმიანობა საქართველოში. სტატისტიკური კრებული. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი. თბილისი, 2004.

[3] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. http://www.economy.ge/

გრაფიკი 1

სამშენებლო კომპანიების რაოდენობა საქართველოში 2001-2008 წლებში[4]



საინტერესოა შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა საკუთრების ფორმების მიხედვითაც (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1

საქართველოში შესრულებული სამშენებლო სამუშაოების მოცულობა საკუთრების ფორმების მიხედვით[5]

(მლნ ლარი)

წლები	**სამშენებლო სამუშაოები სულ**	**მათ შორის ორგანიზაციებში**	
		სახელმწიფო	არასახელმწიფო
2001	239,0	34,6	204,4
2002	327,6	44,7	282,9
2003	302,3	42,0	260,3
2004	383,7	30,9	352,8
2005	768,9	52,3	716,6
2006	1186,0	36,6	1149,4
2007	1718,2	36,5	1681,7
2008	1434,7	10,4	1424,3
2009	1752,6	4,1	1748,5
2010	1728,5	6,5	1722,0

საქართველოს სამშენებლო ბაზარზე სამშენებლო ორგანიზაციების რიცხვის ზრდასთან ერთად იზრდებოდა დარგის ბრუნვისა და პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლებიც (იხ. გრაფიკი 2).

---

[4] **თვალჭრელიძე ა., სილაგაძე ა.** და სხვ. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა. თბილისი, „ნეკერი“, 2011, გვ. 134.

[5] საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული – 2010. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. თბილისი, 2010, გვ. 190.

გრაფიკი 2

საქართველოში მშენებლობის დარგის ბრუნვისა და პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლები 2002-2010 წლებში[6]



2005 წლიდან ქვეყნის ეკონომიკაში მშენებლობა მაღალი ზრდის ტემპებით გამოირჩეოდა, რაც მნიშვნელოვანწილად ქვეყნის საბანკო სისტემის გააქტიურებამ განაპირობა. 2005-2010 წლებში საქართველოში მშენებლობის ძირითადი მაჩვენებლების შესახებ იხილეთ ცხრილი 2.

ცხრილი 2

საქართველოში მშენებლობის დარგის ძირითადი მაჩვენებლები 2005-20010 წლებში[7]

ძირითადი მაჩვენებლები	2005	2006	2007	2008	2009	2010
ბრუნვა, მლნ ლარი	778,8	1125,3	1604,6	1412,0	1736,3	1694,5
გამოშვებული პროდუქცია, მლნ ლარი	768,9	1186,0	1718,2	1434,7	1752,6	1728,5
დამატებითი ღირებულება, მლნ ლარი	246,0	401,4	630,6	482,3	605,2	618,1
შუალედური მოხმარება, მლნ ლარი	523,0	784,5	1087,6	952,4	1147,5	1110,4
ფიქსირებული აქტივები, მლნ ლარი	258,7	474,9	635,1	652,4	723,8	799,1
დასაქმებულთა რაოდენობა, კაცი	38560	46681	52572	38109	43452	40303
დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება, ლარი	292,3	391,0	495,1	600,9	629,0	674,6

მშენებლობაში საბანკო სექტორის მიერ საკრედიტო ინტერვენციის ფარგლები მკვეთრად გაფართოვდა და 2008 წლის მსოფლიო ფინანსურ კრიზისამდე მშენებლობათა 80% თითქმის საბანკო სექტორზე აღმოჩნდა დამოკიდებული. ეს პროცესი შემდგომში კიდევ უფრო გამყარდა.

2008 წლის ცნობილი მოვლენების შემდეგ, საბანკო და სამშენებლო სექტორები, როგორც ენდოგენური, ისე ეგზოგენური ფაქტორების გავლენით, ერთდროულად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა.

2010 წელს საქართველოში, სამშენებლო სექტორის ადმინისტრირების გამარტივების მიზნით, გატარდა გარკვეული რეფორმები, კერძოდ, საქართველოს მთავარი არქიტეტუ-

[6] საქართველო ციფრებში – 2010. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. თბილისი, 2010, გვ. 52.
[7] იქვე.

რულ-სამშენებლო ინსპექცია, ტექნიკური ზედამხედველობის სამსახური და განსაკუთრებული ნებართვების გაცემის სამმართველო ჩამოყალიბდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ერთ საქვეუწყებო დაწესებულებად – ტექნიკურ და სამშენებლო ინსპექციად, რომელსაც დაევალა მომატებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება, მათ შორის მშენებლობის ნებართვების გაცემა.

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში ქვეყანაში სამშენებლო სექტორის რეგულირებისათვის მიღებულ იქნა დაახლოებით ხუთ ათეულზე მეტი საკანონმდებლო ნორმატიული დოკუმენტი კანონების, ბრძანებულებების, დადგენილებების, ბრძანებებისა თუ განკარგულებების სახით, თუმცა, რეალურად, მშენებლობის ეფექტიან რეგულირებას განაპირობებს არა საკანონმდებლო-ნორმატიული აქტების რაოდენობის სიმრავლე, არამედ მათი შინაარსობრივი და ხარისხობრივი შესაბამისობა კერძო და სახელმწიფო სექტორების ინტერესებთან.

ამჟამად სამშენებლო საქმიანობა საქართველოში რეგულირდება კანონებით: „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“, „არქიტექტურული საქმიანობის შესახებ“; „სამშენებლო საქმიანობის შესახებ“; „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ და „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“. აღნიშნული კანონების გარდა, 2009 წლის აპრილიდან საქართველოში მშენებლობის რეგულირების საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს მთავრობის დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“. მას წინ უძღოდა 2005 წლის 11 აგვისტოს იგივე სახელწოდების დადგენილება, რომელმაც იმ დროისათვის მნიშვნელოვნად გაამარტივა მშენებლობის ნებართვის აღების პროცედურა. დარეგულირდა მშენებლობის ისეთი მნიშვნელოვანი ასპექტები, როგორებიცაა: მშენებლობის ნებართვების გაცემა, სანებართვო პირობების შესრულება და შენობა-ნაგებობების ვარგისად აღიარების პროცედურები. უკანასკნელ პერიოდში კიდევ უფრო დაიხვეწა მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურები. ამ მიზნით დღეისათვის საქართველოში მოქმედებს სამსაფეხურიანი მოდელი: პირველ საფეხურზე დგინდება სამშენებლო მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები (გაპი), მეორე საფეხურზე ხორციელდება არქიტექტურული პროექტის, კონსტრუქციული ტექნოლოგიური სქემების შეთანხმება, ხოლო მესამე საფეხურზე ხდება მშენებლობის ნებართვის გაცემა. ისეთი მშენებლობებისათვის, სადაც ხორციელდება შენობა-ნაგებობების შეკეთება, მოპირკეთება-აღჭურვა, რომლის დროსაც არ იცვლება შენობა-ნაგებობების მზიდი კოსტრუქციები, მშენებლობის ნებართვა არ მოითხოვება[8]. მშენებლობის ნებართვების გაცემის მოქმედი მოდელი შესაძლებლობას აძლევს ინვესტორებს, მაქსიმალურად მოკლე დროში, ნაკლები ბიუროკრატიული ბარიერების გავლით მიიღონ მშენებლობის ნებართვა და დაიწყონ მშენებლობა.

მშენებლობაში საინჟინრო-ტექნიკური და ტექნიკურ-ეკონომიკური შინაარსის გადაწყვეტილებათა მიღება წინასწარ შემუშავებულ და აღიარებულ ტექნიკურ პარამეტრებს უნდა ეჯრდნობოდეს. თუმცა საქართველოში მშენებლობის ტექნიკური რეგლამენტირება თავიდანვე პრობლემური გახდა ტექნიკური რეგლამენტირების საკითხისადმი არასწორი მიდგომისა და მისი შემუშავებისას არასწორი მეთოდოლოგიის გამოყენების გამო.

დღეისათვის საქართველოში მშენებლობები ხორციელდება სამშენებლო სფეროში 1992 წლამდე საქართველოში მოქმედი ნორმების, წესებისა და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტების გამოყენებით, რაც, უპირველეს ყოვლისა, რუსული ტექნიკური რეგლამენტების (СНиП-ების) გამოყენებას გულისხმობს. ცხადია, მშენებლობის ტექნიკური რეგლამენტირების პრობლემის გადაწყვეტა მხოლოდ „სნიპების“ გამოყენებით შეუძლებელია. აღნიშნული ნაბიჯი, ფაქტობრივად, იძულებით ხასიათს ატარებს, რადგან ჯერჯერობით საქართველოში საკმა-

[8] თბილისის არქიტექტურა. თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – http://architect.tbilisi.gov.ge/

რისი ეროვნული ტექნიკური რეგლამენტები არ არის დამუშავებული, თუმცა, ამის გამო მშენებლობების შეჩერება წარმოუდგენელია.

შექმნილი მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალი ეროვნული ტექნიკური რეგლამენტების სავალდებულოდ შემოღებაა, თუმცა, საქართველოს, ასეთი ტიპის სახელმძღვანელო დოკუმენტის შესაქმნელად, არ გააჩნია საკმარისი რესურსი. ამიტომ აღნიშნული პრობლემის მოგვარებისას, გასათვალისწინებელია აპრობირებული უცხოური გამოცდილება, განსხვავებული კოცეპტუალური მიდგომა.

სახელმწიფო ამუშავებს არა მშენებლობის ყველა სტანდარტს და შემდგომ აცხადებს მას სავალდებულოდ, არამედ სახელმწიფო ადგენს მხოლოდ ტექნიკურ რეგლამენტებს ქვეყნის უსაფრთხოების, ეკონომიკური პროგრესის, სახელმწიფო და კერძო ინტერესების გათვალისწინებით. კონკრეტული სტანდარტები კი სახელმწიფოს მიერ დადგენილი ტექნიკური რეგლამენტების ჩარჩოებში შეიძლება დამუშავდეს როგორც კონკრეტული ფირმების, ისე სხვადასხვა კომპეტენტური ორგანიზაციების თუ სტრუქტურების მიერ. შემუშავებული სტანდარტების ნაწილის გამოყენება შეიძლება იყოს როგორც სავალდებულო, ისე ნებაყოფლობითი, რაც მის ავტორებსა და მფლობელებს გარკვეულ დამატებით შემოსავლებსაც მოუტანს.

საქართველოში სამშენებლო სექტორში ნაკლებად არის დაცული მომხმარებელთა უფლებები. მათი უმრავლესობა, ფაქტობრივად, ვერ ფლობს როგორც მშენებლობის ხარისხის, ისე მშენებლობის დროული დასრულების გარანტიებს. ხშირია შემთხვევები, როდესაც მომხმარებელი იძულებულია მიმართოს სასამართლოს, რაც დროში გაწელილ პროცედურებსა და დამატებითი ხარჯების გაწევას მოითხოვს. აღნიშნული მდგომარეობა, მნიშვნელოვანწილად განპირობებულია იმით, რომ სამშენებლო სექტორში, ფაქტობრივად, არ გამოიყენება დაზღვევის მექანიზმები, იმ იშვიათი გამონაკლისების გარდა, როდესაც სამშენებლო ან დეველოპერული კომპანია მომხმარებელს სთავაზობს როგორც სამშენებლო პროექტის ფინანსურ მონიტორინგს, ისე პროექტით განსაზღვრულ ვადებში მშენებლობის დასრულების გარანტიებს დაზღვევის მექანიზმების გამოყენებით. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ პერიოდში მშენებლებსა და მომხმარებლებს შორის ნდობის აღდგენისა და სამშენებლო სექტორის გააქტიურების მიზნით, მთავრობის ინიციატივით სამშენებლო კომპანიებს წინასწარ უფორმდებათ ხელშეკრულებები დაუმთავრებელი ან ახალი მშენებლობების ფართების გარკვეულ ფასად გარანტირებულ შესყიდვაზე, რაც საშუალებას აძლევს სამშენებლო კომპანიებს სწორი მენეჯმენტის პირობებში მოახერხონ საქმიანობის გააქტიურება და მომხმარებელთა წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულება.

უკანასკნელი წლებში საქართველოში სამშენებლო საქმიანობა მზარდ და მომგებიან ბიზნესად გადაიქცა.

სამშენებლო სექტორის განვითარებას გარკვეული წინაპირობები უძღვოდა წინ, კერძოდ: XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისში მსოფლიოში მიმდინარე გეოპოლიტიკური პროცესების შედეგად, მკვეთრად გაიზარდა ინტერესი სამხრეთ კავკასიის რეგიონისადმი. საქართველოში დაიწყო ინვესტიციების განხორციელება, რამაც წლების მანძილზე მძიმე მდგომარეობაში მყოფი ქვეყნის სამშენებლო სექტორი გამოაცოცხლა. 2001 წელს ქვეყნის ძირითად კაპიტალში გახორციელებული ინვესტიციების 1,3% ანუ 24,6 მლნ ლარი მშენებლობაზე მოდიოდა. 2002 წლისთვის აღნიშნული მაჩვენებელი 3,1%-მდე ანუ 32,2 მლნ ლარით გაიზარდა. 2003 წელს ქვეყანაში განვითარებული პოლიტიკური მოვლენების გამო, აღნიშნული მცირე ზრდის ტემპიც შენელდა და ძირითად კაპიტალში განხორციელებული 2283,6 მლნ ლარის ინვესტიციებიდან მშენებლობაზე მხოლოდ 56,6 მლნ ლარი დაიხარჯა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 0,2 მლნ ლარით ჩამორჩა.

2004 წლის ბოლოს ქვეყნის ძირითად კაპიტალში განხორციელებული იყო 2697,3 მლნ ლარის ინვესტიცია, რომელშიც მშენებლობის ხვედრითი წონა 38,6%-ით გაიზარდა და 146,5 მლნ ლარი შეადგინა. 2005 წელს მშენებლობაში განხორციელებული ინვესტიციების მოცუ-

ლობა, წინა წელთან შედარებით, 42,1%-ით გაიზარდა და 347,2 მლნ ლარს მიაღწია. 2006 წლისთვის მშენებლობაში განხორციელდა 347,2 მლნ ლარის ინვესტიცია და 81,4%-იანი ზრდა დაფიქსირდა, თუმცა, მშენებლობის განვითარების პიკად უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში 2007 წელი იქცა. ამ წელს ქვეყნის ძირითად კაპიტალში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობამ საქართველოს უახლეს ისტორიაში სარეკორდო მაჩვენებელი – 4370,5 მლნ ლარი შეადგინა, რომელშიც მშენებლობის ხვედრითი წონა 516,4 მლნ ლარით ანუ 11,8%-ით განისაზღვრა.

საქართველოში საინვესტიციო პროცესები, 2008 წლის აგვისტოს ომისა და მსოფლიოში განვითარებული ფინანსური კრიზისის გამო, საგრძნობლად შემცირდა და მხოლოდ ნაწილობრივ მოხერხდა ქვეყანაში წინა წლის დადებითი ეკონომიკური ტენდენციების შენარჩუნება, 2008 წლის ბოლოს კი ეკონომიკური ვარდნის მასშტაბები მკაფიოდ გამოიკვეთა. მიუხედავად ამისა, მოხერხდა ძირითად კაპიტალში განხორციელებულიყო 4098,5 მლნ ლარის ინვესტირება. მშენებლობის ხვედრითმა წონამ 2008 წელს ქვეყნის ძირითად კაპიტალში განხორციელებულ ინვესტიციებში 8,5% (346,8 მლნ ლარი) შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 169,4 მლნ ლარით ნაკლები იყო. ინვესტიციების კლების ტენდენცია გაგრძელდა მომდევნო წელსაც, კერძოდ, 2009 წელს ქვეყნის ძირითად კაპიტალში განხორციელდა 2755,4 მლნ ლარის ინვესტიცია, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 1343,1 მლნ ლარით ნაკლები იყო. შემცირდა, ასევე, მშენებლობის ხვედრითი წონა ძირითად კაპიტალში განხორციელებული ინვესტიციების მთლიან მოცულობაში. 2009 წელს მშენებლობაში განხორციელდა 155,4 მლნ ლარის ინვესტიცია, რაც წინა წლის მონაცემზე 2,2-ჯერ, ხოლო 2007 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 3,3-ჯერ ნაკლებია.

2007 წელს მშენებლობაში განხორციელებული ინვესტიციების მთლიან მოცულობაში დაახლოებით 56,5% პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე მოდიოდა და, შესაბამისად, 171,8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც, თავის მხრივ, იმ დროისათვის საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (2014,8 მლნ აშშ დოლარი) მთლიანი მოცულობის 8,5%-ს შეადგენდა. 2008 წლის ცნობილმა მოვლენებმა განსაკუთრებით უარყოფითი გავლენა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოსვლაზე იქონია. კერძოდ, მშენებლობაში მისი მოცულობა 56,7 მლნ აშშ დოლარამდე შემცირდა და ქვეყანაში 2008 წელს განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (1564 მლნ აშშ დოლარი) მთლიანი მოცულობის 3,6% შეადგინა.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კლების არასასიამოვნო ტენდენცია 2009 წელსაც გაგრძელდა. საქართველოში მხოლოდ 658,1 მლნ აშშ დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განხორციელდა, თუმცა, ინვესტიციების საერთო კლების მიუხედავად, 16,0%-მდე გაიზარდა მასში მშენებლობის ხვედრითი წონა და, შესაბამისად, 105,2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. 2010 წელს ქვეყნაში განხორციელებული 814 მლნ აშშ დოლარის ოდენობის პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიდან კი სამშენებლო სექტორზე მხოლოდ 0,57% ანუ 4,705 მლნ აშშ დოლარი მოდიოდა.

მშენებლობაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კლების პარალელურად შემცირდა მასში დასაქმებულთა რიცხოვნობაც. 2007 წელს დარგში დასაქმებული იყო 52572 კაცი, 2008 წელს – 38109, ხოლო 2009 წელს, მშენებლობაში დაბანდებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის ზრდის პარალელურად, დასაქმებულთა რაოდენობაც 43452-მდე გაიზარდა, 2010 წლისთვის კი ინვესტიციების ვარდნის შესაბამისად სექტორში დასაქმებულთა რიცხოვნობა 31289-მდე შემცირდა.

საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა, მისადმი გაზრდილი გეოპოლიტიკური ინტერესი, ქვეყნის ბუნებრივ-ეკონომიკური პოტენციალი და ორიენტაცია სერიოზულ შესაძლებლობებს ქმნის საერთაშორისო მნიშვნელობის სხვადასხვა სამშენებლო პროექტის განხორციელებისთვის.

თბილისში, სადაც ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი ნაწილია თავმოყრილი, საბინაო ფონდი საკმაოდ მოძველებული და ავარიულია. გადაუდებელ რეაბილიტაციას მოითხოვს თბილისის ისტორიული უბნები, რაც ფართომასშტაბიანი სამშენებლო სამუშაოების განხორციელებას საჭიროებს.

საქართველოში სამშენებლო საქმიანობის განვითარებისათვის არსებობს საერთაშორისო დონის საინჟინრო-მათემატიკური სკოლა, რომლის გამოცდილებაც საშუალებას იძლევა დამუშავდეს სამშენებლო ობიექტების ორიგინალური საინჟინრო პროექტები, დაიწყოს ისეთი ობიექტების მშენებლობა, რომლებსაც არქიტექტურულ-საინჟინრო გადაწყვეტის კუთხით მსოფლიოში ანალოგი არ მოეპოვება. მაგალითად, თბილისის სპორტის სასახლე, რომლის გადახურვის კონსტრუქციის უნიკალური საინჟინრო გადაწყვეტა ქართული საინჟინრო-მათემატიკური სკოლის მნიშვნელობაზე მეტყველებს; თბილისის ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი, რომელიც ერთ-ერთი გამორჩეული სპორტული ნაგებობაა მსოფლიოში, მისი არქიტექტურულ-კონსტრუქციული გადაწყვეტა დღესაც ხიბლავს სპეციალისტებს თუ სტადიონის სხვა სტუმრებს და ა.შ.

საქართველოში სამშენებლო სექტორის განვითარება შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ერთ-ერთი ეფექტიანი საშუალება ევროპულ სივრცეში ქვეყნის ინტეგრაციისათვის. უკანასკნელ პერიოდში სწორედ სამშენებლო (ენერგეტიკული) პროექტების საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებით, მოხერხდა საერთაშორისო საზოგადოებისათვის საქართველოს გეოპოლიტიკური მნიშვნელობის კიდევ ერთხელ შეხსენება.

ცხადია, საქართველოში სამშენებლო საქმიანობის განვითარებისთვის არსებობს ობიექტური საფუძვლები. ამისათვის საჭიროა მისადმი ეროვნული თავისებურებების გათვალისწინებით, სტრატეგიული სახელმწიფოებრივი მიდგომა. კერძოდ:

- აუცილებელია განხორციელდეს ქვეყნის სამშენებლო საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის სრულყოფა და ჰარმონიზაცია ევროპულ საკანონმდებლო სივრცესთან;
- უნდა დამუშავდეს ეროვნული სამშენებლო სტანდარტები, დაიხვეწოს მშენებლობის ხარისხის კონტროლის მექანიზმები და დაწესდეს გარკვეული შეზღუდვები სამშენებლო-დეველოპერული საქმიანობის განხორციელებაზე;
- თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით, ძალზე მნიშვნელოვანია სამშენებლო სექტორის უზრუნველყოფა მაღალკვალიფიციური კადრებით და არსებული პოტენციალის სრული გამოყენება;
- აუცილებელია, ადგილობრივი სამშენებლო მასალების მოპოვებისა და წარმოების მდიდარი ტრადიციების გამოყენების საფუძველზე, შემუშავდეს საშენ მასალათა მრეწველობის განვითარების სახელმწიფო სტრატეგია;
- მიზანშეწონილია ახალი ტექნოლოგიების შემოტანაზე სამშენებლო კომპანიებისთვის დაწესდეს საგადასახადო შეღავათები, რაც გააუმჯობესებს ტექნიკური პარკის მდგომარეობასა და აამაღლებს ქართული სამშენებლო კომპანიების კონკურენტუნარიანობას ადგილობრივ, რეგიონულ თუ მსოფლიო ბაზრებზე;

აუცილებელია ჩამოყალიბდეს ცივილიზებულ ეკონომიკურ ურთიერთობებზე დამყარებული კონკურენტუნარიანი სამშენებლო ბაზარი, რაც მშენებლობის დარგის განვითარების საწინდარია.

მომსახურების სექტორი

XIV თავი

განათლება და მეცნიერება

მცირე ისტორიული ექსკურსი. საქართველოში, ერთ-ერთი უძველესი კულტურის ქვეყანაში, განათლების ტრადიციები უხსოვარი დროიდან იღებს სათავეს. მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობასთან ერთად, ვითარდებოდა ხელოსნობა და თაობიდან თაობას გადაეცემოდა შრომის კულტურის საიდუმლოება. ბერძნული წყაროების მიხედვით, საქართველოში ინდივიდუალურ სწავლებასთან ერთად, სასკოლო სწავლებაც იყო. ახ.წ. III-IV საუკუნეებიდან კოლხეთში ფილოსოფიური განათლების კერებიც არსებობდა. IV საუკუნიდან, ქრისტიანული რელიგიის გავრცელებასთან ერთად, საფუძველი ჩაეყარა სკოლების მონასტრებთან დაარსებას. რელიგიის განმტკიცებას წიგნიერება სჭირდებოდა. მთავარ საგნად ითვლებოდა ეგზეტიკა (ბიბლიური ტექსტის შესწავლა), ლიტურგია (ღვთისმსახურების შესრულება და საეკლესიო გალობა) და ა.შ. იქმნებოდა ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებები, როგორიცაა იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამება“, იოანე საბანისძის „აბო თბილელის წამება“ და სხვ., რაც ემსახურებოდა ქართველთა შორის სარწმუნოების განმტკიცებას, პატრიოტული და ეროვნული თვითშეგნების გაღვივებას. VI საუკუნეში „სირიელი მამების“ მიერ დაარსებული სამონასტრო ცენტრები ქართული განათლების უმნიშვნელოვანეს კერებად იქცა. შიომღვიმის, გარეჯის, ალავერდის, ზედაზნისა და სხვა სამონასტრო სკოლები ამზადებდნენ ღვთისმსახურებს, მთარგმნელებს, გადამწერებს და ა.შ., ემსახურებოდნენ ქართული წერა-კითხვის გავრცელებას, ასწავლიდნენ ენებს, გრამატიკას, გალობას, მხატვრობას, ქმნიდნენ საგალობლებს, აყალიბებდნენ საგუნდო კაპელებსა და ა.შ.

ჯერ კიდევ V საუკუნეში არსებობდა პეტრე იბერის მიერ დაარსებული ქართული განათლების ცენტრები. ქართველები განათლებას იღებდნენ ბიზანტიის, პალესტინისა და სხვა საგანმანათლებლო კერებშიც.

XII საუკუნეში საქართველოში შეიქმნა გელათისა და იყალთოს აკადემიები – შუა საუკუნეების ქართული კულტურის უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო-პედაგოგიური და საგანმანათლებლო კერები, სადაც ისწავლებოდა თეოლოგია, ლიტურგია, ჰიმნოგრაფია, ფილოსოფია, ასტრონომია („ვარსკვლავთმცოდნეობა“), არითმეტიკა, რიტორიკა, გეომეტრია, მუსიკა, მედიცინა, სამართალმცოდნეობა, სოფლის მეურნეობა და ა.შ. დავით აღმაშენებლის ინიციატივით გელათის მონასტერთან დაარსებულ გელათის აკადემიაში* მოღვაწეობდნენ იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი, პეტრე გელათელი და ა.შ. ვითარდებოდა სამეცნიერო-მთარგმნელობითი საქმიანობა. არსენ იყალთოელმა თარგმნა „დიდი სჯულის კანონი“, ქსიფილინოსმა – ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებები და სხვ.

მომდევნო საუკუნეებში თურქთა, მონღოლთა, ოსმალთა, სპარსელთა და სხვათა შემოსევების მიუხედავად, საქართველოში არ შეწყვეტილა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა, XVIII საუკუნიდან კი იწყება ქართული განათლებისა და მეცნიერების აღორძინება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების განვითარებაში შეიძლება გამოიყოს სამი ეტაპი: უძველესი პერიოდიდან XIX საუკუნის დასაწყისამდე (I ეტაპი), XIX საუკუნიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე (II ეტაპი), XX საუკუნის 20-იანი წლებიდან 90-იან წლებამდე (III ეტაპი).

---

* გელათს იმხანად „აღმოსავლეთის მეორე იერუსალიმს“ უწოდებდნენ (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტომი 3. თბილისი, 1978, გვ. 6).

მრავალხრივი კატაკლიზმებისა და წინააღმდეგობების მიუხედავად, საქართველოში საკმაო რაოდენობის იყო ინტელექტუალური პოტენციალი*, რომლის გამოყენებას შესაბამისი საბაზრო ინსტიტუტების პირობებში დიდი უკუგების მიცემა შეეძლო საზოგადოებისათვის.[1]

განათლების სისტემის ზოგადი მიმოხილვა ახალ ეპოქაში. პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პერიოდში უდიდესი ცვლილებები მოხდა განათლების სისტემაში. დამოუკიდებლობის აღდგენის პირველ და მომდევნო წლებში არ არსებობდა განათლების ეფექტიანი სქემები და განათლების სისტემა ვერ უზრუნველყოფდა ქვეყნის განვითარების ახალი მოთხოვნების შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურების მიწოდებას, რაც შრომის ბაზარზე კვალიფიციური სამუშაო ძალის უკმარისობაში გამოვლინდა.

2004 წლიდან დაწყებულმა რეფორმებმა განათლების სისტემაში არსებითი ცვლილებები შეიტანა: შემოღებულ იქნა სამსაფეხურიანი 12-წლიანი ზოგადსაგანმანათლებლო სწავლება; გაუქმდა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდები და შემოღებულ იქნა ერთიანი ეროვნული გამოცდები; შეიქმნა რესურს-ცენტრები; გაუქმდა ასპირანტურა, სამეცნიერო ხარისხის მინიჭების ორსაფეხურიანი სისტემა; მაგისტრის ხარისხთან ერთად, შემოღებულ იქნა დოქტორის აკადემიური ხარისხი; შეიცვალა უმაღლესი განათლების სისტემის საკანონმდებლო რეგულაცია. 2005 წელს საქართველო ბერგენის სამიტზე შეუერთდა ბოლონიის პროცესს.

ამჟამად საქართველოში მოქმედებს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო უმაღლესი სასწავლებლები, როგორც საჯარო, ისე კერძო სამართლის იურიდიული პირები. განათლების სისტემაში წინა პლანზე დადგა ინტეგრაციული პროცესების გაღრმავება, რამაც ობიექტურად მოითხოვა განათლების ეკონომიკური ასპექტების კვლევა.

განათლების ეკონომიკა საბაზრო სისტემაზე გარდამავალ პერიოდში. განათლება, როგორც საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგი, დასაქმებულთა რიცხოვნობით მეორე ადგილზეა სოფლის მეურნეობის შემდეგ და პირველ ადგილზე – დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობით, დაახლოებით 90 ათასი კაცი ანუ დაქირავებით დასაქმებულთაგან ყოველი მეშვიდე კაცი (მთლიანი დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობის 14,4%).

მიუხედავად იმისა, რომ განათლების სისტემის ძირითადი დანიშნულებაა არა დამატებული ღირებულების შექმნა, არამედ ახალგაზრდობის აღზრდა-განათლება და კვალიფიციური კადრების მომზადება, სამეცნიერო იდეებისა და პროდუქციის წარმოება, საქართველოს განათლების სფეროში იქმნება დაახლოებით 800 მლნ ლარის დამატებული ღირებულება ანუ ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 4,2% (აღნიშნული მაჩვენებელი 2000 წელს შეადგენდა 3,5%-ს, ხოლო 2005 წელს – 3,3%-ს).[2]

განათლების დარგის წილი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში 1,5-ჯერ აღემატება სახელმწიფო ბიუჯეტიდან (იგულისხმება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბიუჯეტი) განათლებაზე გაღებული სახსრების წილს საბიუჯეტო ასიგნებათა მთლიან მოცულობაში.

2008-2010 წლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან განათლებაზე გაწეული ხარჯების შესახებ იხილეთ ცხრილი 1.

---

* XX საუკუნის 90-იან წლების დასაწყისში საქართველოში დაწყებითი განათლების მომცველობის კოეფიციენტი იყო 99, საშუალო განათლების – 88, ხოლო უმაღლესი განათლების – 32, მაშინ როდესაც, მსოფლიო ბანკის მონაცემებით, უმაღლესი განათლების მომცველობის კოეფიციენტი პოლონეთში იყო 9, ბულგარეთში – 26 და საერთოდ, აღმოსავლეთი და ცენტრალური ევროპის ქვეყნებში 8-26-ის ფარგლებში მერყეობდა (World Bank. Historically Planned Economics: A Guide to the Data. Washington, D.C. 1992).

[1] **სართანია ვ.** განათლების ეკონომიკა (ისტორია, თეორია, პრაქტიკა). თბილისი, 2001, გვ. 116-135.

[2] გაანგარიშებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალების საფუძველზე.

ცხრილი 1

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან განათლებაზე გაწეული ხარჯები 2008-2010 წლებში[3]

(მლნ ლარი)

	2008	2009	2010
საბიუჯეტო ხარჯები, სულ	458,3	519,4	561,7
%-ობით სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიან ასიგნებებთან	6,8	7,2	7,9
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობის პროგრამებზე	47,2	55,3	55,7
სამეცნიერო კვლევების პროგრამებზე	31,4	44,1	43,1

საქართველოში განათლების წილზე ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტსა და სახელმწიფო ბიუჯეტში 2007-2011 წლებში ნათელ წარმოდგენას იძლევა გრაფიკი 1.

გრაფიკი 1

საქართველოში განათლების წილი მთლიან შიდა პროდუქტსა და სახელმწიფო ბიუჯეტში 2007-2011 წლებში[4]

(პროცენტობით)



2011 წელს განათლებაზე გაწეული საბიუჯეტო ხარჯები დაახლოებით წინა წლის დონეზეა. არ შეცვლილა მისი თანაფარდობა საბიუჯეტო ასიგნებებთან, რადგანაც თავად ეს ასიგნებებიც თითქმის იმავე დონეზე დარჩა (შემცირდა მხოლოდ 0,4%-ით). წინასწარი შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ ნომინალური მშპ 11,8%-ით უნდა გაიზარდოს, განათლების ხარჯების თანაფარდობა მშპ-თან ისევ დაბლა დაიწევს და კვლავ 2,4%-ის ანუ 2008 წლის დონეზე იქნება.[5]

რამდენად დამაკმაყოფილებელია აღნიშნული თანაფარდობა? ყველაფერი ფასდება შედარებებით.

საქართველო მნიშვნელოვნად ჩამორჩება როგორც პოსტსაბჭოთა, ისე ევროკავშირის ქვეყნებს ზემოხსენებული მაჩვენებლების მიხედვით.

2007-2008 წლებში მთლიან შიდა პროდუქტსა და სახელმწიფო ბიუჯეტში საქართველოსა და ზოგიერთი პოსტსაბჭოთა ქვეყნის განათლების წილის შესახებ იხილეთ ცხრილი 2.

---

[3] საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემები. WWW.info@mof.ge

[4] შედგენილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს სტასტისტიკის ეროვნული სამსახურის მასალების საფუძველზე.

[5] საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემები. WWW.info@mof.ge

ცხრილი 2

მშპ–სა და სახელმწიფო ბიუჯეტში განათლების წილი
საქართველოსა და ზოგიერთ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში 2007-2008 წლებში[6]
(პროცენტობით)

ქვეყნები	მთლიან შიდა პროდუქტში		სახელმწიფო ბიუჯეტში	
	2007	2008	2007	2008
საქართველო	**2,7**	**3,2**	**7,8**	**9,3**
ბელარუსი	5,2	4,5	9,3	9,3
ესტონეთი	5,0	5,7	13,9	14,6
ლატვია	5,0	5,7	13,9	14,2
ლიტვა	4,7	4,9	13,4	14,7
მოლდოვა	8,3	8,2	19,8	19,8
უკრაინა	5,3	5,3	20,2	19,3
აზერბაიჯანი	1,9	2,8	12,6	17,4
სომხეთი	3,0	4,4	15,0	15,0
რუსეთის ფედერაცია	3,9	4,1	14,4	12,9

კიდევ უფრო საგრძნობია საქართველოს ჩამორჩენა ანალოგიური პარამეტრებით მსოფლიოს განვითარებული ქვეყნებისაგან. ევროკავშირის ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში განათლების წილი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში 2-ჯერ, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტში თითქმის 1,5-ჯერ ნაკლებია. მაგალითად, ამ მხრივ, ევროკავშირის ლიდერ-ქვეყანას კვიპროსს აღნიშნული მაჩვენებლებით საქართველო ჩამორჩება, შესაბამისად, 3,2-ჯერ და 2,7-ჯერ, ესტონეთს – 2,8-ჯერ და 2,5-ჯერ და ა.შ.

განათლების წილზე მთლიან შიდა პროდუქტსა და სახელმწიფო ბიუჯეტში საქართველოსა და ევროკავშირში ნათელ წარმოდგენას იძლევა გრაფიკი 2.

გრაფიკი 2

განათლების წილი მშპ-სა და სახელმწიფო ბიუჯეტში
საქართველოსა და ევროკავშირში 2008 წელს[7]
(პროცენტობით)



[6] გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ მომზადებული ანგარიში: Human Development Report – 2009. New York, 2009, pp. 199-200; იუნესკოს მონაცემები; http://stats.uis.unesco.org/unesco/TableViewer/tableView.aspx?ReportId=172

[7] შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და ევროსტატის მასალების საფუძველზე.

თუ რამდენად ჩამორჩება მოსახლეობის ერთ სულზე საქართველოში განათლებაზე გაწეული ხარჯების წილი ევროკავშირის წევრი ქვეყნების შესაბამის მაჩვენებელს, ამას ქვემოთ მოტანილი ცხრილი აჩვენებს (იხ. ცხრილი 3).

ცხრილი 3

მოსახლეობის ერთ სულზე განათლებაზე გაწეული ხარჯების წილი საქართველოსა და ევროკავშირში 2008 წელს[8]

(პროცენტობით)

ქვეყნები	მთლიან შიდა პროდუქტში	სახელმწიფო ბიუჯეტში
საქართველო	**2,4**	**6,8**
ევროკავშირი (EU-27), საშუალოდ	**5,2**	**11,1**
ბელგია	5,9	11,8
ბულგარეთი	4,2	11,3
ჩეხეთი	4,7	11,0
დანია	7,0	13,5
გერმანია	3,9	8,9
ესტონეთი	6,7	16,8
ირლანდია	5,3	12,6
საბერძნეთი	3,1	6,4
ესპანეთი	4,6	11,2
საფრანგეთი	5,8	11,0
იტალია	4,6	9,4
კვიპროსი	7,8	18,3
ლატვია	6,5	16,8
ლიტვა	5,8	15,5
ლუქსემბურგი	4,4	11,8
უნგრეთი	5,2	10,6
მალტა	5,5	12,2
ნიდერლანდი	5,2	11,3
ავსტრია	5,3	10,8
პოლონეთი	5,8	13,4
პორტუგალია	6,0	13,0
რუმინეთი	4,8	12,8
სლოვენია	6,2	14,0
სლოვაკეთი	3,3	9,5
ფინეთი	5,9	11,9
შვედეთი	6,9	13,0
დიდი ბრიტანეთი	6,3	13,3

გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოში მთლიანი შიდა პროდუქტის ოდენობა, ევროკავშირის ქვეყნებთან შედარებით, მნიშვნელოვნად ნაკლებია. შესაბამისად, სხვაობა დაფინანსების აბსოლუტურ მასშტაბებში კიდევ უფრო მეტია. მოსახლეობის ერთ სულზე განათლებაზე სახელმწიფო ხარჯების სიდიდე საქართველოში დაახლოებით 120 აშშ დოლარს შეადგენს, მაშინ როდესაც ეს მაჩვენებელი ბულგარეთში 520 დოლარამდეა, რუმინეთში – 600, სლოვაკეთში – 700, უნგრეთსა და პოლონეთში 1000-1000, ლიტვასა და ლატვიაში – 1100-1100, ესტონეთსა და იტალიაში – 1400-1400, საფრანგეთში – 2000, ნიდერლანდში – 2100, დიდ ბრიტანეთში – 2300, დანიასა და შვედეთში – 2600-2600, ლუქსემბურ-

[8] იუნესკოს მონაცემები; საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალები.

გში – 3600 (ამასთან, ამ ქვეყნებისაგან საქართველოს ჩამორჩენა განათლებაზე გაღებული ხარჯებით მოსახლეობის ერთ სულზე 2-ჯერ და მეტად მაღალია, ვიდრე ადგილი აქვს ეკონომიკურ ჩამორჩენას აღნიშნულ ქვეყნებთან.

ევროკავშირის ქვეყნებში განათლებაზე გაწეული ხარჯები მოსახლეობის ერთ სულზე აღემატება საქართველოს შესაბამის მაჩვენებელს (საქართველო = 1): ევროკავშირი (საშუალოდ) – 17,6-ჯერ, ლუქსემბურგი – 30,7-ჯერ, დანია – 22,3-ჯერ, შვედეთი – 21,9-ჯერ, დიდი ბრიტანეთი – 19,4-ჯერ, კვიპროსი – 19,2-ჯერ, ირლანდია – 19,0-ჯერ, ბელგია – 18,2-ჯერ, ფინეთი – 18,1-ჯერ, ავსტრია – 18-ჯერ, ნიდერლანდი – 17,9-ჯერ, საფრანგეთი – 16,9-ჯერ, სლოვენია – 15,6-ჯერ, ესპანეთი – 12,1-ჯერ, იტალია – 11,9-ჯერ, გერმანია – 11,8-ჯერ, ესტონეთი – 11,7-ჯერ, პორტუგალია – 11,4-ჯერ, მალტა – 11,2-ჯერ, ჩეხეთი – 10-ჯერ, ლატვია – 9,5-ჯერ, ლიტვა – 9,4-ჯერ, პოლონეთი – 8,7-ჯერ, უნგრეთი – 8,6-ჯერ, საბერძნეთი – 8,0-ჯერ, სლოვაკეთი – 6,2-ჯერ, რუმინეთი – 5,2-ჯერ, ბულგარეთი – 4,4-ჯერ.

განვითარებულ ქვეყნებში სკოლების პედაგოგთა ხელფასები ეროვნულ მეურნეობაში დასაქმებულთა საშუალო ხელფასების ტოლია ან აღემატება კიდეც. საქართველოში საჯარო სკოლების პედაგოგთა ხელფასი ქვეყანაში არსებული საშუალო ხელფასების მხოლოდ 51%-ია. განვითარებულ ქვეყნებში პედაგოგების ხელფასები პარლამენტარების ხელფასებს მხოლოდ 3-4 ჯერ ჩამორჩება, საქართველოში – 10-ჯერ და მეტად. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში საჯარო სკოლების მანდატურების საშუალო ხელფასი მასწავლებლების ამჟამინდელ საშუალო ხელფასს თითქმის 2-ჯერ აღემატება.

ინვესტიციები განათლებაში – ეს არის ეფექტიანი ინვესტირება, რომელსაც ყველაზე მაღალი მულტიპლიკაციური ეფექტი აქვს. თავის დროზე სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ეკონომიკური სასწაული, სწრაფი დინამიკური განვითარება მნიშვნელოვანწილად განაპირობა მთლიანი შიდა პროდუქტისა და სახელმწიფო ბიუჯეტის (სოციალური) ნაწილის მობილიზებამ მოზარდი თაობის სწავლა-განათლებაზე.

საქართველოს საგანმანათლებლო სფეროში 2010 წელს, 2003 წელთან შედარებით, საჯარო სკოლების რაოდენობა შემცირდა 1045-ით (32,9%-ით), სკოლებში მოსწავლეთა მთლიანი რაოდენობა კი – 76,5 ათასით, მათ შორის, საჯარო სკოლებში – 112 ათასით, ანუ მათი მთლიანი რაოდენობის 17,2%-ით. ამავე დროს სწრაფად გაიზარდა კერძო სკოლების რაოდენობა და მათი კონტინგენტი. 2010 წელს კერძო სკოლების რაოდენობა 156-დან 300-მდე გაიზარდა, ხოლო კონტინგენტი – 3,1-ჯერ და მეტად – 2003 წლის 16,9 ათასიდან 53,0 ათასამდე, ანუ მოსწავლეთა მთლიან რიცხოვნობაში კერძო სკოლების მოსწავლეთა წილი 2,5%-დან 8,9%-მდე გაიზარდა (იხ. ცხრილი 4).

ცხრილი 4

სკოლების რაოდენობა საქართველოში და მათში მოსწავლეთა რიცხოვნობა

(სასწავლო წლის დასაწყისისთვის)

	2003/2004	2010/2011	2010/2011 %-ით 2003/2004-თან
სკოლების რაოდენობა			
სულ	3331	2430	73,0
მათ შორის:			
საჯარო სკოლები	3175	2130	67,1
კერძო სკოლები	156	300	192,3
მოსწავლეთა რაოდენობა, ათასი მოსწავლე			
სულ	671,9	595,4	88,6
მათ შორის:			
საჯარო სკოლებში	655,0	542,4	82,8
კერძო სკოლებში	16,9	53,0	313,6

ქვემოთ (იხ. ცხრილი 5) მოყვანილია მონაცემები, რომლებშიც ასახულია უმაღლესი განათლების სფეროში არსებული მდგომარეობის ცვლილება 2003/2004–2009/2010 წლებში. ამ პერიოდში უმაღლესი სასწავლებლების რაოდენობა შემცირდა დაახლობით 1/4-ით, სტუდენტთა რიცხოვნობა – 1/3-ით, ხოლო შტატში მყოფ პროფესორ-მასწავლებლების რაოდენობა – დაახლოებით 2-ჯერ.

ცხრილი 5

საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების
მახასიათებელი ინდიკატორები[9]
(სასწავლო წლის დასაწყისისთვის)

	2003/2004	2009/2010	2009/2010%-ობით 2003/2004
სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლები	26	21	80,8
მათში სტუდენტები	123866	74056	59,8
კერძო უმაღლესი სასწავლებლები	150	108	72,0
მათში სტუდენტები	29388	28654	97,5
აკადემიური პერსონალის რიცხოვნობა სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში	10604	4455	42,0
აკადემიური პერსონალის რიცხოვნობა კერძო უმაღლეს სასწავლებლებში	2210	2151	97,3
უმაღლესი სასწავლებლები – სულ	176	129	73,3
სტუდენტები – სულ	153254	102710	67,0
აკადემიური პერსონალის რიცხოვნობა – სულ	12814	6606	51,6

დღეისათვის ქვეყნის მოსახლეობის ყოველ 10 ათას სულზე მოდის მხოლოდ 234 სტუდენტი (2003 წელს მოდიოდა 355 სტუდენტი), მაშინ როდესაც ეს მაჩვენებელი ჯერადად მაღალია, მაგალითად, ლატვიაში, სადაც ყოველ 10 ათას მცხოვრებზე 492 სტუდენტია ანუ საქართველოზე 2,1-ჯერ მეტი.

დაბალი ფინანსური შესაძლებლობები ნაკლებად აძლევს საშუალებას უმაღლეს სასწავლებლებს, რომ მათ უცხოეთში სხვადასხვა გაცვლითი პროგრამებით გააგზავნონ სტუდენტები. 2009 წელს მოხერხდა მხოლოდ 215 სტუდენტის გაგზავნა საზღვარგარეთ (აქედან, 125 – სახელმწიფო და 90 – კერძო უმაღლესი სასწავლებლების მიერ). იმის ალბათობა, რომ სტუდენტებს მოუწევთ უცხოეთში სწავლა გაცვლითი პროგრამით სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში, დაახლოებით ერთია ექვსასიდან, ხოლო კერძო უმაღლეს სასწავლებლებში – ერთია სამასოციდან.[10]

2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით „სამეცნიერო კვლევების პროგრამაზე“ (მუხლი საბიუჯეტო კლასიფიკაციით: 32 13) გამოყოფილი იყო 43,2 მლნ ლარი, რაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის გამოყოფილი სახსრების (557,7 მლნ ლარი) 7,74% (2008 წელს – 6,85%) და მთლიანი საბიუჯეტო სახსრების მხოლოდ 0,69%-ია (2008 წელს იყო 0,47%). ამ მხრივ, მნიშვნელოვნადაა დარღვეული ოპტიმალური პროპორცია განათლებასა და მეცნიერებაზე გაღებულ ხარჯებს შორის, იგი 2:1-თანაა, ფაქტობრივად კი გამოდის 11,9:1-თან. საქართველოში განათლების ხარჯების თითქმის ნახევარი არასახელმწიფო

[9] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალები.
[10] გაანგარიშებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალების საფუძველზე.

სექტორზე მოდის, ხოლო მეცნიერებაზე გათვალისწინებულ თითქმის მთელ ხარჯს სახელმწიფო აფინანსებს. აღნიშნული პროპორცია კიდევ უფრო გაიზრდება განათლების სასარგებლოდ. მეცნიერებაზე გაღებული ხარჯები საქართველოში მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 0,22%-ს შეადგენს. აღნიშნული პარამეტრებით საქართველო მნიშვნელოვნად ჩამორჩება საშუალო მსოფლიო მაჩვენებელს.

განათლებაზე გაწეულ ხარჯებზე საუბარი არასრული იქნება, თუ მოკლედ მაინც არ შევეხებით მოსახლეობის მიერ გაღებულ ხარჯებს განათლებაზე. სამწუხაროდ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ორგანიზებული შინამეურნეობების მიმდინარე შერჩევითი კვლევა ვერ იძლევა სრულ სურათს იმ ხარჯების შესახებ, რასაც მოსახლეობა, ფაქტობრივად, გაიღებს ყველა სახის საგანმანათლებლო მომსახურების (საბავშვო ბაღი, საშუალო და უმაღლესი განათლება, კვალიფიკაციის ამაღლება და გადამზადება, უცხოეთში სწავლება და სხვ.) მიღებაზე. ამ მიზნით მოსახლეობის მიერ გაწეული რეალური ხარჯების დასადგენად საჭიროა სპეციალური კვლევა. ამგვარი კვლევა მხოლოდ ერთხელ, 2001 წელს ჩატარდა საქართველოს ოფიციალური სტატისტიკური ორგანოების მიერ, რომლის მიხედვით მოსახლეობამ, შინამეურნეობების კვლევით მიღებულ მონაცემებთან შედარებით, ფაქტობრივად, სამჯერ მეტი თანხა დახარჯა საგანმანათლებლო მომსახურების მიღებაზე, სულ 177 მლნ ლარი (მათ შორის, სკოლამდელ დაწესებულებებში – 5 მლნ ლარზე მეტი, სკოლებში – 50 მლნ ლარამდე, უმაღლეს განათლებაზე – 52 მლნ ლარი, კოლეჯებსა და სპეცსასწავლებლებში – 10 მლნ ლარი, რეპეტიტორებთან – 12 მლნ ლარი, საზღვარგარეთ – 55 მლნ ლარი), რაც მაშინდელი კურსით დაახლოებით 85 მლნ აშშ დოლარის ეკვივალენტური თანხაა. ფასების ზრდისა (მარტო განათლების მომსახურების ინდექსი 1,6-ჯერ გაიზარდა) და ფასიანი სექტორის გაფართოებიდან გამომდინარე, ამჟამად მოსახლეობის ხარჯები განათლებაზე 300-350 მლნ ლარს აღემატება (მათ შორის, უმაღლეს განათლებაზე – არანაკლებ 180-200 მლნ ლარს, საშუალო განათლებაზე – 60-80 მლნ ლარს, ამდენივეს უნდა შეადგენდეს ხარჯები საზღვარგარეთ სწავლებაზე).

შეიძლება ითქვას, რომ მოსახლეობის მიერ ყველა სახის განათლებაზე გაღებული სარჯები 1,5-ჯერ აღემატება საჯარო სკოლების პედაგოგებზე გაცემული ნეტო-ხელფასების ჯამურ წლიურ მოცულობას, ხოლო მთლიან საგანმანათლებლო ხარჯებში მოსახლეობის წილი უახლოვდება მის ნახევარს.

ამრიგად, განათლების პრობლემა ერთ-ერთი მწვავეა დღეს საქართველოში ესოდენ გართულებული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების ფონზე.

მეცნიერების დაფინანსების თანამედროვე მდგომარეობა. მეცნიერება საზოგადოებრივი პროგრესის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, თუმცა ლაგი – მასში სახსრების ინვესტირებიდან შედეგის მიღებამდე პერიოდი (მით უფრო კომერციული თვალსაზრისით), საკმაოდ დიდია და მნიშვნელოვნად აღემატება ეკონომიკის ნებისმიერ სფეროში კაპიტალის წრებრუნვის დროს. აქედან გამომდინარე, მეცნიერება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ბიზნესისაგან გამოთავისუფლებულ რესურსებს მოითხოვს. ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ საქართველოში 1990-იანი წლების დასაწყისის მოვლენებმა და ახალ ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლამ, რასაც მოჰყვა ბიუჯეტის მწვავე დეფიციტი და მეცნიერებისადმი საბჭოთა პერიოდისდროინდელი გარანტირებული შეკვეთების სისტემის გაუქმება, მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა სამეცნიერო დაწესებულებების დაფინანსებას, მათ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, სამეცნიერო მოღვაწეობის პრესტიჟს და მეცნიერებაში დასაქმებულთა კეთილდღეობას.

დღეს საქართველოში არსებული სამეცნიერო პოტენციალის სრულმასშტაბიანი გამოყენებისათვის დიდი ძალისხმევა და ძლიერი სახელმწიფოებრივი მხარდაჭერაა საჭირო. ეს პრობლემა მით უფრო ყურადსაღებია იმ ასპექტით, რომ კერძო სექტორი საქართველოში

არც იმდენად ძლიერი და მოტივირებულია ფინანსურად, რომ ბაზარზე დასამკვიდრებლად და საკუთარი კომერციული მდგომარეობის გასამყარებლად სამეცნიერო კვლევებში (მით უფრო ფუნდამენტურ კვლევებში) მოახდინოს საჭირო სახსრების დაბანდება.

2010 წლის მონაცემებით, საქართველოში მეცნიერების განვითარებაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი იყო დაახლოებით 63 მლნ ლარი (თავდაცვის სფეროს ხაზით გაწეული კვლევების ჩათვლით), რაც მთლიანი საბიუჯეტო სახსრების მხოლოდ 0,86%-ია. მეცნიერებაზე გაღებული ხარჯები საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 0,3%-ს შეადგენს. აღნიშნული პარამეტრით საქართველო მნიშვნელოვნად ჩამორჩება არა მარტო მოწინავე ქვეყნებს, არამედ საშუალო მსოფლიო მაჩვენებელსაც. სამეცნიერო–კვლევით სამუშაოებზე მსოფლიოში საშუალოდ ყოველწლიურად იხარჯება მშპ-ის 1,7%, მათ შორის, განვითარებულ ქვეყნებში – 2,3%, ხოლო განვითარებად ქვეყნებში – 1,0%; ჩრდილოეთ ამერიკაში აღნიშნული მაჩვენებელი შეადგენს 2,6%-ს, ევროპაში – 1,6, მათ შორის ევროკავშირში – 1,8, ხოლო დსთ-ის სივრცეში – 1,1%-ს.[11]

საქართველოში მეცნიერებაზე გაღებული ხარჯების წილი ქვეყნის მშპ-ში (0,3%) ჩამორჩება საშუალო მსოფლიო მაჩვენებელს 5,7-ჯერ, აშშ-ის შესაბამის მაჩვენებელს – 9,2-ჯერ, ხოლო ისრაელისას – 14,2-ჯერ.

განსაკუთრებით საგანგაშოა ის მდგომარეობა, რომ **საქართველოს ჩამორჩენა განვითარებული ქვეყნებისაგან მეცნიერებაზე გაღებული დაფინანსებით ჯერადად მეტია, ვიდრე ეკონომიკური ჩამორჩენა.** მაგალითად, მოსახლეობის ერთ სულზე საქართველოში მეცნიერებაზე გაღებული ხარჯები მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტით შეადგენს 16,6 დოლარს, ანუ საშუალო მსოფლიო მაჩვენებლის 10%-ზე ნაკლებს. შედარებისათვის: საქართველო საშუალო მსოფლიო დონეს ეკონომიკურად – მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტით (მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტით) მხოლოდ 2-ჯერ ჩამორჩება (შესაბამისად, 4,9 ათასი აშშ დოლარი და 9,8 ათასი დოლარი) ხოლო აშშ-ს – 10,0-ჯერ, მეცნიერებაზე გაღებული ხარჯებით კი – 92-ჯერ, გერმანიას, შესაბამისად – 7,4-ჯერ და 69,6-ჯერ, იაპონიას – 7,2-ჯერ და 82,6-ჯერ, ისრაელს – 5,9-ჯერ და 83,8-ჯერ, რუსეთს – 3,2-ჯერ და 13,2-ჯერ და ა.შ.

საქართველოში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების დაფინანსება ერთ მეცნიერზე გაანგარიშებით შეადგენს მხოლოდ 7,4 ათას აშშ დოლარს. ეს აფრიკის საშუალო მაჩვენებლის მხოლოდ 68% და საშუალო მსოფლიო დონის (158,9 ათასი აშშ დოლარი) 5%-ია. თუმცა ქართველი მეცნიერები აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო პროექტებში, ღებულობენ გრანტებს, რისი გათვალისწინებითაც, როგორც თითოეულ მათგანზე სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების მოცულობა, ისე მთლიანად მეცნიერებაზე გაღებული ხარჯების სიდიდე დეკლარირებულთან შედარებით მნიშვნელოვნად მეტია.

1980-იანი წლების ბოლოს საქართველოში სამეცნიერო ხარისხის მქონეთა რაოდენობა 27 ათასს აღემატებოდა, ხოლო 2002 წლის მოსახლეობის აღწერით ამ მაჩვენებელმა 15318 კაცი შეადგინა. დღეისათვის უმაღლეს სასწავლებლებში შტატიანი და ხელშეკრულებით მომუშავეთა რიცხოვნობა დაახლოებით 11 ათასია. სავარაუდოთ, სამეცნიერო ხარისხის მქონეთა მნიშვნელოვანი ნაწილი სამეცნიერო-აკადემიური სფეროს მიღმა მოღვაწეობს, რაც, ერთი მხრივ, განათლებისა და მეცნიერების მიღმა შრომის შედარებით მაღალ ანაზღაურებაზე (განსაკუთრებით საჯარო სამსახურსა, მსხვილ კერძო კომპანიებსა და საერთა-

[11] იუნესკოს მონაცემებით, 2009 წელს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე დაიხარჯა მთლიანი შიდა პროდუქტის შემდეგი წილი: ბელარუსში – 0,65, ლიტვაში – 0,83, რუსეთში – 1,24, ესტონეთში – 1,44, ჩინეთში – 1,47, ირლანდიაში – 1,72, ნორვეგიაში – 1,78, დიდ ბრიტანეთში – 1,81, კანადაში – 1,95, საფრანგეთში – 2,21, სინგაპურში – 2,61, ისლანდიაში – 2,65, აშშ-ში – 2,77, გერმანიაში – 2,82, დანიაში – 3,01, იაპონიაში – 3,44, შვეიცარიაში – 3,60, ფინეთში – 3,96, ისრაელში – 4,26 და ა.შ.
იხ.: http://stats.uis.unesco.org/unesco/ReportFolders/ReportFolders.aspx?IF_ActivePath=P,54&IF_Language=en

შორისო ორგანიზაციებში), ხოლო, მეორე მხრივ, სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქ-მიანობის პრესტიჟულობის არასათანადო დონეზე მეტყველებს.

ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობით დაკავებული პირების რიცხოვნობით ყოველ ერთ მილიონ მცხოვრებზე გაანგარიშებით საქართველო დაახლოებით 2-ჯერ აღემატება საშუალო მსოფლიო მაჩვენებელს (შესაბამისად, 2,1 ათასი და 1,1 ათასი კაცი).

2010 წლისთვის აკადემიური პერსონალის რაოდენობა ქვეყნის სახელმწიფო და კერძო უმაღლეს სასწავლებლებში შეადგენდა 6,6 ათას კაცს, დოქტორანტებისა (2009 წ.) – თით-ქმის 3,0 ათასს, ხოლო აკადემიური დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაცული დისერ-ტაციების რაოდენობამ ამავე წელს 505 შეადგინა.

საქართველოს – მსოფლიოს ამ პატარა კუთხეს მეცნიერების განვითარების დიდი ტრადიცია აქვს. საქართველო ცნობილი იყო მათემატიკური, ფსიქოლოგიური, ფიზიოლოგი-ური და ფილოსოფიური სკოლებით. მეცნიერების სხვა სფეროებშიც იყო მნიშვნელოვანი წარმატებები. ცნობილია ქართველ ენათმეცნიერთა მიღწევებიც. ყოველივე ეს იმაზე მეტ-ყველებს, რომ ქართველ ერში არის მეცნიერების განვითარების დიდი პოტენციალი, რასაც სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება.

XV თავი

ჯანმრთელობის დაცვა

საბაზრო ეკონომიკაზე საქართველოს სისტემური ტრანსფორმაცია 1990-იანი წლების პირველ ნახევარში ყველაზე მტკივნეულად ჯანმრთელობის დაცვის სფეროზე აისახა. რეფორმამდელი ინსტიტუციურად სუბსიდირებული სამედიცინო მომსახურება თითქმის მყისიერად აღმოჩნდა ტოტალური კომერციალიზაციის პრობლემის წინაშე.

საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენის პირველ წლებში სოციალურ სფეროზე, განსაკუთრებით კი საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე, სახელმწიფოს მიერ ფინანსური სახსრების გამოყოფა ხორციელდებოდა რანჟირებულად, პრიორიტეტების მიხედვით, ე.წ. „მონარჩენობის პრინციპით“, რომლითაც, პირველ რიგში, ფინანსები გამოეყოფოდა სახელმწიფო მართვის ყველაზე მნიშვნელოვან მიმართულებებს, შემდეგ, შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვანს და ა.შ.

გასაგები მიზეზების გამო, სახელმწიფო ფინანსური რესურსების ყოველწლიურ ასიგნებებში ჯანმრთელობის დაცვა პრიორიტეტულ მიმართულებად არ ითვლებოდა. ამასთან, აღარ მოქმედებდა ჯანდაცვის სახელმწიფო დაზღვევის სისტემაც. შესაბამისად, ამ გარემოებამ არა მარტო შექმნა ამ სფეროს სერიოზული ორგანიზაციული, ფინანსური და მენტალური პრობლემები, არამედ ჯანმრთელობის დაცვის ხარჯების უდიდესი ნაწილი უშუალოდ მოსახლეობას გადააკისრა, თუმცა, მომდევნო წლებში ეკონომიკის სტაბილიზაციის კვალობაზე მდგომარეობა რამდენადმე გამოსწორდა.

საქართველოში ბოლო წლებში გატარებული რეფორმების საფუძველზე გაიზარდა საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯები. აბსოლუტურ განზომილებაში ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების მოცულობა 2010 წელს, 2003 წელთან შედარებით, თითქმის 12-ჯერ გაიზარდა (29,0 მლნ ლარიდან 350,4 მლნ ლარამდე). იმავე პერიოდში საზოგადოებრივი ჯანდაცვის ხარჯების წილი მთლიან შიდა პროდუქტში 5,4-ჯერ (0,34%-დან 1,84%-მდე), ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაღებულ ასიგნებებში – 2,7-ჯერ (1,8%-დან 4,9%-მდე) გაიზარდა, თუმცა, წინა 2000-2002 წლებში, 2003 წელთან შედარებით, უკეთესი მდგომარეობა იყო.

ზრდის ასეთი მნიშვნელოვანი დინამიზმი გამოწვეულია 2003 წელს ჯანდაცვაზე სახელმწიფო ხარჯების უკიდურესად დაბალი დონით, იმით, რომ იმ წელს საქართველოში მაღალი ეკონომიკური ზრდის პირობებში (2003 წელს მთლიანი შიდა პროდუქტი რეალურ განზომილებაში გაიზარდა 11,1%-ით, ნომინალურ განზომილებაში კი კიდევ უფრო მეტად – თითქმის 15%-ით) სახელმწიფო ჯანდაცვის ხარჯები არა თუ გაიზარდა, არამედ თითქმის განახევრდა. თუ ათვლის წერტილად 2000 წელს ავიღებთ, მაშინ ჯანდაცვაზე გაწეული სახელმწიფო ხარჯები 2010 წელს, 2000 წელთან შედარებით, გაიზარდა 9,2-ჯერ – სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების 6,3-ჯერ ზრდისა და ნომინალურ განზომილებაში მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 3,1-ჯერ ზრდის პირობებში. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ხარჯების თანაფარდობა ბიუჯეტის ხარჯებთან გაიზარდა 1,5 პროცენტული პუნქტით – 3,4%-დან 4,9%-მდე, ხოლო მთლიან შიდა პროდუქტთან, შესაბამისად, – თითქმის 3-ჯერ ანუ 1,2 პროცენტული პუნქტით – 0,63%-დან 1,84 %-მდე.

2000-2010 წლებში საქართველოში საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე გაღებული ხარჯების წილზე სახელმწიფო ბიუჯეტსა და მთლიან შიდა პროდუქტში წარმოდგენას იძლევა გრაფიკი 1.

საქართველოში საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე გაღებული ხარჯების წილი სახელმწიფო ბიუჯეტსა და მთლიან შიდა პროდუქტში 2000-2010 წლებში[1]



როგორც გრაფიკიდან ჩანს, 2010 წელს მდგომარეობა რამდენადმე უკეთესია როგორც სახელმწიფო ბიუჯეტთან აბსოლუტური მაჩვენებლებით, ისე მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში, თუმცა, ეს თანაფარდობა მაინც ჩამორჩება პიკურ (2005 წლის) მონაცემებს, როდესაც საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე გაღებულმა ხარჯებმა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის 6,3%-სა და მთლიანი შიდა პროდუქტის თითქმი ს 1,8%-ს მიაღწია.

2000-2010 წლებში საქართველოში საზოგადოებრივი ჯანდაცვის ხარჯების, სახელმწიფო ბიუჯეტისა და მთლიანი შიდა პროდუქტის ნომინალური ზრდის დინამიკის შესახებ იხილეთ გრაფიკი 2.

თუ რამდენად ოპტიმალურია აღნიშნული თანაფარდობა, ამის შესახებ ნათელ წარმოდგენას უახლესი საერთაშორისო შედარებები იძლევა. თუმცა ამის განხორციელება ჯერჯერობით შესაძლებელია მხოლოდ 2007 წლის მონაცემების მიხედვით. ამ წლის მონაცემებით, საქართველო, მთლიან შიდა პროდუქტში ჯანდაცვაზე გაღებული ხარჯების წილით (8,2%), ჩამორჩება საშუალო მსოფლიო მაჩვენებელს (9,7%), უსწრებს საშუალოდ განვითარებული ქვეყნების შესაბამის მაჩვენებელს (6,4%), მაგრამ საგრძნობლად ჩამორჩება მაღალგანვითარებული ქვეყნების მაჩვენებელს (11,2%).

მსოფლიოში ამჟამად ორ ათეულზე მეტ სახელმწიფოში ჯანდაცვის მთლიანი ხარჯების თანაფარდობა მთლიან შიდა პროდუქტთან ორნიშნა რიცხვით გამოისახება. ამ ქვეყნებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ამერიკის შეერთებული შტატები, სადაც, ოფიციალური მონაცემებით, მხოლოდ ჯანდაცვაზე გაღებული ხარჯების მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე (7285$) 3-ჯერ აღემატება საქართველოში წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტის ოდენობას. დღეისათვის ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს უსწრებს ეკონომიკურად (მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტით) 19,1-ჯერ, ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯებით კი, ფაქტობრივად, 38,1-ჯერ.*

[1] შედგენილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემების საფუძველზე.

* აშშ-ში ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯების წილი მთლიან შიდა პროდუქტში 15,7%-ს შეადგენს.

გრაფიკი 2

საქართველოში საზოგადოებრივი ჯანდაცვის ხარჯების, სახელმწიფო ბიუჯეტისა და მთლიანი შიდა პროდუქტის ნომინალური ზრდის დინამიკა 2000-2010 წლებში[2]

(პროცენტობით; 2000წ.=100)



საერთაშორისო შედარების თვალსაზრისით, კიდევ უფრო არასახარბიელო მდგომარეობაა საზოგადოებრივ ჯანდაცვაში. 2007 წელს საქართველოში სახელმწიფოს მიერ გაღებული ჯანდაცვის ხარჯები ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 1,5%-ს შეადგენდა, მაშინ როდესაც საშუალოდ მსოფლიოში აღნიშნული მაჩვენებელი 5,8%-ია, მათ შორის: სუსტადგანვითარებულ ქვეყნებში – 2,2%, საშუალოდ განვითარებულ ქვეყნებში – 3,5% და მაღალგანვითარებულ ქვეყნებში – 6,7%. აქედან გამომდინარე, აღნიშნული ინდიკატორით საქართველო დაბალგანვითარებულ ქვეყნებსაც კი ჩამორჩება. ეს მაჩვენებელი საფრანგეთში 8,7%-ია, დანიაში – 8,2%, გერმანიაში – 8,0%, აშშ-ში – 7,1%, დიდ ბრიტანეთში – 6,9%, საბერძნეთში – 5,8%.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, 170 ქვეყნიდან საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე გაღებული ხარჯების წილით ჯანდაცვის მთლიან ხარჯებში საქართველო 149-152-ე ადგილებს იყოფს იემენთან, ტოგოსა და ერიტრეასთან ერთად.* მოსახლეობის ერთ სულზე საზოგადოებრივი ჯანდაცვის ხარჯებით საქართველო აშშ-ს ჩამორჩება ასტრონომიულად – 94,6-ჯერ (შესაბამისად, 35$ და 3317$).** ამგვარი ჩამორჩენის ძირითადი მიზეზი საქართველოში ჯანდაცვაზე გაწეულ მთლიან ხარჯებში სახელმწიფოს უაღრესად დაბალი წილია. ამ მაჩვენებლით საქართველო ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა მსოფლიოში (18,4%), რაც საშუალო მსოფლიო დონეზე 3,2-ჯერ დაბალია (საშუალოდ მსოფლიოში 59,6%-ია). ჯანდაცვაზე გაწეული სახელმწიფო ხარჯების წილით საქართველო მსოფლიოს ქვეყნებს შორის ბოლოდან მესამე ადგილზეა, უსწრებს მხოლოდ გვინეას (11,0%) და მიანმას (11,7%).

---

[2] შედგენილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემების საფუძველზე.

* საქართველოზე ნაკლები ხარჯების წილი ჯანდაცვაზე მთლიან შიდა პროდუქტში 2007 წელს ჰქონდა მხოლოდ 18 ქვეყანას. ესენია: თურქმენეთი, სიერა-ლეონე და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა – 1,4% თითოეულში; კამერუნი, სუდანი და ფილიპინები – 1,3% თითოეულში; ინდონეზია, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა და ჰაიტი – 1,2% თითოეულში; ბანგლადეში და ტაჯიკეთი – 1,1% თითოეულში; აზერბაიჯანი და კოტდივუარი – 1,0% თითოეულში; ლაოსი და პაკისტანი – 0,8% თითოეულში; გვინეა – 0,6%, მიანმა – 0,2%.

** ვალუტის მსყიდველობითუნარიანობით კი ჩამორჩება 47–ჯერ – შესაბამისად, 71$ და 3317$.

2007 წლის მონაცემებით, საქართველოში ძალზე დაბალია ჯანდაცვაზე გაღებული ხარჯების წილი სახელმწიფო ბიუჯეტში. იგი მხოლოდ 4,7%-ია (საშუალოდ მსოფლიოში არის 15,4%).

საქართველო, ჯანდაცვაზე გაღებული ხარჯების წილით მთლიან შიდა პროდუქტში, მოლდავეთის გარდა, უსწრებს ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანას. ამის ძირითადი მიზეზია ის, რომ სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში მშპ-ის იმდენად მცირე სიდიდეა, რომ ეს თანაფარდობა, მათთან შედარებით, რამდენადმე მაღალი გამოდის, ამასთან, საქართველოში ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯების უდიდეს ნაწილს ფარავს მოსახლეობა, რის გამოც საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე ხარჯების დინამიკა არც თუ ისე სახარბიელოდ გამოიყურება.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის წილით მშპ-ში (1,5%) საქართველო თითქმის 4-ჯერ ჩამორჩება საშუალო მსოფლიო მაჩვენებელს (5,8%) და აშშ-ს (7,1%) – 4,7-ჯერ.

ექსპერტული შეფასებით, ის მინიმალური ზღვარი, რომელიც უნდა ეკავოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ხარჯებს სახელმწიფო ხარჯების მთლიან მოცულობაში, ბიუჯეტის ხარჯების არანაკლებ 6%-ის ტოლია. საქართველოში აღნიშნული მაჩვენებელი ბოლო ათწლეულში მხოლოდ ერთხელ ასცდა 6%-იან ნიშნულს (2005 წელს – 6,3%, 2011 წელს – 6,4%), მაშინ როდესაც მსოფლიოში საპირისპირო ტენდენცია შეინიშნება: 2007 წელს, 2000 წელთან შედარებით, ეს მაჩვენებელი გაიზარდა 14,5%-დან 15,4%-მდე. აღსანიშნავია, რომ 170-დან მხოლოდ რამდენიმე ქვეყანას აქვს საქართველოზე დაბალი მაჩვენებელი*, ეკონომიკურად დაბალგანვითარებულ ქვეყნებშიც კი ეს მაჩვენებელი ორჯერ მაღალია და 8,7%-ს აღწევს (იხ. გრაფიკი 3).1

გრაფიკი 3

ჯანდაცვაზე გაღებული ხარჯების წილი სახელმწიფო ხარჯების მთლიან მოცულობაში საქართველოსა და ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა დონის ქვეყნებში[3]



საინტერესოა საქართველოში მოსახლეობის ერთ სულზე ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯების მოცულობა. 2007 წელს მან შეადგინა 191 აშშ დოლარი, ვალუტის მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტით კი – 384 აშშ დოლარი. აღნიშნული მაჩვენებლით საქართველოს თუ შევუდარებთ ყოფილ პოსტკომუნისტურ ქვეყნებს, სურათი ასეთია (იხ. ცხრილი 1).

* ეს ქვეყნებია: ავღანეთი (3,7%), გვინეა ბისაუ (4,0%), პაკისტანი (3,5%), ტაჯიკეთი (3,6%), მიანმა (0,9%).

[3] შედგენილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემების საფუძველზე.

ცხრილი 1

ჯანდაცვის ხარჯები მოსახლეობის ერთ სულზე საქართველოსა და პოსტკომუნისტურ ქვეყნებში 2007 წელს[4]

ქვეყნები	აშშ დოლარი	პროცენტობით საშუალო მსოფლიო დონესთან	პროცენტობოით საქართველოსთან
საქართველო	**191**	23,8	100
საშუალოდ მსოფლიოში	802	100,0	419,9
ესტონეთი	837	104,4	438,2
ლატვია	784	97,8	410,5
ლიტვა	717	89,4	375,4
რუსეთის ფედერაცია	493	61,5	258,1
ბელარუსი	302	37,7	158,1
ყაზახეთი	253	31,5	132,5
უკრაინა	210	26,2	109,9
აზერბაიჯანი	140	17,5	73,3
თურქმენეთი	139	17,3	72,8
სომხეთი	133	16,6	69,6
მოლდოვა	127	15,8	66,5
ყირგიზეთი	46	5,7	24,1
უზბეკეთი	41	5,1	21,5
ტაჯიკეთი	29	3,6	15,2

საერთაშორისო შედარების თვალსაზრისით, საინტერესო სურათს იძლევა საქართველოს შედარება მსოფლიოს ზოგიერთ სხვა ქვეყანასთან მოსახლეობის ერთ სულზე ჯანდაცვაზე გაღებული ხარჯების მიხედვით (იხ. ცხრილი 2).

როგორც მოყვანილი მონაცემებითან ჩანს, მოსახლეობის ერთ სულზე ჯანდაცვის ხარჯებით საქართველო ჩამორჩება საშუალო მსოფლიო დონეს 4,2-ჯერ, ნორვეგიას – 38,5-ჯერ, აშშ-ს 38,1-ჯერ, დანიას – 29,1-ჯერ, ლუქსემბურგს – 38,9-ჯერ, საბერძნეთს – 14-ჯერ, ბალტიის ქვეყნებს, თითოეულს – 4,0-ჯერ. ვალუტის მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტით, საქართველოში ჯანდაცვის ხარჯები მსოფლიო დონის 44,5%-ია, ნაცვლად ოფიციალური კურსით გაანგარიშებული 23,8%-სა. ამასთან, თუ მხედველობაში მივიღებთ უშუალოდ საზოგადოებრივ ხარჯებს ჯანდაცვაზე, აქ ჩამორჩენა გაცილებით მასშტაბურია – მსოფლიოში ბიუჯეტიდან მოსახლეობის ერთ სულზე ჯანდაცვის ხარჯები 478 აშშ დოლარია, მაშინ როდესაც საქართველოში მხოლოდ – 35 აშშ დოლარი (7,3%), ვალუტის მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის მიხედვით, შესაბამისად, მსოფლიოში – 493 აშშ დოლარი და საქართველოში – 71 აშშ დოლარი (14,4%). საქართველო აღნიშნული ინდიკატორით ჩამორჩება მაღალგანვითარებულ ქვეყნებს 35-ჯერ.

[4] შედგენილია მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემების საფუძველზე. www.whou.int/gehou/gatabais/whs2010_part2

ცხრილი 2

ჯანდაცვის ხარჯები მოსახლეობის ერთ სულზე საქართველოსა და მსოფლიოს ზოგიერთ ქვეყანაში 2007 წელს[5]

ქვეყნები	აშშ დოლარი	პროცენტობით საშუალო მსოფლიო დონესთან	პროცენტობით საქართველოსთან
საქართველო	**191**	23,8	100
საშუალოდ მსოფლიოში	802	100	419,9
ნორვეგია	7354	917,0	3850,3
აშშ	7285	908,4	3814,1
თურქეთი	465	58,0	243,5
ბელგია	4056	505,7	2123,6
ბულგარეთი	384	47,9	201,0
კვიპროსი	1778	221,7	930,9
ჩეხეთი	1141	142,3	597,4
დანია	5551	692,1	2906,3
ფინეთი	3809	474,9	1994,2
საფრანგეთი	4627	576,9	2422,5
გერმანია	4209	524,8	2203,7
საბერძნეთი	2679	334,0	1402,6
უნგრეთი	1019	127,1	533,5
ისლანდია	5971	744,5	3126,2
ირლანდია	4556	568,1	2385,3
იტალია	3136	391,0	1641,9
ლუქსემბურგი	7439	92,6	3894,8
მალტა	1362	169,8	713,1
ნიდერლანდი	4243	529,1	2221,5
პოლონეთი	716	89,3	374,9
პორტუგალია	2108	262,8	1103,7
რუმინეთი	369	46,0	193,2
სლოვაკეთი	1077	134,3	563,9
სლოვენია	1836	228,9	961,3
ესპანეთი	2712	338,2	1419,9
შვედეთი	4495	560,5	2353,4
დიდი ბრიტანეთი	3867	482,2	2024,6

საქართველოსა და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში სახელმწიფოს მიერ ჯანდაცვაზე გაღებული ხარჯები მოსახლეობის ერთ სულზე ვალუტის მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის მიხედვით ასეთია (იხ. ცხრილი 3).

[5] შედგენილია მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემების საფუძველზე. www.whou.int/gehou/gatabais/whs2010_part2

ცხრილი 3

საქართველოსა და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში სახელმწიფოს მიერ მოსახლეობის ერთ სულზე გაღებული ჯანდაცვის ხარჯები ვალუტის მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის მიხედვით 2007 წელს[6]

(პროცენტობით; საშუალო მსოფლიო დონე = 100)

ქვეყნები	აშშ დოლარი	პროცენტობით საშუალო მსოფლიო დონესთან	პროცენტობით საქართველოსთან
საქართველო	**71**	14.4	**100**
საშუალოდ მსოფლიოში	**493**	**100**	694,4
ესტონეთი	836	169,6	1177,5
ლიტვა	809	164,1	1139,4
ლატვია	620	125,8	873,2
ბელარუსი	528	107,1	743,7
რუსეთის ფედერაცია	512	103,9	721,1
უკრაინა	274	55,6	385,9
ყაზახეთი	268	54,4	377,5
მოლდოვა	142	28,8	200,0
სომხეთი	117	23,7	164,8
თურქმენეთი	80	16,2	112,7
აზერბაიჯანი	76	15,4	107,0
ყირგიზეთი	70	14,2	98,6
უზბეკეთი	56	11,4	78,9
ტაჯიკეთი	20	4,1	28,2

2007 წელს საქართველოში მოსახლეობის ერთ სულზე საზოგადოებრივი ჯანდაცვის ხარჯების თანაფარდობის შესახებ საშუალო მსოფლიო დონესთან ვალუტის მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის მიხედვით იხილეთ ცხრილი 4.

ცხრილი 4

საქართველოში მოსახლეობის ერთ სულზე საზოგადოებრივი ჯანდაცვის ხარჯების თანაფარდობა საშუალო მსოფლიო დონესთან ვალუტის მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის მიხედვით 2007 წელს[7]

ქვეყნები	აშშ დოლარი	შეფარდებით მსოფლიო დონესთან (მსოფლიო დონე = 1)	შეფარდებით საქართველოსთან (საქართველო = 1)
1	2	3	4
საქართველო	71	0,14	1,0
საშუალოდ მსოფლიოში	493	1,00	6,9
ნორვეგია	4005	8,12	56,4
აშშ	3317	6,73	46,7
თურქეთი	467	0,95	6,6
ავსტრია	2875	5,83	40,5
ბელგია	2461	4,99	34,7
ბულგარეთი	477	0,97	6,7
კვიპროსი	1383	2,81	19,5

[6] შედგენილია მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემების საფუძველზე.
[7] იქვე.

1	2	3	4
ჩეხეთი	1385	2,81	19,5
დანია	2968	6,02	41,8
ესტონეთი	836	1,70	11,8
ფინეთი	2120	4,30	29,9
საფრანგეთი	2930	5,94	41,3
გერმანია	2758	5,59	38,8
საბერძნეთი	1646	3,34	23,2
უნგრეთი	980	1,99	13,8
ისლანდია	2742	5,56	38,6
ირლანდია	2762	5,60	38,9
იტალია	2056	4,17	29,0
ლატვია	620	1,26	8,7
ლიტვა	809	1,64	11,4
ლუქსემბურგი	5201	10,55	73,3
მალტა	3140	6,37	44,2
ნიდერლანდი	2878	5,84	40,5
პოლონეთი	733	1,49	10,3
პორტუგალია	1613	3,27	22,7
რუმინეთი	475	0,96	6,7
სლოვაკეთი	1040	2,11	14,6
სლოვენია	1501	3,05	21,1
ესპანეთი	1917	3,89	27,0
შვედეთი	2716	5,51	38,3
დიდი ბრიტანეთი	2446	4,96	34,5

2009 წლის მონაცემებით, საქართველო საშუალოდ 2,5-ჯერ ჩამორჩება ევროკავშირს სახელმწიფო ბიუჯეტიდან საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე, აგრეთვე სოციალურ დაცვაზე ხარჯების წილით ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში (იხ. გრაფიკი 4).

გრაფიკი 4

ჯანდაცვასა და სოციალურ დაცვაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაღებული ხარჯების წილი მთლიან შიდა პროდუქტში საქართველოსა და ევროკავშირში 2009 წელს[8]



ამრიგად, ჯანდაცვის ხარჯების მოცულობა საქართველოში საკმაოდ არადამაკმაყოფილებელია და არ შეესაბამება არათუ საშუალო მსოფლიო დონეს, არამედ თავის ეკონო-

[8] შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ევროსტატის მონაცემების საფუძველზე.

მიკურ პოტენციალსაც. იგრძნობა სახელმწიფოს გარკვეული დისტანცირება ჯანდაცვის პრობლემებისაგან, რის გამოც ქვეყნის ჩამორჩენა საშუალო მსოფლიო დონესთან შედარებით გაცილებით დიდია, ვიდრე ეკონომიკური ჩამორჩენა. ჯანდაცვის ხარჯების ფაქტიური გადაკისრება მოსახლეობაზე არა მარტო მძიმე ტვირთად აწვება შინამეურნეობათა ბიუჯეტებს, არამედ აღარ უტოვებს მათ საკმარის რესურსს ეკონომიკური საქმიანობისთვის და შეიცავს ეკონომიკური ზრდისა და განვითარებისთვის სულ უფრო მზარდ ნეგატიურ კუმულატიურ მუხტს.

2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 6%-ია, მაშინ როდესაც 1988 წელს იგი 10,1% იყო. ამასთან, ლარისა და მანეთის მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის გათვალისწინებით, მოსახლეობის ერთ სულზე საბიუჯეტო ხარჯების მოცულობა საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე 2011 წელს 1988 წლის მხოლოდ 43%-ია.

საქართველოში უკიდურესად დაბალია სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევის დონეც. 2011 წლისთვის სამედიცინო დაზღვევა ჰქონდა მხოლოდ 1611,4 ათას მცხოვრებს – ქვეყნის მთელი მოსახლეობის მხოლოდ 36,3%-ს. მოსახლეობის დიდი ნაწილი, სამედიცინო მომსახურების ხელმიუწვდომელობისა და კომერციალიზაციის მაღალი დონის გამო, ჯანმრთელობის პროფილაქტიკის ნაცვლად, სამედიცინო დაწესებულებებს მხოლოდ უკიდურეს, სასწრაფო და გადაუდებელი შემთხვევისას მიმართავს. ამის შედეგად, ბოლო წლებში გამოიკვეთა სიცოცხლის მოსალოდნელი საშუალო ხანგრძლივობის შემცირების – 75,0 წლიდან (2007 წელს) 74,4 წლამდე (2010 წელს) და მოკვდაობის კოეფიციენტის (ყოველ 1000 კაცზე გარდაცვლილთა შემთხვევების) ზრდის (2005 წლის 9,3 პრომილედან 2009 წლის 10,6 პრომილემდე) ნეგატიური ტენდენციები.

ამ ციფრებისა და ტენდენციების მიღმა საქართველოს ეკონომიკისა და ჯანდაცვის სფეროს მთელი „ბრწყინვალება და სიღატაკე“ იმალება.

ჯანმრთელობის დაცვა საზოგადოების პირველი რიგის მოთხოვნილებას მიეკუთვნება, ამიტომ საქართველოში იგი პრიორიტეტულ რეჟიმში უნდა განვითარდეს.

XVI თავი
სადაზღვევო საქმიანობა

საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრებისა და მოსახლეობის სამართლებრივი განათლებულობის ამაღლების კვალობაზე საქართველოში სულ უფრო ფართოდ მკვიდრდება დაზღვევის კულტურა, ვითარდება სადაზღვევო საქმიანობა. საზოგადოების სულ უფრო მეტი ნაწილი აცნობიერებს სადაზღვევო სისტემის მნიშვნელობას საკუთარი კეთილდღეობის ამაღლებასა და ბიზნესის წარმატებულობაში, არახელსაყრელი კონიუნქტურისა და რისკებისაგან დაზღვევაში.*

თანამედროვე პირობებში განუსაზღვრელია დაზღვევის როლი და მნიშვნელობა საზოგადოებრივი და პირადი ინტერესების დაცვასა და ჰარმონიზებაში. სადაზღვევო სისტემის განვითარება საზოგადოების და, საერთოდ, მთლიანად სახელმწიფოს ინსტიტუციური მდგრადობის საკმაოდ მნიშვნელოვანი ინდიკატორია. ამ მხრივ, ბოლო წლებში საქართველოში განხორციელებულმა რეფორმებმა, საბიუჯეტო წესრიგის დამყარებამ, ბიზნესის განვითარებამ და მოსახლეობის შემოსავლების ზრდამ პოზიტიური როლი შეასრულა სადაზღვევო სექტორის განვითარებაში.

ისევე, როგორც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, საქართველოშიც სადაზღვევო საქმიანობის გარანტად და უმნიშვნელოვანეს ფინანსურ დონორად სახელმწიფო გვევლინება. მართალია, საქართველოში 2006 წლიდან აღარ მოქმედებს არასაბიუჯეტო (ბიუჯეტგარეშე) ფონდები, მაგრამ სახელმწიფო ბიუჯეტის საგრძნობი ნაწილი მიემართება საზოგადოების უმწეო და არაქმედუნარიანი წევრების დაცვისათვის. მაგალითად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2011 წლის 1692,6 მლნ ლარის საბიუჯეტო სახსრებიდან თითქმის ორი მესამედი სოციალურ დაცვაზე, მათ შორის 3/5 საპენსიო უზრუნველყოფაზეა მიმართული. მარტო ჯანდაცვის დაზღვევაზე გამოყოფილი სახელმწიფო სახსრების მოცულობა (2010 წელს – 147,3 მლნ ლარი, 2011 წლის გეგმით – 136,2 მლნ ლარი) 1,8-ჯერ აღემატება საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე მოქმედი ყველაზე მსხვილი კომპანიის მიერ მოზიდული პრემიის მოცულობას.

სადაზღვევო საქმიანობას საქართველოში ეწევა კერძო სადაზღვევო ინსტიტუტები, რომელთა შემოსავლები ყალიბდება როგორც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გადმორიცხული ფინანსური სახსრების საფუძველზე, ისე ცალკეულ იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით.

ქვეყნის სადაზღვევო სექტორში ამჟამად მოქმედებს 17 სადაზღვევო კომპანია. ესენია: 1. სს სადაზღვევო კომპანია „**ალდაგი ბისიაი**"; 2. სს საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია "**იმედი L International**"; 3. სს სადაზღვევო კომპანია „**ჯი პი აი ჰოლდინგი**"; 4. შპს სადაზღვევის კომპანია „**ქართუ**"; 5. შპს სადაზღვევო კომპანია „**ვესტი**"; 6. შპს სადაზღვევო საერთაშორისო კომპანია „**ირაო**"; 7. შპს სადაზღვევო კომპანია „**ჩარტის ევროპა**" – საქართველოს ფილიალი; 8. შპს სადაზღვევო კომპანია „**აი სი ჯგუფი**"; 9. შპს სადაზღვევო კომპანია „**ტაო**"; 10. შპს სადაზღვევო კომპანია „**პარტნიორი**"; 11. სს „**სტანდარტ დაზღვევა საქართველო**"; 12. სამედიცინო დაზღვევის ჯგუფი სს „**არქიმედეს გლობალ ჯორჯია**"; 13. შპს სადაზღვევო კომპანია „**ალფა**"; 14. შპს სადაზღვევო კომპანია „**მობიუსი**"; 15. შპს სადაზღვევო კომპანია „**არდი ჯგუფი**"; 16. შპს „**პსპ დაზღვევა**";

* მასალის მომზადებაში გამოყენებულია საქართველოს ეროვნული ბანკის, ფინანსთა სამინისტროს, სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და საქართველოს სადაზღვევო ასოციაციის მონაცემები.

17. შპს სადაზღვევო კომპანია „**უნისონი**". 1990-იანი წლებისაგან განსხვავებით, როდესაც ამ სფეროს ჰყავდა ერთი აშკარა მონოპოლისტი („ალდაგი"), ამჟამად არც ერთი სადაზღვევო კომპანია არ არის მონოპოლისტურ მდგომარეობაში. ყველაზე მსხვილ მოთამაშეზე – *სს საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია "იმედი L International"*-ზე – მოდის სადაზღვევო ბაზრის მხოლოდ 22%. მეორე ადგილზეა *სს "სადაზღვევო კომპანია ალდაგი ბისიაი"* (18,6%), მესამეზე კი – სს *"სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი"* (15%). მათზე მოდის მთელი სადაზღვევო ბაზრის ნახევარზე მეტი (55,6%).

ქვემოთ მოტანილი ცხრილი 1 წარმოდგენას იძლევა სადაზღვევო კომპანიების მიერ საქართველოს სადაზღვევო ბაზრის განაწილებაზე.

ცხრილი 1

საქართველოს სადაზღვევო კომპანიები მათ მიერ მოზიდული პრემიისა და სადაზღვევო ბაზარზე წილის მიხედვით 2010 წელს[1]

	მოზიდული პრემია, ათასი ლარი	**პროცენტი**
სულ	**361457,2**	**100**
მათ შორის:		
სს საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „იმედი L International"	79693,9	22,0
სს სადაზღვევო კომპანია „ალდაგი ბისიაი"	67083,3	18,6
სს სადაზღვევო კომპანია „ჯი პი აი ჰოლდინგი"	54243,5	15,0
შპს დაზღვევის საერთაშორისო კომპანია „ირაო"	45234,2	12,5
შპს სადაზღვევო კომპანია „აი სი ჯგუფი"	33684,4	9,3
შპს „სადაზღვევო კომპანია ალფა"	30918,0	8,6
შპს სადაზღვევო კომპანია „ვესტი"	14869,6	4,1
შპს სადაზღვევო კომპანია „ქართუ"	11014,2	3,0
სამედიცინო დაზღვევის ჯგუფი სს „არქიმედეს გლობალ ჯორჯია"	8325,5	2,3
შპს სადაზღვევო კომპანია „პარტნიორი"	5489,2	1,5
შპს სადაზღვევო კომპანია „ტაო"	3438,8	1,0
შპს სადაზღვევო კომპანია „მობიუსი"	2902,6	0,8
სს „სტანდარტ დაზღვევა საქართველო"	2057,2	0,6
შპს სადაზღვევო კომპანია „ჩარტის ევროპა" – საქართველოს ფილიალი	1007,4	0,3
შპს სადაზღვევო კომპანია „არდი ჯგუფი"	911,1	0,3
შპს „პსპ სამედიცინო დაზღვევა"	584,2	0,2

ბოლო წლებში სადაზღვევო კომპანიების საქმიანობის მასშტაბების სწრაფ ზრდაზე მეტყველებს მათ მიერ მოზიდული სადაზღვევო პრემიის მოცულობაც, რომელიც ბოლო ოთხი წლის მანძილზე (2010 წელს, 2006 წელთან შედარებით) 5-ჯერ და მეტად გაიზარდა –

[1] საქართველოს ეროვნული ბანკი; http://nbg.gov.ge/index.php?m=486

69,7 მლნ ლარიდან 361,5 მლნ ლარამდე. აღნიშნული ზრდა მნიშვნელოვნად აღემატება როგორც მთლიანი შიდა პროდუქტის ნომინალურ ზრდას (ზრდა – 1,5-ჯერ), ისე ბოლო წლებში ქვეყანაში უცხოეთიდან განხორციელებული ფულადი ტრანზაქციების მოცულობას (ზრდა – 1,8-ჯერ). ამის გამო საგრძნობლად გაიზარდა მოზიდული პრემიის მოცულობის თანაფარდობა ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტთანაც, რაზეც წარმოდგენას იძლევა გრაფიკი 1.

გრაფიკი 1

საქართველოს სადაზღვევო კომპანიების მიერ მოზიდული პრემიების თანაფარდობა მთლიან შიდა პროდუქტთან 2006–2010 წლებში[2]

(%–ობით)



აღსანიშნავია, რომ სადაზღვევო სექტორის ზრდას ძირითადად განაპირობებს ჯანდაცვის (სამედიცინო) დაზღვევის მაღალი წილი და ამ უკანასკნელის რეალიზაციაში სახელმწიფოს ჩართულობის მაღალი დონე. სამედიცინო (ჯანმრთელობის დაზღვევაზე) მოდის სადაზღვევო ბაზრის 68%. მეორე ადგილზე მყოფი ქონების დაზღვევის მოცულობა მას – 7-ჯერ ჩამორჩება.

2010 წლის ბოლოსათვის დაზღვევის სახეობების მიხედვით საქართველოს სადაზღვევო ბაზრის სტრუქტურაზე წარმოდგენას იძლევა ცხრილი 2.

როგორც მონაცემებიდან ჩანს, სადაზღვევო კომპანიების მოზიდული პრემიის მხოლოდ მცირე ნაწილი უკავშირდება იურიდიული და ფიზიკური პირების კომერციულ საქმიანობას, სამეწარმეო საქმიანობის რისკების დაზღვევას. მაგალითად, ტვირთების დაზღვევის შემთხვევათა რაოდენობა არ აღემატება 14,1 ათასს, ვალდებულებათა შესრულების დაზღვევა – 12,7 ათას და საფინანსო დანაკარგების დაზღვევა – 20,3 ათასს, ეს მაშინ როდესაც ქვეყანაში რეგისტრირებული ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობა რამდენიმე ასეული ათასია, ხოლო მარტო ინდმეწარმეთა რაოდენობა 20 ათასს აღემატება. ფაქტობრივად, ბიზნესსაქმიანობით დაკავებულ იურიდიულ და ფიზიკურ პირთა დიდი ნაწილი ჯერაც არ ახორციელებს საკუთარი ბიზნესის დაზღვევას კომერციული რისკებისაგან და აქცენტს უფრო უბედური შემთხვევებისაგან დაზღვევაზე აკეთებს, რომელთა სიხშირეც 13-ჯერ აღემატება ფინანსურ დაზღვევათა რაოდენობას. მეორე მხრივ, სადაზღვევო კომპანიების მოზიდული სახსრების უდიდესი ნაწილი ყალიბდება მოსახლეობის ჯანდაცვის, სიცოცხლისა და პირადი ქონების ელემენტების (ძირითადად, პირადი სატრანსპორტო საშუალებების) დაზღვევის ხარჯზე, რაც მთელი სერიოზულობით აყენებს დაზღვევათა დივერსიფიცირების საკითხს.

[2] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემები; http://nbg.gov.ge/index.php?m=486

ცხრილი 2

საქართველოს სადაზღვევო კომპანიების მიერ
მოზიდული სადაზღვევო პრემია 2010 წელს[3]

დაზღვევის სახეები	**სულ, მლნ ლარი**	**პროცენტი**
სულ	361,5	100
მათ შორის:		
სიცოცხლის	10,0	2,8
სამოგზაურო	2,2	0,6
უბედური შემთხვევის	3,0	0,8
სამედიცინო (ჯანმრთელობის)	245,8	68,0
სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებების (გარდა სარკინიგზო ტრანსპორტისა)	27,1	7,5
სახმელეთო ტრანსპორტის გამოყენებასთან დაკავშირებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის	3,5	1,0
სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებათა	64,9	18,0
საჰაერო სატრანსპორტო საშუალებათა	6,1	1,7
საჰაერო სატრანსპორტო საშუალებათა გამოყენებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის	2,2	0,6
მცურავი სატრანსპორტო საშუალებების	0,4	0,1
მცურავ სატრანსპორტო საშუალებათა გამოყენებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის	0,04	0,0
ტვირთების დაზღვევა	3,1	0,9
ქონების	35,1	9,7
საფინანსო დანაკარგებისაგან	1,3	0,4
ვალდებულებათა შესრულების	14,3	4,0
საკრედიტო ვალდებულებათა	0,02	0,0
სამოქალაქო პასუხისმგებლობის	7,3	2,0
იურიდიული ხარჯების	0,01	0,0

ამგვარი მდგომარეობა მნიშვნელოვანწილად ხსნის იმ გარემოებასაც, რომ მიუხედავად ბოლო წლების სერიოზული ზრდისა, საქართველო ჯერაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება საშუალო მსოფლიო დონეს როგორც სადაზღვევო პრემიის თანაფარდობით მშპ-თან, ისე მოსახლეობის ერთ სულზე სადაზღვევო პრემიის მოცულობით*.

სადაზღვევო სექტორის განვითარებით საქართველო ჩამორჩება არა მხოლოდ განვითარებულ ქვეყნებს, არამედ საშუალო მსოფლიო დონესაც, ამასთან, მათ ჯერადად ჩამორჩება ეკონომიკური განვითარებით. მაგალითად, მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი შიდა პროდუქტის წარმოებით საქართველო საშუალო მსოფლიო დონეს ჩამორჩება 2,1-ჯერ, მოზიდული სადაზღვევო პრემიით მოსახლეობის ერთ სულზე – 8,1-ჯერ, აშშ-ს, შესაბამისად, 9,4-ჯერ და 44,7-ჯერ, ირლანდიას – 8,6-ჯერ და 78,6-ჯერ და ა.შ. საშუალო მსოფლიო დონეზე გასვლის შემთხვევაში საქართველოს სადაზღვევო ბაზრის ტევადობა ამჟამინდელზე, სულ ცოტა, 3,8-ჯერ უფრო მაღალი, ანუ 1,2 მლრდ ლარით მეტი იქნებოდა.

[3] საქართველოს ეროვნული ბანკი; http://nbg.gov.ge/index.php?m=486

* მოსახლეობის ერთ სულზე სადაზღვევო პრემიის მოცულობა (აშშ-ის მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტით) 2009 წელს საქართველოში იყო 75, მსოფლიოში – 607.

განვითარებულ ქვეყნებში სადაზღვევო ბაზრის ტევადობა ჯერადად უფრო მაღალია, ვიდრე საქართველოში. საინტერესო სურათს იძლევა საქართველოსა და დანარჩენ მსოფლიოში სადაზღვევო პრემიის თანაფარდობა მშპ-თან (იხ. გრაფიკი 2).

გრაფიკი 2

სადაზღვევო პრემიის თანაფარდობა მშპ-თან
საქართველოსა და დანარჩენ მსოფლიოში[4]
(%-ობით)



ბოლო წლებში საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე მომხმარებლებს სულ უფრო მეტ და ახალი სახეობის სადაზღვევო მომსახურებას სთავაზობენ. მაგალითად, 2009 წლიდან დაინერგა ახალი სერვისი – *სამართლებრივი დავების (იურიდიული ხარჯებისა და პროცესის ხარჯების) დაზღვევა* როგორც ინდივიდუალური, ისე კორპორატიული მომხმარებლისთვის ("ალდაგი ბისიაი"). ამგვარი დაზღვევისას, პროცესის წაგების შემთხვევაში კლიენტი სასამართლო ხარჯებს უკან იბრუნებს. თუმცა ასეთი დაზღვევის წილი სადაზღვევო ბაზარზე ჯერ მეტისმეტად მცირეა (0,9 მლნ ლარი, ანუ მთელი ბაზრის 0,2%).

სადაზღვევო ბაზარზე მეოთხე ადგილზე მყოფი *„ირაო“* (ბაზრის 12,5%-იანი სეგმენტით) ლიდერია ელექტროენერგეტიკული ობიექტების დაზღვევის სფეროში. კომპანია წარმოადგენს მსოფლიოს გლობალური სადაზღვევო ბროკერის – Marsh-ის საფრონტინგო კომპანიას*, საერთაშორისო პროექტების ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (BTC), ბაქო-სუფსისა (AIOC) და სამხრეთ კავკასიის (SCP) მილსადენის ექსკლუზიურ მზღვეველს.

ბოლო წლებში საქართველოში აქტიური, აგრესიულ-მარკეტინგული და სარეკლამო ქმედებით იზრდება ავტომობილების დაზღვევა. ამასთან, მთლიანობაში აღნიშნულ სექტორში ჯერაც არ დასრულებულა ინსტიტუციური ფორმირება, რაც დღის წესრიგში აყენებს რეფორმების თანმიმდევრობისა და სადაზღვევო მომსახურებით საზოგადოებრივი ცხოვრებისა და საქმიანობის სულ უფრო ახალ-ახალი სახეობების მოცვის აუცილებლობას.

დღეისათვის თვით დაზღვევის სახეობებში პრიორიტეტული მდგომარეობის მქონე სამედიცინო დაზღვევით მოცულია საქართველოს მხოლოდ 1,6 მლნ მცხოვრები, ანუ მოსახლეო-

---

[4] საქართველოს ეროვნული ბანკი; http://nbg.gov.ge/index.php?m=486

* **საფრონტინგო კომპანია** არის დამზღვევი, რომელიც სხვა კომპანიის სახელით გასცემს პოლისს იმ პირობით, რომ აღებული პასუხისმგებლობის 100% იქნება გადაზღვეული მეორე კომპანიაში. ამ შემთხვევაში საფრონტინგო კომპანია იტოვებს იურიდიულ პასუხისმგებლობას დამზღვევის წინაშე. საფრონტინგო კომპანიას აქვს უფლება მიიღოს საკომისიო ფრონტინგობისათვის.

ბის მთლიანი რაოდენობის დაახლოებით 36%. ამასთან, თავად ამ სადაზღვევო კომპანიების მიერ მოზიდული თანხების 2/5 სახელმწიფო საბიუჯეტო ხარჯების მოზიდვით ყალიბდება[5].

ბოლო პერიოდში გამოიკვეთა სადაზღვევო კომპანიების ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების წინმსწრები ზრდა, იურიდიული და ფიზიკური პირებისადმი გაწეული სადაზღვევო მომსახურების ზრდასთან შედარებით. მაგალითად, 2010 წელს, პირველად ბოლო წლების მანძილზე, სადაზღვევო ბაზრის ზრდა (0,3%-ით) ჩამორჩა როგორც ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას (მშპ-ის ნომინალური ზრდა 15,3%-ით), ისე მოსახლეობის შემოსავლების ზრდას (14,0%). აღნიშნული გარემოება ძირითადად სადაზღვევო კომპანიების საქმიანობითა და კლიენტებთან ურთიერთობის დახვეწილი ფორმებით უნდა აიხსნას.

2010 წელს, წინა წელთან შედარებით, საქართველოში სადაზღვევო სექტორის მიერ მოზიდული პრემიის მოცულობის ფაქტობრივ უცვლელობას სრულებითაც არ შეუშლია ხელი იმისათვის, რომ სადაზღვევო კომპანიებს საკუთარი შემოსავალი გაეზარდათ 10%-ით (269,8 მლნ ლარიდან 296,8 მლნ ლარამდე), წმინდა მოგება – 88%-ით (17,9 მლნ ლარიდან 33,6 მლნ ლარამდე), საკუთარი კაპიტალი – 77,5%-ით (55,2 მლნ ლარიდან 98,0 ლარამდე), ხოლო აქტივების ღირებულება 1/3-ით და მეტად (33,6%-ით – 331,5 მლნ ლარიდან 442,9 მლნ ლარამდე). აღნიშნული ტენდენციის შენარჩუნება მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში უდავოდ შეიცავს სადაზღვევო სისტემის თვითკმარ სისტემად ჩამოყალიბების საფრთხეს. ეს განსაკუთრებით მიუღებელია იმ პირობებში, როდესაც მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი სიღარიბის ზღვარს მიღმა იმყოფება, ხოლო ჯანდაცვის ხარჯების 4/5-ს უშუალოდ საქართველოს მოსახლეობა იხდის[6].

საქართველოში სადაზღვევო საქმიანობის ერთ-ერთ პერსპექტიულ მიმართულებად უნდა ჩაითვალოს *საპენსიო სადაზღვევო სისტემის* ჩამოყალიბება. ამჟამად ქვეყანაში მოქმედი პენსიების გაცემის სისტემა უფრო სოციალური დახმარების ნიშნის მატარებელია, ვიდრე საბაზრო ეკონომიკის შესატყვისი ურთიერთობებისა. პენსიონერთა 98%-ის პენსია მთლიანად საბიუჯეტო სახსრების ხარჯზე ყალიბდება. 2010 წლის ბოლოსათვის საპენსიო სადაზღვევო სქემებში მონაწილეთა რაოდენობამ მხოლოდ 16879 კაცი შეადგინა, რაც პენსიონერთა საერთო რაოდენობასთან მიმართებაში მხოლოდ 2,0%-ია. წლის განმავლობაში საპენსიო დაზღვევაზე დადებულ ხელშეკრულებათა რაოდენობამ 2185, ხოლო საპენსიო შენატანების ჯამურმა ღირებულებამ მხოლოდ 2,4 მლნ ლარი შეადგინა. საპენსიო სქემების მონაწილეებზე ჯამური ვალდებულებები 2010 წლის 31 დეკემბერს 7,9 მლნ ლარს შეადგენდა, რაც სახელმწიფო საპენსიო წლიური საბიუჯეტო სახსრების 1%-ზე ნაკლებია.

ყოველივე ეს ადასტურებს საქართველოს სადაზღვევო სექტორის განვითარებაზე მეტი საზოგადოებრივი და სახელმწიფო მხარდაჭერისა და კონტროლის განხორციელების აუცილებლობის, მეტი ტრანსპარენტულობისა და ეფექტიანობის ამაღლების აუცილებლობას.

უახლოეს წლებში დაზღვევის, მოსახლეობისა და ბიზნესის სულ უფრო დიდი ნაწილის სადაზღვევო მომსახურების ამა თუ იმ სახეობით მოცვა მძლავრ სტიმულს მისცემს საქართველოს სადაზღვევო ბაზრის განვითარებას და განმსაზღვრელ როლს შეასრულებს დანარჩენი მსოფლიოსგან ქვეყნის ჩამორჩენის დაძლევაში.

---

[5] მარტო 2008-2010 წლებში სახელმწიფომ კერძო კომპანიებისაგან ბითუმად შეისყიდა 340 მლნ ლარის ღირებულების დაზღვევა ძირითადად სოციალურად დაუცველი და სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი პირებისათვის, აგრეთვე ზოგიერთი კატეგორიის დასაქმებულთათვის. იხ. **მუმლაძე რ.** სადაზღვევო პოლისი ანუ ხალხის ხარჯზე დაზღვეული მილიონები. „პრესაგეტვ.“ 1.03.2011.

[6] შედარებისათვის: აშშ-ში მომხმარებელი საკუთარი შემოსავლებიდან ჯანდაცვის ხარჯების მხოლოდ 17%-ს იხდის, დანარჩენს იხდის „მესამე მხარე“. ჯანმრთელობის დაზღვევაში კერძო სექტორი იხდის ხარჯების 35%-ს, სახელმწიფო – 43%-ს, ხოლო ხარჯის დანარჩენი ნაწილი ფილანტროპული შენატანებიდან და სხვა წყაროებიდან იფარება. იხ. **როუზენი ჰ.** საჯარო ფინანსები. X თავი. თბილისი, 2007.

XVII თავი

საკურორტო-რეკრეაციული რესურსები და ტურიზმი

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის სტრუქტურულმა ტრანსფორმაციამ, გლობალიზაციის გაღრმავებამ და არნახულმა მასშტაბებმა არსებითად შეცვალა ბიზნესსაქმიანობის ვექტორი. წარმოებული საქონლისა და მომსახურების რაოდენობრივ მახასიათებლებთან ერთად, წინა პლანზე მათმა თვისებრივმა, შემოქმედებით-კრეატიულმა მხარემ წამოიწია. გლობალურმა პროცესებმა უპირატესობა ინოვაციურ აზროვნებას მიანიჭა. ძველი მეთოდებითა და ფორმებით ბიზნესსაქმიანობა უკვე სასურველ შედეგს აღარ იძლევა. სწორედ ამითაა განპირობებული ის გარემოება, რომ მსოფლიოს თითქმის ყველა განვითარებულ და ზოგიერთ განვითარებად ქვეყანაში დაიწო ეკონომიკის სტრუქტურული გადაწყობა და ახალ მოთხოვნებთან მათი შესაბამისობაში მოყვანა. ასეთმა მიდგომამ მრავალ ქვეყანას უარი ათქმევინა ძველ, ტრადიციულ დარგებზე, რომლებმაც ვერ გაუძლო მწვავე კონკურენციას და დღის წესრიგში ახალი ეკონომიკური სტრუქტურის ფორმირების აუცილებლობა დააყენა. ამ მხრივ, არც საქართველოა გამონაკლისი. დაიწყო ქვეყნის ახალი ეკონომიკის მშენებლობა. უკანა პლანზე გადაიწია ის დარგები, რომლებიც ვერ გაუძლებდნენ თანამედროვე კონკურენციას. უპირატესი ადგილი ახალმა, უფრო ეფექტიანმა ბიზნესსექტორებმა დაიკავა, რომლებიც, პოტენციური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, სათანადო ადგილს დაიმკვიდრებენ სამამულო და საერთაშორისო კონკურენტულ გარემოში.

საკურორტო-რეკრეაციული რესურსები. იშვიათია ისეთი ქვეყანა, რომელსაც ყველა სახის საკურორტო-რეკრეაციული რესურსი ჰქონდეს. ამ იშვიათი ქვეყნების რიცხვში საქართველოც შედის.

გაეროს ეროვნულ ანგარიშთა სისტემასა და საერთაშორისო სტანდარტულ დარგობრივ კლასიფიკაციაში საკურორტო მეურნეობა, სამკურნალო ტურიზმის სახით, ტურიზმში შედის, მაგრამ საქართველოსთვის იმდენად მნიშვნელოვანი და სპეციფიკურია კურორტები, რომ იგი ცალკეა გამოყოფილი შესაბამის კანონში – „საქართველოს კანონი კურორტებისა და ტურიზმის შესახებ“.

მდიდარი საკურორტო-რეკრეაციული რესურსები საკურორტო მკურნალობისთვის ნაჩვენები ყველა სახეობის დაავადების მკურნალობისა და ტურიზმის განვითარების ფართო ასპარეზს ქმნის. საკურორტო-ტურისტულ სპეციალიზაციას საქართველოში პრაქტიკულად განუსაზღვრელი პოტენციური შესაძლებლობები განაპირობებს. ეს რესურსებია:

1. უმდიდრესი ჰიდრომინერალური რესურსები. საქართველოში გამოვლენილია 1300-ზე მეტი მინერალური წყარო, რომელთა სადღეღამისო დებიტი 130 მლნ ლიტრია. აღსანიშნავია, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის მინერალური წყლების მთელი მარაგის 1/3 საქართველოზე მოდიოდა;

2. სამკურნალო კლიმატი, მრავალფეროვანი კურორტები და საკურორტო ადგილები. მდიდარ ჰიდრომინერალურ რესურსებთან ერთად, ზღვისა და მთის კლიმატის სამკურნალო თვისებები განაპირობებს კურორტებისა და საკურორტო ადგილების სიუხვესა და მრავალფეროვნებას, რომელთა უმრავლესობა ზომიერი ჰავის გამო სუსტად გამოხატული სეზონურობით ხასიათდება (შავიზღვისპირეთი – საუკეთესო კლიმატური პირობებით: ნოტიო სუბტროპიკული ჰავა, ზღვაში ბანაობის სეზონი 5-6 თვე და ა.შ.).

საქართველოში 102 კურორტი და დაახლოებით 350-მდე საკურორტო ადგილია. ბევრი მათგანი უნიკალურია. მაგალითად, **წყალტუბოს მინერალურ წყალს** ანალოგი არ მოეძებნე-

ბა მთელ მსოფლიოში. **ბორჯომის მსგავსი შემადგენლობის მინერალური წყალი** მხოლოდ საფრანგეთშია და ცნობილია ვიშის სახელწოდებით. მათი შედარებისას სპეციალისტებმა უპირატესობა ბორჯომის წყალს მიანიჭეს. იგი, ვიშისგან განსხვავებით, მცირე რაოდენობით შეიცავს სულფატს, რის გამოც ბორჯომის საგემოვნო თვისებები უკეთესია.* **არხილოსკალო** თირკმლების დაავადებათა სამკურნალო თვისებებით არ ჩამოუვარდება საქვეყნოდ ცნობილ ბაირამ ალის, ხოლო **აბასთუმანს** უდარებენ შვეიცარიის დავოსს.[1]

ჩრდილოკავკასიელთა მაღალი სამკურნალო თვისებების მქონე მინერალური წყლის – ესენტუკის ანალოგი საქართველოშიცაა. იგი **ფასანაურშია.** ამის შესახებ, სპეციალური გამოკვლევების საფუძველზე, დიდი ხანია იცოდნენ ქართველმა კურორტოლოგებმა, მაგრამ, როგორც თვით აღნიშნავენ, მათ რომ მხარდამჭერი ჰყოლოდათ დღეს ესენტუკის მსგავსად, ფასანაურიც ცნობილი კურორტი იქნებოდა.[2]

საქართველოს მარგალიტია **საირმე,** რომელთანაც მდებარეობს თერმული წყლით მდიდარი ადგილი – უდაბნო. **ბაკურიანი,** რომელიც ზღვის დონიდან 2000 მეტრზე მაღლა მდებარეობს, ცნობილია სამთო ტურიზმით და მისი ბუნებრივი პირობები დიდ პერსპექტივას ქმნის ამ დარგის, განსაკუთრებით სამთო-სათხილამურო სპორტის შემდგომი განვითარებისათვის. ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია აგრეთვე **გუდაური** (ზღვის დონიდან 2197 მ). გარდა ამისა, საქართველო ფლობს ბუნებრივ უპირატესობებს ისეთი კურორტების განვითარებისათვის, როგორიცაა **შოვი, უწერა, მენჯი, ბახმარო, ლებარდე, ავადჰარა** (1500-2000 მ სიმაღლის ზონის კურორტები), **ზეკარი, ამაღლება, კვერეთი, ლაშიჭალა, ძუღური, კურსები, ხრესილი, საწირე, ცხრაჯვარი, მუხური, ბუეთი, წაღვერი, ცემი, კიკეთი, მანგლისი, ნაბეღლავი, ზვარე, ნუნისი, სურამი, ცაიში** და ა.შ.

3. სამკურნალო ტალახი ***(ახტალა...),*** *კონტრასტული ბუნება და თვალწარმტაცი ლანდშაფტები.* საქართველოს გეოგრაფიული ლანდშაფტების ვერტიკალური ზონალობის კლასიკური ქვეყანაა და აქვს მათი თითქმის სრული გამა, დაწყებული ნოტიო სუბტროპიკებით და ნივალური ზონით დამთავრებული;

4. ბუნებრივი ღირშესანიშნაობათა მრავალსახეობა. საქართველოში მრავალი (თითქმის 1000-მდე) კარსტული მღვიმეა. მათი მიკროკლიმატის გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა დაავადების, განსაკუთრებით კი სპელეოთერაპიული მკურნალობისთვის, რაც სათანადო დახმარებას გაუწევს ბრონქული ასთმით დაავადებულებს;

5. უძველეს კულტურის ძეგლთა სიუხვე, უნიკალური არქიტექტურული მემკვიდრეობა და ეთნოგრაფიულ თავისებურებათა მრავალფეროვნება. საქართველოში სხვადასხვა ეპოქის 85 ათასამდე ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლი და ეროვნული სტილის ნაგებობაა, 150-ზე მეტი მუზეუმია. მრავალი საკათედრო ტაძარი, ეკლესია-მონასტერი ახ.წ. აღრიცხვამდე VI-V საუკუნეებით თარიღდება. სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ, დმანისში აღმოჩენილია ადრეპალეოლითური ხანის არქეოლოგიური ძეგლები (ადამიანის თავის ქალა და შრომის იარაღები), რაც მიუთითებს ამ ტერიტორიაზე ადამიანის, ჯერ კიდევ, 1,8 მლნ წლის წინათ ბინადრობას. ჩამოყალიბებულია აზრი იმის შესახებ, რომ დმანისი პირველი ევროპე-

---

* XIX საუკუნეში აღიარებულმა ბანლეოლოგიური მეცნიერების კორიფემ გ. ზახარინმა, შეისწავლა რა ბორჯომის მინერალური წყალი, დაადგინა, რომ ბორჯომის წყლისა და კლიმატის საუკეთესო სამკურნალო თვისებები, ადგილის იშვიათ სილამაზესთან ერთად, კურორტ ბორჯომისათვის წარმატებულ მომავალს განაპირობებდა.

[1] **ასათიანი რ.** საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების გამოყენების პერსპექტივები. რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია: „ეკონომიკური რეფორმა და საქართველოს მომავალი". მოხსენებათა თეზისები. თბილისი, საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო, 1999 წელი, 7-8 მაისი; **ასათიანი რ., ხატიაშვილი ნ.** კურორტები ჩვენი სიმდიდრეა. „კომენტარი", 2005, №4, გვ. 32-37; **Asatiani R.** Caucasus and Georgian Economy: Past, Present, Prospects. "Current Politics and Economics of the Caucasus Region". Volume 2, Issue 4. New York, 2009, pp. 301-320.

[2] **ხატიაშვილი ნ**. როგორ უნდა იცხოვროს მომავალში დამოუკიდებელმა საქართველომ საკურორტო რესურსების ხარჯზე. „კავკასიონი", 1995, 8 დეკემბერი.

ლის სამშობლოა. ამიტომ სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში არსებულმა უძველესი ჰომინიდების ადგილსამყოფელმა მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო.[3]

საქართველოში საუკეთესო ბუნებრივი პირობებია ალპინიზმის განვითარებისათვის. ცად აზიდული მთები, მყინვარები თავიანთი სილამაზითა და მომხიბვლელობით, მიმზიდველ გარემოს ქმნის სპორტის ამ სახეობით გატაცებულთათვის.

მიმზიდველი და საინტერესოა ქართული ფოლკლორი და უძველესი წეს-ჩვეულებები, რომლებიც ერთდროულად მოიცავს აღმოსავლურ და დასავლურ კულტურას, აგრეთვე ენდოგენური ფლორა და ფაუნა, რომლებიც ქვეყნის რეგიონებში კარგადაა შემონახული.

საქართველო გამოირჩევა უნიკალური ეროვნული კულინარიითა და ქართული ტრადიციული სტუმართმოყვარეობით, რაც ეროვნული კულტურის ორგანული ნაწილია.

აღნიშნული და სხვა საკურორტო-ტურისტული შესაძლებლობები რეკრეაციულად მიმზიდველს ხდის საქართველოს ტერიტორიის უმეტეს ნაწილს როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ტურისტებისთვის. ამასთან, თითოეული რეკრეაციული რაიონი ხასიათდება მეტნაკლები მასშტაბის მქონე რეკრეაციული რესურსების ნაკრებით, მრავალმხრივი დარგობრივი სტრუქტურითა და სპეციალური პროფილით.

საკურორტო-ტურისტული ინდუსტრიის განვითარება საქართველოში უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი და პერსპექტიული მიმართულებაა. იგი ქვეყნის საერთაშორისო ბაზარზე გასვლის ერთ-ერთი ოპტიმალური გზაა. ასეთი დასკვნის გაკეთების საფუძველს გვაძლევს, ჩამოთვლილ ბუნებრივ ფაქტორებთან ერთად, ის ეკონომიკური ფაქტორებიც, რომლებიც ეკონომიკური ეფექტიანობის პრიზმაში აისახება. სახელდობრ, საკურორტო-ტურისტული სპეციალიზაცია:

1. გააუმჯობესებს საინვესტიციო გარემოს და მნიშვნელოვნად გაზრდის კაპიტალის დაბანდებას საქართველოში, რაც გამოიწვევს ქვეყნის ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკის (კონკურენციის დაცვის პოლიტიკისა და სოციალური დაცვის პოლიტიკის) ევროპულ სტანდარტებთან მიახლოებას.;

2. ხელს შეუწყობს შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარებას;

3. შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს;

4. შეამცირებს უმუშევრობას, აამაღლებს მთიანი რაიონების შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმების დონეს და ხელს შეუწყობს მათ ადგილზე დამაგრებას;

5. შექმნის მყარ საშინაო ბაზარს სამრეწველო, სამშენებლო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, ხელოვნებისა და კულტურის სფეროში წარმოებული საქონლისა და მომსახურების რეალიზაციისათვის;

6. ხელს შეუწყობს მცირე ბიზნესის განვითარებას (**პირველი,** ამ სფეროში მეწარმეობის დაწყებისათვის საკმარისია მცირე სასტარტო ინვესტიციები; **მეორე,** მასზე მოთხოვნა ზრდის ტენდენციით ხასიათდება; **მესამე,** ტურისტული ფირმების გაკოტრების პროცენტი მხოლოდ 0,5-ის ტოლია; **მეოთხე,** ამ სფეროში დანახარჯების უკუგების ვადები მინიმალურია);

7. დააჩქარებს საერთაშორისო ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების განვითარებას;

8. ხელსაყრელ პირობებს შექმნის ადგილობრივი მოსახლეობის მკურნალობისა და დასვენებისათვის, რაც მრავალ სიკეთესთან ერთად, წარმოების ეკონომიკურ ეფექტიანობაში აისახება;

9. გააუმჯობესებს დემოგრაფიულ სიტუაციას საქართველოში;

10. პოზიტიური მიმართულებით სახეს შეუცვლის ეკოლოგიას და ა.შ.

საკურორტო-რეკრეაციული რესურსების მიზანდასახული და ეფექტიანი გამოყენება და საკურორტო-ტურისტული ბიზნესის პრიორიტეტული განვითარება სიცოცხლიაუნარიანს

---

[3] **ნიორაძე ნ., ნიორაძე გ., იუსტუსია ა., ჟვანია დ.** დმანისის ადრეპალეოლითური ადგილსამყოფელის II ფენის მონაპოვარი ქვის მასალა. დმანისი IV. თბილისი, 2003; **ნიორაძე გ.** უძველესი ჰომინიდების ადგილსამყოფელი დმანისში. სამეცნიერო სერიის მასალები. ბათუმი, 2003.

გახდის საქართველოს ეკონომიკას და სათანადო ადგილს მიუჩენს მსოფლიო მეურნეობა-ში. ამას მოითხოვს საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, განვითარება, გლობალიზაციის პოზიტიურ პროცესებში მისი ჩართვა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ეკონომიკის შექმნა.

ტურიზმის ბიზნესგარემო. საქართველოს ეკონომიკის სტრატეგიულ მიმართულებებად ტურიზმის, სოფლის მეურნეობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების აღიარება სრულად შეესაბამება XXI საუკუნის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ მოთხოვნებს. ეს სამი ეკონომიკური შემადგენელი ერთმანეთთან მჭიდრო კაუზალურ კავშირშია, რის გამოც მათი სინერგიული, ერთობლივი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტი უფრო მაღალი იქნება, ვიდრე თითოეული მათგანის ავტონომიურ რეჟიმში განვითარების ეფექტი. ამასთან, აუცილებელია ტურიზმის ბიზნესსექტორის განვითარების მაღალი ტემპები, რაც "აიძულებს" სოფლის მეურნეობასა და ინფრასტრუქტურას არ ჩამორჩნენ მათი პროდუქციის ერთ-ერთი ფართოდ მომხმარებელი დარგის – ტურიზმის განვითარების ტემპებს.

ცნობილია, რომ ტურისტული ინდუსტრია თანამედროვე მსოფლიოს, როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ქვეყნების სახელმწიფო შემოსავლების ძლიერი და სტაბილური წყაროა. იგი, ერთი მხრივ, საკმაოდ მაღალრენტაბელური, და, შესაბამისად, მეწარმეებისთვის მიმზიდველი ბიზნესის სფეროა, ხოლო, მეორე მხრივ, ქვეყნის პრესტიჟისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების მნიშვნელოვანი ფაქტორი, იმ მხრივ, რომ დიდად უწყობს ხელს ეროვნული კულტურის, ისტორიის, ტრადიციებისა და რელიგიური ფასეულობების საერთაშორისო დონეზე პროპაგანდას. მომხმარებლებისთვის ტურიზმი სულიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილების მნიშვნელოვანი ელემენტი ხდება, ხოლო ტურისტული მომსახურების მიმწოდებლებისთვის – კაპიტალის დაგროვების წყარო. იგი საქმიანობის ისეთი სფეროა, რომელიც იძლევა ძლიერ სტიმულს ტურისტული ფირმების, დასვენების კომლექსებისა და ზონების მშენებლობისთვის, ქვეყნის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ეროვნული ტურისტული ბაზრის საერთაშორისო ბაზარში ინტეგრირებისთვის.

საქართველოში, სამკურნალო ტურიზმის გარდა, არსებული უნიკალური საკურორტო-რეკრეაციული რესურსები, საკმაოდ ხელსაყრელ პირობებს ქმნის კულტურული ტურიზმის (ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლები, – ხუროთმოძღვრებისა და ხელოვნების ნიმუშები, ეკლესია-მონასტრები და სხვ.), სარეკრეაციო ტურიზმის (საზღვაო, სამთო-სათხილამურო და სხვ.), სათავგადასავლო ტურიზმის, სამონადირეო ტურიზმის, აგროტურიზმის (სოფლის გარემოში დასვენება), ეკოტურიზმის (ნაკრძალები, ეროვნული პარკები), საქმიანი ტურიზმისა და სპორტული ტურიზმის (განსაკუთრებით, ალპინიზმი) განვითარებისთვის. ამ ძლიერი პოტენციალის გამოყენება შესაძლებელია ტურიზმის სფეროში გონივრული სახელმწიფო პოლიტიკის გატარებით.

უკანასკნელ პერიოდში საქართველოში საკურორტო-რეკრეაციული რესურსებისა და ტურიზმის განვითარების ძირითადი ორიენტირების განსაზღვრისათვის მკაფიოდ იკვეთება დარგის სექტორალურ-ტერიტორიული სფეროები, რომლებმაც უნდა შეასრულონ "გამწევი ძალის" ფუნქცია ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობაში. ამ მხრივ, სწრაფი ტემპებით ვითარდება სამთო-სათხილამურო კურორტები.

სამთავრობო დოკუმენტში – „ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე" ხაზგასმულია, რომ „მთავრობა გააგრძელებს ეკონომიკური განვითარების პოლიტიკას, რაც მდგომარეობს დაბალ გადასახადებში, ინვესტიციების მოზიდვაში, საკუთრების უფლების დაცვაში, ღია სავაჭრო და სატრანსპორტო პოლიტიკაში, ექსპორტის ზრდაში, სოფლის მეურნეობის, ტურიზმისა და სხვა დარგების განვითარებაში". ყოველწლიურად განახლებადი დოკუმენტი „საქართველოს ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2011-2014 წლებისათვის" გამომდინარეობს ზემოხსენებული სამთავრობო დოკუმენტიდან და ხაზს უსვავს, რომ საპროგნოზო პერიოდში, სხვა პრიორიტეტულ დარგებთან ერთად, ხელი შეეწყობა ტურიზმის განვითარებას,

რაც უზრუნველყოფს დასაქმების ზრდასა და უმუშევრობის დაძლევას. „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში“ ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებებს შორის მკაფიოდაა გამოყოფილი ტურიზმის განვითარება და საქართველოს ტურისტული პოტენციალის სრული რეალიზაციის პრობლემა. დოკუმენტში – „საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ.-ის სახელმწიფო სტრატეგია” აღნიშნულია, რომ “საქართველოს რეგიონული განვითარების ხელშეწყობის მნიშვნელოვანი ფაქტორია შესაბამისი პოტენციალის მქონე რეგიონებში ტურიზმისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება”.

ტურისტული და საკურორტო საქმიანობისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნის მიზნით, სახელმწიფო პოლიტიკისა და რეგულირების საკითხები გადანაწილებულია საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტსა და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის. საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობაში შედის დარგში ერთიანი პოლიტიკის განხორციელების უზრუნველყოფა, დადგენილი წესით სანიტარული დაცვის ზონების დამტკიცება, ქვეყნის სტრატეგიული პროექტების რეალიზაციაში ტურიზმისა და კურორტების ინტერესების გათვალისწინება, კურორტების ნუსხისა და სტატუსის დამტკიცება. საქართველოს პარლამენტი განსაზღვრავს დარგის სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს და ახორციელებს მის სამართლებრივ რეგულირებას, ამყარებს ურთიერთობას სხვა სახელმწიფოებთან ტურიზმისა და კურორტების სფეროში. აღმასრულებელი ორგანოს, კერძოდ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ფუნქციებში შედის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება, კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი ნორმატიული აქტების გამოცემა და კონტროლი კანონის შესრულებაზე. მასში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი უზრუნველყოფს დარგის განვითარების სახელმწიფო კონცეფციის ძირითადი მიმართულებების შემუშავებასა და მათ რეალიზაციას, ამტკიცებს ცალკეული კურორტის დებულებას, შეიმუშავებს წინადადებებს საპასპორტო და სავიზო მომსახურების გასამარტივებლად, ხელს უწყობს ინვესტიციების მოზიდვასა და ა.შ. ტურიზმისა და კურორტების მართვისა და რეგულირების ინსტიტუციურ სქემაში მნიშვნელოვანი როლი განეკუთვნება აგრეთვე დარგის მართვის რეგიონულ ორგანიზაციებს, რომლებიც წარმოდგენილია ქვეყნის მხარეებში და ავტონომიურ წარმონაქმნებში. დარგის სახელმწიფო რეგულირების სამართლებრივ საკითხებში მნიშვნელოვან ფუნქციებს ასრულებს კანონი „კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ“, რომლის მიზანია ბუნებრივი სამკურნალო რესურსების თვისებების შენარჩუნება და მათი დაბინძურებისა და გამოფიტვის თავიდან ასაცილებლად სანიტარიული დაცვის ზონების დადგენა.

ტურიზმის განვითარების სახელმწიფო რეგულირებაში დიდი როლი განეკუთვნება დარგის ეკონომიკური საქმიანობისა და დაფინანსების სახელმწიფოებრივ ბერკეტებს. სამწუხაროდ, ამ კუთხით, საქართველოს კანონმდებლობა ასეთი სტრატეგიული დარგისათვის არ ითვალისწინებს სპეციფიკურ მიდგომებსა და საჭირო პრეფერენციებს. კერძოდ, არსებული კანონმდებლობა ცალსახად არ აღიარებს დარგისადმი პირდაპირ საბიუჯეტო მხარდაჭერას. საუბარია იმაზე, რომ კანონის თანახმად, საკურორტო და ტურისტული ინდუსტრიის, მისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეკონსტრუქციის, რეაბილიტაციისა და აღჭურვის ხარჯები შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სახელმწიფო ბიუჯეტში. ასეთივე არაცალსახა მიდგომებს აფიქსირებს კანონმდებლობა დარგის განვითარების საკითხებზე სხვა ხარჯების გაწევაში, რაც, მისი მდგრადი და უსაფრთხო განვითარების კუთხით, გარკვეული საფრთხეების შემცველია.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობა დღემდე არანაირ პრეფერენციებს არ ითვალისწინებს საკურორტო და ტურისტული მომსახურების დაბეგვრის სფეროში, რაც კურორტებისა და ტურიზმის პრიორიტეტულ განვითარებაზე ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენს. თუმცა უკანასკნელ პერიოდში მდგომარეობა სასიკეთოდ იცვლება. ამაზე მეტყველებს მოკლე

დროში შემუშავებული და ოპერატიულად მიღებული კანონი "ქობულეთის თავისუფალი ტურისტული ზონის განვითარების ხელშეწყობის შესახებ", რომლის მიზანი, მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობასთან ერთად, ტურიზმის განვითარებაა. კანონი ადგენს პირობებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასტუმროების მშენებლობისა და ფუნქციონირებისათვის, ასევე, საგადასახადო და სხვა სახის შეღავათებს. ინვესტორი, რომელიც არანაკლებ მილიონ ლარს დახარჯავს სასტუმროს მშენებლობისათვის, უსასყიდლოდ მიიღებს სამშენებლო პროექტს, 15 წლის ვადით გათავისუფლდება ქონების გადასახადისა და მოგების გადასახადის გადახდის ვალდებულებებისგან, აგრეთვე მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლის გადახდისგან და მიწის ნაკვეთი გადაეცემა სიმბოლურ ფასად – 1 ლარად.

ტურისტული ბიზნესის მნიშვნელოვან ხელშემწყობ ნოვაციად უნდა დასახელდეს ახალი საგადასახადო კოდექსის მიღება (2010 წ.). შემოღებულ იქნა მიკრობიზნესის კატეგორია, რომელიც 30-ათასიანი ლარის ბრუნვის პირობებში მთლიანად თავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისაგან და საკონტროლო აპარატის გამოყენების ვალდებულებისაგან.

ტურიზმის ბიზნესგარემოს ანალიზისას აღსანიშნავია ის მნიშვნელოვანი ორგანიზაციული და მეთოდური სამუშაოები, რომლებიც ამ ბოლო პერიოდში ჩაატარა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნულმა სააგენტომ ტურისტული ინფრასტრუქტურის მონაცემთა ბაზისა და ელექტრონული რუკის შექმნის მიმართულებით. დღეისათვის შედგენილია ტურისტული ობიექტების მონაცემთა ბანკი, ჩატარდა მათი სრული აღწერა და აღრიცხვა. ტურისტული ობიექტები დატანილია სპეციალურ საქართველოს რუკაზე, რაც იძლევა ინფორმაციის მიღების საშუალებას ელექტრონული წესით (ზუმირება) საქართველოს 9 რეგიონის, 58 მუნიციპალიტეტის 2277 ტურისტულ ობიექტზე. ამავე დეპარტამენტმა, აშშ-ის ვაჭრობისა და განვითარების სააგენტოს დაფინანსებით, ამერიკა-საქართველოს ბიზნესსაბჭოსთან ერთად, შეიმუშავა ტურიზმის განვითარების, მათ შორის საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების სტრატეგია. თუმცა მასში სუსტადაა ასახული ტურიზმის ინდუსტრის ეროვნული თავისებურებანი, აგრეთვე რუსეთ-საქართველოს ომისა და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის სოციალურ-ეკონომიკური შედეგები, რის გამოც, შეიძლება ითქვას, სუსტია მისი პრაქტიკული გამოყენების არეალი.

ტურიზმის ბიზნესგარემოს, განსაკუთრებით მისი საგანმანათლებლო გარემოს ფორმირებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის უმაღლეს სკოლას, სადაც, გერმანიის ტექნიკური განვითარების საზოგადოებასა (GTZ) და ორგანიზაცია – „სოციალური კვლევების და პოლიტიკის ანალიზის საერთაშორისო ცენტრთან" ერთად, მომზადდა ჩარჩო-პროგრამა „რეგიონული ინოვაციური სისტემა და ტურიზმის ინდუსტრიის კლასტერის განვითარების სტრატეგია: გამოწვევები და შესაძლობლებები", რომელიც აჭარის რეგიონის მაგალითზე წარმოაჩენს თანამედროვე ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების მრავალფეროვან შესაძლებლობებს.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ პერიოდში ტურიზმზე, ისევე როგორც ეკონომიკის სხვა მიმართულებებზე, ნეგატიური გავლენა მოახდინა ქვეყანაში მიმდინარე რთულმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა პროცესებმა. ტურიზმის განვითარების რეტროსპექტულ ტრაექტორიაში შეიძლება გამოიყოს სამი ძირითადი ეტაპი: პირველი: 1991-1997 წლები, როდესაც განადგურდა ტურიზმის ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი ნაწილი, დატაცებულ იქნა ტურისტული ობიექტები, მათი ინფრასტრუქტურა. შეიძლება ითქვას, რომ ამ ეტაპზე ქვეყნის ტურისტული საქმიანობა ნეკრომდგომარეობაში იყო. მეორე ეტაპი მოიცავს 1997-2005 წლებს, რომლის დროსაც შეიქმნა ტურიზმის შესახებ საკანონმდებლო და ნორმატიული დოკუმენტები. დარგი აღიარებულ იქნა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიულ მიმართულებად, მოხდა ტურისტული საწარმოების პრივატიზაცია, თუმცა, ქვეყანაში არსებული საბიუჯეტო კრიზისისა და ფინანსური რესურსების უკმარისობის გამო, დარგისადმი სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა მინიმალური იყო და ვერ უზრუნველყოფდა მის პრიორიტეტულ განვითარებას; მესამე ეტაპი მოიცავს 2005 წლიდან

დღემდე პერიოდს, როდესაც ტურიზმის მიმართ სახელმწიფოებრივი ინტერესი მნიშვნელოვნად გაიზარდა. თუმცა აღსანიშნავია მნიშვნელოვანი „ჩავარდნებიც“, რაც განპირობებული იყო რუსეთ-საქართველოს ომითა და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ნეგატიური გავლენით საქართველოს ეკონომიკაზე, მათ შორის, ტურიზმის ინდუსტრიაზეც. ტურიზმისადმი სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა 2010 წელს და სავარაუდოა, რომ ასეთი ძალისხმევა შენარჩუნდება მომავალშიც.

ტურიზმის პრიორიტეტული განვითარების მიმართულებით გატარებულმა ინოვაციურმა ღონისძიებებმა პირველი პოზიტიური შედეგები უკვე გამოიღო. მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოში უცხოური ტურისტების რაოდენობა (ცხრილი 1).

ცხრილი 1

საქართველოში ჩამოსულ უცხოელ ტურისტთა რიცხოვნობა 2000-2010 წლებში[4]

	2000	2005	2009	2010	2010/2000 %-ობით	სტრუქტურა %-ობით 2010=100
ევროპა დსთ-ის ქვეყნების გარეშე	347346	167073	496692	672316	193,6	33,1
ამერიკა	10789	14842	19555	23079	213,9	1,1
აღმოსავლეთი აზია და ოკეანეთი	7145	3244	11016	14723	206,1	0,5
ახლო აღმოსავლეთი	2152	973	3298	3379	157,0	0,1
სამხრეთი აზია	6058	6641	14572	28154	465,0	1,3
აფრიკა	256	431	1030	1005	392,5	0,1
დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნები	221671	366054	950751	1286329	581,3	63,3
სულ	387258	560021	1500049	2032586	524,8	100,0

საქართველოში ყველაზე დიდი რაოდენობით ტურისტები ჩამოდიან უახლესი მეზობელი ქვეყნებიდან. მაგალითად, 2010 წელს აზერბაიჯანიდან საქართველოში შემოვიდა 499 ათასი კაცი, რაც სულ ჩამოსულთა 24,5%-ს შეადგენს. მეორე ადგილზეა სომხეთი, საიდანაც გასულ წელს შემოვიდა 547 ათასი კაცი, ანუ სულ ჩამოსულთა 26,9%. 2010 წელს, წინა წელთან შედარებით, აზერბაიჯანიდან ჩამოსულთა რაოდენობა გაიზარდა 19%-ით, ხოლო სომხეთიდან – 56%-ით. ამრიგად, ტურისტების ყველაზე დიდ ნაკადი (სულ ჩამოსულთა 51%) საქართველოში ჩამოდის აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან. მომავალში გაიზრდება სხვა ქვეყნებიდან ტურისტების ჩამოსვლა საქართველოში, მაგრამ არა ისეთი მაღალი ტემპებით, როგორც ამ უკანასკნელ წლებში დაფიქსირდა. ამას განაპირობებს საქართველოს ტურიზმის დღევანდელი სპეციფიკა, მისი დაბალი კონკურენტუნარიანობა მაღალი ფასებისა და დაბალი სერვისული მომსახურების გამო.

მოკლე დროში დაიწყო სამთო-სათხილამურო ტურისტული ზონის მშენებლობა ზემო სვანეთში. გათვალისწინებულია აჭარა-სამეგრელო-ზემო სვანეთის ტურისტული ზონების საჰაერო და საავტომობილო ტრანსპორტით უზრუნველყოფა, რითაც შეიქმნება საქართვე-

[4] საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტოს მონაცემები.

ლოში პირველი ტურისტული კლასტერი, რომელიც გააერთიანებს საზღვაო და სამთო-სათხილამურო ტურიზმს. შეიძლება ითქვას, რომ ეს ყველაზე ახალი კრეატიული ტურიზმი იქნება პოსტსაბჭოურ სივრცეში

ტურიზმის განვითარების დღევანდელი ტემპები ძალიან სწრაფია. გათვალისწინებულია 2013 წლისათვის 10 სათხილამურო ტრასის მშენებლობა. აქედან, უკვე მიმდინარეობს გუდაურის, ბაკურიანისა და სვანეთის ახალი ტრასების აგება. მათ შეემატება აჭარის მაღალმთიანი რეგიონის სათხილამურო ტრასები. სწრაფი ტემპებით შენდება ბათუმის, ქობულეთის, ანაკლია-განმუხურის საზღვაო ტურიზმის ინფრასტრუქტურა და ა.შ.

ნავარაუდევია, რომ 2013 წელს საქართველოში ჩამოვა 3 მლნ, ხოლო 2015 წლისათვის 5 მლნ-მდე უცხოელი მოქალაქე. ამრიგად, სტატისტიკა აშკარად მიგვანიშნებს იმაზე, რომ ტურიზმის განვითარებას საქართველოში დიდი პერსპექტივა აქვს.

მიუხედავად უკანასკნელ წლებში ტურიზმის სფეროში მიღწეული წარმატებებისა, იგი როგორც დარგი, ჯერ კიდევ, ჩამოყალიბების პროცესშია. სწორედ ამ ეტაპზეა აუცილებელი მისი განვითარების სახელმწიფო პოლიტიკისა და შესაბამისი კონკრეტული სამოქმედო გეგმის შემუშავება. გასათვალისწინებელია, რომ ტურიზმის განვითარების სტრატეგია მხოლოდ ორიენტირია და თუ მას არ მოჰყვა პოლიტიკისა და პროგრამის შემუშავება, სტრატეგია კარგავს თავის მნიშვნელობასა და ფუნქციას. ამავე დროს არ შეიძლება სახელმწიფო ტურისტული პოლიტიკის იზოლირებულ, ავტონომიურ რეჟიმში შემუშავება. იგი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთიანი სტრატეგიული პოლიტიკის ორგანულ შემადგენელ ნაწილად უნდა აღიქმებოდეს. ქვეყნის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის წამყვანი მიმართულებების განუვითარებლობის ან კრიზისის დროს შეუძლებელია ტურიზმის მაღალი ტემპებით განვითარება. ასევე, შეუძლებელია ტურიზმის აღორძინება-განვითარება მაკროეკონომიკური არასტაბილურობის, საბიუჯეტო კრიზისის, ინვესტიციური „შიმშილის“, ფარული ეკონომიკისა და ა.შ. პირობებში. ერთი სიტყვით, ტურიზმს, როგორც ინტელექტუალურ დარგს, ყველაზე მეტად სჭირდება მდგრადი და სტაბილური ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური გარემო. იგი, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს იდეალურ სიმშვიდეს ქვეყანაში, წონასწორობასა და დაბალანსებულობას როგორც ეკონომიკაში, ისე საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

ტურისტული ბიზნესი, ისევე როგორც მეწარმეობის სხვა მიმართულებები, პირდაპირ კავშირშია ინვესტიციებთან. საქართველო კეთილსინდისიერი უცხოელი ინვესტორებისათვის ღიაა და ქვეყანაში არსებული საინვესტიციო გარემო წარმატებულია ხელსაყრელობის კრიტერიუმით.

დღეისათვის საქართველოში ტურიზმის განვითარებისათვის ხელშემწყობ პოზიტიურ ინსტიტუციონალურ და მაკროეკონომიკურ გარემოებებს შორის უნდა აღინიშნოს შემდეგი: ლიბერალური ეკონომიკური რეფორმების გატარება; საგადასახადო წნეხის შერბილება; საბაჟო სისტემის გამარტივება და ტარიფების შემცირება; შეთანხმებების გაფორმება უცხოეთის ქვეყნებთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ; თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნა; საინვესტიციო გარემოს გაჯანსაღება; საბანკო სექტორის განვითარება; სავალუტო რეჟიმის ლიბერალიზაცია; სარკინიგზო, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტის განვითარება; ეროვნული სატელეკომუნიკაციო სისტემის საერთაშორისო სისტემაში ინტეგრაცია; მომხმარებელთა ინტერესების დაცვა და ა.შ.

საქართველოში ტურიზმის განვითარების სუსტ მხარეებს შორის უნდა აღინიშნოს შემდეგი:

1. ქვეყანაში მოქმედი ტურისტული ორგანიზაციების უპირატესი ორიენტაცია „ტურისტების ექსპორტზე“, მათ გაყვანაზე საზღვარგარეთ და ნაკლები ძალისხმევა ენდოგენური ხასიათის საერთაშორისო ტურიზმის განვითარებაზე;

2. მთლიანად ქვეყნისა და, მათ შორის, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების დაბალი დონე და საერთაშორისო სტანდარტებისაგან მნიშვნელოვანი ჩამორჩენა;

3. საერთაშორისო ტურიზმის განვითარებისათვის საჭირო მატერიალური, ფინანსური და კვალიფიციური რესურსების სიმწირე და განუვითარებლობა;

4. მეწარმეთა მხრიდან ტურისტულ ბაზარზე ფასწარმოქმნაში არაკეთილსინდისიერი მიდგომა (საქართველოში ტურისტული მომსახურების ფასი უფრო მაღალია, ვიდრე მეზობელ თურქეთში და ბევრ სხვა ქვეყანაში, სადაც, ამასთან, ტურისტული სერვისის ხარისხი გაცილებით მაღალია);

5. ტურპროდუქტების რეკლამირების დაბალი ხარისხი;

6. ტურისტული მომსახურების, კომუნიკაბელურობისა და უცხო ენების ცოდნის დაბალი დონე;

7. ტურიზმის განვითარების შესახებ ერთიანი სახელმწიფო პროგრამის შეუმუშავებლობა და დარგისადმი სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის კონკრეტული ფინანსური და საგადასახადო მექანიზმების უქონლობა.

ტურიზმის განვითარებას მნიშვნელოვნად აფერხებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის პრობლემა. ერთი მხრივ, ოკუპირებული ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი უცხოელი ტურისტებისათვის მიმზიდველი ზონაა, მაგრამ შექმნილი ვითარების გამო ტურისტებს კანონიერი გზით ამ რეგიონებში მოხვედრა არ შეუძლიათ, ხოლო, მეორე მხრივ, ზოგიერთი უცხოური სახელმწიფო თვლის რა საქართველოს მაღალი რისკის ქვეყნად, საკუთარ მოსახლეობას ურჩევს თავი შეიკავონ საქართველოში მოგზაურობისაგან. ამასთან, საქართველოს დაძაბული ურთიერთობა რუსეთთან ტურიზმის განვითარებაზე გარკვეულ უარყოფით გავლენას ახდენს. ძირითადად ამ გარემოებებით უნდა აიხსნას ის, რომ ფრანგული ტურისტული გამოცემა „Petit Fure"-ის მიერ გამოქვეყნებულ ყველაზე საშიში ტურისტული ქვეყნების სიაში საქართველო მე-11 ადგილზე მოხვდა. ისიც უნდა ითქვას, რომ საქართველოში პერმანენტულად განახლებადი შიგა პოლიტიკური დაძაბულობა ზრდის რისკის ხარისხს და, შესაბამისად, უარყოფითად მოქმედებს უცხოელი ტურისტების მოზიდვაზე.

ის ქვეყნები, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ტურიზმის განვითარებას, ატარებენ საკანონმდებლო ღონისძიებებს ტურისტული ინფრასტრუქტურის პრიორიტეტული განვითარებისათვის. გამომდინარე იქიდან, რომ ინვესტიციები ტურიზმში ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს, მოაქვს განსაზღვრული შემოსავალი, მათ შორის, მყარ ვალუტაში, ბევრ ქვეყანაში მიღებულია ისეთი საკანონმდებლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხელს უწყობს უცხოური და შიგა ინვესტიციების მოზიდვას სხვადასხვა პრეფერენციული მექანიზმების გამოყენებით, მათ შორის აღსანიშნავია საგადასახადო შეღავათების გამოყენება.

ტურიზმის განვითარების ხელშემწყობ ძირითად სახელმწიფო ღონისძიებებს განეკუთვნება:

- ხელშეწყობა ტურისტული საწარმოებისა და ინფრასტრუქტურის მშენებლობისათვის;
- მოგების გადასახადისაგან ტურისტული საწარმოს განთავისუფლება საქმიანობის საწყის ეტაპზე ან მისი გადახდის გადავადება შემდგომ წლებში;
- ხელშეწყობა მარკეტინგული კვლევების ჩატარებაში;
- თანადგომა მაღალი საპროცენტოგანაკვეთიანი კრედიტის ნაწილის დაფარვაში;
- ტურისტული საწარმოებისა და ინფრასტრუქტურის ობიექტების შეღავათიანი სადაზღვევო მექანიზმის გამოყენება;
- საგადასახადო და საბაჟო შეღავათების დაწესება იმ ტურისტული საპროექტო მოწყობილობების მიწოდებაზე, რომელიც არ იწარმოება ქვეყანაში.

როგორც საერთაშორისო პრაქტიკა გვიჩვენებს, რაც უფრო ლიბერალურ ეკონომიკურ და ადმინისტრაციულ მექანიზმებს იყენებს სახელმწიფო, მით უფრო სტაბილური, მდგრადი და სწრაფად განვითარებადი ხდება ტურისტული ბიზნესი. განსაკუთრებით წარმატებულ ეფექტს იძლევა საგადასახადო შეღავათების დაწესება და მოსაზღვრე ქვეყანათა ჯგუფში (რეგიონში) დაბეგვრის სისტემის ჰარმონიზაცია. მაგალითად, ესტონეთში და არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში ტურისტული საწარმოები საერთოდ არ იბეგრება მოგების გადა-

სახადით, ბალტიის ქვეყნებში ტურისტული სფეროს დაბეგვრის სისტემა მთლიანად ჰარმონიზებულია.

ტურისტული ბიზნესის განვითარება ბევრადაა დამოკიდებული ეფექტიანი სახელმწიფო სტრატეგიისა და პოლიტიკის ფორმირებაზე. ამისათვის კი საჭიროა არა მხოლოდ ქვეყნის შიგა, ენდოგენური ფაქტორების ანალიზის შედეგების გათვალისწინება, არამედ ეგზოგენური, საერთაშორისო წარმატებული პრაქტიკისა და მეთოდოლოგიის შემოქმედებითად ჩართვა-მისადაგება ქვეყნის ეროვნულ სპეციფიკურ თავისებურებებთან. ამ კუთხით, 2007-2008 წლებში საქართველოში გამოყენებულ იქნა უცხოეთში კარგად აპრობირებული „იაფი კრედიტის“ მოდელი. შესაბამისად გამოიყო 50 და 20 მლნ ლარი, რომელთა დაახლოებით 20%-მდე წარიმართა ტურისტული მეურნეობის აღორძინება-განვითარებისათვის, თუმცა, შემდგომ წლებში აღნიშნული პროგრამა გაურკვეველი მიზეზებით არ იქნა გათვალისწინებული სახელმწიფო ბიუჯეტში. ზოგიერთ ქვეყანაში ტურიზმის განვითარებისათვის პირდაპირი საბიუჯეტო დოტაციები და ტრანსფერებიც კი გაიცემა. მაგალითად, თურქეთში, სასტუმრო-ტურისტული კომპლექსი სახელმწიფოს მხრიდან იღებს 40%-იან დოტაციას, რაც საშუალებას იძლევა დაწესდეს კონკურენტუნარიანი ფასები. ამას ისიც ემატება, რომ ქვეყანაში ტურისტებისათვის ნებადართულია, ეროვნულ ფულად ერთეულთან ერთად, უცხოური ვალუტის თავისუფალი მიმოქცევა. აშშ-ში, სადაც ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი მნიშვნელოვანია, შემუშავებულია ტურიზმის განვითარების გრძელვადიანი გეგმა, რომელიც გულისხმობს პირდაპირ საბიუჯეტო ინვესტირებას (20-40%) პრიორიტეტული პროექტების განხორციელებაში. ასეთებია მსხვილი გასართობი პარკები, სასტუმრო კომპლექსები და ა.შ. ზოგიერთ ქვეყანაში ტურიზმის განვითარების მიზნით უფრო შორს წავიდნენ და ტურისტებისათვის მიმზიდველი ცალკეული რეგიონები თავისუფალ ეკონომიკურ ზონად გამოაცხადეს. მაგალითად, ასეთი გადაწყვეტილება მიიღო ინდონეზიამ კუნძულ ბალის მიმართ, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა ტურისტული მომსახურების ფასები და, შესაბამისად, გაზარდა მიწოდება. მეტიც, ინდონეზია ამ რეგიონისათვის ბიუჯეტიდან გამოყოფს საკმაოდ მსხვილ ინვესტიციებს ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის.

საქართველოში ინვესტიციური უპირატესობები მეტწილად უცხოელებზეა ორიენტირებული და შიგა ეროვნულ ინვესტიციებში არ გამოიყენება პრეფერენციული მიდგომები (თუმცა უკანასკნელ პერიოდში ამ მხრივ მდგომარეობა გაუმჯობესდა), მაშინ როდესაც ბევრ ქვეყანაში შიგა ინვესტიციები უფრო პრიორიტეტულია უცხოურთან შედარებით. მაგალითად, ისრაელში სასასტუმრო მეურნეობაში ინვესტიციების 30%-მდე სახელმწიფოს მიერ უბრუნდება ადგილობრივ კერძო ინვესტორს პირდაპირი გზით, ან კიდევ, საგადასახადო შეღავათების გაწევით იმ შემთხვევაში, თუ უზრუნველყოფილ იქნა დადგენილ ვადაში ტურისტების გარკვეული რაოდენობის მოზიდვა. ვინაიდან საქართველოში ტურიზმის მრავალი სახეობა (საზღვაო, სამთო-სათხილამურო) სეზონურია, სასასტუმრო მეურნეობის სრულად დატვირთვა შეუძლებელია, რაც სამართლიანად აყენებს დღის წესრიგში ამ სფეროში საგადასახადო და ინვესტიციური პრეფერენციების გამოყენების აუცილებლობას. მაგალითად, მექსიკაში, ტურისტული სექტორის სეზონურად არამყარ ნაწილში და, განსაკუთრებით, კურორტებში შექმნილია გადასახადებისგან თავისუფალი ზონები (კურორტები: აკაპულკო და კანკუნი), ასევე ფრანკო ზონები, რაც ნიშნავს ცალკეულ ტერიტორიებზე საქონლის უბაჟო შეტანა-გატანას. ამგვარი ფინანსური პრეფერენციები ფართოდ გამოიყენება აგრეთვე ესპანეთში, სადაც ტურისტული ბიზნესი ქვეყნის საბიუჯეტო შემოსავლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ძლიერი წყაროა. ქვეყანაში მოქმედებს ესპანური ტურპროდუქტის კონკურენტუნარიანობის ამაღლების სახელმწიფო გეგმა, სადაც პრიორიტეტულ მიმართულებადაა მიჩნეული ქვეყნის ძირითად საკურორტო ზონებში სასტუმროების რეკონსტრუქცია, მოდერნიზაცია და აგროტურიზმის განვითარება. კუნძული ტანერიფი გამოცხადებულია ფრანკო ზონად, რის გამოც დაბალია არა მხოლოდ ტურისტული მომსახურების ღირებულება, არამედ სხვა პროდუქტების ღირებულებაც. მაგალითად, ეს აისახება მგზავრთა

სატრანსპორტო გადაზიდვებსა და ბენზინის ფასზე. ესპანეთის მთავრობა საკმაოდ დიდ საბიუჯეტო სახსრებს ხარჯავს საკურორტო ზონებში ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის.

რამდენადაც საქართველოს როგორც სახელმწიფო, ისე ადგილობრივი ბიუჯეტები სახსრების უკმარისობის გამო ვერ უზრუნველყოფენ ტურიზმის დარგში პირდაპირი ინვესტიციების განხორციელებას, აუცილებელია არაპირდაპირი სახელმწიფო მხარდაჭერის ფორმების უფრო აქტიურად გამოყენება. მიზანშეწონილია ამ ეტაპზე დაინერგოს საგადასახადო პრეფერენციების სხვადასხვა სახეები, მათ შორის: საგადასახადო კრედიტი, საგადასახადო არდადაგები, ტურისტული საგნების ზოგიერთი სახეობის იმპორტის გადასახადისაგან გათავისუფლება, საგადასახადო განაკვეთის დიფერენცირება, გადასახადის გადახდის დროის გადავადება და ა.შ.

მიმდინარე ეტაპზე მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა საქართველოს რეგიონული ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის მიმართულებით, განხორციელდა წერტილოვანი ფოკუსირება ისეთ კლასტერულ ტურისტულ რეგიონებში, როგორიცაა სიღნაღი, ბათუმი (აჭარის სხვა კურორტები), დაიწყო სამუშაოები ქუთაისის რეკონსტრუქცია-აღორძინების მიმართულებით, შემუშავებულია სხვა მნიშვნელოვანი პროექტები.

გათვალისწინებულია სამთო-სათხილამურო ტურიზმის განვითარება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ბრიტანული ტურისტული კომპანია "ეიჯ ოკეი" გოდერძის უღელტეხილზე გეგმავს ტურისტული ინფრასტრუქტურის მშენებლობის დაწყებას, რომელიც დამსვენებლებს მიიღებს როგორც ზაფხულის, ისე ზამთრის სეზონებზე. აქ უნდა აიგოს ახალი სასტუმროები, კოტეჯები, კაფეები და სხვა დასასვენებელი ობიექტები. მოეწყობა აგრეთვე სათხილამურო ბილიკები და საბაგიროები. გეგმის თანახმად, ერთიან ტურისტულ სქემაში მოექცევა გოდერძის უღელტეხილის, ბეშუმის სამთო-სათხილამურო ტურბაზები და მწვანე ტბის კურორტი. გოდერძის უღელტეხილის ახალი ტურბაზა შეძლებს 12 ათასი სტუმრის მიღებას.

ანაკლიაში დაგეგმილია მსხვილი საპორტო-საწარმოო და დასასვენებელი მეგაპოლისის მშენებლობა. კერძოდ, აშენდება სანაპირო ზოლი, მრავალმოდულიანი სასტუმრო კომპლექსები, თანამედროვე აკვაპარკები, ბარები და რესტორნები, სპორტული კომპლექსები, ტურისტულ-რეკრეაციული ინფრასტრუქტურა, ზღვის წყლის ლაგუნა პარკი, თანამედროვე საავტომობილო გზები და ა.შ.

დღის წესრიგში დადგა ახალი ეგვიპტური პროექტი. რაჭაში – შაორზე დაახლოებით 300 ჰექტარზე და აჭარაში – გონიოში, ყოფილი რუსული სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე, ეგვიპტელი ბიზნესმენები მსხვილი საკურორტო ცენტრების მშენებლობას გეგმავენ.

ტურიზმის განვითარებაზე პოზიტიურ გავლენას მოახდენს ბათუმისაკენ ქობულეთიდან მიმავალი საავტომობილო შემოვლითი გზის მშენებლობა. აღსანიშნავია, რომ 2010 წელს კახეთში გომბორის მონაკვეთზე დასრულდა საავტომობილო გზის მშენებლობა. ტურისტულ ბიზნესზე პოზიტიურ გავლენას იქონიებს აგრეთვე სამცხე-ჯავახეთის რკინიგზით დაკავშირება თურქეთთან, რომელიც, გეგმის თანახმად, უახლოეს პერიოდში უნდა დამთავრდეს.

ამჟამად ფორმირების პროცესშია ქობულეთის, ანაკლია-განმუხურის თავისუფალი ტურისტული ზონები. მათ რიცხვს მალე შეემატება ზემო სვანეთის თავისუფალი ტურისტული ზონა. ამ ზონებში გათვალისწინებულია რიგი წამახალისებელი ღონისძიებებისა ტურისტული ინდუსტრიის განვითარებისათვის, რაც უთუოდ სტიმულს მისცემს ტურისტული კლასტერების ფორმირებასა და მათი საქმიანობის ეფექტიანობის ზრდას.

სვანეთი – მიმზიდველი ტურისტულ-რეკრეაციული რეგიონი. საქართველოს ერთ-ერთი საინტერესო რეგიონია სვანეთი. იგი ლანდშაფტური მრავალფეროვნებით, მდიდარი თვითმყოფადი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძეგლებით გამოირჩევა. სვანეთი საქართველოს ერთ-ერთი მიმზიდველი კუთხეა. იგი ოდითგანვე იპყრობდა ტურისტთა ყურადღებას.

სვანეთის ტურისტული პოტენციალის აღდგენა და განვითარება საქართველოს ამ ულამაზეს კუთხეს მსოფლიოში ერთ-ერთ საინტერესო ტურისტულ-რეკრეაციულ რეგიონად აქცევს. დღეისათვის სვანეთში საოჯახო ტურისტული ბიზნესის განვითარებას ალტერნატივა არა აქვს.* ბიზნესის ეს სახეობა მოსახლეობის დასაქმების მნიშვნელოვანი გზაცაა. ტურისტების მომარაგება ადგილობრივი სასურსათო პროდუქციითა და ხალხური ნაწარმით, ავტოსატრანსპორტო საშუალებებით, ცხენებით, გამყოლებით მომსახურება, მუზეუმების, ხალხური ანსამბლებისა და სხვა სანახაობითი დაწესებულებების მონახულება და ა.შ. მნიშვნელოვნად გაზრდის სვანეთის მოსახლეობის შემოსავლებს.

გაითვალისწინა რა სვანეთში საოჯახო ტურისტული ბიზნესის განვითარების პერსპექტივები, ფრიდრიხ ებერტის ფონდის (FES) საქართველოს წარმომადგენლობამ არასამთავრობო ორგანიზაციასთან – "საქართველოს მთის მოყვარულთა კავშირი" (GUMA) – ერთად შეიმუშავა ზემო სვანეთში (მესტიის რაიონი) საოჯახო ტურისტული ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი მრავალწლიანი პროგრამა. ამასთან, ტრენინგ-სემინარის მასალების საფუძველზე გამოიცა და მოსახლეობაში გავრცელდა მეთოდური სახელმძღვანელო - "საოჯახო ტურისტული ბიზნესი: ორგანიზაციისა და მართვის თავისებურებანი". პროგრამის მიზნებია:

- არსებული საოჯახო-ტურისტული ინფრასტრუქტურის შესწავლა და მისი განვითარების ხელშეწყობა;
- ქვეითი და საცხენოსნო ტურისტული მარშრუტების დაკვალვა-მარკირება;
- ტრენინგ-სემინარების ჩატარება ტურისტული საოჯახო ბიზნესით დაინტერესებულ ოჯახებისა და გამყოლებისათვის;
- სვანეთის ტურისტული რესურსების პოპულარიზაცია;
- ტურისტულ სამყაროსთან დაკავშირება და ტურისტული მომსახურების სერვისის შეთავაზება;
- ტურისტული რუკების, ბუკლეტების გამოცემა, სამახსოვრო ალბომებისა და მედალიონების გამოშვება და ა.შ.

ადგილობრივი მეგზურების მონაწილეობით დაიკვალა ოთხი ქვეითი და ერთი საცხენოსნო სამთო-ტურისტული მარშრუტი. ზემო სვანეთის ექვს თემში (ბეჩო, მესტია, მულახი, იფარი, კალა, უშგული) გამოიკვეთა ტურისტული ბიზნესით დაინტერესებული ოჯახები.

2006 წელს სვანეთში საოჯახო ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის პროცესში აქტიურად ჩაერთო შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს SDC-ის სამხრეთ კავკასიის ოფისი.

---

* ქართული სამზარეულო მნიშვნელოვნადაა გამდიდრებული სვანური კერძებით. მათ შორის, აღსანიშნავია: სულუგუნი (ძროხის ყველი), კაარზ - გადაზელილი (რძეში მოხარშული) ყველი პიტნით, ხაჭაპური - პურის ცომში გამომცხვარი ყველი, მჭადის ფქვილში (ჭვიშტარი) ან ფეტვის ფქვილში (ჭკუტ) შეზელილი ყველის კვერი, კუბდარი - პურის ცომში ჩაშუშული წვრილად დაკეპილი ხორცი, შამ - სიმინდის ბურღულის ფაფა შიგ ჩალაგებული სულუგუნის ნაჭრებით, თაშმიჯაბ - ყველის და კარტოფილის შეზელილი პიურე, ჭადი - სიმინდის კვერი და სხვ. მეტად გავრცელებულია ფხალეულის (მინდვრის ფხალი, ჭინჭარი, ნაცარქათამა და სხვ.) ღვეზელები, რომლებიც ხაჭაპურის მსგავსად ცხვება. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ სვანები ნივრითა და წიწაკით შეკმაზულ ქერის ნახარშს (ლუცფექ) და ქერის ფქვილით შეზავებულ ჭინჭრის წვნიანს (ხარშილ). ამ კერძებს სამკურნალოდაც იყენებენ. გადმოცემის თანახმად, ვინც ამ ნახარშს ათჯერ შეჭამს, იმ ერთ წელიწადს ავად არ გახდება. თითქმის ყველა კერძი შეზავებულია სვანური მარილით, რომელიც სუფრის მარილის, წიწაკისა და მრავალრიცხოვანი სურნელოვანი მცენარეების დანაყილი ნარევია. სვანური მარილით დამზადებული კერძები გამოირჩევა ზომიერი სიცხარითა და განსაკუთრებული სურნელებით.

სვანეთში კერძებს ადგილობრივი ნატურალური პროდუქტებისაგან ამზადებენ, რის გამოც ისინი არომატულობითა და ეკოლოგიურობის უმაღლესი დონით გამოირჩევა.

სვანეთში ვაზი არ ხარობს, ამიტომ ღვინოს ბარიდან ეზიდებიან. სასმელად უმეტესად იყენებენ ადგილობრივი ხილისგან გამოხდილ არაყს. პოპულარულია თაფლისა და ანწლის არაყიც. სვანური სუფრის აუცილებელი ატრიბუტია მინერალური წყალი, რომელიც სვანეთში მრავლად მოიპოვება.

2006 წელს დაბა მესტიაში, ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობით, დაფუძნდა არასამთავრობო ორგანიზაცია სვანეთის სამთო-ტურიზმის ცენტრი (SMTC), რომლის მიზანია: გაზარდოს ტურისტულ საქმიანობაში ჩართული მოსახლეობის რაოდენობა, ტრენინგების მეშვეობით მოამზადოს ისინი მაღალხარისხოვანი ტურისტული მომსახურებისათვის, დაკვალოს ახალი ტურისტული მარშრუტები, რეგულარულად მოაწყოს ხალხური რეწვის ნიმუშების გამოფენა-გაყიდვა და გადაჭრას ტურისტული საქმიანობის ხელშემწყობასთან დაკავშირებული სხვა ადგილობრივი საკითხები.

ცენტრის ფუნქციებში შედის აგრეთვე ტურისტულ სამყაროსთან დაკავშირება, ტურისტების განთავსება ოჯახებში, მათი სატრანსპორტო საშუალებებითა და გამყოლებით მომსახურება, სვანეთის ფარგლებში ტრანსპორტირებისა და მარშრუტებზე მოძრაობის დროს გამყოლებით უზრუნველყოფა, ტურისტებისათვის კულტურულ-სანახაობითი პროგრამების შემუშავება და სხვ.

არასამთავრობო ორგანიზაცია სვანეთის სამთო ტურიზმის ცენტრი (სსტც) აერთიანებს ზემო სვანეთის ექვსი თემის (ბეჩო, მესტია, მულახი, იფარი, კალა, უშგული) მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელმაც სურვილი გამოთქვა აქტიური მონაწილეობა მიიღოს სვანეთში სამთო ტურიზმის განვითარებაში.

სსტც-ის წევრები მზად არიან მასპინძლობა გაუწიონ ტურისტებს, მოემსახურონ ავტოტრანსპორტით, ცხენით ან ქვეითად გადაადგილებისას, უზრუნველყონ მათი მეგზურობა მარშრუტზე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში გაუწიონ პირველადი სამედიცინო დახმარება.

სვანეთისათვის ძირითადად დამახასიათებელია ნატურალური მეურნეობა. ზემო სვანეთის მოსახლეობა მისდევს მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას. ბეჩოს თემში გავრცელებულია მეფუტკრეობაც. უფრო მაღალმთიან სოფლებში წამყვანი როლი მესაქონლეობას უკავია.

საქართველოს ეს ულამაზესი კუთხე ტურიზმის განვითარების დიდ ასპარეზს ქმნის, რაზეც მიუთითებს მრავალფეროვანი საცხენოსნო ტურისტული მარშრუტები. ეს მარშრუტებია: ჟაბეში – უშგული, ჟაბეში – ადიში, ადიში – იფრალი, იფრალი – უშგული, ქვემო სვანეთი – მთის რაჭა, ტვიბერი, უშბა, შხარა, ჭალაადი, შოვი – ბუბას მთის იალაღები, ზემო სვანეთი – ქვემო სვანეთი ლაფტარის უღელტეხილით და ა.შ.

ჟაბეში – უშგული. ეს საცხენოსნო მარშრუტი იწყება მულახის თემის სოფელ ჟაბეშში, გადადის მდ. ენგურის ხეობაში და მთავრდება უშგულში. მარშრუტი სამდღიანია და ითვალისწინებს ღამისთევას სოფ. ადიშში და იფრალში. მარშრუტის სიგრძე დაახლოებით 38-40 კმ-ია. იგი ორ უღელტეხილზე გადის და ამდენად ხასიათდება ცვალებადი ჰიფსომეტრიით – მაქსიმალური სიმაღლე 2700 მეტრია, მინიმალური – 1690 მეტრი.

ჟაბეში – ადიშის მონაკვეთი. მარშრუტი იწყება სოფელ ჟაბეშში მინერალურ წყაროსთან, სადაც ქვაზე დასმულია ნიშანი 1690. მარშრუტი გადის სამხრეთ-დასავლეთით და მიჰყვება სამეურნეო გზას. მარშრუტის დასაწყისიდან დაახლოებით 500 მეტრში ხელმარჯვნივ ლაღვის წმ. გიორგის ეკლესიაა. ზღვის დონიდან დაახლოებით 2050 მ-ზე იწყება დეკას მასივები. აქედან ჩრდილოეთით სოფ. ჟაბეში და ტვიბერის ხეობაა. ჩრდილო-დასავლეთით მულხურას ხეობაში ბანგურიანის მთის ძირში მოჩანს მულახის თემის სოფლები, აღმოსავლეთით პირდაპირ აღმართულია მწვერვალ თეთნულდის თოვლიანი კონუსი (4860), ჩრდილოეთით ჩანს ბანგურიანის სამხრეთი კედელი, მარცხნივ – უშბის მასივი, ჩრდილო-აღმოსავლეთით – წანერი-ტვიბერის წყალგამყოფი ქედი.

მარშრუტი მიუყვება აღმოსავლეთით ქედ-ქედ ალპურ ზონას. სიმაღლე მატულობს 2700 მეტრამდე. აქედან ჩანს მდ. ენგურის ხეობა, დასავლეთით შორს ჩანს სოფელი წვირმი, უღვირის უღელტეხილი, ზურულდის ქედი, ხოლო აღმოსავლეთით – თეთნულდის თოვლიანი წვერი. ზეგანზე გვხვდება გზაგასაყარი. აღმოსავლეთის ბილიკი ისევ ზეგანს მიუყვება, სამხრეთით დაბლა ეშვება და მესაქონლეობის ფერმებისკენ მიდის. მეორე შტო დაბლა ეშვება. ხელმარცხნივ სათიბებია და სოფ. ადიშიც ჩანს. ადიშში ხდება ცხენების დასვენება და ღამის გათევა.

ადიში-იფრალის მონაკვეთი. მარშრუტი იწყება სოფელ ადიშის თავში მდ. ადიშისჭალის მარჯვენა შენაკადზე გადასასვლელ ბოგირთან (2030). მარშრუტი მიყვება მდ. ადიშისჭალის მარჯვენა ნაპირს. აქედან ნახევარი საათის სავალზე ჩანეშის წმინდა გიორგის ეკლესია და კოშკის ნანგრევებია. დაახლოებით 200 მეტრში ბილიკი გადის ნაზვავზე, ნიშნულები დატანილია მდელოში არსებულ ქვებზე. მდინარის მარჯვენა ნაპირიდან დაახლოებით 1 საათის სავალზე ჩანს ლარდაადის მყინვარი, რომელსაც ადგილობრივები ადიშის მყინვარადაც მოიხსენიებენ. ეს მყინვარი თეთნულდი-ადიშის მთიანი მასივის სამხრეთ კალთებზე ფორმირდება და 2400 მეტრამდე ჩამოდის. აქედან იღებს სათავეს მდ. ადიშისჭალა. ბილიკს ჩხუტნიერის გადასასვლელისაკენ (2720) მივყავართ. ეს უღელტეხილი მდინარეების – ადიშისჭალისა და ხალდესჭალის წყალგამყოფ გვალდის ქედზე გადადის. უღელტეხილიდან ქედ-ქედ ხდება დაშვება მდ. ხალდესჭალის აუზში. 2400 მ-ზე გზის გასაყარია. ერთი ბილიკი აღმოსავლეთით მიდის, მეორე – სამხრეთით. აქ დასმული ნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ ხელმარჯვნივ სამხრეთით მიმავალი ბილიკია. ქვემოთ მოჩანს ფერმერთა საზაფხულო ქოხები. 2200 მ-მდე დაშვების შემდეგ, მდ. ხალდესჭალაა და მდინარის მარჯვენა ნაპირის გასწვრივ სოფ. ხალდეა (1900). გზად ულამაზესი გრძელი წყალვარდნილია.

ხალდე ტრაგიკული ისტორიით გამოირჩევა. იგი ცნობილია როგორც მეფის რუსეთის წინააღმდეგ ამბოხების მოთავე. ამ სოფლის მოსახლეობამ სრული დაუმორჩილებლობა გამოუცხადა დამპყრობლებს, ბოლომდე იბრძოლა, რის საფასურადაც სოფელი თავის კოშკებიანად პირწმინდად გაანადგურეს. სოფელი მას შემდეგ წელში ვეღარ გაიმართა და აქ მხოლოდ ზაფხულობით ადის რამდენიმე ოჯახი. ხალდეს გმირებს სვანები დღესაც დიდი პატივით მოიხსენიებენ, მათზე შექმნილია შესანიშნავი სიმღერა – ფერხული "გაუ-გავხე".

ხალდედან კვლავ მდინარის მარჯვენა ნაპირით გზა მიდის სოფ. იფრალამდე, სადაც მარშრუტის II ეტაპი მთავრდება.

მდინარე ენგურის ხეობაში, კალის თემიდან სამხრეთით მოჩანს სვანეთის ქედი, რომელიც მდ. ენგურისა და ცხენისწყლის აუზების წყალგამყოფია. ამ მონაკვეთზე მუშურის უღელტეხილით შეიძლება ცხენისწყლის ხეობაში ანუ ქვემო სვანეთში ლენტეხის რაიონში გადასვლა.

ენგურის გაღმა დაახლოებით 1,5 კმ-ზე მოჩანს სვანეთის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სალოცავი – **წმინდა კვირიკეს ეკლესია**.

იფრალი-უშგულის მონაკვეთი. მარშრუტის მესამე მონაკვეთი იწყება სოფ. იფრალიდან, რომელიც 1890 მ-ზეა ზღვის დონიდან. აქედან სოფ. ლალხორის საავტომობილო გზის გავლით, ენგურის დინების საწინააღმდეგოდ, ძალიან მალე სოფ. დავბერია, საიდანაც იწყება სამარხილო გზა. 2000 მ-ზე გზის გასაყარია, მარჯვენა - საავტომობილო გზაზე ჩადის, მარცხენა – ფერდს მიუყვება. მარცხენა განშტოებიდან ტყიანი კლაკნილი ფერდია, საიდანაც 2000-2200 მეტრ სიმაღლეთა ინტერვალში, დაახლოებით სამ კილომეტრში, არის წყარო. წყაროდან 200 მეტრში გზა ისევ ორად იყოფა – მარცხენა ადის მთაში, მარჯვენა აღმოსავლეთით ფერდზე გადის.

იფრალიდან 4-5 საათის მგზავრობის შემდეგ ჩანს საოცარი სანახაობა – **უშგულის შუასაუკუნოვანი კოშკების სამყარო**.

ქვემო სვანეთი – მთის რაჭა. ეს მარშრუტი გადის მთავარი კავკასიონის გასწვრივ და საქართველოს ორ მაღალმთიან კუთხეს – სვანეთსა და რაჭას მოიცავს. მარშრუტის სიგრძე – 28 კმ-ია, მგზავრობის ხანგრძლივობა – 2 დღე; უმაღლესი წერტილი ვაცისწვერის უღელტეხილი 2900 მეტრზეა, ზესხოს ალპური ბანაკი (ქვემო სვანეთი) – 1840 მ-ზე, სოფ. ღები (რაჭა) – 1500 მ-ზე.

ტვიბერი. მარშრუტი მიყვება მდინარე ტვიბერის ხეობას სოფელ ჟაბეშიდან ჩრდილოეთით და გადის ყვითლოდისა და ტვიბერის მყინვარებამდე. მარშრუტის სიგრძე 5,5 კმ-ია, დონეთა სხვაობა – 730 მ, ხანგრძლივობა – 6 საათი.

უშბა. ეს მარშრუტი შედგება ორი – მარტივი, დაახლოებით ხუთნახევარკილომეტრიანი და რთული, სამკილომეტრიანი მონაკვეთისაგან. დონეთა სხვაობა პირველ მონაკვეთზე შეადგენს 230 მ-ს, მეორეზე – 870 მ-ს. მარშრუტის გავლის საერთო ხანგრძლივობა 8-9 საათია.

შხარა. ეს მარშრუტი უშგულის თემის უნიკალური არქიტექტურული და კულტურული ძეგლების, ასევე, მისი მკაცრი და ლამაზი გარემოს უშგულიდან მდინარე ენგურის სათავემდე გაცნობის საშუალებას იძლევა. მარშრუტის სიგრძე – 9 კილომეტრია, ხანგრძლივობა – 5-6 საათი.

ჭალაადი. ეს მარშრუტი გრძელდება მწვერვალ ჩათინის მისადგომებამდე, ჭალაადის მყინვარის ენამდე. მარშრუტის სიგრძე დაახლოებით 6 კმ-ია, ხანგრძლივობა – 5-6 საათი.

შოვი – ბუბას მთის იალაღები. ეს მარშრუტი მწვერვალების ბუბასა და თბილისას მისადგომებთან მიდის, საიდანაც მყინვარების ფონზე გადაშლილია უკიდეგანო ალპური მდელოების პანორამა. მარშრუტის სიგრძე - 6 კმ-ია, დონეთა სხვაობა - 800 მ, მგზავრობის ხანგრძლივობა 4-5 საათი. მარშრუტი თავისუფალია, ანუ რელიეფი საშუალებას აძლევს ტურისტს თავისი შეხედულემისამებრ შეკვეცოს ან გააგრძელოს მარშრუტი.

ზემო სვანეთი – ქვემო სვანეთი ლატფარის უღელტეხილით. ეს მარშრუტი კვეთს სვანეთის ქედს და ზემო სვანეთიდან (მდ. ენგურის ხეობა) გადადის ქვემო სვანეთში, მდ. ცხენისწყლის ხეობაში ან, პირიქით. მარშრუტის სიგრძე 13 კმ-ია, მგზავრობის ხანგრძლივობა ქვეითად – 11-12 საათი; უმაღლესი ნიშნული - ლატფარის უღელტეხილი - 2820 მ, საწყისი ნიშნული (სოფ. დავბერი) - 1780 მ, ბოლო - 1250 მ (სოფ. ჭველფი). მგზავრობა შეიძლება ცხენითაც.[5]

ამრიგად, სვანეთს დიდი პერსპექტივები აქვს ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით. იგი ორიგინალურობითა და განუმეორებელი სილამაზით ხასიათდება, რაც ტურიზმის განვითარების ფართო შესაძლებლობებს ქმნის.

ტურისტული ბიზნესის განვითარება მნიშვნელოვან როლს შეასრულებს სვანეთში ეკონომიკური საქმიანობის გააქტიურებასა და საქართველოს ამ ულამაზესი მაღალმთიანი და ორიგინალური მხარის აღმავლობაში.

ავსტრიულმა კომპანიამ – „Austrian Alpine Competence“ – დაიწყო მუშაობა მესტიის სამთო-სათხილამურო კურორტის განვითარების გეგმისა და კონცეფციის შექმნაზე. ამ პროექტის რეალიზაციის შედეგად დასაქმდება ათასამდე ადგილობრივი მოსახლე, შეიქმნება ახალი ტურისტული მიმართულებები, აშენდება და განახლდება ტურისტული ინფრასტრუქტურა, ახალი სათხილამურო ტრასები, საბაგიროები, კულტურულ-გასართობი ცენტრები. ამოქმედდება სასრიალო ტრასა, საბაგირო სადგურები.

სვანეთში უკვე აშენდა სათხილამურო ტრასებისა და საბაგიროების პირველი კომპლექსი. დაგეგმილია მყინვარიდან დასაშვები ხაზების მშენებლობა, განვითარდება მესტიის ინფრასტრუქტურა: გზები, სასტუმროები, აეროპორტი (2010 წელს ამოქმედდა პირდაპირი ავიარეისი მესტიამდე), გასართობი ცენტრები, საციგურაო ყინულის სახლი, წყლმომარაგების სისტემა, სენაკი-მესტიის საავტომობილო გზა.

ტურიზმის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები. ტურისტული ბიზნესი, როგორც მრავალწახნაგოვანი და დარგთაშორისი ხასიათის საქმიანობა, საჭიროებს მასშტაბურ მიდგომას, მის არეალში ყველა იმ დარგისა და სფეროს მოქცევას, რომლებიც არსებით გავლენას მოახდენენ მის განვითარებაზე. რა თქმა უნდა, თვით ტურობიექტების რეკონსტრუქცია-განვითარებას პრიორიტეტული ადგილი განეკუთვნება ტურისტულ ბიზნესში, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ინფრასტრუქტურული გარემო, რომელშიც უწევს ფუნქციონირება ტურისტულ მეურნეობებს.

[5] http://www.svanetitrekking.ge/geo/index.htm

მსოფლიო პრაქტიკით აღიარებულია, რომ ტურისტულ ინდუსტრიაზე პირდაპირ გავლენას ახდენს ეკონომიკის ოთხი სექტორი: ავიაკომპანიები და აეროპორტები; სასასტუმრო ბიზნესი; კვების ობიექტები და ტურიზმთან დაკავშირებული სხვა საწარმოები, საავტომობილო გზები და მასთან მიბმული ინფრასტრუქტურა.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასთან ტურიზმის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ახალი რეალიების გათვალისწინებით, აუცილებელია ტურისტულ ინდუსტრიასთან დაკავშირებული ისეთი საკითხების რეალიზაცია, როგორიცაა:

- საქართველოს ტურიზმის პოპულარიზაცია საერთაშორისო დონეზე და ტურისტების შემოყვანისთვის საშინაო და საგარეო მენეჯმენტის სრულყოფა;
- უცხოელი ტურისტებისათვის სავიზო, სასაზღვრო და საბაჟო ბიუროკრატიული ფორმალობების გამარტივება;
- დასვენების, ეკოლოგიურ-სამკურნალო, ბალნეოლოგიური, აგრო, სათავგადასავლო, საკონფერენციო და ტურიზმის სხვა სახეობების განვითარებისადმი ხელშეწყობა;
- ტურიზმის საინფორმაციო ცენტრების შექმნა ქვეყნის შიგნით და მის გარეთ, განსაკუთრებით საქართველოს მეზობელ ქვეყნებში;
- ტურიზმის განვითარებისათვის ხელსაყრელი მაკროეკონომიკური, ინფრასტრუქტურული, ინსტიტუციური და სამართლებრივი გარემოს შექმნა;
- ტურიზმის სფეროში ადგილობრივი ინვესტიციების დაბანდებისათვის მაქსიმალური ხელშეწყობა;
- შიგა ტურიზმში ახალგაზრდობის მაქსიმალურად მოზიდვა.

ტურისტული ბიზნესის პერსპექტიულ განვითარებას ხელს შეუწყობს ის პროგრამული გადაწყვეტილებები და პროგნოზული ორიენტირები, რომლებიც გამომდინარეობს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საშუალოვადიანი სტრატეგიიდან. მათ შორის აღსანიშნავია უახლოეს მომავალში გათვალისწინებული შემდეგი ღონისძიებების რეალიზაცია:

- საქართველოს ინტეგრაციის გაღრმავება საერთაშორისო თანამეგობრობაში, NATO-სა და ევროკავშირში;
- დიპლომატიური და პოლიტიკური ბერკეტებით, მსოფლიო თანამეგობრობისა და საქართველოს პარტნიორების მხარდაჭერით აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დეოკუპაცია;
- საქონლის, კაპიტალისა და მომსახურების გაადგილების პროცესის ლიბერალიზაცია, ღია სავაჭრო და სატრანსპორტო პოლიტიკის გატარება, უვიზო გადაადგილების არეალის გაფართოება, ტრანს-აზია-ევროპის ოპტიკურ-ბოჭკოვანი საკაბელო მაგისტრალის მშენებლობა;
- უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის მაკროეკონომიკური გარემოს სრულყოფა;
- ბიზნესისადმი ხელშეწყობით ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და დასაქმების დონის ზრდა, ინფლაციის დაბალი დონის შენარჩუნება, საგადასახადო განაკვეთების შემცირება, თავისუფალი სავაჭრო შეთანხმებების გაფორმება, ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილება, თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შექმნა;
- სადაზღვევო სისტემის სრულყოფა და მასში, სახელმწიფოს მხარდაჭერით, მილიონზე მეტი მოქალაქის ჩართვა;
- თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საავადმყოფოების მშენებლობა და ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში ამოქმედება;
- საგზაო ინფრასტრუქტურის აღდგენა-მშენებლობის დაჩქარება (ვაზიანი-გომბორი-თელავის გზა, აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალი, მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის გზა, ბათუმი-ჩოლოქის ალტერნატიული გზა, თბილისი-ახალციხე-ბათუმის მაგისტრალი, ყარსი-ახალქალაქის რკინიგზა, ადგილობრივი მნიშვნელობის გზები, აეროპორტები და ა.შ.);

- ქვეყნის ენერგოსისტემის უსაფრთხოებისა და მდგრადობის განმტკიცება (დასავლეთ საქართველოში 500 კვტ სიმძლავრის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა და მეზობელი ქვეყნების ენერგოსისტემაში ინტეგრაცია);
- სოფლის გაზიფიკაციის პროგრამის რეალიზაცია, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ტექნიკით უზრუნველყოფა, გადამმუშავებელი საწარმოების შექმნა, რეგიონებში წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემების მშენებლობა;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება, ინტერნეტ-ქსელის გაძლიერება, ბიზნესსექტორის ინფრასტრუქტურის კომპიუტერებით აღჭურვა და გლობალურ ქსელში ჩართვა.

ზემოაღნიშნული პროგნოზებისა და პროგრამული წინადადებების პრაქტიკული რეალიზაცია შექმნის ტურისტული ბიზნესის განვითარებისათვის ხელსაყრელ გარემოს. ამასთან, აუცილებელია იმის ზუსტი პროგნოზირება თუ რამდენად შეძლებს დაჩქარებული ტემპებით მზარდი ტურიზმის მომსახურებას ქვეყნის რეალური სექტორის დარგები. იმ შემთხვევაში, თუ მათი განვითარების ტემპები მნიშვნელოვნად ჩამორჩა ტურიზმის განვითარების ტემპებს, შეიქმნება გარკვეული დისბალანსი მაკროეკონომიკურ გარემოში. საჭირო გახდება სურსათისა და სხვა სახის პროდუქციის იმპორტის ზრდა, რაც ნეგატიურად აისახება დასაქმების დონესა და ქვეყნის საგადასახდელო ბალანსზე. ასეთი სიტუაციის თავიდან აცილების მიზნით, მიზანშეწონილია გამოირიცხოს ასიმეტრიული განვითარება ტურიზმსა და მის მომსახურე (უზრუნველმყოფელ) რეალურ სექტორს შორის, რისი მიღწევაც შესაძლებელია აგრარულ და ინდუსტრიულ სექტორებში მცირე და საშუალი ბიზნესისადმი სახელმწიფო მხარდაჭერის გაძლიერებით.

ქართული ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ამაღლებასა და მსოფლიო ბაზარზე ადგილის დასამკვიდრებლად განსაკუთრებული როლი საქართველოს საკურორტო და ტურისტული პოტენციალის, მისი უძველესი კულტურის რეკლამირებას აკისრია. ამ მიმართულებით უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტარდება.

ტურიზმისადმი სახელმწიფოებრივმა მიდგომამ საქართველოში გამოკვეთა მისი ძირითადი მიზნები და ამოცანები, შიგა პრიორიტეტული მიმართულებები, სახელმწიფო პრეფერენციების გამოყენების ვარიანტები. 2008 წელს აშშ-ის მთავრობის ტექნიკური დახმარებით შემუშავდა „საქართველოში ტურიზმის განვითარების სტრატეგიის ძირითადი მიმართულებები“. მიუხედავად იმისა, რომ ეს დოკუმენტი დღევანდელი გადასახედიდან მოძველებულია, ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების მიმართულებით ფორმულირებული რიგი ხედვებისა მისაღებია. აღნიშნული „სტრატეგიის“ ახალ მოთხოვნებთან და გამოწვევებთან შესაბამისობაში მოყვანა გადაუდებელი ამოცანაა.

ტურიზმის განვითარების ახალი სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო პროგრამის შემუშავება უახლოეს მომავალში ძირეულად შეცვლის ტურისტული ინდუსტრიის არსებულ ტრაექტორიებს. ახალი სტრატეგიის შემუშავებას საფუძვლად უნდა დაედოს არსებულის ის ნაწილები, რომლებიც ეხება უცხოელი ტურისტების მოზიდვის მეთოდურ საფუძვლებს, სავიზო, სასაზღვრო და საბაჟო ბიუროკრატიის გამარტივებას, შიგა ტურიზმისა და მისი ცალკეული მიმართულებების განვითარებას, კადრების მომზადებასა და გადამზადებას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ტურიზმის მენეჯმენტის სრულყოფას ცენტრალურ და რეგიონულ დონეზე.

მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს მეცნიერული მიმართულება ტურიზმის, როგორც მაღალრენტაბელური დარგის, განვითარების სხვადასხვა ასპექტის კვლევაში.

XVIII თავი

ტრანსპორტი და კომუნიკაციები

ტრანსპორტი. საქართველოსთვის, როგორც დამოუკიდებელი სტატუსის მქონე ქვეყნისთვის, დიდი მნიშვნელობა საერთაშორისო ეკონომიკურ პროცესებში ინტეგრაციას ენიჭება. ამ მხრივ, უკვე გადაიდგა ნაბიჯები, რამაც გარკვეული როლი შეასრულა ქვეყნის განვითარების პერსპექტიული მიმართულებების განსაზღვრაში.

საქართველოს გეოპოლიტიკურმა მდებარეობამ იგი მოაქცია გლობალურ ინტერესთა სფეროში. „გეოპოლიტიკური მდებარეობით, საქართველო წარმოადგენს ხიდს დასავლეთსა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის, ამიტომ ცდილობს დაიკავოს საკუთარი გეოპოლიტიკური სტრატეგიის ადეკვატური ადგილი მსოფლიო ცივილიზაციის პროცესში და ამით ხელი შეუწყოს ღია ეკონომიკის განვითარებას“.[1]

გეოპოლიტიკა სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკის თეორიისა და პრაქტიკის ერთობლიობაა, რომელიც გეოგრაფიული ფაქტორის, ეროვნული ინტერესების, პოლიტიკური და ეკონომიკური პრიორიტეტების, პროცესებისა და საერთაშორისო კრიზისების რეგულირების კომბინირებულ ანალიზს ეფუძნება.[2]

დღეს, როდესაც სულ უფრო აქტიურად ხდება ევროპისა და აზიის შემაერთებელი სატრანსპორტო დერეფნის შექმნა, ენერგომატარებლების ტრანსპორტირების ალტერნატიული მარშრუტების ძიება, საქართველოს განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა სატრანზიტო დერეფნის ფუნქციების გაძლიერებას ენიჭება. სატრანზიტო პოტენციალი მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა. ამიტომაც იგი ჩართულია საერთაშორისო სატრანსპორტო პროექტებში. ამ ფუნქციების რეალიზაცია ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის მნიშვნელოვანი პირობაა. აქედან გამომდინარე, ტრანსპორტი ქვეყნის ეკონომიკური, სტრატეგიული და გეოპოლიტიკური მდებარეობის უპირატესობის რეალიზაციის საფუძველია.

შემთხვევითი არ არის, რომ სამხრეთ კავკასიაში საქართველო ძირითად სატრანზიტო ქვეყნადაა აღიარებული. მისი გეოპოლიტიკური მდებარეობის უპირატესობის მაქსიმალური რეალიზაცია, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასა და სატრანზიტო პოტენციალის სრულად ათვისებას, ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია. ეს კარგად არის ცნობილი სხვა სახელმწიოებისათვის, ამიტომ ისინი ცდილობენ აქტიურად ითანამშრომლონ საქართველოსთან, როგორც ევრაზიის დამაკავშირებელ საკვანძო-სატრანზიტო ქვეყანასთან.

1990-იანი წლების მეორე ნახევრიდან საქართველოში დაიწყო სატრანსპორტო პოტენციალის საერთაშორისო დონეზე ათვისება. შეიქმნა ახალი პროექტები სარკინიგზო, საავტომობილო, საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტის განვითარებისათვის. ამ მხრივ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი საქართველოს რკინიგზას დაეკისრა.

სარკინიგზო ტრანსპორტი. 140 წლის ისტორიის მქონე სარკინიგზო ტრანსპორტი საქართველოში* შავ და კასპიის ზღვებს შორის მდებარე ევრაზიის სატრანსპორტო არტერიის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომლის საექსპლოატაციო სიგრძე 1575 კილომეტრია.

---

[1] **ასათიანი რ.** საქართველოს ეკონომიკა: წარსული, აწმყო, პერსპექტივა. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2002, გვ. 35.

[2] **გეგეშიძე ა.** გეოპოლიტიკა. თბილისი, 1999, გვ. 32.

* საქართველოში პირველი რკინიგზა – ფოთი-ყვირილის (ზესტაფონი) უბანი – 1871 წელს გაიხსნა.

მეორე-მესამე ათასწლეულების გასაყარზე საფუძველი ჩაეყარა **ევროპა-კავკასია-აზიის სატრანზიტო დერეფნის – „ტრასეკას“** (TRACECA) პროგრამის განხორციელებას, რომელიც ითვალისწინებს შავი ზღვის გავლით, ევროპიდან აზიისკენ, ცენტრალური აზიისა და შორეული აღმოსავლეთისაკენ ძლიერი სატრანსპორტო დერეფნის შექმნას. იგი მოიცავს სარკინიგზო, საავტომობილო, საჰაერო, საზღვაო გზებს, საზღვაო ნავსადგურებს, სამგაზავრო და სატვირთო ტერმინალებს. „ტრასეკა“ ერთიანი ევროპული სისტემის განუყოფელი ნაწილია. „ტრასეკას“ დერეფნით მიწოდებული ნედლი ნავთობისა და ტვირთების რაოდენობის გაზრდა ხელს შეუწყობს არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ რეგიონში ეკონომიკურ ზრდასა და არსებული პოტენციალის სრულად ათვისებას, ნავთობქიმიურ მრეწველობაში ინვესტიციების მოზიდვასა და მსხვილ ნავთობკომპანიების მეტ დაინტერესებას ახალ პროექტებში მონაწილეობისათვის.

საქართველოს რკინიგზის ყველაზე მომგებიანი მიმართულება სატვირთო გადაზიდვებია. დღეისათვის, შპს „საქართველოს რკინიგზის“ მონაცემებით, წელიწადში საშუალოდ 20 მლნ ტონა ტვირთი გადაიზიდება და დაახლოებით 3 მლნ მგზავრის გადაყვანა ხორციელდება. ამიტომ იგი ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორების დაინტერესების სფერო უნდა გახდეს. თუმცა კონკურენტიანი სატრანზიტო დერეფნის შესაქმნელად მხოლოდ ქვეყნის სახარბიელო გეოპოლიტიკური მდებარეობა არ კმარა. ტვირთების სწრაფად და შეუფერხებლად გადაადგილებისთვის საჭიროა თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის შექმნა, ასევე, მიმზიდველი, მოქნილი სატარიფო პოლიტიკა და სტაბილური გარემო.

ქვეყანაში არსებული ტერიტორიული მთლიანობის გადაუჭრელი პრობლემის მიუხედავად, „საქართველოს რკინიგზა“ მაინც განიხილება როგორც ალტერნატიული გზა კასპიისა და ცენტრალური აზიის რეგიონების ევროპასთან დასაკავშირებლად. სტრატეგიული მნიშვნელობის საქართველოს პორტები და ტერმინალები პირდაპირ უკავშირდება აზერბაიჯანის, უკრაინის, რუსეთის, ბულგარეთის სარკინიგზო ხაზებს.

საქართველოს სატრანზიტო დერეფნის ფუნქციის გაძლიერების მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო **ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო** მშენებლობის დაწყება. ეს არის სარკინიგზო მაგისტრალის 105 კმ-იანი მონაკვეთი, რომლის საპროექტო ღირებულება 422 მლნ დოლარია. მაგისტრალის თითქმის 75 კმ თურქეთის ტერიტორიაზეა. პროექტის დასრულებისათვის, მარაბდა-თურქეთის საზღვრამდე (კარწახი) სარკინიგზო მონაკვეთის პროექტირების, მშენებლობისა და საექსპლუატაციოდ მომზადებისათვის აზერბაიჯანის მხარემ საქართველოს ორ ტრანშად გამოუყო 775 მლნ დოლარის (200+575) გრძელვადიანი (25-წლიანი) სესხი.[3] ეს ტრანზიტული მარშრუტი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია. იგი ხელს შეუწყობს სამცხე-ჯავახეთის ეკონომიკის გამოცოცხლებასა და ამ რეგიონში საბაზრო ურთიერთობების განვითარებას.

აღსანიშნავია, რომ ამ პროექტებში უშუალოდ მონაწილეობს ევროკავშირი. სწორედ მისი ინიციატივით დაფინანსდა რკინიგზის რეაბილიტაციის პროექტი თბილისსა და ერევანს შორის. ასევე, „ტრასეკას“ ფარგლებში დაფინანსდება საზღვაო პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ბათუმისა და ფოთის პორტების გამტარუნარიანობის გაზრდას.

მომდევნო წლებში კასპიის ზღვის რეგიონში (ძირითადად, აზერბაიჯანსა და ყაზახეთში) მოსალოდნელია ნავთობის მოპოვების მნიშვნელოვანი მატება. კერძოდ, საპროგნოზო მონაცემებით, ნავარაუდებია ნავთობის სადღეღამისო მოპოვების გაზრდა 2010 წლის 3,4 მლნ ბარელიდან 2030 წელს 5,7 მლნ ბარელამდე.[4] ნავთობის მწარმოებელი ქვეყნები ცდილობენ საკუთარი წარმოებული პროდუქციის მიწოდება თვითონვე მოახდინონ საბოლოო მომხმარებლამდე. ამ მიზნით, აზერბაიჯანი და შუა აზიის ნავთობმომპოვებელი ქვეყნები მნიშვნელოვან ინვესტიციებს ახორციელებენ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაში, როგორც საკუთარი

[3] Civil.Ge © 2001-2008, Daily News Online.
[4] International Energy Outlook. Energy Information Administration (EIA).

ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთაც. ამ ტენდენციამ თავისებური ასახვა პოვა საქართველოს ეკონომიკაზეც. 2008 წელს ბათუმის ნავთობტერმინალის და ბათუმის პორტის 100%-იანი წილის მფლობელი გახდა ყაზახეთის ნავთობისა და გაზის სახელმწიფო კომპანია "კაზმუნაიგაზი". აღსანიშნავია, რომ ამავე კომპანიამ შეიძინა რუმინული კომპანია "რომპეტროლის" აქციათა 75%. "რომპეტროლს" დიდი გამოცდილება აქვს ამ სფეროში, იგი რუმინული პორტის "კონსტანცას" მართველობასაც ახორციელებს. 2007 წლის ნოემბრის ბოლოს გახსნილი ყულევის ნავთობტერმინალის მფლობელია აზერბაიჯანის ნავთობის სახელმწიფო კომპანია "SOCAR"-ი (State Oil Company of Azerbaijan). რას ნიშნავს ეს საქართველოსთვის? პირველ რიგში, ენერგორესურსების წყაროების დივერსიფიცირებას, რითაც საქართველო აღარ იქნება დამოკიდებული ერთი რომელიმე ქვეყნის ენერგორესურსებზე, მეორე მხრივ, ინვესტიციებს საქართველოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაში (ამ შემთხვევაში ბათუმისა და ყულევის ტერმინალები იგულისხმება), რაც გარანტირებულ სატრანზიტო ტვირთებსა და შემოსავლებს უზრუნველყოფს.

ენერგორესურსების მოზიდვის ალტერნატიული წყაროების განვითარებისათვის ევროკავშირიც აქტიურ ნაბიჯებს დგამს და სამხრეთ კავკასიის სარტანზიტო კორიდორი ერთ-ერთი ასეთ ბაზად განიხილება. საბოლოო ანგარიშით, ყოველივე ამით გრძელვადიან პერსპექტივაში საქართველოსთვის შეიქმნება პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობის დამატებითი გარანტიები, რაც ხელს შეუწყობს „ნაბუკოს" პროექტის განხორციელებას. ჯერ კიდევ, 1996 წელს ყაზახეთიდან დაიწყო "შევრონის" ნავთობის რკინიგზით ტრანსპორტირება აზერბაიჯანისა და საქართველოს გავლით ევროპაში. ეს ის პერიოდია, როდესაც ამოქმედდა ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანი. მან ორი მსხვილი რეგიონული ნავთობსადენის – ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და სამხრეთკავკასიური გაზსადენის („შაჰდენიზი") გამო შეიძინა განსაკუთრებული მნიშვნელობა. ორივე ობიექტი აღსანიშნავია არა მარტო საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის გაზრდის თვალსაზრისით, არამედ რეგიონული ინტეგრაციის გაუმჯობესების მხრივაც. ენერგეტიკული დერეფნის განვითარება არის საქართველო-აზერბაიჯან-თურქეთის თანამშრომლობის გრძელვადიანი სტრატეგია.

გასული საუკუნის 90-იანი წლების II ნახევრიდან ძალზე აქტუალური გახდა სათბობი-წიადისეულით მდიდარი კასპიისპირეთისა და ცენტრალური აზიის მსოფლიო ეკონომიკურ პროცესებში ინტეგრაცია. მთავარი პრობლემა იყო ამ რეგიონში მოპოვებული ენერგორესურსების მსოფლიო ბაზარზე გარანტირებული და დროული მიწოდება, რომელშიც გადამწყვეტი როლი საქართველოს ტერიტორიაზე გამავალმა ენერგორესურსების კავკასიის სატრანსპორტო კორიდორმა – **ევრაზიის დერეფანმა** შეასრულა. ამ პროექტმა თავიდანვე დიდი მხარდაჭერა პოვა დასავლეთის სახელმწიფოებისგან, განსაკუთრებით კი ამერიკის შეერთებული შტატებისგან. სწორედ ამ პროექტის განხორციელების მიზნით, 1996 წელს დაფუძნდა **"საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია"** (GIOC), რომლის მთავარი ამოცანაა კასპიის რეგიონში მოპოვებული ნავთობის ტრანსპორტირება და მსოფლიოს წამყვან ნავთობკომპანიებთან პარტნიორობა.

საქართველოს ტერიტორიაზე გადის 3 საერთაშორისო მნიშვნელობის მილსადენი, რომლის საშუალებითაც ნავთობპროდუქტები შუა აზიიდან ევროპას მიეწოდება. თუმცა, ამის გარდა, არსებობს კიდევ ერთი ჩრდილოეთ-სამხრეთის ბუნებრივი აირის – გაზის მაგისტრალური მილსადენი, რომლის საშუალებითაც ბუნებრივი აირი რუსეთიდან საქართველოს და სომხეთს მიეწოდება. საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი მილსადენების მახასიათებლების შესახებ იხილეთ ცხრილი 1.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (BTC) მილსადენის სიგრძე 1768 კმ-ია. აქედან, 443 კმ – აზერბაიჯანზე, 249კმ – საქართველოზე და 1076კმ თურქეთზე გადის. პროექტის განხორციელებაზე 4 მლრდ-მდე აშშ დოლარი დაიხარჯა. ნავთობსადენი ექსპლუატაციაში 2005 წელს შევიდა. მისი საშუალებით კასპიისპირეთის რეგიონიდან ნედლი ნავთობი აზერბაიჯანის, საქარ-

თველოსა და თურქეთის გავლით ხმელთაშუა ზღვაზე გადის. ეს ნავთობსადენი კასპიისა და ხმელთაშუა ზღვებს შორის ტრანსპორტირების პირველი პირდაპირი მარშრუტია.

ცხრილი 1

საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი მილსადენების მახასიათებლები[5]

მილსადენი	ოპერატორი	მაქსიმალური წლიური სიმძლავრე	ტარიფი
ბაქო-სუფსა (WREP)	BP	5,75 მლნ ტონა	$0,18-$0,20 ბარელზე
ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი (BTC)	BP	50 მლნ ტონა	$0,12-$0,14 ბარელზე
სამხრეთკავკასიური მილსადენი (SCP)	BP	5,75 მლნ ტონა	წინა წელს გატარებული მოცულობის 5%
ჩრდილოეთ-სამხრეთის გაზის მაგისტრალური მილსადენი	საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაცია	7,4 მლრდ სმ^3 (ფაქტობრივი), 20 მლრდ სმ^3 (რეაბილიტაციის შემდეგ)	წინა წელს გატარებული მოცულობის 10%

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია დაფუძნებულია საერთაშორისო ენერგოკომპანიების კონსორციუმის მიერ, რომელსაც უშუალოდ მილსადენის ოპერატორი "British Petroleum"-ი ხელმძღვანელობს. იგი ფლობს კომპანიის 30%-იან წილს, შემდეგ ყველაზე მაღალი წილი (25%) აქვს აზერბიჯანის ნავთობის სახელმწიფო კომპანია SOCAR-ს. დანარჩენი მეწილეები აშშ-ის, იაპონიის, იტალიისა და საფრანგეთის კომპანიებია.

2005-2010 წლებში საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი მილსადენებით ნედლი ნავთობის ტრანზიტის შესახებ იხილეთ გრაფიკი 1.

გრაფიკი 1

საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი მილსადენებით ნედლი ნავთობის ტრანზიტი 2005-2010 წლებში (მლნ ტონა)[6]



ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენით მიწოდებული ნედლი ნავთობი;

დანარჩენი მილსადენებით მიწოდებული ნედლი ნავთობი

[5] British Petroleum-ის (BP) საქართველოს წარმომადგენლობის მონაცემები.
[6] http://www.gogc.ge/index.php?m=249

2010 წლის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ნავთობსადენებით 42,4 მლნ ტონა ნედლი ნავთობის ტრანზიტი განხორციელდა. საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის ინფორმაციით, 2010 წელს, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენით ჯეიჰანის პორტში 38,379 მლნ ტონა აზერბაიჯანული ნედლი ნავთობის მიწოდება მოხდა. 2009 წელს, იგივე მაჩვენებელმა 38,271 მლნ ტონა შეადგინა.

ბაქო-სუფსის დასავლეთის მარშრუტის საექსპორტო მილსადენი 830 კმ-ია, დიამეტრი 530 მმ. მისი საშუალებით ხორციელდება კასპიის ზღვის ჩირაგის საბადოდან მოპოვებული ნავთობის დასავლეთ საქართველოში (აზერბაიჯანში მდებარე სანგაჩალის ტერმინალის გავლით), სუფსის ტერმინალამდე ტრანსპორტირება. ამ მილსადენით (WREP) სუფსის ტერმინალში 2009 წელს 3985 მლნ ტონა ნავთობი გადაიზიდა, ხოლო 2010 წელს გადაზიდული ნავთობის მოცულობამ 4,487 მლნ ტონა შეადგინა.

ბაქო-თბილისი-ერზრუმის მილსადენი ("შაჰდენიზის") ექსპლუატაციაში 2006 წელს შევიდა. მისი ძირითადი დანიშნულებაა ბუნებრივი აირით თურქეთის მომარაგება. აქტიურად განიხილება საკითხი გაზსადენის თურქმენულ და ყაზახურ მწარმოებლებთან დაკავშირების შესახებ ტრანსკასპიური გაზსადენის "ნაბუკოს" მეშვეობით, რომლის პერსპექტივები, ჯერ კიდევ, დასაზუსტებელია.

სამხრეთკავკასიური მილსადენი (SCP), ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პარალელურია. მისი საერთო სიგრძე 692 კმ-ია. სამხრეთკავკასიური მილსადენის საშუალებით კასპიის ზღვაში მდებარე შაჰდენიზის საბადოზე მოპოვებული ბუნებრივი გაზი საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის მომხმარებელს მიეწოდება. აღნიშნული გაზსადენით ნავარაუდევია 16 მლრდ კუბურ მეტრზე მეტი გაზის მიწოდება.

ჩრდილოეთ-სამხრეთის მაგისტრალური გაზსადენი, რომლის სიგრძე დაახლოებით 235 კმ-ია, განთავსებულია საქართველო-რუსეთის საზღვრიდან საქართველო-სომხეთისა და საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრამდე. ამ გაზსადენის შესყიდვით 2004-2005 წლებში განსაკუთრებული დაინტერესება ჰქონდა რუსეთის სახელმწიფო კომპანია "გაზპრომს", რაც, სავარაუდოდ, იმით იყო განპირობებული, რომ მას, ირან-სომხეთ-საქართველო-რუსეთის გაზის მილსადენების ერთმანეთთან დაკავშირებით, გაზის ერთიანი ინფრასტრუქტურის შექმნა სურდა. ეს რუსულ გიგანტს საშუალებას მისცემდა ირანიდან ევროკავშირის მიმართულებით პოტენციური საექსპორტო გაზის ნაკადები გაეკონტროლებინა. ამ გზით „გაზპრომის" სატრანსპორტო და სატრანზიტო მონოპოლია უკვე ირანული გაზის პოტენციური ექსპორტის გარკვეულ სეგმენტზეც გავრცელდებოდა. მოვლენების ასეთი განვითარება, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვნად გაზრდიდა „გაზპრომისა" და, აქედან გამომდინარე, რუსეთის გეოპოლიტიკურ როლს კავკასიასა და სპარსეთის ყურეში. ქართველი ექსპერტები და საქართველოს სტრატეგიული პარტნიორები ევროკავშირსა და აშშ-ში მაგისტრალური მილსადენების „გაზპრომისთვის" მიყიდვას სწორედ ამ მიზეზით ეწინააღმდეგებოდნენ. ეს მოლაპარაკებები საბოლოოდ მაშინ შეწყდა, როცა 2005 წლის აგვისტოში ამერიკულმა ფონდმა – „ათასწლეულის გამოწვევა-საქართველო" – მაგისტრალური გაზსადენების რეაბილიტაციისთვის საქართველოს 49,5 მლნ აშშ დოლარი გამოუყო[7].

საავტომობილო ტრანსპორტი. საქართველოში დაახლოებით 22 ათას კმ-ზე მეტი სიგრძის საავტომობილო გზებია (იხ. ცხრილი 2).

საავტომობილო გზების საშუალებით საქართველოში წლიურად დაახლოებით 25 მლნ ტონა ტვირთის გადაზიდვა და 260 მლნ მგზავრის გადაყვანა ხდება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ გადაზიდული ტვირთების 60% სწორედ საავტომობილო გადაზიდვებზე მოდის.

---

[7] **პავლიაშვილი ს.** პრივატიზაციის ფენომენი და პრობლემები საქართველოში. თბილისი, „ტექნიკური უნივერსიტეტი", 2009, გვ. 126.

ცხრილი 2

საქართველოს საავტომობილო გზების ქსელი საფარის მიხედვით[8]

(კმ-ში)

გზის დანიშნულება	**საერთო სიგ-რძე**	**ასფალტოვანი საფარი**	**ღორღოვანი საფარი**	**ყამიროვანი საფარი**
საერთაშორისო	1495	1467	28	-
შიდასახელმწიფოებრივი	5446	3477	1802	167
ადგილობრივი	15439	-	-	-
სულ	22380	4944	1830	167

საქართველოს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები მეგობარ სახელმწიფოებთან სატრანსპორტო საშუალებებით ტვირთების თავისუფალი და შეუზღუდავი გადაადგილების შესახებ (იხ. ცხრილი 3).

ცხრილი 3

საავტომობილო სატრანსპორტო საშუალებებით ტვირთების თავისუფლად გადაადგილება საქართველოსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის[9]

№	**ქვეყანა**	**გაცვლილი ნებართვების რაოდენობა**	**№**	**ქვეყანა**	**გაცვლილი ნებართვების რაოდენობა**
1.	თურქეთი	6000	13.	შვეიცარია	100
2.	უკრაინა	1000	14.	ჰოლანდია	100
3.	საბერძნეთი	500	15.	ლიტვა	100
4.	ბულგარეთი	350	16.	ესტონეთი	50
5.	აზერბაიჯანი	300	17.	საფრანგეთი	50
6.	ბელარუსი	200	18.	ინგლისი	50
7.	ირანი	200	19.	სლოვაკეთი	50
8.	გერმანია	200	20.	მოლდოვა	50
9.	პოლონეთი	200	21.	ჩეხეთი	50
10.	ავსტრია	170	22.	ყირგიზეთი	30
11.	იტალია	150	23.	ბელგია	20
12.	ჩეხეთი	100	24.	უზბეკეთი	10

[8] http://www.georoad.ge/?que=geo/statistics/roads

[9] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის მონაცემები.

თანამედროვე ლიბერალური საკანონმდებლო ბაზა და გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთნაკადების დინამიკურ ზრდას. ბოლო პერიოდში, საქართველოს მთავრობის ინიციატივით, გაფორმდა ლიბერალური საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის შეთანხმებები სომხეთთან, თურქეთთან და ყაზახეთთან. მათ საფუძველზე საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვები ხორციელდება შეუზღუდავად, კვოტირებული ნებართვების გარეშე.

საქართველო, თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობის მაქსიმალური რეალიზაციისათვის, რომელიც, პირველ რიგში, გულისხმობს აზიის ევროპასთან შემაერთებელი დერეფნის ეფექტიან ფუნქციონირებას, საჭიროებს საავტომობილო ინფრასტრუქტურის თანამედროვე სტანდარტების დონეზე განვითარებას. ამიტომ ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა არსებული გზების რეკონსტრუქცია, რეაბილიტაცია და ახალი, საიმედო საავტომობილო გზების მშენებლობა.

საჰაერო ტრანსპორტი. საქართელოში, როგორც მაღალი სატრანზიტო სტატუსის მქონე ქვეყანაში, მნიშვნელოვან როლს სამოქალაქო ავიაცია ასრულებს, რომელიც დამოუკიდებლად 1993 წლიდან ფუნქციონირებს. 1994 წელს საქართველო გახდა სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICAO) სრულუფლებიანი წევრი, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის სამოქალაქო ავიაცია ფუნქციონირებს საერთაშორისო სტანდარტებისა და რეკომენდებული პრაქტიკის შესაბამისად. 2005 წლის აპრილში საქართველო გახდა ევროპის სამოქალაქო ავიაციის კონფერენციის წევრი (ECAC), ხოლო 2007 წლის იანვრიდან – GAA-ს (გაერთიანებული საავიაციო ხელისუფლებები) წევრობის კანდიდატი.

2007 წლიდან თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან რეგულარული რეისები სრულდება ევროპისა და აზიის 30-ზე მეტი ქვეყნის მიმართულებით.

2010 წელს თბილისის აეროპორტმა გაატარა დაახლოებით 820 ათასი, ხოლო ბათუმის აეროპორტმა – დაახლოებით 88 ათასი მგზავრი. საქართველოს საჰაერო ტრანსპორტს ყოველდღიურად 2000-ზე მეტი მგზავრი გადაჰყავს და გადააქვს დაახლოებით 16,6 ტონამდე ტვირთი[10]. დღეისათვის საქართველოს ავიაბაზარზე სხვადასხვა მარშრუტით 25 ავიაკომპანია ახორციელებს რეისებს, მათ შორის, რეგიონული მიმართულებით – 15 ავიაკომპანია.

2011 წელს საქართველოს ავიაბაზარზე ოპერირება დაიწყეს ისეთმა საერთაშორისო ავიაკომპანიებმა, როგორებიცაა: China, Southern, “Airlines” “Fly Dubai”, “Air Astana”, “Atan Air”, “Borajet” და ა.შ.

2012 წლიდან საქართველოს ავიაბაზარზე შემოსვლას გეგმავს ყატარის სახელმწიფო ავიაკომპანია. „Qatar Airlines“, აგრეთვე ბრიტანული ავიაკომპანია – „Virgir Atlantic“.

საზღვაო ტრანსპორტი. საქართველოში, სადაც ზღვის სანაპირო ზოლი 300 კმ-ია, მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზღვაო ტრანსპორტი. იგი წარმოდგენილია პორტებითა და საზღვაო ფლოტით.

სამწუხაროა, რომ ბოლო პერიოდში საქართველომ თითქმის მთლიანად დაკარგა კონტროლი საზღვაო პორტებზე და ტერმინალებზე. ეს სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტები უცხოური კომპანიების (თურქეთის, უკრაინის, რუსეთის, ყაზახეთის, ბულგარეთის, რუმინეთისა და სხვათა) საკუთრებაშია, რაც ასუსტებს საქართველოს, როგორც სატრანზიტო დერეფნის მქონე ქვეყნის, როლს და ადგილს მსოფლიო სატრანზიტო სივრცეში. საქართველოს საზღვაო ტრანსპორტით გადატანილი ტვირთების მოცულობა კრიტიკულად დაბალია, რასაც ადასტურებს სტატისტიკური მონაცემები (იხ. ცხრილი 4).

[10] თბილისის საერთაშორისო აეროპორტის მონაცემები.

ცხრილი 4

საქართველოში საერთო სარგებლობის ტრანსპორტით ტვირთბრუნვა* ტრანსპორტის სახეობების მიხედვით (მლნ ტონა-კმ)[11]

წლები	სულ	მათ შორის			
		სარკინიგზო	საავტომობილო	საჰაერო	საზღვაო
1990	79937,6	15476,7	2577,6	28,4	61854,9
1995	15519,3	1246,0	130,0	5,0	14138,3
2000	5001,7	3912,1	475,0	2,9	611,7
2001	5077,3	4480,6	520,0	2,7	74,0
2002	5768,7	5074,5	543,0	2,9	148,3
2003	6194,7	5538,5	562,0	2,7	91,5
2004	5505,1	4862,0	570,0	3,5	69,6
2005	6777,7	6127,1	578,0	3,6	69,0
2006	8114,2	7393,2	586,1	3,9	131,0
2007	7645,5	6927,5	594,3	3,6	120,1
2008	7165,6	6515,7	602,6	1,9	45,4
2009	6029,2	5417,0	611,1	1,1	-

1990-2009 წლებში ტვირთების რაოდენობა 79937,6 ათასი ტონიდან 6029,2 ათას ტონამდე, ანუ 13,3-ჯერ შემცირდა. კიდევ უფრო უარესი მდგომარეობაა საზღვაო ტრანსპორტით ტვირთების გადაზიდვის მხრივ. 2009 წელს იგი, 1990 წლის 61854,9 ათასი ტონიდან 40 ათას ტონამდე, ანუ 1546,4-ჯერ შემცირდა. ასეთი სიტუაცია გამოიწვია საქართველოს საზღვაო ტრანსპორტზე, პორტებსა და ტერმინალებზე წლების განმავლობაში გამეფებულმა ქაოსმა და განუკითხაობამ, ხშირ შემთხვევაში, საეჭვო პრივატიზაციამაც და ამ სფეროს ობიექტების გადასვლამ უცხოური კომპანიების საკუთრებაში.

ბათუმის პორტი ევროპის აზიასთან შემაერთებელი სატრანსპორტო ხაზია, რომელიც უკავშირდება კავკასიის, ცენტრალური აზიის ქვეყნებს, უკრაინასა და თურქეთს საავტომობილო და სარკინიგზო გზებით. იგი გამოიყენება აგრეთვე, როგორც მთავარი სატრანზიტო ნავსადგური, ყაზახეთისა და აზერბაიჯანის ნავთობის გადასამუშავებლად. ბათუმის საზღვაო ნავსადგური შავი ზღვის აუზის აღმოსავლეთ სანაპიროზე სატრანსპორტო-საკვანძო ფუნქციას ასრულებს. მის მეშვეობით ხორციელდება „ტრასეკას“ მარშრუტზე გატარებული ენერგომატარებლების 94%-ის გადატვირთვა, ასევე, ამ მიმართულებისა და საქართველოს სამხრეთით განლაგებული ქვეყნების მშრალი ტვირთების გადაზიდვები. ნავსადგურს აქვს 5 ტერმინალი: ნავთობტერმინალი, მშრალი ტვირთის ტერმინალი, საკონტეინერო ტერმინალი, სარკინიგზო-საბორნე გადასასვლელი და სამგზავრო ტერმინალი. ნავთობტერმინალის წლიური საშუალო გამტარუნარიანობა 15-18 მლნ ტონაა, ხოლო მშრალი ტვირთის ტერმინალისა – 2,3-2,5 მლნ ტონა. აღსანიშნავია, რომ ნავსადგური ფლობს ISO 9001-2000 ხარისხის შესაბამისობის საერთაშორისო სერტიფიკატს.

ფოთის საზღვაო ნავსადგური, თავისი ისტორიული, გეოგრაფიული და ეკონომიკური თვალსაზრისით, კავკასიური დერეფნის ერთ-ერთი საკვანძო პუნქტია. ნავსადგური აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით და შეესაბამება ევროპის სტანდარტებს. აქ ფუნქციონირებს ღია და დახურული სასაწყობო მეურნეობები, საავტომობილო და სარკინიგზო მიმოსვლის გზები, გამანაწილებელი ქვესადგური და სხვა ინფრასტრუქტურული დამხმარე ნაგებობები. მას აქვს რვა გადამტვირთავი კომპლექსი, რომლებიც განთავსებულია „ჩრდილოეთ ნავსად-

* ტვირთბრუნვა განისაზღვრება გადასატანი ტვირთის წონისა და გადატანის მანძილის ნამრავლით.
[11] სტატისტიკური წელიწდეული – 2009. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი. თბილისი, 2009, გვ. 199.

გურისა“ და „შიდააუზის“ 15 ნავმისადგომზე, ასევე – სამგზავრო კომპლექსი და ნავსადგურის ფლოტისა და თევზჭერის ფლოტის ნავმისადგომები. ფოთის საზღვაო ნავსადგურს ყველა პირობა აქვს, რათა დააკმაყოფილოს კლიენტების სხვადასხვა მოთხოვნა ტვირთებთან და მგზავრობასთან დაკავშირებით.

2000-2010 წლებში ფოთის ნავსადგურის ტვირთბრუნვის შესახებ იხილეთ გრაფიკი 2.

გრაფიკი 2

ფოთის ნავსადგურის ტვირთბრუნვა 2000-2010 წლებში (ათასი ტონა)[12]



როგორც გრაფიკიდან ჩანს, ფოთის ნავსადგურის ტვირთბრუნვა 2001 წლიდან დაწყებული სისტემატურად იზრდებოდა 2008 წლამდე, ხოლო 2009 წელს შემცირდა 2 მლნ ტონით, რაც რუსეთის საომარი მოქმედებებით იყო გამოწვეული. 2010 წელს იგი ისევ გაიზარდა, თუმცა, თითქმის 800 ათასი ტონით ჩამორჩება 2008 წლის შესაბამის მაჩვენებელს. მიუხედავად ამისა, 2000 წლიდან 2010 წლამდე ტვირთბრუნვა 100%-ითაა გაზრდილი. ამასთან, ფოთის ტერმინალმა 2000 წლიდან 2010 წლამდე შემოსავლები 38,088 მლნ ლარიდან 73,859 მლნ ლარამდე გაზარდა.

ყულევის ნავთობტერმინალი – „საქართველოს მესამე საზღვაო კარიბჭე“ – ოფიციალურად 2008 წლის მაისში გაიხსნა. მას ერთდროულად 160 ვაგონ-ცისტერნის მიღების საშუალება აქვს. ტერმინალის სარეზერვუარო პარკის მთლიანი მოცულობა 320 ათას კუბურ მეტრს შეადგენს. მასში 500-ზე მეტი ადამიანია დასაქმებული, აგრეთვე დაწყებულია 14-კილომეტრიანი სარკინიგზო მონაკვეთის მშენებლობაც. ეს არის 380 მილიონდოლარიანი პროექტი. ყულევის ტერმინალი, ნავთობის ტრანსპორტირების გზით, კავკასიისა და ევროპის მთავარი დამაკავშირებელი იქნება.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველო დიდ იმედებს ამყარებს ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის განვითარებაზე, ახალი „აბრეშუმის გზის“ აღორძინებაზე და მათი საშუალებით მსოფლიო ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებში ინტეგრაციაზე. ევროპის და ბალკანეთის ქვეყნების (ბულგარეთი, რუმინეთი, საბერძნეთი, ალბანეთი) ენერგორესურსებზე მზარდი მოთხოვნა დღის წესრიგში აყენებს ალტერნატიული ნავთობსადენებისა და ტრანსპორტირების სხვა საშუალებების გზების ძიებას. ამ მხრივ, გასათვალისწინებელია აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის მხრიდან კონკურენცია. ექსპერტების შეფასებით, ჩინეთის სამომხმარებლო ბაზრის კონკურენციის გამო, „ტრასეკას“ დერეფნით ყაზახეთიდან ტრანსპორტირება არარენტაბელურადაა მიჩნეული. ამიტომ დღეს ძალზე მნიშვნელოვანია ტრანსპორტირების ისეთი ახალი პროექტის რეალიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს როგორც მოკლევადიან და უსაფრთხო ტრანსპორტირებას, ისე სატრანსპორტო ხარჯების მინიმიზაციას. ეს იქნება საქართველოს დამატებითი შემოსავლების მიღების მნიშვნელოვანი წყარო.

[12] http://www.potiseaport.com/?psp-id=94

კომუნიკაციები. გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მსოფლიოში მიმდინარე პროგრესულმა ცვლილებებმა, მეცნიერულ-ტექნოლოგიურმა მიღწევებმა უდიდესი როლი შეასრულა საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ტელეკომუნიკაციების სფეროში, ხოლო 90-იანი წლებიდან ახალი ეპოქის დაწყება საქართველოში, კავშირგაბმულობის, როგორც მომსახურების სექტორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგის, განვითარებაზეც აისახა. ეკონომიკის სტაბილიზაციის კვალობაზე დაიწყო ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სფეროს სტრუქტურული რეორგანიზაცია. ღია ეკონომიკაზე გადასვლამ დღის წესრიგში ქვეყნის საინფორმაციო ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების აუცილებლობა დააყენა. 1999 წლის 23 ივლისს მიღებულმა საქართველოს კანონმა „კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ“ და 2000 წელს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის შექმნამ ამ სფეროში საქმიანობის სრულიად ახალ ეკონომიკურ და ორგანიზაციულ-სამართლებრივ ურთიერთობებს ჩაუყარა საფუძველი.

2000 წლის შუა პერიოდიდან დაიწყო „საქართველოს კავშირგაბმულობის რეგულირების განვითარების პროგრამის“ განხორციელება. გარდა ეკონომიკური და იურიდიული სფეროების მოწესრიგებისა, საფუძველი ჩაეყარა სიხშირული სპექტრის მართვას, ტარიფებისა და ურთიერთჩართვის რეგულირებას. 2002 წელს შეიქმნა „საქართველოსა და მოწინავე ქვეყნებს შორის ციფრული უთანასწორობის რეგულირების სახელმწიფო კონცეფცია“, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოში საინფორმაციო და ტელეკომუნიკაციების ბაზრისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებას.

ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის განვითარება დაეფუძნა ისეთ თანამედროვე, მსოფლიოში აპრობირებულ პრინციპებს, როგორიცაა აღნიშნულ სფეროში მონოპოლიური საქმიანობის დაუშვებლობის გზით თანასწორუფლებიანი და სამართლიანი კონკურენტული გარემოს შექმნა; მომხმარებელთა კანონიერი ინტერესების დაცვა; საქმიანობის პრიორიტეტების განსაზღვრა; საინვესტიციო ბიზნესგარემოს შექმნა; ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში არსებული რესურსების ეფექტიანად განაწილება; ახალი ტექნოლოგიების დანერგვა; საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო სისტემებთან და ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობა; საინფორმაციო საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა და ა.შ.

2005 წლიდან საქართველო აქტიურად ჩაება მსოფლიო ბანკის (რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს სატელეკომუნიკაციო სფეროში მარეგულირებელი რეჟიმის ჩამოყალიბებაში), აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD), გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და ევროპის საბჭოს (CoE) მიერ სხვადასხვა დროს ორგანიზებულ კავშირგაბმულობის დარგის განვითარების ხელშემწყობ პროექტებში. 2001 წლიდან საქართველო ევროპის სატელეკომუნიკაციო სტანდარტების ინსტიტუტის (ETSI) ასოცირებული წევრი გახდა, ხოლო 2007 წლიდან – სრულუფლებიანი წევრი. გარდა ამისა, 2007 წლიდან საქართველო საფოსტო და სატელეკომუნიკაციო ადმინისტრაციების ევროპული კონცერნის (CEPT) სრულუფლებიანი წევრია.

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საქართველო აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანებასთან (ITU) და ევროპის სატელეკომუნიკაციო სტანდარტების ინსტიტუტთან (ETSI).

გლობალურ სივრცეში ინტეგრაციამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საქართველოში ელექტრონული კომუნიკაციების ბაზრის განვითარებას, რომელიც **ფიქსირებული სატელეფონო ქსელის**, **მობილური ქსელის**, **რადიო და ტელემაუწყებლობის** სახითაა წარმოდგენილი.

2000 წელს, საქართველოს საკომუნიკაციო მომსახურების ბაზარზე უკვე იყო 14 ოპერატორი, რომელთაგან 10 – ფიქსირებულ სატელეფონო ბაზარს, 3 – ფიჭურს და 1 – პეიჯერულ ოპერატორს წარმოადგენდა.

ფიქსირებული სატელეფონო კავშირის ოპერატორებიდან ბაზრის მოცულობის 69%-ს „საქართველოს ელექტროკავშირი“ ფლობდა, რომელიც დაარსდა 1995 წელს, მეორე ადგილზე 17%-იანი წილით იყო 1994 წელს დაარსებული „საქართველოს ტელეკომი“, შემდეგ 10%-იანი წილით მესამე ადგილი „ფოტნეტს“ ეჭირა. გარდა ამისა, ფიქსირებული სატელეფონო ბაზარი 1995-1999 წლებში შეივსო შემდეგი ოპერატორებით: „ახალი ქსელები“, „ეგრისი“, „საქართველოს ცენტრალური კომუნიკაციები“, „იბერიატელი“, საკაბელო ტელევიზია „აიეტი“, „გუდვილკომი“ და „საქტელეკომი“.

2000 წლიდან დაწყებული, ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების ბაზრის შემოსავლების წილი მთლიან შიდა პროდუქტში ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა. 2001 წელს იგი თითქმის 3,6%-ს შეადგენდა, 2006 წლისათვის კი 7,5%-ს მიაღწია. 2007 წელს აღნიშნული მაჩვენებელი შემცირდა მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპის ფონზე, თუმცა, 2008 წელს კვლავ მოიმატა, ხოლო 2009 წელს გაიზარდა მთლიანი შიდა პროდუქტის კლების ფონზე (იხ. ცხრილი 5).

ცხრილი 5

საქართველოს საკომუნიკაციო ბაზრის შემოსავლები 2005-2009 წლებში[13]

	2005	2006	2007	2008	2009
საკომუნიკაციო დარგის შემოსავლები (მლნ ლარი)	703 681	1 001	1 113	1 299	1 250
მშპ (მლნ ლარი)	11 621	13 370	16 999	19 070	17 949
საკომუნიკაციო დარგის შემოსავლების წილი მშპ-ში	6,1%	7,5%	6,5%	6,8%	6,9%

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისით გამოწვეული ეკონომიკის სხვადასხვა დარგის შემოსავლების კლება საქართველოს ელექტრონული კომუნიკაციების ბაზარზეც აისახა (იხ. გრაფიკი 3).

გრაფიკი 3

ელექტრონული კომუნიკაციების ბაზრის შემოსავლების დინამიკა წინა წლებთან შედარებით[14]

(%-ობით)



[13] საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია. წლიური ანგარიში. 2009, გვ. 51; http://www.gncc.ge/index.php? lang_id=GEO&sec_id=3100

[14] იქვე, გვ. 49.

როგორც გრაფიკიდან ჩანს, 2009 წელს ელექტრონული კომუნიკაციების ბაზრის შემოსავლების მნიშვნელოვანი კლება აღინიშნა (-3,8%), რაც წინა წელთან შედარებით, 49 მლნ ლარზე ნაკლები იყო და მთლიანობაში 1 მლრდ 250 მლნ ლარი შეადგინა.

საქართველოში ტექნოლოგიების განვითარების ფონზე იმატა უსადენო ფიქსირებული ქსელის აბონენტთა რაოდენობამ, რამაც, საბოლოო ანგარიშით, ფიქსირებული ქსელის აბონენტთა ზრდა გამოიწვია.

პირველი მობილური ოპერატორი „მეგაკომი“ საქართველოში 1996 წელს ამოქმედდა. ეს იყო მობილური კავშირგაბმულობის პირველი თაობის ამერიკულ „AMPS“-ის ტექნოლოგიაზე აგებული სისტემა. 1997 წელს ამოქმედდა კომპანია ”ჯეოსელის” მობილური კავშირგაბმულობის ქსელი (მეორე და მესამე თაობების ტექნოლოგიები), 1997 წელს – კომპანია ”მაგთიკომის” მობილური კავშირგაბმულობის ქსელი (მეორე და მესამე თაობების ტექნოლოგიები), 1999 წელს – კომპანია ”იბერიატელის” მობილური კავშირგაბმულობის ქსელი (პირველი თაობის NMT-450 ტექნოლოგია), 2007 წელს – კომპანიების ”ჯეოსელისა” და ”მაგთიკომის” ქსელები 1800 მგჰც სიხშირეზე, 2007 წელს – კომპანია ”ბილაინის” ქსელი (მეორე თაობის GSM-1800 ტექნოლოგია). მესამე თაობის (G2,5-G3) CDMA ტექნოლოგიაზე მუშაობს კომპანია ”იბერიატელი” (ამჟამად კომპანია ”ტელენეტი”).[15]

მობილური ტელეფონებისგან მიღებული შემოსავლების ზრდის ტემპი 2006 წელს 53,05%, 2007 წელს 8,35%, 2008 წელს კი 25,67% იყო. მობილური სატელეფონო მომსახურებისა და მისგან მიღებული შემოსავლების შთამბეჭდავი ზრდის შემდეგ, პირველად საქართველოში 2009 წელს დაფიქსირდა 74 მლნ ლარით კლება.

2005-2009 წლებში მობილური ტელეფონებიდან მიღებული შემოსავლების შესახებ წარმოდგენას იძლევა გრაფიკი 4.

გრაფიკი 4

საქართველოში მობილური სატელეფონო მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები 2005-2009 წლებში[16]

(ლარებში)



ელექტრონული კომუნიკაციების ბაზარზე მობილური ტელეფონების წილის შესახებ იხილეთ გრაფიკი 5.

[15] საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია. წლიური ანგარიში. 2009, გვ. 55; http://www.gncc.ge/index.php? lang_id=GEO&sec_id=3100

[16] იქვე, გვ. 54.

გრაფიკი 5

მობილური ტელეფონების წილი ელექტრონული კომუნიკაციების ბაზარზე 2005-2009 წლებში[17]



2009-2010 წლებში შემოსავლის კლება დაფიქსირდა ყველა ტიპის მომსახურებაზე, გარდა ინტერნეტ და როუმინგ მომსახურებისა. ინტერნეტმომსახურება ნელ-ნელა უკვე ხელმისაწვდომი ხდება საქართველოს ბევრი რეგიონის მოსახლეობისათვის.

ქვეყნის მასშტაბით ძირითადი და ყველაზე მსხვილი ინტერნეტრესურსების მფლობელებია შპს „ეგრისი“, შპს „კავკასუს ონლაინი“ და სს „სილკნეტი“. მათი რესურსებით სარგებლობს რიგი კომპანიებისა, რის საფუძველზეც ისინი აწვდიან ინტერნეტს საკუთარ აბონენტებს, თუმცა, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ცნობით, ჯერჯერობით ვერ ხერხდება ინტერნეტმომხმარებელთა მთლიანი რაოდენობის დადგენა.

ინტერნეტმომსახურების მიწოდება ხორციელდება როგორც ფიქსირებული სადენიანი ქსელის (DSL, ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელითა და „დაილაპით“), ისე ფიქსირებული უსადენო ქსელის (CDMA $1_{X,\ EV}_D_{o,}$ Wimax) და მოძრავი საკომუნიკაციო ქსელის (GPRS, WAP/GPRS Wimax, HSDPA) საშუალებით. 2009 წელს სხვადასხვა ქსელის საშუალებით მიწოდებული ინტერნეტმომსახურებისგან მიღებული შემოსავლების შესახებ იხილეთ ცხრილი 6.

ცხრილი 6

სხვადასხვა ქსელის ინტერნეტმომსახურებისაგან მიღებული შემოსავლები საქართველოში[18]

ინტერნეტმომსახურების შემოსავლები	2008	2009
ფიქსირებული სადენიანი ქსელის საშუალებით	56 068 333	73 948 674
ფიქსირებული უსადენო ქსელის საშუალებით	326 181	1 984 788
მოძრავი საკომუნიკაიო ქსელის (2G-3G) საშუალებით	14 334 846	18 890 499
სულ	70 729 360	94 824 961

საქართველოს კანონით „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ გაიცემა ორი ტიპის კერძო მაუწყებლობის ლიცენზია – საერთო და სპეციალიზებული. კერძო მაუწყებლობის ლიცენზიებიდან საერთო ტელემაუწყებლობაზე მოდის 50, ხოლო საერთო რადიომაუწყებლობაზე – 34 ლიცენზია. სპეციალიზებული მაუწყებლობიდან 10 ლიცენზიაა გაცემული სპეციალიზებულ რადიომაუწყებლობაზე, ხოლო 12 – სპეციალიზებულ ტელემაუწყებლობაზე.

[17] საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია. წლიური ანგარიში. 2009, გვ. 52; http://www.gncc.ge/index.php? lang_id=GEO&sec_id=3100

[18] იქვე, გვ. 59.

2005-2008 წლებში ტელე-რადიომაუწყებლობის შემოსავლები სტაბილური ზრდით ხასიათდებოდა, ხოლო 2009 წელს მისი შემოსავლების კლება დაფიქსირდა და დაახლოებით 10 მლნ ლარით შემცირდა.

შემოსავლების მთლიანმა თანხამ (სპეციალიზებული რადიომაუწყებლობა, სპეციალიზებული ტელემაუწყებლობა, საერთო ტელემაუწყებლობა, საერთო რადიომაუწყებლობა, საკაბელო ტელე-რადიომაუწყებლობა) 89 674 480 ლარი შეადგინა[19].

ელექტრონული კომუნიკაციების განვითარებამ დიდი ზეგავლენა მოახდინა სამაუწყებლო ბაზარზე, შეცვალა მისი განვითარების ადრე ჩამოყალიბებული მიმართულებები. დღეს შესაცვლელია ელექტრონული მედიის საშუალებების საქმიანობის წესები და პოლიტიკა, ამისათვის კი საჭიროა ტექნოლოგიური ცვლილებებით გამოწვეული ახალი მოთხოვნების გათვალისწინება.

ელექტრონული კომუნიკაციები, როგორც ყველაზე სწრაფად განვითარებადი დარგი, უნდა უპასუხებდეს ბაზრის მოთხოვნებს, რაშიც მნიშვნელოვანი როლი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას აკისრია.

[19] საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია. წლიური ანგარიში. 2009, გვ. 59; http://www.gncc.ge/index.php? lang_id=GEO&sec_id=3100

XIX თავი

სასტუმროები და რესტორნები

გაეროს საერთაშორისო სტანდარტული დარგობრივი კლასიფიკაციის, ეროვნულ ანგარიშთა სისტემის, აგრეთვე ეკონომიკურ საქმიანობათა ევროპული კლასიფიკატორის (**NACE**) მიხედვით (სექცია **H**) სასტუმროები და რესტორნები ცალკე დარგათაა გამოყოფილი და დღეს იგი მსოფლიოში ეკონომიკის ერთ–ერთი ყველაზე მზარდი და პერსპექტიული სფეროა.

საქართველოში, დამოუკიდებლობის აღდგენამდე, სასტუმროები და რესტორნები შედარებით განვითარებული იყო, რასაც ხელს უწყობდა ქვეყნის მდიდარი რეკრეაციული რესურსები, კურორტების სიმრავლე და ტურიზმის მასშტაბები, რომელმაც პიკს 1988 წელს მიაღწია. ამ დროისთვის საქართველოში 5 მლნ ტურისტი შემოვიდა, ფუნქციონირებდა 624 სასტუმრო 152 ათასი საწოლით.[1]

პოსტსაბჭოთა პერიოდის პირველ წლებში, ცნობილი მიზეზების გამო, ეს დარგი საქართველოში მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, ფაქტობრივად, შეიძლება ითქვას, ჩაკვდა. სასტუმროების მნიშვნელოვანი ნაწილი თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში კონფლიქტური რეგიონებიდან (აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი) დევნილ მოსახლეობას დაეთმო.

ტურიზმის რეალურმა გამოცოცხლებამ პოზიტიური გავლენა მოახდინა სასტუმროებისა და რესტორნების ბიზნესის განვითარებაზე. ამ სფეროში ინტენსიურად დაიწყო ინვესტიციების მოზიდვა. დაჩქარებული ტემპებით მიმდინარეობს ახალი სასტუმროების მშენებლობა, ძველთა რესტავრაცია და თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. ეს დროის მოთხოვნაა. საერთაშორისო ტურიზმის განვითარება ხომ, ფაქტობრივად, წარმოუდგენელია სასტუმროებისა და რესტორნების თანამედროვე სტანდარტების დონეზე განვითარების გარეშე.

ტურიზმისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტი საქართველოში საქმიანი და რეკრეაციული მიზნით შემოსულ ტურისტთა რიცხოვნობის არსებით ზრდაშიც ვლინდება. თუ 2004 წელს, ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში 340 ათასი ტურისტი შემოვიდა, 2007 წელს ამ მაჩვენებელმა 1 მლნ 52 ათასს მიაღწია, 2010 წელს უკვე 2 მლნ–ზე მეტი იყო, ხოლო 2011 წელს 3 მილიონს გადააჭარბა.[2]

დღეისათვის საქართველოში ფუნქციონირებს 500-მდე სასტუმრო 24 ათასზე მეტი ადგილით, ხოლო მოქმედი რესტორნებისა და კაფეების რაოდენობა რამდენიმე ათასს აღემატება.

2010 წლის მდგომარეობით, საქართველოს სასტუმროებისა და რესტორნების სფეროზე მოდის ქვეყნის ეკონომიკური ბრუნვის დაახლოებით 1,5%, მთლიანი შიდა პროდუქტის 2%-ზე მეტი, დასაქმებულთა 3,4%, ფიქსირებულ აქტივებში განხორციელებული ინვესტიციების თითქმის 7% და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაახლოებით 10%.

2002-2009 წლებში საქართველოს სასტუმროებისა და რესტორნების დარგის ბრუნვისა და პროდუქციის გამოშვების შესახებ ნათელ წარმოდგენას იძლევა გრაფიკი 1.

---

[1] საქართველოს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მასალები.

[2] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის დეპარტამენტის მონაცემები.

გრაფიკი 1

სასტუმროებისა და რესტორნების დარგის ბრუნვისა და პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლები[3]



საქართველოს ეკონომიკაში სასტუმროებისა და რესტორნების ხვედრითი წონის შესახებ წარმოდგენას იძლევა გრაფიკი 2.

გრაფიკი 2

სასტუმროებისა და რესტორნების წილი საქართველოს ეკონომიკაში 2010 წელს[4]



[3] საქართველო ციფრებში – 2010. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. თბილისი, 2010, გვ. 58.

[4] შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალების საფუძველზე.

2011 წლის 1 მარტის მდგომარეობით, ერთიან სახელმწიფო რეგისტრში რეგისტრირებული იყო სასტუმროებისა და რესტორნების ბიზნესით დაკავებული 5016 ობიექტი, 2003 წლის ბოლოსთან შედარებით (2937 ერთეული) 1,7-ჯერ მეტი. აღნიშნულ ზრდას, ფაქტობრივად, ემთხვევა საქმიანობის ამ სფეროში შექმნილი დამატებული ღირებულების ზრდაც (2010 წელს, 2003 წელთან შედარებით, შესადარ ფასებში - 168,2%). 2010 წლის მდგომარეობით, დარგში შეიქმნა საქართველოში წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტის 2,09% (435,2 მლნ ლარი მიმდინარე ფასებით).

ბიზნესსექტორის მთლიანმა ბრუნვამ ამ სფეროში 2010 წელს, 2003 წლის დონეს 5,3-ჯერ გადააჭარბა და 332 მლნ ლარი (თითქმის 200 მლნ აშშ დოლარი) შეადგინა. შედარებისათვის: მთელი ეკონომიკის ბრუნვა იმავე პერიოდში 4,2-ჯერ, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტი მხოლოდ 1,5-ჯერ გაიზარდა.

სასტუმროებისა და რესტორნების ესოდენ სწრაფი განვითარება ძირითადად მსხვილი ბიზნესის ზრდამ განაპირობა. 2010 წელს მსხვილი საწარმოების მიხედვით ბრუნვა გაიზარდა 7,3-ჯერ, საშუალო ზომის საწარმოების მიხედვით - 3,3-ჯერ, ხოლო მცირე საწარმოების მიხედვით - 3,4-ჯერ. მთლიანი ბრუნვის 71%, მათ შორის სასტუმროების ბრუნვის 74% და რესტორნების ბრუნვის 69% მსხვილ საწარმოებზე მოდის.

სასტუმროებისა და რესტორნების მსხვილი საწარმოების წილად მოდის მთელი დამატებული ღირებულების 77%. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო 7 წლის განმავლობაში მსხვილი ბიზნესის წილი სასტუმროებისა და რესტორნების მთლიან ბრუნვაში 20 პროცენტული პუნქტით (51%-დან 71%-მდე) გაიზარდა, იგი მაინც დაახლოებით 15 პროცენტული პუნქტით ჩამორჩება ანალოგიურ საშუალო მსოფლიო მაჩვენებელს.

2010 წელს საქართველოში სასტუმროებისა და რესტორნების შიგა სტრუქტურისა და განვითარების ძირითადი ინდიკატორების შესახებ იხილეთ გრაფიკი 3.

გრაფიკი 3

სასტუმროებისა და რესტორნების ეკონომიკური მაჩვენებლები 2010 წელს[5]

(პროცენტობით მთლიან ჯამთან)



საქართველოში სასტუმროებისა და რესტორნების სფერო ერთადერთი დარგია, სადაც თითქმის მთლიანად დასრულებულია განსახელმწიფოებრივების პროცესი (2003 წელს სა-

[5] შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალების საფუძველზე.

ხელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი საწარმოების წილად მოდიოდა მთლიანი ბრუნვის 22,2%). ამასთან, ჯერ კიდევ 2009 წლის ბოლოსათვის (უახლოესი მონაცემები არ არსებობს) უცხოელი ფიზიკური და იურიდიული პირების საკუთრებაში არსებულ ობიექტებზე მოდიოდა დარგის მთლიანი ბრუნვის ¼-ზე მეტი.

შრომის მწარმოებლურობა სასტუმროებსა და რესტორნების სფეროში ჯერაც მხოლოდ საშუალო ეროვნული მაჩვენებლის 2/3-ის დონეზეა, ხოლო კაპიტალის მწარმოებლურობა (პროდუქციის გამოშვება 1000 ლარის ძირითად კაპიტალზე) ორჯერ ჩამორჩება საშუალო ეროვნულ მაჩვენებელს (შესაბამისად, 0,6 ათასი ლარი და 1,2 ათასი ლარი).

2010 წლის მონაცემებით, საქართველოს სასტუმროებისა და რესტორნების სფეროში დასაქმებულია 12,6 ათასი კაცი, რომელთა რიცხოვნობა, 2003 წელთან შედარებით, 1,9-ჯერ არის გაზრდილი (მთელს ბიზნესსექტორში დასაქმებულთა რაოდენობა ამავე წელს მხოლოდ 22,7%-ითაა გაზრდილი).

ამჟამად საქართველოში სამეწარმეო საქმიანობით დაკავებული ყოველი 29-ე პირი რესტორნებსა და სასტუმროებშია დასაქმებული (2003 წელს იყო ყოველი 44-ე). შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება 427,8 ლარს შეადგენს, რაც 2003 წლის დონეს (155,5 ლარი) თითქმის 2,8-ჯერ აღემატება. ამასთან, მსხვილი საწარმოების მიხედვით, შრომის საშუალო ანაზღაურება (2010 წლის IV კვარტალის მიხედვით) უკვე თითქმის 12%-ით აღემატება საქართველოს მთელ ეკონომიკაში დასაქმებულთა საშუალო ხელფასს (შესაბამისად, 749,2 ლარი და 664,5 ლარი) და მხოლოდ 7%–ით ჩამორჩება საშუალო ხელფასს ეკონომიკის მსხვილ საწარმოებში (808 ლარი). მთლიანად შრომის ანაზღაურება აღნიშნული სფეროს არასახელმწიფო სექტორში უკვე აღემატება ანაზღაურებას სახელმწიფო სექტორში.

საქართველოში ბიზნესსაქმიანობის ამ სფეროში მხოლოდ ოთხი წლის მანძილზე (2007-2010 წწ.) ჩაიდო 467 მლნ აშშ დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია, ანუ ქვეყანაში შემოსული ყოველი მეათე დოლარი უცხოური ინვესტიცია დაბანდებულ იქნა სასტუმროებსა და რესტორნებში. ეს ინვესტიციები ემსახურება სასტუმროებისა და რესტორნების ქსელის შემდგომ განვითარებას, განსაკუთრებით საქართველოს დედაქალაქში, აჭარასა და საკურორტო ზონებში (ზემო სვანეთი, გუდაური, ანაკლია და ა.შ.). იზრდება სასტუმროებისა და მათში ადგილების რაოდენობა. 2003 წელთან შედარებით, ეს მაჩვენებელი, ფაქტობრივად, გაორმაგდა. ინვესტორებისთვის ქვეყნის ცალკეულ საკურორტო ზონაში, სასტუმროების მშენებლობასთან დაკავშირებით, კანონმდებლობით შესულია ცვლილებები, რომლებიც რიგ საგადასახადო შედავათებს ითვალისწინებს ინვესტიციების განხორციელებისათვის (პირველი 15 წლის განმავლობაში მოგების გადასახადისაგან განთავისუფლებას, 100- და მეტადგილიან სასტუმროს მშენებლობის შემთხვევაში სამორინეს გახსნის უფლების მიცემას მოსაკრებლის გადახდის გარეშე და ა.შ.).

ანალოგიური დატვირთვისაა ის ზომები, რომლებიც მიმართულია დაცული ტერიტორიების ტურისტული ინფრასტრუქტურის გამოყენებისათვის. საქართველოს კანონში „დაცული ტერიტორიების სისტემების შესახებ“ შეტანილი ცვლილებებით, ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონებში, აგრეთვე აღკვეთილის გარკვეულ უბნებზე დაშვებულია ფიზიკური და იურიდიული პირებისა და საქართველოს ვიზიტორთათვის ინფრასტრუქტურის მშენებლობის მიზნით ოპტიმალური ოდენობის მიწის ნაკვეთების, აგრეთვე აქამდე ამ ტერიტორიებზე არსებული ტურისტული ინფრასტრუქტურის სარგებლობაში გადაცემა.*

---

* აქტიური სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა გამოიხატება იმითაც, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ბოლო წლებში მკვეთრად გაიზარდა ტურიზმის სფეროს დაფინანსება. 2011 წლის ბიუჯეტში მისი ოდენობა 16,5-ჯერ აღემატება 2009 წლის მაჩვენებელს (ზრდა, შესაბამისად, 2,9 მლნ ლარიდან 47,2 მლნ ლარამდე). აღნიშნულის გარდა, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი 2011 წელს ითვალისწინებდა 33,0 მლნ ლარს მომსახურებაზე დასვენებისა და სპორტის სფეროში, რაც მაღალ კორელაციაშია საქართველოში ტურისტების, სტუმრების, ვიზიტორების ნაკადის ზრდასა და მათ მიერ სასტუმროებისა

საქართველოში ბოლო წლებში უცხოელმა ინვესტორებმა შეიძინეს მანამდე მოქმედი სასტუმროები და მოახდინეს მათი რებრენდინგი, ან თავად აწარმოებენ ახალი სასტუმროების მშენებლობას.

მიუხედავად ამისა, საქართველო ყოველ 100 ათას მცხოვრებზე სასტუმრო ადგილების რაოდენობით მნიშვნელოვნად ჩამორჩება განვითარებულ ქვეყნებს, ხოლო, სასტუმროებსა და ტურისტულ ბანაკებში ვიზიტორთა მიერ გატარებული ღამეების რაოდენობით თითქმის ორჯერ ჩამორჩება ევროკავშირის ანალოგიურ მაჩვენებლებს (ყოველ 1 მლნ მცხოვრებზე გაანგარიშებით, საქართველოზე მოდის 1,7 ათასი, ევროკავშირზე – 3,2 ათასი).[6]

ბოლო წლებში მიღწეული წარმატებების მიუხედავად, ჯერ კიდევ დაბალია სასტუმროებისა და რესტორნების მოქმედი ქსელის გადახალისებასა და თანამედროვე სტანდარტების დონეზე უზრუნველყოფაში ადგილობრივი რესურსების ხვედრითი წონა.

2011 წლის 1 მარტის მდგომარეობით, საქართველოს საბანკო სექტორის მიერ გაცემული კრედიტების მთლიანი მოცულობის მხოლოდ 1% (60,7 მლნ ლარი) მოდის სასტუმროებისა და რესტორნების სექციაზე.[7] აღნიშნული კრედიტების თანაფარდობა საქმიანობის მოცემულ სფეროში განხორციელებულ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან მხოლოდ 7%-ია. ამ დარგში შექმნილი ყოველი მილიონი ლარის დამატებული ღირებულების შექმნაზე მოდის ქვეყნის საბანკო სექტორიდან გაცემული მხოლოდ 140 ათასი ლარის სესხი, რაც მშენებლობის ანალოგიურ მაჩვენებელს ჩამორჩება 3,2-ჯერ, ვაჭრობისას – 4,4-ჯერ, ხოლო მთლიანად ეროვნული ეკონომიკის მაჩვენებელს – 2-ჯერ და მეტად.

მიუხედავად სასტუმროებისა და რესტორნების მაღალი კომერციული მიმზიდველობისა, ყოველწლიურად ზარალით ამთავრებს საქმიანობას ყოველი მეოთხე-მეხუთე ობიექტი, რაც ამ სფეროში მენეჯმენტისა და მარკეტინგის განვითარების არასაკმარის დონეზე მიუთითებს.

ამასთან, სასტუმროებისა და რესტორნების მთელი ბრუნვის 4/5-ზე მეტი კონცენტრირებულია თბილისსა და აჭარის რეგიონში (შესაბამისად, 72% და 12%). მათზე მოდის ამ სფეროში დასაქმებული ყოველი ათიდან 7 კაცი.

საქართველოს სასტუმროებისა და რესტორნების ეკონომიკური მიმზიდველობა და პოტენციალი, ამ სფეროში ინვესტიციების მოზიდვა სულ უფრო მზარდ როლს შეასრულებს ქვეყანაში არსებული დასაქმების მწვავე პრობლემის გადაწყვეტასა და ეროვნული მეურნეობის დინამიკურ განვითარებაში.

და რესტორნების მომსახურების მიღებაზე. იმავე მიმართულებით მუშაობს სახელმწიფოს მრავალმილიონიანი ინვესტიციები ცალკეული დასახლებული პუნქტების, ისტორიული უბნების რეაბილიტაციისა და გზების მშენებლობაზე, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ღონისძიებებზე და ა.შ.

[6] მონაცემები EV27-ზე იხილეთ: Eurostat Newsrelease, №26, 22. 02. 2010.

[7] საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემები.

XX თავი

ვაჭრობა

ვაჭრობის ალტერნატიული პოლიტიკის ფორმირება საქართველოში. დამოუკიდებლობის მოპოვების პირველსავე წლებში საქართველო დიდი ეკონომიკური სიძნელეების წინაშე აღმოჩნდა. ქვეყნის ეკონომიკის კრიზისიდან გამოსაყვანად, ადაპტირების მიზნით, აუცილებელი გახდა ეკონომიკური პოლიტიკის წარმართვა „ღია ეკონომიკურ სივრცეში". საბჭოთა პერიოდისათვის დამახასიათებელი ცენტრალიზებული ურთიერთობების მოშლის შედეგად საქართველომ დამოუკიდებლად დაიწყო ახალ სავაჭრო პარტნიორებთან ურთიერთობების დამყარება. საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების (საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი და ა.შ.) დახმარებით მან შეძლო მოეხდინა საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია.

საქართველომ, როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის შემადგენელმა ნაწილმა, მემკვიდრეობით მიიღო მოძველებული ტექნოლოგიები, საერთაშორისო ბაზრებისათვის არაკონკურენტუნარიანი წარმოება. პოსტკომუნისტური ქვეყნები, ძირითადად კი რუსეთი, ჯერ კიდევ რჩებოდა საქართველოში წარმოებული საქონლის ერთადერთ პოტენციურ ბაზრად. ძვირადღირებული და დაბალი ხარისხის საქონლის წარმოება არ აძლევდა შესაძლებლობას განევითარებინა ახალი სავაჭრო კავშირები და ქართულ პროდუქციას შეეღწია საერთაშორისო ბაზრებზე. წარმოების დაბალი ტექნოლოგიური დონე და ინვესტიციების სიმწირე რუსეთის ბაზრებზე დამოკიდებულებას აძლიერებდა. 2005 წლამდე რუსეთი რჩებოდა საქართველოს პირველ სავაჭრო პარტნიორად.

საგარეო-ეკონომიკური კავშიურთიერთობების მოშლა საქართველოს სამრეწველო-სავაჭრო კომპანიებს უბიძგებდა გაეღრმავებინათ ინტეგრაციიის პროცესები დამოუკიდებელ სახელწმიფოთა თანამეგობრობის (დსთ) ქვეყნებთან. თუმცა ისიც იყო ცხადი, რომ საქართველოს და სხვა პოსტკომუნისტურ ქვეყნებს შეეძლოთ მდგომარეობის გამოსწორება იმ შემთხვევაში, თუ ისინი აირჩევდნენ თანამედროვე დასავლურ ორიენტაციას და ევროპა გახდებოდა მათი პარტნიორი. მაგრამ რამდენად მზად იყო საქართველოს ეკონომიკა მონაწილეობა მიეღო ევროპასთან ინტეგრაციის პროცესში? 90-იან წლებში ამ კითხვაზე პასუხი ცალსახად უარყოფითი იყო. ევროპის ბაზართან ინტეგრირება მოითხოვდა შიგა ინვესტიციების დეფიციტის აღმოფხვრას. ის გარემოება, რომ საქართველოში იწარმოებოდა "ტრადიციული" პროდუქცია და პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან სავაჭრო კავშირები გრძელდებოდა, ფაქტობრივად, ხელს უწყობდა დაბალი ხარისხის პროდუქციისათვის გასაღების ბაზრების სიცოცხლისუნარიანობის გახანგრძლივებას, თუმცა, მეწარმეების მხრივ ზეწოლა იყო ხელისუფლებაზე, რათა გადაწყვეტილიყო ვაჭრობასთან დაკავშირებული ურთულესი პრობლემები.

დასავლეთ ევროპის ბაზრებთან ინტეგრაცია დაისახა როგორც საქართველოს ეკონომიკის განვითარების სტრატეგიული მიზანი, პარალელურად კი ვაჭრობაში არსებული კავშირები შენარჩუნდა, რაც გულისხმობდა ძველებურად ღვინისა და ციტრუსების წარმოებისთვის რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობების განმტკიცებას, ჩაის წარმოებისთვის შუა აზიის ქვეყნებთან კავშირების გაღრმავებასა და ა.შ. ეს, გარკვეულწილად, ინერტულს ხდიდა გადამმუშავებელი და მრეწველობის სხვა დარგების განვითარებას. საქართველო კვლავინდებურად რესურსების მიმწოდებელს წარმოადგენდა.

ეკონომიკის განვითარების მოტივით ქვეყანაში იზრდებდა მოთხოვნა ადგილობრივი მეწარმეების მხრიდან, დაცული ყოფილიყო შიგა ბაზარი დიფერენციული საბაჟო ტარიფე-

ბითა და გადასახადების შემცირებით, მაშინ როდესაც საერთაშორისო ორგანიზაციები მოითხოვდა კვოტების სისტემის აღმოფხვრას, თავისუფალი სავაჭრო პოლიტიკის თანმიდევრულ განხორციელებასა და კონკურენციის ხელშეწყობას. ყოველივე ამას დადებითი ზემოქმედება უნდა მოეხდენა ახალი ტექნოლოგიების დანერგვაზე, ხარისხის გაუმჯობესებასა და წარმოების ხარჯების შემცირებაზე. ეჭვი იმის შესახებ, რომ საქართველოში საერთაშორისო კონკურენციის განვითარება ქმნიდა რისკებს და შეაფერხებდა ეროვნული ეკონომიკის განვითარებას, საკმაოდ დიდი იყო. ამ მოტივით, საქართველოში წარმოიშვა დიფერენციულ საბაჟო ტარიფებზე მოთხოვნა. ამ პოზიციას ამტკიცებდა ის მოსაზრება, რომ საქართველოს ეკონომიკას სჭირდებოდა მხარდაჭერა, რადგან შიგა სამეწარმეო ფასები იყო შედარებით მაღალი, ვიდრე იგივე იმპორტირებული საქონლის ფასი, ამიტომ ადგილობრივი საქონელი არ იყიდებოდა და მისი წარმოება არახელსაყრელი ხდებოდა; ზოგიერთ საქონელზე მაღალი საბაჟო ტარიფის დაწესება კი გამოიწვევდა იმპორტზე ფასების გაზრდას, რაც ხელს შეუწყობდა ადგილობრივი წარმოების საქონლის კონკურენტუნარიანობის ამაღლებასა და რეალიზაციას. ამით გაიზრდებოდა სახელმწიფოს შემოსავალი და შემცირდებოდა უმუშევრობის დონე. ადგილობრივი წარმოების დაცვის გარეშე კი საწარმოები გაკოტრდებოდა, გაიზრდებოდა უმუშევრობა და შემცირდებოდა მოსახლეობის მსყიდველობითი უნარი.

პროტექციონიზმის პოლიტიკის საწინააღმდეგო არგუმენტები ემყარებოდა იმ მოსაზრებას, რომ საქართველოში ეკონომიკის ყველა დარგი ერთნაირად მძიმე მდგომარეობაში იყო და საჭიროებდა მხარდაჭერას. ფაქტობრივად, ეს ნიშნავდა ტოტალურ პროტექციონიზმს, რომელიც, გარდა იმისა, რომ შეზღუდავდა იმპორტიდან მიღებულ შემოსავლებს, ვერ უზრუნველყოფდა ფასების სტაბილურობას, ინფლაციის მოთოკვას და შეაფერხებდა იმ სარგებლობას, რომელიც საქართველოს შეეძლო მიეღო საერთაშორისო კონკურენციიდან. ამასთან, ასეთი პოლიტიკა აუცილებლად გამოიწვევდა კომერციული ბანკების კრედიტებზე მოთხოვნის ზრდას, შესაბამისად, საპროცენტო განაკვთების გაზრდას და ცხოვრების დონის დაცემას. დასაქმების ზრდა მხოლოდ ილუზიური გახდებოდა და ხელფასები კვლავინდებურად არასაკმარისი იქნებოდა საარსებო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. იმ შემთხვევაში, თუ პროტექციონისტული პოლიტიკა გავრცელდებოდა მხოლოდ რამდენიმე სელექციურ დარგზე, მაშინ დროთა განმავლობაში იგი ინერციულად სხვა დარგებსაც მოედებოდა. დაბალი ხარისხის საქონელი და მაღალი ხარჯები კვლავინდებურად საქართველოს არაკონკურენტუნარიანობის მაჩვენებლი იქნებოდა, რაც ხელისშემშლელად იმოქმედებდა მოსახლეობის კეთილდღეობაზე. ამასთან, ცხადი იყო, რომ იმპორტზე ხელაღებით სატარიფო რეჟიმის გაუქმებაც ნეგატიურად იმოქმედებდა ეკონომიკაზე.

საქართველოში პროტექციონიზმისა და თავისუფალი ვაჭრობის (ფრიტრედერობის) განვითარების ალტერნატივებს შორის არჩევანის საკითხი ისტორიულია, ჯერ კიდევ XIX საუკუნის 80-იან წლებში წარმოიშვა და ყოველმრხრივ ჰგავდა დღევანდელ საქართველოს პრობლემას. დიდი ქართველი მწერალი ილია ჭავჭავაძე პირველი გამოეხმაურა ამ თემას და უპირატესობა ღია ბაზარს მიანიჭა. იგი აღნიშნავდა, რომ „ქვეყნისათვის, ყველასათვის, ერთნაირად ღია ბაზარი უმჯობესია, იმიტომ, რომ ყოველი კაცისათვის, ისა სჯობია, საშუალება ჰქონდეს, საჭირო საქონელი იქ და იმისგან იყიდოს, საცა და ვისაც უფრო კარგი საქონელი აქვს და უფრო იაფი, ჩემ-შენაობის განურჩევლად“[1], და „ერს ამისგან სიკეთისა და რგების მეტი არა მოსდის რა“.[2] ი. ჭავჭავაძეს შრომის საერთაშორისო დანაწილებაში მონაწილეობა მიაჩნდა საქართველოს განვითარების წარმატების პირობად. მიუხედავად იმისა, რომ იმ პერიოდში ევროპაში პროტექციონისტულ პოლიტიკას უპირატე-

[1] **ჭავჭავაძე ი.** სატამოჟნო პოლიტიკა ევროპაში, ფრიტრედერობა და პროტექციონიზმი. თხზ. ტ. 7. თბილისი, „სახელგამი“, 1956, გვ. 322.
[2] იქვე, გვ. 321.

სობას ანიჭებდნენ, ილიას სიტყვებით, იგი იყო „მეცნიერებისაგან – ანდერძაგებული და დაწუნებული“.[3]

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველოში ეროვნული ეკონომიკის დაცვას ძირითადად „ინდუსტრიული ელიტის“ წარმომადგენლები მოითხოვდნენ, რომლებიც პრივატიზების შედეგად გახდნენ საწარმოების მესაკუთრენი და ცდილობდნენ დაეცვათ თავიანთი არაკონკურენტუნარიანი წარმოება. ამ მიზნით, მათთვის მისაღები იყო მაღალი საბაჟო გადასახადები იმპორტირებულ საქონელზე, დაბალი გადასახადები ადგილობრივი ნედლეულის ექსპორტზე, ხოლო საბოლოო მოხმარების საქონლის ექსპორტი განთავისუფლებულიყო გადასახადებისაგან. ამასთან, ეს მიდგომა გულისხმობდა იმპორტზე კვოტირებისა და ლიცენზირების სისტემის შემოღებას და აქციზის დიფერენცირებას ექსპორტსა და იმპორტზე, მეტიც, პროტექციონისტული პოლიტიკის ზოგიერთი მომხრე მოითხოვდა ცალკეული საქონლის (მაგალითად, სასმელების) იმპორტის აკრძალვას საქართველოში გარკვეული პერიოდით[4]. ხელისუფლების ოფიციალური პირები (ძირითადად ეკონომისტები), საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების (მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი) პოზიციებზე დაყრდნობით, მოითხოვდნენ იმპორტზე დაბალი საბაჟო გადასახადების დაწესებას, ექსპორტსა და იმპორტზე აქციზის გათანაბრებასა და მომავალში ექსპორტის გადასახადებისაგან განთავისუფლებას.[5]

ამ პერიოდში გაჩნდა მოსაზრება, რომ საერთაშორისო გამოცდილების თანახმად, საქართველოსთვის ყველაზე მისაღები იქნებოდა ერთიანი დაბალი სატარიფო ქსელის გამოყენება იმპორტირებულ საქონელზე. საქართველოს ეკონომიკაში თავისუფალი ვაჭრობის განვითარება არ უნდა დაწყებულიყო ნულოვანი ტარიფების დაწესებით იმპორტზე, რადგან იგი გაამწვავებდა საბიუჯეტო პრობლემებს და ხელს ვერ შეუწყობდა ადგილობრივი წარმოების განვითარებას.[6]

საქართველოს მთავრობის 1992 წლის მაისის დადგენილების საფუძველზე, პირველად დადგინდა ექსპორტ-იმპორტის შემდეგი გადასახადები: ექსპორტზე – ხელშეკრულების ღირებულების 8%-ის ოდენობით, იმპორტზე – კონტრაქტის ღირებულების 2%-ის ოდენობით, საქონლის გაცვლისას – კონტრაქტის ღირებულების 20%-ის ოდენობით. 1994 წელს აღნიშნული სისტემა შეიცვალა, ექსპორტი განთავისუფლდა გადასახადებისაგან და დაწესდა საბაჟო გადასახადი იმპორტზე 12%-ის ოდენობით. 1996 წელს საქონლის გაცვლით ოპერაციებზე, ისევე როგორც იმპორტზე, დადგენილ იქნა გადასახადი 12%-ის ოდენობით.

1992-1996 წლებში დაიწყო იმპორტზე ძველი შეზღუდვების გაუქმება და ახალი შეზღუდვების დაწესება. ლიცენზირებული და აკრძალული იმპორტირებული საქონლის ჯგუფებში მოხდა ცვლილებები. 1995 წელს გაუქმდა კვოტირების სისტემა. თანდათანობით შემცირდა ექსპორტირებადი აკრძალული საქონლის ჩამონათვალიც. ეს იყო ოპტიმალური სავაჭრო ბარიერების ძიების პერიოდი.

რეფორმირების ამ ეტაპზე საქართველოში თანდათანობით ხდებოდა ლიბერალური სავაჭრო რეჟიმისათვის წინაპირობების შექმნა, თუმცა, პერიოდულად გადაიდგმებოდა პროტექციონისტული ნაბიჯებიც. პროტექციონიზმი გარკვეულ ფისკალურ ეფექტს იძლეოდა სახელმწიფოსთვის და მოჰქონდა მოგება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოებისათვის, მაგრამ მას მნიშვნელოვანი წვლილი არ შეჰქონდა ეკონომიკურ ზრდაში და იგი მძიმე ტვირთად აწვებოდა მომხმარებლებს.

---

[3] **ჭავჭავაძე ი.** სატამოჟნო პოლიტიკა ევროპაში, ფრიტრედერობა და პროტექციონიზმი. თხზ. ტ. 7. თბილისი, „სახელგამი“, 1956, გვ. 323.

[4] პროტექციონიზმის ამ ფორმას ხატოვნად „საბაზრო სტალინიზმი“ უწოდეს (იხ. **Papava V., Beridze T.** Industrial Policy and Trade Regime in Georgia. “Eurasian Studies”, 1996-1997, #4, p. 70).

[5] იქვე, გვ. 69-70.

[6] იქვე, გვ. 72-73.

სავაჭრო ურთიერთობების ინსტიტუციური საფუძვლები. საქართველოში ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკის განვითარების ინსტიტუციური პირობა შექმნა საქართველოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (მსო) გაწევრიანებამ. 1996 წლის 26 ივნისს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის გენერალური საბჭოს სხდომაზე საქართველოს მიენიჭა მსო-ის დამკვირვებლის სტატუსი. 1996 წლის ივლისში საქართველოს მხარემ ოფიციალურად განაცხადა აღნიშნული ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრის სტატუსის მიღების სურვილი, რაც, ფაქტობრივად, თავისუფალი და ლიბერალური სავაჭრო რეჟიმის ფორმირებისაკენ გადადგმული პოლიტიკური ნაბიჯი იყო. მსო-ის გენერალურმა საბჭომ საქართველოს გაწევრიანების საკითხზე სამუშაოდ ჩამოაყალიბა წევრი ქვეყნების სამუშაო ჯგუფი. სრულუფლებიანი წევრის სტატუსის მიღებისათვის დაწესებული პროცედურის შესაბამისად, 1997 წლის მარტში მსო-ის სამდივნოს ოფიციალურად გადაეგზავნა "მემორანდუმი საქართველოს საგარეო ვაჭრობის რეჟიმის შესახებ".

მსო-ში გაწევრიანების მსვლელობის პროცესში გატარდა მრავალი საკანონმდებლო ცვლილება, რათა მომხდარიყო საქართველოს კანონმდებლობის მაქსიმალური ჰარმონიზაცია მსო-ის მოთხოვნებთან. გაუქმდა ექსპორტ-იმპორტის კვოტირება (შენარჩუნდა მხოლოდ მეტად შეზღუდული ნომენკლატურის სპეციფიკურ საქონელზე ექსპორტის ან იმპორტის აკრძალვა). იგივე შეეხო ლიცენზირებას, გაუქმდა საგარეო-სავაჭრო კონტრაქტების რეგისტრაციის მოთხოვნა, შემცირდა აქციზური საქონლის ჩამონათვალი და სააქციზო განაკვეთები, იმპორტზე ტარიფის განაკვეთები დაწესდა საბაჟო ღირებულებიდან 12 ან 5%-ის ოდენობით. ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით გაუქმდა საბაჟო გადასახადი ექსპორტზე, აგრეთვე დაწესდა რიგი შეღავათები საწარმოო დანიშნულების საქონლის იმპორტზე. ამგვარმა ლიბერალურმა სისტემამ წინაპირობები შექმნა საქართველოს მსო-ში გასაწევრიანებლად.

1999 წლის 6 ოქტომბერს მსო-ის გენერალურმა საბჭომ მოიწონა სამუშაო ჯგუფის მოხსენება და ხელი მოეწერა მსო-ის დამფუძნებელ მარაკეშის შეთანხმებაზე საქართველოს მიერთების ოქმს. 2000 წლის 20 აპრილს საქართველოს პარლამენტმა რატიფიკაცია გაუკეთა მსო-ში საქართველოს გაწევრიანების ოქმს და 2000 წლის 14 ივნისიდან საქართველო გახდა მსო-ის სრულუფლებიანი 137-ე წევრი. საქართველომ აიღო ვალდებულებები, რომლებიც შეეხებოდა ფართო სპექტრის საკითხებს: სამეწარმეო საქმიანობისა და ექსპორტ-იმპორტის ლიცენზირებას, საგადასახადო სისტემას, სტანდარტიზაცია-სერტიფიკაციას, სანიტარულ და ფიტოსანიტარულ ზომებს, სუბსიდიების გამოყენებას, ინტელექტუალური საკუთრების ვაჭრობასთან დაკავშირებულ ასპექტებსა და ა.შ. მნიშვნელოვანი იყო საქართველოს ბმული ტარიფების ცხრილთან მიერთება.* საქართველო გაწევრიანების დღიდან ვალდებული იყო მოქმედი ტარიფი მოეყვანა "ბმულის" მოთხოვნებთან შესაბამისობაში – დაეწესებინა მის, ან შედარებით უფრო დაბალ, სასაქონლო პოზიციებზე. სადაც ბმული ტარიფის დონე მოქმედზე მაღალი იყო, საქართველოს უფლება ჰქონდა აეწია საიმპორტო ტარიფი ბმულის დონემდე, თუ ამას მიზანშეწონილად მიიჩნევდა.

ტარიფთა მაღალი დონეები გაწევრიანებისას შეთანხმებულ იქნა ძირითადად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე (ალკოჰოლური სასმელები, ხილის წვენები, თამბაქო და ა.შ.), აგრეთვე მცირე რაოდენობის სამრეწველო პროდუქციაზე (სამშენებლო მასალები, მსუბუქი მრეწველობის ნაწარმი და ა.შ.). ზოგიერთ პროდუქციაზე ბმული ტარიფები მომდევნო 5-6 წლის განმავლობაში თანდათანობით შემცირდა.

საქართველო მიუერთდა "სექტორალური ინიციატივების" უმრავლესობას, რომლებიც ითვალისწინებდა წევრი-ქვეყნების მიერ ტარიფების ჰარმონიზაციას გარკვეული პროდუქ-

* ბმული ტარიფების ცხრილები წარმოადგენს საქონლის იმპორტზე საბაჟო ტარიფის იმ მაქსიმალური განაკვეთების ჩამონათვალს, რომელთა გამოყენების უფლება აქვს საქართველოს მსო-ის წევრებისგან დამატებითი თანხმობის მიღების გარეშე.

ტების მიმართ (თევზის რეწვის პროდუქტები, ზეთები, მედიკამენტები, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, ქიმპროდუქტები და ა.შ.). აღნიშნული ინიციატივები მოიცავდა ფართო სპექტრის პროდუქციას, რომლის იმპორტის გაიაფება თვით საქართველოს მეწარმეთა და მომხმარებელთა ინტერესებში იყო (მაგალითად, საინფორმაციო ტექნოლოგიები, მედიკამენტები, მანქანა-მოწყობილობები, სხვადასხვა სახის ნედლეული, შუალედური პროდუქცია და ა.შ.).

ამასთან, საქართველომ გამორიცხა "სექტორალური ინიციატივებიდან", მაგალითად, მზესუმზირის ზეთი, ზოგიერთი მცენარეული პრეპარატი და ა.შ., რათა დაეცვა ამ სახეობის პროდუქციის ადგილობრივ მწარმოებელთა ინტერესები.

2002 წლის 6 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი "საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე", რომლის მიხედვით მოქმედი ტარიფი გაუტოლდა 2003 წლისათვის საქართველოს ბმული ტარიფების განაკვეთებს. აღნიშნულით ძირითადად შესრულდა საქართველოს ვალდებულებები სატარიფო სფეროში, ამასთან, განხორციელდა მოქმედი ტარიფის მნიშვნელოვანი დიფერენცირება (საბაჟო ღირებულების 0-დან 30%-მდე დიაპაზონში). მომსახურებით ვაჭრობაში სპეციფიკური ვალდებულებებით გათვალისწინებული შეზღუდვების სფეროში მომსახურების 12 სექტორიდან 11-ში დაფიქსირდა შეუზღუდავი რეჟიმი, რის შედეგადაც შეიქმნა უფრო ლიბერალური რეჟიმი, ვიდრე სხვა ქვეყნებს ჰქონდათ. ამან კი საფუძველი მისცა ქვეყანას დოჰას* განვითარების რაუნდში მიმდინარე მოლაპარაკებებზე დაეფიქსირებინა პოზიცია, რომ გაწევრიანების პროცესში აღებული ვალდებულებები აძლევდა მას საკმარის საფუძველს, რათა ამ ეტაპზე თავი შეეკავებინა ახალი, დამატებითი ვალდებულებების აღებისგან.

საქართველოს გაწევრიანებას მსო-ში მოჰყვა დადებითი ძვრები:

- აშშ-მა საქართველოს მიანიჭა უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი მუდმივ ბაზაზე, შემდგომ კი – განზოგადებულ პრეფერენციათა სისტემის (GSP) ბენეფიციარის სტატუსი. აღსანიშნავია, რომ 2002 წლიდან GSP-ის შეღავათები საქართველოზე სხვა ქვეყნებმაც გაავრცელეს. საქართველომ მიიღო უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი 148 წევრი-ქვეყნის ბაზარზე, რაც ნიშნავდა, რომ საქართველოდან იმპორტირებულ საქონელს მათ ბაზრებზე ექმნებოდა არანაკლები ხელშეწყობის რეჟიმი, ვიდრე სხვა ქვეყნების საქონელს ჰქონდა. სხვა უპირატესობებთან ერთად, ეს გამოიხატებოდა წევრი ქვეყნების მიერ საიმპორტო ტარიფების შემცირებაშიც;
- საქართველოს ინტერესები საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში დაცული იქნა მსო-ის დავების მოგვარების მრავალმხრივი მექანიზმებით. საქართველოს საშუალება მიეცა აქტიურად ჩართულიყო მოლაპარაკებათა ახალი "განვითარების რაუნდში", რათა უკეთ წარმოეჩინა და დაეცვა თავისი ეკონომიკური ინტერესები;
- საქართველოს მსო-ში გაწევრიანებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას.

სავაჭრო პოლიტიკის განვითარება. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასთან აღებული ვალდებულებების შესაბამისად საქართველოში განხორციელდა რეფორმები, რომლებიც მიზნად ისახავდა რეორგანიზაციას, ლიბერალიზაციასა და სავაჭრო რეგულირების გამარტივებას. რეფორმები განსაკუთრებით ინტენსიური გახდა 2003 წლის შემდეგ. ინსტიტუციური ცვლილებების შედეგად კიდევ უფრო გაძლიერდა საქართველოს კავშირი გარე სამყაროსთან, გამარტივდა ექსპორტ-იმპორტის პროცედურები, შემცირდა გადასახადები, სატარიფო და არასატარიფო რეგულირება, განხორციელდა სავაჭრო ურთიერთიებების დივერსიფიცირება თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულებების დადებით რეგიონულ და მთავარ

* მსო-ის ფარგლებში გამართული მოლაპარაკებები გაიმართა 2001 წელს ყატარის დედაქალაქ დოჰაში.

სავაჭრო პარტნიორებთან, გაუმჯობესდა საინვესტიციო გარემო, შემცირდა თავისუფალი კონკურენციის ბარიერები საბაჟოს, ლიცენზირებისა და ნებართვების, საკუთრების რეგისტრაციის გამარტივებით, შეიცვალა შრომის რეგულირება, გაუმჯობესდა კრედიტებზე ხელმისაწვდომობა. რეფორმები ითვალისწინებდა სატარიფო და არასატარიფო ბარიერების გაუქმებას ვაჭრობაში, კონკურენტუნარიანი საბაზრო პირობების ჩამოყალიბებასა და ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესებას, საერთაშორისო ვაჭრობის დივერსიფიცირებას, ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობასა და განვითარებას.

2006 წელს საქართველოს მთავრობამ მიიღო ახალი საბაჟო კოდექსი, რის საფუძველზე გაუქმდა ადრე არსებული მრავალი ბიუროკრატიული ბარიერი. ამან ხელი შეუწყო ექსპორტ-იმპორტის გაზრდას ქვეყანაში. საბაჟო კოდექსით შესაძლებელი გახდა 16 სახის საბაჟო გადასახადის 3-მდე შემცირება. მანამდე 0-დან 30%-მდე მოქმედი საბაჟო ტარიფების ნაცვლად, შემოღებულ იქნა ახალი ტარიფები 0,5 და 12%-ის ფარგლებში. 30%-იანი საბაჟო ტარიფი შემცირდა 12%-მდე, ხოლო 12%-იანი ტარიფი – 5%-მდე. საბაჟო გადასახადი გაუქმდა იმპორტული საქონლის თითქმის 90%-ზე (გარდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების პროდუქციისა და სამშენებლო მასალებისა).

დღეს საქართველოს აქვს ყველაზე დაბალი სატარიფო განაკვეთები. მისი საშუალო შეწონილი პრიორიტეტული ქვეყნის (MFN)[7] ტარიფი შეადგენს 1,4%-ს, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე – 8,3%-ს, ხოლო არასასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე – 0,3%-ს,[8] მაშინ როდესაც 2006 წელს საშუალო შეწონილი პრიორიტეტული ქვეყნის (MFN) ტარიფი შეადგენდა 7%-ს, მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე – 11,5%-ს, ხოლო არასასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე – 6,4%-ს.[9]

ამჟამად საქართველოს აქვს ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური ეკონომიკური რეჟიმი, გამარტივებული სავაჭრო პროცედურები, არ არსებობს რაოდენობრივი შეზღუდვა ვაჭრობაში და სატარიფო კვოტები. არ არსებობს არასატარიფო შეზღუდვებიც, გარდა იმისა, რაც ეხება ჯანმრთელობის დაცვას, უსაფრთხოებასა და გარემოს საკითხებს. საქონლის რაოდენობა, რომელიც ექვემდებარება არასატარიფო შეზღუდვებს, მთელი ნომენკლატურის დაახლოებით 1%-ს შეადგენს[10]. ლიცენზირება მოეთხოვება მხოლოდ 8 დასახელების პროდუქციას.

1. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, არ არსებობს სატარიფო ბაჟი ექსპორტსა და რეექსპორტზე. ექსპორტი განთავისუფლებულია დამატებული ღირებულების გადასახადისაგან. საქართველოში არ გამოიყენება მინიმალური საექსპორტო ფასები და დისკრიმინაციული საექსპორტო სუბსიდიები.

2. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საბაჟო ადმინისტრაცია გამშვები პუნქტების მოდერნიზაციისა და საბაჟო დეპარტემენტის ცენტრალური და რეგიონული სტრუქტურების რეორგანიზაციის შედეგად. ახალმა საბაჟო კოდექსმა გაამარტივა საბაჟო რეგულირება და მოახდინა მისი ოპტიმიზაცია, ამასთან, ნაცვლად 15 საბაჟო რეჟიმისა, მხოლოდ 7 დატოვა. საბაჟო გადასახადი საქართველოს საზღვრების გადაკვეთისას საქონლის ღირებულების 0,2%-ს შეადგენს. ეს ღონისძიებები განხორციელდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გახდა საბაჟო გამშვებ პუნქტებში კორუფციის შემცირების მნიშვნელოვანი ფაქტორი. 2008 წელს დაიწყო რისკ-მენეჯმენტის სისტემის დანერგვა. პარალელურად შემოღებულ იქნა ჰარმონიზებული სისტემის ახალი კოდი.

3. დღეს საქართველოში აღარ არის პრობლემა ადმინისტრაციული ხასიათის დოკუმენტების მიღებაზე. მათი გაკეთება შესაძლებელია ძალიან მცირე დანახარჯებით და სწრა-

[7] MFN- Most Favored Nation.
[8] Statistics database, World Trade Organization; http://www.wto.org/english/thewto_e/countries_e/georgia_e.htm
[9] იქვე.
[10] Trade Policy Review. Report By Georgia. WTO. WT/TPR/G/224, 3 November 2009. (09-5397). p.10; http://www.wto. org/english/tratop_e/tpr_e/tp324_e.htm

ფად. ნებისმიერ კომპანიას შეუძლია აიღოს იგი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან სამი დღის ვადაში, მაშინ როდესაც ადრე მის აღებას მთელი თვე სჭირდებოდა.

4. თავისუფალი სავაჭრო რეჟიმი პარტნიორ ქვეყნებთან. 1994 წლიდან საქართველოს აქვს თავისუფალი სავაჭრო რეჟიმი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) ქვეყნებთან. ეკონომიკური ურთიერთობები მათთან რეგულირდება მრავალმხრივი ხელშეკრულებებით "თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ". ყველა თანამეგობრობის ქვეყანამ, რუსეთისა და უზბეკეთის გარდა, მოახდინა ამ ხელშეკრულების რატიფიკაცია. იგი დაედო საფუძვლად ქვეყნების ორმხრივ თანამშრომლობას. საქართველოს ორმხრივი ხელშეკრულება აქვს დადებული თანამეგობრობის შვიდ ქვეყანასთან: რუსეთთან, აზერბაიჯანთან, თურქმენეთთან, უკრაინასთან, ყაზახეთთან, მოლდავეთთან და უზბეკეთთან. ხელშეკრულება უზბეკეთთან არ არის რატიფიცირებული. მიუხედავად იმისა, რომ 2009 წლიდან საქრთველო არ არის თანამეგობრობის წევრი ქვეყანა, არსებული ხელშეკრულებები კვლავ ძალაში დარჩა.

საქართველოს საგარეო ვაჭრობის მთავარი მიმართულება ევროკავშირია. მასთან კოოპერაციის განვითარებისთვის როგორც ვაჭრობის, ისე პოლიტიკის, გარემოს დაცვისა და კულტურის სფეროებში საქართველომ მიიღო პარტნიორობისა და კოოპერაციის შესახებ შეთანხმება (PCA), ხოლო 2006 წლის ნოემბერში – სამოქმედო გეგმა ევროპასთან სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში (ENPAP), რომელიც ითვალისწინებს ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობების განვითარებას. მის გაგრძელებას წარმოადგენს მზადება ევროპასთან თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულების დასადებად, რომლის პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულების (DCFTA) შესახებ მოლაპარაკება დაიწყო.[11]

2008 წლიდან, პარტნიორობის პროგრამის (EaP) ფარგლებში, ევროპის მხრიდან გაძლიერდა რეფორმების მხარდაჭერა საქართველოსთან, ასევე (სომხეთთან, აზერბაიჯანთან, მოლდოვასთან და უკრაინასთან). ეს პროგრამა გულისხმობს დახმარებას ეკონომიკური, ინსტიტუციური და სოციალური გარემოს გაუმჯობესების სფეროში, ევროპასთან სტაბილური და ორმხრივი სასარგებლო ურთიერთობების დასამყარებლად.[12]

საქართველო 1999 წლიდან არის ევროპასთან პრეფერენციული სისტემის (GSP) ბენეფიციარი, რომელმაც საფუძველი დაუდო საქართველოს საექსპორტო პროდუქციის საბაჟო გადასახადებისგან განთავისუფლებას, 2006 წლიდან კი იგი ამ სისტემის მეორე დონის – მდგრადი განვითარებისა და საუკეთესო მმართველობის სპეციალური გეგმის (Special Incentive Arrangement for Sustainable Development and Good Governance (GSP+) ბენეფიციარი გახდა. ეს სისტემა უზრუნველყოფს პრეფერენციულ ტარიფებს საქართველოდან ექსპორტირებულ პროდუქციაზე ევროკავშირის ქვეყნებში. იგი მოიცავს 7200 დასახელების პროდუქტს, რომელთა ექსპორტიც ევროკავშირში განთავისუფლებულია საბაჟო გადასახადებისაგან. პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმით საქართველო სარგებლობს აგრეთვე კანადასთან, აშშ-თან, იაპონიასთან, შვეიცარიასა და ნორვეგიასთან ვაჭრობისას.

საქართველოს 2006 წლიდან პრეფერენციული რეჟიმით სარგებლობაზე (GSP+) ხელშეკრულება აქვს დადებული თურქეთთანაც. ევროკავშირის ქვეყნებთან ვაჭრობის ანალოგიურია თურქეთთან ვაჭრობის სქემა. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ თურქეთთან ვაჭრობისას ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით ვაჭრობა სატარიფო კვოტირებას ექვემდებარება.

---

[11] Trade Policy Review. Report By Georgia. WTO. WT/TPR/G/224, 3 November 2009. (09-5397). p.11; http://www.wto.org/english/tratop_e/tpr_e/tp324_e.htm

[12] Eastern partnership: Communication from the European Commission to the European Parliament and the Council," COM(2008) 823, December 3, 2008. http://ec.europa.eu/external_relations/eastern/docs/com08_823_en.pdf

ვაჭრობასა და ეკონომიკური თანამშრომლობის სხვა მიმართულებებზე საქართველოს აქვს დადებული ორმხრივი ხელშეკრულებები 46 ქვეყანასთან. მნიშვნელოვანია ისიც, რომ უახლოეს მომავალში ხელშეკრულება გაფორმდება ევროკავშირთან სასოფლო-სამეურნეო და კვების პროდუქტებზე გეოგრაფიული დასახელების დაცვის შესახებ.

საქართველო შეუერთდა მრავალმხრივ სავაჭრო ხელშეკრულებებს და საერთაშორისო კონვენციებს, მათ შორისაა: პარიზის კონვენცია სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ; მადრიდის ხელშეკრულება სავაჭრო მარკის რეგისტრაციის შესახებ; პატენტების შესახებ დაცვის ხელშეკრულება; ვენის კონვენცია გაყიდვებზე და საქონლის შესყიდვებზე კონტრაქტის შესახებ და ა.შ.

საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება აქვს დადებული გუამის GUAM (Georgia, Ukraine, Azerbaijan and Moldova) ორგანიზაციაში შემავალ ქვეყნებთან (უკრაინა, აზერბაიჯანი, მოლდოვა). ეს ხელშეკრულება უაღრესად ლიბერალურია და არ გულისხმობს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმიდან არავითად გამონაკლისს.

2007 წლიდან საქართველოს აქვს ორმხრივი სასარგებლო ურთიერთობა აშშ-თან ვაჭრობისა და ინვესტირების ჩარჩოებში დადებული ხელშეკრულების ფარგლებში (TIFA), რომელიც ითვალისწინებს იმ ბარიერების გაუქმებას, რაც არსებობს საქართველოსა და აშშ-ს შორის ვაჭრობისა და ინვესტიციების განხორციელების გზაზე. 2009 წელს ხელი მოეწერა აშშ-საქართველოს ხელშეკრულებას სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ და დღის წესრიგში დადგა თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულების დადების მიზანშეწონილობაც.

საქართველო არის შავი ზღვის ეკონომიკური კოოპერაციის (BSEC) წევრი, რომელიც მხარს უჭერს თანამშრომლობას ვაჭრობისა და ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა სფეროში. ყველა ეს ხელშეკრულება მიზნად ისახავს ისეთი გარემოს ფორმირებას, რომელიც ხელს შეუწყობს ვაჭრობასა და ბიზნესსაქმიანობას, ვაჭრობიდან მაქსიმალური სარგებლობის მიღებასა და ქვეყნის კეთილდღეობის ზრდას.

საშინაო ვაჭრობა. ვაჭრობას საქართველოს ეკონომიკის რეალურ სექტორში ერთ-ერთი მნიშვნლოვანი ადგილი უკავია. მისი წილი მშპ-ში განუხრელად იზრდება, რაც გარდამავალი პერიოდის ქვეყნებისათვის საერთო დამახასიათებელი მოვლენაა. მრეწველობისა და ეკონომიკის სხვა დარგების დაქვეითების გამო ვაჭრობა დასაქმების ერთ-ერთი ძირითადი სფერო გახდა. 90-იან წლებში ჩამოყალიბებული ეს ტენდენცია გრძელდება დღემდე.

ვაჭრობა განსაკუთრებით სწრაფად გაიზარდა 2003-2010 წლებში (7,9-ჯერ), მაშინ როდესაც ამავე პერიოდში მშპ მხოლოდ 1,65-ჯერ გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ თუ 2000-2004 წლებში ვაჭრობაში გამოშვება მცირედით ჩამორჩებოდა ეკონომიკაში მთლიანი გამოშვების ზრდის ტემპებს, 2004 წლის შემდეგ მდგომარეობა პირიქით შეიცვალა.

მართალია 2009 წელს, წინა წელთან შედარებით, ვაჭრობა შემცირდა 26%-ით, ხოლო მშპ – 16,3%-ით, რაც 2008 წლის მოვლენებით, ასევე ავტომობილებითა და საწვავით ვაჭრობის შემცირებით იყო განპირობებული, მაგრამ 2010 წელს უკვე ზრდამ 28,1% შეადგინა, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტი 14,1%-ით გაიზარდა.

საბითუმო ვაჭრობას უკავია ვაჭრობის თითქმის 60%, ხოლო საცალო ვაჭრობის ნახევარი ავტომობილებსა და საწვავით ვაჭრობაზე მოდის, რაც განპირობებულია როგორც ამ პროდუქტებზე ფასების შედარებით სწრაფი ზრდით, ისე სამხრეთ კავკასიაში საქართველოს როლით საავტომობილო მანქანებით ვაჭრობაში.

2000-2010 წლებში საქართველოში საშინაო ვაჭრობის შესახებ იხილეთ ცხრილი 1.

ცხრილი 1

საშინაო ვაჭრობის მაჩვენებლები 2000-2010 წლებში[13]

(%-ობით)

წელი	**სულ**	**ავტომობილებითა და საწვავით ვაჭრობა**	**საბითუმო ვაჭრობა და ვაჭრობა აგენტების საშუალებით, ავტომობილებითა და მოტოციკლებით ვაჭრობის გარდა**	**საცალო ვაჭრობა, ავტომობილებითა და მოტოციკლებით ვაჭრობის გარდა**	**ვაჭრობის ჯაჭვური ინდექსი (ბრუნვა) (2000=100)**
2000	100	11,8	54,0	33,7	100
2001	100	13,8	58,7	27,1	97,0
2002	100	12,0	64,7	22,9	107,3
2003	100	13,5	58,1	28,0	134,2
2004	100	13,8	59,5	26,3	185,1
2005	100	18,8	57,2	23,8	280,8
2006	100	19,4	58,8	21,4	377,3
2007	100	22,0	57,8	20,0	532,3
2008	100	24,2	54,6	20,9	645,5
2009	100	16,7	62,2	20,8	668,2
2010	100	20,0	59,2	20,7	783,6

აღსანიშნავია, რომ თუ 2009 წელს, 2000 წელთან შედარებით, აქტიური მოსახლეობის რაოდენობა შემცირდა 2,9%-ით და დასაქმებულთა რაოდენობა – 9,9%-ით. ამავე პერიოდში დასაქმება ვაჭრობაში 1,6-ჯერ გაიზარდა, მათ შორის ავტომობილებისა და საწვავით ვაჭრობაში – 2-ჯერ, საბითუმო ვაჭრობასა და ვაჭრობაში აგენტების საშუალებით (ავტომობილებითა და მოტოციკლებით ვაჭრობის გარდა) – 3,9-ჯერ, ხოლო დასაქმება საცალო ვაჭრობაში, ავტომობილებითა და მოტოციკლებით ვაჭრობის გარდა, შემცირდა 50,9%-ით. ეს გარემოება, საცალო ვაჭრობის მაღალელასტიკურობასთან ერთად, საბითუმო ვაჭრობის სტაბილურ და მზარდ ტენდენციაზე მეტყველებს.

ექსპორტ-იმპორტის განვითარების დინამიკა. საქართველოში 2003 წლის შემდგომ პერიოდში ინსტიტუციურმა რეფორმებმა ხელი შეუწყო ქვეყნის სავაჭრო ბრუნვის გაფართოებას, თუმცა, ვაჭრობის განვითარებაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა რუსეთის ემბარგომ, 2008 წლის აგვისტოში საომარმა მოქმედებებმა და 2008 წლის გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა. მიუხედავად ამისა, 2003-2010 წლებში სავაჭრო ბრუნვა 5,2-ჯერ აღემატებოდა 1996-2003 წლების შესაბამის მაჩვენებელს (იხ. გრაფიკი 1).

ვაჭრობის ლიბერალიზაციის, სავაჭრო ბარიერების გაუქმებისა და თავისუფალი და პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმების დამყარების შედეგად განსაკუთრებით სწრაფად გაიზარდა იმპორტი. 2003-2010 წლებში იგი 4,7-ჯერ აღემატებოდა 1996-2003 წლების დონეს. ამის შედეგად საქართველოს საგადასახდელო ბალანსი დარჩა მაღალი მაკროეკონომიკური რისკების მატარებელი. იგი განსაკუთრებით გაუარესდა ბოლო წლებში. თუ 1996-2003 წლებში იმპორტი აღემატებოდა ექსპორტს 3-ჯერ, 2003-2010 წლებში იგი გაიზარდა 3,6-მდე. მთლიანობაში 2003-2010 წლებში სავაჭრო დეფიციტი გაიზარდა 5,1-ჯერ, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი კი – 2,9-ჯერ.

[13] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალები.

საქართველოს სავაჭრო ბრუნვა 1996-2010 წლებში (მლნ აშშ დოლარი)



საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა მუდმივად მზარდი ტენდენციით ხასიათდება. მართალია, 2008 წლის აგვისტოში საომარი მოქმედებებებისა და გლობალური ფინანსური კრიზისის შედეგად, 2009 წელს 29,5%-ით შემცირდა სავაჭრო ბრუნვა, მაგრამ 2010 წელს იგი კვლავ გაიზარდა და 6678,8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2009 წლის მაჩვენებელს 21,4%-ით აღემატება. ამავე დროს სავაჭრო დეფიციტი 3512,1 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 8,6%-ით აღემატება და საგარეო ვაჭრობაში დეფიციტის ზრდის ტენდენცია კვლავ გაგრძელდა. სავაჭრო ბრუნვაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მსოფლიო ფასები, რომლებიც 2008-2010 წლებში განსაკუთრებული რყევებით გამოირჩეოდა.

ტრადიციულად, საქართველოს მთავარი საექსპორტო პროდუქციაა კვების პროდუქტები (მინერალური წყლები, ღვინო, თხილი, ციტრუსები, ხილი) და სამრეწველო პროდუქცია (შავი და ფერადი ლითონები, მინერალური სასუქები, ალუმინი, ოქრო, ჯართი და სხვ.). საქართველოს ძირითად საიმპორტო საქონელს შეადგენს გაზი და ნავთობპროდუქტები, მანქანის ნაწილები, სატრანსპორტო საშუალებები, მარცვლეული, კვების პროდუქტები, მედიკამენტები და ა.შ. საინტერესოა საგარეო ვაჭრობის ძირითადი სასაქონლო ჯგუფების დინამიკა 2000-2010 წლებში (იხ. ცხრილი 2).

90-იან წლებში, ვიდრე 2005 წლამდე მთავარი საექსპორტო პროდუქციის პირველ ხუთეულში შედიოდა შავი ლითონების ჯართი, ახალი ან გამხმარი კაკალი, ფეროშენადნობები, ყურძნის ნატურალური ღვინო, ძვირფასი ლითონების მადანი და კონცენტრატები, აზოტის სასუქები, ხოლო იმპორტის ძირითადი ჯგუფის პირველ ხუთეულში შედიოდა ნავთობი და ნავთობპროდუქტები, ნავთობის აირები, მედიკამენტები, სიგარები და სიგარეტები, აგრეთვე მსუბუქი ავტომობილები.

ცხრილი 2

საქართველოს საგარეო ვაჭრობის ძირითადი სასაქონლო ჯგუფები[14]

ექსპორტი (100%)	**2000**	**2001**	**2002**	**2003**	**2004**	**2005**	**2006**	**2007**	**2008**	**2009**	**2010**
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
ფეროშენადნობები	4,2	5,5	4,5	5,7	6,6	9,3	9,6	13,0	17,9	11,5	16,7
ნარჩენები და შავი ლითონების ჯართი	12,1	10,4	10,6	13,0	14,8	9,7	7,7	7,9	8,6	5,6	6,9
ოქრო დაუმუშავებელი, ნახევრადდამუშავებული ან ფხვნილის სახით	0,0	3,9	8,3	4,4	2,9	4,0	5,3	5,6	6,7	10,2	5,4
სასუქები მინერალური ან ქიმიური, აზოტოვანი	5,0	1,5	3,5	4,0	4,4	4,1	5,0	4,6	7,1	5,3	4,6
მადნები და სპილენძის კონცენტრატები	3,0	3,0	3,8	5,1	4,9	4,2	8,5	6,4	7,9	5,5	4,5
ნარჩენები და სპილენძის ჯართი	1,3	2,4	1,3	1,9	1,3	1,3	3,2	3,0	2,0	1,7	2,6
ყურძნის ნატურალური ღვინოები	8,9	10,2	9,6	9,2	7,5	9,4	4,4	2,4	2,5	2,8	2,5
ელექტროენერგია	2,2	3,8	1,8	1,0	0,0	0,4	0,3	1,3	1,2	1,8	2,3
მინერალური წყლები	2,9	3,7	5,0	4,3	3,0	3,8	2,6	2,1	2,1	2,2	1,9
სამკურნალო საშუალებები	1,6	1,3	0,9	0,6	0,4	0,4	0,9	1,4	1,6	2,1	1,9
ნედლი ნავთობი და ნავთობპროდუქტები, მიღებული ბიტუმოვანი მინერალებისაგან	3,9	3,0	1,9	2,7	1,5	2,7	2,7	2,3	1,6	1,9	1,9
ცემენტი	0,1	0,2	0,0	0,0	0,7	2,0	3,1	5,2	5,4	2,0	0,4
იმპორტი (100%)	**2000**	**2001**	**2002**	**2003**	**2004**	**2005**	**2006**	**2007**	**2008**	**2009**	**2010**
ნავთობი და ნავთობპროდუქტები	10,1	11,7	11,2	9,2	10,1	13,5	12,1	10,7	12,1	12,7	13,6
მსუბუქი ავტომობილები	2,2	1,7	2,8	4,1	6,3	7,2	8,0	7,1	11,2	5,8	6,1
სამკურნალო საშუალებები	6,5	7,1	7,8	5,5	4,2	3,7	3,1	2,8	3,0	4,0	3,7
ხორბალი და მესლინი	4,1	1,9	2,5	2,5	4,1	1,8	2,7	2,7	1,7	2,4	3,4
ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები	7,1	6,5	6,6	5,8	4,3	3,7	5,8	5,6	3,2	3,5	2,6
შაქარი	3,6	3,2	4,4	4,6	2,8	3,1	1,8	1,7	1,0	1,2	1,5

[14] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალები.

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
სიგარები, სიგარილები და სიგარეტები თამბაქოს ან მისი შემცვლელებისაგან	4,1	2,5	2,4	1,8	1,5	0,6	0,6	0,7	1,0	1,3	1,6
გამომთვლელი მანქანები და მათი ბლოკები	0,7	0,8	0,7	0,6	0,9	0,9	1,3	1,5	1,5	0,9	1,0
მზესუმზირის ზეთი	0,5	0,4	0,4	0,3	0,9	0,9	0,6	0,6	0,7	0,7	0,9
შოკოლადი და კაკაოს შემცველი კვების სხვა მზა პროდუქტი	0,3	0,4	0,7	0,9	1,1	1,0	0,9	0,8	0,8	1,0	0,9

ამ პერიოდში რუსეთი იყო საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორი. 2005 წლიდან რუსეთის მიერ ემბარგოს შემოღების შედეგად, მასთან სავაჭრო ურთიერთობები გაუარესდა. რუსეთის მიერ საქართველოდან სასოფლო-სამეურნეო და კვების პროდუქტების ექსპორტის აკრძალვისა და სატრანსპორტო კავშირების ბლოკირების შემდეგ საქართველოს საგარეო სავაჭრო მიმართულებები შეიცვალა. თურქეთი გახდა საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორი. გაიზარდა აზერბაიჯანისა და უკრაინის მონაწილეობა საგარეო ვაჭრობაში. შეიცვალა ექსპორტის სტრუქტურაც და კვების პროდუქტებმა, ძირითადად კი ყურძნის ღვინომ, დაკარგა რეალიზაციის მნიშვნელოვანი ბაზარი.

2010 წელს ექსპორტირებულ საქონელს შორის ფეროშენადნობები ტრადიციულად პირველ ადგილს იკავებს. მეორე პოზიციაზეა შავი ლითონების ჯართი, რომლის ხვედრითი წონა ექპორტში მართალია, 2000 წელთან შედარებით, თითქმის 2-ჯერ შემცირდა, მაგრამ კვლავ მნიშვნელოვან რესურს წარმოადგენს. მესამე პოზიციაზეა ოქრო, რომელზეც საერთაშორისო ფასების ზრდამ 2009 წელს განაპირობა მისი ექსპორტის 16,1%-ით წლიური ზრდა, თუმცა, 2010 წელს იგი შემცირდა 27,8%-ით, რაც გამოწვეული იყო ამ საქონელზე ფასების ზრდის სტაბილიზაციით.

ბოლო წლებში საგარეო ვაჭრობაში აღინიშნებოდა გარკვეული პოზიტიური ტენდენციები. კერძოდ, განუხრელად იზრდებოდა ელექტროენერგიისა და მედიკამენტების ექსპორტის წილი, რაც ამ დარგებში ფასების ზრდის ერთ-ერთი შედეგია.

2010 წელს 10 ყველაზე მსხვილი საექსპორტო პროდუქციის წილმა მთლიან ექსპორტში 51,5% შეადგინა, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველო უწინდებურად დამოკიდებულია რამდენიმე პროდუქტის ექსპორტზე და კონცენტრირებულია ტრადიციულ დარგებზე. ამ მხრივ, დადებითი მოვლენა იყო ექსპორტში ახალი პროდუქტების – ჩაის, ელექტროსაქონლის, სამედიცინო მოწყობილობების, მინერალური წყლებისა და ა.შ. წილის გაზრდა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში იმპორტში იზრდება ხორბლის, მზესუმზირის ზეთის, შაქრისა და თამბაქოს ნაწარმის ხვედრითი წონა, რაც სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის განვითარების დაბალ დონესა და მათი პროდუქციის დაბალკონკურენტუნარიანობაზე მეტყველებს.

2000-2010 წლებში საქართველოს მთავარი პარტნიორების შესახებ საგარეო ვაჭრობაში (პირველი 10 პარტნიორი ქვეყნის მიხედვით) იხილეთ ცხრილი 3.

ცხრილი 3

საქართველოს მთავარი პარტნიორები ექსპორტსა და იმპორტში 2000-2010 წლებში[15]

(%-ობით)

ექსპორტი (100%)	**2000**	**2001**	**2002**	**2003**	**2004**	**2005**	**2006**	**2007**	**2008**	**2009**	**2010**
თურქეთი	23,0	22,0	15,5	17,9	18,3	14,1	13,2	13,9	17,6	19,9	13,6
აზერბაიჯანი	6,2	3,1	8,4	3,6	3,9	9,6	9,5	11,2	13,6	14,6	15,4
აშშ	2,2	2,8	3,9	3,3	3,3	3,1	6,2	12,1	6,8	3,3	11,4
სომხეთი	4,2	3,9	5,8	6,7	8,4	4,6	7,9	9,0	8,3	7,8	10,1
უკრაინა	3,4	3,6	3,7	6,5	2,4	4,3	6,1	7,6	9,0	7,4	6,5
კანადა	0,0	0,0	0,0	0,0	0,6	4,1	5,2	5,7	8,8	10,3	5,5
ბულგარეთი	0,7	0,2	0,0	0,0	2,4	5,0	6,6	4,8	7,2	7,3	3,9
ყაზახეთი	1,2	1,4	0,9	0,9	1,2	1,1	1,6	2,8	1,5	1,8	3,0
გერმანია	10,5	2,4	1,6	2,1	2,5	3,3	4,2	4,6	2,2	2,0	2,0
ესპანეთი	0,7	0,6	0,2	1,5	1,5	1,6	1,7	1,2	1,3	1,4	2,1
იმპორტი (100%)	**2000**	**2001**	**2002**	**2003**	**2004**	**2005**	**2006**	**2007**	**2008**	**2009**	**2010**
თურქეთი	15,7	14,2	11,3	9,8	11,0	11,4	14,2	14,0	14,9	18,0	17,4
უკრაინა	5,0	6,8	7,4	7,0	7,7	8,8	8,7	11,0	10,4	9,6	11,0
აზერბაიჯანი	7,9	9,7	10,1	8,2	8,5	9,4	8,7	7,3	9,6	8,6	9,1
ჩინეთი	0,4	0,5	1,1	2,0	1,6	1,9	2,8	4,0	4,7	4,0	6,6
გერმანია	7,8	10,1	7,5	7,3	8,2	8,3	9,6	7,4	7,9	6,9	6,5
რუსეთი	13,1	12,2	15,3	13,9	13,8	15,3	15,1	11,0	6,7	6,5	5,5
აშშ	9,8	8,5	8,7	8,0	6,0	5,9	3,5	3,9	5,7	5,1	3,4
არაბთა გაერთ. ემირატები	1,4	1,1	0,8	1,7	2,5	2,9	3,0	4,1	4,4	2,5	3,1
რუმინეთი	1,9	2,3	0,7	0,9	0,8	1,6	1,1	1,7	1,5	2,6	2,7
იტალია	2,9	5,0	5,3	3,2	3,3	2,6	2,8	2,8	2,9	2,9	2,6

საქართველოს სავაჭრო ბრუნვა განსაკუთრებით სწრაფად იზრდება აშშ-თან. 2005 წლიდან დღემდე აშშ-თან ვაჭრობის საშუალო ყოველწლიური ზრდა 20%-ზე მეტს შეადგენს. დადებითია ის გარემოება, რომ აშშ-თან ვაჭობისას ექსპორტის წილი გაცილებით სწრაფად იზრდება, ვიდრე იმპორტის წილი, თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დღეს 3400 პროდუქციის დასახელებიდან, რომელიც პრეფერენციული სისტემით არის განსაზღვრული, საქართველო აშშ-ში აწარმოებს მხოლოდ 9 დასახელების პროდუქციის ექსპორტს, რაც მთლიანი ექსპორტის 3%-ია (2009 წ.). როგორც ჩანს, საქართველო სრულად ვერ იყენებს პოტენციურ სარგებლობას ვაჭრობიდან. ამასთან, მისი საექსპორტო პროდუქცია ნაკლებად დივერსიფიცირებულია.

საქართველოს საგარეო ვაჭრობის შესახებ ქვეყნების ჯგუფების მიხედვით ნათელ წარმოდგენას იძლევა ცხრილი 4.

[15] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალები.

ცხრილი 4

საქართველოს საგარეო ვაჭრობა ქვეყნების ჯგუფების მიხედვით 2000-2010 წლებში[16]

(%-ობით)

ექსპორტი 100%	**2000**	**2001**	**2002**	**2003**	**2004**	**2005**	**2006**	**2007**	**2008**	**2009**	**2010**
ევროკავშირის ქვეყნები (27)	24,3	19,6	18,3	17,9	19,8	25,0	24,1	21,8	22,4	21,0	18,7
დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნები	39,5	45,4	48,7	48,7	50,6	47,0	41,8	37,5	36,2	36,7	40,7
შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ქვეყნები	60,2	57,2	52,1	54,2	53,1	57,6	53,3	51,5	59,1	61,5	54,6
ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ქვეყნები	51,5	48,5	45,0	46,0	42,0	41,7	41,7	49,7	50,3	46,0	43,9
მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ქვეყნები	55,6	51,4	47,8	49,6	47,3	49,6	52,9	59,5	61,5	58,8	55,4
ექსპორტი - სულ	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100
იმპორტი 100%	**2000**	**2001**	**2002**	**2003**	**2004**	**2005**	**2006**	**2007**	**2008**	**2009**	**2010**
ევროკავშირის ქვეყნები (27)	30,6	35,7	31,6	38,6	35,6	29,8	30,0	29,5	27,9	29,9	28,2
დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) ქვეყნები	32,3	33,6	36,7	32,3	35,4	40,0	38,1	35,5	31,7	28,7	30,4
შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ქვეყნები	49,1	48,7	48,9	43,7	46,2	52,0	53,1	50,9	47,3	51,4	50,7
ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ქვეყნები	55,3	55,9	51,8	54,9	51,3	44,0	46,5	45,3	48,7	50,7	47,0
მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ქვეყნები	64,9	63,6	59,0	64,1	61,1	56,3	56,9	58,8	61,7	64,9	60,9
იმპორტი - სულ	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100

2000 წელთან შედარებით, ბოლო წლებში საქართველოს ექსპორტ-იმპორტის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან შემცირდა, რაც განპირობებულია ევროკავშირის ახალ წევრ ქვეყნებში არასატარიფო მოთხოვნების გაზრდით. 2010 წელს ევროკავშირთან სავაჭრო ბრუნვამ შეადგინა 25,9%, ევროკავშირიდან საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებია: გერმანია, ბულგარეთი, იტალია და რუმინეთი.

ევროკავშირში საქართველოს ძირითადი საექსპორტო პროდუქტებია თხილი, ამონიუმის ნიტრატი, არაალკოჰოლური სასმელები, ღვინის ძმარი, იზოტოპები და ფერადი ლითონები. 2007 წლიდან კი ხდება ისეთი პროდუქტების ექსპორტი, როგორიცაა მწვანილი, თაფლი და ევკალიპტის ფოთლები.

[16] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალები.

დღეს საქართველო ვაჭრობს 132 ქვეყანასთან. სავაჭრო ბრუნვა დსთ-ის ქვეყნებთან შემცირდა და 2010 წელს 32,8% შეადგინა, მაშინ როდესაც 2005 წელს იგი 42,7%-ს შეადგენდა. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრ ქვეყნებთან ექსპორტ-იმპორტის წილი საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში ყველაზე მაღალია და სტაბილურად შეადგენს 60%-ს.

საქართველოში თავისუფალი სავაჭრო რეჟიმის ფორმირებამ გავლენა მოახდინა ადგილობრივი საწარმოების კონკურენტუნარიანობაზეც. მან შექმნა მათი რესტრუქტურიზაციის სტიმულები, რათა მეწარმეებს უფრო მოქნილად მოეხდინათ საბაზრო მოთხოვნის ცვლილებებზე რეაგირება. მაგრამ თავისუფალი სავაჭრო რეჟიმი თანაბრად სარგებლიანი ვერ აღმოჩნდა ადგილობრივი საწარმოებისათვის. უთანასწორო კონკურენცია განაპირობა იმანაც, რომ ზოგიერთი პარტნიორი ქვეყანა მისდევს პროტექციონისტულ პოლიტიკას. მაგალითად, ცნობილია, რომ თურქეთი არის საქართველოში მარცვლეულის მთავარი იმპორტიორი (უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში მარცვლეული შედის ხუთ ძირითად საიმპორტი პროდუქციის რიცხვში). მარცვლეულის წარმოებას ასტიმულირებს თურქეთის მთავრობა ამ დარგის სუბსიდირების გზით. ეს კი აძლევს მას საშუალებას საქართველოში დემპინგური ფასებით გაყიდოს თავისი პროდუქცია. ამის შედეგად ადგილობრივი მწარმოებელთა კონკურენტუნარიანობა მცირდება. 2000-2009 წლებში საქართველოში მარცვლეულის იმპორტი გაიზარდა 4-ჯერ, მაგრამ 2006-2009 წლებში ამ სექტორში დამატებული ღირებულება გაიზარდა მხოლოდ 38%-ით. ამასთან, რიგ დარგებში იმპორტი ჩაენაცვლა ადგილობრივ პროდუქციას. ამის მაგალითია საფეიქრო მრეწველობის პროდუქციის სრული გამოდევნა იმპორტირებული ნაწარმით (თავისუფალ ვაჭრობასთან ერთად ადგილობრივი ეკონომიკის სტიმულირება აუცილებელია ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად).

ამრიგად, საქართველოს ეკონომიკა ძირითადად ორიენტირებულია იმპორტზე. იმპორტის უპირატესი ზრდა სავაჭრო დეფიციტის ზრდის უმთავრესი მიზეზთაგანია. მართალია, გაჩნდა ახალი საექსპორტო პროდუქტებიც, მაგრამ საქართველო საგარეო ვაჭრობაში წარმოდგენილია ტრადიციული პროდუქტებით და ქართული წარმოების საექსპორტო შესაძლებლობები კვლავინდებურად ჩამორჩება მის პოტენციურ შესაძლებლობებს. ეს მნიშვნელოვნად ზრდის საქართველოს ეკონომიკის დამოკიდებულებას გარე სამყაროზე. ამიტომ საქართველოს საექსპორტო გარემოს გაუმჯობესება დღევანდელობის გადაუდებელი ამოცანაა.

XXI თავი

დარგობრივი კონკურენტუნარიანობის პოლიტიკა

დარგობრივი სტრატეგიის განსაზღვრის ეტაპები. საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენის პირველივე წლებიდან დაწყებულმა რეფორმებმა, მიმართულმა ეკონომიკის ლიბერალიზაციისაკენ, ინსტიტუციური ცვლილებებისა და სტაბილიზიციისაკენ, გარკვეულ ეტაპზე დადებითი შედეგი გამოიღო. ზოგიერთ წლებში ეკონომიკური ზრდის ტემპი 9-11%-საც კი აღწევდა.[1] პრივატიზაციამ, ფასების კონტროლის მოხსნამ, ვაჭრობის ლიბერალიზაციამ, ინფლაციის დაბალმა დონემ, მკაცრმა მონეტარულმა და ფისკალურმა პოლიტიკამ გარკვეულწილად ეკონომიკური სტაბილიზაციის შედეგი მოიტანა. „ვარდების რევოლუციის" შემდეგ კი საქართველომ დაიმკვიდრა ყველაზე რეფორმატორული ქვეყნის რეპუტაცია მსოფლიოში. თუმცა რეალობა რამდენადმე განსხვავებულია იმ მითებისგან, რომლებიც შეიქმნა აშკარა პროგრესის ფონზე[2]. ამ პროგრესმა საქართველოში არ გამოიწვია ის „ეკონომიკური სასწაული", რომელიც უკვე ათწლეულების განმავლობაში მიმდინარეობს ჩინეთში, ტაივანში, სამხრეთ კორეაში, სინგაპურში, თავის დროზე ადგილი ჰქონდა ირლანდიაში, მალაიზიაში, ამჟამად კი ახალი დაწყებულია ინდოეთში, ბრაზილიაში. „სასწაული" გამოიხატება იმაში, რომ ეს ქვეყნები სტაბილურად ინარჩუნებენ მაღალ ეკონომიკური ზრდის ტემპებს და ამას მიაღწიეს ახალი, ამ ქვეყნებში მანამდე არარსებული დარგების შექმნითა და გლობალურ ბაზარზე ინტეგრირებული კომპანიების, დარგებისა და ეკონომიკური რეგიონების/კლასტერების ჩამოყალიბებით. შეიძლება ითქვას, რომ გლობალურ ეკონომიკაში ინტეგრირება მათი წარმატების ძირითადი მიზეზია. ამ პროცესმა განვითარებად ქვეყნებს სერიოზული „სოციალური შვებაც" მოუტანა: მაგალითად, ინდოეთისა და ჩინეთის სიმდიდრე ბოლო ათი წლის განმავლობაში ორჯერ გაიზარდა, რამაც მილიონობით ადამიანი სიღარიბიდან გამოიყვანა[3].

ბევრი განვითარებადი ქვეყნის მთავრობა ამაოდ ცდილობს ისეთი პოლიტიკის გატარებას, რომელიც ძლიერ ბიძგს მისცემდა ქვეყნის ეკონომიკას. ამ ქვეყნების უმეტესობამ განიცადა ფიასკო ისეთი ინსტიტუციური რეფორმების გატარებაში, როგორიცაა სახელმწიფოს მართვის გაუმჯობესება, კორუპციასთან ბრძოლა, სასამართლო რეფორმა ანუ ისინი წარუმატებელნი იყვნენ რეფორმების სიის იმ ჩამონათვალში, რომელიც უშუალოდ უკავშირდება „ვაშინგტონის კონსესუსს". ამავდროულად ამ სტანდარტული რეფორმების ჩამონათვალის განხორციელებამ, უნივერსალური რეცეპტებივით რომ იყო გამოწერილი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ, არ მოუტანა მსგავსი წარმატებები არც ლათინური ამერიკის, არც აფრიკისა და არც პოსტსაბჭოურ ქვეყნებს.

„ვაშინგტონის კონსესუსის" მიდგომების წარუმატებლობამ აიძულა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები შეეტანათ ცვლილებები თავიანთ აზროვნებაში*.

---

[1] www.data.worldbank.org http://data.worldbank.org/country/georgia

[2] **V. Papava**, Myths about the Georgian Economy, Democrarcy & Freedom Watch, October 18, 2011, http://dfwatch.net/myths-about-the-georgian-economy-11211.

[3] Catching up is so very hard to do."The Economist", Sept. 24th-30th 2011.

* სამი წლის წინ მსოფლიო ბანკმა სთხოვა ნობელის პრემიის ლაურეატს მაიკლ სპენსს, რომ ეთავა ძალზე ავტორიტეტული, სპეციალურად შექმნილი ეკონომიკური ზრდის კომისიის ხელმძღვანელობა, რომელიც გადახედავდა ამ მიდგომებს და შექმნიდა ახალ კონცეფციას. ასე შეიქმნა „ეკონომიკური ზრდისა და განვითარების" სპენსის კომისია, რომლის საბოლოო მოხსენება 2008 წლის მაისში გამოქვეყნდა.

ცნობილი ეკონომისტის, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორის დანი როდრიკის შეფასებით, ახალი პოლიტეკონომიური აზროვნება აგნოსტიკურად უდგება აღნიშნულ საკითხს: ქვეყნებს არ სთავაზობს წინასწარ შედგენილ პროგრამებს. ჰიპოთეზა მდგომარეობს შემდეგში: ღარიბი ქვეყნების ეკონომიკა მრავალი სისუსტით ხასიათდება, ამიტომ მარტივი პრობლემების მოგვარებასაც კი შეუძლია შესამჩნევი განსხვავების მოტანა. ახლებურ მიდგომას ცალსახად დიაგნოსტიკური ხასიათი აქვს და, აქედან გამომდინარე, უფრო ზუსტად უმიზნებს ეკონომიკის მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემებსა და წინააღმდეგობებს. ყოვლისმომცველი რეფორმების გატარებას იგი უპირისპირებს „პოლიტიკურ ექსპერიმენტირებასა“ და შედარებით უფრო ზუსტ მიზანმიმართულ ინიციატივებს. ეს არის სპენსის დამსახურება, – აღნიშნავს დანი როდრიკი, – მან მოახერხა და თავი აარიდა როგორც საბაზრო, ისე ინსტიტუციურ ფუნდამენტალიზმს. იმის მაგივრათ, რომ სახელმწიფოს იოლი ტიპის გზები შეეთავაზებინა, კერძოდ, „აცალეთ ბაზარი დაარეგულირებს ყველაფერს“, ან „სახელმწიფო გამართულად უნდა იმართებოდეს“, ის სწორად უსვამს ხაზს იმას, რომ თითოეული ქვეყანა თვითონ უნდა ადგენდეს რეცეპტების ნაკრებს. უცხოელი ეკონომისტები და საერთაშორისო დახმარების სააგენტოები კი მას მხოლოდ ინგრედიენტებით უნდა ამარაგებდნენ, რეცეპტი კი ქვეყნის მიერ უნდა იყოს შემუშავებული (პერეფრაზირება ჩვენია – ნ.ა.)[4].

განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკა აქამდე მიმართული იყო ინვესტირებისთვის მიმზიდველი გარემოს შექმნისკენ, იმის მოლოდინით, რომ წარმოებაში ინვესტიციების ჩადებით ეკონომიკური ზრდა თავისით მოხდებოდა. ახლა ეს საკმარისად არ მიაჩნიათ და განვითარებად ქვეყნებს შორის გაჩნდა უფრო ღრმა ეკონომიკური ინტერვენციების სურვილი, განსაკუთრებით საექსპორტო დარგების განვითარების მიზნით. თანამედროვე გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმაც ისე გაამწვავა ქვეყნებში ახალი სამუშაო ადგილების შექმნის პრობლემა, რომ მთავრობები ეძებენ ამ პრობლემის სწრაფად გადაჭრის გზებს.

ეკონომიკური განვითარების საკითხებზე მომუშავე აკადემიური წრეების წარმომადგენლებიც თანდათან თანხმდებიან იმაზე, რომ განვითარებად ქვეყნებში მთავრობას უფრო მნიშვნელოვანი როლი უნდა ეჭიროს, როგორც ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობსა და წამახალისებელი პოლიტიკის გამტარებელს[5]. მართალია, არ არსებობს თანხმობა დარგების მიმართ დისკრიმინაციული პოლიტიკის გატარებაზე და ლაპარაკია ინტერვენციებზე, რომლებიც ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის დივერსიფიკაციას მოახდენს, მაგრამ უკვე მისაღებია ის აზრი, რომ ერთი და იგივე ზომებს ხშირად განსხვავებული ძალისა და ტიპის ზემოქმედება შეუძლია მოახდინოს დარგებზე. აქედან გამომდინარე, დარგობრივი პოლიტიკა ინდივიდუალურ მიდგომას მოითხოვს. ეკონომიკური ეფექტიანობის თვალსაზრისით, პირველ რიგში, იმ დარგზე უნდა მოხდეს ორიენტირება, რომელიც ნაკლები რესურსებით მაქსიმალურ შედეგს მოუტანს ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას (პარეტოს პრინციპი). „ეკონომიკური ზრდის მუხრუჭები დისპროპორციულადაა დაკავშირებული ეკონომიკური ზრდის პრობლემებთან... საკითხი მდგომარეობს იმაში, თუ რომელს აქვს არაპროპორციულად უფრო მჭიდრო კავშირი და რომელი მუხრუჭის შესუსტებით მიიღება ყველაზე დიდი შედეგი მასში ჩადებული ძალისხმევიდან“[6].

---

[4] **Rodrik D.** Spence Christens a New Washington Consensus. July, 2008; “The Economists” voice., Vol.5., issue 3, article 4. http://www.bepress.com/ev/vol5/

[5] **Lin J.Y., Monga C.** Growth Identification and Facilitation: The Role of the State in the Dynamics of Stratctural Change. WB Policy Research Working Paper, 2010; **Spence M.** The Next Convergence, The Future of Economic Growth in a Multispeed World. New York. Farrar, Straus and Giroux, 2011; **Rodrik D.** One Economics Many Recipes. Globalization, Institutions and Economic Growth, Princeton University Press. Princeton and Oxford, 2009.

[6] **Hausmann R., Kinger B., Wagner R.** Doing Growth Diagnostics in Practice: A mindbook. CID Working Paper. Harvard University, 2008.

კერძო სექტორის განვითარება უდავოდ არის სიღარიბის დაძლევის ძირითადი გზა საქართველოში. ადამიანებისთვის სამუშაოს პოვნა ან საკუთარი ბიზნესის დაწყება ნიშნავს სიღარიბიდან ამოსვლის გზაზე დადგომას. და თუ ისე მოხდა, რომ მათ საშუალო ან მაღალანაზღაურებადი და იმავდროულად სტაბილური სამსახური იშოვეს, ან შეძლეს საკუთარი ბიზნესის გაფართოება და მაღალრისკიანი მდგომარეობიდან გამოყვანა, ეს იმის მაჩვენებელია, რომ ეკონომიკა იზრდება და მდგრადობის ნიშნებს იძენს. სამწუხაროდ, საქართველოს ძალზე მცირე ზომის ბაზარი აქვს, რაც ბიზნესს დიდ რისკს უქმნის, არ აძლევს გაფართოების საშუალებას და არამიმზიდველს ხდის ინვესტირებისთვის. გამოსავალი საექსპორტო დარგების განვითარებაშია, ანუ იმ დარგებისა, რომლებიც იქმნება კონკურენტულ საერთაშორისო ბაზარზე. დღეს საქართველოში არსებული საექსპორტო დარგების ძალზე მცირე ჩამონათვალი არ ქმნის საკმარის მოთხოვნას შრომით რესურსებზე, ნედლეულსა და მომსახურებაზე.

მსოფლიოში კარგად არის ცნობილი ქვეყნისთვის ახალი დარგების შექმნის წარმატებული მაგალითები: ელექტრონიკის ახალი დარგის შექმნა და განვითარება მალაიზიასა და სინგაპურში, საავტომობილო ნაწილების წარმოება და ავტომობილების აწყობა მაროკოში, ცენტრალურ თუ აღმოსავლეთ ევროპაში, საინფორმაციო ტექნოლოგიების კლასტერების შექმნა ინდოეთში, ესტონეთსა და ბელარუსში, სამხრეთაფრიკული და არგენტინული ღვინის შემოჭრა ბაზრებზე, ორაგულის – ჩილედან და ა.შ. ყველა ამ წარმატებაში მთავრობას მნიშვნელოვანი როლი ეჭირა, მაგრამ ამ მაგალითების გამეორება სხვა ქვეყნებისთვის საკმაოდ რთული აღმოჩნდა. ცნობილია განვითარებადი ქვეყნების ბევრი წარუმატებელი მაგალითიც, როდესაც მთავრობა ამაოდ ცდილობდა ტრადიციული დარგების წახალისებასა და ახალი დარგების შექმნას.

ამ თავში განხილულია ის, თუ რატომ ხდება, რომ დარგის აღორძინებაზე ან, თუნდაც, ინდუსტრიულ პარკებზე გაღებული თანხები ან დაწესებული საგადასახადო შეღავათები, წარმოშობენ არაკონკურენტუნარიან მონსტრებს, რომლებიც, იმის მაგივრად რომ გააძლიერონ ეკონომიკური ზრდა, პირიქით, აფერხებენ მას.

რატომ არის ერთი ქვეყანა ან ერთი რომელიმე ქვეყნის ესა თუ ის დარგი უფრო კონკურენტუნარიანი, ვიდრე მეორესი? როგორ უნდა მოხდეს შერჩევა იმ დარგის (ან უნდა მოხდეს კი საერთოდ?), რომლის მიმართაც განხორციელდება წამახალისებელი პოლიტიკა და მოხდება სახელმწიფო თანხების ოპტიმალური გადანაწილება?

დარგობრივ პოლიტიკაზე მსჯელობის დროს ყოველთვის ამოსავალ წერტილად მიიჩნევენ ამ დარგის ტრადიციულ ხასიათს, ან კიდევ, დარგის განვითარებისათვის არსებულ ბუნებრივ რესურსებს. მაგრამ თუ დარგი არ არის კონკურენტუნარიანი, მთავარი მამოძრავებელი და კრიტიკული ფაქტორების თვალსაზრისით, შესაძლოა რომ მისი მდიდარი ბუნებრივი რესურსების პირობები არ აღმოჩნდეს საკმარისი, რომ შეიქმნას ეკონომიკისთვის მნიშვნელოვანი დამატებული ღირებულება. ამისათვის საჭიროა იმის გაგება, თუ რა არის კონკურენტუნარიანობა და მისი ძირითადი მაფორმირებელი ძალები.

კონკურენტუნარიანობის ზუსტი განმარტება ეკონომიკურ ლიტერატურაში არ არსებობს, მაგრამ დარგობრივი კონკურენტუნარიანობა, როგორც წესი, განიმარტება როგორც დარგის მდგრადი ზრდის უნარი, რომლის მიღწევა შესაძლებელია ორი გზით: 1. დარგობრივი მწარმოებლურობის ზრდით ან/და 2. დასაქმების ზრდით. დარგის ზრდაში კი ვგულისხმობთ მასში დამატებული ღირებულების ზრდას. კონკურენტუნარიან დარგში კომპანიები პერმანენტულად აუმჯობესებენ მწარმოებლურობის მაჩვენებლებს როგორც ტექნოლოგიური, ისე მენეჯერული ინოვაციების შემოღებით, ამასთან, ბაზარს უფრო ხარისხიან ან უფრო იაფ პროდუქციას (მომსახურებას) აწვდიან, რითაც ზრდიან მოთხოვნას. ფაქტორები კი, რომლებიც მოქმედებს დარგის კონკურენტუნარიანობაზე, განსხვავდება დარგების მიხედვით. ამიტომ ეკონომიკური ზრდისკენ მიმართული პოლიტიკა და სტრატეგია უნდა ეყრდნობოდეს ცალკეული დარგის განვითარების სტრატეგიას, რომლის შემუშავება შესაძლებელია მხოლოდ ცალკეული დარგის კონკურენტუნარიანობის ფაქტორთა ანალიზის შემდეგ.

განვიხილოთ ოთხი ეტაპი, რომელთა მიხედვითაც უნდა მოხდეს შერჩეულ დარგში კონკურენტუნარიანობის სტრატეგიის განსაზღვრა*.

პირველ ეტაპზე კეთდება დარგის ანალიზი გლობალურ კონტექსტში: მსოფლიოს რომელი კომპანიებია მოწინავე ამ დარგში, რა პროდუქცია და მომსახურება არის ყველაზე კონკურენტუნარიანი, ვინ არიან ამ დარგის ყველაზე გავლენიანი მოთამაშეები და რატომ და ა.შ. რამდენიმე მეთოდი გამოიყენება დარგის ანალიზის დროს, მაგრამ დარგის ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზს გამოვყოფთ როგორც ყველაზე მნიშვნელოვანს. ამ მეთოდის და პორტერის 5 ძალის ანალიზის ერთდროულად გამოყენების შედეგად უნდა მოხდეს დარგზე მოქმედი ფაქტორების გამოყოფა, მათი პრიორეტიზაცია და დარგში წამყვანი ბიზნეს-მოდელების ნათლად წარმოდგენა;

მეორე ეტაპად გვესახება შერჩეული დარგის ანალიზი უკვე იმ ფაქტორების ჭრილში, რომელთა პრიორეტიზაცია მოხდა პირველ ეტაპზე. გაანალიზდება მოცემულ დარგში შექმნილი დამატებული ღირებულების წვლილი მთლიანად ქვეყნაში შექმნილ დამატებულ ღირებულებაში. ამ ეტაპზე საჭიროა ე.წ. ბენჩმარკინგი, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ დარგის ძირითადი პარამეტრების შედარება უნდა მოხდეს სხვა ქვეყნის მოწინავე დარგის საშუალო პარამეტრებთან. ამ ეტაპობრივი ანალიზის შედეგად დარგის ხარვეზების დადგენა ხდება ისევ დარგის ძირითადი მამოძრავებელი ძალების ჭრილში. მაგალითად, საინფორმაციო ტექნოლოგიებისთვის (IT), როგორც მაღალი დამატებული ღირებულების დარგისთვის, ძალზე მნიშვნელოვანია დაფინანსების ისეთი სახეობა, როგორიც არის ვენჩურული კაპიტალი, განსაკუთრებით ე.წ. ბიზნესანგელოზების არსებობა. ეს ფაქტორი, სამაგიეროდ არ წარმოადგენს მუხრუჭს სატელეკომუნიკაციო ბიზნესში, პირიქით, თუ ტელეკომუნიციებში ანტიმონოპოლიურ რეგულირებას უმნიშვნელოვანესი ადგილია უკავია, საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებისთვის იგი მეორეხარისხოვანია, სამაგიეროდ, უფრო მნიშვნელოვანია საავტორო უფლებების დაცვის კანონის მოქმედება ქვეყანაში და ა.შ.;

მესამე ეტაპზე ხდება დარგის დაინტერესებული მხარეებისა და გავლენიანი მოთამაშეების გამოვლენა და მათი ინტერესების, ძალთა თანაფარდობისა და ლიდერული პოზიციების ანალიზი;

მეოთხე ეტაპზე შემუშავდება დარგის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები. რა თქმა უნდა, ეს შეიძლება იყოს წმინდა თეორიული სავარჯიშო, პრაქტიკული და რეალური მდგომარეობის გათვალისწინებით, ანუ რაც ხდება მეცნიერული კვლევის დროს კაბინეტებში. რეალური მდგომარეობის გათვალისწინება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ხერხდება დარგის ყველა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლების შეკრება და მათი თანამონაწილეობით დარგის სტრატეგიის ჩამოყალიბება, სტრატეგიული პროგრამის დასახვა და პასუხისმგებლობების განაწილება. რაც მთავარია, მთლიანად ეს პროცესი მათი მხრიდან ნებაყოფლობითი უნდა იყოს.

ასეთი შეხვედრების ორგანიზება და პოზიტიურ შედეგებამდე მიყვანა ძალზე რთული ამოცანაა, მაგრამ აუცილებელი, იმისათვის რომ შემუშავებულ იქნეს დარგის განვითარების პროგრამა, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს ყველა მხარის ინტერესებს და არ ეწინააღმდეგებოდეს ქვეყნის მდგრადი და გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის პოლიტიკის გატარებას.

აქედან გამომდინარე, ორგანიზაციულ საკითხს დიდი მნიშვნელობა ენიჭება: ეს უნდა მოხდეს სპეციალისტების მიერ, მათი შეკრება და ამ შეხვედრის ხელშეწყობა (ფასილიტაცია) კი განხორციელდეს დარგის ექსპერტებისა და ეკონომისტების მიერ.

დარგის კონკურენტუნარიანობის ანალიზის შედეგად შეიძლება გამოვლინდეს ის, რომ კრიტიკული პარამეტრების მიხედვით მოცემულმა დარგმა ვერ შეძლოს კონკურენციის გაწევა მსოფლიო ბაზარზე. ამიტომ ამ დარგის საექსპორტო წამახალისებელი პოლიტიკის გატა-

* ეს მეთოდი აპრობირებულია მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში, მათ შორის, ჩვენი მონაწილეობით აშშ-სა და თურქეთში.

რება არ იქნებოდა ეკონომიკურად და ფინანსურად გამართლებული. იგივე ძალისხმევა სხვა დარგში უფრო დიდ ეფექტს მოიტანდა. მაგალითად, შესაძლოა აბრეშუმის ტექსტილის აღორძინება საქართველოში არ აღმოჩნდეს მართებული, ვინაიდან მსოფლიო ბაზარზე გაბატონებულ ჩინურ და ინდურ აბრეშუმს ხარჯთა სტრუქტურით ვერ გაუწიოს კონკურენცია, რაც ამ დარგისთვის კრიტიკული პარამეტრია.

საინფორმაციო ტექნოლოგიების (IT) დარგის კონკურენტუნარიანობის ანალიზი. ძალზე ბევრი ქვეყნის მთავრობა IT დარგის განვითარებას დიდ ყურადღებას უთმობს და ცდილობს მის გლობალურ ბიზნესში ინტეგრირებას. დიდი თანხები იხარჯება ბიზნესპარკებისა და ბიზნესინკუბატორების შექმნაზე.

განვიხილოთ IT სერვისების (ამ თავში IT სერვისებში იგულისხმება საინფორმაციო ტექნოლოგიების ნაწილი – პროგრამული უზრუნველყოფის სერვისები), როგორც ახალი საექსპორტო დარგის, განვითარების შესაძლებლობა საქართველოში. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში გაიხსნა შესაბამისი კვლევითი ინსტიტუტები და სამეცნიერო საწარმოო კომპლექსები (მიონი, ორიონი), ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, საქართველოშიც საინფორმაციო ტექნოლოგიები შედარებით ახალი დარგია, მაგრამ მან სულ სხვა მნიშვნელობა და მასშტაბები შეიძინა მას შემდეგ, რაც პერსონალური კომპიუტერები შემოვიდა და გახდა მასობრივი მოხმარების საგანი. საქართველოში საინფორმაციო ტექნოლოგიების დარგი ჩანასახოვან მდგომარეობაშია და ამ მხრივ საგრძნობლად ჩამოვრჩებით მეზობელ ქვეყნებს: სომხეთს, თურქეთსა და რუსეთს, სადაც საინფორმაციო ტექნოლოგიური კლასტერების ფორმირებაში სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა.

საქართველოში IT სერვისების ბაზარზე სულ რაღაც მიკრო, მცირე და საშუალო ზომის 60-მდე კომპანია და დაახლოებით 1000-მდე პროგრამული უზრუნველყოფის სპეციალისტია. ყველაზე დიდი კომპანიები, როგორიცაა ალტა და UGT (200 თანამშრომლით) ბაზარზე დამკვიდრებისთვის მიმართავენ დივერსიფიკაციის სტრატეგიას და, IT სერვისებთან ერთად, ბაზარს სთავაზობენ კომპიუტერულ და ელექტრონულ ტექნიკას. ზოგადად, ქართული კომპანიები წარმოდგენილია შემდეგი პროდუქტებითა და სერვისებით: საფინანსო ინსტიტუტებისა და სხვა დარგების დიდი კომპანიებისათვის ინტეგრირებული მზა გადაწყვეტილებების (SAP, ERP, CRM) მორგება და დანერგვა, მარტივი პროგრამული გადაწყვეტილებების შემუშავება მცირე ფირმებისათვის (საბუღალტრო პროგრამები, კლიენტთან მომსახურება), ვებ-პროდუქტების შემუშავება, სისტემების ინტეგრაციები, დოკუმენტაციის მენეჯმენტი, ქსელის დიზაინი და ადმინისტრირება. ბაზარზე არსებული კომპანიებიდან, მხოლოდ ერთი-ორი ასრულებს უცხოურ დაკვეთებს. უმნიშვნელო რაოდენობის შეკვეთები მოდის ადგილობრივი ბიზნესიდან და მთავრობიდან IT კონსალტინგზე და სტრატეგიის შემუშავებაზე. ქართულ ბაზარზე ძირითადად დომინირებს სახელმწიფო დაკვეთები.

საქართველო ახლა დგამს პირველი ნაბიჯებს საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების მიზნით. ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროში შეიქმნა სპეციალური ინფოკომუნიკაციების სამმართველო, რომლის ამოცანაა „საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებისა და შესაბამისი საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის განსაზღვრა და მონიტორინგი... საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების ქსელებისა და საშუალებების განვითარების მოკლე-, საშუალო- და გრძელვადიანი სტრატეგიისა და პრიორიტეტის განსაზღვრა და მათზე დაფუძნებული პროგრამების შემუშავება, განხორციელება და მონიტორინგი“[7].

[7] ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს მონაცემები; http://www.economy.ge/?category=20&lang=geo

საქართველოში, ამ თვალსაზრისით, მოქმედებს რამდენიმე პროგრამა, რომლებსაც აფინანსებენ: ამერიკის განვითარების სააგენტო, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) და ა.შ. მაგალითად, პროგრამის – „საქართველოს ინფოკომუნიკაციების პოლიტიკა და რეგულირების განვითარება“ – ნაწილია ტექნიკური დახმარება, რომელსაც ეკონომიკური რეფორმების მხარდასაჭერად ახორციელებენ EBRD და ფინეთის მთავრობა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან და კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან თანამშრომლობის საფუძველზე.პროგრამის მიზანია საქართველოში ინფოკომუნიკაციების განვითარების პოლიტიკის შესახებ პაკეტის მომზადება, საშუალო და გრძელვადიან პერიოდებში ქვეყანაში ინფოკომუნიკაციების თანამედროვე საშუალებების სწრაფი ინოვაციური განვითარება, ამ სფეროში ინვესტიციების მოზიდვა და მეწარმეობის განვითარება, გლობალურ ქსელებში ღრმა ინტეგრაცია, საინფორმაციული საზოგადოების ჩამოყალიბება და ქვეყნის მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა.

დარგის განვითარების გლობალური ტენდენციები. საინფორმაციო ტექნოლოგიების უნიკალური როლი ეკონომიკაში გამოიხატება იმაში, რომ იგი, ერთი მხრივ, თავად ქმნის საექსპორტო პროდუქციასა და მომსახურებას და, მეორე მხრივ, წარმოადგენს ყველა დარგის მეცნიერული კვლევებისა და ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის ელემენტს, რაც მოითხოვს მაღალ კვალიფიციურ კადრებსა და კვლევითი ლაბორატორიების შესაბამის აღჭურვილობას.

ფართოზოლოვანმა დაკავშირებამ და შესაბამისი კვალიფიკაციის პროგრამისტების რაოდენობის ზრდამ რამდენიმე ქვეყანაში წარმოშვა ახალი ტიპის ფენომენი – ოფშორული სერვისი. მისი არსი გამოიხატება იმაში, რომ განვითარებული ქვეყნების კომპანიებმა შეცვალეს ბიზნესმოდელი, დაიწყეს იმ ოპერაციების გასხვისება ანუ აუტსორსინგი (კონტრაქტის საფუძველზე შეკვეთის მიცემა), რომლებიც არ შეადგენს მათი ბიზნესის ძირითად კომპეტენციას, თანაც უფრო იაფად შეუძლიათ შეისყიდონ ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში. ეს ტენდენცია ჩამოყალიბდა დაახლოებით 17-18 წლის წინ და შეუქცევადია. მიუხედავად იმისა, რომ საინფომაციო ტექნოლოგიების ოფშორული სერვისების წილი მსოფლიო ვაჭრობაში ჯერ საკმაოდ მოკრძალებულია, ამ ბიზნესის მოცულობა უკვე ტრილიონ დოლარს აჭარბებს და ბევრი ქვეყნის და დარგის კომპანიას უქმნის სპეციალიზაციისა და მომსახურების ინტერნაციონალიზაციის შესაძლებლობებს ანუ, სხვა სიტყვებით, ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისთვის აღმოცენდა ახალი ტიპის ბაზარი, რომელიც შედგება ორი ძირითადი ნაწილისგან: თვით IT სერვისების აუტსორსინგი და საინფორმაციო ტექნოლოგიებითა და კომუნიკაციებით აღჭურვილი ბიზენსპროცესების აუტსორსინგი. IT სერვისების მაგალითს მიეკუთვნება პროგრამირება, სისტემების ინტეგრაცია, პროგრამული გამოყენებების ტესტირება, IT ინფრასტრუქტურა და მისი მომსახურება, IT კონსალტინგი, მონაცემების დამუშავება და მონაცემთა ბაზის მომსახურება, მონაცემების დასაწყობება, საინფორმაციო ტექნოლოგიების მხარდაჭერის მომსახურება, კონტენტის მენეჯმენტი და განვითარება და ა.შ.

საინფორმაციო ტექნოლოგიებითა და კომუნიკაციებით აღჭურვილი ბიზენსპროცესების მაგალითებია: ქოლცენტრები (მომხმარებლებთან დაკავშირების ცენტრები), მომხმარებელთა კავშირის (შემავალი და გამავალი კავშირების) ცენტრები, შიდა ოფისის მომსახურება (მონაცემთა ბაზის შექმნა, კადრების ადმინისტრირების მხარდაჭერა, ხელფასების გაცემა, ფინანსები).

ითვლება, რომ პროგრამირებისა და აპლიკაციების (პროგრამული გამოყენებების) შემუშავების აუტსორსინგი უკვე საკმაოდ მომწიფებული საბაზრო სეგმენტია განვითარებულ ქვეყნებში, მყარად არის დამკვიდრებული ისეთ განვითარებად და დიდ ქვეყნებში, როგორიცაა ინდოეთი, ჩინეთი, მალაიზია; გარკვეული ქვესეგმენტი ათვისებულია მცირე ქვეყნებშიც: ისრაელი, ესტონეთი, ლიტვა. ამ ბაზარზე ახლადშემოსული ქვეყნების (რუსეთი, ბრაზილია, ჩილე, ბელარუსი, ვიეტნამი) დამკვიდრების სისწრაფე მცირდება, მაგრამ ფართოვდება მათი მოქმედების არეალი. საინფორმაციო ტექნოლოგიების სერვისების აუტსორსინგის სეგმენტი

მაინც უფრო მიმზიდველი რჩება, ვიდრე ბიზნესპროცესების აუტსორსინგის, ვინაიდან მას აღემატება თითქმის ხუთჯერ, ამასთან, ყველაზე სწრაფად მზარდი სეგმენტია საინფორმაციო ტექნოლოგიების ბაზარზე. ბოლო 10 წლის განმავლობაში იგი სამჯერ გაიზარდა. თვით საინფორმაციო ტექნოლოგიების ბაზრის მოცულობამ 2010 წელს ტრილიონ დოლარს გადააჭარბა, ზრდის ტემპი კი 2011 წლისთვის 7%-ზე მაღალია. ანალიტიკური კომპანია „გარტნერის“ მიხედვით, IT სერვისების აუტსორსინგის ბაზრის მოცულობა 2011 წლის ბოლოსთვის 313,2 მლრდ დოლარს მიაღწია, რაც 6,9% ზრდას წარმოადგენს 2010 წელთან შედარებით[8].

IT აუტსორსინგის ბაზრის სეგმენტზე კონკურენცია მუდმივად მძაფრდება: მარკეტინგულ კვლევებში კომპანიების 45% თავის პრიორიტეტად ახალი კლიენტისთვის ბრძოლას ასახელებს. ეს კონკურენცია აისახება ქვეყნებს შორის კონკურენციაზე: სულ უფრო მეტი ქვეყანა ცდილობს მოახდინოს თავისი პოზიციონირება ოფშორულ ბაზარზე. მათ შორისაა ეკონომიკური განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფი ისეთი ქვეყნები, როგორიცაა ეგვიპტე, პაკისტანი, იორდანია. აღმოსავლეთ ევროპის ყველა პოსტკომუნისტური ქვეყანა ცდილობს ჩაებას ამ გლობალურ ბიზნესში. IT აუტსორსინგის ბაზრის მთავარ მოთამაშეებზე ნათელ წარმოდგენას იძლევა ცხრილი 1.

ცხრილი 1

ქვეყნების რეიტინგი IT სერვისების აუტსორსინგის ინდექსის მიხედვით[9]

რეიტინგი	ქვეყანა	აუტსორსინგის ინდექსი	ხარჯთა კონკურენტუარიანობის ინდექსი	რესურსებისა & უნარების ინდექსი	ბიზნესგარემოს ინდექსი
1	ინდოეთი	7,1	8,3	6,0	4,2
2	ინდონეზია	6,9	8,6	4,3	4,4
3	ჩინეთი	6,4	7,0	5,6	5,6
4	ბულგარეთი	6,4	8,8	2,9	5,2
5	ფილიპინები	6,3	9,0	2,8	3,9
6	იორდანია	6,2	7,6	2,7	5,7
7	სინგაპური	6,5	6,4	5,7	9,4
8	ტაილანდი	6,0	8,2	2,3	5,9
9	ლიტვა	5,9	7,0	3,9	6,5
10	ეგვიპტე	5,8	9,0	0,9	4,3
11	მალაიზია	5,8	7,9	2,2	6,9
12	ესტონეთი	5,8	7,5	5,2	6,9

თუ გადავხედავთ ამ დარგის კონკურენტუნარიანობის ინდექსებსა და მათ შემადგენელ მაჩვენებლებს, ამ მხრივ, საქართველოში არასახარბიელო სურათია: ან საერთოდ არ ხდება ინდექსის გამოთვლა, ვინაიდან არ მოიპოვება სტატისტიკური ინფორმაცია, ან ინდექსების შემადგენელი პარამეტრების შეფასება დაბალია და დაახლოებით საქართველო ამის მიხედვით 80-100 ადგილებზეა[10]. შეიძლება ითქვას, რომ კონკურენტებთან შედარებით (თუნდაც მეზობელი ქვეყნები – რუსეთი, აზერბაიჯანი და თურქეთი რომ ავიღოთ) საქართველოში საინფორმაციო ტექნოლოგიების დარგი ფაქტობრივად არ არსებობს. სტატისტიკურ გამოცემებში ის უერთდება სატელეკომუნიკაციოს (განცალკევება არ ხდება), რომელიც, თავის მხრივ, წარმოდგენილია ტრანსპორტის დარგთან ერთად.

[8] http://www.gartner.com/DisplayDocument?doc_cd=214540&ref=g_reghm
[9] http://www.sourcingline.com/top-outsourcing-countries
[10] Investing in Future. Benchmarking IT industry competitiveness. A report from the Economist Intelligence Unit, 2011; www.eiu.com; Information Economy, UNCTAD, 2009. www.unctad.org

მაგრამ შესაძლებელია თუ არა (რასაც ბევრი ქვეყანა ცდილობს) ამ დარგის ნულიდან შექმნა და გლობალურ ბიზნესში მისი ჩაბმა? როგორც აღინიშნა, ამ კითხვაზე პასუხი უკავშირდება საინფორმაციო ტექნოლოგიების დარგის ღირებულებათა ჯაჭვისა და არსებული ბიზნესმოდელების ანალიზს.

ღირებულებათა ჯაჭვი (იხ. სქემა 1) ასახავს საინფორმაციო ტექნოლოგიებში მათი კომპონენტების, პროცესებისა და სერვისების მეშვეობით შექმნილ ღირებულებას, რომლის საბოლოო მომხმარებელია კერძო და სამთავრობო სექტორი, ასევე, მოსახლეობა. სხვა IT სერვისები: მარკეტინგი, კონსალტინგი და IT სტრატეგიის შემუშავება ბიზნესისათვის – ყველაზე ძვირადღირებულია და წარმოადგენს ამ ჯაჭვის ზედა ნაწილს, სადაც იქმნება ღირებულების 50-55%[11]. შემდეგ მოდის პროგრამული უზრუნველყოფის აპლიკაციების (გამოყენებათა) დიზაინი, შემუშავება და დანერგვა, სისტემების ინტეგრაცია, რომლებზედაც ღირებულების 30-35%-მდე ნაწილდება, დაბოლოს, ქსელის და სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის ადმინისტრირება, რისთვისაც დარჩენილია ღირებულების 10-15%.

სქემა 1

საინფორმაციო ტექნოლოგიების დარგის ღირებულებათა ჯაჭვი



როგორც წესი, განვითარებადი ქვეყნების IT კომპანიების პოზიციონირება ხდება IT აუტსორსინგის მცირე ღირებულების სერვისების სეგმენტზე. ბაზრის მოთხოვნის (წარმოდგენილი ძირითადად განვითარებული ქვეყნების კომპანიების მოთხოვნით) შესწავლა ხდება IT კონსალტინგური კომპანიის მიერ, რომელიც ასევე განვითარებულ ქვეყანაშია და უგზავნის პროგრამული უზრუნველყოფის უკვე მზა სპეციფიკაციებს ოფშორულ კომპანიებს. „ეკონომისტის დაზვერვის ჯგუფი" (EIU) აღნიშნავს, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში ტაივანი, ინდოეთი, კორეა, სინგაპური, ისრაელი საკმაოდ წინ წაიწია ღირებულებათა ჯაჭვში, რაც გამოწვეულია სამეცნიერო-კვლევითი და ახალი პროდუქციის წარმოების განვითარების (R&D)

[11] ღირებულებათა ჯაჭვში სერვისების მიხედვით ღირებულების გადანაწილება გაკეთდა 15-ზე მეტი IT კომპანიის ინტერვიუების საფუძველზე.

ხარჯების ზრდით (რაც საბოლოოდ აისახა IT პატენტების გენერაციის ინდექსის მომატებაში). ტაივანი, ისრაელი და სინგაპური ამ მაჩვენებლით პირველ ხუთეულში შევიდა აშშ-თან ერთად[12]. თუ 4-5 წლის წინ ინდოეთი და ჩინეთი იღებდნენ შეკვეთებს მხოლოდ პროგრამული გამოყენებების მენეჯმენტში, პროგრამების კოდირებაში, ტესტირებაში, ინფრასტრუქტურის მენეჯმენტში, ახლა ისინი ღებულობენ უფრო რთულ და ძვირადღირებულ შეკვეთებს აპლიკაციების ზედა დონის დიზაინსა და შემუშავებაში. ამ სეგმენტში რუსეთის, ბალტიისპირეთის ქვეყნებისა და ბელარუსის რამდენიმე კომპანია წარმატებულად უწევს მათ კონკურენციას. უფრო დაბალ ღირებულებათა სეგმენტში, სადაც სრულდება მცირე მომსახურება ღირებულების დიზაინში, სისტემების ინტეგრაციაში, ინფრასტრუქტურის მენეჯმენტში კონკურენცია გაცილებით უფრო მძაფრია და ძირითადად წარმოდგენილია ინდოეთსა და ჩინეთის უფრო დაბალანაზღაურებიანი IT კადრებით. როგორც სქემიდან ჩანს, ამ სამუშაობებზე არ მოდის შექმნილი ღირებულების მეოთხედიც კი, ანუ დაახლოებით ეს არის 200 მილიარდდოლარიანი ბაზარი მსოფლიოს მასშტაბით, სადაც შესვლას ცდილობს ბევრი განვითარებადი ქვეყანა. საგულისხმოა, რომ 2007 წელს ინდოეთს, ხუთ განვითარებულ ქვეყანასთან ერთად, ეკავა 67% (იხ. ცხრილი 1). სათანადო კვალიფიკაციის კადრების ნაკლებობა იმდენად მწვავეა ყველა ქვეყანაში, თვით ინდოეთშიც კი, რომ დანარჩენ ქვეყნებს გზა ეხსნებათ, რათა მათაც მიიღონ შეკვეთები. ყველა განვითარებადი ქვეყნის კომპანია, რომელიც უკვე დამკვიდრდა დაბალი დამატებული ღირებულების სეგმენტზე, ცდილობს წინ წაიწიოს ღირებულებათა ჯაჭვში.

დარგის განვითარების კრიტიკული ფაქტორები. როგორც აღინიშნა, ანალიზის შემდეგი ეტაპი მოითხოვს თითოეული სეგმენტისა და ბიზნესმოდელის კონკურენტუნარიანობის კრიტიკული ფაქტორების ანალიზს.

IT მომსახურების ბაზრის მოცულობის შეფასება ძალზე რთულია, რადგან მოიცავს ჩრდილოვანი ეკონომიკის მნიშვნელოვან ნაწილს, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში და დაბალი დამატებული ღირებულების სერვისების სეგმენტზე. ამ სეგმენტზე წარმატებულ ბიზნესმოდელს წარმოადგენს კომპანია, რომელსაც არანაკლებ 1000 გაწრთვნილი იაფი(!) IT სპეციალისტი ჰყავს დასაქმებული (ძირითადად ესენი არიან: პროგრამისტები, სისტემების ინტეგრატორები, ქსელის ადმინისტრატორები) და აქვს სწრაფი, იაფი და უსაფრთხო ინტერნეტმომსახურება, ანუ ეს არის მოცულობაზე, მასობრივ წარმოებაზე აგებული საწარმო. როგორც წესი, ეს კომპანიები ასრულებენ მარტივ შეკვეთებს და მათ არ სჭირდებათ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები. ყველა ახალი თანამშრომელი გადის კომპანიის მიერ შემუშავებულ და მასზე მორგებულ გადამზადების პროგრამას.

იმისათვის, რომ უცხოურ ან ქართულ IT კომპანიას შეეძლოს ასეთი ბიზნესმოდელის აგება საქართველოში, კონკურენტუნარიანი დარგის განვითარების შემდეგი კრიტიკული ფაქტორებია საჭირო:

(ა) ქვეყანაში IT კადრების კრიტიკული მასა და მომზადებისთვის საკმარისი უმაღლესი დაწესებულებების არსებობა. დღეს ძირითადად კადრებს ინფორმატიკაში ამზადებს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (დაახლოებით 3500 სტუდენტი სწავლობს) და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (წლიურად 700 სტუდენტის გამოშვება ხდება). ამ სპეციალობის სტუდენტთა რაოდენობა კერძო უნივერსიტეტებში, მაგალითად, როგორიცაა თავისუფალი უნივერსიტეტი და კავკასიის ბიზნეს სკოლა, ჯერ კიდევ ძალზე მცირეა და წელიწარში 30-35 სტუდენტს შეადგენს. შედარებისთვის, ბელარუსში 16 უმაღლესი სასწავლებლიდან, რომლებიც უშვებენ პროგრამისტებს, ძირითადად ორია წამყვანი. 2010 წელს გამოშვებულ იქნა 4000 სპეციალისტი. ეს რაოდენობა არ აკმაყოფილებს დარგში არსებულ კომპანიების მოთხოვნებს. ისინი ამ პრობლემას განიხილავენ როგორც ძირითად მუხრუჭს ბიზნესის გაფართოებისთვის. ჩინეთს, რომელიც ერთ-ერთი წამყვა-

[12] Economist Intelligence Unit., Investment for the Future. Benchmarking IT industry, Competitiveness 2011.

ნი ქვეყანაა ამ ბაზრის სეგმენტზე, 2011 წლის მონაცემებით, 400 ათასი კურსდამთავრებული ჰყავს. მიუხედავად ენობრივი და კულტურული ბარიერისა, რომელიც ექმნებად ამერიკულ და ევროპულ კომპანიებს ჩინეთში, დაბალღირებულებიანი სერვისების აუტსორსინგისა და რთული ბიზნესგარემოს გამო, მაინც ამოდენა ნაკადი და მრავალფეროვნება იაფი IT სპეციალისტებისა მნიშვნელოვანი ფაქტორია მათ საინვესტიციო გადაწყვეტილებებში;

(ბ) მსოფლიო დონის სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა, რომელიც ხასიათდება საერთაშორისო ტელეკომუნიკაციების მაღალი სისწრაფითა და იაფი კავშირებით, არის აუცილებელი პირობა იმისა, რომ რეგიონი შეირჩეს ინვესტორების მიერ ოფშორული IT სერვისებისათვის. განსაკუთრებით მაღალი სტანდარტებით ხდება ოფშორული პარტნიორის შერჩევა დისტანციური IT ინფრასტრუქტურის მენეჯმენტის დროს. თითოეული ტიპის IT სერვისისთვის რომელიმე ერთი სატელეკომუნიკაციო პარამეტრი უფრო კრიტიკული შეიძლება იყოს, ვიდრე დანარჩენი: შეერთების ხარჯი, საიმედოობა, სისწრაფე, გამტარიანობა და ა.შ. ამიტომ, როგორც წესი, ინვესტორების მოთხოვნაა მაღალგამტარიანი ფართოზოლოვანი შეერთების არსებობა.

საქართველოში 2008 წელს ინტერნეტის გამტარიანობა ერთ მომხმარებელზე იყო 5’358 ბიტ/წ. ეს არ არის ძალიან ცუდი მაჩვენებელი, მაგრამ რეიტინგში საქართველოს მაინც არასახარბიელო ადგილი ეჭირა (დაახლოებით მე-80 ადგილი)[13]. საკმაოდ დიდი გაუმჯობესება მოხდა დაკავშირების ხარისხში და ფასში მას შემდეგ, რაც „კავკასუს ონლაინი“ თავის ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელით შეუერთდა ევროპას. ამჟამად ბიზნესკომპანიები 256კბ/წ – 1 მბ/წ სიჩქარის ოპტიკურ (გლობალურ) ინტერნეტში 150-დან - 240-მდე ამერიკულ დოლარს იხდიან. ინტერნეტის პენეტრაციის დონით მაინც ჩამოვრჩებით მეზობელ ქვეყნებს: თუ საქართველოში იგი 27%-ია, თურქეთში – 40%, სომხეთში – 37%, აზერბაიჯანში – 36%.[14] აქვე აღსანიშნავია ერთი გარემოება: IT სერვისების აუტსორსინგისთვის რეიტინგის სათავეში მოხვედრა არ არის მნიშვნელოვანი. მას შემდეგ, რაც ქვეყანა გადალახავს დაკავშირების ხარისხის მინიმალურ დასაშვებ ზღვარს, რეიტინგში მისი ადგილი უმნიშვნელო ხდება. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატები, რომელსაც ყველაზე განვითარებული IT დარგი აქვს, 2010 წლის IT რეიტინგში, მაღალი სიჩქარის ინტერნეტის მომხმარებლების პენეტრაციის მიხედვით, მე-13 ადგილზეა და ჩამორჩება ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა ბულგარეთი, რუმინეთი და ლიტვა.[15]

როდესაც ვიხილავთ კონკურენტუნარიანობის ფაქტორებს მაღალი დამატებული ღირებულების IT სერვისების სეგმენტში, მოთხოვნა სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის მიმართ რჩება იგივე, მაგრამ იცვლება მოთხოვნა (ა) განათლების სისტემის მიმართ და წარმოიქმნება ახალი კრიტიკული მოთხოვნები: (ბ) მაღალკვალიფიციური მეცნიერული კადრებისა და კვლევითი ინსტიტუტების არსებობაზე და (გ) ამ კვლევების დაფინანსებასა და შემდგომში მათ კომერციალიზაციაზე.

მაიკლ პორტერი თავის ცნობილ ნაშრომში წერს: „ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების მაღალტექნოლოგიური დარგები, რომლებიც ეკონომიკის ხერხემალს წარმოადგენენ, მემკვიდრეობით კი არ ღებულობენ, არამედ ქმნიან წარმოების ისეთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორებს, როგორიცაა კვალიფიციური ადამიანისეული რესურსები და სამეცნიერო ბაზა... კონკურენტულ უპირატესობას აღწევენ მაშინ, როდესაც აქვთ მსოფლიო დონის სამეცნიერო ინსტიტუტები. ისინი ჯერ ამზადებენ სპეციალიზირებულ კადრებს და შემდეგ მუდმივად მუშაობენ მათ განახლებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე.“[16]

(ა) განათლების სისტემა უნდა იყოს ისეთი, რომ მას ჰქონდეს უნარი სისტემატურად მოახდინოს დარგის მოთხოვნადი მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისა და, როგორც უცხოურ ლიტერატურაშია მიღებული, ნიჭის განახლება, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ამ

[13] Measuring the information society. ITU, 2010. Information Economy Report. Trends and Outlook in Turbulent Times. UNCTAD, 2009.
[14] Measuring the information society. International Telecommunications Union, Geneva Switzerland, 2011.
[15] Measuring the information society. International Telecommunications Union, Geneva Switzerland, 2011, p. 96.
[16] **Porter M.** Competitive Advantage of Nations. Harvard Business Review, No 90211.

დარგის ვიწრო სპეციალიზაციის ინჟინრების კრიტიკული მასის შენარჩუნება. არც ერთ ქვეყანაში არ ხდება ისეთი სპეციალისტების გამოშვება, რომლებსაც შემდეგ არ დასჭირდებოდათ არც ისე მოკლევადიანი გადამზადება კომპანიებში. ბელარუსში, მაგალითად, წამყვანი კომპანიები აფინანსებენ საკუთარ ლაბორატორიებს უნივერსიტეტებში, სადაც ხდება ნიჭიერი სტუდენტების გადაბირება და გადამზადება.

უნდა ითქვას, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიები ყველაზე ცვალებადი დარგია. ბაზრის მოთხოვნა სპეციალისტების მიმართ იმდენად სწრაფად იცვლება, რომ ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება ნებისმიერი ქვეყნისთვის, მათ შორის, განვითარებული ქვეყნებისათვისაც, პრობლემაა. ამ მხრივ, ამერიკის შეერთებული შტატები წინ უსწრებს ყველას, თუნდაც მარტო კალიფორნიის შტატში არსებული ამ დარგის უნივერსიტეტებით, ინჟინრებით, მეცნიერების რაოდენობის კონცენტრაციითა და მაღალტექნოლოგიური კლასტერების რაოდენობით;

(ბ) მაღალი დონის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიების არსებობა, რომლებიც მუშაობენ ინოვაციურ თემებზე, არ არის დამოკიდებული მხოლოდ დაფინანსებაზე. ამის გარდა აუცილებელია შემკვეთის არსებობაც (აქ სახელმწიფო ვერ შეასრულებს ჯეროვან როლს) და მაღალი დონის უნივერსიტეტების არსებობაც მსოფლიოში მოწინავე სასწავლო პროგრამებითა და პროფესურით. შეკვეთა უნდა მოდიოდეს ქვეყნის ეკონომიკიდან, ანუ ადგილობრივი კომპანიებიდან. ეკონომიკის მოთხოვნა საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართ ძირითადად გამოიხატება იმაში, რომ მათი მეშვეობით გაიზარდოს წარმოებისა და ბიზნესპროცესების ავტომატიზაცია. განუვითარებელი და დაუხვეწავი ადგილობრივი დარგების მოთხოვნა საინფორმაციო ტექნოლოგიურ პროდუქტებსა და სერვისებზე ამ დარგის განვითარების მნიშვნელოვანი მუხრუჭია. იმის მიხედვით, რამდენად დახვეწილია ამ კომპანიების მოთხოვნა IT სერვისებზე, განისაზღვრება IT დარგის განვითარების დონეც. განვითარებად ქვეყნებში კი ხშირად IT კომპანიები მუშაობენ თავიანთ მიერ შემუშავებულ პროგრამულ გადაწყვეტილებების მოთხოვნის შექმნაზე;

(გ) ფინანსურ ბაზარზე ვენჩურული კაპიტალის არსებობა.

თუ დაბალღირებულებიან სეგმენტზე იაფი კრედიტებზე ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანი (როგორც ყველა ბიზნესისთვის), მაგრამ არაკრიტიკული ფაქტორია, მაღალღირებულებიან სეგმენტზე ფინანსებს კრიტიკული მნიშვნელობა აქვს და ისიც მხოლოდ ვენჩურული კაპიტალის არსებობის სახით. მრავალ მკვლევარს მიაჩნია, რომ ძირითადი მიზეზი, რითაც სილიკონ ველი განსხვავდება სხვა მაღალტექნოლოგიური კლასტერებისგან, დიდი რაოდენობით დადებული ვენჩურული ტიპის კონტრაქტებია. IT პროდუქციის შემუშავება მოითხოვს გრძელვადიან დაფინანსებასა და იგი ბუნებით მაღალრისკიანია. ეკონომისტის სადაზვერვო ჯგუფის (EIU) მოხსენებაში ნათქვამია, რომ აშშ-ში ვენჩურული ტიპის ინვესტიციების 75% მთავრდება ნულოვანი უკუგებით. ასეთი ტოლერანტულობა საინვესტიციო წარუმატებლობის მიმართ ამერიკული კულტურის ნაწილია, რომლის გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა იქ არსებული წარმატებები[17]. განსაკუთრებით „ბიზნესანგელოზები“ ასრულებენ მნიშვნელვან როლს IT პროდუქციის განვითარებაში. ისინი გაცილებით უფრო მცირე თანხით შედიან ბიზნესში, ვიდრე ვენჩურული ფონდები, მაგრამ უშუალოდ მონაწილეობენ ბიზნესის დაწყების, ინკუბაციისა და გაფართოების ეტაპებზე. მათ მენეჯერულ უნარებს განსაკუთრებით დიდი სარგებლობა მოაქვთ. ტექნიკურად მოაზროვნე IT სპეციალისტებს, როგორც წესი, არ გააჩნიათ გამოცდილება ბიზნესში;

(დ) კონკურენტული ბიზნესგარემოს არსებობა და ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვა.

საინფორმაციო ტექნოლოგიების დარგის კონკურენტული ბიზნესგარემო მნიშვნელოვანია არა მარტო თავისი კომპანიებისათვის, არამედ მთლიანად ქვეყნის ეკონომიკური კონკურენტუნარიანობისთვისაც, რაც გამოიხატები მაღალი კორელაციის კოეფიციენტით (0,88) IT დარგის კონკურენტუნარიანობის ინდექსსა და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2010-

[17] Economist Intelligence Unit., Investment for the Future. Benchmarking IT industry, Competitiveness 2011, p. 5.

2011 წლების გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსს შორის[18]. კონკურენტული ბიზნესგარემოს ორი მაჩვენებელია აღსანიშნავი: მთლიანი ეფექტიანი გადასახადის განაკვეთი და მაღალღირებულებიან სეგმენტზე შესასვლელად ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვა. თუ ქვეყანაში ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვა ვერ ხერხდება, ზიანი არა მარტო ბიზნეს ადგება, არამედ თვით რეგიონის იმიჯსაც. განვითარების გარკვეულ ეტაპზე თვით IT კომპანიები ერთიანდებიან ასოციაციებში და ლობირებენ კანონის ამუშავებას, ვინაიდან მათ ესმით, რომ მაღალღირებულებიანი კონტრაქტების მოსაზიდათ ქვეყნის იმიჯს ამ საკითხში დიდი მნიშვნელობა აქვს.

საქართველო შედის იმ ქვეყნების ნუსხაში, სადაც ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევის პროცენტი ძალზე მაღალია. მაგრამ IT დარგის განვითარების აღნიშნულ ეტაპზე ამ კანონის ფორსირება შესაძლოა ზოგი კომპანიებისთვის შემოსავლების გენერირების მუხრუჭადაც კი იქცეს.

საქართველოში, განვითარების ჯერ კიდევ საწყის ეტაპზე მყოფი საინფორმაციო ტექნოლოგიების დარგის განხილვა ამ ოთხი კრიტიკული ფაქტორის ჭრილში გვიჩვენებს იმას, რომ ჯერჯერობით, არც მოკლე და არც საშუალო ვადაში მის, როგორც საექსპორტო დარგის განვითარებაზე ეკონომიკური პოლიტიკის აქცენტირება არ უნდა ხდებოდეს. რეგიონში საქართველო ჩამორჩება ყველა ქვეყანას და დიდხანს არ მოხდება ინვესტორების მიერ მისი, როგორც მიმზიდველი ლოკაციის, განხილვა. მიმზიდველ ლოკაციად კი ინვესტორები და კომპანიები, რომლებიც IT სერვისების აუტსორსინგს აკეთებენ, მიიჩნევენ ისეთ რეგიონს, სადაც კლასტერული გარემოა შექმნილი. IT სერვისის კლასტერი სქემატურად დაახლოებით გამოიყურება შემდეგნაირად (იხ. სქემა 2).

სქემა 2

IT სერვისების (პროგრამული უზრუნველყოფის სერვისების) კლასტერი



[18] Investment for the Future. Benchmarking IT industry. Ccompetitiveness 2011, p.3.

თუ ვიტყვით, რომ სქემის ფიგურების სიმუქე ასახავს კლასტერში ამ ელემენტის განვითარების დონეს (სადაც თეთრი ფერი ნიშნავს არარსებულ ელემენტს), წარმოდგენილი სქემა საქართველოში IT კლასტერის სურათი იქნებოდა. სქემაში წარმოდგენილია IT კლასტერის ოთხივე შემადგენელი ელემენტი: (1) მსხვილი და საშუალო ზომის IT კომპანიების კრიტიკული მასა, რომელიც დამკვიდრდა ოფშორულ ბაზარზე; (2) მაღალხარისხიანი ინტერნეტის, კომპიუტერული ტექნიკისა და ქსელის მომწოდებელი კომპანიები; (3) ქვეყანაში შექმნილი გარემო და ინფრასტრუქტურა, კერძოდ: უმაღლესი სასწავლებლები და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, რომლებიც IT კომპანიებს ამარაგებენ კვალიფიციური კადრებით და მათთან თანამშრომლობენ ინოვაციურ თემებზე, ინდუსტრიული პარკები და ბიზნესინკუბატორები, რომლებიც უქმნიან სათბურ პირობებს ახლად შექმნილ კომპანიებს, IT კომპანიების მიერ შექმნილი ასოციაციები, დამოუკიდებელი მედია, რომელიც სწორად და სისტემატურად აშუქებს დარგის მოვლენებს და მას ლობირებას უკეთებს, რა თქმა უნდა, დარგის მარეგულირებელი ორგანოები, სამინისტროები, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ საკანონმდებლო გარემოზე; (4) ისინი, სადაც ამ კომპანიების სერვისებზე მოთხოვნა იქმნება, ანუ შიდა და საექსპორტო ბაზრები. რაც უფრო მაღალი დონისაა და დახვეწილია ეს მოთხოვნა, მით უფრო მაღალგანვითარებულ კლასტერთან გვაქვს საქმე.

მაღალგანვითარებული რეგიონების ან ქვეყნების IT კლასტერი იმით განსხვავდება ზემოთ წარმოდგენილისაგან, რომ მასში მჭიდროდ არის გადაჯაჭვული რამდენიმე დარგი, მაგალითად, ბიოტექნოლოგიური, ასევე, მედია. ასეთი ქვეყნების IT კომპანიები აუტსორსინგს აკეთებენ იმ ქვეყნებში, სადაც IT კლასტერი არსებობს.

დღეს საქართველო, სამწუხაროდ, ვერ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს, ამიტომ ნაკლებად სავარაუდოა ის, რომ საქართველომ შეძლოს ფეხი მოიკიდოს ოფშორულ ბაზარზე და ამით წვლილი შეიტანოს ეროვნული ეკონომიკის ზრდაში. მიუხედავად ამისა, საინფორმაციო ტექნოლოგიები კერძო სექტორის განვითარების და სხვა დარგების მწარმოებლურობის ზრდის მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორია, რომლის როლი სულ უფრო და უფრო გაიზრდება მომავალში.

XXII თავი

გლობალიზაცია, რელიგიურ ეთიკაზე აგებული ეკონომიკური პოლიტიკა და საქართველო

გლობალიზაცია და ახალი მსოფლიო წესრიგი. თანამედროვე მსოფლიოსთვის დამახასიათებელი ღრმა სისტემური ცვლილებები, რომლებიც თანხლები პოზიტიური და ნეგატიური ეფექტებით საზოგადოებრივი განვითარების ყველა სფეროს მომცველ გლობალიზაციას უკავშირდება, პირველ ყოვლისა, სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებში აისახება.

გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში, მის ნებისმიერ ეტაპზე უდიდეს როლს ეკონომიკური მიმდინარეობები ასრულებდა. ისინი დღესაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ „თამაშის წესებზე“ მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკაში. ეს ობიექტური კანონზომიერებაა, შეუქცევადი პროცესია და ნაკლებად არის დამოკიდებული მხოლოდ პოლიტიკურ ნებაზე. პირიქით, რაოდენ უცნაურადაც უნდა მოგვეჩვენოს, ეკონომიკური მიმდინარეობების როლის უგულვებელყოფა კაცობრიობის პროგრესში და მისი იგნორირება განსაკუთრებით სუსტად განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში, გარკვეული თვალსაზრისით, უმართავს ხდის გლობალიზაციის ეპოქალურ პროცესს და წინა პლანზე მის ნეგატიურ მხარეებს წამოსწევს.

ამის ნათელი მაგალითია მესამე ათასწლეულის პირველი ათეულის ბოლო პერიოდში აშშ-ში წარმოშობილი ფინანსური კრიზისი, რომელიც გადაიზარდა ჯერ მსოფლიო ფინანსურ, ხოლო შემდეგ მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისში, მწვავედ აისახა როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი და ტრანზიტული ქვეყნების პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე. ამ საერთაშორისო რეზონანსის მოვლენამ ერთხელ კიდევ დაადასტურა XX საუკუნის 80-იანი წლების შუა პერიოდში შექმნილი ამერიკული დოქტრინის „ნეოგლობალიზმის“ სიძლიერე და მასშტაბურობა. „რეიგანის დოქტრინის“ სახელწოდებით ცნობილ თეორიულ პოსტულატებზე აგებული ეს სტრატეგია ითვალისწინებს მსოფლიოს ქვეყნებსა და რეგიონებში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, მეცნიერულ-ტექნოლოგიური და ა.შ. პროცესების უნიფიკაციას (ერთიან სისტემაში მოქცევას), მის საფუძველზე **ახალი მსოფლიო წესრიგის** განსაზღვრას, რომელშიც დომინირებული პოზიცია აშშ-ს უკავია, თუმცა, 1997 წლიდან ამ პროცესში მონაწილეობს „ჩრდილოატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს“ გაფართოების საფუძველზე შექმნილი „ევროატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს“ სხვა უმსხვილესი ქვეყნებიც.

ახალი მსოფლიო წესრიგის შექმნის აუცილებლობა XX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში ჩანასახის მდგომარეობაში მყოფი გლობალიზაციის წარმოშობას უკავშირდება. ეს ის პერიოდია, როდესაც გამოიკვეთა პროგრესული ცვლილებები მსოფლიოს რიგი ქვეყნების ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკასა და მათ განვითარებაში. ეს პროცესები დაარჭარა 40-იან წლებში დაწყებულ „კეინზიანურ რევოლუციასთან“ ერთად, 50-იან წლებში დეკოლონიზაციის ფართოდ გაშლამ და მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის საფუძველზე მსოფლიოში მიმდინარე ღრმა სტრუქტურულმა ცვლილებებმა.

ეკონომიკური წესრიგის თეორიის ფუძემდებელი გერმანელი ვალტერ ოიკენი 1950 წელს წერდა: „ეკონომიკურმა პოლიტიკამ შეიძინა ახალი შინაარსი... საათმა დაჭკრა, უნდა ვიჩქაროთ, თორემ სამრეწველო აპარატი მას გაჭყლეტს“[1]. შემთხვევითი არ იყო, რომ სწორედ 50-იან წლებში გამოვიდა ცნობილი ინგლისელი ეკონომისტის კოლინ კლარკის ნაშრომი –

[1] **Ойкен В.** Основные принципы экономической политики. Перевод с немецкого. М., 1995. с. 68.

„ეკონომიკური პროგრესის პირობა“ და ფრანგი ეკონომისტისა და სოციოლოგის ჟან ფურასტიეს წიგნი – „XX საუკუნის უდიდესი იმედი“, რომლებშიც ასახულია მსოფლიოში მიმდინარე პროგრესული სტრუქტურული და ინსტიტუციური ძვრები, რაც, პირველ ყოვლისა, მომსახურების მწარმოებელი დარგების სწრაფ განვითარებასა და ინდუსტრიული საზოგადოების პოსტინდუსტრიულში გადაზრდისათვის საფუძვლების მომზადებაში გამოიხატა.

სწორედ ამ პერიოდში ჩაეყარა საფუძველი საერთაშორისო კლასიფიკაციის შექმნას, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ახალი მსოფლიო წესრიგისა და გლობალიზაციის წარმოშობაში. გაეროს საერთაშორისო სტანდარტული დარგობრივი კლასიფიკაციის მეთოდოლოგიური დებულებები – ქვეყნის ეკონომიკის აგრარულ, ინდუსტრიულ და მომსახურების სექტორებად დაყოფის პროექტი დამტკიცებულ იქნა 1948 წელს გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს სესიაზე, ხოლო პირველად პრაქტიკულად აისახა 1953 წელს ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში. მომსახურების სექტორის წილის სწრაფი ზრდის ობიექტურმა პროცესმა, დანარჩენ ორ სექტორთან შედარებით, როგორც დასაქმებულთა რიცხოვნობაში, ისე მთლიანი შიდა პროდუქტის წარმოებაში, ახალი თვისებრიობა შესძინა მსოფლიოს ეკონომიკურ განვითარებას.

იმ გარემოებამ, რომ 70-იანი წლებიდან მოყოლებული მომსახურების სფერო თანდათან გადაიქცა ეკონომიკის უმსხვილეს სექტორად, „ეკონომიკის სერვიზაციამ“ რეალურ სექტორს იერსახე შეუცვალა. მასალატევადი დარგების ადგილი მეცნიერებატევადმა დარგებმა დაიკავა. უახლესმა ტექნოლოგიებმა (სამრეწველო ელექტრონიკამ, რობოტოტექნიკამ, ლაზერულმა ტექნიკამ, მიკროელექტრონიკამ, ბიოტექნოლოგიამ და ა.შ.) კომპიუტერული ავტომატიზაციის, ინფორმატიზაციისა და რესურსდამზოგველი ეკონომიკის სწრაფი განვითარებით არსებითი ცვლილებები შეიტანა წარმოების ციკლში, რამაც მიზეზ-შედეგობრივი კავშირურთიერთობა დაამყარა რეალურ და მომსახურების სექტორებს შორის. კაცობრიობის განვითარების განვლილ პერიოდთან შედარებით, **ეს იყო წინგადადგმული ნაბიჯი ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარების თვალსაზრისით. ამ თვისებრივ ნახტომში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ის, რომ მან ეკონომიკას სოციალური ორიენტაცია შესძინა, რომლის გარეშე შეუძლებელია ბაზრის პრინციპების რეალიზაცია და იგი ეკონომიკის სტაბილიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია.**

განვითარებულმა სამყარომ მიიღო ახალი დროის გამოწვევა. საფუძველი ჩაეყარა **სამოქალაქო საზოგადოების** ფორმირებას. ამ გარემოებამ დასაბამი მისცა საზოგადოებრივ გარდაქმნებს ახალ ამპლუაში და დადებითი გავლენა მოახდინა თანამედროვე საზოგადოების პოტენციალის ზრდაზე. ყურადღება გამახვილდა ახალი საზოგადოების ფორმირებაზე, ახალ სოციუმზე, რამაც ხელი შეუწყო საზოგადოების ინტერესების წინა პლანზე წამოწევას, კერძო სექტორის სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლებასა და ჰუმანიზაციის პროცესების გაღრმავებას. დაიწყო სოციალურად დაუცველი ფენების დახმარებისა და ქველმოქმედების ფართო ქსელის შექმნა. ამ მიზნით განვითარებულ ქვეყნებში შემუშავდა სხვადასხვა სახის სოციალური პროგრამები, დასავლურ ეკონომიკურ ლიტერატურაში კი ფართოდ გაიშალა **„კეთილდღეობის სახელმწიფო თეორიის“** კვლევა, რომელიც სახელმწიფოს ახალ სოციალურ როლს განსაზღვრავდა. იგი ეყრდნობოდა 1920 წელს გამოცემულ არტურ პიგუს ნაშრომს – „კეთილდღეობის ეკონომიკური თეორია“, რომლის არსი ძირითადად იმაში მდგომარეობდა, რომ **ხელისუფლებას არ უნდა დაეშვა თავისი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის გაღატაკება და თავის თავზე უნდა აეღო არსებობისათვის აუცილებელი საქონლითა და მომსახურებით სოციალურად დაუცველი ფენების უზრუნველყოფა.** „კეთილდღეობის თეორია“ ასაბუთებდა საზოგადოებრივი საქონლის წარმოების აუცილებლობას, საზოგადოების დაცვას უარყოფითი გარე ეფექტებისგან (ექსტერნალიებისაგან), ბუნებრივი მონოპოლიების მაკროეკონომიკურ რეგულირებაში ჩართვას, საბაზრო ეკონომიკის თანმხლები სოციალური შედეგების კორექტირებას, ანუ (პარეტოს მიხედვით) რესურსების გადანაწილების გზით მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესების მიღწევასა და ა.შ.

ახალი მსოფლიო წესრიგის პრიორიტეტად სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლა გამოცხადდა, რაც გულისხმობს სიღარიბის არა აბსოლუტურ დაძლევას, არამედ იმას, რომ იგი სოციალურად იყოს ასატანი. ეკონომიკისთვის სოციალური ორიენტაციის მინიჭება აღიარებულ იქნა სოციალურად სამართლიანი მსოფლიოს შექმნის შემადგენელ ნაწილად. ყურადღება გამახვილდა ახალ თვისებრივ ზრდაზე. **სოციალური ინდიკატორებით განისაზღვრა ცხოვრების ხარისხის კრებსითი ინდექსი და ის კრიტერიუმები, რომლებიც იძლევა ქვეყნის ეკონომიკის თვისებრივ დახასიათებას** (შრომის პირობები, განათლებისა და ჯანდაცვის განვითარებისა და ხელმისაწვდომობის დონე, ტრანსპორტის მდგომარეობა, შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმების საშუალო წლიური ზრდა, ბავშვთა სიკვდილიანობა, ენერგიის მოხმარება მოსახლეობის ერთ სულზე, სრული პირადი თავისუფლება, ინფლაციის საშუალო წლიური ნორმა და ა.შ.). სოციალურობის გაძლიერების ტენდენციამ და, აქედან გამომდინარე, სოციალურმა ორიენტაციამ საბაზრო ეკონომიკა პოლიტიკურად სიცოცხლისუნარიანი გახადა.

ამრიგად, XX საუკუნის მეორე ნახევრიდან, განსაკუთრებით კი მის ბოლო ათწლეულებში ცივილიზებულ ქვეყნებში განვითარებული მოვლენები სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის საფუძველი გახდა. XX საუკუნის 90-იანი წლებიდან კი მსოფლიოში მომხდარმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურ ძვრებმა, რაც „კომუნისტური სოციალიზმის“ ტრანსფორმაციას უკავშირდება, შეცვალა მსოფლიო რუკა და სრულიად ახალი ეპოქა შექმნა ამ ქვეყნების (მათ შორის, **საქართველოს**) განვითარებაში.

ფაქტობრივად, ჩამოყალიბდა ერთიანი მსოფლიო, რასაც გლობალური პროცესების გაღრმავება მოჰყვა. გლობალიზაციამ დააჩქარა ცალკეულ, მათ შორის, ტრანზიტულ ქვეყნებში ღია საზოგადოების ჩამოყალიბება, ინტერნეტული ქსელისა და, საერთოდ, საინფორმაციო ინდუსტრიის სწრაფი განვითარება, კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება და განსაკუთრებით ფინანსური კაპიტალის მობილურობის არნახული ზრდა. მაგრამ, **XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე მსოფლიოს ეკონომიკურ განვითარებაში სრულიად ახალი ტენდენციები და კანონზომიერებები წარმოიშვა**. პროგრესთან ერთად ცივილიზაციის განვითარების რთული და მრავალმხრივი პროცესი ახალი პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. მათ შორის ერთ-ერთი უმთავრესი – სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები წარმოჩნდა.

ცნობილია, რომ თუ ცხოვრების ეკონომიკური მხარე არ იწვევს დაძაბულობას საზოგადოებაში, მაშინ განვითარებისა და უკონფლიქტო თანაარსებობისათვის გასაქანი ეძლევა მის ყველა მხარეს – პოლიტიკურს, ზნეობრივს, კულტურულს, ეროვნულ-ეთიკურს, საგანმანათლებლოს, სამეცნიერო-ინოვაციურსა და ა.შ. მაგრამ ყოველი ჩავარდნა ეკონომიკაში საზოგადოების განვითარებაზე მწვავედ აისახება. თუნდაც, ეკონომიკური განვითარების ერთი რგოლი ამოვარდეს, ვექტორი მაშინვე იცვლის მიმართულებას, წარმოიქმნება ზნეობრივი დეგრადაცია, გამწვავდება სოციალური დიფერენციაცია, კორუფცია და ა.შ. მართალია, მოცემული საკითხი განიხილება როგორც ზოგადსაკაცობრიო ტენდენცია, მაგრამ ყველა მისი ასპექტი აისახება იმ ეროვნული პრობლემების პრიზმაში, რომელიც არსებობს დღეს ნებისმიერ ქვეყანაში, განსაკუთრებით სუსტად განვითარებულ ქვეყნებში და, მათ შორის, სამწუხაროდ, **საქართველოშიც**.

„ჩიკაგოს სკოლის“ მონეტარულ დოქტრინაზე აგებული ნეოლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა, რომელსაც თითქმის უკანასკნელი ორი ათწლეულის მანძილზე ეყრდნობოდა აშშ-ისა და სხვა ქვეყნების ეკონომიკა, სტაბილურობისა და მდგრადი ეკონომიკური განვითარების გარანტად იყო აღიარებული. იგი ითვალისწინებდა მაკროეკონომიკური რეგულირების შესუსტებასა და საბაზრო ძალების გაძლიერებას, სახელმწიფო სოციალური ხარჯების შემცირებას სოციალური პროგრამების შეკვეცის, ხელფასის მინიმალური განაკვეთების „გაყინვის“, პროფკავშირების როლის შესუსტებისა და ა.შ. გზით. „ოქროს წლებად“ მონათლულ ამ პერიოდში აღზევებული მონეტარიზმი „აზრთა კონვერგენციის“ უმაღლესი გამოხატულების ნიმუშს წარმოადგენდა და იგი ქვეყნის მაკროეკონომიკური რეგულირების წარმატებულ მოდელად აღიქმებოდა.

მაშინ, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატები ეკონომიკური ქცევის „დიდ სტაბილურობას“ ზეიმობდა, ხოლო მილთონ ფრიდმენსა და „ჩიკაგოს სკოლის“ სხვა ცნობილ წარმომადგენლებს მიაჩნდათ, რომ „დეპრესიის პრევენციის ცენტრალური პრობლემა გადაჭრილი იყო“, კრიზისის დადგომის ნიშნები, 2006-2007 წლებიდან, ნელ-ნელა იკვეთებოდა. ამ დროს, როგორც 2008 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი პოლ კრუგმანი აღნიშნავს, ეკონომიკური დარგის პროფესიონალები თვლემდნენ[2]. მიუხედავად აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის მცდელობისა, გამოესწორებინა კეთილდღეობის გზიდან ეკონომიკის მნიშვნელოვანი გადახრები, ამერიკული ეკონომიკა აცდა სწორ გზას და „ლიანდაგიდან გადავიდა“.

ევროკავშირის სამიტზე 2008 წლის ოქტომბერში საფრანგეთის პრეზიდენტმა **ნიკოლა სარკოზიმ** განაცხადა, რომ **„ულტრალიბერალურმა კაპიტალიზმმა კრახი განიცადა და აუცილებელია იგი შეიცვალოს სოციალური საბაზრო ეკონომიკის მოდელით“**[3]. ამის შესახებ სერიოზული მსჯელობა იყო 2010 წლის დავოსის საერთაშორისო ეკონომიკურ ფორუმზე, სადაც ლიდერი ქვეყნების წარმომადგენლებმა მკაცრად გააკრიტიკეს მსოფლიოს ფულადსაკრედიტო სისტემაში შექმნილი რთული ვითარება[4].

საყურადღებოა აშშ-ის ეკონომიკურ პოლიტიკაში მონეტარული თეორიის როლის შესახებ პ. კრუგმანის მოსაზრება. მისი აზრით, ჩიკაგოელი ეკონომისტების კომენტარები არის „ბნელი საუკუნის“ მაკროეკონომიკის პროდუქტი, სადაც რთულად მოპოვებული ცოდნა დავიწყებულ იქნა, ხოლო უცნაური განტოლებებით გამოპრანჭული ირაციონალური და არაპროგნოზირებადი თეორიები ძალიან შორს აღმოჩნდნენ რეალობისაგან[5].

პრაქტიკა ჭეშმარიტების კრიტერიუმია. ფრიდმენის მონეტარული თეორიის ნაკლოვანებებმა თავი იჩინა მსოფლიო ეკონომიკურ პოლიტიკაში. გლობალური ფინანსური კრიზისის წარმოშობის მთავარი მიზეზი მაკროეკონომიკური რეგულირების მკვეთრ შეზღუდვასა და, გარკვეულწილად, საბიუჯეტო-საგადასახადო რეგულირების უკანა პლანზე გადაწევაში მდგომარეობს. ამასთან, **ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში საკრედიტო რეგულირების შესუსტებამ, თვითდინებაზე მიშვებამ და წინა პლანზე ფულის ფენომენის წამოწევამ გზა გაუხსნა ვირტუალურ ეკონომიკას. ფინანსურმა ეკონომიკამ, რომელიც შეიძლება ითქვას, მოწყდა რეალურ ეკონომიკას, მსოფლიოს ფინანსური კრიზისისკენ უბიძგა, რომელიც შემდეგ ეკონომიკურ კრიზისში გადაიზარდა.**

ფინანსური ეკონომიკა მხოლოდ საშუალებაა საბოლოო მიზნის მისაღწევად. საბოლოო მიზანი კი არა სპეკულაციური გარიგებები და ამ გზით ფულის კეთება, არამედ მატერიალური და არამატერიალური დოვლათის, ფასეულობების წარმოებაა. სამწუხაროდ, ეს აქსიომატური ჭეშმარიტება არ იქნა გათვალისწინებული. ფულის კეთების ხელოვნებამ, რომელსაც არისტოტელემ ქრემატისტიკა უწოდა, დაფარა მეურნეობის მართვის ხელოვნება (ეკონომიკა), შედეგად კი მივიღეთ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი. ამაში ფრიდმენის მონეტარული თეორიის უპირობო გამოყენებამ უდიდესი როლი შეასრულა.

ნეოორთოდოქსალურ თეორიაზე მორგებული თანამედროვე მონეტარიზმის მოდელი საფუძვლად დაედო „დანარჩენი სამყაროს“ ქვეყნების უმეტესობის ეკონომიკურ პოლიტიკას, ამიტომ ეკონომიკური კრიზისი მეტ-ნაკლები ზომით აისახა ნებისმიერ ქვეყანაში, რაც, პირველ ყოვლისა, ეკონომიკური ზრდის ტემპების შემცირებასა და ერთობლივი მოთხოვნის დაცემაში გამოიხატა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ოფიციალური მონაცემებით, აშშ-ის მშპ-ის ზრდის ტემპი 2008 წლის 0,44%-დან 2009 წელს მინუს 2,44%-მდე, ხოლო

---

[2] **კრუგმანი პ.** როგორ მოახერხეს ეკონომისტებმა ყველაფრის არასწორად გაგება. თარგმანი ინგლისურიდან. „საქართველოს ეკონომიკა“, 2009, №10, გვ. 80 (**Krugman P.** How did economists get it so wrong? “New York Times”. 2 September, 2009).

[3] “The Economist”. 11 October, 2008.

[4] http://ictsd.org/i/news/bridgesrussiandigest/69878/

[5] **კრუგმანი პ.** როგორ მოახერხეს ეკონომისტებმა ყველაფრის არასწორად გაგება. თარგმანი ინგლისურიდან. „საქართველოს ეკონომიკა“, 2009, №10, გვ. 80 (**Krugman P.** How did economists get it so wrong? “New York Times”. 2 September, 2009).

მთლიანი მსოფლიო პროდუქტისა 3,02%-დან 0,60%-მდე დაეცა. მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა, შეიძლება ითქვას, გამოიწვია მონეტარიზმის „ინტელექტუალური კოლაფსი“ და თვით აშშ-შიც კი კითხვის ქვეშ დააყენა ნეოლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა.

რელიგიურ ეთიკაზე აგებული ჰუმანური ეკონომიკური პოლიტიკა. ეკონომიკურ მეცნიერებაში ბოლო დროს გაბატონებულმა შეხედულებამ იმის შესახებ, რომ კეინზიანური ერა დასრულდა, გადასინჯვა მოითხოვა. ეკონომიკის კრიზისული მდგომარეობიდან თავის დაღწევის კეინზის ცნობილი თეორია იკვლევს რა საწარმოთა ქრონიკული დაუტვირთაობის, მასობრივი უმუშევრობისა და ეკონომიკური ზრდის დაბალი ტემპების გამომწვევ მიზეზებს წინა პლანზე, სახელმწიფო რეგულირების გააქტიურების საფუძველზე (კლასიკური გაგებით), მაკროეკონომიკური პროპორციების აღდგენასა და დაცვას, ბაზრის „შეცდომების“ გამოსწორებისთვის დანაზოგებსა და ინვესტიციებს შორის დაბალანსების უზრუნველყოფის აუცილებლობას აყენებს. კეინზიანური თეორიის დედაარსმა **(ანუ იმან, რომ ეკონომიკური განვითარების ათვლის წერტილი ერთობლივი მოთხოვნის გაზრდით იწყება, რასაც ბაზრის ტევადობის, წარმოების გაფართოებისა და უმუშევრობის შემცირება მოჰყვება, ყოველივე ეს კი, წარმოქმნის მულტიპლიკაციურ ეფექტს, რაც ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაში აისახება)** ისევ მიიპყრო ყურადღება. **თანამედროვე გლობალურმა კრიზისმა აიძულა ცივილიზებული სამყარო კეინზიანური მოდელისკენ შემობრუნებულიყო.** ამიტომ სავსებით ლოგიკურად, წინა პლანზე ისევ კეინზიანური თეორიის პოსტულატებმა – **ეკონომიკაში სახელმწიფოს, როგორც საბაზრო სისტემაში ჩაშენებული სტაბილიზატორის, როლის ზრდამ (სახელმწიფო სოციალური ხარჯების გაზრდამ და გადასახადების შემცირებამ, კერძო სექტორის სუფსიდირებამ, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის გაფართოებამ, საშუალო ფენის შენარჩუნების მიზნით მათი შემოსავლების გაზრდამ, სამომხმარებლო კრედიტის გააქტიურებამ, ანტიმონოპოლიური რეგულირების გაძლიერებამ, საზოგადოებრივი სექტორის განმტკიცებამ და ა.შ.) წამოიწია.**

მსოფლიოში ტონის მიმცემი ლიდერი ქვეყნების „საჭეთმპყრობელნი“ დარწმუნდნენ იმაში, რომ ამ მიმართულებით ეკონომიკურ პოლიტიკაში არსებითი ცვლილებების გარეშე გართულდებოდა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისიდან თავის დაღწევა, რომელმაც სათავე ფრიდმენის სამშობლოში – აშშ-ში აიღო და სწორედ „საბაზრო ფუნდამენტალიზმის“ ამ ციტადელიდან დაიწყო აქტიური ანტიკრიზისული ღონისძიებების გატარება.

„კეინზიანური რევოლუციიდან“ მოყოლებული, **არ არსებობს დღეს განვითარებული ქვეყანა, რომელსაც ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესსა და კრიზისულ სიტუაციებში თავისი ეკონომიკური პოლიტიკისათვის საფუძვლად არ დაედო ჯონ მეინარდ კეინზის თეორია – რელიგიურ ეთიკაზე* აგებული ეს ჰუმანური თეორია.** მაგრამ ეს „ფუფუნება“ მხოლოდ განვითარებულ ქვეყნებს ერგოთ წილად, რომელთა რიცხვი მსოფლიოში არც თუ ისე დიდია.

სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის – გაეროს, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკისა და სხვათა მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაციების მიხედვით, ამ ქვეყნების რაოდენობა განსხვავებულია. მაგრამ არის 22 პოსტინდუსტრიული ქვეყანა, რომლებიც ნებისმიერ კლასიფიკაციაში შედის. ეს ქვეყნებია: აშშ, იაპონია, საფრანგეთი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, შვედეთი, იტალია, ნორვეგია, ავსტრია, შვეიცარია, ბელგია, დანია, ფინეთი, ისლანდია, ირლანდია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდი, პორტუგალია, ესპანეთი, კანადა, ავსტრა-

---

* რელიგიური ეთიკის ქვეშ ამ შემთხვევაში იგულისხმება **ქრისტიანული ეთიკა** – ქრისტიანობის ზნეობრივი მოძღვრება, ქრისტიანული ქმედების თეორია, რომელიც განსაზღვრავს ადამიანთა ქცევის ორიენტირებს, ცხოვრების სტილს და მრავალმხრივია თავისი გამოვლენის ფორმებით. ქრისტიანული ეთიკა ეფუძნება ბიბლიურ მოძღვრებას. იგი არა იმდენად თეორიული პრონციპების სისტემაა, რამდენადაც ცხოვრების წესია. ეს ზნეობრივი მოძღვრება ხელს უწყობს ფასეულობათა სისტემისა და სოციალური ქცევის ცვლილებებს კეთილშობილური ასპექტების გამოვლენის მიმართულებით. აქედან გამომდინარე, ქრისტიანული ეთიკა სოციალური ეთიკაცაა, რომლის მოქმედების არეალი განუსაზღვრელია, იგი შეიძლება გავრცელდეს მთელ დედამიწაზე.

ლია, ახალი ზელანდია. მათ წილად მოდის მსოფლიოში წარმოებული საქონლისა და მომსახურების თითქმის 2/3. საშუალო განვითარების – ახალინდუსტრიული ქვეყნების რიცხვი 10-ია. ესენია ეკონომიკური განვითარებისა და სოციალური ორიენტაციის საშუალო დონეზე მყოფი, მსოფლიო ვაჭრობაში, ფინანსურ და საინვესტიციო სისტემებში აქტიურად ჩართული ქვეყნების მცირე ჯგუფი (სამხრეთი კორეა, ტაივანი, სინგაპური, ჰონკონგი, არგენტინა, ბრაზილია, მექსიკა, ისრაელი, საბერძნეთი, თურქეთი). განვითარებადია 137 ქვეყანა, აქედან, ყველაზე ნაკლებად განვითარებული და ღარიბია 50 ქვეყანა, რომელთა წილად მოდის მსოფლიო **მშპ**-ის მხოლოდ 0,6%; ცალკე ჯგუფადაა გამოყოფილი 27 პოსტკომუნისტური ქვეყანა[6].

ეკონომიკურ პოლიტიკას განვითარებად ქვეყნებში სპონტანური ხასიათი აქვს და კლასიკური ფორმით არც ერთი თეორია, მითუმეტეს, კეინზიანური მოდელი არ ყოფილა გათვალისწინებული მათ ეკონომიკურ პოლიტიკაში. ამ ქვეყნებმა, როგორც ენდოგენური, ისე ეგზოგენური ფაქტორების გავლენით, ვერ გამოიყენეს მსოფლიოში აპრობირებული გამოცდილება, ამიტომ ვერ შეძლეს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა და დღესაც „ულტრალიბერალური კაპიტალიზმის“ მარწუხებში არიან. „მესამე სამყაროს“ ქვეყნებში იგნორირებულია მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკის მოთხოვნები, სუსტია სამართლებრივი ინსტიტუტები, დაბალია ცხოვრების დონე, მაღალია ჯინის კოეფიციენტი (შემოსავლების განაწილებაში უთანაბრობის ხარისხი), მიზერულია საშუალო ფენა, მიუღწევადია სამართლიანობა და სოციალური თანხმობა. „გლობალური იმპერიის ქოლგის ქვეშ“ მოქცეული „მესამე სამყაროს“ ქვეყნების საგარეო ვალმა უკვე 2,5 ტრილიონ დოლარს დიდი ხანია გადააჭარბა, ხოლო ამ ვალის მომსახურების წლიური ღირებულება – 375 მლრდ დოლარია[7].

შემთხვევითი როდია, რომ როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ქვეყნების სტატუსი შემოღებულ იქნა XX საუკუნის 60-იან წლებში, სწორედ იმ პერიოდში, როდესაც მსოფლიო განვითარებაში სრულიად ახალი ტენდენციები და კანონზომიერებები გამოიკვეთა.

განვითარებულ ქვეყნებში სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ფორმირებამ ობიექტურად განაპირობა ქვეყნების დაჯგუფება „სოციალური სიმწიფის“ დონის მიხედვით, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მოცემულ ქვეყნებში სამოქალაქო მოწყობის ტიპზე[8].

სოციალური დიფერენციაციის განვითარების დონისა და მიმართულების მიხედვით მსოფლიოს უაღრესად კონტრასტული ქვეყნები ცალკეულ ჯგუფებადაა დაყოფილი. არსებობს სოციალური დიფერენციაციის ოპტიმალური და ზღვრული დონეები. აქედან გამომდინარე, გამოყოფენ ოთხ მოდელს: ზეპოლარულს, ზომიერად პოლარულს, ზომიერსა და ეგალიტარულს (არასაბაზროს).

ზეპოლარული მოდელისათვის დამახასიათებელია ეკონომიკის დაბალი დონე, დამქირავებელთა და დაქირავებულთა ინტერესების მკვეთრი დაპირისპირება, მოსახლეობის უმრავლესობის უკიდურესი სიღარიბე, ქონებრივი დიფერენციაციის მაღალი დონე. ამ შემთხვევაში შემოსავლების დიფერენციაციის დონე უკიდურესად დეცილურ ჯგუფებს შორის შეადგენს არანაკლებ 20-30-:-1-თან.

ზეპოლარული მოდელი უნივერსალური იყო მხოლოდ ინდუსტრიულამდელ საზოგადოებასა და ინდუსტრიული საზოგადოების პირველ ეტაპზე. მან ნოყიერი ნიადაგი შექმნა კომუნისტური მოძრაობის ფართოდ გაშლისათვის. ამჟამად ეს მოდელი დამახასიათებელია მხოლოდ განვითარებადი ქვეყნებისათვის.

---

[6] World Population Data Sheet Population Rederence Bureu - 2009. Washington, 2009; **Гурова И.П.** Мировая экономика. М., «Омега-Л», 2008, с. 112-119.

[7] **Перкинс Д.** Исповедь экономического убийцы. 4-е издание. Перевод с английского. М., «Претекст», 2008. с. 112-119.

[8] **ასათიანი რ.** სოციალური დიფერენციაციის მოდელები და საქართველო. „სოციალური ეკონომიკა“, 2010, №2, გვ. 8-13.

ზომიერად პოლარული მოდელი წარმოიშვა XX საუკუნის პირველ ნახევარში და უკავშირდება სოციალური რეგულირების ელემენტების შემოტანას საზოგადოების განვითარებაში. მისი მიზანია შემოსავლების გადანაწილებაში პოზიტიური ცვლილებების შეტანის საფუძველზე სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლება. ასეთი მოდელისათვის შემოსავლების დიფერენციაციის დეცილური კოეფიციენტი არის 10-15-:-1-თან. ზომიერად პოლარული მოდელი ამჟამად დამახასიათებელია ახალინდუსტრიული ქვეყნებისათვის.

ზომიერი მოდელისათვის ნიშანდობლივია სოციალური ორიენტაცია, საერთო კეთილდღეობის ზრდა. ეს მოდელი ამჟამად არსებობს განვითარებულ ქვეყნებში, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან „სოციალური ეკონომიკის“ სიმწიფის მიხედვით. ეკონომიკა მაღალი ცხოვრების დონითა და მნიშვნელოვანი სოციალური დანახარჯებით განსხვავდება საკუთრივ სოციალური საბაზრო ეკონომიკისაგან. პირველია ლიბერალური საზოგადოებები, რომლებმაც მიაღწიეს ეკონომიკური ზრდის უმაღლეს დონეს და ამიტომ შეუძლიათ გამოყონ სოლიდური სახსრები ღარიბების დასახმარებლად, ჯანდაცვის დაფინანსებისათვის, განათლებისა და სხვა სოციალური მიზნებისათვის. ასეთი საზოგადოების ყველაზე მკაფიო ილუსტრაციას წარმოადგენს აშშ (აგრეთვე კანადა). ამის საწინააღმდეგოდ დასავლეთევროპული ქვეყნები, რომლებიც აბსოლუტური მაჩვენებლებით ჩამორჩებიან აშშ-ს, ხასიათდებიან „სოციალური ეკონომიკის“ სიმწიფის გაცილებით მაღალი დონით. მათი სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი ინსტიტუტები მიმართულია სოციალური თანხმობის მიღწევისა და მოსახლეობის საშუალო ფენის გაძლიერებისაკენ. სოციალური საბაზრო ეკონომიკის ცნება ყველაზე მეტად ასოცირდება გერმანულ მოდელთან. მას საფუძვლად უდევს კონკურენციის განვითარება, როგორც პროგრესის, სამართლიანობისა და მშვიდობის საწინდარი.

სოციალური დიფერენციაციის მეოთხე – ეგალიტარული (არასაბაზრო) მოდელი არსებობდა ექსკომუნისტურ ქვეყნებში, ხოლო ამჟამად არსებობს კუბასა და კორეის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ეს მოდელი აფერხებს ეკონომიკურ ზრდას, თუმცა, მისთვის დამახასიათებელია შემოსავლების დიფერენციაციის მეტად მიმზიდველი დონე – 4 : 1-თან.

ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკა და საქართველო. საქართველო, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პარამეტრებით, სამწუხაროდ, ზეპოლარულ მოდელში შემავალი ქვეყნების ჯგუფში შედის: ძალზე მაღალია სოციალური დიფერენციაციის ხარისხი, შემოსავლების უთანაბრობის დონე. ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს სიღარიბის რაოდენობრივი პარამეტრები. მსოფლიო ბანკის ექსპერტთა 2008 წლის მონაცემებით, იგი 54%-ია.[9] საარსებო საშუალებათა საძიებლად ასეულ ათასობით ადამიანია გადახვეწილი საქართველოდან და იქ გამომუშავებული სახსრებით ეხმარება სამშობლოში დარჩენილ ოჯახის წევრებსა და ახლობლებს. არსებული სოციალური ფონი მწვავედ აყენებს ადამიანის ბიოლოგიური არსებობისა და მისი კვლავწარმოების პრობლემებს.

საქართველო ეკონომიკური ექსპერიმენტების კლასიკური ქვეყანაა. 70-წლიანი „სოციალისტური“ ექსპერიმენტი შეცვალა საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის ექსპერიმენტმა, რომელიც 20 წელზე მეტია გრძელდება და დასასრული არ უჩანს.

დავადექით კი იმ გზას, რომელიც დასახულ მიზნამდე მიგვიყვანდა? ამ გზით შევძლებთ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის შექმნას? არადა, დღეს, გლობალურ სამყაროში ასეთი სისტემის გარეშე წინსვლა და განვითარება შეუძლებელია.

პოზიტიურთან ერთად, საქართველოში დიდია გლობალიზაციის ნეგატიური ტენდენციების გამოვლენა. წინ ვერ აღვუდექით სახელმწიფოებრიობის, ეროვნული ტრადიციების დამანგრეველ გარე, ეგზოგენურ ფაქტორებს, რომელთა ნიველირების გარეშე გართულდება შიგა, ენდოგენური წინააღმდეგობების დაძლევა და ქვეყნის პროგრესი.

---

[9] **თვალჭრელიძე ა., სილაგაძე ა., ქეშელაშვილი გ., გეგია დ.** საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა. თბილისი, „ნეკერი“, 2011, გვ. 100; მსოფლიო ბანკის მონაცემთა ბაზა. http://www.worldbank.org

საქართველოს წარუმატებლობის მთავარი მიზეზი, პირველ ყოვლისა, არასწორი ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკაში უნდა ვეძიოთ. თითოეულ ქვეყანას აქვს საკუთარი, ისტორიულად განსაზღვრული ტრადიციები, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და ა.შ. ფასეულობები, რაც ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკასა და, აქედან გამომდინარე, მისი განვითარების სტრატეგიაში აისახება.

ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკა ეყრდნობა იმ ეკონომიკურ და არაეკონომიკურ (პოლიტიკურ, კულტურულ და ა.შ.) ფასეულობათა სისტემას, რომელიც განსაზღვრავს მოცემული ქვეყნის ეკონომიკური განვითარების და საზოგადოების კეთილდღეობის დონეს. ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკა უშუალო გავლენას ახდენს ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებზე და არაპირდაპირი გზით ზემოქმედებს მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის განვითარებაზე. ეს უკანასკნელი კი დიდ როლს ასრულებს ინტელექტუალური კაპიტალისა და ინოვაციური ეკონომიკის განვითარების საფუძველზე ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში, რომლის საბოლოო მიზანი „კეთილდღეობის სახელმწიფოს“ თეორიის მოთხოვნათა რეალურ ცხოვრებაში განხორციელებაა. ამას ადასტურებს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ გამოქვეყნებული გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგი, რომელიც ეყრდნობა გლობალური კონკურენტუნარიანობისა და ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ინდექსებს. 3 განყოფილების, 12 სვეტისა და 104 პუნქტისაგან შემდგარი ეს დოკუმენტი ზუსტად ასახავს იმ ძირითად მოთხოვნებს, მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის იმ ფასეულობათა სისტემას, რომელიც აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებისათვის. ნიშანდობლივია, რომ 2010-2011 წლების მონაცემებით, საქართველომ, გლობალური კონკურენტუნარიანობის მიხედვით 139 ქვეყნიდან, 2009-2010 წლების 90-ე ადგილიდან 93-ე ადგილზე გადაინაცვლა. სომხეთს ამ ინდიკატორით უჭირავს 98-ე ადგილი, ხოლო მომდევნო ბოლო ადგილები გადაინაწილეს მსოფლიოს ყველაზე სუსტად განვითარებულმა ქვეყნებმა.[10]

ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკა საბაზრო წესრიგის პოლიტიკაა, რომელშიც სახელმწიფომ კონკურენციის დაცვის პოლიტიკა უნდა შეუხამოს საზოგადოების სოციალური დაცვის პოლიტიკას, იმ ჩარჩო პირობების გათვალისწინებით, რომელსაც ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკა ადგენს. ჩარჩო პირობებში შედის: 1. **ქვეყნის ინსტიტუციური მოწყობა** და, პირველ ყოვლისა, **საკუთრებით ურთიერთობათა წესრიგი**; 2. **კონკურენციის დაცვის პირობები** (მაკროეკონომიკური რეგულირების პრიორიტეტულობა, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობების არსებობა და მისი განვითარების დონე, ბიზნესის თავისუფლების ხარისხი, გადასახადების ლიბერალიზაციის დონე, საკრედიტო განაკვეთების სიდიდე, ეკონომიკურ-სამართლებრივი სისტემის სანდოობის ხარისხი, აგრეთვე მოცემულ ქვეყანაში კერძო სექტორი არის თუ არა პოლიტიკური რუპორი, ბიზნესის წარმომადგენლები იკავებენ თუ არა ადგილს ხელისუფლებაში და ა.შ.); 3. **სოციალური დაცვის სისტემა** (საზოგადოებრივი საქონლის წარმოების დონე და ხარისხი, მოსახლეობის დაცვა უარყოფითი ექსტერნალიებისაგან, ბუნებრივი მონოპოლიების არსებობა და მასშტაბები, სამომხმარებლო კალათის სტრუქტურა, საარსებო მინიმუმის თანაფარდობა პენსიებთან და მინიმალურ ხელფასთან, კომუნალური გადასახადების განაკვეთები, სოციალური დაზღვევის სამართლებრივი ნორმები და ა.შ.).

აღნიშნული ჩარჩო-პირობები აღნიშნავს მოცემულ ქვეყანაში ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკის განვითარების დონეს და უპასუხებს კითხვას: რეალურად არსებობს კი იგი ქვეყანაში თუ სინამდვილეში არის თვალის დახუჭვისა და მისგან გაქცევის პოლიტიკა?

ბაზარი სოციალური პრობლემების მიმართ არაელასტიკური და დაუნდობელია. თუ იგი თავის ნებაზეა მიშვებული, განაპირობებს უსამართლობასა და სიღატაკეს ქვეყანაში, რაც, საბოლოო ანგარიშით, ბუმერანგივით უბრუნდება თვით მას (ბაზარს), იწვევს სტაგნაციას,

[10] BusinessForecast.by; http://www3.weforum.org/docs/WEF_GlobalCompetitivenessReport_2010-11.pdf

რომლის მულტიფლიკაციური ეფექტი მაღალია. ეს აისახება უმუშევრობის ზრდაში, ეკონომიკური ზრდის ტემპების დაცემაში, სოციალურ აფეთქებებსა და ა.შ.

საქართველოში ეკონომიკის განვითარების დონისა და ეროვნული ინტერესების არაადეკვატური იყო უცხოური რეკომენდაციების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც საფუძვლად დაედო ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკას[11]. მაკროეკონომიკური არასტაბილურობის პირობებში ქვეყანაში დაწყებულმა როგორც ინსტიტუციურმა გარდაქმნებმა, ისე ეკონომიკის კონვერსიის სხვა პროცესებმა აშკარა დეფორმაციული ხასიათი მიიღო: ეკონომიკის რეფორმირების **პირველ ეტაპზე** ფასების მოუმზადებელი ლიბერალიზაცია ჰიპერინფლაციაში გადაიზარდა, ახალფორმირებულმა საბაზრო ინფრასტრუქტურის ინსტიტუტებმა სპეკულაციური ორიენტაცია შეიძინა. ამას მოჰყვა საქმიანი აქტიურობის დაცემა და ეროვნული წარმოების პარალიზება. რეფორმირების **მეორე ეტაპზე** გატარებული „ძვირი ფულის“ პოლიტიკის მულტიპლიკაციური ეფექტი სპეციალური კვლევის საგანია[12].

ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატის **დუგლას ნორთის** აზრით, ნეოკლასიკური თეორია არ არის მისაღები იარაღი ეკონომიკური განვითარების სწორი პოლიტიკის შესაქმნელად. **ნეოკლასიკური თეორია წარმატებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც ლაპარაკია ბაზრის ფუნქციონირებაზე და არა იმაზე, თუ როგორც უნდა მოხდეს ბაზრის შექმნა და განვითარება.**[13]

მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ორთოდოქსული მოდელი და ამ ბოლო დროს, რეფორმირების **მესამე ეტაპზე,** გატარებული ნეოლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა (რომლისთვისაც უცხოა ჭეშმარიტი ლიბერალური ფასეულობები) საქართველოსათვის არაერთი სირთულის (რომ არაფერი ვთქვათ შეცდომებზე) გამომწვევი იყო[14]. განვითარებულ ქვეყნებში, მათ შორის აშშ-შიც კი ეს მოდელი (თანაც, უფრო დახვეწილი ფორმით) არ გამოდგა და საქართველოში „იმუშავებდა“?

საქართველოს საბანკო სისტემა, მიუხედავად ბოლო წლებში მიღწეული წარმატებებისა, მრავალი შიგა თუ გარე ფაქტორების გავლენით, ვერ ჩამოყალიბდა ისეთ მდგრად ინსტიტუტად, რომელიც გაართმევდა თავს ქვეყანაში კაპიტალის ქრონიკულ უკმარისობასა და, აქედან გამომდინარე, ეკონომიკური ზრდის ამოცანებს. ეს მოსაზრება არ არის მხოლოდ ავტორისეული, ასეთ დასკვნებს ადგილობირივი თუ უცხოელი ექსპერტებიც აკეთებენ.[15]

ქვეყანა არ დაადგა იმ გზას, რომელიც დასახულ მიზნამდე მიგვიყვანდა. საქართველოს მოსახლეობა, ქართველი ერი დიდი სიხარულით შეხვდა დამოუკიდებლობის აღდგენასა და მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემიდან თავის დაღწევას. მაგრამ რა მივიღეთ? სახელმწიფო-მონოპოლისტური სოციალიზმი შეცვალა სახელმწიფო-მონოპოლისტურმა კაპიტა-

---

[11] **პაპავა ვ.** საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოში: მიღწევები და შეცდომები. თბილისი, „იმპერიალი“, 2000; **Папава В.** «Розовые ошибки МВФ и Всемирного Банка в Грузии». «Вопросы экономики», №3, 2009; საერთაშორისო სავალუტო ფონდი: სიკეთე თუ ბოროტება? საქართველოს ეკონომიკური კოლონიალიზმის საფრთხე ემუქრება. თბილისი, საქართველოს მრეწველთა კავშირი, 1998; **ასათიანი რ.** ეკონომიკური რეფორმები საქართველოში: ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან. „მაკრო მიკრო ეკონომიკა“, 2000, №8 და ა.შ.

[12] **ასათიანი რ.** პატარა ქვეყანას დიდი შეცდომების უფლება არა აქვს. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2005, გვ. 313-352, 474-479.

[13] **North D**. Institutions, Institutional Change and Economic Performance. Cambridge, “Cambridge University Press”, 1990, p. 17.

[14] **ასათიანი რ.** საქართველოს ეკონომიკა. ახალი ეპოქა. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2009, გვ. 164.

[15] **კორდონიე კ.** კერძო დანაზოგები, მაკროეკონომიკური სტაბილურობა და ფინანსური სექტორის განვითარება საქართველოში. „საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები“. კვარტალური მიმოხილვა. GEPLAC, ოქტომბერი, 2008, გვ. 63-64; საქართველოს ეკონომიკური საფრთხეებისა და მთავრობის კრიზისისგან დაცვის სტრატეგიის ანალიზი და რეკომენდაციები. ანგარიში მომზადდა კოალიცია „გამჭვირვალე ფინანსური დახმარება საქართველოს“ ფარგლებში. თბილისი, თებერვალი, 2009, გვ. 12.

ლიზმმა; სამართლიანობის პრინციპებზე აგებული დემოკრატიული ეკონომიკური სისტემის ნაცვლად მივიღეთ კვაზიდემოკრატიაზე, მოჩვენებით სამართლიანობაზე დაფუძნებული ულტრალიბერალური კაპიტალიზმი, რომელსაც არაფერი აქვს საერთო დასავლურ საბაზრო ეკონომიკასთან. მართალია, საქართველოში საკუთრების მრავალფორმიანობა ჩამოყალიბდა, მაგრამ შორსა ვართ საკუთრების პლურალიზმისაგან, ვინაიდან არ არსებობს საკუთრების თითოეული ფორმის თანაბარი უფლება. სათანადოდ არ არის დაცული კერძო საკუთრება, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის საბაზრო ურთიერთობების განვითარებას საქართველოში. ძალზე დაბალია საქმიანი აქტიურობა, მაღალია უმუშევრობის დონე. დაქირავებით დასაქმებულთა წილი (შრომითი მიგრანტების გათვალისწინებით) მხოლოდ 21%-ია. 1990 წელთან შედარებით, მათი რაოდენობა 3,7-ჯერ შემცირდა[16]. საქართველოში, რიგი ენდოგენური ფაქტორების გავლენით, ვერ ვითარდება მცირე და საშუალო ბიზნესი. მცირე ბიზნესის წილად მოდის სამეწარმეო სექტორის მთლიანი გამოშვების მხოლოდ 6,6% (საშუალო ევროპული მაჩვენებელი 40%-ია), საშუალო ბიზნესის წილად მოდის 9,2% (ევროკავშირში 18%-ია), სამაგიეროდ, მსხვილი ბიზნესის წილი მთელი გამოშვების 84,2%-ია და 2-ჯერ აღემატება ევროკავშირის შესაბამის მაჩვენებელს[17]. „ჩვენი ყოფა დადებითისკენ რომ შეიცვალოს, აუცილებელია ხელისუფლებამ ხელი შეუწყოს საშუალო ფენის ჩამოყალიბებას, რაც მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებით მიიღწევა... საშუალო ფენა არის სახელმწიფოს დასაყრდენი, ამიტომაც მეწარმეობის განვითარება დროის მოთხოვნა და ჩვენი გადარჩენის გარანტიაა“ **/საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II/**.

დასავლეთის საკრედიტო „ინიექციებმა“ სწრაფად გაზარდა საქართველოს საგარეო დავალიანება და უდიდესი დილემის წინაშე დააყენა ქვეყანა საგარეო ვალის მომსახურების მხრივ. 2011 წლის 30 სექტემბრის მონაცემებით, საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი 10,98 მლრდ დოლარია, აქედან, სახელმწიფო ვალია 4,5 მლრდ დოლარი, დანარჩენი – კერძო. მისი მომსახურებისათვის გადასახდელი თანხა 170 მლნ დოლარია, რაც ქვეყნის საბიუჯეტო შემოსავლის 4,4%-ია.[18]

სსფ-ის შეფასებით, საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ გაუმჯობესდა საქმიანი გარემო, ჯერ კიდევ, ირღვევა კონტრაქტები, სუსტია სასამართლო სისტემა.

1989 წელთან შედარებით, საქართველოს მოსახლეობა 21%-ით შემცირდა[19]. **სსფ**-ის და მსოფლიო ბანკის ექსპერტული შეფასებით, 2009 წელს ქვეყნის რეალურმა **მშპ**-მა 1990 წლის დონის მხოლოდ 71,1% შეადგინა, ხოლო 2011 წელს – 82%, მაშინ როდესაც ეს ბარიერი დაძლია პოსტსაბჭოთა ქვეყნების უმრავლესობამ. სათანადოდ არ არის დაცული კერძო საკუთრება, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის საბაზრო ურთიერთობების განვითარებას საქართველოში.[20]

მოსახლეობის ერთ სულზე (მიმდინარე ფასებით) საქართველოში მშპ 2900 დოლარია, რაც საშუალო მსოფლიო დონის 1/3-საც კი ვერ აღწევს[21]. ამ მნიშვნელოვანი ინდიკატორის თითქმის 3-ჯერ ჩამორჩენა ერთხელ კიდევ მიუთითებს საქართველოს მოსახლეობის მთლიან რიცხოვნობაში საშუალო ფენის დაბალ დონეზე. ხელოვნურადაა შემცირებული საარსებო მინიმუმი, რომელიც მხოლოდ ნომინალურად ამცირებს სიღარიბის დონეს. ოთხსულიან ოჯახზე იგი თვეში 271 ლარს, ხოლო 1 შრომისუნარიან კაცზე – 156 ლარს შეადგენს. მინიმალური ხელფასი 40 ლარია, საშუალო ხელფასი – 700 ლარი[22].

---

[16] **არჩვაძე ი.** საქართველოს მოსახლეობის თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ზოგიერთი ასპექტი. „სოციალური ეკონომიკა“, 2010, №1.

[17] Eurostat Newsrelease, №47, 2008; www.statistics.ge („სამეწარმეო სფერო“).

[18] საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემები; www.info@mof.ge

[19] www.statistics.ge (სექცია „მოსახლეობა“).

[20] **Papava V.** The Essence of Economic Reforms in Post-Revolution Georgia: What about the European Choice? “Georgian International Journal of Science and Technology”, Vol 1, Issue 1, 2008, pp. 8-9.

[21] http://www.geostat.ge/?action=page&p_id=1188lang=geo; Human Development Report – 2009. New York, 2009.

[22] http://bls.gov/data/; www.statistics.ge (სექცია „შინამეურნეობები“).

ექსპერტული შეფასებით, საქართველოში მოსახლეობის 15% ღატაკია, საარსებო მინიმუმის ზღვარს მიღმა 21%-ია, სოციალურად ღარიბები (ანუ მოსახლეობის ის ნაწილი, რომლის შემოსავალი ფარავს საარსებო მინიმუმს, მაგრამ არ არის საკმარისი ნორმალური კვლავწარმოებისათვის) 50%-ია, მდიდრები – 5%, მათ შორის შეძლებული – 3,5%[23].

ასეთი მწვავე სოციალური სტრატიფიკაციის გამო, საქართველო გამოირჩევა დანაზოგების ძალზე დაბალი დონით და ამ მაჩვენებლის მიხედვით საჰარის სამხრეთით მდებარე განვითარებადი ქვეყნების ჯგუფში განიხილება[24]. ამიტომ, ვინაიდან დეპოზიტების ბაზა საკმარისი არ იყო, ამ პრობლემის გადაჭრის მიზნით, ბანკები საგარეო ბაზრებიდან სესხების მოზიდვას ახერხებდნენ. ამ კამპანიამ იმდენად მასობრივი ხასიათი მიიღო, რომ **უცხოური ინვესტიციები გახდა არა ქვეყნის შიგა დანაზოგების დეფიციტის შევსების წყარო, არამედ, შეიძლება ითქვას, ეკონომიკის მამოძრავებელი ძალა**. **სსფ**-ის მისიის რეკომენდაციებით საქართველოში გატარებული რეფორმების შედეგად, კომერციული ბანკები თანდათან ეროვნული ბანკის კონტროლიდან გამოვიდნენ. საგრძნობლად იკლო საკრედიტო ბაზარზე ბანკების საინვესტიციო აქტიურობამ. 2008 წლის ბოლოსათვის პრაქტიკულად არ მუშაობდა გრძელვადიანი დაზოგვის მექანიზმი, რასაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი დეპოზიტების დაზღვევის ინსტიტუტის არარსებობამ. აქედან გამომდინარე, საქართველოს საბანკო სისტემას ბზარი 2008 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისის დაწყებამდე გაუჩნდა. თუმცა გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა ეს ბზარი კიდევ უფრო გააღრმავა[25].

აღნიშნულმა და სხვა უარყოფითმა შიგა პროცესებმა მწვავე პრობლემად აქცია საგარეო ვაჭრობის პერმანენტული დეფიციტი. 2010 წლის ოფიციალური მონაცემებით, სამომხმარებლო ბაზრის 70% იმპორტულ საქონელზე მოდის და იმპორტის ექსპორტით დაფარვამ მხოლოდ 31,1% შეადგინა, ხოლო ექსპორტის წილად მოდის მთელი სავაჭრო ბრუნვის 23,7%.

ამრიგად, საქართველო, მცდარ ნეოლიბერალურ პოსტულატებზე დაყრდნობით, კვლავ ილუზიების ტყვეობაში აღმოჩნდა.[26]

მიუხედავად ამისა, საქართველოს გმირული წარსული, მისი ლამაზი ტრადიციები და ქვეყანაში არსებული პოტენციალი დიდ იმედებს იძლევა.[27] „საუკუნეების მანძილზე ქართული კულტურა არაერთი უძლიერესი იმპერიის გავლენას განიცდიდა, მაგრამ ღვთის განგებითა და ჩვენს წინაპართა ძალისხმევით არასდროს დაგვიკარგავს თვითმყოფადობა... საქართველო არის წილხვედრი ყოვლადწმინდისა ღვთისშობლისა, იგი ტახტია წმინდისა სამებისა **/საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II/**.

---

[23] www.geoeconomics.ge; **არჩვაძე ი.** საშუალო ფენა საქართველოში: სოციალურ-ეკონომიკური როლი და მნიშვნელობა. „საქართველოს ეკონომიკა“, 2007, №7, გვ. 194-195.

[24] **კორდონიე კ.** კერძო დანაზოგები, მაკროეკონომიკური სტაბილურობა და ფინანსური სექტორის განვითარება საქართველოში. „საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები“. GELPAC, ოქტომბერი, 2008, გვ. 62.

[25] **Asatiani R.** Post-communist Transition Period in the Georgian Economy. “The Caucasus & Globalization”. Vol. 3, Issue 203, Ca&CC Press, Sweden, 2009, p. 62.

[26] **ასათიანი რ.** მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და ეკონომიკური თეორიის მეინსტრიმი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. „სოციალური ეკონომიკა“, 2011, №1, გვ. 43-50.

[27] **Asatiani R.** Caucasus and Georgian Economy: Past, Present, Prospects. “Current Politics and Economics of the Caucasus Region”, New York, 2010, pp. 301-320.

ECONOMY OF GEORGIA

Summary

This book is devoted to the less studied in a systemic way issues of the economic development of Georgia with its centuries old history, which are presented in retrospection, as a chronological overview of its complex path, a step by step consideration of the past in order to come to the objective assessment of the present. The work simultaneously covers the country's two cataclysmic historic processes: gaining the state independence and transition to the market economy. The book presents a scientific study of the rapidly evolving economic events in Georgia's newest epoch, a critical analysis of the past and the current economic processes, its successes and failures. The conclusions are underpinned with statistical data.

The book reveals a contradictive character of the economic development of Georgia in the context of its historical environment, analyses institutional reforms, issues related to the budgetary and monetary systems, describes its national wealth and demographic trends, peculiarities of regional economics.

The architectonics of the work with its wide range of issues is determined by the scale of the study. The key aspects are put as a forefront foreground and are presented in a way that makes the reader to give a thought to where this ancient country comes from and what challenges it has overcome. Whereas many great empires has disappeared from the world map, Georgia makes its way through the whirlwind" of open and hidden obstacles.

The structure of the book is presented in the following way: agricultural, manufacturing and services sectors together with corresponding sub-sectors constitute the sections of the book. The key role is given to the development of tourism, especially of the resorts and the rich recreational potential of Georgia. Using the example of the information technologies sector, it is argued that only the identification of the high-potential value chains and of the role the sector is capable of playing in global value chains, determine the political economic issue of a sector selection and its competitiveness strategy development.

For the logical completion of the work Georgia's economy is regarded in the context of global processes that points out the ways out of the crises and the ways of realization of the country's potential.

After the Rose Revolution diverse measures of institutional transformation were undertaken: a special attention was paid to the public reforms in the area of improvements and simplifications of the tax code and of firms 'registration procedures. With the adoption of the new Customs Code and the Tax Code the tax administration system has been significantly simplified. There are serious positive changes made in the country's infrastructure development as well.

Along with the positive sides the manifestation of the negative trends of globalization are strong in Georgia as its real sector has not been integrated in the global value chains. There is no repulse to external, exogenous factors, which destroy the statehood, national traditions without leveling of which, the overcoming of inner, endogenous contradictions and progress of the country will

be difficult. As a result of the "ultraliberal " economic policy in Georgia the state-monopoly socialism has been replaced with state- monopoly capitalism based on quasi-democracy and the justice system that does not support pluralism in ownership, protect private property rights and, as an outcome, endangers the transition to the market economy in Georgia.

Georgia has outstandingly low level of domestic savings. Georgian citizens seem to be isolated from the investment activities. One of the main priorities in Georgia's economic policy is to attract foreign direct investments, however, it is more important for the sustainable economic growth to target the development of alternative means in mobilizing of domestic savings.

The low business activity in Georgia determines high level of unemployment rate. The share of hired employees constitute only 21% of all employed people. The small and medium businesses contribute only 6.6% and 9.2% respectively to the output of the real sector (in European countries this indicators are 40% for small business and 18 for medium business). In Georgia , the share of the large business in the industrial output is 84.2% , which is a double of the same indicator in EU countries. In the environment of low activity of Georgia's businesses and of the depressed domestic investments, foreign investments became a major driving force of the country's economy.

The country developed an acute social stratification problem along with the brain drain and migration of 1.6 million population. According to the experts' estimates ,15% of population are classified as indigent, 21% - live below the subsistence minimum, 50% - as poor (which means that their income is above the subsistence minimum , but not enough to cover a normal reproduction), and 5% is rich.

In 2011 Georgia's GDP reached 81% of the level of 1990, while most post-Soviet countries have already overcome this barrier. The trade deficit has become the country's permanent problem, only 31.1% of imports is covered by exports. In Georgia 70% of consumer goods are imported.

The credit injections from the west have increased Georgia's foreign debt to the level that made the country to face a dilemma of servicing it. According to the 2011 data the total foreign debt of Georgia is 10.8 billion USD, including 4.5 billion USD of the state debt. The funds that are required to services this debt is 170 million USD , which constitutes 4.4% of Georgia's budget revenues. Thus, based on false neoliberal postulated, Georgia once again has been trapped in illusions.

ЭКОНОМИКА ГРУЗИИ

Резюме

В книге хронологически в ретроспективе освещается сложный путь экономического развития Грузии с ее многовековой историей и со всеми многочисленными перипетиями, что имеет большое значение для объективной оценки настоящего. Работа охватывает период катаклизмов двух исторических событий в Грузии - обретения государственной независимости и перехода к рыночной экономике. В книге дана научная оценка существенных сдвигов произошедших в экономике Грузии в новую эпоху, прошедших и текущих экономических процессов, достигнутых успехов и неудач. На основе критического анализа событий сделаны выводы, подтвержденные фактическими данными.

Работа ставит своей целью показать ход экономических реформ в их связи с конкретно-исторической средой, на основе раскрытия противоречивых процессов экономического развития и особенностей их взаимодействия, дать анализ институциональных реформ, осветить вопросы, связанные с реформированием бюджетно-налоговой и денежно-кредитной системы страны, раскрыть содержание национального богатства и демографических тенденций Грузии, специфики региональной экономики страны.

Архитектоника работы и широкий круг вопросов обусловлен масштабностью исследуемой темы. В книге на передний план выдвинуты ключевые вопросы и освещены таким образом, чтобы читатель призадумался откуда идет эта древнейшая страна, какие перипетии она прошла и какие препятствия преодолела. Тогда как великие империи исчезли с карты мира, Грузия сегодня прокладывает себе путь через «водоворот» открытых или скрытых препятствий.

Экономика Грузии представлена следующими секторами: аграрным, индустриальным и сферой услуг с соответствующими отраслями. Особо заострено внимание на развитие курортно-рекреационного потенциала и туризма. Не случайно рассматривается политика отраслевой конкурентоспособности. Она выдвинута на передний план новым политэкономическим мышлением в современном мире. В связи с этим, в работе освещена отрасль информационных технологий, апробированный мировой опыт ее развития, проанализирована в этом плане конкурентоспособность Грузии. Для логического завершения работы экономика Грузии рассматривается сквозь призму глобальных процессов, что дало возможность выявить пути выхода страны из кризиса.

В последние годы особое внимание было уделено проведению институциональных преобразований, реформированию административного и общественного сектора, улучшению налогового кодекса. Упрощена процедура регистрации фирм, принят новый таможенный кодекс. В 2010 году был принят новый налоговый кодекс. Упрощена методология расчёта оплат и технология налогового администрирования. Значительные позитивные сдвиги произошли в развитии инфраструктуры страны и т.д.

Наряду с позитивными сторонами, в Грузии сильно проявляются негативные тенденции глобализации, вызванной её неинтегрированностью в глобальной экономике. Не нашли отпора внешние, экзогенные факторы разрушающие государственность, национальные традиции, без нивелирования которых затрудняется преодоление внутренних, эндогенных противоречий и прогресс страны. В результате «ультралиберальной» экономической политики государственно-монополистический социализм сменился государственно-монополистическим капитализмом, основанном на квазидемократии, видимой справедливости, которая ничего общего не имеет с западной рыночной экономикой. Сформировалось

многообразие форм собственности, но до плюрализма собственности стране еще далеко. Частная собственность не защищена должным образом, что создает серьезную опасность развитию рыночных отношений в Грузии.

Грузия отличается крайне низким уровнем сбережений. Коренное население страны фактически оказалось изолированным от инвестиционной деятельности. Одной из главнейших целей экономической политики Грузии является привлечение иностранных инвестиций, тогда как гораздо важнее было бы направить все усилия на создание альтернативных средств мобилизации сбережений внутри страны.

В Грузии крайне низкая деловая активность и высокий уровень безработицы. Доля занятых по найму составляет всего лишь 21%, не развивается малый и средний бизнес, поэтому удельный вес среднего слоя остается низким (9%). На долю малого бизнеса приходится лишь 6,6% валового выпуска (средний европейский показатель – 40%), на долю же среднего бизнеса выпадает 9,2% (в ЕС – 18%), зато доля крупного бизнеса составляет 84,2% и вдвое превосходит соответствующий показатель стран ЕС.

В Грузии наблюдается острая социальная стратификация. Происходит утечка преимущественно трудоспособного населения из страны, миграционный отток граждан составляет почти 1,6 млн человек. По экспертным оценкам, 15% населения страны относится к категории нищих, за чертой прожиточного минимума находится 21%, социально бедные (то есть та часть населения, доход которых покрывает прожиточный минимум, но не является достаточным для нормального воспроизводства) составляют 50%, богатые - 5%.

Согласно данным 2011 года, реальный валовой внутренний продукт (ВВП) в Грузии составил всего лишь 81% уровня 1990 года, тогда как большинство постсоветских стран преодолело этот барьер. Вышеуказанные и другие негативные внутренние процессы создали острую проблему перманентного дефицита внешней торговли. По официальным данным 2011 года, 70% потребительского рынка приходится на импорт и только 31,1% составляет покрытие импорта экспортом.

Кредитные «инъекции» Запада быстро увеличили внешний долг Грузии и поставили страну перед большой дилеммой в плане обслуживания внешнего долга. По данным 2011 года, внешний долг Грузии – 10,8 млрд долларов, из этого государственный долг - 4,5 млрд долларов, сумма оплачивания его обслуживания составляет 170 млн долларов, что составляет 4,4% бюджетных поступлений страны.

Таким образом, опираясь на ложные «неолиберальные» постулаты Грузия вновь оказалась в плену иллюзий.

შინაარსი

წინათქმა ---------- 3

I თავი. ეკონომიკური განვითარების რეტროსპექტივა---------- 7

II თავი. პოსტკომუნისტური პერიოდის ეკონომიკური რეფორმები--22

III თავი. ინსტიტუციური რეფორმები ----------36

IV თავი. საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემა ----------49

V თავი. ფულად-საკრედიტო სისტემის განვითარება----------71

VI თავი. ეროვნული სიმდიდრე----------86

VII თავი. დემოგრაფიული განვითარების ტენდენციები ----------93

VIII თავი. რეგიონული ეკონომიკა ---------- 102

აგრარული სექტორი

IX თავი. სოფლის მეურნეობა---------- 121

X თავი. სატყეო მეურნეობა---------- 130

XI თავი. დაცული ტერიტორიები, ნადირობა, მეთევზეობა---------- 149

ინდუსტრიული სექტორი

XII თავი. მრეწველობა ---------- 161

XIII თავი. მშენებლობა ---------- 195

მომსახურების სექტორი

XIV თავი. განათლება და მეცნიერება ---------- 203

XV თავი. ჯანმრთელობის დაცვა ---------- 213

XVI თავი. სადაზღვევო საქმიანობა ---------- 222

XVII თავი. საკურორტო-რეკრეაციული რესურსები და ტურიზმი------ 228

XVIII თავი. ტრანსპორტი და კომუნიკაციები ---------- 245

XIX თავი. სასტუმროები და რესტორნები ---------- 259

XX თავი. ვაჭრობა ---------- 264

XXI თავი. დარგობრივი კონკურენტუნარიანობის პოლიტიკა ---------- 279

XXII თავი. გლობალიზაცია, რელიგიურ ეთიკაზე აგებული ეკონომიკური პოლიტიკა და საქართველო---------- 292

ECONOMY OF GEORGIA. Summary ---------- 303

ЭКОНОМИКА ГРУЗИИ. Резюме ---------- 305

ECONOMY OF GEORGIA

(In Georgian language)

Publishing Company **“Siakhle”**

Tbilisi 2012

ЭКОНОМИКА ГРУЗИИ

(на грузинском языке)

Издательство **“Сиахле”**

Тбилиси 2012

საბეჭდი ქაღალდი 60X84 1/8; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 38,0.

გამომცემლობა „სიახლე“
თბილისი 0162, ყიფშიძის ქ. 10.

ტელ.: 599 530487, **E-mail: siakhle@gmail.com**